# ცისკარი

WWW.Opentext.ge/Tsiskari

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

7-8 | 2003



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბატონი ოთარ ჭილაძე, ერთი პირველთაგანი გასული საუკუნის 60-იანელებიდან, 70-სა გამხდარა, აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე მწერლობის, ერის უანგარო სამსახურში, უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე შემდგარს გაულევია, ქართველი კაცისთვის სულის საზრდოდ საოცარი ლექსები, რომანები... შეუთავაზებია.

ბატონო ოთარ, იუბილეს გილოცავთ; ვულოცავთ თქვენს მკითხველს, სრულიად საქართველოს ვულოცავთ დიდი შემოქმედის დაბადების დღეს. მრავალჟამიერ, ბატონო ოთარ, თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ...

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

WWW. Opentext.ge/Tsiskari

7-8 | 2003

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:

ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბადათერ არაბული

ლევან მალაზონია

ელზა მეტრეველი –
მთ. რედაქტორის მოადგილე

მიხო მოსულიშვილი

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

3. რენე კალანდია. ლექსები
9. ნუნუ ქადაგიძე. მიწიერი ნოსტალგია. მოთხრობა
17. გივი ბერაია. ლექსები
21. შაბურა არაბული. ლექსები
24. გელა ჩქვანავა. მოთხრობები
42. ნოდარ ხუნდაძე. ლექსები
46. მამუკა დოლიძე *ციკლიდან* „პროზა-პოეზია“. მოთხრობები
60. რონა ბუბუტეიშვილი. ლექსები
62. ქეთევან დოლიძე. ლექსები
66. ნანა ჯოჯუა. ნოველა
68. ზვიად ბრეგაძე. ლექსები
70. გიორგი მეტრეველი. ლექსები

### დრამატურგია

73. მაკა ჯოხაძე. სასოწარკვეთილთა თეატრი. პიესა

### ახალი თარგმანები

110. ბორის აკუნინი. აზაზელი. გაგრძელება. თარგმნა მიხო მოსულიშვილმა

### სივრცეების საიდუმლო ბარათები

127. ზურაბ ნარმანია. ლექსები

### ხსოვნა

130. ვაჟა დადიანიძე. ლექსები. ხილული და უხილავი სამყაროს საკვირველება. ბოლოსიტყვაობა ზაურ წაქაძისა

### წერილები

136. ნოდარ შანიძე. გულქართლი კაცის პოეზია
139. ნიკა შენგელია. ბევრს დააინტერესებს და დააფიქრებს
140. აკაკი წერეთელი. უცნობი წერილები. კომენტარები ელზა ზარდიაშვილისა
144. გიორგი კანკავა. კაცია-ადამიანის?! „რევოლუციები“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რენე კალანდია



## სოფლის ასაშენებლად დაუპატიჟებელი პოეტის ლექსი

*ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს*
*ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი?..*
სიმონ ჩიქოვანი

ლექსისთვის ღამე რომ არ მეთია...
გზიდან თუნდ მორი გადამეთრია,
ქვა მეკოდა და წყალი მეთრია,
შავზედ არ მეთქვა: მგონი, თეთრია! -
აგაშენებდი, მამულო ჩემო?!.

თუმც მზე ამოდის: უკუნეთია...
ჩადის: რატომღაც - ვარსკვლავეთია...
ირგვლივ: სამშობლო - საგიჟეთია,
თან ისე ვრცელი: ვუი, ჩემს თიას! - *
ვაშლსაც სდის შხამის გემო...

## წვიმიანი სეზონის გახსენება

თუმცა ივნისის დასაწყისია,
არც კი აპირებს გამოდარებას:
- მსგავსი სიცოცხლე რის მაქნისია,
არც დაწყებულა, უკვე მთავრდება?!.

ოთახი. წიგნი. წვიმის ხმაური -
ერთფეროვნების ფრინველის ლანდი...
ქუჩაში: ყოფის აურზაური,
ოთახში - უსათაურო დარდი...

---

*** თია - დიდი ჭირკვალი (თ.სახოკია)**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მერწყვის გაკვეთილები
### (ვერლენისეული „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ ფონზე)

*თენგიზ კიკალიშვილს*

სიცარიელის შესამოსავად
ისევ არ მყოფნის სიტყვა-ქსოვილი,
რადგანაც ძილშიც პატიოსანი
პოეტი, ლოთი, თანაც ლტოლვილი -
ამა ქვეყნისა სიამეთაგან,
თუნდაც თვით „ქვეყნის ძლიერთა“ მიღმაც
შეძრწუნებული ვუმზერდი საგანს,
ნივთს, ადამიანს, საქმეს თუ თიხას,
რაც დიდხანს ძერწა, ვერ გამოძერწა
აქ: „ხატად თვისად“ უზენაესმა -
დატოვა: რა ქნას სტრიქონმა - ბერწმა,
თუ ჩემი ძვლების არც ესმის კვნესა?!.

## რენესბური: გაუცხოდველობის თეორია

*შვილს - გიორგის*

აქ ხომ ჰადესი,
იქაც - ჰადესი!..
მამას ერჩია ბაბუს „ადესა“:
წმინდანობაში ვერ აჯერებდნენ,
თუნდაც ერთხელ რომ ჩაიხადესა!..

ედინებოდა რენეს საწუთრო -
მარადმშფოთვარე და პირქუშ ლექსად, -
„ბოსიაკობას“ კი აკერებდნენ
იარლიყად... ბრმა ღამეებს კვნესა
ბზარავდა მისი: ახლა სწამს უფრო,
თვით მომავალიც ვერ უცვლის ფერსა!..

## ბედისწერის ასი წლის აჩრდილთან შეხვედრის ანაზდეული მონატრება

*„...მოკლედ, მან მომისროლა ლიტერატურაში... ბაბუა აფასებდა ვერლენს, მისი რჩეული ლექსების კრებულიც კი შეიძინა. მაგრამ ამტკიცებდა, რომ პოეტი „ღორივით მთვრალი“ ნახა 1894 წელს...“*

*ჟან-პოლ სარტრი,* „სიტყვები“

- ეს შენ მისროლე მღვრიე მორევში,
რომელსაც ჰქვია ლიტერატურა...
უკვე სატანაც ვერ მომერევა! -
ვიცნობ ვოლტერებს და მულტატულებს, *
რომლებიც წმენდნენ ავგიას თავლას,
თან დასტიროდნენ უმწეო მართვეს...
ვერ ვწერ... ტვინს ბურღავს - ბაზარში გავლა,
რომ ვერლენივით ღორულად დავთვრე!..

---

* ჰოლანდიელი მწერლის ედუარდ დეკერის ფსევდონიმი - მულტატული - ლათინურად ნიშნავს „მრავალტანჯულს“ (ავტ. შენიშვნა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტაშტში მობანავე პოეტისა და მეზღვაურის ნამეტნავად უტაშო აღსასრული

### („პროვინციელი ფაშისტის“ დღიურიდან

*სადღაც ხარობენ ალბათ*
*ჩემი პატარა მტრები.*
**ტერენტი გრანელი**

მორჩა! - არავის აღარ ეკუთვნი!..
აღსრულდა! - ცხოვრობ სამთავე დროში!..
თუმცაღა ითქვა: გმართებს მედუქნის
ოცი ლარი და თხუთმეტი გროში...

მიხვალ: მიგყვება გადაუხდელი
მამულისა და მეზობლის ვალი...
წევხარ პირქუში და ჩაუხდელი
შარვალი ბზინავს, ფეხსაცმლებს ნალი -
წყვილი ანათებს, თუმც გაცვეთილან...
აწ „დაისს“ უსმენს თვით ქუთაისის
ქუჩაც... უშენოდ იწყება დილა!..
მორჩა! - უშენოდ კვდება დაისიც!..

*მოქელეხე ლიტერატურული ქილერების მისამღერი:*
რენე, სამარეშიო
ჩაგიყარეთ ხრეშიო,
ერთი მუჭა მიწის ნაცვლად:
- გემძიმა და ხვნეში-ო?..
შენი „ლექსით“ ვინ მიგიღებს
ჩვენს წილ სამოთხეშიო?!.

## ვითომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, ანუ თავკომბალა ნუვორიშები ბროლის საფერფლის ჩარტემის მოლოდინში

*„...დაამტვრიეს ჩაუშესკუ ანტილატაკი...“*
*გურამ დოჩანაშვილი,* „ლოდი, ნასაყდრალი“.

პარლამენტი დაიხურეს,
როგორც მუზარადი:
არ უშვერენ ხახვებს ყურებს,
ურჩევნიათ ვარდი...
ჭედენ კანონ-აპეურებს,
ესმით ფულის ყადრიც...
დაათრევენ კასტეტ-დურებს - *
ანტილატაკ - „კადრნი“...

————————

* კასტეტ-ი (ფრანგ. Casse გატეხა და tete თავი) - ერთგვარი ცივი იარაღი - თითებზე წამოსაცმელი ლითონის ფირფიტა; საჯიგველი, რომელიც უკვე გამოიყენეს პარლამენტის შენობაში, ხოლო „დურა“ - რევოლვერი (ჟარგ.) მდუმარე ლულითაც აკეთებს საქმეს, ფულს და ა.შ. (ავტორი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰირქუში რეალობა: გაბმით სმა

ცრუ დაფნით თავშებურვილთა -
„წარმატებების სურვილით" -
მიავტოგრაფეს წიგნის მთა:
ვერ მოერევა ბურვილი
და ფერნანდელი,* „რადგანაც
მოკვდნენ და აღარ სცალიათ
წიგნისთვის... მე ვსვამ: ვბანცალობ...
- სამწუხაროა ძალიან!..

## ნაბახუსევზე მინაწერი:

გვიანღა მივხვდი: ფრანგებმა
ქართული რომ არ იციან -
საიქიოშიც... ამაოდ
დაშვრნენ პაოლო, ტიციან,
სხვა მთარგმნელებიც და ა.შ.
- სავალალო გახლავთ შედეგი...

## კუნძულ ბარატარიას გუბერნატორის ბრძანება N

*„როგორც ვხედავ, ამ კუნძულზე დონები
რიყის ქვაზე უმრავლესნი არიან. მაგრამ კმარა.
ღმერთია ჩემი გულთამხილავი და, თუ ჩემი გუბერნატორობა
ოთხიოდე დღეს გაგრძელდა, მაგ დონების გამრავლასმოვახერხებ".*

*სერვანტესი,* „დონ კიხოტი"

დონ სირისტიან პედროსა -
ექიმს მივენდე ერთ დროსა:
ვუთმობდი წვრილ-წვრილ ბისკვიტებს,
ყვერულებს, კაკბებს, ხენდროსა...
რახან მიმუხთლა, ვუგზავნი
ვაზელინს - ათას ვედროსა
და გავა გაახაზიროს,
ფუმფულა დამახვედროსა...
მაგრამ ვაფრთხილებ: ბრძანების
შესახებ არ იყბედოსა,
დონ კიხოტმა არ გაიგოს,
ტახტი არ დამაყვედროსა...
თავად ეშმაკთან მიჩივლოს,
თუნდ უფალს შეევედროსა:
პანღურს ამოვკრავ, - კუნძულზე
ხალხი რომ ამიმხედროსა!..

## 2003 წლის 2 მაისი: გელათის სივრცეში მოფარფატე სევდა - „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"

*ირაკლი ბაზაძის ხსოვნას*

### 1. მამული (სოფ. შამგონა)

მამულო, შვილთა „ზრუნვაში"
გაგიალისფრდა ულვაშიც...

---

*ფრანგული კინოს კომიკოსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსმენდმი, ვინც კი გტენიდა
ცხვრის, ანდა რუსის დუმაში...

### II. დედული (სოფ.კახათი)

დედულო, დავითფერულის
აწევას, ვფიქრობ: ყვერულის
ჭამა გერჩივნა, - აღდგომას,
პარადზე: ურა! - შტერული...

### III. მამულ-დედული (საქართველო)

მამულ-დედულო, ერთიან
სამშობლოს ცაზე ღმერთია!..
ხედავს: წინაპართ აჩრდილებს
ჩვენებიც რარიგ ერთვიან...

## უსახელო მარათონელი

- ჰეი, სად გარბიხარ, მეგობრების მიერ
ორგზის გაყიდულო,
სამგზის დასმენილო,
ოთხგზის გაჭორილო,
ხუთგზის ჩაშვებულო,
ან ღატაკს რად მოგდევს ცა „მრავალჟამიერის"
ბანით - მოგუდულით,
გულსგაყრილ ურდულით,
ჰამლეტ გონაშვილის ღვთაებრივ „ურმულით",
მშობლიურ ხავსსაც კი ჩაბღაუჭებული,
ტაძრის გუმბათიდან ქრქოლად ჩამოღვრილი
საგალობლებით შეშლილ-გათანგული,
მტევნად დაკიდული
ბგერით - ღვთით სმენილით,
ცხრათვალა მზისგან ცხრაგზის დაჭორფლილი,
„ჩაკრულო"-თი მიწას გაკრული,
„წინწყარო"-თი ცაში აშვებული,
მაინც იწერება სვეგამწარებული
პოეტის საბრალო ლექსების კრებული...

## გამოთოხნილი აწმყო

*შვილს ნინოს*

შენი ქირაფი მოწყენილია,
როგორც სამშობლო მოწყენილია,
წინ: უფსკრულია, უკან კი - ლია,
აწმყო - კავშირი - გაწყვეტილია,
ჩონგურს სიმები დაწყვეტილია,
დევნილთა პური მარად მწარეა, მდევართათვის კი - ნეხვიც ტკბილია,
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის..."

შენი ქირაფი სევდიანია,
როგორც სამშობლო სევდიანია,
წინ: წყვდიადია, გზა - უღრანია,
უკან - დაბმული ამირანია:
ძერა უკორტნის ღვიძლს რა ხანია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მძლე ტკივილთან მამის და შვილის წუხილი, აქ რა მოსატანია?
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„დიაღ, წესი ეგეთი არის..."

შენი ჟირაფი დარდიანია,
როგორც სამშობლო დარდიანია,
წინ: უდაბნოა, უკან - ადიან
კვაზიმწვერვალზე - ბოროტს სჩადიან
და უზნეობის დღესასწაულზე რევერანსების სკოლას გადიან,
უკვე რამდენი წელიწადია, -
პოეტის, მხატვრის და მუსიკოსის გულზე ბინძური ფეხით დადიან...
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის..."

შენი ჟირაფი ნაღვლიანია,
როგორც სამშობლო ნაღვლიანია,
წინ: კლდეა, უკან - ჭრილობა ღია,
შუაში - ნუში: მოჟონავს ია -
ცრემლი - თვალთაგან, რომელთაც ჰქვიათ:
წინ: უფსკრული და, აწმყო კი არ ჩანს, უკან - ათასი თული,
წინ: წყვდიადი და აწმყო კი არ ჩანს, უკან - წყალი და ხმიადი,
წინ: ვითომ მწვერვალები და ნული, უკან - სინდისთან მწყრალები,
წინ: კლდე და სასოწარკვეთილება, უკან - მდევართა: ჰე-ჰე-ე-ეი!..
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„შეშლილი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა ჩრდილო-დასავლეთით უბერავს ქარი..."



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნუნუ ქადაგიძე

## მიწიერი ნოსტალგია



.. მურა ფერის გრილი სასმელი, სასიამოვნოდ მწკლარტე გემოსი, ქაფით უხვად თავმოდგმული, ლამის ჭიქის მესამედი რომ უჭირავს... ნება-ნება მიიტან პირთან. სულს ფრთხილად უბერავ იმ ქაფს და მოწრუპავ. დალოცვილი სიგრილე ცხონებასავით ჩაგეღვრება სიცხისგან გაოფლიანებულ სხეულში. კანი შეიძლება ოდნავ გაგიხორკლიანდეს კიდეც, ისე მყისიერად ეხმაურება პირველივე ყლუპს. ცოტა ხნით მოიცილებ პირიდან ჭიქას, დაიცდი, რათა სხეულის ყოველმა უჯრედმა შეიგრძნოს სასმელით მოგვრილი სიგრილე და საამო მოთენთილობა. ზაფხულის ხვატი ერთი ასად აძლიერებს ამ სანეტარო შეგრძნებას. გიხარია კიდეც, ირგვლივ ასე რომ ცხელა... მერე ისევ მოწრუპავ... ამ სასმელს დედამიწაზე ლუდი ჰქვია.

რა შორეულია ახლა ეს ყველაფერი: ზაფხულის ხვატიც და ლუდის გემოც. მთელი უსასრულობაა (აქ ამ სიტყვაში არაფერია გადაჭარბებული); სანატრელად მექცა ასეთი თითქოსდა უბრალო რამ. რაც ჩვენს გვერდითაა, იმას არ ვაფასებთ... ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ლუდის სმის დროს ზღვას უნდა გავყურებდე, ზანტად მოდგაფუნე ტალღებს და მზის მცხუნვარე სხივებზე მოქათქათე პლაჟს. რა თქმა უნდა, გრილი სასმელის დალევა ყველგან სასიამოვნოა, მით უმეტეს, ზაფხულის ხვატში. მაგრამ მე ასე მესახება ჩემი სანუკვარი ოცნების ახდენა... თუკი „ღმერთი“ ინებებს...

არ შემეძლო მისთვის სხვანაირად მეწოდებინა. როგორი სახით წარმოედგინა ადამიანს ღმერთი? უმეტეს შემთხვევაში რაღაც უსხეულო არსებად, რომელშიც კოლოსალური ძალმოსილება იქნებოდა თავმოყრილი, რომლისთვისაც არავითარი ბარიერი აღარ არსებობდა სივრცესა და დროში. სწორედ ასეთი არსებაა ჩემს გვერდით. მთლიანად მასზეა დამოკიდებული ჩემი ყოფნაარყოფნის საკითხი... და რაც თვით ყოფნაზეც მეტია ჩემთვის, მასზეა დამოკიდებული, ოდესმე ფეხს დავადგამ თუ არა მიწაზე.

ასეთ საოცრებას, ცხადია, დედამიწაზე ვერ შევხვდებოდი. თუმცა უამრავი გადმოცემა და ლეგენდა ერთხმად ლაღადებს, ოდესღაც ღმერთები ეშვებოდნენო დედამიწაზე. ვინ იცის, იქნებ, მართლა ეშვებოდნენ ამის მსგავსი არსებანი, ახლა ჩემს გვერდით რომაა... ასეა თუ ისე, მისი ცხადად მხილველი მე არავინ შემხვედრია. არც მაშინ მქონია მისი ნახვის ბედნიერება, როდესაც მბრუნავ პულტთან მჯდარი იმ ლოგარითმული მრუდის სქემას ვადგენდი, ჩვენმა „მედუზამ“ რომ შემოხაზა მზიდან ანტარესამდე... ეს შეხვედრა „მედუზას“ ბორტს მიღმა უნდა შემდგარიყო, ალბათ, სხვანაირად არც მოხერხდებოდა... არა, ხომალდი არ აფეთქებულა, ამ შეხვედრისთვის ეს სულაც არ ყოფილა აუცილებელი. შემდგომშიაც მშვიდობიანად გააგრძელა გზა. წინასწარ შედგენილი სქემისთვის თითქმის არც გადაუხვევია, ისე შემოხაზა გიგანტური რკალი და მშვიდობიანად დაბრუნდა დედამიწაზე. ეკიპაჟს მხოლოდ ერთადერთი წევრი აკლდა ჩემის სახით... როგორც სახომალდო ჟურნალი იუწყებოდა, ასტრონავტი დაიღუპა კორპუსგარეთა პარაბოლური სარკის გასწორების ჟამს, როდესაც ავარია განიცადა ზონდმა.

სრული ჭეშმარიტებაა, ზონდი იყო ყველაფერში დამნაშავე. ყოველ ტექნიკურ სიახლეს თავისი ჩრდილოვანი მხარეც ახლავს; ძალიან მოსახერხებელია ეს სტრუქტურული ზონდი; რამდენიმე წამით მოგათავსებენ ოვალური ფორმის კაბინაში, რომლის ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრუდე კედელი უშუალოდ ღია კოსმოსში იხსნება. უხილავი ატომები თვალისდახამხამებაში ქმნიან უზუსტეს სტრუქტურულ გისოსს. ზონდი მთლიანი გარსივით შემოგეკვრება ირგვლივ. არანაირი შესაკვრელები, ჭანჭიკები და სხვა ამდაგვარი ხარახურა. თითქოს შენი სხეულის შემადგენელი ნაწილია. რაც შეიძლება ნაკლებად ზღუდავს ყოველგვარ მანიპულაციას. ამავე დროს, საიმედოდ გიცავს ღია კოსმოსის მომაკვდინებელი გამოსხივებისგან. ხომალდზე დაბრუნებისას იმავე ოვალურ კაბინაში ხდება ზონდისგან განთავისუფლება. თითქოს კვერცხის ნაჭუჭისგან გამოდიხარო, რომელიც თვითონვე იხსნება, წიწილას ნისკარტის მიუკაკუნებლად. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზით ზონდის შიდაატომური სტრუქტურა დაირღვა,.. ამისთვის საკმარისია, ვთქვათ, რენტგენის სხივმა შეაღწიოს იმ ოვალური კაბინის კედლებში, მაშინ ასტრონავტი ბევრად უფრო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე იმ დროს, როცა ძველებური მძიმე სკაფანდრებით გადიოდნენ ღია კოსმოსში. მაგრამ ასეთ შემთხვევას გამორიცხულად თვლიდნენ, რადგან ოვალური კაბინა ყოველგვარი გამოსხივებისგან საიმედოდ იყო დაცული ფილტრების მრავალშრიანი სისტემით. თანაც ეს მაღალსაიმედო ზონდი ხომალდის კორპუსზე გვარლით იყო მიბმული სულ უმნიშვნელო რისკის თავიდან აცილების მიზნით, ზონდის შიგნით კი თავით ფეხამდე ელასტიკურ აფსკში ვიყავით გამოხვეული. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ რაღაც მიზეზით ჰერმეტულობა დაირღვეოდა.

იმ გვარლმა ახლაც ჭიპლარი გამახსენა. მისი დანახვისას მსგავს ფიქრებს ვერასოდეს ვაღწევდი თავს. როცა მე თვითონ ხომალდში ვიმყოფებოდი და იქიდან შევყურებდი ღია სივრცეში მოტივტივე ასტრონავტს, ფიქრებში ყოველთვის ამეკვიატებოდა ახალშობილი, რომელიც ეს-ესაა მოევლინა ქვეყანას და ჭიპლარით ჯერ ისევ დედის სხეულზეა მიბმული. მეც ხომ ასეთ სანახაობას წარმოვადგენ-მეთქი ამ წუთას, ვფიქრობდი გულში და ვცდილობდი, საკუთარი თავი უცხო თვალით დამენახა... ადამიანს უყვარს საერთოდ საკუთარი თავის შორიდან დანახვა, ეს გრძნობა რომ არ გააჩნდეს, იქნებ, არც არასოდეს მიეტოვებინა დედამიწა... აი, იშვა ნაყოფი და მოუქნელი მოძრაობით მიცოცავს თვალისმომჭრელად მობრჭყვიალე პარაბოლური სარკისკენ, თითქოს მასაც ბრჭყვიალა საგნები იზიდავდეს ახლად თვალახელილი ბალღის მსგავსად.

პარაბოლური სარკე სულ ახლოს იყო. გიგანტური თვალივით ელავდა უჩვეულო ჩაღამებული სიცარიელის ფონზე; სარკის გვერდით ხომ ვარსკვლავები აღარ აღიქმებოდნენ. თვით „მედუზას“ კორპუსსაც ძლივს ვარჩევდი, ბიბლიური ლევიათანივით გართხმულიყო სადღაც ჩემს ქვევით.

გვარლი სარკის პლატინის მუხლს წამოედო. ნელ-ნელა ფართო ბრუნი გავაკეთე, რათა გვარლი მისგან გამენთავისუფლებინა. ბუნდოვნად მოციმციმე „მედუზამ“ სრული წრე შემოხაზა ჩემს ირგვლივ. გვარლი მაინც არ მოსცილდა პლატინის მუხლს. მაშინ სხვა ხერხს მივმართე: მკვეთრი მოძრაობით გავიწიე გვერდზე, რათა გვარლი რაც შეიძლებოდა ძლიერად დაჭიმულიყო და, თუ მის განთავისუფლებას ვერ შევძლებდი, ეს მაინც გამერკვია, რამდენად იყო დახლართული. პარაბოლური სარკე უეცრად მეტისმეტად გაიზარდა, ლამის მთელ ცას გადაეფარა, თუ მთელი ცა ჩაინთქა მასში და მასთან ერთად მეც...

გვარლის დაჭიმვის დროს, ვერც კი გავიგე, ისე მყისიერად გაირღვა ზონდი, და ისე ამოვვარდი იქიდან, როგორც წაბლი ამოიტყორცნება მთლიანობადაკარგული ნაჭუჭიდან. გაწყვეტილი გვარლი გველის კუდივით აიკლაკნა სივრცეში... უცნაურია, ასეთ წუთებში შეშინებასაც რომ ვერ ასწრებ. გაწყვეტილი გვარლის დანახვისას ისევ ჭიპლარი ამეკვიატა. „ჭიპლარი... გაწყვეტილი ჭიპლარი...“ ესღა გავიფიქრე უნებურად, თუმცა უკვე მშვენივრად ვიცოდი, რომ მოხდა რაღაც შეუქცევადი მოვლენა, და მე მთლიანად ამოვვარდი სისტემიდან.

ელასტიკური აფსკი მაშინვე ბუშტივით გაიბერა. ზოგიერთები მას ზედმეტად თვლიდნენ, თურმე საჭირო ყოფილა. ღია კოსმოსს მშვენივრად გაუძლო... რამდენიმე წამით თუ რამდენიმე საუკუნით, ვერაფერს ვიტყვი. როცა ყველა მხრით რამდენიმე უფსკრული ერთად აღებს პირს, ადამიანი დროს ჩვეულებრივი საზომით ვეღარ აღიქვამს, წამი შეიძლება საუკუნედ იქცეს. ხომალდიდანაც არაფერი შეუმჩნევიათ. ზონდი შორიდან ისევ მთლიანს ჰგავდა, ჩემი ამოვარდნის მომენტი კი ზონდის მხრიდან ერთ კვეთაში მომხდარიყო დამკვირვებლის თვალისთვის, თანაც ამ დროს წარმოქმნილმა მბრუნავმა მომენტმა პარაბოლური სარკის მეორე მხარეს გამისროლა და ხომალდიდან მთლიანად მიმაფარა თვალიდან... გაწყვეტილმა გვარლმაც კი არ დააეჭვა ისინი ვინც ბორტიდან მითვალთვალებდა... ერთი სიტყვით, ელასტიკურმა აფსკმა მშვენივრად გაუძლო წნევის მკვეთრ ცვლილებას. ოდნავადაც არ დაზიანებულა... და მერე, როცა ყველაფერი უკან დარჩა, ჩემს თავს „პერანგიანი ახალშობილი“ ვუწოდე.

დიახ, ასეთი შედარება ყველაზე შესაფერისი იყო; ისეთ ხომალდზე ამოვყავი თავი, რომელიც თვით ახალშობილისთვისაც სრულიად გამოსადეგი იქნებოდა... (გადასვლის წამი მიუწვდომელი დარჩა ჩემთვის. მკვეთრად შემცირებულმა წნევამ თავისი ქნა; საფეთქლებში კაკუნი, ნათელი რგოლები თვალის წინ და მისთ.) არაფერი მაკლდა-მეთქი, რომ ვთქვა, ეს ძალიან ცოტას მეტყველებს. ადრე ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ფუფუნების არსებობა. სანამ შევეჩვეოდი, ბევრი რამ ძალიან მაკვირვებდა. მაგალითად ხავერდოვანი მანიპულატორები, რომლებიც ისე მემსახურებოდნენ, რომ მათ შეხებას საერთოდ ვერ აღვიქვამდი. ეს მართლაცდა უცნაური გარემო თავისთავად რეაგირებდა ყველაფერ იმაზე, თუ რა მესაჭიროებოდა და რა არა. ჩემი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად ეხმაურებოდა ჩემი სხეულის ყოველ უჯრედს. მე არ მჭირდებოდა ისეთ უბრალო ყოფით წვრილმანებზე ფიქრიც კი, მშია თუ მწყურია, მცივა თუ მცხელა... არც რაიმე მცდელობა მჭირდებოდა ჩემთვის ყველაზე მისაღები გარემოს შესაქმნელად. თითქოს ვიღაც უხილავი ძიძა ზრუნავდა ჩემზე. თანდათან დავრწმუნდი, რომ შემეძლო სრულიად არხეინად მეგრძნო თავი. ნელ-ნელა ის ხიფათიც გადამავიწყდა, რაც ღია კოსმოსში განვიცადე. ვეღარც კი წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა რაიმე საშიშროება არსებულიყო სადმე. იმ უძირო უფსკრულებისაც აღარ მეშინოდა, ყოველი მხრიდან რომ შემოჰყურებენ ადამიანს კოსმოსში და რომელთა მიმართ ასეთი მყარი რეფლექსები გვაქვს გამომუშავებული. ანკი როგორ შემაშინებდნენ, როცა ამ სანეტარო, უშფოთველმა ყოფამ დიდ მდინარესავით თავის წიაღში აატივტივა ყველაფერი. სამყაროსეული უდიდესი სივრცე, თავისი უფსკრულებით და ვარსკვლავებით, თითქოს ჩემს შიგნით მოექცა. ყველაფერი ჩემში იყო და ამავე დროს ყველგან მე ვიყავი.

ასეთ უზრუნველ ყოფას ხომ არაფერი სჯობია... მას შემდეგ, რაც პირველად მიეფიცხა შუა ცეცხლს, სულ იქითკენ მიელტვოდა ადამიანი, რაც შეიძლება კეთილმოწყობილი გარემო შეექმნა თავის ირგვლივ; ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლი, რომელიც არასოდეს ჩაქრება და ზომიერად გათბობს. საკვები, რომელიც არასოდეს გამოილევა... დიახ, ეს ყველაფერი დიდი სიკეთეა, მით უმეტეს, ისეთი სახიფათო მალაყის შემდეგ. მაგრამ მეორე მხრივ... ეს იყო არსებობა, რომელიც ლამის არარსებობას უტოლდებოდა. - აი, რა გამოვიდა ამ დიდი სიკეთიდან. მე ვცხოვრობდი შეგრძნებების გარეშე. ხოლო შეგრძნების გარეშე ცხოვრება უფრო თვლემას ემსგავსება, ვიდრე სიცოცხლეს. ასეთ ყოფას ვეღარც სასიამოვნოს დაარქმევ, ვეღარც უსიამოვნოს. არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი გაღიზიანება ან ტკივილი. თვით კოღოს ნაკბენის ოდენაც კი... თვით იმაზე ფიქრიც კი არ მაწუხებდა, მარტო ვიყავი თუ არა. „ჭიანჭველების ბუდის" ძახილი სრულიად მიყუჩებულიყო ჩემში. ცხადია, ეს სრულქმნილი გარემო ყოველგვარი უარყოფითი ემოციის ჩახშობაზეც ზრუნავდა, ჩემთვის მიუწვდომელი გზებით უკვე ძალიან ახლოს ვიყავი ისეთ მდგომარეობასთან, როცა ყოველგვარი საზღვარი იშლება შენსა და გარემომცველ სამყაროს შორის... როცა ყველაფერი ერთ უსახო მასად ითქვიფება. კიდევ დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა, სულ ადვილად შეიძლებოდა მეც ისე გავთქვეფილიყავი იმ უსახო მასაში, როგორც შაქრის ნატეხი იხსნება წყალში... შეიძლებოდა ლეთარგიის მსგავს უსასრულო, გამოუფხიზლებელ ძილში ჩავფლულიყავი და ყველაფერი გადამვიწყებოდა ამქვეყნად... მათ შორის საკუთარი თავიც კი... ადამიანს, საერთოდ, ძალიან ადვილად შეუძლია საკუთარი თავის დავიწყება. ხანდახან ამას შეგნებულად მიელტვის კიდეც...

მაგრამ აქ დედამიწამ მიშველა, ერთადერთი, ის არ დამვიწყებია. მე ხომ ოდესღაც დედამიწაზე დავაბიჯებდი, ფეხქვეშ ვგრძნობდი მის სიმკვრივეს...

დედამიწაზე ფეხის დადგმა... შორეულ სამყაროში სამოგზაუროდ წასული ასტრონავტისთვის არაფერია ამაზე უფრო სანატრელი; უჯავილოვანი მწვანე მდელო, პოეტთა ურიცხვი თაობის მიერ შექებული. ანდა ზღვისპირა ნამიანი ქვიშა, ფეხქვეშ საამოდ რომ ჩხრიალებს. თუნდაც უბრალო ქვა-ღორღი იყოს. სულერთია, ყველაფერი ეს ჩემი დედამიწაა. ჩემს სხეულს ახსოვს იგი, არ დავიწყებია... რადაც უნდა დამიჯდეს, ისევ უნდა დავბრუნდე იქ, ისევ უნდა დავადგა ფეხი მიწაზე.

და უკვე საკუთარი თავიც გამახსენა ფეხქვეშ დედამიწის სიმკვრივის შეგრძნებამ... გამახსენა და მაშინვე მივხვდი თუ რა საშიშროების წინ ვიდექი. მივხვდი, რომ აუცილებელი იყო, რაიმე მეღონა. როგორმე უნდა დამეღწია თავი ამ სახიფათო გაყუჩებისგან, შემეცნო არსებობა, მეობა... და მერე განუწყვეტლივ შემეხსენებინა საკუთარი თავისგან, რათა აღარასოდეს დამვიწყებოდა.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ყველაზე უბრალო იყო; სარკეს დავუწყე ძებნა, რათა ჩემი ორეული დამენახა. ამ თვლემისმსგავსი გაყუჩების დროს სარკეში ერთხელაც არ ჩამიხედავს. აბა, რაში მჭირდებოდა... მით უმეტეს, არ სჭირდებოდათ იგი იმ ხავერდოვან მანიპულატორებს, რომლებიც თითქოსდა შეუხებლად მემსახურებოდნენ... მაგრამ ახლა საკუთარი არსებობის გასახსენებლად ეს აუცილებლობად წარმომიდგა. განა მხოლოდ იმისთვის იხედება ადამიანი სარკეში, რომ წვერი გაიპარსოს და ჰალსტუხი გამოინასკვოს? მე მგონი, სარკეში ბევრად მეტი უნდა ჩანდეს, ვიდრე ჩვენი სხეულის ზედაპირია... ყოველ შემთხვევაში იმ დროს ასე წარმომედგინა, როცა დიდი მონდომებით მიველტვოდი სარკეში ჩემი ორეულის დანახვას, მაგრამ ვერაფრით ვერ დავინახე...

ეს იყო პირველი წინააღმდეგობა, რასაც ამ სრულქმნილი ფუფუნების პირობებში წავაწყდი; მინდოდა ჩემი ორეულის დანახვა და გარემო ამაზე უარს მეუბნებოდა. ძალიან გამიკვირდა და თან გამაღიზიანა კიდეც (ჩემთვის სასიკეთოდ) ამ უცნაურმა მოვლენამ. განზრახვაზე ხელის აღება არც მიფიქრია. გაუთავებლად ვცდილობდი სარკეში ჩემი გამოსახულების დაჭერას, მაგრამ რამდენიც უნდა მეცადა, ვერაფერსაც ვერ ვხედავდი, რაღაც ბუნდოვანი მნათი ნისლეულის გარდა...

ამ მნათი ნისლეულის დანახვისას ხშირად მახსენდებოდა პარაბოლური სარკე, რომლისკენაც იმ საბედისწერო ჟამს მივცოცავდი. სულ ახლოს ჩავუქროლე, მაგრამ მასში არაფერი დამინახავს. პარაბოლური სარკე იმისთვის არაა შექმნილი, გამოსახულება რომ აირეკლოს. იგი ვარსკვლავის სხივებს ერთ წერტილში უყრის თავს. საკმარისია სულ მცირე, სუსტი გამოსხივება, რომ გიგანტურ ნაპერწკლად გარდაქმნას. მისი წყალობით „მედუზას" ენერგია პრაქტიკულად ამოუწურავია, ერთად ხომ არ ჩაქრება ყველა ვარსკვლავი?.. ანუ, თუ ერთი ჩაქრება, იმწამსვე მეორე ინთება სანაცვლოდ, თითქოს თვალმოუხუჭავად ფხიზლობდეს ვიღაც უხილავი მნათე... ეს სარკე თითქოს პარაბოლური არ უნდა იყოს, მაგრამ უცნაურად გამრუდებული ზედაპირი კი აქვს. რატომ არ უნდა ვჩანდე მასში, განგებ მოაწყვეს ასე თუ შემთხვევითი ამბავია?..

თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თავსატეხი რებუსის ამოხსნის დროს. ვერაფერი მომეხერხებინა ამ რებუსისთვის... რამდენიც არ ვუკირკიტე, იმ მრუდეზედაპირიან სარკის მექანიზმს ვერაფერი გავუგე. მაგრამ არც უარის თქმა შემეძლო ამ მცდელობაზე. რაც უნდა იყოს, რაღაც საზრუნავით ვიყავი გართული. და ასეთი საქმიანობა, თუნდაც სრულიად უნაყოფო, მაინც ბევრად სჯობდა იმ თვლემისმსგავს არსებობას.

ერთხელ, როცა სარკის წინ რამდენჯერმე შევიცვალე პოზა და ხედვის კუთხე, რა არის, როგორმე საკუთარი ორეული დამეჭირა, ამ უნაყოფო ძიებით გაბეზრებულმა და გაღიზიანებულმა ჩემთვისვე უნებლიეთ ხმამაღლა ვთქვი; სადა ხარ, ბოლოსდაბოლოს, დამენახვე-მეთქი. ჩემს ორეულს ვუთხარი ეს სიტყვები. ორეულს, რომელიც ჯიუტად გამირბოდა.

როგორც კი ფრაზა დავასრულე, ვიღაცის ხმა გაისმა:

- მე აქვე ვარ, შენს გვერდით.

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერაფერიც ვერ დავინახე. პირველი, რამაც ამ დროს თავში გამიელვა, ის იყო, ალბათ, ე.წ. „ანგელოზი" მელაპარაკება-მეთქი, როგორც გამჭვირვალე მასალისგან დამზადებულ რობოტებს უწოდებენ. ასეთ რობოტებზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა. არავის სიამოვნებს ადამიანს მიმსგავსებულ რაღაც საფრთხობელას უყუროს. როგორც უნდა შეალამაზო, სულერთია, მაინც საფრთხობელაა, შედარებით სუსტნერვებიან ხალხზე ცუდად მოქმედებს. მე ადრეც მენახა მსგავსი ეგზემპლარები და ჩემი უხილავი თანამოსაუბრეც მათ რიცხვს მივაკუთვნე. ოღონდ ჩემს მიერ ადრე ნანახი „ანგელოზები" ხანდახან უნებურად მაინც ამჟღავნებდნენ თავიანთ არსებობას. ხან ელექტრონაპერწკალი გაკრთება, ხან სხივი გადატყდება რომელიმე უჯრედში ან გამტარში. აქ კი სრულიად არაფერი ჩანდა. თითქოს სიცარიელეს ველაპარაკებოდი. მეც დავასკვენი, რომ ეს „ანგელოზიც", ალბათ, სრულყოფილების ნიმუშია, როგორც სხვა დანარჩენი ამ სრულქმნილ გარემოში, ამიტომაც არის სრულიად უხილავი.

სრულქმნილების რა დონეზეც უნდა იდგეს, რობოტი მაინც რობოტია. მეც ბევრი იწილო-ბიწილო არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწუია, მაშინვე საქმეზე გადავედი:

- მიწაზე როდის დავეშვები, ჩემო ანგელოზო?

მფარველური ტონით ვკითხე - რობოტებს ასე უნდა ელაპარაკო.

- როცა დრო მოვა, - იყო ლაკონური პასუხი.

ძალიან გამაბრაზა ამ პასუხის თავხედურმა ტონმა. რას ნიშნავს „როცა დრო მოვა". რა უფლება აქვს, ასეთი ბუნდოვანი ფრაზებით მელაპარაკოს. განა ამ ზეგამჭვირვალე „ანგელოზისთვის" ცნობილი არაა, რომ რობოტებმა მხოლოდ შეკითხვებს უნდა გასცენ პასუხი... თუმცა ეს პირობა უნაკლოდ შეასრულა. მანამდე არ ამოიღო ხმა, სანამ მე არ დაველაპარაკე. აბა, საიდან უნდა ცოდნოდა, თუ საკუთარ ორეულს ველაპარაკებოდი... დიახ, შეკითხვებს უნდა გასცენ პასუხი და ეს პასუხიც ისეთივე გამჭვირვალე უნდა იყოს, როგორც თვითონვე არიან.

ასე რომ, თუ ერთ შემთხვევაში რობოტს ჰგავდა ჩემი უხილავი თანამოსაუბრე, მეორეში უფრო ადამიანს ემსგავსებოდა. დამაეჭვა ამ გაორებულმა თვისებებმა. სიფრთხილე ვამჯობინე. ხმამაღლა არ გამომეთქვა აღშფოთება მისი წრესგადასული თავხედობის გამო. ისევ გავაგრძელე მასთან მუსაიფი, ოღონდ მფარველურ ტონზე უარი მაინც არ მითქვამს. შეკითხვებსაც უკვე მოიარებით ვაძლევდი. ძალიან მაინტერესებდა, გამერკვია, რისი მაქნისი იყო ეს სათამაშო, იქნებ, გამომდგომოდა რამეში...

- ერთი ეს მითხარი, ამ სარკეში ჩემს თავს რატომ ვერ ვხედავ? - ასეთი იყო ჩემი მეორე შეკითხვა, თითქოს სხვა ყველაფერი გარკვეული ყოფილიყო ჩემთვის.

- ამ სარკეში სხეულის ზედაპირიდან არეკლილი სინათლის სხივები არ ხვდება.

ვერაფერს იტყვი, თითქოს ნათელი პასუხია...

- ბარემ ისიც მითხარი, ეს მანათობელი ნისლეული რომელი წარმოშობისაა.

- სხეულშიდა წარმოშობის...

- გამოდის რომ თურმე ეს მანათობელი ნისლეული მაინც ჩემი ორეული ყოფილა - შევნიშნე მე.

- სრული ჭეშმარიტებაა, რამდენადაც... - და აქ ჩემმა უხილავმა თანამოსაუბრემ ფართო ახსნა-განმარტება წამოიწყო. ვუსმენდი და მის სიტყვებზე ძალაუნებურად ერთი ჩემი მასწავლებელი მაგონდებოდა; ხანშიშესული, ფიჩხივით გამხმარი კაცი. დიდის ამბით გვიხსნიდა (ოდესღაც იქ, დედამიწაზე...), რომ ადამიანი თავის თავში სინათლის მთელ თაიგულს შეიცავს (ეს სიტყვა „სინათლის თაიგული" განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ისეთი ამბით წარმოთქვამდა ხოლმე...); რომ ყველა ადამიანი ნამდვილი ცოცხალი რადიოსადგურია ამ თაიგულის წყალობით. შევყურებდი და ვერაფრით წარმომედგინა, თვითონ მას, ამ ფიჩხივით გამომშრალ კაცს, რა თაიგული უნდა გამოესხივებინა. მაგრამ, როცა ექსპერიმენტულ ნაწილზე მიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ მართლა ასხივებდა, როგორც ჩვენ ყველანი. ჩაბნელებულ ოთახში რიგრიგობით შეგვიყვანა. იქ, ლითონის მოლაპლაპე ეკრანზე ჩვენი გამოსხივების მანათობელ პროექციას ვხედავდით. ჩემი მასწავლებლის მანათობელ პროექციასაც მოვკარი თვალი იმ ეკრანზე. უოველ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია ეს გამოსხივება. „ანგელოზის" ნათქვამში ჩემთვის სიახლე არაფერი ყოფილა. ერთი ის მაკვირვებდა, ასეთი სარკე რისთვის დასჭირდათ... სარკე, რომელიც სხეულის ზედაპირს არ ცნობს და მხოლოდ სიცოცხლის გამოსხივებას აირეკლავს. აქ ხომ ცოცხალი არსება არავინაა, ჩემს გარდა. ეს გამჭვირვალე სათამაშო, ცხადია, სათვალავში არ ჩაიგდება...

„ანგელოზს" უბოდიშოდ შევაწყვეტინე ლაპარაკი:

- შენ თვითონ თუ ხედავ შენს თავს ამ სარკეში?

- რა თქმა უნდა ვხედავ. - იყო მშვიდი პასუხი.

- მერე, როგორი სახით ხედავ? - ვკითხე და თან ვფიქრობდი, იქნებ იუმორის გრძნობაც გააჩნია ამ სათამაშოს. სხვათა შორის, ასეთი ნიმუშებიც არის ცნობილი: გაეხუმრები, გაგეხუმრებიან...

გამაბრუებელი პასუხიც აქ მივიღე.

ადამიანის სახითო, მითხრა.

რამდენიმე წამით მის დანახვას ვცდილობდი ჩემ წინ გამოკიდებულ სიცარიელეში და მერე თავმობეზრებული კაცის ხმით ვკითხე:

- რომელი ადამიანის... ვინ არის ის ადამიანი.

- შენისთანა ასტრონავტი...

რაც შემდეგ ანგელოზისგან შევიტყვე, სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ჩემთვის. თუმცა დასაწყისში საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ყურადღებასაც არ მივაქცევდი... მხედველობაში ის მაქვს, რომ დედამიწაზე დაბრუნების დიდი სურვილი მქონდა, თან უსაქმობისგან ვიყავი გაბეზრებული. კინაღამ ისევ თვლემა მომერია, რომელსაც ეს-ესაა ძლივს დავაღწიე თავი; ხომალდს, რომელმაც ავარია განიცადა, აღარ ძალუძდა დედამიწაზე დაბრუნება და წლობით დაეხეტებოდა სიცარიელეში. იმ ავარიის შედეგად მართვა დაკარგა, თორემ სიცოცხლე არ ჩამქვდარა. მის ბორტზე უცვლელად იყო შენარჩუნებული შიდა ეკოლოგიური გარემო, რაც სიცოცხლის წრებრუნვისთვისაა აუცილებელი. ის პირველი ასტრონავტი, ვინც ოდესღაც დედამიწა დატოვა უნაკლოდ აღჭურვილი ხომალდით, რომელსაც თვითაღდგენის, თვითგანახლების უნარი გააჩნდა, დიდი ხანია, აღარ იყო ცოცხლებში. მისი შემდგომი თაობები იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ უგზო-უკვლოდ მიმქროლავ ხომალდზე, რომელიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა დედამიწას. ამ ხომალდს თვითაღდგენის უსასრულო უნარი გააჩნდა...

მსგავსი ამბავი ბევრი გამეგონა. სტარტიდანვე ათასი მოულოდნელობა უდარაჯებს კოსმოსში გასულ ხომალდს, რა ტექნიკითაც უნდა იყოს აღჭურვილი. სულაც არაა გამორიცხული, ვთქვათ, ხომალდის აფეთქება მისივე საწვავის წყალობით, თუმცა ამის ალბათობა თითქოსდა ნულს უტოლდება სპეციალისტების აზრით... მაგრამ არავითარი აფეთქება, შეჯახება ან სხვა ამდაგვარი კატასტროფა არ მზარავს ისე, როგორც მსგავსი სურათის წარმოდგენა: ხომალდი, რომელსაც აღარავინ მართავს და ბრმად მიჰქრის სივრცეში, არ ეჯახება არც ერთ ციურ სხეულს ბედის რაღაც უცნაური ახირების წყალობით, არც რომელიმე ვარსკვლავის ტყვეობაში მოექცევა, მის ბორტზე კი განუწყვეტლივ ფუთფუთებს სიცოცხლე. ხარობენ მცენარეები, რომლებიც ჟანგბადს გამოჰყოფენ; იზრდებიან თაობები, რომლებიც ჩაისუნთქავენ ამ ჟანგბადს და ერთმანეთს ცვლიან, ცვლიან, ცვლიან დაუსრულებლად.

უფსკრულში გადახედვასავით, თან მაშინებს და თან ძალზე მიზიდავს, ერთი წუთით წარმოვიდგინო, რას უნდა განიცდიდეს ადამიანი ამ ბრმად მიმქროლავ ხომალდზე; უსასრულოდ ხანგრძლივი წლები, უკვალოდ დანთქმული სიცარიელის უფსკრულებში... ვარსკვლავთა მანათობელი გირლანდები, რომლებიც ზანტად ცვლიან ერთმანეთს. აქ ხომ ისეთივე მკაცრი წესრიგით აღარ მეორდება ცის ვარსკვლავური სურათი, როგორც ეს დედამიწაზე ხდება. ხომალდი ადგილს იცვლის და ვარსკვლავებიც ადგილს იცვლიან. ელექტრონული ძაძა ჩასჩურჩულებს მათ სახელებს და ეუბნება, რომ აქედან ძალიან შორს, იმ თანავარსკვლავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების მიღმა ანთია ერთი საშუალო სიდიდის ვარსკვლავი, რომელსაც სახელად მზეს ეძახიან. მზეს ცთომილთა მთელი ამალა ახლავს თან. იმ ამალაში ერთ-ერთს დედამიწა ჰქვია. „დედამიწა!“ ნეტავ, როგორ ჟღერს მათთვის ეს სიტყვა... თან შეჰყურებენ მიწიერ ფერადოვან სურათებს, რასაც განუწყვეტლივ სთავაზობს დაუზარელი ელექტრონული ძიძა: მთები, ზღვები... ტყეები, ყვავილოვანი მწვანე მდელო, მოჩხრიალე ნამიანი ქვიშა... ეს ყველაფერი მხოლოდ ლამაზი ლანდებია მათთვის... ძალზე რეალური, მაგრამ უსხეულო, როგორც მირაჟი. მთლიანად დედამიწაც, ჩაღამებულ სიცარიელეში გამოკიდებული ცისფერი მძივი უმშვენიერესი ჯადოსნური სამყაროა მათთვის, ზღაპარივით შორეული და მიუწვდომელი. ისინიც იზრდებიან, მიწიერი ზღაპრებივით და მირაჟებით გარემოსილნი. აგრძელებენ იმავე სამუშაოს, რაც ერთ დროს დაიწყო იმ პირველმა დაკარგულმა ასტრონავტმა. გროვდება უამრავი მეცნიერული ინფორმაცია. იცვლებიანი თაობები, იცვლება სხეული. შედარებით უფრო ნელა, მაგრამ დაჟინებით იცვლება გონებაც. კიდევ უფრო გამდიდრებული და ძლევამოსილი გადადის სხეულიდან სხეულში, თავის ტვინიდან თავის ტვინში... ერთადერთი, რაც არავითარ ცვლილებას არ განიცდის, ესაა მშვენიერი ოცნება დედამიწაზე - იგი უცვლელად გადადის თაობიდან თაობაში. და მათთვის დედამიწაზე დაბრუნება, მიწაზე ფეხის დადგმა იგივეა, რაც ზღაპრის რეალობად ქცევაა მიწიერი ბავშვისთვის.

ასეთი სურათი მაშინ მიიღება, როცა შიდაგალაქტიკურ სივრცეში დაჰქრის ხომალდი სინათლის ბილიკებით დაქსელილ ღამეში. მაგრამ, თუ ხომალდი გასცდა თანავარსკვლავედთა საზღვრებს და თავი ამოჰყო გარეგალაქტიკურ სივრცეში... რა საზარელია ეს მკვდარი სივრცე... უსასრულო, გაყინული წყვდიადი, რომელსაც არც ერთი ვარსკვლავი აღარ ანათებს. მხოლოდ სამარეს თუ შეიძლება იგი შეადარო, კედლებს რომ ველარ მოუსინჯავ ხელის ცეცებით. ამ მკვდარ სივრცეში წლობით მიჰქრის ხომალდი, რომელიც თვითონაც მკვდარი უნდა იყოს დიდი ხანია, მაგრამ ბუნების რაღაც აუხსნელი ახირების გამო მის ბორტზე ისევ ღვივის სიცოცხლე... სიცოცხლე გადარჩა, გაიარა უთვალავი ბეწვის ხიდი მუტაციის და ადაპტაციის გზებზე. ისევ იზრდებიან თაობები, რომლებიც ადამიანის გონიერი თვალებით შესცქერიან ამ გაუთენებელ ღამეს და ესმით მშვენიერი ზღაპრები მირაჟივით მიუწვდომელი დედამიწის შესახებ.

ხანდახან რომელიმე შორეული სამყარო ამოცურდება ბნელეთის ოკეანის ნაპირას, მარაოსავით გაშლის ცეცხლოვან რკალებს. მაშინ მისკენაა მიმართული ყველა ამ გონიერი, ფართოდ გახელილი თვალების ისარი. კარგად იციან, ამ სინათლის კუნძულს უნდა მიაპყრონ მთელი გულისყური, რათა ოდესმე შეძლონ წყვდიადის სამარიდან ამოსვლა. სინათლეა მათი მეგზური. ხანდახან მატყუარაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გზის გამკვლევი... სინათლე, ეს საოცრება, რომელსაც მეცნიერებმა ასე მოსწრებულად უწოდეს „ყველაზე ბნელი ადგილი ფიზიკაში...“ ამაოდ არ მომიყვანია აქ ეს ფრაზა, სინათლე მართლაც სასწაულთა ამოუწურავი ზღვაა, როგორც შემდეგ დავინახავთ...

მაგრამ მართვადაკარგულ ხომალდს ჯერჯერობით არ შეუძლია, სინათლის კუნძულისკენ აიღოს გეზი. მანათობელი შორეული სამყარო თანდათან მკრთალდება, ცეცხლოვანი რკალები სიბნელის ზღვაში იძირებიან. ხომალდმა კიდევ დიდხანს უნდა იხეტიალოს მკვდარ სივრცეში. კიდევ ბევრმა თაობამ უნდა მიაპყროს ფართოდ გახელილი მეოცნებე თვალები წყვდიადის მიღმა მოციმციმე ჩირაღდანს, სანამ ბოლოს მათ შორის არ აღმოჩნდება რომელიმე, ვინც შეძლებს, ნაბიჯი გადაადგას იმ ჩირაღდნისკენ.

მასში უკვე ბევრი ახალი თვისებაა. თავისთავად ცხადია, ბევრად უფრო აღმატებული და ძლევამოსილი გონების მფლობელია, ვიდრე ის ასტრონავტი, ვინც პირველმა დატოვა დედამიწა. ამასთან ერთად, მასში თავმოყრილია მთელი წინა თაობების დაუოკებელი ლტოლვა სინათლისკენ. რა აძლევს ნაპირთან ტალღას დამანგრეველ ძალას? ის შორეული ტალღები, რომლებიც შუა ზღვაში დარჩნენ და ნაპირს ვერასდროს მიაღწიეს. ხოლო ის ბევრი ახალი თვისება, რაც მისმა გონებამ შეიძინა, უმეტესწილად სხვა ნიადაგში გადანერგვის წყალობა იყო... მეც ძალიან მიკვირდა და ძლივს დავიჯერე მას შემდეგ, რაც სრულიად მწყობრი თეორია ვიხილე, „გამჭვირვალე ანგელოზის“ მიერ ჩამოყალიბებული. თურმე გონება, ეს უცნაური მცენარე, შეიძლება ხარობდეს ტვინის რუხი ნივთიერების მიღმა... ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით; უნდა არსებობდეს „სინათლის თაიგული“, რაც ყოველ ადამიანში დავანებულა. განვითარების რომელიღაც საფეხურზე სიცოცხლემ უარი თქვა ცილოვან უჯრედზე, როგორც მძიმე ტვირთზე ასეთ უჩვეულო პირობებში და თავისებურ უსასრულო სხეულში, „სინათლის თაიგულში“ გადაინაცვლა... სინათლე ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგი აღმოჩნდა გონებისთვის. ხომ ძველთაგანვე ცნობილი ფაქტია, რომ სინათლეს შეუძლია ინფორმაციის დამახსოვრება... სწორედ „სინათლის თაიგული“, ამ მრუდე სარკეში არეკლილი მანათობელი ნისლეული ყოფილა ყველაზე მთავარი... უიმისოდ შეუძლებელი იქნებოდა იმ ჩირაღდნისკენ გზის გაკვალვა. მცენარის თესლი მიწის წიაღში, სრულ სიბნელეში ღვივდება, შემდეგ კი პოულობს გზას სინათლისკენ, სწორედ იმის წყალობით, რომ მასშიც ანთია „სინათლის თაიგული“, სიცოცხლის გამოსხივება...

ერთი სიტყვით, არავითარი „ანგელოზი“, არავითარი გამჭვირვალე სათამაშო. ჩემს წინაშეა ჩემისთანა ასტრონავტი, მიწიერი წარმოშობის ადამიანი, ოღონდ, ჩვეულებრივი ადამიანისგან განსხვავებით, მასში ბევრად ძლიერია „სინათლის თაიგული“. შეიძლება ითქვას, ეს არის ერთგვარი შედედებული სინათლე... ანდა, ვთქვათ, შეკუმშული. ამ „თაიგულში“ შენარჩუნებულია ყველა ადამიანური თვისება, მათ შორის ისიც, რომ მასაც ჩემსავით ენატრება დედამიწა, ენატრება მიწაზე ფეხის დადგმა...

ბნელს ნათელი მოეფინაო, - ალბათ, ისე არაფერს მიესადაგება ეს გამოთქმა, როგორც ამ ალსარებას, რაც მე ჩემი უხილავი თანამოსაუბრისგან მოვისმინე. ლამის მუხლებზე დავცემულიყავი და თაყვანი მეცა მისთვის, როგორც ძველი სამყაროს ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. სიცოცხლე, სულ ერთიანად საოცრებათაგან ნაქსოვი ჯადოსნური ყვავილი, რომელსაც თვით მარადისობაში გაუდგამს ფესვი! არ არსებობს დაბრკოლება, რომელიც შეაჩერებდა მის ძლევამოსილ წინსვლას, პირიქით, ეს დაბრკოლება ისევ იმას ემსახურება, რათა კიდევ უფრო სრულქმნილი იშვას საკუთარი თავისგან. თვით ღმერთის სიმაღლეზე ამაღლებულა სულით და ხორცით მიწიერი, ჩვეულებრივი ადამიანი... აკი მართლაც ასეთი სახით წარმოედგინა ადამიანს ღმერთი, როგორც უკვე ვთქვი ერთხელ. და ზეცის ნაცვლად დედამიწა ქცეულა მისთვის სალოცავ ხატად.

დედამიწა... ეს აღმოჩნდა ჩვენი შემდგომი ურთიერთობის მთავარი რგოლი. მას მართლაც ძალია ენატრებოდა დედამიწა. ამის მიხვედრა მე არ გამძნელებია. ძველი სამყაროს უკარება ღმერთებისგან განსხვავებით

ჩემს „ღმერთს“ (აწი უკვე ასე უნდა ვუწოდო) ძალზე გულღია ხასიათი აღმოაჩნდა. ათას რამეზე ვსაუბრობდით. მფარველურ ტონზე, ცხადია, მაშინვე ვთქვი უარი. ახლა მე მას, როგორც ტოლი ტოლს, ისე ველაპარაკები... საათობით შეგვეძლო, ვთქვათ, იმაზე გვემსჯელა, თუ როგორი ვარჯიშების შესრულება სჯობია დილით, ახალგაღვიძებულზე. მე იმ აზრისკენ ვიხრები, რომ დილით, როცა სხეული ჯერ ისევ მოდუნებულია, შედარებით ზანტი, ნაკლებად მკვეთრი მოძრაობების შესრულება სჯობია, დაახლოებით ძველი იოგების მსგავსად. ეს მშვიდი, შენელებული რიტმი თანდათანობით გადაგვიყვანს თვლემიდან სიფხიზლისკენ ისე, რომ ერთი წამითაც არ დაირღვევა სხეულის და სულის ჰარმონია. მკვეთრი მოძრაობები, ხტუნვა და ცეკვა მოგვიანებით აჯობებს, როცა სხეული მთლიანად გამოფხიზლდება. „ისიც“ სავსებით მეთანხმება, ოღონდ ერთი შესწორება შეაქვს; დაჭიმვა რაც შეიძლება ენერგიულად უნდა შესრულდეს დღის ნებისმიერ დროს. სხეულის ყოველმა უჯრედმა უნდა შეიგრძნოს თავისი არსებობა. სხეულს უნდა გრძნობდე მთლიანობაში და ამავე დროს თმის უმცირეს ბეწვამდე. სხეული, რომლითაც დედამიწას ეხები, მიწაზე დააბიჯებ...

და ყოველთვის, რაზეც უნდა გველაპარაკა, ამ თემას უბრუნდებოდა. დედამიწა, სხეული, მიწაზე ფეხის დადგმა... თანდათან დავრწმუნდი, რომ ჩემზე ნაკლებად როდი ენატრებოდა დედამიწა. ამან კიდევ უფრო აშკარად დამანახა მისი მიწიერი წარმოშობა. სხვა სამყაროდან რომ ყოფილიყო მოსული, ასე რად მოენატრებოდა მაშინ ეს ნამცეცა ცთომილი. „ღმერთი“ ნამდვილად მიწიერი იყო და მიწიერ ნოსტალგიას შეეპყრო.

აქ ერთი წინააღმდეგობა იჩენს თავს: როგორ! ასეთი ძლევამოსილი არსება, რომლისთვისაც აღარაფერია შეუძლებელი... მან შეაღწია ენერგიის აკრძალულ სამალავებთან. სივრცე და დრო მისთვის ჭადრაკის ფიგურებად ქცეულან. როგორც მოესურვება, ისე გადააადგილებს მათ. რანაირად მოხდა, რომ დედამიწა მიუწვდომელი დარჩა მისთვის?

მიუწვდომელიო? მას შეეძლო დედამიწა გამჭოლ გადაეკვეთა გალაქტიკის ცენტრიდან მომქროლავი დიდი ენერგიის მქონე კოსმოსური სხივების მსგავსად... დედამიწა ჩვენთან ძალიან ახლოს... შეიძლება ითქვას, მეტისმეტად ახლოს იყო, ხან ცისფერი მძივივით ციმციმებდა ზუსტად ჩვენს ცხვირწინ, სულ ერთი ბეწო და უწყინარი... ხანაც, უსაშველოდ დიდი და შიშისმომგვრელი, მძიმედ იძროდა ვარსკვლავიერი ცის ფონზე. ამ დროს რა მრისხანე იერი ჰქონდა ამ ნამცეცა სათამაშოს. ოკეანე ხან პატარა ღელესავით მიედინებოდა ჩვენს ფეხქვეშ, ხანაც მთელ სამყაროს ავსებდა თავისი ყოვლისმომცველი სილურჯით. შემეძლო მეხილა ზღვის აქაფებული ტალღა, მთასავით უძრავად გაყინული, თვითონ მთები კი აღელვებული ზღვის ზედაპირივით ბორგავდნენ... ალბათ, ცოტა ვინმეს თუ დაუნახავს ზეცა პეპლების თვალით (უსაზღვროა მხედველობის არე, როცა თვით ყოვლისშემძლეობაა შენი მეგზური). მზე სრულიად უძრავად იყო ცაზე მილურსმული. და საღამოს, როცა მზე ჩადიოდა, დამავიწყდა კიდეც, როგორ გამოიყურებოდა იგი შუადღისას. მეგონა, ასე წითლად ბრიალებდა ყოველთვის. თურმე თვით მთებიც შეჰყურებენ ზეცას და მათ თვალში ვარსკვლავებს თავბრუდამხვევი ფერხული გაუჩაღებიათ. მზე და მთვარე, ეს ორი მთავარი მოცეკვავეა, რომლებიც განუწყვეტლივ ასრულებენ რაღაც რიტუალურ ცეკვას. ხან მიუახლოვდებიან ერთმანეთს, ხან დაშორდებიან. ამ ბრწყინვალე, შუქ-ჩრდილებისგან ნაქსოვ სცენაზე ხანდახან თავზეხელაღებულივით შემოიჭრებიან კუდიანი ვარსკვლავები. მათი ყოვლად უცნაური, სახიფათო მარყუჟების ხილვისას მიწაზე მკვიდრად დანდობილი ფესვებით უთრთით ასწლოვან მუხებს.

სულ ახლოს იყო ეს ყველაფერი, მაგრამ ამავე დროს მაინც მიუწვდომელი რჩებოდა, საკუთარი იდაყვივით. მე არ შემეძლო მიწაზე ფეხის დადგმა, რადგან ასეთი იყო „ღმერთის“ ნება... თურმე თვითონ „მას“ არ შეეძლო მიწაზე ფეხის დაბიჯება... სხეული ხომ აღარ ჰქონდა. დიახ, „მას“ შეეძლო დედამიწა გამჭოლ გადაეკვეთა კოსმოსური სხივების მსგავსად, მაგრამ არ შეეძლო შეხებოდა... დედამიწა ისევ მირაჟივით მიუწვდომელი რჩებოდა მისთვის. ეს ბუნდოვანი სიტყვებიც „როცა დრო მოვა“, იმას ნიშნავდა, რომ მე მაშინ დავადგამდი ფეხს მიწაზე, როცა თვითონაც დაიბრუნებდა სხეულს და შეძლებდა მიწაზე დაბიჯებას.

ასეა, უმსხვერპლოდ არაფერი მოდის. მან მიაღწია სრულყოფილების მწვერვალს (მხედველობაში მაქვს მისი ყველგან და ამავე დროს თითქოს არსადყოფნის საოცარი უნარი, კოლოსალური ენერგიის ფლობაზე რომ არაფერი ვთქვათ), ოღონდ სხეულის დაკარგვის ხარჯზე. ახლა კი ისევ მოენატრა, რაზედაც ერთ დროს თვითონვე თქვა უარი. ეს ყველაფერი ძალიან მაგონებდა თვით ადამიანის სწრაფვას რაღაც უსხეულო იდეალისკენ. აქაც იგივე მოვლენაა, ოღონდ შებრუნებული ნიშნით. ალბათ, ბუნებაში არაფერი ხდება ისეთი, რასაც თავისი საწინააღმდეგო ნიშანი არ გააჩნდეს. თუ არსებობს სხეულის სწრაფვა უსხეულოსკენ, უნდა დავასკვნათ, რომ არსებობს მისი შებრუნებული პროცესი - უსხეულოს სწრაფვა სხეულისკენ.

თანაც ეს ორი ურთიერთშებრუნებული პროცესი იმითაც ჰგავს ერთმანეთს, რომ არც ერთი არაა უხიფათო. ეს სრულიად შემთხვევით გამოირკვა ჩვენს საუბარში, როდესაც, ჩვეულებისამებრ, ათასგვარი წვრილმანის შემდეგ ისევ „დედამიწას“ დავუბრუნდით. მე ვთქვი:

- ო, რა მძიმეა ხანდახან სხეული. რა შემაწუხებელია და დამღლელი. რა ხშირად ვნატრობთ უიმისობას და, იქნებ, მართლაც ასე სჯობდეს...

ამაზე უჩვეულოდ სევდიანი ხმით მიპასუხა:

- შენ წარმოდგენაც არა გაქვს, რას ნიშნავს, გქონდეს სხეული. ხომ არ გგონია, ცოცხალ სხეულში უფრო ნაკლები ენერგიაა, ვიდრე ნებისმიერ ვარსკვლავში...

ამ შენიშვნას ძალზე ხანგრძლივი ახსნა-განმარტება მოჰყვა, რამაც მე ბევრ რამეზე ამიხილა თვალი; ჯერ ერთი, ცოცხალი სხეული, როგორც სასწაული სასწაულთა შორის, რაღაც განსაკუთრებული სახეობის ზეენერგიის მფლობელია... ოღონდ ეს ზეენერგია სრულიად დახშულია ადამიანისთვის. მეორეც, თვითონ ადამიანის სხეული, ეს უფაქიზესი და უზუსტესი მექანიზმი, მიწიერი სიცოცხლის გვირგვინია. იგი ხომ თავის თავში მოიცავს სიცოცხლის ყველა ფორმას, რაც კი ოდესმე განსულიერებულა დედამიწაზე... დაახლოებით ისე, როგორც ყველაზე მძიმე მეტალი შეიცავს თავის წინამორბედ მეტალებს. მერე კიდევ, ამ სასწაულთა სასწაულის ხელახლა მოპოვების მცდელობა. თურმე არც ისე უხიფათო ყოფილა. როგორც ადამიანს უდარაჯებს ათასგვარი დაბრკოლება უსხეულოსკენ ლტოლვაში და შეიძლება დაიღუპოს კიდეც, ზუსტად ასევე არც უსხეულოსთვის არის ეს ლტოლვა ნაკლებად საშიში. თურმე „მასაც“ აფიქრებს ამ ნაბიჯის გადადგმა, ხომ უსაზღვროდ ფართოა მისი ცოდნა სხეულის შესახებ, მაინც არაა საბოლოოდ დარწმუნებული, შეძლებს თუ არა თავისი მიზნის განხორციელებას, სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე რამ საკმარისია, რომ ყველაფერი წყალში ჩამეყაროსო. ამიტომ ხანდახან ისეთ რამეებს მეკითხება, რაც მე სასაცილოდაც არ მყოფნის. ეს ჩემს თვალში ჩანს ისე, თორემ თვითონ „მას“, ვინ იცის, რისთვის სჭირდება:

- რას განიცდი, როცა მიწაზე დააბიჯებ?

ამ ყოვლად უბრალო შეკითხვამ დიდი თავსატეხი გამიჩინა. რას უნდა განვიცდიდე, ფეხქვეშ მყარი ნიადაგის შეგრძნების გარდა. ეს განსაკუთრებით მაშინაა სასიამოვნო, როცა შორეული მოგზაურობიდან ბრუნდები... სიმყარის შეგრძნება განუყოფლად თან გდევს, თუ ჭაობებზე არ დააბიჯებ.

სათითაოდ ჩამოვთვალე ყოველგვარი ნიადაგი, რომელზედაც ადამიანს შეეძლება მოუწიოს სიარულმა. მეგონა, ამომწურავად ვუპასუხე და კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ჩემმა მონდომებამ „იგი“, პირიქით, აღაშფოთა.

-...არსებობს რაიმე უძრავი და მყარი? განა ადამიანებისთვის ცნობილი არაა, რომ დედამიწა სივრცეში მიჭქრის სამყაროსეული უფსკრულის თავზე... თუ ცნობილია, მითუმეტეს... სიმყარის და უძრაობის შეგრძნება მას არა ფრად სჭირდება. ადამიანი, რომელიც მიწაზე აბიჯებს ფეხს, უნდა შეიგრძნობდეს დედამიწას, როგორც ერთიან სხეულს. ეს არის ჭეშმარიტი სიმყარე. დედამიწა და ადამიანი, ეს განუყოფელი მთლიანობაა. თუ ცოცხალ სხეულს ეს შეგრძნება არ გააჩნია, ძალზე დიდი დანაკლისია მისთვის...

ალბათ, მართლაც ასეა. ფიზიკურად რომ წარმოიდგინო ეს მოდელი, უფრო აშკარად ჩანს ეს დანაკლისი. ადამიანი თავისთავად ძალზე პატარა არსებაა, მაგრამ დედამიწასთან მთლიანობაში აღებული შეუდარებლად აღემატება თავის თავს.

ცოტა ხნის შემდეგ ახალ შეკითხვას მაძლევს.

- რატომ გიყვართ მთაზე ასვლა?

ანდა

-...რატომ გაჯადოებთ უფსკრულში გადახედვა?

და იქვე

-...როგორი მოჩანს მზე, როცა მჭიდროდ მოხუჭული წამწამებიდან შეჰყურებთ?

მეც ათასნაირად მიხდება თავის მტვრევა ამ სრულიად უბრალო კითხვებზე პასუხის გასაცემად. რა დალაგებითაც უნდა მოვიფიქრო და მყარი პასუხი გავცე, ერთი მოსმით უძირო უფსკრულს აღმოუჩენს ფეხქვეშ. ჩემი დასკვნები ისე ჰკიდია იმ უფსკრულის თავზე, როგორც აბლაბუდას ულონო ძაფზე შერჩენილი ქინქლას ფრთები...

წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ გამოიყენებს ჩემს პასუხებს, რა დასკვნები გამოაქვს მათგან. ერთი რამ კი ნაღდად ვიცი: „იგი“ აუცილებლად შეეცდება სხეულის დაბრუნებას, რათა ფეხი დაადგას მიწაზე. არავითარი ხიფათის წინ არ დაიხევს უკან, ოღონდ საკუთარ თავს ხორცი შეასხას იმ სახით, რა სახითაც ხედავს ჩემთვის გამოუცნობ მრუდზედაპირიან სარკეში. მეც მეტი რა მინდა, მასთან ერთად მეც დავადგამ ფეხს მიწაზე. ჩვენი ერთად ყოფნა თავისებური სიმბიოზია. მე „იგი“ მჭირდება, რათა იმ ავარიის დროს ეშველა ჩემთვის, ახლაც მჭირდება, რათა დედამიწაზე დავბრუნდე... მასაც ძალიან ვჭირდები, რათა სხეული დაიბრუნოს. უჩემოდ „იგი“ ვერაფერს გააწყობდა. ალბათ, ყველგან მომძებნიდა, თუნდაც მწიფე ვაშლივით არ ჩავვარდნოდი ხელში. ჯერჯერობით კი სულ არხეინად შემეძლო შორიდან მეცქირა ყველაფრისთვის, თვით საკუთარი თავისთვისაც კი... შემეძლო მომესინჯა უსასრულობის სამანები, საკუთარი თვალით მეხილა სამყაროთა გარდასახვა. ასანთის ღერივით იწვოდნენ ვარსკვლავთა გიგანტური ჩირაღდნები... ცივი მტვერი უშველებელ სივრცეს ეფინებოდა და ლამის ამოევსო ყველა უფსკრული. მერე კი ამ განფენილი, მარგალიტისფრად მოციმციმე ნისლეულიდან ისე ამოცურდებოდნენ ახალი სამყაროები, როგორც ყველის თავი ამოცურდება შედედებული რძიდან... ამ ნისლეულის ხილვა უცნაურ გრძნობას ბადებდა ჩემში... თითქოს იმავე მრუდე სარკეს შევყურებდი, რომელშიც ამაოდ დავეძებდი საკუთარ ორეულს. ერთხელ ვკითხე კიდეც ამის შესახებ: თავიდანვე რად არ შემეხმიანე, როცა შენს გვერდით ამოვყავი თავი, სარკეებში რად მაძებნინე საკუთარი ორეული-მეთქი.

ამაზე სრულიად ამომწურავი, „ადამიანური“ პასუხი მივიღე. ადამიანი მაშინ პოულობს, როცა ეძებსო. თავიდანვე რომ მეცადა შენთან კონტაქტის დამყარება, რაიმე ტექნიკურ ფოკუსად ჩათვლიდი და ყურადღებასაც არ მიაქცევდიო.

როცა დავფიქრდი, მეც ასე განვსაჯე; მართლა სულ ადვილად შეიძლებოდა უშედეგო დარჩენილიყო მისი მცდელობა, მე თვითონ რომ არ მომენდომებინა პირველს. როცა ეძებ, შინაგანი ძალები უკიდურესად დაძაბულია, ყურადღებაც მობილიზებული. შანსიც მეტია, რომ არაფერი გამოგრჩეს; ამ ძიებისას შეიძლება მუქა-მუქა მოჩვეტო ყალბი თვალები, მაგრამ, თუ მათში ერთი მაინც ურევია ჭეშმარიტი, ის უკვე აღარ გამოგრჩება მხედველობიდან. ხოლო, როცა არ ეძებ, ძვირფას თვალს შეიძლება ისე დაადგა ფეხი, არც კი დაიხედო ძირს. ალბათ, ასე იყო საჭირო. მე უნდა დამეწყო „მისი“ ძებნა, ოღონდ ჯერ ამისთვის დავიწყების ნისლში უნდა დავნთქმულიყავი.

*

...მურა ფერის გრილი სასმელი, სასიამოვნოდ მწკლარტე გემოსი, ქაფით უხვად თავმოდგმული, ლამის ჭიქის მესამედი რომ უჭირავს. ...ნება-ნება მიიტან პირთან. სულს ფრთხილად უბერავ იმ ქაფს და მოწრუპავ. დალოცვილი სიგრილე ცხონებასავით ჩაგეღვრება სიცხისგან გაოფლიანებულ სხეულში. კანი შეიძლება ოდნავ გაგიხორკლიანდეს კიდეც, ისე მყისიერად ეხმაურება პირველსავე ყლუპს. ცოტა ხნით მოიცილებ პირიდან ჭიქას. დაიცდი, რათა სხეულის ყოველმა უჯრედმა შეიგრძნოს სასმელით მოგვრილი სიგრილე და საამო მოთენთილობა. ზაფხულის ხვატი ერთი ასად აძლიერებს ამ სანეტარო შეგრძნებას. გიხარია კიდეც, ირგვლივ ასე რომ ცხელა... მერე ისევ მოწრუპავ... ამ სასმელს დედამიწაზე ლუდი ჰქვია...

აღსრულდა!.. მე მიწაზე მიდგას ფეხი. შემიძლია ვთქვა, რომ „ჩემთან არს დედამიწა“, ეს პაწაწინა ცისფერი მძივი, ღმერთის სალოცავი ადგილი. ფარდულთან ვდგავარ, ნება-ნება ვსვამ გრილ სასმელს და გავყურებ მზის მცხუნვარე სხივებზე მოქათქათე პლაჟს. ლურჯი ტალღების მშვიდი დგაფუნი უმშვენიერეს მუსიკასავით ილვრება ჰაერში. წინასწარ ვტკბები იმის წარმოდგენით, თუ როგორ გავცურავ ამ ლურჯ, გრილ ტალღებში. რა საამოდ გამიგრილებს მთელ სხეულს... რა კარგია, რომ ასე ცხელა. რა კარგია, ფეხს რომ მწვავს გახურებული ქვიშა. ალბათ, „ისიც“ შეიგრძნობდა ამ ქვიშის სიმხურვალეს. აკი ამას მიელტვოდა მთელი არსებით; უნდოდა, საკუთარი სხეულით შეეცნო დედამიწა, თავი მის შემადგენელ ნაწილად ეგრძნო. ნეტავი,მართლა სად არის, ჩვენ ხომ, ერთად უნდა დაგვედგა ფეხი მიწაზე...

ამის გაფიქრება იყო და შევამჩნიე, ლუდის ფარდულთან შეჯგუფული ხალხი შეჩოჩქოლდა და ზღვის მხარეს დაიწყო ყურება. მეც გავიხედე იქითკენ, საითაც ხალხი იყურებოდა. სიმართლე რომ ვთქვა, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც უცნაურს თავიდანვე მოველოდი. როგორი სახით წარმომიდგება იგი დედამიწაზე მოსიარულე... მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; ჯერ რაღაც გაურკვეველი ფორმის, ნისლივით გაბნეული სინათლის ბულული ამოიზარდა პირდაპირ ლურჯი ტალღების თავზე. მისი დანახვისას ის მანათობელი ნისლეული გამახსენდა, იმ მრუდეზედაპირიან სარკეში რომ შევყურებდი საკუთარი ორეულის ნაცვლად. ოღონდ ეს მანათობელი ნისლეული შეუდარებლად უფრო სხივმოსილი გახლდათ. ეს იყო, ალბათ, „მისი“ სინათლის თაიგული, ამჯერად ჩემთვის უკვე ხილული. მერე იმ „სინათლის თაიგულს“ რაღაც ჩრდილები შეერივნენ... და იწყეს დენა გაურკვეველმა ლანდებმა ამ შუქ-ჩრდილის წყაროდან. თუ დაუკვირდებოდი, მათში სხეულებს ამოიცნობდი... ყველა იმ სხეულს, რაც კი ადამიანის ამქვეყნად მოვლინებამდე განსულიერებულა დედამიწაზე, უმარტივესი ორგანიზმიდან დაწყებული თვით ადამიანის სხეულამდე. ისინი ადი-ჩადიოდნენ ტალღებთან ერთად, მერე ნაწილ-ნაწილ იშლებოდნენ და ლურჯ წყალში ითქვიფებოდნენ მედუზას სხეულის ნაგლეჯებივით. შევყურებდი და ვერაფერი გამეგო. იქნებ, მართლაც ვერ ასცდა იმ ხიფათს, რასაც ასე უფრთხოდა, სულ მცირე რამ არის საკმარისი, რომ ყველაფერი წყალში ჩაიყაროსო... იქნებ, რაღაც ვერ გაითვალისწინა და ეს მცდელობა მისთვის საბედისწეროდ დამთავრდა. ანდა, ვინ იცის, იქნებ, ასე უნდა მომხდარიყო ყველაფერი. ასეთნაირად უნდა დაშვებულიყო დედამიწაზე, შეხებოდა მის ზედაპირს... მოესინჯა მასთან კონტაქტი. მერე კი, ალბათ, ჩვეულებრივი ადამიანივით გაუყვება ზღვის ნამიან ქვიშას. მიდი და გამოარჩიე, რომელი მათგანია. აქ უკვე გამიძნელდება, ამ სხეულების ზღვაში...

ხელში ჭიქაშერჩენილი ჩუმად ვუთვალთვალებდი ზღვის ლურჯ ტალღებზე აზიდულ შუქ-ჩრდილთა კუნძულს, ჩემ თვალწინ ჩაიარა ნაირგვარ სხეულთა მთელმა კალეიდოსკოპმა და უკვალოდ განზავდა ზღვაში. მალე შუქ-ჩრდილთა წყაროც დაიშრიტა, ისევ უშფოთველი სილურჯე გადაგვეშალა თვალწინ.

რომელი სასწაულით გააკვირვებ დღეს ადამიანებს? აუღელვებლად შეჰყურებდნენ ამ მართლაცდა უჩვეულო სანახაობას. ერთმა თქვა, ფეიერვერკიაო, მეორემ - კინოგადაღებააო. მესამემ წასვლა არჩია, რაიმე საშიში არ იყოსო. ვიღაც შუახნის, მუგუზალივით გაშავებულმა კაცმა, რომელსაც, ალბათ, მთელი ზაფხული ზღვის პირას გაეტარებინა, როგორღაც თქვა, ღმერთი გამოგვეცხადაო. მე გამეცინა ამის გაგონებაზე.

ჩემს სიცილზე შემომხედა, დამაკვირდა და ეჭვით მკითხა, ვინა ხარო.

ვინ უნდა ვიყო, ადამიანი ვარ-მეთქი, მივუგე.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ მე ისევ იმ ელასტიკურ აფსკში ვიყავი გახვეული რაიმე მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად. მისი გახდა ჯერაც ვერ მომესწრო, ისე მეჩქარებოდა მიწიერ შეგრძნებათა განცდა. ამ უცნაურმა სამოსელმა დააეჭვა და იმიტომ ჩამაცივდა ასე.

- აქ საიდან მოხვედი?

- საიდანაც ღმერთი.

ამრეზით შემომხედა და თავი დამანება. რა თქმა უნდა, ან გიჟად ჩამთვალა, ან ხუმრობად მიიღო ჩემი ნათქვამი. მე კი სიმართლე ვუთხარი, სრული სიმართლე...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გივი ბერაია



## წვიმიანი დღის ქსეროასლი

ალის ბურთივით ბრუნავს - ყივის -
მამალი სარზე,
ანთებს ჩვენებებს, პირველქმნილი სინედლით სავსეს:
დადიანების ბაღის ხეებს მარგალიტს აყრის
ცა, ქოჩორს ქარით ისწორებს არყი.
ჩამოვათავებ ოდიშის სერს, ჭიაფერ ტალახს
აცილებს ლანჩებს სინწის წყალი, იხრება რკალად, -
ჩარბის კავკავით თავქვე წვიმის შოლტით ნაცემი,
მიუძღვებიან ღრუბლის არვეს ღრუბლის ვაცები
ურთის მთისაკენ. გაიხსნება წამით ცის კარი, -
გადაევლება ჯანღის ჯურღმულს ელვის ციკანი...
აქ ჩვენმა კოკი საჯაიამ
ცეცხლივით სადა
ლექსით გულების მიერთება მზის წრედთან სცადა, -
როცა მღეროდა... თითქოს შაშვი სტვენდა სუროდან!
და სულდგმულს ყოველს უხილავის ხილვა სუროდა.

## გასეირნება

ვარ ჩაკეტილი საკუთარ თავში,
კარს „მარტოსულის" ადევს ბოქლომი, -
გაჩენის დღიდან აქეთ მოვქროდი
და მზე მართავდა ჩემს მკლავებს
გაშლილს.
ახლა მთვარეა ჩემი მეგზური,
აგერ - მოწყენის მოადგა სარკმელს:
სანამ განდგომის მიზეზებს ვარკვევთ,
იფრქვევა ყოფა, როგორც ვეზუვი.
მე ის მიზიდავს - რა შუაშია
მტკვრისპირი, ხიდი ბარათაშვილის! -
მის ვულკანს ველტვი...
და კვლავ, ბავშვივით,
შინისკენ მივდევ ზღვის ლურჯ არშიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღმოსავლური მოტივი

უდაბნოს ქვიშის კვნესა მსმენია
და მიგემია ხორშაკი ქარის
სიმლაშე, -
დალალს ვუკოცნიდი გოგოს წყენიას
ტეჯენის* პირას. ცას ეკიდა მთვარე ვით ქნარი.
და იყო რაღაც ბუკოლიკურ-სულისშემძვრელი
შეღამებათა ქარავანის ზოზინი სვლაში.
მე შენ მტკიოდი...
ვერ ვაგნებდი, რასაც ვეძებდი,
გულს ვაფეთებდი - განგებ!
ხიფათს, გველივით საშიშს,
მით ვარიდებდი თავს სიყალბეს. სიცრუეს სოფლის
ვარდის ეკლებად შევაგებე სიმართლე ბევრგზის.
სანგარს ავსებდა ღრიანკალი, ვით ჟამის ცოფი,
საქსაულებში ფართხალებდა მზე - ოქროს თევზი.
. . .შენ კვლავ შორსა ხარ, ისევ გნატრობ და გეფერები,
სულივით ძვირფასს, ისევ ოდენ სიზმრებში გხედავ.
და ხამუშ-ხამუშ ვგრძნობ უდაბნოს ნაირფერების
მკაცრ სილამაზეს და... ამო ჩხვლეტას.

●

ძილისშორისში მეწვიე, მკოცნე,
მერე იელვე და ისე გაქრი,
რომ... არ გვაშორებს ის წელი ოცი:
შენი ანფასი, ნახატი ფანქრით,
ხვევნა, მოწყენა, ბუზღუნი...
წასვლა, -
ახლა ყველაფერს ფერებში ვხედავ
და საუკუნედ აღვიქვამ წამსაც,
რომელმაც გულზე გაავლო ზღვარი
და ყველაფერი იქით დატოვა...
და შენით მდიდარს თუ...
შენით ღარიბს
ძილშიც მახსენებს, რომ-
კვლავ მარტო ვარ.

## შეუთავსებლობა

შენ შებრუნდები. მეც ჩემთვის
ვიოცნებებ, და ასე -
ზურგშექცეული გულებით
ერთმანეთს უფრო ვავსებთ.

## თენება-იდილია

ზღვას დამზერს კენტი ვარსკვლავი, -
ვარსკვლავეთს გამორჩეული, -
და ტალღებს ალერსს ასწავლის,
კელასურს, პლაჟს რო ჩავუვლი.
ჯერ ცარიელი ბაქანი
აელვებს სარტყელს რელსების
(ხსოვნავ, რას მანჯღრევ-მაქანებ,
სულო, რა სევდით მევსები!):

---

* ტეჯენი - მდინარე თურქმენეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის წამი გაკრთა - წამწამის
ხამხამს ტყვედ რჩება რომელიც, -
გამოცხადება მაწამებს
მარადის მიუწვდომელის...
ზღვა კუთვნილ ადგილს მოძებნის -
სივრცე მი-და-მო რებული:
ჩქეფს სილამაზე - ბოძალი,
ჩემს გულზე დაღირებული.

●

მნათის ჩაწურვის კირთებაზე შაშვი რო ჩივის, -
სხვა სივრცეს მიქსოვს სევდის ჰანგთა
ათასი სხივით:

მთელი არსებით სამეგრელოს ვეკუთვნი... ვღელავ,
მიედინება ცხელ ძარღვებში სისხლივით „ჩელა“.

### აღარ არიან

ზღვამ ამიყვანა პირველად ხელში
და ტალღის მკლავზე გადამიწვინა,
ბროლით ამევსო ორივე პეშვი
და... აღტაცების ცრემლმა იწვიმა.
ვცადე - გავცურე: ტალღებთან კამათს
აჰყვა სანთელი ათასი - შხეფის.
იქ იყო დედა, იქ იყო მამა,
ჭყუმპალაობდნენ ნაპირთან ძმები...

●

„ქალღმერთთა შორის ულამაზესო!“ -
ასე მიმართა ძველბერძენმა პოეტმა კირკეს...
და ოცდაშვიდი საუკუნე ღელავს ფაზისი
და მყოფობასთან აგრძელებს კირკიტს.
წარმოსახვაში დრო წამსვე ქრება, -
არც არსებულა თითქოს, როგორც
მზერისთვის - სივრცე,
მიტომ აღიქვამ ასე ცინცხლად ძველთაძველ ქებას
და გული ახალშეყვარებულ ბიჭივით გიცემს.
„ქალღმერთთა შორის ულამაზესო
კირკე!“..
ჰაერი აცახცახდა. მზისკენ აფრინდა
ევქსინის პონტი, როცა ლურჯი ტალღა ფაზისის
დროის და სივრცის იშვა ქაფიდან. -
მარადისია ეს ხალისი. და ლტოლვას ფარულს
გენი ინახავს ჩვენი, ზღვარს რო გასცილდეს მზერა:
მიაზოზინებს ქარი თეთრი ღრუბლების ფარას,
ფაზისის ჩქამი აწმყოს ისევ წარსულით ფერავს...

### მძიმე განაჩენი

უწყინარია: ჩვენთან ერთად სუნთქავს და კვდება
დრო. ვერვინ ამჩნევს მის მამრულ ჟინს
და მდედრულ კდემას.
თვით ვფლანგავთ ულვთოდ,
მას ვაცხადებთ მფლანგველად მერე,
გვაქვს უთვალავის ფერით...
კუბოს გარს ვუწყობთ ფერებს:
სულ ბოლოს ვხვდებით, რომ დროისთვის -
სურვილცხროიანთ
ამ ერთადერთი გამგებისთვის არ გვიცხოვრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

*დილარ დავარველიას*

ბავშვობა ისევ ურთისკენ მიხმობს,
რომ ჩემთან ჭილის ბაწარი გრიხოს,
გადამიყვანოს იმ ბაწრით დროში,
რომელიც ნერვებს მკურნალობს-
მოშლილს.
გავცდე ირაკლი ბოხუას მუხებს,
სადაც ბილიკი ჯუმისკენ უხვევს, -
ეკალას ბარდთა გამხვიოს შარში,
იქ მზეს ჩამავალს შესჩივის შაშვი
და თავბრუს ახვევს მგზავრს ისე სწრაფად,
რომ, ჯადოქმნილი, კოცნის ტყაშ მაფას.
.....
იქ დავესწრები - მარტო! - მარულას
რეალურის და ირეალურის.

## ნოსტალგია: პატეფონი

- სანამ ჭიკჭიკებს ჩიტი, მანამ ბედნიერია.
- მანამ ჭიკჭიკებს ჩიტი, სანამ ბედნიერია.
- ბედნიერება - ვერწვდომაა ბედნიერების, -
ამას გვიმჟღავნებს ჯადოსნური ჟღერა ბგერების, -
ვკინკლაობ გულთან, ტოტზე მსტვინავ ჩიტს ვეფერები,
ჩამავალი მზის დისკო ბრუნავს შეუჩერებლივ:
შაშვის ნისკარტი - ოქროს ნემსი - ირწევა მასზე
და იმპულსური, უამესი ტკივილით მავსებს.

## ზანა

მზერა... მსუბუქად იხატავს ისევ
ჩამოხეტებულთ კლდის ძირას ნისლებს
და ხანჯალივით ალესილ ზანას,
ფიქრში რო ჩასვას, ვერაფრით ზომავს:
სხლტება - ჩანჩქერად, ქცეული სულმთლად
ხელს გადავუსვამ და... მეკვრის სუნთქვა.

●

თუ არ გიცდია, მირაჟს იქით რაც ხდება, იმის
შეცნობა, ჭის სულს თუ აფასებ ლამაზი გვიმით
და არ შემოდის ფსკერზე ჭავლის წიკწიკი შენში,
უბედნიერესს ვერ გაუგებ შენს თავში - შეშლილს.

## ჭურია

ისევ შევალ მე შენს ტყეში,
დამატყდები ფოთლის თქეშით,
იდუმალის ხიბლით - უმალ
გამიღვიძებ ინსტინქტ-გუმანს
და გამჭოლად დავინახავ
საკუთარ თავს: რაღაც ახალს, -
ვეწვდინები რასაც წლები,
მივწვდები და
ვერც მივწვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაბურა არაბული



●

მე მაშინ დავწერ ლექსებს,
როცა სოფელში წავალ...
მინდა, დავლიო ლუდი,
მინდა, მოვწრუპო ყავა...

მინდა, არაყი შევსვა,
მოვწიო სიგარეტი...
გადავიარო ფრენით
ყვავილიანი ქედი...
და საკადრისი მივუზღო
ყველას - ბოროტს და კეთილს.

ვერ ვწერ ისე, ვით წერენ
გენო, ზაური, რენე...
ერთი ზამთარიც მორჩა,
ზაფხულიც მოვა მერე...

●

ოცდაცამეტი წელია,
რაც საგიჟეში ვბინადრობ...
და სტუმრად აღარ მელიან,
როგორც მელოდნენ წინა დროს.
საგიჟესა ჰგავს შენობა,
უშუქო და უსინათლო
დავიბან ხელებს მელნიანს,
არ ვიცი, რაღა ვინატრო?

და მეყოლება სახატედ
„შენი მიწა და შენი ცა,
სანამდე დრო არ დამდგარა
სულ ბოლო ამოქშენისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაზა და ზეზვა

სტუმრად მეწვივნენ
ზაზა და ზეზვა;
„დავიწყეთ მთაში
ცელების ლესვა!".
მე თქვენ თიბვაში
ვერ შეგედრებით,
არცა ვნადირობ,
რაცა ვარ, ეს ვარ.
თქვენ მკლავიც გიჭრით
და გულიც გერჩით,
ნადირობაა,
ხვნაა თუ თესვა...
იფიქრებთ: „ალბათ,
დათვრა პოეტი,
თუმც ლუდი
ჩვენზე ნაკლები შესვა".

## ზამთრისპირი

მოვიმარაგეთ ზამთრისთვის
ფქვილი, შაქარი, ხორცი.
თუ გავძელ გაზაფხულამდე,
მეც გადავიხდი ქორწილს.

ვჭამთ, ვსვამთ, ვნადირობთ, ვყლაპავთ,
არსებობისთვის ვიბრძვით.
როსმე რევოლვერს, ალბათ,
გულში დავიხლი მიბრჯნით.

როსმე დავამტვრევ კალამს
(კრთიან მძივები ქარვის)
და ამას რომ ვწერ, არა,
თავს არ ვაწონებ არვის...

## ზამთარი

რა მიხარია,
თითქოს ჩემს გულში,
აღმომეჩინოს
ოქროს საბადო,
ზამთარია და
ისევ დამათოვთ,
შაბათო,
კვირავ
და ორშაბათო...
მე თავს ვიკლავდი
და ასე გყლაპავთ,
ბევრო შხამო
და ცოტა შარბათო,
და ამ ზამთარმაც
ფიფქები ფრთებით
სიზმრისნაირად
ჩაიფარფატოს.

## არსენა

მოჩხუბარი, მონადირე
სახლისკაცი არსენა
არც ჩხუბობს და არც ნადირობს,
ახლა დგას და ცხვარს სერავს.

ოცდახუთი წელიწადი
კაცმა ცხვარში იარა
და ძმასავით ენდობოდა
წელზე ნაბამ იარაღს.
მხარზე თოფი, წელზე ხმალი
და სახეზე იარა.

●

ვბერდები, ჩემო ლამაზო,
მე რაღა გამახარებდა?
„ოჯახობანას" ვთამაშობ
ვიღაც უამურ ქალებთან...
შავლეგ, სიყვარულს ნუ ეძებ,
თვითონ გიპოვის ის ქალი...
და გაიხსნება შენთვისაც
აღმოსავლეთის ცისკარი...

ქრის ქარი, ვინ რა მოიგო,
აბა, მითხარი, სიჩქარით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვეღარ მიშველის
ლექსი,
ვერც ქალი,
ვერც გაზაფხულის
წვიმა ჟუჟუნა...
ვეღარც მაისის
მაცნე მერცხალი
ბუდეში მარტო
რომ შეყუჟულა.

●

მე როგორ დავიძმაკაცო
ია, ვარდი და ყაყაჩო?

რა სიხარული ვაჩუქო,
რა სიყვარულით გავათბო?

შიგნით შევდივარ - ცივა და
გარეთ გავდივარ - შავად თოვს...

მე თითქოს აღმოვაჩინე
ბაჯაღლო ოქროს საბადო.

ეს პარასკევიც დაღამდა,
ხვალ მითენდები, შაბათო...

**გაქცევა**

გზები ნისლებმა დათენთეს,
მე კი მოვედი ბაღამდე,
ახლა, თუ გინდა, გათენდეს,
ჰოდა, თუ გინდა, დაღამდეს.
თქვენ რა გაყეფებთ, არ ვიცი,
ჩემს გულს რომ დარდი დაღავდეს,
წავალ და დავიკარგები,
შევეხიზნები მაღალ მთებს
და' მშობლიური ნიავი
გულს სხვანაირად აღანთებს.

●

ბრმებო, თვალი გაახილეთ.
ვეუბნები ამ აზიას...
ყველა ქალი სულელია,
ყველა ლია ლამაზია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გელა ჩქვანავა

## ჩხუბი



### I

ტანდაბალი კაცი იყო დამიანე დამენია.

დამიანე იმ ფულის უმეტეს ნაწილს, რასაც თავისი ავტობუსით შოულობდა, ტანსაცმელში ხარჯავდა და ისეთი გემოვნებით იცვამდა, რომ ავტოინსპექტორები, რომლებიც მას ზოგჯერ სიჩქარის გადაჭარბებისთვის აჩერებდნენ, საბუთების შემოწმებამდე ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან დამიანე თავისი ჩაცმულობით და დახვეწილი მანერებით, როგორც მინიმუმ, სკოლის დირექტორს მაინც ჰგავდა, და არა ავტობუსის მძღოლს. ერთი სიტყვით, დამიანე ისე იცვამდა, როგორც მდიდრები იცვამენ ხოლმე გამოსასვლელ დღეებში.

თავად ტანმორჩილი დამიანე ტანმაღალი ქალებისკენ რომ იყო მიდრეკილი, ეს არავის უკვირდა და არც იმას იოცებდნენ ძიძარიელები, დამიანეს მუქყვითელ ავტობუსს ხშირად რომ ხედავდნენ გელოვანის ქუჩაზე მდებარე ტურბაზასთან და ამ ფაქტს მხოლოდ იმით არ ხსნიდნენ, იმ ტურისტულ ბაზაში დამიანეს ბიძაშვილს მამის მხრიდან, ერთ-ერთი წამყავანი თანამდებობა რომ ეკავა. ძიძარიელებმა და არა მარტო მათ — სამკერვალო ფაბრიკის იმ მუშებმაც, რომლებიც სამსახურში და სამსახურიდან მიყავ-მოყავდა დამიანეს თავისი ავტობუსით, ისიც მშვენივრად უწყოდნენ, რატომ ჰქონდა დამიანეს ავტობუსს ფანჯრებზე ფარდები ჩამოფარებული. დამიანე დედამისს, მასავით ტანმორჩილ ლეონიდეს, არამარტო თავის ოცდახუთმანეთიან პერანგებს, ავტობუსის ფარდებსაც არეცხინებდა დრო და დრო. ლეონიდე მეზობლებში ჩიოდა (ქმარი კარგა ხნის წინ გარდაცვლოდა.), მომკლა ჩემმა ვაჟმა ავტობუსის ფარდების რეცხვითო. ხოლო ფაბრიკის მუშები, რომელთა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს ქალები შეადგენდნენ, სამკერვალო ფაბრიკის დირექტორთან ჩიოდნენ, წაბილწული აქვს დამიანეს ავტობუსი თავისი ტურისტი ქალებით, რომლებსაც ტურბაზის ნაცვლად ავტობუსში ასვენებს აქტიურადო და მძღოლი გამოგვიცვალეთო. ჩივილი ჩივილად, დამიანე დამენია სამკერვალო ფაბრიკის ავტობუსის მძღოლად, ხოლო თავად ავტობუსი, რომელსაც ძიძარიის ქუჩაში ნახევრად ხუმრობით "ტურბაზას" ეძახდნენ, ფარდებჩამოფარებული რჩებოდა.

ლარიოკის გამყიდველი ქალის, ნაირა თორდიას ვაჟმა სულხანიმ ნესვისფერი ჟიგული რომ იყიდა, მას მერე დამიანეს დაუახლოვდა და შესთავაზა, ტურბაზისკენ ჩემი ახალი მანქანით გავისეირნოთ ხოლმეო. ძიძარიელებმა სულხანის ჟიგულს დიდი ტურბაზის პატარა ფილიალი შეარქვეს. ნაირა სულაც არ ყოფილა უკანასკნელი იმათგან, ვინც იწინასწარმეტყველა, დამიანე სულხანს თავისი ჟიგულის ფანჯრებს ჩაამუქებინებსო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერაფრით აიძულა შვილი დამიანეს რჩევას არ დაყოლოდა და მხოლოდ იმას სთხოვდა, ნუ იწრიალებთ შენ და დამიანე ძიძარიელების დასანახად მაინცა და მაინც გელოვანის ქუჩის ტურბაზასთან, ქალაქში ტურბაზების მეტი რა არისო.

ნაირა თორდია, მას შემდეგ, რაც ვაჟს მანქანა უყიდა, კიდევ ბევრ რამეს შეეგუა ისეთს, რაც ძალიან არ სიამოვნებდა, თუნდაც იმას, რომ თათული ვადაჭკორიას, რომელიც სარ-

ძლოდ მოსწონდა და რომლის შერთვაზე სულხანი მხოლოდ იმიტომ ამბობდა უარს, რომ თვითონ თათული არ იყო თანახმა სულხანს გაჰყოლოდა ცოლად, სულხანის და დამიანეს დაახლოების შემდეგ, სულხანის მაგივრად დამიანემ დაუწყო თავის მოწონება. ნაირამ შვილთან რომ ვერაფერი გააწყო, ლეონიდე დამენიას გადაემტერა და, ამ უკანასკნელმაც, დღეში ორჯერ რომ მიდიოდა ნაირას ლარიოკთან საჭორაოდ, საერთოდ ამოიკვეთა იქიდან ფეხი. ნაირამ თათულისაც ისეთი გამკიცხავი მზერით დაუწყო ყურება, როგორც ზედმეტად მოკეკლუცე ქალებს უყურებენ ხოლმე, იმათ, რომელთაც ეს სიკეკლუცე მამაკაცების მოსაზიდ გამომწვევობაში უფრო გადასდით, ვიდრე უწყინარ გაპრანჭვაში.

თათულის მამა, შალიკო თითქმის ყოველდღე თვრებოდა და ამიტომ არც შეუმჩნევია, თუ ვინმე ცდილობდა მისი ქალიშვილისთვის თითქმის ძალად მოეწონებინა თავი. თათულის ძმა კი იმ დროისათვის რუსეთში გადაბარგებულიყო საცხოვრებლად თავის რუს ცოლთან ერთად. ამიტომ თათულის დაცვა თათულის ძმის ძმაკაცმა კობა ქირიამ იკისრა. კობამ სულხანს და სულხანზე უფრო დამიანეს აუხსნა, რომ თათულის არც ერთი მათგანის გადამეტებული ყურადღება არ სიამოვნებდა, რის გამოც მათ თათულისთვის თავი უნდა გაენებებინათ. სულხანს დიდი პრეტენზია არ გამოუთქვამს, დამიანემ კი კობა ქირიასთან შეხვედრისას სახეზე ცინიკური ღიმილის მორგება დაიწყო და არც ამ ღიმლის, სხვათა წინაშე დემონსტრირებას ერიდებოდა.

იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა, კობა ქირია ნასვამი ყოფილა, ამიტომ ტაქსები არ უჩერებდნენ თურმე. ამ დროს დამიანე დამენიას ჩაევლო ცარიელი ავტობუსით და კობასთვის არც იმას გაეჩერებინა მანქანა (კობა ამტკიცებდა, დამიანეს ხელი რომ დავუქნიე, ცინიკურად გაიღიმა და ტუჩების ცმაცუნში ისიც შეეტყო, სად და რომელ ადგილას მაგზავნიდაო.). კობას ძალიან სწყენია ასეთი დემონსტრაციული უყურადღებობა.

დამიანე, როგორც მერე ამბობდა, იმ დროისთვის იქნებ მართლა არ მიდიოდა შინ, მაგრამ ის მაინც შეეძლო ძიძარიის დასაწყისამდე მიეყვანა, რაკი მაინც იქითკენ მიემართებოდა და ძიძარიის ქუჩის შესახვევს აუცილებლად გაივლიდა. ამის მერე კობა გამვლელ ტაქსს გადაუდგომია წინ, ძალით გაუჩერებია და გინდა თუ არა ყვითელ ავტობუსს გამოედევნე და დაეწიეო, აუჩემებია ტაქსისტისთვის. ტაქსისტს შეშინებია არ მცემოსო და აღგზნებულ და უკიდურესად გაბრაზებულ მგზავრის ნებას დაჰყოლია, მაგრამ სანამ ავტობუსს დაეწეოდნენ, თვითონ მათ გამოკიდებიან ავტოინსპექტორები და ტაქსისტისთვის მანქანის გაჩერება უბრძანებიათ. ტაქსისტისთვის კობასაც უბრძანებია, ავტოინსპექტორებს არ დამორჩილდეო. ტაქსისტს ამჯერად საჭიროდ არ ჩაუთვლია კობას ბრძანებას დამორჩილებოდა, გაუჩერებია მანქანა და ავტოინსპექტორებისთვის შეუჩივლია, ნასვამი და აგრესიული მგზავრი მიზის მანქანაში და მიშველეთო. კობას ავტოინსპექტორებთანაც მოსვლია კამათი, იმათ კი მთვრალი კობა პირდაპირ გამოსაფხიზლებელში მიუბრძანებიათ და იქიდან თავის დასახსნელად კობას ქრთამის გადებამ მოუწია თურმე, სამოცი თუ სამოცდაათი მანეთის ოდენობით.

ყოველი ამის გათვალისწინებით (შინ წამოსასვლელი ფულიც არ დარჩენია და ცხრასართულიან კორპუსამდე ფეხით უვლია.) გასაკვირი ის კი არ იყო, დამიანეს რომ წაეჩხუბა იმ საღამოს, გასაკვირი ის იქნებოდა ცხრასართულიანი კორპუსისთვის, რომლის მეშვიდე სართულზე დამიანე ცხოვრობდა გვერდი აევლო, კერძო სახლებისკენ გაეგრძელებინა გზა, შინ მისულიყო და დაეძინა.

კობა ცხრასართულიან კორპუსს რომ მოადგა, დაღამებას იწყებდა. მას დამიანეს მოსაძებნად მეშვიდე სართულზე არც მოუწია ასვლამ. ოქტომბრის მიწურული იყო, მაგრამ მაინც თბილოდა. დამიანე თავის ავტობუსის რეცხავას ამთავრებდა ეზოს ბოლოს. კობა დამიანესთან მივიდა, რეზინის მილი გამოართვა და წყურვილი მოიკლა. რეზინის მილი დამიანესათვის არ მიუწოდებია, ასფალტზე დააგდო და ავტობუსში ავიდა. საჭესთან ბავშვები თამაშობდნენ, ფუტკრებივით ბზუოდნენ, ძრავის მაგვარ ხმას გამოსცემდნენ პირით. კობამ მოთამაშე ბავშვებს ავტობუსის დაცლა უბრძანა. ბავშვები ავტობუსიდან რომ ჩამოლაგდნენ, კობამ დამიანე შეიპატიჟა მისსავე ავტობუსში. დამიანე ავტობუსში ავიდა და კობამ ავტობუსის კარები დაკეტა.

ეზოში მყოფებმა იაზრეს, კობას დამიანე ტკბილი სიტყვების სათქმელად არ ეყოლება ავტობუსში აყვანილიო. ჯერ არც ისე ბნელოდა, რომ ლამპიონები აენთოთ და იმ ნახევრადბნელში კორპუსის ეზოში მყოფებმა ავტობუსს შიგნით კობას ანთებულ სიგარეტს მოკრეს თვალი. იმის გარჩევაც შეიძლებოდა, კობა სიგარეტიან ხელს ენერგიულად რომ იქნევდა, თითქოს ორკესტრს დირიჟორობდა, როგორც გაცხარებულ კაცს სჩვევია, ემოციებს მხოლოდ ლაპარაკით რომ ვერ იოკებს და ხელებსაც აშველებს ხოლმე. ეზოში მყოფთ ორი ბიჭი გამოეყო და ავტობუსისკენ დაიძრა. ამასობაში ის ონკანი, რომელზეც რეზინის შლანგი იყო მიერთებული, ვიღაცამ გადაკეტა. ავტობუსისკენ მიმავალმა ბიჭებმა ფეხს აუჩქარეს და ავტობუსის კარებს ეცნენ, მაგრამ პირველ ცდაზე ვერ გააღეს და არც მოშვები-

ან, შეთანხმებულად იწყეს მოქმედება. უცებ იმათგან ერთი კარების ჯაჯგურს შეეშვა, ავტობუსს შემოუარა და მძღოლის კარს მიადგა, მაგრამ ისიც ვერ გააღო და კარს ხელი დაუშინა. ხელებს ურტყამდა და თან კარი გამიღეთო ყვიროდა. მგზავრთათვის განკუთვნილ კარებთან მყოფმაც ხელი აატყაპუნა კარზე და ისიც აყვირდა. ეზოში შეკრებილთაგან, რომელიღაცამ მგონი ჩხუბობენ ბიჭებიო დაიძახა და ყველანი ერთად დაიძრნენ ავტობუსისკენ.

ამასობაში ავტობუსის მგზავრთა ასასვლელი კარი გაიღო და იქიდან კობა ჩამოვიდა.

— სიგარეტი მომეცით, ვის აქვს სიგარეტი! — თქვა კობამ.

ავტობუსს მიახლოებულები ავტობუსის ღია კართან მისვლას და შიგ შეხედვას ლამობდნენ, მაგრამ მათ კობა არ უშვებდა და ისევ სიგარეტს ითხოვდა. ვიღაცამ სიგარეტიც მისცა და ცეცხლიც შეაგება. კობამ სიგარეტს მოუკიდა თუ არა, ავტობუსიდან დამიანემ იწყო ჩამოსვლა და მისკენ ზურგით მდგარ კობას ფეხი ჩასცხო ბეჭებში. კობა ამას არ ელოდა, ალბათ ეგონა, დამიანე ისე ვცემე განძრევის თავი არ ექნებაო, მაგრამ ნაცემი დამიანე იმაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ამას კობა ვარაუდობდა. პირველი იერიშის ეფექტურობით გათამამებულმა კონტრშეტევის მანევრი დახვეწა და მეტოქეზე ფეხებით შედგომა განიძრახა, ორივე ხელით კარებს ჩააფრინდა, თავი აიმჩატა და ის-ის იყო ნახტომის შესრულებას იწყებდა, რომ კობას ხელი კრა ვიღაცამ, დარტყმას გამოარიდა და მაშინ დამიანე კარებთან შეჯარულ მეზობლებს ჩაუვარდა ხელში და ვიღაცას რაღაცა ატკინა. ნატკენმა შეჰყვირა და ამ დროს კობაც მეზობლების მიერ უნებლიედ ხელში ატატებულ დამიანეს დააცხრა და მათაც ხელ-ფეხ მქნევი დამიანე თითქოს სინზე დადებული, ასხმარტალებული თევზიაო, ისე მიართვეს კობას თავისდაუნებურად. ამ დროს აირია კიდეც ყველაფერი, კობასა და დამიანეს გაშველებაში ერთმანეთს ხელს უშლიდნენ სიმრავლის გამო.

საბოლოოდ რომ გააშველეს მოჩხუბრები, კობა ჩხუბის შედეგით კმაყოფილი ჩანდა და სულს ითქვამდა. დამიანე კი კობასკენ იწევდა და მის გამკავებლებს ხელიდან რომ ვერ დაუძვრა, კბილებით მოინდომა თავის განთავისუფლება, ერთ-ერთ გამკავებლისთვის ხელზე კბენა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. კობა რეზინის მილს მიადგა, ხელში აიღო და წყალი რატომ არ მოდისო იკითხა, პასუხი რომ არავინ გასცა, ღრიალი მორთო, ონკანიდან წყალი მოუშვითო. ბავშვები მართლა მივიდნენ ონკანთან და საკეტი ბოლომდე მოუშვს. წყლის ჭავლი ავტობუსის რკინაზე ახმაურდა. კობა წინ წაზრილიყო და ტუჩებგამობზეკილი იკლავდა წყურვილს. შემდეგ წყალს სახე შეუშვირა და გაგრილდა კიდეც.

დამიანე კი ისევ ყვიროდა, გამიშვითო. გამკავებლები დაყვავებით ცდილობდნენ მის დაშოშმინებას. კობა დამიანეს შესცქეროდა რეზინით მილით ხელში და ზოგიერთს ისიც კი მოეჩვენა, მეტოქისთვის წყლის ნაკადის შესაშვერად ემზადებაო. დამიანეს გამკავებლებსაც ასე მოეჩვენათ, ცოტათი დაიბნენ და ამ დროს დამიანე დაუძვრათ, მაგრამ სანამ ის კობამდის მიაღწევდა, ისევ გაკოჭეს მცირე შესვენების შემდეგ ძალ-ღონე აღდგენილი ხელებით.

მცირე ხნით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ეზოში შეკრებილებს ლეონიდეს ხმა მოესმათ უცებ. ლეონიდე მეშვიდე სართულის ფანჯრიდან კითხულობდა რა მოხდაო, ეტყობა სიბნელეში ვერ დაადგინა, რატომ ყვიროდა მისი შვილი.

ლეონიდე რომ ჩამოვიდა ეზოში, თითქოს სცენაზე მის გამოჩენას ელოდებოდნენო ლამპიონებიც ამუშავდნენ, ჯერ ფაბრიკის ეზოში, მერე ის ერთი ლამპიონიც აზუზუნდა კორპუსის ეზოში რომ დაეყენებინათ ცხრასართულიანელებს. ასე რომ ლეონიდემ ნაცემი შვილი სინათლის შუქზე დაათვალიერა და ვინ ცემაო იკითხა, მაგრამ არავინ უპასუხა. ლეონიდე დამენიამ კიდევ ერთხელ სცადა დამიანეს გამლახავის ვინაობის დადგენა და მაშინ კობამ მე ვცემეო უპასუხა. ლეონიდეს გამოჩენის შემდეგ კობა შეცბუნებული ჩანდა, მაგრამ ცდილობდა არ დაემჩნია და სახეზე ისევ სიბრაზე ეკიდებოდა თანდათან.

— არავინ ჰყავს ძმაკაცი ამ სუნამოიან მთხლეს?! — იკითხა კობამ და ყველას რომ ეგონა, წყალს მიუშვებს ახლა დამიანეზეო, რეზინის მილს ხელი უშვა, — კარის მეზობელი მაინც არავინ არის?!

— რატომ ცემე შვილო? — მშვიდად ჰკითხა ლეონიდემ კობას და გამკავებლებს მეორეჯერ დამსხლტარ და მაინც კობამდის ვერ მოღწეულ დამიანეს მანამ გადაუდგა წინ, სანამ მის გაქაჩვას მოასწრებდნენ. დამიანეს ხმა ჩახრინწვოდა უკვე და კი არ ყვიროდა, ხაოდა.

— არ გცოდნიათ ცხრასართულიანელებს კარგი მეზობლობა! — თქვა კობამ, — გამოუშვით, რას იზამს მაინტერესებს!

— გაიყვანეთ ეს კაცი აქედან! — თქვა ლეონიდემ — არავინ არის ისეთი, რომ ეს კაცი აქედან წაიყვანოს?!

— გამოუშვით-მეთქი! — კიდევ ერთხელ იყვირა კობამ და მისკენ დაძრულ მამაკაცებს თვალები დაუბრიალა, მაგრამ რომ ვერ შეახერა, დაიხარა, რეზინის მილი აიღო და მისი ეზოდან გაყვანის მსურველებს სახეზე გადმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენილი ღიმილით ამცნო, რომ წყლით გაუმასპინძლდებოდა, თუ კი ისინი არ მოეშვებოდნენ.

– წადი შვილო აქედან! – მშვიდად მიმართა ლეონიდემ კობას, – წადი-მეთქი!

II

უბნის რწმუნებული, ბიძინა კედია მირიან ქირიას შორეული ნათესავი იყო, რის სახალხოდ აღნიშვნასაც არც ბიძინა იზარებდა და არც მირიანი – კობას ბაბუა და არც კობას აწგარდაცვლილი მამა, და ამაყობდნენ კიდეც ამით, სანამ კობამ ცოლი არ შეირთო. ქორწილზე სათამადოდ მეზობლებმა ბიძინას კანდიდატურა რომ შესთავაზეს, საკმაოდ უხეშად უარყო, ისდა მაკლია მილიციელი დავიყენო ქორწილზე თამადადო განაცხადა. კობას ნათქვამი ბიძინას რა თქმა უნდა მაშინვე მიუტანეს. ბიძინამ კობას მიერ მისი პიროვნების აგდებულად მოხსენიება იწყინა, მაგრამ გაჩუმება არჩია, მხოლოდ ის აგრძნობინა რომ იცოდა, თუ როგორ აბუჩად აიგდო ის კობამ და ბოდიშის მოხდას თუ არა, საბოდიშოდ მიმართულ ქმედებებს მაინც დაელოდა მისგან, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა. კობას არც მაშინ მოუხდია ბოდიში, როცა ბიძინას უფროსმა ქალიშვილმა, მარიცა კედიამ უსაყვედურა, მამაჩემი შენგან ასეთ მოპყრობას არ იმსახურებსო. ბიძინამ ეს გამოწვევად მიიღო და ერთხნობას არა მარტო კობასთან, მირიანთანაც უბრად იყო.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ კობა და მთის ქუჩელი მამუკა ტაბაღუა მილიციამ ანაშით გამოტენილი ჯიბეებით არ დააკავა და დაკავებულებს არა მარტო ნარკოტიკის მომხმარების, არამედ რაელიზაციის მუხლიც წაუყენა. კობა და მისი თანამძრახველის გასანთავისუფლებლად ბიძინამ ბევრი ირბინა და მიაღწია კიდეც საწადელს. ყველას რომ ეგონა, კედიებსა და ქირიებს შორის ძველი ურთიერთობები აღსდგებაო, სწორედ მაშინ ბიძინასა და კობას შორის ისევ გაირბინა შავმა კატამ. ამის მიზეზი ამჯერად მამუკა ტაბაღუას მამა, კოკი ტაბაღუა იყო, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა, ბიძინა კედიამ მილიციისათვის მისაცემი ქრთამის რაოდენობა გააბუქა და იმ ფულის ნაწილი, რომელიც სხვისთვის უნდა მიეცა, თვითონ ჩაიჯიბაო. ბიძინა მირიან ქირიამ კარგა ხანს ვერაფრით დაარწმუნა, რომ ამ ჭორის გავრცელებაში ქირიების ხელი არ ერია, ხოლო იმ დროისათვის, როცა ბიძინა ქირიების უდანაშაულობაში დარწმუნდა, ქირიებიცა და კედიებიც უკვე მიმხვდარები იყვნენ, რომ ამდენი ბატალიების შემდეგ მათ შორის ძველებურ ურთიერთდამოკიდებულებას ვერაფერი აღადგენდა, თუმცა მირიანიცა და ბიძინაც ცდას არ აკლებდნენ ეს ასე არ ყოფილიყო.

ჩხუბიდან მეორე დღეს, საღამო პირს, ბიძინა კედია მირიანს სახლში რომ ეწვია, ბავშვების ძილის დროც არ დამდგარიყო ჯერ, მაგრამ კობას ტახტზე წამოწოლილს ეძინა.

კობა იმ დღეს დილიდან სვამდა დათო ეჯიბიასა და გიგა ჩიქოვანთან ერთად. სამივენი გუშინდელი ჩხუბის შედეგად დაზარალებულის და მასთან ერთად ცხრასართულიანელების გამოჩენასაც ელოდნენ, მაგრამ იმ დღეს არავინ მოსულა. საღამომდის საკმაოდ გამოთვრნენ და დაიშალნენ.

კობას შავი დოგი მხოლოდ მაშინ იწყებდა ყეფას, როცა კარგად ჩამოღამდებოდა და ცაზე ვარსკვლავები წამოკოსდებოდნენ, ხოლო პატრონები დასაძინებლად დაწვებოდნენ და სახლში შუქს ჩააქრობდნენ. საქმე იმაში იყო, რომ დოგი ერთხელ კობამ ცემა გერონტი ჯინჯოლავას რჩევით. გერონტიმ კობას ასწავლა, როგორ უნდა გაეავებინა და როგორ დაეწყებინებინა გარე სამყაროს მიმართ საერთოდ გულგრილი და თავისი ძაღლურ მოვალეობებდავიწყებული დოგისთვის ყეფა (არავინ, მათ შორის არც მირიანმა და კობამ უწყოდნენ, იცოდა თუ არა მათმა ძაღლმა ყეფა და თუ იცოდა, მაშინ რატომ არ ყეფდა, როცა სახლში უცხო კაცი შემოდიოდა, ან მაშინ მაინც, როცა მეზობლის ბავშვები ქვებს დაუშენდნენ ხოლმე გამოსაღვიძებლად). გერონტის თქმით ამისთვის საჭირო იყო ძაღლს უკნიდან მიპარვოდნენ, ისე რომ არ ენახა, თუ ვინ წამოაცვამდა ტომარას თავზე და არც ის ცოდნოდა, ვინ დაუშენდა ამის შემდეგ კეტს. დოგისთვის ტომარის გადაფარება არ იყო ძნელი საქმე, რადგან მას დღე-ღამეში სულ ცოტა ოცი საათი მაინც ეძინა (ხანგრძლივი წოლისაგან ნატკენ გვერდსაც გამოუღვიძებლად იცვლიდა ხოლმე.) და არც მისი გულიანი ცემა გაჭირვებიათ მეზობლებს, განსაკუთრებით კი რაჟდენ ზანთარაიას, რომლის ცოლსაც კობას დოგმა სტუმრებისთვის საგანგებოდ შემწვარი ქათამი მოპარა ორი დღის წინ. ამ სადამსჯელო-აღმზრდელობითი ოპერაციის შემდეგ დოგი უკიდურესად ფრთხილი გახდა, დილიდან დაღამებამდის უშფოთველად ეძინა, ღამით კი ფხიზლობდა და იმის შიშით, რომ არავინ მიპარვოდა ტომრითა და კეტით ხელში, ხიდან მოწყდარი ფოთლის გაფაჩუნებაზეც კი ყეფას იწყებდა თავისი ბოხი და მანამდის თავშენახული ხმით. მისი ყეფა ქუჩის ნახევარს მაინც წვდებოდა.

ბიძინა კედია რომ შემოვიდა ქირიების ეზოში, ჯერ მხოლოდ ახალი დაღამებული იყო, ასე რომ დოგს მისთვის არ დაუყეფია.

მთელ დღეს ეზოში ფუსფუსით დაღლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიანე ტელევიზორს უყურებდა, ბიძინამ ქირიების სახლის აივანი რომ აიარა და კარზე დააკაკუნა. კობა კაკუნს არ გაუღვიძებია, მაგრამ ლაპარაკზე გამოეღვიძა და სანამ იზმორებოდა და იმას მიხვდებოდა, რომ სპორტულ კოსტუმში გამოწყობილი სტუმარი ბიძინა კედიას უბრალოდ კი არ გავდა, არამედ თვითონ ბიძინა კედია იყო.

— კობას ვახლავარ! — თქვა ბიძინამ და მაშინათვე სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან. კობას ცოლისა და ბავშვების არყოფნა გაუკვირვა და სად არიანო იკითხა.

— დედამისთან წავიდა, მოუავადმყოფებია იმ ქალს და შვილიშვილების ნახვა მონატრებია, — უპასუხა მირიანემ და კობას შეხედა ტახტიდან ზლაზვნით რომ დგებოდა, — ამან წაიყვანა გუშინ დილით, ჰოდა იქ ცოლისძმასთან დაულევია, იქიდან დაბრუნებისას ვიღაც უცემია და ახლა როგორც ვხედები, ნაცემი ჩივილს აპირებს.

— არავის უჩივლია, — თქვა ბიძინამ და ისიც კობას მიუბრუნდა, — სერიოზული ავადმყოფია, თუ წაიავადმყოფებს? — ჰკითხა კობას.

— არ მოკვდება, თუ წამლის მაგივრად სტრიხინა არ შეაპარა ვინმემ, — თქვა კობამ, მაგიდისკენ წამოვიდა და ბიძინას სიგარეტის კოლოფს დაწვდა, — არადა რამდენს შურდა ჩემი!

— რატომ? — ჰკითხა ბიძინამ და როცა კობას შეხედა, მიხვდა, რომ ის გახუმრებას აპირებდა.

— იმიტომ, რომ სიდედრი არ მელაპარაკებოდა, — თქვა კობამ. სიგარეტს მოუკიდა, მაგიდას მიდგმული სკამი ხრიგინით გამოაჩოჩა, შეაბრუნა, ზედ უნაგირივით გადააჯდა და საზურგეზე ხელები ჩამოაწყო, — ჰოდა, გუშინ დილით დამელაპარაკა... არ მინდა ჩემი სიკვდილის შემდეგ მეზობლებმა ჩემზე თქვან, ისე მოკვდა სიძე არ დალაპარაკებიაო, — სიგარეტს დასჩერებოდა და სერიოზული სახით ხუმრობდა, რომ ხუმრობა უფრო ეფექტური გამოსვლოდა, — მირიანეს უმალავ, თუ მართლა არ უჩივლია იმ რახიტიანს?

— არ უჩივლია, უბრალოდ, გზაზე შემომხვდა და შემომჩივლა, ასე და ასე იყო საქმეო...

— გზაზე თუ შემოგხვდა, ფეხით არც ერთი არ დადიხართ და არც მეორე. პირველად შენ არ გააჩერებდი იმ სუნამოიან ნაბიჭვარს, იმისთვის, რომ გეკითხა, ხომ არ ჩივიხარო... ესე იგი პირველმა იმან გააჩერა თავისი ავტობუსი, შენც გაგაჩერებინა მანქანა და წუწუნს მოყვა, ასე არ არის? — ჰკითხა კობამ და სიგარეტიდან მოსაუბრეზე გადატანილი მზერა ისევ სიგარეტს მიმართა, თითქოს დემონსტრაციულად არ უნდოდა ბიძინასთვის თვალებში შეეხედა, რათა მას ტყუილის დამაჯერებლად თქმის უფრო მეტი საშუალება მისცემოდა, — ხომ ასეა?

— რა მნიშვნელობა აქვს რომელმა გააჩერა პირველი მანქანა... თუ შემომჩივლა, ისე შემომჩივლა, როგორც თქვენი ოჯახის ახლობელსა და ნათესავს და როგორც უბნის რწმუნებულს, — თქვა ბიძინამ, თითქოს მიხვდა რატომ მოარიდა კობამ მზერა და ამან გააღიზიანა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის რომ მოხვედი და გამაფრთხილე ჩივილს რომ აპირებს, — უთხრა კობამ. ძილისაგან საბოლოოდ გამოფხიზლებულიყო უკვე და ხმაც დასუფთავებოდა ხრინწისაგან.

— უნდა შერიგდეთ! — უთხრა ბიძინამ.

— არ გამოვა! — სასწრაფოდ მოჭრა კობამ, რაკი ბაბუას შეატყო, რომ რაღაცის თქმას აპირებდა.

— მინახია კაცი ოჯახს რომ მოეკიდება და ბავშვი ეყოლება, ჭკუაში ჩავარდება ხოლმე, ეს კი პირიქითაა... — წამოიწყო მირიანმა. თითქოს წინასწარ იცოდა, სიტყვას რომ გააწყვეტინებდა შვილიშვილი და სანამ ეს მოხდებოდა რაღაც მნიშვნელოვანის მოკლედ თქმას აპირებდა, ისეთის, მის გულისტკივილს სრულად რომ გამოხატავდა.

— შენც მიჩივლო გინდა, თუ უბრალოდ შევჩივლეზე ხარ? — ნახევრად მოხუმარე ტონი აირჩია კობამ, რათა ბაბუასთვის წუწუნი დელიკატურ ფორმაში გაეწყვეტინებინა. ნათქვამი დატუქსვასავით გამოუვიდა. ამას თვითონაც მიხვდა, მაგრამ შეცდომის გამოსწორებას არ ცდილა, — თქვენს ჩივილებს უსმინოს ამ კაცმა?!

— ჩემი სამსახურის გამო დღეში იმდენ საჩივარს ვისმენ და ვკითხულობ, რომ გითხრათ არ დაიჯერებთ... ადამიანები ყველაფერს ვუჩივით, საკუთარი ბედიდან დაწყებული სიდედრის ჯანმრთელობით დამთავრებული, — ბიძინამაც სცადა გახუმრება და კობას ნაძალადევ ღიმილზე მიხვდა, რომ მთლად ისეთი ვერ გამოუვიდა, როგორსაც ელოდა, — დამიანე ამბობს, ისეთი ქალი მეჯდა ავტობუსში, რომელსაც არ უნდოდა კობას რომ ენახა ჩემს მანქანაში მჯდომიო! — თქვა უცებ, — მართალიც იქნებოდა ალბათ!

— ასეც ვიცოდი, რომ თავის გასამართლებლად რაღაცას მოიფიქრებდა, — თქვა კობამ, — დამიანესთანებს მე მოხარშულს ვიცნობ!

— ასე თქვა, — მშვიდად გაიმეორა ბიძინამ.

— თუ მართლა ასე იყო, მაშინ რატომ არ მითხრა, როცა ვიჩხუბეთ?!... მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ქონდა ეს ვერსია მოფიქრებული! — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულის თავდაჯერებით წარმოთქვა კობამ.

მირიანი წამოდგა ამ დროს და სამზარეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსკენ წავიდა. მძიმე სიარული იცოდა, მოკლე ნაბიჯებს ადგამდა და ამ დროს ხუთ სანტიმეტრზე მაღლა არც წევდა ალბათ ფეხს, როგორც ბავშვები ჩაიცვამენ ხოლმე დედების ფეხსაცმელს და ფეხსაცმლიდან ფეხი რომ არ ამოუვარდეთ, მოკლე ნაბიჯებით დადიან.

— ჩემს გამასპინძლებას თუ აპირებ, არ შეწუხდე... მე არაფერი არ მინდა და ვერც დავლევ...

— არც გვაქვს არაფერი! — სიტყვა ისევ იმ სტილში გააწყვეტინა კობამ, როგორც ცოტა ხნის წინ ბაბუამისს, — ღვინოს მაინც გამოგიტანს რაც არ უნდა ეხვეწო, ჰოდა კვერცხებს შევწვავთ სახელდახელოდ, ეგაა და ეგ!

მირიანეს ოთახიდან გასვლის შემდეგ კობამ ცოტა ხანს შეიცადა, იქნებ ბიძინას ისეთი რამე აქვს სათქმელი, რის თქმასაც ბაბუაჩემის თანდასწრებით მოერიდაო, მაგრამ ბიძინამ აგრძნობინა, რომ საქმეზე იმაზე მეტის თქმას, რაც უკვე თქვა, არ აპირებდა. კობაც სამზარეულოში გავიდა და ტაფამწვარის მომზადებას შეუდგა.

ბიძინა დიდხანს არ დარჩენილა. მისი წასვლის შემდეგ ბაბუა-შვილიშვილი ტელევიზორს უყურებდნენ. მირიანი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს წვებოდა. ვიღაცას ეთქვა მისთვის, ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს თუ დაწვები დასაძინებლად, ორგანიზმს ძილის რეფლექსი გამოუმუშავდება და უძილობასაც გადაეჩვევიო. სამი თუ ოთხი წელი გასულიყო ამ რჩევის მიღებიდან, მირიანე უძილობას უფრო მიეჩვია, ვიდრე გადაეჩვია და ახლა იმდენად არ აშფოთებდა, როგორც წინათ და უძილობასთან ერთად ერთსა და იმავე დროს დაწოლასაც მისჩვეოდა. დაწოლის დროის მოახლოებას მირიანეს საკმაო დროით ნავარჯიშევი ბიოლოგიური საათი საკმაოდ ზუსტად და უშეცდომოდ გრძნობდა.

— როგორაა ის ქალი? — ჰკითხა მირიანემ შვილიშვილს, როცა მისი დაძინების დრო მოვიდა და საკუთარი ბიოლოგიური საათის სიზუსტე კედლის საათზე შეამოწმა. კობა ვერც მიხვდა პირველად ვისზე ეკითხებოდა, ეგონა დამიანეს მიერ მომიზეზებულ, ჩემი ნახვის არმსურველ ქალზე თქვა რაღაცაო, მაგრამ მერე მოისაზრა, რომ მირიანს მისი სიდედრი ჰყავდა მხედველობაში.

— ისე არ ტკივა,; როგორც კვნესის, — თქვა კობამ, — მაინტერესებს, რას იზამს ბიძინა, დამიანემ მაგასთან რომ მიჩივლოს, — დააყოლა ცოტა ხნის შემდეგ.

— ეს რა ინტერესი გაგჩენია! — უთხრა მირიანემ, — შენც დაწექი და დაიძინე. ღვინოს გამონელება უნდა. ორი დღეა სვამ!

— თუ შენი განერვიულების ერიდებოდა, რას ამბობდა შენი თანდასწრებით, რომ იმ ნაბიჭვარმა შეიძლება მიჩივლოს და თანაც არა უბნის რწმუნებულთან, არამედ უფრო მაღლა, რაკი იცის, რომ უბნის რწმუნებული ჩემი ნათესავია... რომ ჰკითხო, იმას იტყვის, მირიანის თანდასწრებით იმიტომ დავიწყე ამაზე ლაპარაკი, რომ შვილიშვილისთვის მეჩვენებინა, როგორ განერვიულდება ხოლმე მისი ბაბუა და ამით დამენამუსებინაო... ასე იტყვის სწორედ. მოხარშულს ვიცნობ ბიძინას! — თქვა კობამ, — მეც არ ვიცოდი, თუ ასე მაინტერესებდა, რას იზამდა ბიძინა, მასთან ვინმეს რომ ეჩივლა ჩემთვის. სწორედ ამაღამ მივხვდი ამას!

— ღვინოს ხარ აყოლილი! — უთხრა ბაბუამ.

— უნდა მოვუწყო ბიძინას გამოცდა! — თქვა კობამ.

დილით დათო ეჯიბია ამოვიდა კობასთან. ნაბუხასევზე ცხელ ჩაის მიირთმევდნენ უპუროდ. სასადილო ოთახის ღია კართან დოგი იწვა, ოთახში არც შემოუხედავს, თითქოს იცოდა, რომ უდიასახლისოდ დარჩენილ სახლში არა მარტო პატრონებისთვის, არამედ მისთვისაც რომ გამოლეულიყო საჭმელი და ამიტომ ვერაფერს შესთავაზებდნენ.

კობას ჩაის დალევაზე უფრო ფინჯანიდან ამოვარდნილი ორთქლი სიამოვნებდა. ნაბუხასევზე თვალები ჩვეულებრივზე უფრო დაელამებოდა.

— პურია მოსატანი, — თქვა კობამ, — მირიანსაც არ უსაუზმია ამ დილით!

გიგა ჩიქოვანიც მოვიდა. დოგს გვერდი რომ ვერ აუარა, გადააბიჯა და ისე შემოვიდა ოთახში. კობამ დოგს შეუყვირა, მაგრამ ის არც განძრეულა, მოწყენილი თვალებით ამოხედა პატრონს და თათი აილოკა მხოლოდ.

— ქირიებთან იყო ასული ბიძინა კედიაო, დედაჩემმა მითხრა... დიანას უთქვამს, ლაკიას. იმას დაუნახავს ბიძინას მანქანა, — თქვა გიგამ, — რაო, მაინც რა მინდაო?

— ისე ამოვიდა, ამბის გასაგებად, — მიუგო კობამ, — მაინტერესებს რას იზამს ბიძინა კედია, როცა მასთან მიჩივლებენ!

— არ გიჩივლებს! — უთხრა დათომ.

— არ მიჩივლებს და კიდევ ვცემ. ორჯერ შეჩივლება ჩივილი გამოდის უკვე. ის თუ არა დედამისი მაინც მიჩივლებს. მინდა ვნახო, რას იზამს მაშინ ბიძინა კედია!

— მაინც ვერ გავიგე, ბიძინა რა შუაშია, — თქვა გიგამ.

— აინტერესებს და მოკალი თუ გინდა! — უთხრა დათომ და ირონიულად გაიღიმა, მაგრამ მისი ირონიისთვის კობას ყურადღება არ მიუქცევია, — ლუდი მინდა, მე გამოვართმევ ნაირას ნისიად, — თქვა მერე, — თქვენ არ გინდათ ლუდი?

— ბიძინას რას გამოეკიდეთ, რა თქვა ასეთი წუხელ, არ მეტყვით? — იკითხა გიგამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერიც არ უთქვამს! — თქვა კობამ.

ჭორიკანა ქალების ქუჩაში გამოსვლის და ნაირას ლარიოკთან შეკრების დრო ჯერ არ დამდგარიყო.

იმ დილით ნაირას ლარიოკის სუნი, როცა ნაბუხასევზე იყო, რატომღაც არ ეამა დათოს. ერთმანეთში არეული ვანილის, მოხალული ყავის, საპნის და კიდევ რაღაცის სუნი, რომელიც მისი ვარაუდით თაგვის სუნს უფრო გავდა, ცხვირში უსიამოდ უღიტინებდა და ასე ეჩვენებოდა, ნაირას ქალიშვილის სუნამოს სუნიც მცემსო.

ნაირას ნამცხვარცხობია ქალიშვილი ვანილისა და სუნამოს სუნს სავიზიტო ბარათივით ყოველთვის თან დაატარებდა და სანამ გათხოვდებოდა ნამცხვრების ცხობის ჟინს წარმატებით იკლავდა და არც დედამისი აკლებდა შეკვეთებს. თუ ვინმეს ქორწილისთვის ან სხვა სუფრებისთვის ნამცხვარი დასჭირდებოდა ნაირასთან მიდიოდა და შეკვეთას აძლევდა, თუ არადა ნაირა ქალიშვილის ნამცხვრებს ნაჭრებად ყიდდა.

დათოსაც ნაირას ქალიშვილი ყველაზე უფრო ვანილის სუნით აგონდებოდა და მისი გათხოვების შემდეგ აღმოაჩინა მხოლოდ, რომ ნაირას გოგოს კარგა ხანი ვერ დაივიწყებდა, ოღონდ მის მიერ არდავიწყებისთვის ნავარაუდევი დროის ამოწურვის შემდეგაც ეჩვენებოდა, ნაირას ლარიოკში ვანილისა და ჩემთვის ასე ნაცნობი სუნამოს სუნიც დგასო, ოღონდ თავი ისე ეჭირა, რომ არავის უეჭვია ნაირას მუდამ მხიარული და მოკისკისე ქალიშვილი, რომელთანაც ვითომდა ხუმრობით ფლირტაობდა, კიდევ თუ ახსოვდა საერთოდ. მხოლოდ ნაირა ხვდებოდა რაღაცას და ბოლომდისაც არც იყო დარწმუნებული.

— მე ლუდი არ მინდა, ყავას დავლევ, თუ ნაირა მომიდუღებს, — თქვა გიგამ.

— მოვადუღებ, — თქვა ნაირამ. ნაირა ქალებს ხშირად უხარშავდა ყავას და როგორც თვითონ ქალები ამტკიცებდნენ ყავის ნალექითაც საკმაოდ კარგად მკითხაობდა ხოლმე. ქალები იმასაც ამბობდნენ, ნაირა მკითხაობაში ფულს არ იღებსო და მოდუღებულ ყავაში იმაზე ორჯერ მეტს რომ იხდიდნენ, ვიდრე ფინჯანი ყავის დალევა კაფეებში დაუჯდებოდათ, ამას ან ყავის მოდუღების გასამრჯელოდ მიიჩნევდნენ, ან დიდხანს გადაუხდელი ნისიის ამოსაღებად წარმოებულ საჯარიმო ღონისძიებად.

დათომაც მოითხოვა ყავა.

— ყავა აკეთილშობილებს ადამიანს, ოღონდ, ნაბუხასევზე თავის ტკივილს მაინც არ შველის, — თქვა კობამ. მას ყავა არ უყვარდა და ახლაც იმიტომ გაიხუმრა, ნაირასთვის ეჩვენებინა, მისი ცუდ ხასიათზე ყოფნა წინა დღეებში დალეული ღვინოს ბრალი რომ იყო და არა იმ ჩხუბის, გუშინწინ რომ გადახდა, — აკულტურებს ყავა კაცს, ასე არ არის?

— შენთვისაც ჩავყარე, — ამცნო მას ნაირამ.

— ჰოდა, მაშინ დავლევ, — თქვა კობამ, — სიდედრის სახელზე დავლევ, თუ მიმკითხავებ... წნევა აქვს და ვკვდებიო ამბობს!

— სიდედრებზე ხუმრობა არ მსიამოვნებს. მეც სიდედრი ვარ და იმიტომ, — თქვა ნაირამ.

— შენს სიდედრს წნევა მაღალი აქვს თუ დაბალი? — ჰკითხა დათომ კობას.

— მაღალი, — თქვა კობამ.

— მაინც მოუხდებოდა ყავა, — მიუგო დათომ.

— ყავა წნევას მაღლა წევს, დაბალწნევიანები სპეციალურად სვამენ ყავას, წნევა ნორმაში რომ მოვიდეს, — უთხრა ნაირამ კობას.

— უყურე შენ! — თქვა კობამ, — არ ვიცოდი!... რა წავუღო მირიანეს. კონსერვებს არ ჭამს, სხვა რა იქნება ისეთი, ადვილი მოსამზადებელი რომ იყოს.

— ახალი სოსისები მაქვს, — თქვა ნაირამ, — მაწონიც მაქვს, კეფირიც, არაჟანიც. მოხუცებს რძის ნაწარმი ძალიან რგებთ...

— სოსისები იყოს... რაო მაინც, რა ილაპარაკეს ქალებმა ჩემზე და დამიანეზე? — ისე ჰკითხა ნაირას, თითქოს ისევ სოსისებზე ლაპარაკობდა და ნაირამაც, ყავას რომ ასხამდა ფინჯნებში, ისე შემოხედა, კობაც მიხვდა, ამ თემაზე საუბრის დაწყებას მოუთმენლად რომ ელოდებოდა.

— ვინ ქალებმა? — კითხა ნაირამ. არ სიამოვნებდა, მის ლარიოკს ჭორიკნების სადგურს რომ უწოდებდნენ.

— ხალხი რას ლაპარაკობს-მეთქი, მინდოდა მეკითხა, — შეცდომა გამოასწორა კობამ.

— ქალებს ალბათ მარტო ის აინტერესებთ, ეჯდა თუ არა მაშინ ავტობუსში ქალი და თანაც ისეთი, რომელიც არც პლაჟიდან და არც ტურბაზიდან ჰყავდა აყვანილი და რომელსაც არ უნდოდა კობას ენახა, დამიანეს ავტობუსში თუ იჯდა, — თქვა დათომ.

— მერე მე რა, წავართმევდი იმ ქალს, თუ რა?! — თქვა კობამ — სხვებისთვის ქალების წართმევა არასოდეს მიკადრებია! — თქვა და მაშინვე მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა ნათქვამი, ისე გამოუვიდა, თითქოს ნაირას იმას ახსენებდა, დამიანე ნაირას ვაჟს თათულის, რომ ეცილებოდა. საკუთარ თავზე გაბრაზდა, ნაირას ყავა ჩამოართვა და სულის შებერვით იწყო მისი გაციება.

— სამკითხაოდ თუ გინდა სული არ უნდა შეუბერო, — გაეხუმრა გიგა, — ასე არ არის ნაირა დეიდა?

— მეზობლებს მანქანას რომ არ უჩერებს, არ არის რა თქმა უნდა კარგი საქმე, — თქვა ნაირამ ყავის ფინჯნებში დანაწილებას რომ მორჩა, — იქნებ მართლა ეჯდა ასეთი ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმიტომ არ გაგიჩერა? – ჰკითხა კობას.

– თუ ეჯდა, ხელით ენიშნებინა, ვერ გაგიჩერებო, – თქვა კობამ, – წავალ, მირიანეს საჭმელს ავუტან, თორემ ცოდვაა კაცი... ჩვენც წავუხემსოთ და ცოტა დავლიოთ, თორემ ლუდი და ყავა ვერაფერს მიშველის.

ფაბრიკის ჭიშკარი გაიღო და დირექტორის შავი "გაზ-24" გამოვიდა. მანქანამ სიჩქარე აიღო, ფაბრიკის წინ მოედანი გადმოჭრა და გზაზე გამოსასვლელად რომ მოუხვია, საბურავებმა ოდნავ გაიჭრიალეს. ფაბრიკის დარაჯი ნაირას ლარიოკთან შეკრებილებს ხელის აწევით მიესალმა და კარის დაკეტვას შეუდგა.

– კარგია კარგი ცხოვრება, – თქვა გიგამ, მანქანას შესცქეროდა და თან ყავას ხვრეპდა წკიპად.

– კარგი რამეა ყავა, აკულტურებს კაცს, – თქვა ცინიკურღიმილიანმა კობამ, – ვერაფერს დალევს ყავაზე უკეთესს კაცი, თუ მაინცა და მაინც ფინჯანიდან მოინდომებს რამის დალევას!

III

ფაბრიკის დარაჯი, ძვალმსხვილი, შუახნის მამაკაცი, მოწესრიგებული და დინჯი ადამიანის შთაბეჭდილებას არც თუ ისე უსაფუძვლოდ, რომ ტოვებდა (პროფესიით ექიმი იყო, ანესთეზიოლოგი, მაგრამ ერთხელ, როგორც ამბობდნენ მისი მიზეზით პაციენტი გარდაცვლილა და ამის მერე ექიმობისთვის თავი დაუნებებია.) დარწმუნებული იყო, კობა ქირია და დათო ეჯიბია ფაბრიკის წინ მოედანზე დამიანე დამენიას დასახვედრად არიან მოსულებიო. ისეთი არაფერი მოიმოქმედონ, რომ მე სამსახურიდან დამითხოვონო, შიშობდა და თან იმასაც ვერ ეუბნებოდა სადარაჯო ჯიხურის წინ ძელსკამზე ჩამომჯდარებს, აქედან წადით და სხვაგან არკვიეთ თქვენი ურთიერთობებიო. ცხრასართულიანი კორპუსის ეზოში დამიანეს ცარიელი ავტობუსი იდგა.

ფაბრიკის წინ მოედანზე ბედურები მტვერში იგანგლებოდნენ და მხიარულად ჭყლოპინებდნენ.

– ბედურები მტვერში თუ ბანაობენ, არ მოტყუვდები, წვიმა მოვა, – ისე თქვა ყარაულმა, თითქოს წვიმა ურემი ყოფილიყოს და თანაც გაუსაპნავღერძიანი, რომელიც აუცილებლად იჭრიალებდა. ბედურები ერთმანეთს წაეკიდნენ და ვირთხებივით იწყეს წრიპინი. გიგა ჩიქოვანიც გამოჩნდა ამ დროს, ნაირას ლარიოკთან აპირებდა მისვლას, ალბათ კობასა და დათოს ადგილსამყოფელის დასადგენად, მაგრამ ფაბრიკისკენ მოიხადა, ლარიოკს გვერდი აუარა და ფაბრიკის შემოსასვლელისკენ გამოსწია.

– წააგე რომ ჩვენთან ერთად არ წამოხვედი. სოსისები მოვხარშეთ და მირიანეს ღვინოც დავაყოლეთ, – უთხრა დათომ გიგას.

– ვიცი, მირიანემ მითხრა, – თქვა გიგამ, ყარაულს ხელის ჩამორთმევით მიესალმა და მოწრიპინე ბედურებს შეაჩერდა გაოცებით, – მირიანემ თქვა, ან ინახულოს ის ქალი და ან დაურეკოს მაინც და იკითხოს როგორაოო?

– როგორ უნდა იყოს, კარგად იქნება, – თქვა კობამ, – ზოგჯერ მგონია ჩემს შესარიგებლად მოიგონა-მეთქი ავადმყოფობა... მირიანემაც გააწყალა გული თავისი დაურეკეთი, ხომ არ მოსწონს ნეტავი ის ქალი?!

დარაჯმა ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოიღო და ერთგვარი სიამაყით დააჩერდა. რომელიაო ჰკითხა დათომ. ოთხს აკლდა თხუთმეტი წუთი, ის დრო იყო, დამიანე ფაბრიკის შესასვლელთან გამოსულიყო და ცვლის გამოსვლას დალოდებოდა. ფაბრიკის დირექტორი აიძულებდა ოცი წუთით ადრე დამდგარიყო ფაბრიკის შესასვლელთან. იმ დღეს შაბათი იყო, ფაბრიკისთვის მოკლე სამუშაო დღე, ასე რომ დამიანეს ცვლის ქალაქიდან მოყვანა არ ევალებოდა, მხოლოდ ფაბრიკიდან გამოსული ცვლა უნდა წაეყვანა და სახლებში დაენაწილებინა. დარაჯი სადარაჯო ჯიხურში შევიდა, ფაბრიკის ეზოში გამავალი ზამბარებიანი კარი გააღო და წინასწარ მომზადებული ქვა დაუხვედრა, რომ კარი თავისით არ დაკეტილიყო.

გიგა ბედურების წრიპინს სხვებზე უფრო გაეღიზიანებინა და გაბრაზებით აუქშია. ბედურები ხმაურით წამოიშალნენ, მაგრამ შორს არ წასულან, ფაბრიკის ეზოს შემოსაზღვრულ ცისფერ ღობეზე მოთავსდნენ.

– სახალხოდ გინდა ცემო?! – ჰკითხა კობას, – ქალების თანდასწრებით გინდა ცემო და გგონია ბიძინა უნდა ჩაერიოს მერე ამ საქმეში, რაკი ეს ყველაფერი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე მოხდა, როგორც ბიძინა იტყვის ხოლმე... ვისი იდეა იყო, არ მეტყვით?!

– შენ დაწყნარდი! – უთხრა დათომ, – არავინ არავის არ სცემს!

– ფხიზლები მაინც მოსულიყავით! – თქვა გიგამ.

– ბიჭებს სიცოცხლე! – მოესმათ უცებ და გზის გაღმა რომ გაიხედეს, სულხანი ნახეს. ელექტროქვესადგურის რკინის მესრებიან ღობეს მოსდგომოდა და სამივენი მიხვდნენ, ნაირა დაუძახებდაო. სულხანი ლარიოკის უკან ელექტროქვესადგურში მუშაობდა და სამუშაო დღის უმეტეს ნაწილს დედამისის ლარიოკში ატარებდა, ანდა სამსახურში, საოპერატორო ოთახის გვერდით ეძინა.

გოგიტა შეროზია და დიმა კეკუტია მოვიდნენ ამ დროს ველოსიპედებით და კობას პარკით ნესტანი გეთიას მიერ გასტრონომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტანებული ძვლები მოუტანეს. ნესტანი მირიანს ჰყავდა შეპირებული, ძაღლის საჭმელი ხორცის ნარჩენებით მოემარაგებინა.

– კი მითხრა მირიანმა ძვლები წამოუღე ძაღლსო და დამავიწყდა, – თქვა კობამ, – არც გამახსენდებოდა. კიდევ კარგი ნესტანის გაახსენდა.

– მირიანე ბაბუას ნესტანი დეიდასთვის დაურეკავს, კობა იქნება მანდ სადმე, ახლომახლო და ძვლები წამოუღოს ძაღლსო. მე და დიმა გავდიოდით გასტრონომთან და ჩვენ გამოგვატანა ნესტანი დეიდამ, მგონი ფაბრიკასთან უნდა იყოს კობა და წაუღეთ, – თქვა გოგიტამ.

– ოპერატიულად განაგებს საქმეებს მირიანე და ნესტანიმაც ყველაფერი იცის ვინ სადაა, – თქვა კობამ და ფაბრიკის შემოსასვლელისკენ წამოსულ სულხანს მიუბრუნდა, – მიეცი ამ ბავშვებს თითო მუჭი კანფეტი ჩემს ხარჯზე და ძვლებს სახლში ამიტანენ, არ დამზარდებიან!

– ცოტა ხანს ვიქნებით და მერე წავიღებთ, – თქვა გოგიტამ და დიმა კეკუტიას გადახედა, – დიმას დამ უნდა გამოიაროს სკოლიდან და დიმამ სახლის გასაღები უნდა მისცეს ... არავინ არ არის ამათთან სახლში...

– დიმა დარჩეს და შენ წადი, – უთხრა დათომ გოგიტას, – მშიერია ძაღლი!

– სულ მალე გამოივლის დიმას და... ყოველთვის ამ დროს ბრუნდება ხოლმე სკოლიდან, – უპასუხა გოგიტამ.

– ყველაფერი ამ დროს როგორ ემთხვევა, სკოლიდან დაბრუნებაც, მირიანეს ზარიც ძვლების წამოსაღებად, აგერ სულხანიც გამოუღვიძებიათ, – თქვა კობამ.

– ბარემ ძველი პურებიც წაიღონ არველოდ სალიასთან, – თქვა სულხანიმ. ნაირა და არველოდ სალიას ცოლს ქათმები ჰყავდათ მოშენებული. ქათმებს არველოდის ცოლი უვლიდა, საჭმელით – ძველი, გაუყიდავი პურებით კი ნაირა ამარაგებდა.

– დიმას და გამოივლის და წავალთ, – თქვა გოგიტამ.

სამკერვალო ფაბრიკის შენობის ფანჯრებს მიღმა მკერავი ქალების თავები ამოძრავდნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ცვლა დამთავრდა. ქალები თავსზემოთ ხელებს იქნევდნენ, ისინი ამ დროს ჯიბის სარკეებში იცქირებოდნენ, თმებს ისწორებდნენ და და ტუჩებზე საცხს იახლებდნენ.

დამიანე კი მაინც არ ჩანდა და არც მაშინ დაქოქილა მისი ავტობუსი, ფაბრიკის მუშა ქალები ფაბრიკის შენობიდან რომ გამოლაგდნენ და მათ დასახვედრად და საშვების ჩამოსართმევად დარაჯი ჯიხურში შევიდა.

– ბევრი ქალი ერთად რომ შეიკრიბება, სანახავად არც ისე კარგია, – თქვა სულხანიმ, თითქოს არც იმას აინტერესებდა, რატომ არ ჩამოდიოდა დამიანე თავისი ბინიდან და რატომ არ ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, – სამოცი ქალი ერთად, სამუშაოს რომ მორჩებიან და ჯაჭვიდან ახალახსნილი ძაღლებივით კუნტრუშებენ და თან შტერულად იცინიან... – სულხანი გაჩერდა და გოგიტასა და დიმას გადახედა, – თქვენ სიტყვა არ გამოგრჩეთ რას იტყვიან უფროსები ქალებზე, – შეუტია ბავშვებს, – თუმცა ამათ ყველაფერი იციან, ხომ ასეა?... წეროებს რომ მოყავთ ბავშვები მშობლებისთვის ისიც იციან, ასე არ არის?!... ესენი მგონი იმიტომ დარჩნენ, რომ ქალებისთვის ეცქირათ!...

ფაბრიკის მუშებმა ჯიხური გამოიარეს და ფაბრიკის წინ შესასვლელთან იწყეს შეგროვება, ცხრასართულიანი კორპუსის ეზოში მდგარ უმძღოლო ავტობუსისკენ იყურებოდნენ და იოცებდნენ, რატომ არ მოდის დამიანე ჩვენს წასაყვანადო. ისინიც, ვინც ფაბრიკასთან ახლოს ცხოვრობდნენ და სახლებში ფეხით მიდიოდნენ, ამჯერად შეყოვნდნენ და რატომღაც მათაც და სხვებმაც სადარაჯოსკენ იწყეს ყურება, თითქოს დარაჯისაგან ელოდებოდნენ პასუხს.

საშვებს გადაბრუნებულად ნუ მაწვდით და ნურც მაგიდაზე ყრით, შეიწუხეთ თავი და დამელოდეთო, წუწუნებდა და შიგა და შიგ საკმაოდ დაურიდებლადაც იტუქსებოდა დარაჯი. ფაბრიკიდან ყველა რომ გამოვიდა ვინც გამოსასვლელი იყო, დარაჯიც გამოჩნდა. ჯიხურის შესასვლელთან მოკალათებულებს ქალები ეფარებოდნენ და ისინიც ვერ ხედავდნენ დამიანეს ავტობუსს, ასე რომ არც დამიანეს ავტობუსში ჩაჯდომა უნახავთ და არც ძრავის დაქოქვის ხმა გაუგიათ იმდენ ყაყანში. ეს მათ ისევ ქალებისგან შეიტყვეს, როცა ერთმანეთს მიახარეს, დამიანე გამოჩნდაო. ქალებმა ივარაუდეს, დამიანეს ან ჩაეძინა, ან საათმა მოატყუო და სანამ დამიანე ფაბრიკის შესასვლელის წინ მოედანზე შემოიყვანდა ავტობუსს, მანამ დაიძრნენ გზისკენ და მოედნის თავზე დახვდნენ ავტობუსს.

ასე რომ დამიანე დამარცხდა, მანამ ვერ გაბედა მოსვლა, სანამ ფაბრიკის წინ მოედანი ქალებით არ გაივსო. დამარცხებული იყო დამიანე, ოღონდ მისი შემხედვარე ამას ვერ იტყოდი, საკმაოდ ამაყად გამოიყურებოდა. გამომწვევად ამაყად კი არა და არც თავდაჯერებულად. შიძლება ასეთ ამაყ გამომეტყველებას შავი სათვალე ანიჭებდა, იმ ღრუბლიან ამინდში რომ მოერგო.

ავტობუსი რომ წავიდა მერეც არ დაშლილან სადარაჯოსთან შეკრებილები. სადარაჯოში ტელეფონმა დარეკა, დარაჯი ტელეფონთან მივიდა და მალევე მობრუნდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხანიც და ველოსიპედიანი ბავშვებიც არსად აპირებდნენ წასვლას, რომ გაეგოთ, დამიანეს ქალაქიდან დაბრუნებისთვის ხომ არ გადადო კობა ქირიამ ის, რასაც აქმდის აპირებდა და რისთვისაც ფაბრიკის ეზოს შესასვლელთან მოვიდაო. ეს ეტყობა, არც გიგა ჩიქოვანმა და არც დათო ეჯიბიამ იცოდნენ.

– აწი მაინც წაიღეთ ძვლები, თორემ მოკვდა ჩემი ძაღლი მშიერი, – უთხრა კობამ გოგიტა შეროზიას, – მირიანე მაჭარსაც დაგალევინებთ, კანფეტს სულხანი მოგცემთ და მეტი რა ეშმაკი გინდათ!

– უმაჭაროდაც წავიღებთ, – უთხრა გოგიტამ, – მირიანე ბაბუას რა ვუთხრათ, როდის მოვაო?

– მაგას მირიანე შენი ხნის რომ ვიყავი, მაშინაც ნაკლებად მეკითხებოდა. სკოლა რომ დავამთავრე დაახლოებით ათი წლის წინ, მას მერე სულ არ უკითხავს და არც თქვენ გკითხავთ! – მიუგო კობამ.

– ყავა ხომ არ დაგველია? – იკითხა დათომ.

– ჯოკერი ვითამაშოთ თუ გინდათ ღვინოზე და დასაყოლებელზე, ოღონდ კისრება თამაშის დამთავრებისთანავე იყოს! – თქვა კობამ, გოგიტა და დიმა რომ წავიდნენ.

– დომინო ვითამაშოთ, ჯოკერი არ ვიცი, – თქვა დარაჯმა.

– დომინოს მე ვერ ვთამაშობ კარგად, – თქვა სულხანიმ, – არ გეზარებათ თამაში, ბარემ პირდაპირ დაგვეწყო, დრო არ მაქვს იმდენი. ნაირა დღეს ადრე მიდის სახლში და მე უნდა შევცვალო.

– რომ დათვრები, ხურდა არ გადააყოლო ვინმეს, – უთხრა დარაჯმა სულხანის და გაიღიმა.

– ჩემი დარდი ნუ გაქვს, ბალიშების ყარაულმა იკითხოს, ღრმად რომ ჩაეძინოს, საშიშია ბალიში არ გამოგაცალოს ვინმემ, – მიუგო სულხანიმ.

– გოგიტა რომ არ მეგზავნებოდა, თურმე უგრძნობდა იმ ბავშვს გული, რომ ადრე იყო მაგისთვის წასვლა. ახლა მეორეჯერაც უნდა გამეგზავნოს ღვინოს მოსატანად, – თქვა კობამ, – უფროსობა აწი არ მოვა და ბარემ აქვე დავლიოთ, სადარაჯოში. არც არავინ შეგვაწუხებს და არც ჩვენ გავეჩხირებით თვალში ვინმეს.

– არა, – თქვა უცებ დარაჯმა, – აქ დალევა არ გამოვა!

– რატომ რობინზონ? – ჰკითხა დათომ.

– არ შეიძლება! – ჯიუტად გაიმეორა დარაჯმა, – დღეს შაბათია, მოკლე სამუშაო დღის ბოლო. დამიანე, მას შემდეგ, რაც ოთხსაათიან ცვლას წაიყვანს, ორშაბათამდე თავისუფალია და ოთხსაათიანი ცვლის სახლებში დარიგების შემდეგ, რომ დაბრუნდება ავტობუსს ფაბრიკის ეზოში აყენებს, თუ რამე ხალტურა არა აქვს ნაშოვი... ჰოდა, ამ სადარაჯოზე მოუწევს აქეთობისას გამოვლა, იქეთობისას პირდაპირ ავტობუსით შედის, – ამომწურავი პასუხი გასცა დარაჯმა, – სულაც არ მინდა სამსახური დავკარგო!

– ამაზე არც მიფიქრია, – უთხრა კობამ დარაჯს, – არც გამხსენებია შაბათი რომაა და არც ის გამითვალისწინებია, რაც შენ ახლა თქვი!

– ვიცი, მაგრამ მაინც აქ უნდა შემოვიდეს დამიანე, – თქვა დარაჯმა. სჯეროდა და არც სჯეროდა კობასი.

– არავის ხარჯზე არ ვჩხუბობ და ძალით ხომ არ გინდათ მაჩხუბოთ! – თქვა კობამ.

– ლარიოკთან დავლიოთ თუ გინდათ... რობინზონიც დალევს. ლარიოკიდან სადარაჯოს ტელეფონის ხმაც ისმის, თუ კი ტელეფონს ფანჯრის რაფაზე დადებ და ფანჯარას გააღებ, – თქვა სულხანიმ, – პირადად ჩემს მიერ შემოწმებულ-გადამოწმებული მეთოდია! – სულხანი, სანამ ელექტროქვესადგურში მოეწყობოდა, ფაბრიკის დარაჯადაც მუშაობდა ერთ ხანს.

ბიძინა კედიას შინდისფერი ჟიგული გამოჩნდა. ბიძინამ მანქანა შეაჩერა, მერე ისევ დაძრა და ფაბრიკისწინა მოედანზე შემოვიდა.

– ასეც ვიცოდი! – თქვა დათო ეჯიბიამ, – სწორედ ახლა გავიფიქრე ბიძინაზე და ესეც აქაა... ამაზე თუ არა თქვი, ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო, აბა სხვაზე რაზე უნდა თქვა!

– ლეონიდეს დაარეკინა ალბათ იმ ნაბიჭვარმა, ნახავთ თუ არა! – თქვა გიგამ.

ბიძინა მანქანიდან გადმოვიდა და შეკრებილებს მისთვის ჩვეული ღიმილით გაუმასპინძლდა მისალმებისას. ჯერ პორცია-პორცია აფრქვევდა, მხოლოდ იმის მისამართით, ვისაც ესალმებოდა. პერსონალური ღიმილი ისე ჩამოარიგა, როგორც ავტოგრაფიან სავიზიტო ბარათებს არიგებენ ხოლმე, მერე საერთო ღიმილი გადმოისროლა ყველასთვის ერთად.

– მირიანმა გადამიპატიჟა, შენთან დალევა მომენატრაო, წამოდი და ბიჭებიც წამოიყვანეო, – თქვა ბიძინამ, – ჰოდა, წავიდეთ ახლა ვინც მოდის!

გოგიტა შეროზია და დიმა კეკუტია მოვიდნენ ამ დროს, წინ გერონტი შეროზიას მწითური ნაშიერი მოაგელვებდა ველოსიპედს, უკან დიმა მოსდევდა. გოგიტამ პირდაპირ კობასკენ გამოაჭრა და ძალზე ოსტატურად შეაჩერა ველოსიპედი. დიმაც არ ჩამორჩა მეგობარს და მანაც, მთლად გოგიტასავით ეფექტურად ვერა, მაგრამ მაინც საკმაოდ გრაციოზულად დაამუხრუჭა.

– მიურთმევიათ ამათ უკვე მაჭარი, – თქვა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გიგამ, – მირიანემ, თუ გადაწყვიტა ვინმეს დაალევინოს, დაალევინებს, უარი მაგასთან არ ჭრის!

– ამათაც ვერ დაიძვრინეს ალბათ თავი! – ჩაიცინა სულხანიმ, – დასანახადაც კი ეჯავრებათ ამათ მაჭარი და მაინც დაალევინა... ბევრი ჩახეთქეთ ბიჭო?

– კობა ბიძია, მირიანე ბაბუამ ასე შემოგითვალა, ბიძინა ბიძიას გამოყევს, გადმოიპატიჟე და მარტო არ გამოუშვასო, სირცხვილიაო, – თქვა გოგიტამ, ისე რომ სულხანის ირონიული შენიშვნისათვის არც მიუქცევია ყურადღება და ბიძინას შეხედა ნახევრად წრფელი, ნახევრად ნათამაშევი მოწიწებით.

– კარგად იტანს ეს მამაძაღლი სიმთვრალეს, ენასაც რომ არ უკიდებს?! – უეფექტო ირონია უფრო გაიმწვავა სულხანიმ.

– წავედით ბიჭებო! – თქვა კობამ, – სტუმარს მარტო ვერ გავუშვებ და თქვენც რომ არ წამოხვიდეთ, ეწყინება მირიანეს... ეს ისეა, რომ ბუზღუნებს ხანდახან თქვენს დანახვაზე და უსაქმურ ღვინის წურბელებს გეძახით, თორემ გულის სიღრმეში უყვარხართ კიდეც, აი ნახავთ თუ არა! – სულხანს უღვარძლო ირონია გამოერია ხმაში.

დარაჯმა ცაში აიხედა და იწვიმებსო თქვა.

## მითხარი რომ ყველაფერი რიგზეა

ომი ომს არ გავდა. მორიგეობის შემდეგ გვარდიელები სანგრებიდან პირდაპირ სახლებში მიდიოდნენ დასასვენებლად. შინ მეზობლები ელოდებოდნენ, რომ უშუალოდ ფრონტის წინა ხაზიდან გამოსული კაცისაგან მოესმინათ წუხანდელი პოზიციური ბრძოლების ამბები. მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის საზენიტო პოზიციებს ვერ აგნებდნენ და ამას ისე მიეჩვივნენ, დაბომბვისას ერთგვარი მეთოდურობა გამოიმუშავეს: ერთ, ალალბედზე ამორჩეულ ადგილს ბომბავდნენ სულელური დაჟინებით. მდინარის გადაღმიდან ნაღმტყორცნებს ანიჭებდნენ უპირატესობას და ყველაზე უფრო მეტად ახალი რაიონის საცხოვრებელ კორპუსებს უშენდნენ, რას ეძებდნენ იქ გაურკვეველი იყო. ღამით ქალაქში ტანკები დაგრუხუნებდნენ და არავინ იცოდა ისინი სად და რისთვის მიდიოდნენ, მაგრამ ტანკები მაინც იმედს უსახავდნენ ქალაქელებს და ქალაქელებიც უფრო მშვიდად და ღრმად იძინებდნენ.

ომი სიზმარს გავდა, უსიუჟეტოსა და დამღლელს. ქალაქში ყოველთვის იჭერდნენ ფრონტის ხაზს იქიდან გადმოპარულ ჯაშუშებს. მაისში კი ზედიზედ ორი რადისტი დაიჭირეს. ნათელი გახდა რომ მოწინააღმდეგე ქალაქში შემოგზავნილი რადისტების საშუალებით აპირებდა საარტილერიო დამუშავების ეფექტურობის გაზრდას. ქალაქელები ჯაშუშების დაჭერის მანიით იყვნენ შეპყრობილები. უცნობები, თუ რამე საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, ერთმანეთს პასპორტებს სთხოვდნენ. ერთი რადისტი კი პირდაპირ ფანჯრიდან გადაეშვა და ასფალტზე პირქვე დამხობილი, უმოძრაო, ხელებგაშლილი და ჩაპუტკუნებული, გასაბერ სათამაშო თოჯინას გავდა.

რადისტი მეოთხე სართულიდან გადმოხტა და გადმოხტომის წინ რაღაც გაურკვეველი შემოგვყვირა. მაიორმა, ვინც რადისტის დასაჭერად მოსულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ცარიელ ფანჯარას ესროლა. კიბეები ხრიგინით ჩამოირბინა, გარეთ გამოვიდა და ცხედარს ყველასგან მოულოდნელად გულგრილად დააცქერდა. მერე თმებში დაწვდა, თავი გვერდზე გადაუწია და სახეზე დააცქერდა, მაგრამ ეტყობა რელიეფშეცვლილ და გასისხლიანებულმა სიფათმა ზიზიღი მოჰგვარა და ხელი უშვა.

– შემოფრენილი ჩიტია, – თქვა მან. შემოფრენილ ჩიტებს ის ფრონტის ხაზს იქიდან გადმოპარულ ჯაშუშებს უწოდებდა, ომამდის კი სოხუმურ ჟარგონზე შემოფრენილ ჩიტებად ტურისტი ქალები იწოდებოდნენ.

მაიორი "ვილისთან" მივიდა, რაციით შტაბი გამოიძახა და მაშინვე უშვერ გინებას მოყვა. ერთი წუთით გინება შეწყვიტა, ხელქვეითებისაკენ შემოტრიალდა და ბრძანება გასცა, ცხედრისთვის ზეწარი გადაეფარებინათ, მერე ისევ რაციას მიუბრუნდა და შტაბთან საუბარი განაგრძო. გვარდიელებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე "კამიკაძე" რადისტის ცხედარს და ბოლოს კორპუსის ფანჯრებზე სარეცხივით გადმოფენილი მობინადრეები მოათვალიერეს, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ზეწარს დათმობდა.

– ზეწარი ვერ იშოვეთ? – იკითხა მაიორმა, როცა შტაბი დედაზე გინებით დაარწმუნა, რომ რადისტის ცოცხლად აყვანა მართლა შეუძლებელი იყო.

– რა ვუყოთ ახლა ამ ნაგავს? – პათეტიკურად იკითხა მან და ისევ გულგრილი გახდა. სწორედ ამ გულგრილობით დაიმსახურა კორპუსის ბინადართა პატივისცემა, ის კი არადა მოწიწებაც კი, რადგან როცა გულგრილობის ნიღაბს ირგებდა, ჭკვიან და მრავლისმნახველ კაცს გავდა.

– ზეწარი რა ფეხებად გინდა, ტომარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოატანინე და შიგ ჩავყაროთ, – ვუთხარი მე მაიორს, – ზეწარი, თორემ შტაბიდან კრიმინალისტებს გამოაგზავნიან! – ალბათ კინოებში ენახა საგანგებო სიტუაციებში დაღუპულებს ზეწარს რომ გადააფარებენ ხოლმე კრიმინალური ექსპერტიზის წარმომადგენლების მოსვლამდე, რათა მშვიდობიან მოქალაქეებს გვამის დანახვაზე გული არ წაუვიდეთ, – გვამი არ უნახავს ხალხს თუ რა არის?!

მაიორი ოცდარვა წლის, ჭადარა მამაკაცი იყო – სუსტი, მაღალი და კოპწია. კოპწიაობა თითქოს დედის მუცლიდან დაჰყვა. არიან ადამიანთა ისეთი ტიპები, რომელთაც ესა თუ ის თვსება დაბადებიდან დაჰყვებათ ხოლმე. მაიორი, მაგალითად სამისოდ ბევრს არ ირჯებოდა, რომ კოპწია ყოფილიყო, ეს თავისთავად, ბუნებრივად გამოსდიოდა. მაიორმა ისევ შტაბში დარეკა და გვამის გადასასვენებელი მანქანა მოითხოვა.

– წავედით ბიჭებო! – თქვა მან.

– ავალთ და კარგად გავჩხრეკთ იქაურობას, – შევთავაზე მე.

მაიორმა მხრები აიჩეჩა და ვილისს მიეყრდნო.

– შტაბელი ვირთხები... მხოლოდ ბრძანებების გაცემა იციან და მეტი არაფერი! – თქვა მან. ეტყობა შტაბში რადისტის თვითლიკვიდაციით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ.

მაიორმა როცა შეამჩნია, რომ რადისტის საფარად გამოყენებულ ბინაში გასაჩხრეკად ასვლა გადავიფიქრე, საკმაოდ პეწიანად გადააპურჭყა და გულზე ხელები დემონსტრაციულად დაიკრიფა. ის ორ შემთხვევაში იკრეფდა გულზე ხელებს – როცა უკმაყოფილებას გამოხატავდა და ამის გამო ბავშვივით იბუტებოდა ან, პირიქით, როცა მას ებუტებოდნენ.

– გაჩხრიკეთ თუ ჩხრეკთ! – თქვა მან.

მაიორი ჩემი ცოლის ძმა იყო, ამიტომ მე მის მოადგილედ ვითვლებოდი და ფაქტიურად ასეც გამოდიოდა, რადგან მასთან შეპასუხებას მხოლოდ მე ვბედავდი.

რადისტის საფარად გამოყენებული ბინა ტიპურ სამოთახიანი ბუნაგს წარმოადგენდა, კარგი ავეჯით გაწყობილს. ჩხრეკის დაწყებამდე, მე მეზობლებიც შევყარე, ჩვენი წასვლის მერე, კონტრდაზვერვის გაფუყული და თვითკმაყოფილი თანამშრომლების მოსვლამდე ბინას თუ გაძარცვავდნენ, ჩვენთვის რომ არ დაებრალებინათ, ჩხრეკისას ხელს რაღაც–რაღაცები გააყოლესო.

ბინის ჩხრეკის სურვილმა მაშინვე გადამიარა, როგორც კი მეზობლებთან ერთად ბინაში აღმოვჩნდი. იმ ფანჯარასთან მივედი, რომლიდანაც რადისტი გადახტა და რომ შემოვტრიალდი მეზობლები მე შემომყურებდნენ, როგორც გამომძიებელს უყურებენ მოწმეებად მოწვეულები.

– ბინის პატრონი ოთხი თვე გადაკარგული იყო ცოლ–შვილიანად, გუშინწინ შევხედე ქუჩაში, თავი ამარიდა. ვიფიქრე დაბრუნებულა–მეთქი, მაგრამ ღამით შუქი არ აუნთია, მერე ისიც ვნახე ბინაში როგორ შევიდა, სინათლე ისევ არ აუნთია და ამან დამაეჭვა, სიბნელეში რა ამყოფებს–მეთქი გამიკვირდა, – თქვა მეზობელთაგან ერთმა, მოკლემკლავება ქალმა, რომელიც როგორც ყველა დაბალი და ჩამრგვალებული ქალი მეტად თავდაჯერებული გახლდათ, – ჩუმჩუმელა კი იყო, ეჭვიც გვქონდა ამ ომში ჩვენი მხარე რომ არ ეჭირა, მაგრამ იმას ვერავინ წარმოიგენდა აგენტი თუ იყო და რადისტს იფარებდა... ჰოდა ავდექი და ჩემს ბიძაშვილს დავურეკე, ჟურნალისტი კაცია, სამხედრო გაზეთში მუშაობს, თქვენც გაგონილი გექნებათ...

– ბიჭები მოვლენ ყველაფერს გაარკვევენ! – ვთქვი მე.

ქალი, რომელიც კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, გაჩუმდა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მივხვდი, რომ მთვრალი ვეგონე.

– მივდივართ ბიჭებო! – ვთქვი მე და აღმოვაჩინე, რომ მაიორივით გულზე ხელები დამეკრიფა, გადაპურჭყების სურვილმაც კი წამომიარა, – სხვაც ბევრი გვაქვს საქმე! – მკაცრად წარმოვთქვი და ჩემს წინ მდგარი სავარძელი ფეხით გავწიე. სავარძელი იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა.

მაიორს გადაწყვეტილება შეეცვალა – თავისი ტყუპი დის ალი-კვალი იყო.

– მანქანას უნდა დაველოდოთ! – თქვა მან და ამ დროს სადარბაზოს შესასვლელიდან ინტელიგენტური შესახედაობის მამაკაცი გამოვიდა დაკეცილი ზეწრით ხელში. პირდაპირ მაიორისკენ დააღერა თავი და ზეწარი ორივე ხელით გაუწოდა, როგორც რუსებმა იციან საპატიო სტუმრებს მარილსა და პურს რომ მიართმევენ ლანგრითა და წელში მოხრით, დაახლოებით ისე. მაიორმა ზეწარი ცალი ხელით გამოართვა და ინტელიგენტს დიდსულოვნად დართო ნება ისიც მანქანას მიყრდნობოდა. ინტელიგენტმა მაიორს სტუმართმოყვარეობა არ დაუფასა, ვილისს არ მიყრდნობია. ორმოც წლამდე იქნებოდა, დაბანილ-დავარცხნილი და სტერილური.

მე ზეწარი გვამს გადავაფარე.

– სად არიან ამდენი ხანი, მოდიან თუ არა? – ვკითხე მაიორს.

– შტაბელებზე ზანტები არავინ მინახია, – მიმართა მაიორმა ინტელიგენტს. მაიორს შტაბელების მიმართ ნამდვილი ალერგია სჭირდა. მეც არ მიყვარდა შტაბელები, მაგრამ მაიორს ისინი განსაკუთრებით არ უყვარდა.

ინტელიგენტს სუფთად და ფაქიზად ეცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობოდა, რომ მტკიცე ხასიათის პედანტი იქნებოდა. პროვინციელი ინტელიგენტები პედანტები არიან. ისინი დედაქალაქელ ინტელიგენტებს ეჯიბრებიან გაუთვითცნობიერებლად და რატომღაც პედანტები ხდებიან საკუთარი ხასიათის დახვეწის პროცესში.

– ცუდი ამბავი დატრიალდა! – თქვა ინტელიგენტმა რაღაცნაირი დაჟინებით. ჩვენი დადანაშაულება მომხდარში არც უფიქრია, მაგრამ მაინც ისე გამოუვიდა, თითქოს ჩვენ გვდებდა ბრალს. ამაზე მაიორი, ჩემდა გასკვირად არ გაბრაზებულა.

– უარესიც ხდება! – განაცხადა მაიორმა.

ზევით რომ ავიხედე, ის მოკლემკლავება ლოტოს კოჭი შევნიშნე. ფანჯარას გადმოყუდებოდა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა. შევატყვე, რომ ისევ მთვრალი ვეგონე და ხასიათი გამიფუჭდა.

– ორი კაცი დავტოვოთ და წავიდეთ, – ვუთხარი მაიორს და ამ დროს ინტელიგენტი თითქმის შოფრული მანერით მანქანას მიყრდნო, თითქოს ჩვენი გაშვება არ უნდაო.

– დაველოდოთ, – მითხრა მაიორმა და ისევ ინტელიგენტს მიუბრუნდა, – დაიღალნენ ბიჭები, – თქვა და უცებ დაღლილი კაცის გამომეტყველება აღიბეჭდა სახეზე, ალბათ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ დაიღალნენ მისი ბიჭები. ინტელიგენტი და მაიორი რაღაცით გავდნენ ერთმანეთს.

– ომს კანონები არ გააჩნია! – თქვა მაიორმა.

– როგორც ცხოვრებას, საერთოდ! – მიუგო ინტელიგენტმა.

მანქანას მიყუდებული ორი ფილოსოფოსი სიბრძნეს აფრქვევდა სენტენციების ფეირვერკებად. შესანიშნავი სანახავი იყო.

– შესანიშნავია! – ვთქვი მე.

–რაა შესანიშნავი? – მკითხა მაიორმა და გვამს გადაფარებულ, სიმეტრიულ ნაკეცებიან ზეწარს შეხედა. ამ ნაკეცების შემხედვარემ გავიფიქრე, ზეწარი პედანტი ინტელიგენტის გაუთოებული იქნება-მეთქი.

– მალე აქ იმდენი ხალხი მოგროვდება, ერთმანეთის მოსაძებნად შტაბში მოგვიწევს დარეკვა და ჩვენი კოორდინატების გადაცემა... ან კიდევ სასიგნალო რაკეტების ცაში აშვება...

– ხალხი უნდა დავშალოთ, – ისეთი ტონით თქვა მაიორმა, თითქოს ისევ სენტენციას გამოთქვამდა.

ამ დროს, სადარბაზოს შესასვლელთან ლოტოს კოჭი გამოჩნდა, თვალებით ერთმანეთს შევეჩეხეთ, სწორედ ისე, როგორც ორი ადამიანი შეეჩეხება ქუჩაში შემთხვევით ერთმანეთს. ლოტოს კოჭმა ხელებით ჰაერი მოფხოჭნა და იგივე ჰაერი ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს წყალში აპირებს ჩაყვინთვასო. სადარბაზოდან გმოსვლას არ აპირებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის მივაკითხავდი იქით.

– რაღაც ხდება, – ვთქვი მე და ლოტოს კოჭისაკენ გავემართე. მას ტუჩები გვერდზე მოქცეოდა, სახე წამოწითლებოდა და თმაც გაწეწვოდა. მისვლისთანავე მაჯაზე წამავლო ხელი და მომიჭირა.

– ის ბიჭიც აქაა! – თქვა მან, ისევ დაქაჩა თვალები და ფილტვებში დაგროვილი ცხელი ჰაერი შემომასუნთქა, რეფლექტორი რომ შემოგაფრქვევს ჰაერს ისე. კინაღამ გული ამერია, თითქოს ის შემოსუნთქული ჰაერიც გაოფლიანებული და სლოპინა ყოფილიყოს მისი შემომსუნთქველივით, – ზევიდან არ მინდა დამინახოს, ხომ გესმით... პირდაპირ სახურავისკენ წავიდა...

– ვინ ბიჭი? – ვკითხე მე.

– ბინის პატრონი, – თქვა ქალმა, – ბინაში იმალებოდა თურმე... სახურავისკენ წავიდა...

უცებ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეს ყველაფერი ოდესღაც გადამხდენოდა თავს – მქშინავი და მოთუხთუხე ლოტოს კოჭიც და ის ზეწარგადაფარებული გვამიც სწორედ ისეთები იყვნენ, როგორც წინათ, მაშინ როცა მსგავსი რაღაცა გადამხდა თავს.

ლოტოს კოჭი უცებ დაწყნარდა და ისევ ხელში წამეტანა.

– რა უნდა ქნათ? – იკითხა მან და სანამ პირს გავაღებდი, მანამ მიხვდა რაც უნდა მეკითხა მისთვის, – მწვანე მაისური აცვია, ხუჭუჭაა, ქერა, მაღალია და სუსტი, – მოკლედ და ოპერატიულად აღმიწერა მისი გარეგნობა.

ლაშა უკვე მიმხვდარიყო, რომ რაღაცა ხდებოდა და ჩვენკენ დაიძრა. მე მაიორიც მოვიხმე თითით.

– ახლა იმ ჭაღარა კაცს უამბეთ ყველაფერი და სხვა სადარბაზოებიდანაც წაგვახმარს ხალხს, – ვუთხარი ქალს.

სანამ მაიორი ქალთან მივიდოდა, მე და ლაშას პირველი სართულის კიბეები უკვე ავლილი გვქონდა.

– ვგრძნობდი, რომ კიდევ ვიღაცა უნდა ყოფილიყო, – მითხრა ლაშამ. თითქოს დიდი ხნის წინათ ნანახი და ახლა გაცხადებული სიზმარი გრძელდებოდა.

– უნდა მოვასწროთ, სანამ ესენი სირბილსა და ფაციფუცს ატეხავდნენ და ის ნაბიჭვარიც მიხვდებოდეს, რომ შემჩნეულია, – ვთქვი მე და კიდევ უფრო ღრმად შევიჭერი სიზმარში. სიზმრიდან გამოსვლა და უკან დაბრუნება მომინდა, მაგრამ ვერ დავბრუნდებოდი.

სართულებს შორის, კიბის ბაქანზე შევჩერდი და სადარბაზოს ბეტონის დეკორატიულ სარკმელში გავყავი თავი. ქვევით უკვე გადარბენა-გადმორბენებში იყვნენ, მაიორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირიჟორივით იქნევდა ხელებს და ხალხს სადარბაზოების შესასვლელისკენ ანაწილებდა ალყის მოსაწყობად, შტურმისთვის ორ-ორ კაციან ჯგუფს ქმნიდა. პირველად ინტელიგენტმა შემამჩნია და მაიორს რაღაცა უთხრა, მაგრამ მას არ გაუგია. მაიორი თავის სტიქიაში იყო.

– იდიოტები! – ვთქვი მე, – ვერ მოვასწარით!

უცებ, ჩემდა მოულოდნელად შევიგინე. მგონი მაიორს ვაგინებდი. ამას მერე მივხვდი, როცა მაიორს ვუყვებოდი, თუ რა თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა ყველაფერი. ლოტოს კოჭს რომ სცოდნოდა სახურავზე გამსვლელი კარი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, იქნებ სხვანაირად დამთავრებულიყო ეს ამბავი. მაგრამ, ყოვლისმცოდნე ლოტოს კოჭებმა ის არ იციან, რისი ცოდნაც ევალებათ, სხვა ყველაფერი კი იციან, ამ მოკლემკლავება, თავდაჯერებულმა არსებებმა.

ის, ვისაც ვეძებდით სახურავზე გამავალ კართან იდგა სიბნელეში და შიშისგან გაფართოებული თვალები ფოსფორიანივით უელავდა, კუთხეში მიმწყვდეულ მხეცს გავდა, ჯეროდა და არც ჯეროდა რომ გაიჭედა. მაშინვე მიგრძნო გულმა, რომ ისროდა და სროლას დამასწრებდა. თითქმის ერთდროულად ვისროლეთ იმან და მე. ჩემი ნასროლი მკერდსა და მუცელში ხვდებოდა. წელში მოიხარა, მუცელში წიხლმოხვედრილი კაცი რომ მოიკაკვება ტკივილისაგან ისე, ტყვიებმა წელში მოხრილივე გაისროლეს უკან და კედელს მიანარცხეს, დაახლოებით ისე, უნიჭო მსახიობები რომ კვდებიან კინოებში. ლაშა მოწყვეტით გადმოქანდა უკან. სიკვდილის წინ ვერც მოასწრო მწვანემაისურიანის ნახვა. ერთი ტყვია მარცხენა თვალს ქვემოთ მოხვედროდა, მეორე კი შუბლში. მწვანე მაისურიანი კარგი მსროლელი აღმოჩნდა. ყველა ვერც შეძლებდა მსგავს სიტუაციაში "მაკაროვიდან" ასეთი სიზუსტით გასროლას.

ლაშას მზერა უცებ გაეყინა და მასში წუხილისა და გაოცების გარდა გაუცნობიერებელი შიში ჩაბუდებოდა.

მომეჩვენა, რომ მწვანემაისურიანი გაინძრა და მჭიდში დარჩენილი ტყვიებიც დავახალე. ლაშა კიბეებზე იწვა, თავით ქვევით და მე მისი ბაქანზე გადასვენება მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელი. განცდილი შიშისაგან უეცრად გამომეცალა ძალა ხელში და რომ არ წავქცეულიყავი კიბის მოაჯირს ჩავეჭიდე.

მაიორი, პირველი ამორბოდა კიბეებზე და თვალი მომკრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ლაშა მკვდარი იყო. მივხვდი, რომ მიხვდა.

– რა სირბილი აგიტყდათ ნაბიჭვრებო! – ვუყვირე მე მაიორს. მეგონა სისუსტეს ვერ შემატყობდა, მაგრამ შემატყო, ხელი წამავლო და კიბის ბაქანზე ჩამომიყვანა.

მე ისევ ის ვერ მომენელებინა, დაცემისას როგორ დამისხლტდა ხელიდან ლაშა და უკვე მკვდარმა როგორ დაკრა კიბის საფეხურს თავი.

მაიორი ცდილობდა ავტომატი გამოერთმია ჩემთვის, მაგრამ მე არ ვანებებდი.

– თავი დამანებე, – ვუთხარი მე. მაიორმაც თავი დამანება და მწვანემაისურიანის დასახედად ავიდა.

– სახურავზე გამსვლელი კარი ჩაკეტილი ყოფილა, – თქვა მან.

ფეხით გადმოაბრუნა გვამი. მწვანემაისურიანს ხელი გადმოუვარდა და ისე გაშალა, თითქოს რაღაცისთვის მადლობას იხდის რევერანსითო და მე კინაღამ ისევ ვესროლე. ეს ეტყობა მაიორმაც იგრძნო და გადმომხედა.

– ჩაიყვანეთ ქვევით! – ბრძანა მაიორმა.

– ჩემით ჩავალ, – ვთქვი მე, მაგრამ ვერსად მივდიოდი, თითქოს დაბმული ვიყავი. პირი მიშრებოდა და მგონი მწყუროდა კიდეც. ქვემოთ ერთ-ერთი ბინის კარი გაიღო. ვიღაცა გარეთ გამოხედვას ცდილობდა და ნელა აღებდა კარს.

– კარი დაკეტეთ! – ვიყვირე მე და კარიც იმავე წამს მიიკეტა.

– ჩაიყვანეთ ქვევით! – თქვა მაიორმა.

– მე კარგადა ვარ! – ვუთხარი მაიორს, – ნუ ყვირიხარ!

ლოტოს კოჭი კიბეებზე შემეფეთა და მაშინვე ხელში ჩამაფრინდა.

– ხელი გამიშვი, – ვუთხარი მე მშვიდად. არაფრის თავი არ მქონდა, თორემ ერთ მჭიდს მასაც დავაცლიდი. ის ბუშტივით დაიჩუტებოდა და ამ დროს ალბათ თვალებში შევება ჩაუდგებოდა: ვერაფერი სიამოვნებაა მთელი ცხოვრება გაბერილ ბუშტად ყოფნა.

მე თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ მწვანემაისურიანის ბინაში შევედი და პირდაპირ ზალის "კედლიდან" დავიწყე. ერთი მჭიდი დავაცალე მის კარებს. მერე, საძინებელში გადავინაცვლე და ახლა იქაურ კარადას მივდექი. უკან რომ მოვიხედე, მაიორი ვნახე. მშვიდად შემომყურებდა და ორთქლის გამოშვებას მაცლიდა.

მაიორმა ნანას უთხრა, რომ ლაშას სიკვდილში თავს ვიდანაშაულებდი. ნათქვამი ისე გამოუვიდა, თითქოს ისიც მე მთვლიდა დამნაშავედ. მე კი არაფერზე ვფიქრობდი, უბრალოდ ვიწექი და არ მეძინებოდა.

ოფლად ვიღვრებოდი, რადგან ისე აუტანლად ჩამოცხა ღამით. ვიწექი და წვიმას ველოდებოდი. წვიმაც წამოვიდა და ნანამ ჩათვლიმა, მაგრამ მალე ისევ გამოეღვიძა. მინდოდა მეკითხა რომელი საათი იყო, მაგრამ არ მიკითხავს. ნანა უსაათოდ არ იძინებდა, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვევა ომამდე გამოიმუშავა, როცა მასწავლებლად მუშაობდა. ბალიშის ქვეშ მაჯის საათს ამოიდებდა, რადგან მე მაგიდის საათის წიკწიკს ვერ ვიტანდი. მას მერე ეს ჩვევა შემორჩა.

— ჩემთვის ომი გათავდა, — ვუთხარი ნანას.

— რა თქვი? — მკითხა მან.

— ჩემთვის ომი გათავდა! — გავიმეორე მე.

ნანა მაიორივით დაკვირვებული ფსიქოლოგი არ იყო და ამიტომ ვერ მიხვდა, რომ ამას ისე ვამბობდი, სიტყვის მასალად და რომ სინამდვილეში ომს თავს ვერ გავანებებდი.

— ძალიან კარგი! — თქვა ნანამ, — ძალიან კარგი, თუ მართლა ასე ფიქრობ... გიორგისაც ეყოფა, რაც ავტომატით ირბინა!

ნანა ძმას შემოკლებით გიას კი არ ეძახდა, როგორც სხვები, არამედ გიორგის. ქალს ყოველთვის სურს მამაკაცის სრულყოფა. ნანა მაიორის სრულყოფას, იმ დროდან, რაც საკუთარ თავში ქალი შეიცნო, იმით ცდილობდა, რომ ძმას სრულ სახელს ეძახდა და ამით საკუთარი თავის პატივცემას უნერგავდა. ამას, ყველაფერს ჩემით მივხვდი. კარგა ხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ ეძახდა ნანა მაიორს გიორგის და არა გიას, როგორც სხვები, თუნდაც მათი მშობლები. თუმცა, სიმამრს არ მოვსწრებივარ, მაგრამ ვიცი, რომ ის ვაჟიშვილს შემოკლებულ სახელს ეძახდა.

ნანასთვის მინდოდა მეთქვა, რომ სულაც არ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ ლაშას სიკვდილში, მაგრამ არ მითქვამს. მე მხოლოდ ერთი რამე მინდოდა, რომ წვიმას არ გადაეღო დილამდე.

— ბავშვებიც ხომ უნდა ნახო, — მითხრა ნანამ, — რამდენი ხანია ბავშვები არ გინახავს. შევატოვეთ იმ ქალს!

ნანას დედა შვილიშვილებით თავის დასთან იყო გახიზნული.

— გიორგის ცოლი რომ შევრთოთ, იქნებ გაანებოს ომს თავი, — თქვა ნანამ.

ცოლიანი მაიორის წარმოდგენა ვსცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

ნანას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ მე ამოვიოხრე იმის ნიშნად, რომ საუბარი არ მსურდა და ჩემი ცოლიც გაჩუმდა. დილით კი აღმოვაჩინე, რომ უქმად ვერ გავჩერდებოდი, უბრალოდ ვერ გავძლებდი, ისე რომ არაფერი მეკეთებინა. ალბათ წვიმამ იმოქმედა ასე. ღამით წვიმა კარგია, დღისით კი საშინლებაა. მთელი დღე წვიმდა. შტაბში წაველი. ცოტა ხანში ნანამ დარეკა, მამისეული სახლიდან რეკავდა. მაიორიც იქ ყოფილიყო.

— რას აკეთებ შტაბში? — მკითხა მაიორმა.

— არაფერს, — მივუგე მე.

— წამოდი, — მითხრა მაიორმა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— გელოდებით, — თქვა მაიორმა და ყურმილი დაკიდა.

იმ დროისათვის უკვე მოვასწარი მთელი შტაბისათვის იმის მოყოლა, თუ როგორ დაიღუპა ლაშა. ნანას ზარის შემდეგ ვიგრძენი, რომ შტაბშიც ვერ გავჩერდებოდი და სახლში წამოვედი. შინ რომ მივედი, სველი ტანსაცმლის გასაშრობად ღუმელში ცეცხლი დავანთე და უსაქმურობისაგან ჩაის სმა დავიწყე. ვსვამდი მაგარ ჩაის და თავისუფლებით ვტკბებოდი. ჩემი სახლის ტელეფონი კარგა ხანი იყო არ მუშაობდა, საუკეთესო შემთხვევაში ორი საათით თუ გაგრძელდებოდა ჩემი მარტო ყოფნა, სანამ ჩემი გაუჩინარებით შეშფოთებული მაიორი და ნანა არ მოვარდებოდნენ სახლში.

შტაბში გენერალური რეპეტიცია გავიარე. აწი კი ლაშას სახლეულობისათვის მომიწევდა იმის მოყოლა, თუ როგორ დაიღუპა ლაშა. ამაზე რომ ვფიქრობდი იმასაც მივხვდი, თუ რატომ არ დავახალე თავში ტყვია მწვანემაისურებიანს (ის სულ თავისი მწვანე მაისურით მედგა თვალწინ.). იმიტომ კი არა, რომ შემეშინდა არ ამეცილებინა. იმიტომ, რომ ლაშამ დაცემისას თავი კიბის საფეხურს დაკრა უკვე მკვდარმა. მე მხოლოდ ის ვერ მომენელებინა, ხელის შეშველება რომ ვერ მოვასწარი, თითქოს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თვით ლაშას სიკვდილზე უფრო მთავარი. იმაზეც არ შემეძლო მეფიქრა, ჩემი ბრალი იყო ლაშას სიკვდილი თუ არა. ნანას კი ეგონა, რომ ლაშას სიკვდილში თავს ვიდანაშაულებდი.

პირველად როცა ვნახე, ნანა იმიტომ მომეწონა, რომ ნათელი თვალები ჰქონდა. როცა ქალს ნანასავით ნათელი თვალები აქვს, გგონია რომ ის ღმერთმა შენთვის შექმნა ასეთი ნათელი თვალებით — შენს მიერ მიცემული სპეცშეკვეთით გაისარჯა, როცა ქვეყნიერებას მოავლინა. მერე ვნახე, რომ ნანას ძმასაც ასეთი ნათელი თვალები ჰქონდა. ეს ფაქტი მერე შევამჩნიე, როცა თაფლობის თვეემ გაიარა და დედა გარდამეცვალა. გარდაცვლილ დედას რომ შევყურებდი, აღმოვაჩინე რომ მე მის სახეს არ ვიცნობდი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, არავინ არ იცნობს დედის სახეს სრულყოფილად, მანამ, სანამ არ გარდაიცვლება და სახეზე სრული სიმშვიდე არ გადაეფინება. ჰოდა, მაშინ ჩემდა უნებურად, ყველას ვაკვირდებოდი სახეზე და აღმოვაჩინე, რომ მაიორსაც ნანასავით ნათელი თვალები ჰქონდა. მერე ჩვენი უმცროსი ბიჭიც მოევლინა ქვეყნიერებას და მასაც დედამისის ნათელი თვალები დაჰყვა.

მაშინაც, როცა გარდაცვლილ ლაშას შევყურებდი, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მის ნამდვილ სახეს დავცქეროდი, რადგან ლაშას საბოლოოდ რომ გაცივდა სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმშვიდდა.

ნანა ლაშას დამ გამაცნო. ლაშას და, ლაშა და მე ერთ სკოლაში ვსწავლობდით, რუსულ "Ш"_ს მაგვარ ძველ შენობაში, რომელსაც ხის იატაკი უჭრიალებდა. მე და ლაშა პარალელურ კლასებში ვსწავლობდით. ლაშას და ძალიან ლამაზი გოგო გახლდათ, ჩვენზე ორი წლით უფროსი იყო და ის ლაშასგან მალულად მთელი კლასის ბიჭებს მოგვწონდა და, არა მარტო ჩვენი კლასის ბიჭებს. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან რომ დავბრუნდი ლაშას და გათხოვილი დამხვდა, მაგრამ სკოლიდან შორს ვერ წასულიყო. ქმარ-შვილი რომ ერჩინა სკოლის გვერდით გასტრონომში დაეწყო მუშაობა გამყიდვლად. ინსტიტუტში კი გამოცდებს, ლაშას დის მაგივრად მისი უქნარა ქმარი აბარებდა. ქმარს მეტსახელად "მუსოლინი" ერქვა. მუსოლინი მიდიოდა ლექტორებთან და უტიფრად სთხოვდა მისი ცოლისთვის ნიშნები დაეწერათ. ლექტორებიც უწერდნენ. არ ვიცი რატომ, მაგრამ უწერდნენ. ლაშას ლოთი სიძის მორჯულება რომ მოსწყინდა, მასთან ჩხუბს თავი გაანება — ამას მისი დაც კარგად ახერხებდა.

საკმაოდ მხიარული ოჯახი ჰქონდათ, უფრო სწორად, მუსოლინი იყო მხიარული და ორიგინალური ვინმე. მუსოლინი ჩემზე და ლაშაზე ათი წლით იყო უფროსი და მტკიცედ გახლდათ დარწმუნებული, რომ ის ცოლს უნდა ერჩინა. ლუდმა ბოლო დროს ისე გაასუქა, რომ ბევრი ვერც ცნობდა.

მუსოლინი, ნანა და მაიორი ერთად მოვიდნენ (მაიორს წოდება მეტსახელად გადაქცეოდა, ომის დროს ნამდვილი სახელით არავინ მოიხსენიებდა ნანას მეტი.). მუსოლინის ლაშას დაღუპვის ამბავს რომ ვუყვებოდი, ის მდუმარედ მისმენდა. ლოთებისთვის დამახასიათებელი ფლეგმატურობით ცდილობდა წარმოედგინა ცოლისძმის დაღუპვის სცენა და ამიტომ მე დინჯად და დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერს. მუსოლინის ლაშა ძალიან უყვარდა, ოღონდ ამ სიყვარულს არ ამჟღავნებდა. ლაშამაც იცოდა, რომ სიძეს უყვარდა, მაგრამ მაინც არ იყო მის მიმართ ისეთი პატივსცემით გამსჭვალული, როგორც სიძე მის მიმართ.

მუსოლინი, რაც გასუქდა მას შემდეგ ზაფხულობით პერანგი არასოდეს შეუკრავს, სულ პერანგაღეღილი დადიოდა. მისი თაფლისფერი თვალებისათვის სარკაზმიანი მზერით გამასპინძლება ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას ნიშნავდა და ეს ღიმილი მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა — აზრის მაგვარ რაღაცას, ისეთს, როგორიც შენობებზეა გაკრული და იტყობინება, ამ შენობაში ესა და ეს დაწესებულება არის განლაგებულიო. მუსოლინის ღიმილიც იმას იტყობინებოდა, რომ მისი პატრონს ჭკვიან კაცად ყოფნის პრეტენზია ქონდა. ცხვირსახოცს გრძლად გაკეცავდა და ყელზე შემოიხვევდა, რომ პერანგის საყელო არ გაჭუჭყიანებოდა. ქალაქის პლაჟს დინჯად ჩამოუვლიდა ხოლმე, ხელები ზურგსუკან ჰქონდა შემოწყობილი და სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი, თითქოს პლაჟზე მყოფი ქალები იმის მოლოდინში იყვნენ, თუ რომელ მათგანს გახდიდა მუსოლინი თავისი ყურადღების ღირსად. თითქოს საკმარისი იყო პლაჟზე მყოფ ქალთაგან, რომელიმე თითით მოეხმო, რომ მის მიერ მოხმობილი ქალი მაშინვე გამოიქცეოდა და კისერზე ჩამოეკიდებოდა. დადიოდა და დროდადრო რეპლიკებს ისროდა რომელიმე ქალის მისამართით. ერთი სიტყვით მუსოლინი მეტად უცნაური და მეტად თავდაჯერებული ვინმე იყო. ომის მიმართაც ისე იყო განწყობილი, როგორც პლაჟური ცხოვრების მიმართ — არ ერეოდა, მაგრამ თვალს ადევნებდა და რეპლიკებს ისროდა.

მუსოლინის ეს მეტსახელი სკოლის მასწავლებელმა შეარქვა, რადგან გაკვეთილებზე ის ნამდვილი მუსოლინივით ბერავდა ლოყებს და სულელურად იმანჭებოდა.

თხრობა რომ დავასრულე, მუსოლინის შევხედე და პირველად მაშინ მივხვდი, რომ ყველას ასე ეგონა, რომ მაშინ, როცა მე და ლაშა კიბეებზე ავრბოდით, განგებ ჩამოვრჩი ლაშას, რათა ხიფათისთვის თავი ამერიდებინა. იმასაც მივხვდი, რომ საპირისპიროში ვერავის დავარწმუნებდი და მაშინ ისევ დამიბრუნდა იმის შეგრძნება, თითქოს, რადისტის თვითმკვლელობასთან ერთად დაწყებული სიზმარი ისევ გრძელდებოდა.

— თქვენ რაღაცას მიმალავთ, —ვუთხარი მე მუსოლინის, — ისე იქცევით, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, ლაშას რომ ესროლა იმან პირველად და არა მე!

მუსოლინიმ, თავისი თაფლისფერი თვალებით შემომხედა და მითხრა, რომ არავინ მადანაშაულებდა ლაშას სიკვდილში.

— იქნებ ჩემი ბრალიც იყოს, — ვთქვი მე, — მაშინ, გასაჩხრეკად რომ შევბრუნდით, ბინის გაჩხრეკა რომ არ გადამეფიქრებინა, ლაშა ალბათ ცოცხალი დარჩებოდა... ის ნაბიჭვარი ალბათ საწოლქვეშ იმალებოდა...

— ჩემი ბრალიცაა, — თქვა მაიორმა, — არც მე დამიძალებია ჩხრეკა... კარი რომ შევამტვრიეთ ის, ვინც ფანჯრიდან გადახტა რაციის დასამალად ემზადებოდა, არ ეგონა ალბათ ასე მალე თუ შევძლებდით კარის შემტვრევას და ოთახში შესვლას... რაცია ზურგჩანთაში ჩაედო და ფანჯრის ქვევით უნდოდა დაეკიდა გარედან. ყვავილების დასაწყობი რკინის რაფა ჰქონდა გარედან მიმაგრებული ფანჯარას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმაზე დაკიდებდა ალბათ, ჩვენ რომ ვერ გვეპოვა. რომ გვნახა პირდაპირ ფანჯრიდან გადაეშვა... ვერავინ მოვისაზრეთ ბინის პატრონიც იქ თუ იყო მაშინ!

ვხვდებოდი, რომ მუსოლინი ერთგვარ სასამართლო პროცესის მაგვარ რაღაცას მიწყობდა და ისიც მაგრძნობინა, რომ ლაშას ნათესავები მის დასჯას ელოდებოდნენ და რომ ისინი ისე მოიქცეოდნენ, როგორც მუსოლინი ეტყოდა.

მე მუსოლინის შევყურებდი, მის მიერ დასმულ კითხვებზე ვპასუხობდი და ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორ ვერდიქტს გამომიტანდა ის.

— ომია, ეს დედატირებული, — თქვა მუსოლინიმ, როცა ჩემს შინაურულ დაკითხვას მორჩა.

ნანა სანამ შინაურული დაკითხვა ტარდებოდა შორიახლო ტრიალებდა.

მაიორს შტაბიდან დაურეკეს, ერთი საათის წინ მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ჩამოვარდნილიყო სადღაც ტყეში და კატაპულტირებული მფრინავის მოძებნა იყო საჭირო.

— წამოხვალ? — მკითხა მაიორმა.

— აბა რას ვიზამ, სახლში ხომ არ ვიჯდები! — ვთქვი მე.

— ამ წვიმაში უნდა იწანწალოთ მთებში? — იკითხა მუსოლინიმ და ლოყები დაბერა, — კამიკაძეები ხართ!.. ისე წვიმს, მკვდარ კატას არ გააგდებენ გარეთ!

— რა ხდება? — მკითხა ნანამ, როცა მუსოლინი და მაიორი გავიდნენ.

— შენ მაინც დამანებე თავი, — ვუთხარი ნანას.

— შენ არ მითხარი, ჩემთვის ომი მორჩაო?

— ვნახოთ! — ვუპასუხე მე.

— შენ რომ არ წახვიდე რა იქნება... არავინ დაგემდურება, იტყვიან შოკში არისო... დაისვენე. პანაშვიდზეც ხომ უნდა მივიდეთ?

— შოკში არა ფეხებში ვარ! — ვუთხარი მე, — საიდან მოიტანე, რომ შოკში ვარ!.. მე დავრჩე და მაიორი მარტო გავუშვა?

— შენ რომ თავს დაანებებ ომს, გიორგიც თავს დაანებებს, — თქვა ნანამ.

— ასეა. გიორგი იმიტომ არ ანებებს თავს, რომ მე არ ვანებებ. მე იმიტომ არ ვანებებ თავს, რომ გიორგი არ ანებებს.

— მითხარი რომ ყველაფერი რიგზეა და მე დავიჯერებ, — მითხრა ნანამ.

— ყველაფერი რიგზეა, აბა რა ჯანდაბაა! — ვთქვი მე.

ძველმა ვილისმა ნაწვიმარ მთის აღმართზე ასვლაზე უარი განაცხადა და ჩვენ მთელი ხუთი კილომეტრი ფეხით ვიარეთ სანამ სოფლამდის მივაღწევდით. სოფელში კი მფრინავის კატაპულტირების ადგილი საკმაოდ ზუსტად მიგვასწავლეს. მფრინავის კატაპულტირებიდან კარგა ხნის შემდეგ ჩამოვარდნილა თვითმფრინავი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თვითმფრინავის ადგილსამყოფელამდე ჩვენი გაანგარიშებით ათ კილომეტრამდე მანძილი იქნებოდა. სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდით კიდევ ერთი სოფელს ავუარეთ გვერდი.

მფრინავს ცოცხალს ვერ მივუსწარით. დაკარგული თხების საძებნად მეორე სოფლიდან ტყეში გამოხეტებულ მამაკაცებს მოეკლათ. მფრინავის იარაღი სოფლელებს მიეთვისებინათ და ახლა მტრულად გვიყურებდნენ, ეგონათ რომ დაღუპულის პისტოლეტს მოვთხოვდით. ოთხნი იყვნენ. მფრინავისთვის დანებება შეუთავაზებიათ, ისიც თავიდან დათანხმებულიყო თითქოს, მაგრამ მერე მოულოდნელად სროლა აუტეხავს. თან მღეროდა და თან ისროდაო გვითხრეს სოფლელებმა. მთვრალი იყოო ასკვნიდნენ ამ ფაქტიდან გამომდინარე. თუმცა არც თვითონ გავდნენ ფხიზლებს მაინცა და მაინც და ისიც საკითხავი იყო, მართლა დაკარგული თხების საძებნად იყვნენ ტყეში წამოსულები, თუ ჩამოვარდნილი თვითმფრინავის დასათვალიერებლად, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ იყო და არც ვაპირებდით გამოძიების ჩატარებას, მით უმეტესს რომ სოფლელებმა ჩვენი საქმე გაკეთებული დაგვახვედრეს — მფრინავს მიაგნეს. გარდა ამისა თვითმფრინავი მათი თქმით ისეთ მიუვალ ხევში იყო ჩავარდნილი პირდაპირი გზით იქ ალპინისტებისა და თხების მეტი ვერავინ ჩავიდოდა, შემოვლითი გზის გავლას კი ოთხი საათი მაინც დაჭირდებოდა.

ცხედარს სახე არც უჩანდა, ტყვიებისგან სულ ერთიანად დაჩეჩქვოდა. გაპრიალებული ტყავის ჩექმები ემოსა. ფეხსაცმლის საცხით გაპრიალებულ ჩექმებს წყალი არც ეკარებოდა, წვიმის წვეთები წინწკლებად აჩნდა, როგორც ჩაციებულ ბოთლებს კოკა–კოლის რეკლამებში. ხელებზე რომ დავაკვირდი ისიც ძალზე მოვლილი ჰქონდა. საბუთები არ აღმოაჩნდა, ძალიან მინდოდა მისი სახის ფოტოსურათზე მაინც ნახვა.

— მადლობა ღმერთს რომ ჩვენს მოსვლამდე მოკლეს, თორემ ამის ძებნას სამი დღე მოვუნდებოდით! — ვთქვი მე, — თუმცა შეიძლება შორს ვერც წასულიყო... ნახე რა ნაზი ვინმეა ...ამას ფეხებიც ხელებივით ნაზი ექნებოდა...

— ხომ გადაირივენ შტაბში, როცა ვეტყვი მფრინავი მკვდარია-მეთქი!

— შენ, ბოლო დროს რატომღაც ძაან უფრთხილდები შტაბის ნერვებს, შეყვარებული ხომ არა გყავს იქ... ახლა არ მითხრა გვამი წავასვენოთო, — ვუთხარი მაიორს.

— აბა რისთვისა ვართ აქ მოსულები?

— დამკრძალავი ბიურო ხომ არ გაგვეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნა?.. ანდა, გვამების გადაზიდვის კანტორა!.. გადაგვაქვს გვამები ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ მანძილზე სწრაფად, ოპერატიულად და დაუზიანებლად!..

— მანქანამდის უნდა მივათრიოთ. გავახვიოთ თავისსავე პარაშუტში, ჭოკზე დავკიდოთ და ორი კაცი, წინიდან და უკნიდან მხარზე შეიდებს ჭოკის ბოლოებს...

— როგორც კინოებშია, არა?!

— ხომ ხედავ ტომარაც არ დაგვჭირდა, თავისსავე პარაშუტში გავახვევთ და მორჩა!.. რაც უფრო მალე დავიწყებთ, უფრო მალე მოვრჩებით, — თქვა მაიორმა. რადგანაც ითვლებოდა, რომ მე შოკში ვიყავი, ჩემს შეპასუხებას და ირონიულ შენიშვნებს სხვების თანდასწრებით არ თაკილობდა.

—სოფლელებს მივათრევინოთ... თუ უნდათ რომ პისტოლეტი დავუტოვოთ, მანქანამდის მიგვათრევინონ, — ვუთხარი მე მაიორს.

— ჰოდა, შენ უთხარი!

— შენ რას მიკეთებ?.. მაიორი შენა ხარ და შენ უთხარი!

— მე ამათთან ჭიდაობის თავი არა მაქვს და არც მცალია, თვითმფრინავიც უნდა ვნახო რა მიუსვლელშიც არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი! — გაჯიუტდა მაიორი.

— თვითმფრინავი დაიწვებოდა... ასეთ შემთხვევაში თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდება ხოლმე და ისე დაიწვება, მისგან არაფერი რჩება, შავი ყუთიც კი... კინოებში მაინც არ გინახავს?! — ვთქვი მე.

— ჰოდა, დამწვარი თვითმფრინავი უნდა ვნახოთ... თუმცა არა მგონია დამწვარიყო, კვამლი აუვიდოდა და ყველა ნახავდა...

— ეს კარგ ამინდშია კვამლი ცისკენ რომ ადის, თორემ წვიმიან ამინდებში კვამლი სნაიპერივით მიწაზე გაწვება ხოლმე და შორიდან ვერც ნახავ!.. იმ თვითმფრინავთან მისვლა ადვილი რომ იყოს სოფლელებს შენ დაასწრებდი? ხომ წარმოგიდგენია რა საინტერესოა თვითმფრინავის დათვალიერება სოფლელებისათვის... ეგეც რომ არ იყოს, უბრალოდ ვერ მოვასწრებთ, დაღამებას იწყებს, — ვუთხარი მე.

— უნდა მოვასწროთ და თვითმფრინავი აუცილებლად ვნახოთ! — თქვა მაიორმა.

— აბა კარგად შემოგვხედე, რომელი ვგავართ ალპინისტს ან თხას, კლდე–ღრეზე სეირნობა რომ გვესიამოვნოს?

— ჯანდაბას, ეგებ ამათ თხებს გადავაწყდეთ სადმე, თუ მართლა არსებობენ ის თხები. ხორცი გაგვიჩნდება. მფრინავი რომ მოგვიკლეს, ბულკივით ბიჭი, სუფთაჩექმებიანი, სისხლი ხომ უნდა ავიღოთ?.. ვეტყვი ბუჩქებში რაღაცა შეინძრა და ჩვენ მეორე მფრინავი გვეგონა და იმიტომ ვესროლეთო... შენ მხოლოდ ის მითხარი, დაახლოებით მაინც თუ იცი, სადა აქვს შავი ყუთია თუ რაცხა ჯანდაბაა იმ დედატირებულ თვითმფრინავს... ოღონდ თვითმფრინავის გაჩხრეკასაც ნუ დამავალებ! — ვუთხარი მე.

— რატომ ბიჭი, რა ხდება? — გახუმრება სცადა მაიორმა.

— ოღონდ შენი დასავით ახლა იმასაც ნუ მომთხოვ, მითხარი რომ ყველაფერი რიგზეაო! — ვთქვი მე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ხუნდაძე



●

მთელი ცხოვრება რაღაცას ველით,
უკურნებელი გულს სჭირს იარა,
გვესმის დღემუდამ მოტივი ძველი,
გვთუთქავს ხანძარი მზეებრ ბრიალა.

ადრე მრავალგზის რომ გაგვაწვალა,
ვეხმაურებით ნაცნობ ნიავებს,
თავსხმა წვიმებსაც არა აქვთ ძალა, -
წყლულს უჩინარი ცრემლით ვიმებთ.

●

ვჩქარობ, მტერს და ავს, კარს რომ მომდგარან,
ბრმად რომ სჩვევიათ ქროლვა ქარული,
რომ ვერ არჩევენ თავთხელ წყალს, დარანს,
უნდა დროულად ვუთხრა არული.

უნდოს, ავზნიანს, ქურდსა და ახვარს
გულს ჩემი ყურძნის უმაგრებს ღვინო,
გადავაჩვიო უზნეო ხარხარს
და დამფრთხალს კუდით ქვა ვასროლინო.

●

*„ტირილი*
*ყველას არ ძალუძს ქვეყნად*
*და ზოვი*
*სწორედ ამიტომ მღერის“*
მ.ფოცხიშვილი

მიხმობს სურნელი გვირილის
და რიტმი გულის ძგერის,
არ შემიძლია ტირილი,
სწორედ ამიტომ ვმღერი.

ვალი არავის მმართებს,
ვუვლი საქვეყნო ქართას,
გულში დაგროვილ ტკივილს
სწორედ სიმღერას ვატან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სიყრმის დღეები მახსენდება და გული მითრთის,
ისევ ჟღერს თითქოს ის მუსიკა საამოდ ჩემდა,
თუმცა ბევრი რამ მაშინდელი ფერია ფითრის, -
რატომღაც კარგის გახსენება ბოლოს დამჩემდა.

გადიშხუილა, ქარებს გაჰყვა დელგმა და ზვირთი,
გაიღო თითქოს დაგმანული ადრე ფანჯარა,
მიუალერსა ბუჩქს ნიავმა და გასკდა კვირტი,
კვლავ სასიკეთოდ დატრიალდა ცხოვრების ჯარა.

გზები გასწორდა, გაუვალი, იკლიკანტური,
ადრე მძინარე გამოცოცხლდა სოფელ-აული,
ნავსი გატყდა და სასიკეთოდ დღეს ჟღერს ფანდური...
მაგრამ არ დგება სასურველი დღესასწაული.

დღეს მოგონებით მხოლოდ ვცხოვრობ, სხვა რაღა დამრჩა...
მე ხომ არასდროს არა მცმია დიბა და ფარჩა.

## იქროლე!

წამოუბერე ისევე, ქარო,
შენი შრიალი ჩამესმის ნანად,
დამყაყდებოდა მთელი სამყარო,
გადიქცეოდა გუბედ ქვეყანა...

შენ რომ არ იყო და არა ქროდე,
აღარ მოგქონდეს თან წვიმის ნამი,
გამიჭირდება სულისთქმა ოდეს,
შემევერცხლება ცრემლით წამწამი...

არ ვიცი შენი ფერი, იერი,
თუმც კარგად ვიცნობ შენს ზნეს და გემოს,
ამ ნაცნობობით ვარ ბედნიერი...
იქროლე კვლავაც, ძმობილო ჩემო!..

## სანამ არ იქუხებს თოფი

აღარა ჭრის მტერთან აჯა,
დრო კი კვლავ ულმობლად გადის,
მოთმინება გაიხარჯა,
აღარ გვყოფნის არაქათი.

დგას კვიმატი წელიწადი,-
არ ვუჯერებ მაგს და მკითხავს, -
ნათელივით არის ცხადი,
რომ სიკეთეს ვერ მოგვიტანს.

ჩვენც მოგვწყინდა უქმად გდება,
დამიჯერებს ჭკვაზე მყოფი, -
საშველი არ დაგვადგება,
სანამ არ იქუხებს თოფი.

## გაგვაძლებინე

გვინდა სიცოცხლე, მაგრამ საწუთრომ
გამოიტანა სხვა განაჩენი,
დღეს მაგრად ვდგავართ, თუმცა კი უფრო
გვრჩება, უფალო, იმედი შენი.

ხელმოცარულ და ნაძრახ სიცოცხლეს
ჩვენ გვირჩევნია, სული არ გვედგას,
გაგვიჭირდება, - შენ მოგიწოდებთ, -
გაგვაძლებინე წვიმას და დელგმას.

●

არ იმალება, შორიდანც მოჩანს,
რასაც ინახავს ფუძე და ნერჩი, -
სანათესაო და საძმო დროშას
შენ ერთგულთაგან ერთიღა შერჩი.

ყონაღი იყავ და ეზიარე
სიმდიდრეს ღალატგამოვლილ სულის,
ახლა მკურნალობ გულის იარებს,
რომ შეგინახავს ხსოვნას წარსულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოვალ შენამდე

მოულოდნელად დაიწყო თოვა,
ფანტელი ცვივა ზეციდან მიჯრით,
მენატრები და უცილოდ მოვალ, -
მე უშენობა ძალიან მიჭირს.

რა გაეწყობა, დროა ვერაგი, -
არეულია ბრელო და ნამჯა,
ტანთ შემომაცვდა ძველი პერანგი, -
მოვდივარ... გზა ჯერ საკმაო დამრჩა.

თუმცა შინიდან გამოვეპარე, -
თვალს არ მაშორებს, სატანა დამდევს,
მიჩლუნგებს გრძნობას და სულის ზარებს...
ამჯერად მაინც მოვალ შენამდე.

## ვკვდები

შავი ზღვის ტალღა მიხმობს თავისკენ,
ვწყევლი და ვკრულავ დღეს დაბადების,
მე გევედრები, ღმერთო, დამიხსენ, -
არ მასვენებენ ღამით ლანდები.

სულს უმძიმესი აწევს ბორკილი,
უბორკილოდ მაქვს ხელი შეკრული,
ვერ მიცხრობს სახმილს ნიავი დილის,
დარდის მაყალზე ვიწვი ბედკრული.

მუდამ ჩამესმის სევდის მოტივი, -
შემოჯარული მიყეფენ მტრები,
გაყინული მაქვს გული ლოდივით,
ყოველ ცისმარე თითქოსდა ვკვდები.

## ოთარ ჭილაძეს

ბევრი მიღწევის უკან დაგრჩა საზღვარ-სამანი,
უფალი ღმერთი დაფასებას არასდროს ჩქარობს,
იცნობ ცხოვრებას, არ გეშლება ანი და ბანი,
შენ ეპიკური შენეული შექმენ სამყარო.

მამულიშვილის მკერდში გიძგერს მგზნებარე გული,
ქართული სიტყვა მსოფლიოში გააჯირითე,
ზოგს სახელი აქვს, - ფასი მისი ტოლია ნულის,
შენზე იტყვიან... თაობები შეთხზავენ მითებს.

დიდმა უფალმა საოცარი მოგმადლა სული,
მაშვრალი გლეხის რუდუნებით ჰკრავ მხატვრულ ულოს,
საპირისწონევ ჩვენი ქვეყნის აწმყო-წარსულის,
შენს აზრებს, ვხედავთ, კვალში მისდევს, ბევრი სესხულობს.

ვერ ეგუები წუთისოფელს მუხთალს და დუნეს,
მწარედ განიცდი ჩვენს ჯილაგში ნამუსის კლებას,
სიტყვით და საქმით მთელი ერი შენ დაარწმუნე,
რომ მთავარია ქვეყნად სულის თავისუფლება.

შენ ქართულ სიტყვას გაუჭერი ახალი არხი,
ქედმოუხრელი რაინდი ხარ, მამულის მცველი,
მტრის გულსაკლავად შენი ბედის ტრიალებს ჩარხი,
წინ წარმატება, გვწამს და გვჯერა, მრავალი გველის.

გულკეთილი და ხათრიანი ყოფილხარ ხისტიც,
ვერა, ვერ შეგცვლის ჭარმაგს სამოცდაათი წელი,
ერის შვილი ხარ საამაყო, ხარ ჰუმანისტი,
ქედუდრეკი და საიმედო შენ ხარ ჯეელი.

•

ნათელს ნუ მიქცევ ბინდად,
არ გამიშავო დილა,
ვერ დაიძინებს მშვიდად,
ვინც ავკაცობას ცდილა.

იქნებ, მერგუნა ბედად
მუდმივი ჭაპანწყვეტა,

რაკი ცის ნათელს ვხედავ, -
ვებრძვი ბოროტს და ცვედანს.

ხშირად ვაკეთებ ნაბულს,
ყურს ვუგდებ გულის თრთოლას,
არ მოვადუნებ თვალ-ყურს
და არ მოვიშლი ბრძოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცოდვილი

საკუთარ თავსაც გავურბივარ, როგორც ცოდვილი,
უხეშმა ძალამ ატვირთვინა რომელსაც ცოდვა,
რომ ვერ პოულობს მოსვენებას ბრმა და ბორგვნილი
და მისჯილი აქვს უფლისაგან სიპი ქვის კოდვა;

ყურს აღარ უგდებს ანგელოზებს, ნაზს და ფრთიანებს,
ერთგვარად უფრთხის ქველმოქმედსა თუ უნდო ვამპირს
და გახსენება წარსულ დღეთა აღიზიანებს,
ვეღარ პოულობს საოცნებოდ მიჩნეულ ნაპირს;

მუხლი არ ერჩის ძველებურად, არის სნეული,
გადაჯეგილი წუთისოფლის მარბიელ ზვავით
არ აღიარებს, თუმც კი ხედავს, - არის ძლეული,
დავიწყებია სალოცავი და საესავი.

როგორც ცოდვილი, გავურბივარ საკუთარ თავსაც...
რადგან ერთგვარად მიფასებენ კარგსაც და ავსაც.

●

ცას მივაყუდე მაღალი კიბე,
შორიდან მესმის ეშმას ქირქილი,
მე შენი მწდე ვარ და მერიქიფე,
ღია მაქვს გული და სულის ჭრილი.

მივყვები კიბეს სულ ზევით-ზევით,
შორ გზას შემოვრჩი სნეული, მარტო,
კვლავ მაგონდები ძველებურ თნევით
და ძველ სადარდელს ისევე ვდარდობ.

## იქ დაგრჩა

ისევ აყვავდა იასამანი,
დრო ითოკება მძიმე და გრძელი,
ხსოვნაში ცოცხლობს დღესაც ტამანი,
რომ გენატრება ცხოვრება მთელი.

რა დრო გასულა! - არც გახსოვს როდის
(შენ არ ყოფილახრ ყირიმის ხანი,
დღესაც არ იცი, რისთვის იბრძოდი), -
იქ დაგრჩა სიყრმის ძალა და ჯანი.

## არჩევანი

გაუკუღმართდა თქვენს ხელში ჩარხი, -
ავაზაკები თქვენ ხართ, ქურდები.
განსხვავებული ჩვენა ვართ ხალხი, -
მე თქვენს ბუდეში ვერ დავბრუნდები.
სწორი გზა ძნელი ასარჩევია,
ვით მარტოკაცი, ვარ დაუცავი,
თქვენს გვერდით დგომას მე მირჩევნია,
საკუთარ ხელით მოვიკლა თავი.

## დილა, შუადღე, საღამო

შენთან შეხვედრა არ მინდა,
ვშიშობ, ვერაფრით გაამო.
რა არის ჩვენი ცხოვრება? -
დილა,
შუადღე,
საღამო.

ამბობენ სინანულითა,
დაგვთრგუნა უცხო ძალამო,
რა პასუხს გავცემთ ცხოვრებას
დილას,
შუადღეს,
საღამოს?

გვაქვს პირგახსნილი იარა,
ვერ შევურჩიე მალამო,
კუჭზე ზრუნვაში ვატარეთ
დილა,
შუადღე,
საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა დოლიძე

ციკლიდან: **„პროზა - პოეზია“**

## სინანული



ძილის წინ, ტკბილად რომ ჩამეძინოს, ისევ და ისევ ვატრიალებ ფილმს, სულ პირველად სკოლიდან გამოპარულმა რომ ვნახე; მას მერე კარგა ხანს დავდიოდი რბილი, შენელებული ნაბიჯით; ხეს დანას ვესროდი და ჯინსებისთვის ფულს ვაგროვებდი.

დღესაც ბიჭივით შევცქერი ქვიშის ქარების სანავარდოში ჩადგმულ პატარა ქალაქს სასაფლაოსკენ აღმავალი ქუჩით; პანტერასავით გადავიარე გზა და ეტლს შევახტი. „ფანჯარას ახედე, ფარდა შეინძრა!“ ვეუბნები გვერდში მჯდომს. „აქედან ვერ მივაწვდენ, ჯერ გვესროლოს!“ თავს ვუქნევ...

მერე ზევით, სასაფლაოს კართან, ხელის უსწრაფესი მოძრაობით ფართოვდება და მარადისობაში ჩერდება წამი...

რა მემართება? რა ხდება ჩემს თავს? საიდან ჩნდება ნოსტალგია გამოგონილი სურათის მიმართ? გამოგონილი, ნამდვილად მომხდარისგან განსხვავებით, შეიძლება გაიმეორო, მაგრამ გაიმეორო მხოლოდ იმიტომ, რომ შეიგრძნო იმის ნაკლებობა, რაც ოდესღაც ავსებდა მას, რაც იყო და აღარ არის, რისი გამეორებაც შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, დღესაც ტრიალებს ძველი დროის ნაფლეთები ჰაერში; წამიერად გამოარღვევს დღევანდელობის გარსს გამძაფრებული წარსული და კალენდრის ფურცელივით მოწყვეტილი დღე გადაფრინდება ორმოცი წლით უკან, - ხეზე მიკრული რადიოდან სიძველისგან დამტკბარი მელოდია ისმის და არც ისმის; თითქო ფიქრი იჭერს მას და არა ყური; ჩემს მონატრებას ეხმიანება და ვდგავარ მოჯადოებული; მეშინია, გავინძრე; მეშინია, უეცარ მოძრაობას არ შეეწიროს წამიერად შემდგარი სურათი, მეხსიერების სხივს რომ ირეკლავს და რბილი სინათლით ახავერდებს ბაღს; ქარს მიაქვს და მოაქვს სკივრიდან ამოღებული სიმღერა, მეალერსება გამქრალი დრო და სინანულის ტალღა არღვევს ჩემი გულისა და გონების საზღვარს...

## დალი

ოქროყანის ბაღი ჩუმად იდგა. ღობის გარეთ ვან-გოგის ფუნჯით დადებული ზვინები თივის სუნს გამოსცემდნენ და მინდვრის მყვირალა ფერებთან ერთად ბაღის სიმწვანეს არღვევდნენ. შავი ფანქრით ჩახატული კაცუნა დარაჯობდა ბაღს. იჯდა კაცუნა ფერთა ძაფებით მოქსოვილ ურიკაზე და იდგა ურიკა წვიმით მოწმენდილ მინდორზე. ქარი ათამაშებდა ფოთლების ჩრდილს მზის სხივებით მოფენილ კლდეზე. უეცრად კლდე გაიხსნა და გამოქვაბულიდან დალი გამოვიდა. გამოვიდა სრულიად შიშველი და ბაღის კიდეზე ჩამოჯდა. მოგროვდა ხალხი. აწვია ხელი მწუხარე სახის, ცანცარა დარაჯმა და გაუბედავად, თითქოს სხვის ბრძანებას ასრულებსო, სილა შემოჰკრა. შემდეგ ერთბაშად აყვირდნენ, ახმაურდნენ ხელისგამრტყმელს ამოფარებული ქალები, მაგრამ მათი ყვირილი არ უკარგავდა ბაღს მყუდროებას, არც მის სიჩუმეს არღვევდა, რადგან ბაღი თავისთვის დუმდა, ისინი კი თავისთვის ენამყრალობდნენ. დალიც იმისი ფუნჯით იყო ჩახატული, ვინაც ბაღი ააფერადა, ამიტომ მელნით ჩაწერილ დამსვენებელთა მუქარა ვერ აღწევდა მის ყურს. ვერც მისი თვალი ხედავდა მაღაზიის წინ მოხტუნავე მძღოლებს, ხარბად რომ შესცქეროდნენ ვარდისფერ ლაქად დადებულ ქალს მწვანე მინდორზე, ერთმანეთს ახტებოდნენ, მოისწრაფოდნენ ამ სასიამოვნო ფერისკენ, მაგრამ ვერ ეკარებოდნენ სულის სამყოფელს და ისევ ხორცის რიგში დგებოდნენ. ბაღი კი იდგა თავისთვის წვიმით განბანილი და მის ბინდით მოცულ სივრცეში ქარი დაფრინავდა ჩემს ოცნებებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინანდლის ბაღი

ისე მინდა განვეწყო, რომ წინანდლის ბაღი არ იყოს მხოლოდ წინანდლის ბაღი; მივყვები ბილიკს, არ ვიცი, საით; ნამდვილად არ მამოძრავებს ბაღის საზღვრების დადგენის სურვილი, დასანახი და შესაცნობი აქ სხვა რამეა, ჩვეულ სევდას ბევრად აღემატება თავის თავში დანთქმული ბაღი, თავის მდუმარებასა და უძრაობაში დროთა კავშირს რომ აღადგენს. აღადგენს არა ბაღის ისტორიას, არამედ ჩემს დაფლეთილ ცხოვრებას... მინდა, დაკარგოს სიტყვამ სილამაზე, აზრი, მნიშვნელობაც კი, რომ იქცეს სიტყვა გამჭვირვალე შუშად, რომელიც გამოაჩენს წინანდლის ბაღს. მივყვები სტრიქონის ბილიკს ბაღის სიღრმეში, ვუსმენ მის ფარულ ხმოვანებას, ჩემი გულივით რომ ძგერს და ხედვით აღქმაში რომ გადადის; ვხედავ მუსიკას თვალით დაუნაწევრებელ ფერთა ტონალობაში და მოვყვები მუსიკას, რომ მწვანე ტალღების მიქცევ-მოქცევაში ნანატრი სურათი გამოჩნდეს, მივიწყებული შთაბეჭდილება აღდგეს. მახსენდება ნაძვნარში ჩაქსოვილი სახლი... პირდაპირ ბაღში იხსნება შუშაბანდიანი დარბაზი, სათამაშოებით მოფენილ ხალიჩაზე ლიანდაგი გადის, პატარა მატარებელი ტრიალებს, წამდაუწუმ ყირავდება, ისევ ბორბლებზე დგება... არ მინდა, ამ მოგონების მოგონებებად გაშლა, ის მთლიანად, დაუნაწევრებლად ცოცხლობს გულში, თვალი ვერ წუდება აგურის კედელს, ვიტრაჟებიან ფანჯარას, ქოლგასავით გაშლილ სახურავს... ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ვიარე, ვიარე და იქ მივედი, რომლის იქითაც წასვლა აღარ შეიძლება, აქ უნდა ვიყო და ვიყო, აქ არის დაუნჯებული ჩემი ცხოვრება, ჩემი დრო, ჩემ თავთან ყოფნის საიდუმლო წუთი; წუთი, რომელიც არ იძვრის, თუმცა გახვეულია დღელამის ტრიალში, ჩაძირულია წლების წარმავლობაში; თვით უძრავია, სულიერ ძალთა მოძრაობის ტალღაზეა შემდგარი. ტალღები ერთმანეთს ენაცვლებიან, ბაღი კი შეუცვლელად დგას, შემომცქერის; აბა, რას ვეტყვი, როგორ მოვიქცევი, შევძლებ თუ არა მისი არსის დანახვას, ამ არსის შთაბეჭდილებებად და სიტყვებად გაშლას. ყოველდღიურობით გაფანტული, ახალ საუკუნეში ინერციით გადმოსული წინანდლის ბაღის წინაშე ვაჯამებ ჩემს თავს, ვეძებ სიტყვას, რომელიც ბაღის წამიერ შემოხედვას გამოთქვამს. არ მინდა, გავშალო ის ბავშვობის მოგონებებად, რადგან მაშინ დროს უნდა გავყვე, მართალია, უდარდელ დროს, მაგრამ მაინც ცვალებადს, მოუხელთებელს. ბაღი კი მეუბნება, რომ არ არსებობს დრო; რომ სიზმარია მოძრაობა წარსულიდან მომავლისკენ; რომ ცხადი არაფრით არის უკეთესი სიზმარზე; რომ ნამდვილია მხოლოდ ხიდი ცხადსა და სიზმარს შუა, ხიდი, რომელზეც საკუთარი რისკით უნდა შედგა ფეხი; რომ მთავარია ამ ხიდზე ყოფნა; მთავარია, სულ იყო ზღვარზე; მთავარია, შეიგრძნო ბაღი, მაგრამ არ დაანაწევრო ის სინანულის ათასფერ შრეებად, რადგან მხოლოდ მის მთლიანობაშია ჩაქსოვილი ის, რაც სიცოცხლის ღირსად აქცევს ჩემს ცხოვრებას.

ასე ეთამაშება მახსოვრობას წინანდლის ბაღი, სადაც მე ვარ გარდასული ჩემი სათამაშოებით, ბავშვობის დაუვიწყარი დღეებით, ნანატრი სახეებით, ატმოსფეროთი, რომელიც გარს ერტყმოდა ძველ ურთიერთობათა დაკარგულ პლანეტას. ჩემთვის კახეთში მოგზაურობა იყო ნათელ სივრცეში გასვლა, სადაც დაპირებებით და საჩუქრებით სავსე დრო ჩემ შესახვედრად მოქროდა... და უცებ გაიხსნა ბაღის გალავანი და გაიშალა ალაზნის ბინდით მოცული ველი, როგორც დროში დაქსაქსულ გზათა ხალიჩა და შევგრძნება, რომ, საითაც გინდა, იქით შეიძლება წახვიდე; რომ ირჩევ გზას და მაინც გზაჯვარედინზე რჩები, რადგან არც ერთი გზა არ გამძიმებს, არ გზღუდავს და ყოველწამს შეგიძლია გზიდან გადაუხვიო და ახალი მიზნისკენ უგზო-უკვლოდ წახვიდე; თავისუფლების ეს ნათელი შეგრძნება მეგზურივით მიმიძღვის წინანდლის ბაღში, ჩემი ცხოვრების სათავისკენ...

# „საქართველო“

დენის მავთულხლართებში გახვეული ტყვიის ღრუბელი... მთიდან ჩამოქანებული ქუჩა თავპირისმტვრევით ეშვებოდა დიდი პოეტის სახელობის პროსპექტზე. სოლოვიევი სიგარეტს ეწეოდა ქუჩის კუთხეში. მიდი-მოდიოდნენ მანქანები და იისფერ ბოლქვებს აფრქვევდნენ გაუბედურებულ რუსს. ბენზინის ბოლს უერთდებოდა სიგარეტის კვამლიც. მოკლედ, ეს ქუჩის გლახა მთლიანად აირ-გაზების სამოსელში იყო გახვეული, ფეხზე ძლივს იდგა და მაინც ხელიდან არ უშვებდა თითქმის ჩაცლილ კონიაკის ბოთლს, რომელსაც ეტიკეტზე ეწერა „საქართველო“.

# ოვაგერესოსები, დამარები და მთიელი დამარები

სემანტიკურ ხალხთა მეტად საინტერესო ჯგუფს ოვაგერესოსები, დამარები და მთიელი დამარები შეადგენენ. უკვე სათაურიდან ჩანს, რომ ხსენებულ ხალხთა მიწა-წყალი ალაგ-ალაგ მოჭმუჭნილია, თვალშეუწვდენელ მინდვრებსაც მოიცავს და მწვერვალებსაც, რადგან მთა-ბარის გარეშე, მხოლოდ ტრამალზე, მთიელი დამარების დამარებისგან გამოყოფა არაბუნებრივი იქნებოდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ოვაგერესოსები, დამარები და მთიელი დამარები არსებობენ მკვეთრი ურთიერთკონტრასტების საფუძველზე, სადაც შეუძლებელია ეთნიკურ ჯგუფთა აღრევა და ერთა ინტეგრაცია.

რაც შეეხება კანის პიგმენტაციას, ოვაგერესოსები თეთრებიც არიან და შავებიც. ფერთა კოლიზია განსაკუთრებით საგრძნობია დამარებსა და მთიელ დამარებს შორის. მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მიუხედავად, მათ შორის არ ჩამოყალიბდა შუალედური ფენა, არ გაჩნდა მოყავისფრო ელემენტი შავ-თეთრ მასაში, რაც დაადასტურებდა ჰიპოთეზას ერთა ინტეგრაციის შესახებ. პირიქით, ჟამთა სიავეში მთიელმა დამარებმა არათუ შეინარჩუნეს, ახალი ელფერი და საზრისი შესძინეს თავიანთ ავტონომიას. არაბული ასო-ნიშნები ლათინური დამწერლობით შეცვალეს, დამარებისგან ნასესხებ სიტყვებს დაუმატეს თავსართი „ა“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგად შექმნეს ახალი ენობრივი ველი, რომელშიც უმალ შეიყვანეს უახლესი სამხედრო ტექნიკა.

მთიელი დამარების ბრწყინვალე წარმომადგენელი ფუჩკუტალა ვრცელ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ „მდინარე ჩქერკუტა ოვაგერესოსთა სამეფოს სამხრეთ მხარეს ყოფს ორ ავტონომიურ ოლქად, სადაც ერთმანეთის პირისპირ დგას ორი განსხვავებული ერი - დამარები და მთიელი დამარები“. ამასთან, ზნეობრივი თვალსაზრისით ფუჩკუტალა მთიელ დამარებს დამარებზე მაღლა აყენებს, თუმცა იქვე (გვ. 1207) დასძენს, რომ, სამწუხაროდ, მთიელ დამარებში დღესაც მძვინვარებს სისხლის აღების წესი, რის გამოც არაერთი ვაჟკაცი წევს მთიელ დამართა ეროვნულ მოღვაწეთა პანთეონში.

ოვაგერესოსები მონისტები არიან. ისინი თვლიან, რომ სამყაროს ერთი საწყისი უდევს საფუძვლად. მათი წილი ცისქვეშეთი საოცრად მოწესრიგებული და სისტემაში მოყვანილია. სისხლში კატეხოლამინების სიმცირის გამო, ოვაგერესოსთა მასა ძნელად ფეთქებადია. მშვიდი ბუნება, მორჩილება და ხასიათის მდგრადობა მათი სისტემატიზაციის შესანიშნავ პირობას ქმნის: ყოველი ოვაგერესოსი აღრიცხული და კატალოგში შეტანილია. საკმარისია, თითი ჩააყოლო ანბანურ საძიებელს, გამოსწიო შესაბამისი უჯრა, გადაფურცლო ბარათები, რომ მიიღო სრული ინფორმაცია ოვაგერესოსის აწმყოსა და წარსულის შესახებ, დროის როგორც დასრულებულ-პერფექტულ, ასევე კონტინიუსის გაგრძელებულ ფორმაში. შეიძლება გაიგო, როგორ იყო ის გუშინ, როგორ გრძნობს თავს დღეს, ან რას აკეთებს ამ წუთში.

მისი მომავალიც წინასწარგანსაზღვრულია, ოღონდ აწმყო-ნამყოსგან განსხვავებით, გასაიდუმლოებულია და სპეციალურ არქივში ინახება. არქივს ქურუმთა საბჭო დარაჯობს. საბჭო თვლის, რომ მერმისის ცოდნა ოვაგერესოსის მოწესრიგებულ ცხოვრებაში შიშნარევ მოლოდინს შეიტანს; ნულამდე შეამცირებს მოულოდნელობის ეფექტს და მის სულიერ ცხოვრებას ბრმად დაუქვემდებარებს ბედისწერას. მართალია, ლეგენდების მიხედვით ყოფილა სპეცარქივის ფარული წვდომის, გახსნისა და მომავლის წინასწარხედვის შემთხვევები, მაგრამ დღეს ამის ალბათობა იმდენად მცირეა (10-9), რომ დიდი სიზუსტით შეიძლება ითქვას: „ყოველი ოვაგერესოსი თავისუფალია და საკუთარი ხელით აშენებს თავის ცხოვრებას!“

სულ სხვა ვითარებაა მთიელი დამარების განზომილებაში. ფუჩკუტალა სამართლიანად შენიშნავს, რომ მთიელი დამარის ანბანურ საძიებელში შეტანა ისევე შეუძლებელია, როგორც ცეცხლის მაცივარში დანთება. არსებობს გადმოცემა, რომ ოდესღაც ქურუმებს ერთ-ერთი დამარი ძალით მოუთავსებიათ მისთვის განკუთვნილ უჯრაში. მეორე დღეს კი მთელი კატალოგი შიგნიდან აფეთქებული და გამომწვარი აღმოჩნდა. ბარათები, უჯრები, თაროებიც კი ფერფლად იყო ქცეული, რის გამოც ოვაგერესოსთა იქ განთავსებული მასაც აღიგავა პირიდან მიწისა.

ეთნოკატასტროფის ამ შემაძრწუნებელ ფაქტს ოვაგერესოსი ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხსნიან. ალ-ხუი-კუტას მიხედვით, კატალოგის აფეთქებამდე შიგ შეტანილი ხალხი სახლობდა ქვეყნის სამხრეთით, მთიელ დამართა საზღვარზე. ეს გახლდათ ოვაგერესოსთა უძველესი ტომი, ბერკუტას ტომის სახელით მოხსენიებული ბროკგაუზენის ენციკლოპედიაში. ბერკუტა ტომის მამამთავარი ყოფილა. მან პირველმა მოახდინა შავ-თეთრი ხალხის სელექცია და საჯიშედ შერჩეული პირები დაასახლა მთის ძირას, მდინარე ჩქერკუტას სათავეებთან. ბროკგაუზენი შენიშნავს (ტ. 37, გვ. 10121), რომ ხსენებული ტომი ვერა და ვერ შეეთვისა მთიელ დამარებს; მათი ყოველი კონტაქტი მოკლე ჩართვის, ხანძრის და ეთნოაფეთქების დიდ საშიშროებას ქმნიდა; ამიტომ დასძენს ალ-ხუი-კუტა, გასაკვირი არც არის, რომ მთიელი დამარის კატალოგიზაციის ცდა მისთვის შეუფერებელ ეთნოსში კატასტროფით დამთავრდა: ამოიბუგა და განქარდა ოვაგერესოსთა ძირძველი ტომი.

ცნობილი ოვაგერესოლოგი ს.კუტუბიძე ერთა ანიჰილაციის ამ ფაქტს სხვაგვარად ხსნის. თავის ახსნა-განმარტებაში ის უშუალო მოწმეებს, მოხეტიალე მწყემსებს ეყრდნობა. ერთ-ერთი მწყემსი, ცხვირკუტა თურმე იმ საბედისწერო დღეს ბერკუტას სოფელში ყოფილა. შერეულ მაღაზიაში მას შეუძენია კალკულატორი ცხვრების დასათვლელად, იქვე შეხვედრია ბერკუტას და ამ უკანასკნელის დაჟინებული მოთხოვნით დაულევია არაყი. შემდგომ ამისა ცხვირკუტას ღრმად ჩასძინებია და, რომ გაიღვიძა, ირგვლივ აღარც ხალხი იყო და აღარც სოფელი.

ცხვირკუტას განმეორებითმა დაკითხვამ, რომელშიც პირადად ხ.კუტუბიძეც მონაწილეობდა, განსხვავებული ეფექტი მოგვცა. აღმოჩნდა, რომ არაყი იყო ერთნახადი და, აქედან გამომდინარე, ცხვირკუტას არც ისე ღრმად შეიძლებოდა სძინებოდა. ამიტომ მას შეეძლო ენახა სიზმარი, იმდენად ნათელი და მკვეთრი, რომ ძნელი გასარჩევია, სიზმარი იყო ეს თუ ცხადი. მართლაც, სათანადო ზეწოლის შედეგად ცხვირკუტამ აღიარა, რომ ძილ-ბურანში მას ჩაესმოდა ადამიანთა გოდება; თითქოს გაახილა თვალი და მთვარის შუქზე სატვირთო მანქანების კოლონა დაინახა. ცხვირკუტას ცხადად მოელანდა სამხედროები ხაკისფერ ფორმაში, ბარგსა და საცვლებისამარა სოფლელებს ნაჩქარევად რომ ტვირთავდნენ მანქანებში, ხოლო ცელქებსა და ურჩებს იქვე ხვრეტდნენ. მას დაესიზმრა ხეზე ჩურჩხელასავით ჩამოკიდებული ბერკუტა, მისი ნამუსახდილი მეორე ნახევარი და ბარგთან ერთად შეფუთული შვილები.

ეს შემზარავი სურათი ცხვირკუტამ ალბათურ-თურმეობით ფორმაში გამოხატა, მაგრამ ხ.კუტუბიძემ დაარღვია თურმეობითი ფორმა, დაკითხვით მოპოვებულ მასალას კატეგორიული ხასიათი მისცა და სიზმრად ნანახი სურათი დამაჯერებელ რეალობად აქცია.

ამრიგად, ხ.კუტუბიძემ უმძიმესი ბრალდება წარუყენა ქურუმთა საბჭოს. მისი აზრით, ბერკუტას ტომის გადასახლება ქურუმებს წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი და დენთივით ფეთქებადი დამარის ბერკუტას კატალოგში შეტანა მათთვის სასურველ მოვლენათა პროვოცირება იყო მხოლოდ.

რა თქმა უნდა, ხ.კუტუბიძე განზრახ ამუქებს საღებავებს, როცა შიდაკატალოგურ ეთნოკონფლიქტს სოციალურ ჟღერადობას ანიჭებს. ასეთ ბრალდებებზე შეიძლება მხოლოდ გაიცინო კაცმა, თუმცა, მეორე მხრივ, არც ისე სასაცილოდაა საქმე, რადგან საუკუნე გადაგორდა, დაძაბულობა კი არ შენელებულა. დღესაც ბერკუტას ნასოფლარზე სამგლოვიარო მიტინგი იმართება. ცხვირკუტას შვილთაშვილები მოგონებებით გამოდიან მათი პაპის პაპის ცნობიერებაში არსებული სოფლის შესახებ. ერთმა მოპოეტო ელემენტმა, ქნარკუტამ, ქურუმთა სხდომაზე ლირიკული გადახვევაც კი გააკეთა ბერკუტას მიმართულებით. არსი მისი პოეტური სენტენციისა მდგომარეობდა იმაში, რომ, მართალია, კატალოგში ბარათების წვა შესაბამის პირთა ფიზიკურ მოსპობას იწვევს, ეს სულაც არ ნიშნავს მათ სულიერ განადგურებას.მოპოეტო ელემენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმით, ბერკუტას სული დღესაც ტრიალებს მის ბედკრულ ქვეყანაში; პირადად მასაც გამოეცხადა პოეტური ალმაფრენის ჟამს და ეს იდეები შთააგონა.

აუ, რა ამბავი ატყდა! გენერალური ქურუმი სავარძლიდან წამოხტა და ქნარკუტას საყელოში სწვდა! ერისკაცები ქურუმს დაეძგერნენ! მოპოეტო ელემენტი ამ ჭიდილში შუაზე გაგლიჯეს, მაგრამ ქნარკუტამ მაინც იშუსტრა და ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა, სადაც ვრცლად დაასაბუთა თავისი თეორია სულიერ არსებათა მეტაფიზიკური სიმტკიცის შესახებ; ამ თეორიის თანახმად, დღესაც ტრიალებს ჰაერში გარდასულ დროთა განწყობილებები და გრძნობები. ისინი ანაზდად პოეზიის ატმოსფეროში ახდენენ კრისტალიზაციას და მაშინ ჩნდება სულის გამოცხადების დიდი ალბათობაც. ამ მოვლენას შეესწრო პირადად ქნარკუტაც, როცა მზის სხივმა ისე ააჭრელა და შეაფერადა სივრცე, ისე გაანათა ძველი უბანი, რომ გამოაჩინა ჭაღარა ბერკუტა, რომელიც პირველი სკოლის ბაღში იჯდა და მზესუმზირას აკნატუნებდა. მოპოეტო ელემენტი გადაეხვია მოხუცს, მაგრამ ეს უკანასკნელი ლანდივით გადათამაშდა და ხელიდან დაუსხლტა.

ინტერვიუ ითარგმნა მთიელ დამართა ენაზე (მთარგმნელი თარჯიმანკუტა) და დაიბეჭდა ჟურნალ „ეჭეჭეიში“.

ქურუმებმა ჟურნალის მთელი ტირაჟის კრემაცია მოახდინეს, მაგრამ ერთი ეგზემპლარი მაინც გადარჩა, ქსეროქსით გადამრავლდა და მკითხველთა ფართო მასების ცნობიერებას მისწვდა.

ამ საკითხში გენერალურ ქურუმს პრეზიდენტის მრჩეველი, ცანცარკუტა დაუპირისპირდა. ცანცარკუტამ შექმნა ბერკუტას ტომის მემორიალი ოვაგერესოსთა კულტურისა და დასვენების პარკში, რითაც სასტიკად განარისხა ქურუმთა სამდივნო. სამდივნომ სამხედრო ძალას მიმართა, ააფეთქა ბერკუტას ქანდაკება და ჩამოგლიჯა საპატიო დაფა, რომელზეც ლეგენდარული სოფლის ინტელიგენცია იყო გამოფენილი. ცანცარკუტამ შინაგანი ჯარი და საპოლიციო სამსახური შემოიკრიბა და შუა ქალაქში, ქურუმთა სასახლეზე მიიტანა იერიში. შიდასაქალაქო ომით ისარგებლეს მთიელმა დამარებმა და მყისვე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

მოკლედ, ისე აირია ეს ძირძველი ქვეყანა, რომ ძაღლი პატრონს ველარ ცნობდა! ეთნოაფეთქებებისა და შიდა პოლიტიკური ხანძრების შედეგად ოვაგერესოსთა ფედერაციამ ყოფნა-არყოფნის ზღვარს მიაღწია! ყოველმხრივ გაისმის მტრობით დაუძლურებულ მოქალაქეთა გოდება, მაგრამ მსოფლიოს, ეტყობა, თავისი თავი გასჭირვებია და ყურსაც არავინ იბერტყავს.

მოგმართავთ ყველას, კეთილი ნების ადამიანებს, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენილი გაქვთ სიყვარული ოვაგერესოსების, დამარების და მთიელი დამარების მიმართ - გაუწოდეთ მათ დახმარების ხელი!

მინაწერი: ფინანსური გადარიცხვები, გთხოვთ, აწარმოოთ ცანცარკუტას სახელზე, რომლის საბანკო ანგარიშია: - აა **001917**.

# „სკუპ და სკუპ“

დოდომ რომ ჩაიდანი ცეცხლზე შემოდგა, სწორედ მაშინ შემოახტა სვიმონ-მეფე ცხენს და გაფრინდა ციხისკენ, რომლის მისაღწევად დრო თითქმის აღარ რჩებოდა, რადგან წყალი უცებ წამოდუღდა, დიასახლისის კოტიტა თითებმა გახლიჩა ყავის პაკეტი და კერამიკის ციხე-კოშკი წყვდიადმა მოიცვა. იგრიალა თოფმა, დაიმსხვრა წყვდიადი, დაჭრილი მეფე გადმოეკიდა უნაგირს და, დოდოსკენ პირშექცეული, ხრამში გადაეშვა.

ამ დროს დაბრუნდა ისტორიკოსი სამსახურიდან. დაბრუნდა ისევ გულჯავრიანი, მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული. თვალი შეაპარა მოპირდაპირე ფანჯარას, სადაც ჩაპუტკუნებული ქალი კერამიკის ფინჯანში ყავას ასხამდა და აგუგუნდა, აზვირთდა ვნებას მოწყურებული ზღვა და რისხვის ტალღამ შთანთქა ჯერ აქაფებული ქვიშა, შემდეგ ფერადი კენჭების მოზაიკა და ბოლოს შიშველ სხეულთა ნაპირი. ქვის გალავანსაც დააყოლებდა დესერტად, მაგრამ მზემ წამით გამოიხედა ღრუბლიდან, ერთი შესცინა ზღვას და ტალღამაც უკან დაიხია. თითო-ოროლა თუ ჩაითრია თავის მორევში, მათ შორის ცხენიდან ჩამოვარდნილი მეფეც, რომელიც ღალატის მსხვერპლად აღინიშნა ისტორიკოსის დავთარში.

დრო უსახური დაგვიდგა - ვერც წინ მიმავალი და არც მარადისობად შემდგარი. ამ გზადაბნეულ დროს ფეხზე ეკიდა ისტორიკოსიც და მისი დავთარიც, დოდოც და მეფეც. ზღვის მრისხანებაც კი ვერ სჯობნიდა ყავის წამოდუღებას. რა? გადმოდუღებული წყალი ნაკლებ უბედურებას მოუტანდა გაზქურაში ჩაბუდებულ ხოჭოებს? ტრაგედია ტრაგედიაა, გინდ ზღვისპირეთში ხდებოდეს ის, გინდ მიკროსამყაროში. ტრაგედიაზე უარესია, რომ დაცლილი და გამოცარიელებული ვარ. იმის თავიც არა მაქვს, სვიმონ-მეფე ჭაობიდან ამოვიყვანო, ჩემებურად ავამხედრო და მდევარს მოვაშორო. და მშრალი, ცრემლსდანატრებული თვალით გავცქერი, როგორ მიჰყავთ დატყვევებული მეფე ალამუთის ციხისკენ... გული, რომელიც ტკივილისგან უნდა შეიკუმშოს, იკუმშება მხოლოდ ფიზიოლოგიურად, სისხლის გადადენის მიზნით, ხელი, რომელმაც ქარქაშიდან უნდა ამოიღოს (დამავიწყდა, რა უნდა ამოიღოს), ჭურჭლის საწმენდ ტილოსავით ჩამოკონწიალებულა მხარზე; ხმა, რომელმაც გულის სიღრმიდან სიტყვა უნდა ამოიტანოს, ტალღადაკარგული რადიოს ხრიალით მშორდება. ინფორმაცია პეპელასავით ხან მოფრინდება, ხან გაფრინდება. ნდობის აღმძვრელი დიქტორი რაღაც წარმოუდგენელს როშავს, თუმცა დალაგებულად და კაი ქართულით თუვაი-ქართულით მეტყველებს. მორალის კითხვაც მბეზრდება. ამ გაუთავებელ ჭკუის სწავლებაში აზრს ველარ ვხედავ. გაურკვევლობა მძირავს, როგორც ლაფში ჩავარდნილ მხედარს, რომელსაც მიუნჭაუზენის ტყუილი თუ ამოაგდებს ზემოთ; ტყუილი, რომელსაც ბავშვობიდან შევეზარდე; სასთუმალთან რომ მედო და დაძინების წინ გემრიელად რომ შევექცეოდი, რომ ეს ნახატებიანი, მსხვილშრიფტიანი, უსაყვარლესი სიცრუე ცხადიდან შემპარავად ჩემს სიზმარში გადასულიყო, სიზმარში, რომელიც აგრძელებდა ჩაძინებით შეწყვეტილ სიტყვას, მისი სიგემრიელიდან ამოდიოდა...

ო, რა ნეტარებით შესცქეროდა საბანში გახვეული ისტორიკოსი მიმქრალ საძინებელში ჩრდილთა მარაოდ გაშლილ მედეას! მიტოვებულ, მარტოხელა მედეას, რომელმაც იავნანათი მიასიკვდილა ბავშვები და თავისი ჯადოქრული რხევა-სინაზით ლამის გულ-ღვიძლი ამოუტრიალა თვალებდაყვლეფილ ისტორიკოსს, განგებამ რომ შორეული მეზობლის როლი არ-

გუნა. რა ულმობელია ბედისწერა! იღბალი ხომ კარგია, ჯიგარო!? იღბალი არ არის, რომ შენი სარკმელი მედეას ფანჯრის პირისპირ აღმოჩნდა? თუ ბედისწერას გინდა გაექცე, ბედის საჩუქარსაც შეაქციე ზურგი, გადმოტრიალდი კედლისკენ, გადაშალე „ასავალ-დასავალი" და გამოტვინდი მამაპაპურად, ვიდრე არ მოგერევა ძილი! ნუ სარგებლობ ბედნიერი შემთხვევით და მოარიდე თვალი სხეულის სიშიშვლეს, თორემ სამართლიანობა გაიძულებს, უბედური შემთხვევითაც ისარგებლო და ვნებით თავბრუდახვეული ვინმე გადარეულს ჩაუვარდე ბორბლებში, შენდა ჭირად რომ გამოვიდა A პუნქტიდან B პუნქტისკენ. ასეა ეს! ზოგჯერ ტრაგედიაც მოსდევს სიყვარულს... სიყვარულს, ლოზუნგივით რომააფრიალებ სცენაზე, თუმც იმ ლოზუნგს უკანა მხრიდან მალულად შეიძლება მიაფსა კიდევაც, როგორც ეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გააკეთა უძრაობის ხანაში სასტუმრო „აჭარის" წინ, სახელდახელოდ შეკრულ ტრიბუნაზე, რომელსაც ზურგის მხრიდან ჩრჩმა ჰქონდა მიდგმული, გენერალური მდივნის შარდის შეუკავებლობის უეცარი შემთხვევისათვის.

ასეთია ქართველი კაცის სტუმარმასპინძლობა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრისგან ბევრი სიმწარეც გვახსოვს; რომ უმძიმესი, უბნელესი და არცთუ უსისხლო ისტორიის ფატაში ვართ გახვეულნი და, რაც უფრო ვცდილობთ განვთავისუფლდეთ, უფრო და უფრო ვიხლართებით ამ ფატალურ ისტორიაში. ასეა- მეთქი, გაიგე! აბა, სცადე და ამოახტუნე საკუთარი თავი მიუნჰაუზენის ჭაობიდან; გადაუხვიე დრამატურგიის ლიანდაგიდან. დიდი-დიდი, სხვა მატარებელში აღმოჩნდე! რამდენი უნდა იხტუნავო? თუ იმას ვერ აჯერხებ, სიტყვით მოტანილს გაექცე, ბედით თავს დატეხილს როგორ გადაურჩები? და მაინც ვარ, ვარსებობ, ვცოცხლობ, თუნდაც როგორც დაკარგული თავისუფლების სევდა, თუნდაც როგორც ტკივილით დაბინდული ციხე, რომელშიც ჩემი მეფეა გამომწყვდეული. ან რა შუაშია მეფე? რა შუაშია ის, რომ რა შუაშია მეფე? მე ვამბობ არაფერს, რადგან ვგრძნობ, არაფრის თქმაშია ძაღლის თავი; ზღვამ რომ მიაყარა წამით ქვიშა და მერე ისევ გადარეცხა, ისევ აალაპლაპა რისხვით ანთებულ მზეზე და გამორიყა ის, რასაც ვხედავ, მაგრამ ვერ ვამბობ; რაც აღემატება ჩემს თქმასაც და ფიქრსაც და რასაც ბედი წამდაუწუმ სახეში მახლის. რა შუაშია სამშობლო ან მიუსაფრობა, ან ვინ ვის ემტერება, ან ვინ ვის ეტრფის? „სკუპ და სკუპ, სკუპ და სკუპ, კურდღელივით დავხტივარ, ხომ კარგია თამაში, შენც იხტუნე, დათუნა!" მაგრამ სიმღერაც დასრულდა, დასრულდა ხტუნვა-თამაშის თემა; სიძულვილში გადაიზარდა სიყვარულის მოტივი, რადგან სიყვარული, რომელსაც დროშასავით ააფრიალებ ხალხთა მასების წინ, შენ აღარ გეკუთვნის და ამიტომ ვერც ვერავისი იქნება. და ტრაგედია დატრიალდება მაშინ, როცა აზრი დაეკარგება ტრაგედიასაც და აღარ იარსებებს იმ უსახელო და უსახურ დროში სევდისმომგვრელი სიცარიელე, როგორც გულიდან გარდასული სიცოცხლის მოგონებათა სივრცე.

# სასწრაფო დახმარება

იმ დღეს, ანუ შაბათს, კოოპერატივ „სულიკოში" ნაყიდი არაქისით მოვიწამლე და, რამდენადაც ჩემი მოვლის თავი არავის ჰქონდა, სასწრაფოს დავურეკე. ადრე არასოდეს მსმენია ასეთი ტკბილი, იმედის ჩამსახველი ხმა. იქვე ავუხსენი, რა ვჭამე და როგორ ვგრძნობდი თავს (არაქისის გახსენებაზე სულ ყრუანტელი მივლიდა) და ამ ტკბილმოუბარ არსებას ვთხოვე, რაც შეიძლება მალე გამოეწოდებინა ჩემთვის დახმარების ხელი. სასწაულს სასწაული მოჰყვა და ხუთ წუთში სასწრაფო დახმარების ფურგონმაც მოაყვირა ჩვენს სადარბაზოს. ცოლმა ლანძღვა-გინებით მიატოვა სარეცხი, მიწოდა ყრუ, ლენჩი, მძორი და ექიმების შესახვედრად ღიმილი გადაიკრა სახეზე.

ექიმების ნაცვლად ოთახში ხალხურ საკრავთა ანსამბლი შემოლაგდა. თუ შეიძლებაო - სთხოვა დირიჟორმა ჩემს მეუღლეს და სკამები ნახევარწრედ დაალაგა. მუსიკოსებმა დამტვერილი ჩანთებიდან ინსტრუმენტები ამოალაგეს და ტონალობის მოსაძებნად ათასნაირი ბგერების გამოცემა დაიწყეს.

- გეყოფათ! - დავიღრიალე და ყურებზე ხელები ავიფარე. - თავი ისედაც მისკდება.

- თქვენ სასწრაფო დახმარება არ გამოიძახეთ? - მხრები აიჩეჩა დირიჟორმა.

- მერე?

- ჰოდა, გავაცალეთ ერთი წუთით.

„ნეტა, რას აპირებენ?" - გავიფიქრე და ანსამბლიც აჟღერდა. უკრავდნენ „დიდავოი ნანას". სოლისტი გულსაკლავად მღეროდა და ხმაში სოფელს მოწყვეტილი კაცის მთელ სევდა-ვარამს აქსოვდა.

- საკმარისია! - დავიჩურჩულე და მაგიდას მუშტი დავარტყი.

- ვერ გამიგია, - ისევ განცვიფრდა დირიჟორი. - მეგრელი კაცი ბრძანდებით, თანაც ახალი ჩამოსული, ნუთუ მალამოდ არ გეფინებათ ჩვენებური ნანა?

- ჯერ ერთი, ჭყონიები გურულები არიან, - ვუთხარი. - მეორეც, მე ახლა კუჭის ამორეცხვა უფრო მჭირდება, ვიდრე სმენის დატკბობა.

- ნუ იტყვით, ასე ნუ იტყვით! - შემევედრა დირიჟორი. - ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ინტელიგენტი კაცი ბრძანდებით და სულს სხეულზე მაღლა აყენებთ.

- მისამართი ხომ არ გეშლებათ? - გულწრფელად შევწუხდი.

- აზიზბეკოვის ჩიხი 3ა, კორპუსი 16, IV სადარბაზო, V სართული, - დამიზუსტა დირიჟორმა, - ან კი როგორ შეგვეშლება, როცა ჩვენი პოლიკლინიკა პირადად თქვენ გემსახურებათ.

- პირადად მე? - გადავხედე გაოცებულმა ცოლს.

- საკვირველი არაფერია. ჩვენ კომპლექსური სასწრაფო ვართ და პირველ რიგში პაციენტების სულიერ ტკივილებს ვაყუჩებთ, ჩვენს მოვალეობაში შედის, აგრეთვე, მათი შემეცნებითი გამდიდრება და გამხიარულება...

- თუ შეიძლება, მიბრძანდით და უბრალო ექიმი გამოაგზავნეთ, - ვთხოვე.

- უბრალო ექიმის შტატი გავაუქმეთ. კუჭის ამორეცხვა, ნემსის გაკეთება და წამლის მიღება საკუთარი ძალებითაც შეიძლება, აი, მთქნარებით რომ ტელევიზორთან ზიხარ და მოწყენილობისგან ლამის კედლებზე გახვიდე, იქ მართლაც სასწრაფო დახმარებაა საჭირო.

- დიდი ხანია, ამ ქველმოქმედებას ეწევით? - ვკითხე.

- საკმაოდ. ჩვენი საჭიროება მაშინ გაჩნდა, როცა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნქანებმა დაიპყრეს ქალაქი და კაცი ტელევიზორს მიუჯდა. არადა, ცარიელი ინფორმაცია ვერ შეცვლის ნამდვილ ცხოვრებას.

- ღმერთო მაღალო! - პირჯვარი გადაისახა ცოლმა.

- თუნდაც თქვენ, ქალბატონო, არ გჭირდებათ სასწრაფო დახმარება? განა იატაკის სახეხად მოევლინეთ ამქვეყანას?

სადარბაზოში საშინელი გრუხუნი გაისმა. კიბეზე მოახრიგინებდნენ რაღაცას. ბოლოს ზემოთ ამოიტანეს, კედელი შეზანზარდა და დარტყმისგან კარი ანჯამებიდან ამოვარდა. წინკარში აბჯარ-მუზარადები შემოიტანეს და იქვე დაყარეს.

- ხალხური ცეკვები არ შედგება, უარზე არიან. - ხელი გაასავსავა დირიჟორმა.

- მომითმინეთ, - შევაჩერე უკან გაბრუნებული ხალხი. - ბისეპტოლი ხომ არ გექნებათ? გული მერევა.

- გული ამ ცხოვრებისგან გერევა, - თითი აღაპყრო დირიჟორმა. - არაქისი მხოლოდ საბაბია და არა მიზეზი. მას ნუ გადააბრალებ ყველაფერს.

- არაფერი არ ვიცი, ოღონდ მიშველეთ! - ვიყვირე.

- ახლავე, ჩემო ბატონო, ახლავე! ამისთვის ვართ აქ! - დირიჟორმა ტაში შემოჰკრა და ოთახში მახვილალმართული მეომარი შემოიჭრა, ერთი ნახტომით მეძგერა და ხმალი მომიქნია.

როგორ მოვასწარი გვერდზე გადაგორება, არ მახსოვს. ხმალი პლინტუსებს შორის ჩაეჭედა, წამოვხტი და მუზარადიან თავს სკამი მოვუქნიე... მეომარი უკან გადაქანდა, ხმალს დაებღაუჭა და ისევ წამოვიდა. ამჯერად ავხტი, ჭაღს დავეკიდე და მახვილმა კედელი გაანგრია. ჭაღი გაქანდა, მტერს ყბაში მოხვდა. მეომარი დაეცა და ნამსხვრევებად იქცა.

- ხომ გამოცოცხლდი? რაღაც ხომ იგრძენი? - ტაში შემოჰკრა დირიჟორმა. - სიკვდილთან თამაშით იბადება ნამდვილი განცდა...

- რომ მოვეკალი? - შევაწყვეტინე დირიჟორს.

- გამორიცხულია. ის თქვენი რეაქციის მიხედვით მოძრაობდა. ახლა კი, ჯილდო გამარჯვებულს!

გაისმა ნელი, გამაბრუებელი ტანგო. ფარდა გაიხსნა და პირდაპირ აივნიდან ოთახში შემოცურდა ნახევრად შიშველი, გრძელთმიანი არსება, მაშინვე შემომეხვია და ორივემ სარკესავით მოლაპლაპე იატაკზე შევცურეთ.

შუა ცეკვაში დამცეცხლა, რომ ეს ყველაფერი ოჯახის წევრების თანდასწრებით ხდებოდა, მაშინვე შემოვბრუნდი და ცარიელ სავარძელს მივაჩერდი, რომელიც წუთის წინ ჩემს მეორე ნახევარს ეკავა...

„ნანა“ - მივიხედ-მოვიხედე და უეცრად მეორე ოთახიდან ქალის ნაცნობი ხმა და უცხო კაცის ჩურჩული მომესმა.

„აუჰ!“ ვიღრიალე და იქით გავქანდი.

- არ შეიძლება მანდ შესვლა, - გადამეღობა დირიჟორი - პატივი ეცით პიროვნების თავისუფლებას!

- ჯანდაბას თქვენი პიროვნებაც და მისი თავისუფლებაც! - ვუღრიალე. - თავი დაგვანებეთ! როგორც შეგვაჩვიეს, ისე გვამყოფეთ, ძილ-ღვიძილში, ტელევიზორთან, არც კარგად, არც ცუდად! არც ბედნიერნი, არც უბედურნი!

ამ შეძახილზე სკამს წამოვავლე ხელი და დირიჟორს მოვუქნიე; თუ დახმარება არ გნებავთ, ახლავე გაგეცლებითო - მომაძახა დირიჟორმა, შემდეგ თავისიანებს თავი გაუქნია - ამათი საშველი მაინც არ იქნებაო და ხალხურ საკრავთა ანსამბლი რის ვაივაგლახით ჩახრიგინდა ჩვენი სადარბაზოს კიბეზე...

- ნანა! - მივადექი ლამის სარეცხის ქვაბში ჩამძვრალ ცოლს. - ოყნა გამოიღე და წყალი გაათბე. იქნებ, მაინც ამოვირეცხო კუჭი.

## „ლოგიკის სპეციალისტი“

მატარებელი გვიან ჩამოვიდა. ბაქანი თითქმის უკაცრიელი იყო. წვიმით გაჟღენთილ ჰაერში ბუნდოვნად ციმციმებდა სადგურის შენობა. მუმუშა პირველი გადმოვიდა ვაგონიდან. მისი გადმოსვლით თითქოს შემსუბუქდა შემადგენლობა, ლიანდაგს მოსწყდა და წინ გასრიალდა. მუმუშამ იცოდა, რომ სადღაც, საბარგო სექციასთან უნდა დახვედროდნენ. რადგან სადგური დაუმთავრებელი იყო, ბარგი სექციის წინ, მოედანზე გაჰქონდათ და იქ ანაწილებდნენ. მუმუშას არაფერი ჰქონდა თან, მაგრამ მოედანზე მაინც გავიდა.

იქ უკვე ელოდებოდა პატარა მანქანა. „უკეთესად შეეძლოთ დახვედრა“, გაიფიქრა თავისთვის და უნებურად წარმოიდგინა ბერიკაშვილი, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს. მატარებელში ჩასვეს ბერიკაშვილი, მატარებლიდან კი მის ნაცვლად მუმუშა გადმოვიდა. იქნებ, ბერიკაშვილი სადმე შუაგზაზე ჩამოსვეს (თუმცა მატარებელი არსად გაჩერებულა), მაგრამ თვითონ საიდანღა გაჩნდა ვაგონში? გასაოცარი ის იყო,რომ მუმუშას სულ არ უკვირდა ეს. სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა, სხვის ნაცვლად თვითონ რომ გადმოვიდა მატარებლიდან. თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ თვითონ სწორედ მუმუშა იყო და არა ბერიკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოდნაც ჰაერში ეკიდა. მუმუშას მატარებელში ყოფნის ფაქტს არ სჭირდებოდა არავითარი ახსნა. საჭირო იყო მხოლოდ მისი დაშვება და აღიარება.

ეკონომიის მიზნით ჩაბნელებულ ქალაქში ვეღარ გაარჩია, საით მიდიოდნენ.შეიძლება, სადგურის ქუჩიდან საბურთალოსკენ აუხვიეს ან ვარაზისხევით პირდაპირ ვაკეში ავიდნენ, ან სულაც მარცხნივ შემობრუნდნენ და სასტუმროსკენ აიღეს გეზი. კაცს, რომელმაც არ იცოდა, საიდან მოდიოდა და როგორ აღმოჩნდა აქ, აღარც ის აინტერესებდა, საით წავიდოდა.

მანქანა ან სამინისტროდან იქნებოდა გამოგზავნილი, ან საპარლამენტო კომისიიდან. მუმუშას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა განსხვავება იყო მათ შორის. ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა და დღემდე არ ესმოდა პარალელური სტრუქტურების საჭიროება. შესაძლოა, ერთი მბრძანებელი იყო, მეორე შემსრულებელი ან პირიქით... თუმცა ასეთი სუბორდინაცია ერთი უწყების ფარგლებშიც შეიძლებოდა.

მზის ჩასვლის შუქზე უცებ აელვარდა და გაბრწყინდა ჭადრების ხეივანი, ოდესღაც რომ ამშვენებდა სულიკო კოროშინაძის პოლიტექნიკურ სიმღერას. წამიერი იყო ეს გამონათება, თითქო სული ამოხდა რომანტიზმს და ქალაქი ისევ ბნელს შეერია.

„გზიდან თუ არ გადავუხვიე, სინათლეს ვერ მივაღწევ“, გაიფიქრა მუმუშამ და მძღოლს ანიშნა, გაჩერებულიყვნენ. ფეხით გავისეირნებო, - შეუძახა მანქანას და „ივერიის“ წინ შადრევნების ნისლში შეაბიჯა.

ნისლი რომ გაიფანტა, უკვე სასტუმროში იყო. ფოიედან კიბე-სპირალი სარდაფის რესტორნისკენ ეშვებოდა. რესტორანი ბაღში გადიოდა. ბაღი მოგონებებს იწვევდა, თუმცა არასოდეს ყოფილა აქ... მისთვის რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორანი და ბაღი ერთმანეთში გადადიოდა და ერთ წინადადებას შეადგენდა, რომელსაც ჯერ თქმა და შემდეგ განმარტება სჭირდებოდა.

მუმუშა ახლა მუხლამდე ბალახს მიარღვევდა. მოძრაობდა და წინ ვერ მიდიოდა. სველი, წებოვანი სიმწვანე ეტმასმუნებოდა, გასაქანს არ აძლევდა. ლაბირინთივით დაქსაქსული ბილიკი არსაით მიდიოდა... ყვავილების ნაცვლად სურნელებას სიტყვები აფრქვევდნენ, მაგრამ ეს ჭკნობაშეპარული ნაყოფთა სურნელება იყო; აღარ აცოცხლებდა სულს, გულს ამძიმებდა და გონებას ამღვრევდა.

სიბნელე უცებ თვალისმომჭრელმა შუქმა გაფანტა. მუმუშა მიუახლოვდა სინათლეს. გაირღვა ბაღის ლამაზ მეტაფორათა ქსოვილი და გაიხსნა კარი, საიდანაც ორთქლი გამოდიოდა. მუმუშასთვის უცხო გახლდათ ყოველგვარი მისტიკა, ამიტომ კარს მიღმა, უბრალოდ, სამრეცხაო აღმოჩნდა; ქვაბთან თავდახრილი ქალი ჯოხით სარეცხს ატრიალებდა და ხარშავდა.

რა ძალამ მიიზიდა ქალისკენ? მხოლოდ სურვილმა, გაერღვია ბაღის ცარიელ სიმბოლოთა მოჯადოებული წრე. დიდი ხანია, ლუკმას ღეჭავდა და ვერ ყლაპავდა. სულ სადღაც გარბოდა და ადგილიდან ვერ იძროდა. იქნებ, დახავსებული, ჭკნობაშეპარული სიტყვების ბრალი იყო ეს? რომ აღარ საჭიროებდნენ ფიქრს, უმალ ეძლეოდნენ და თავიანთი დაშტამპული წარმონაქმნებით არსაითკენ მიმავალ ბილიკზე მიაქანებდნენ.

ქალს ახლა ბლუჯა-ბლუჯა ამოჰქონდა სარეცხი ქვაბიდან. ალგზნებულია თუ წყლის ოხშივარისგან აქვს აწითლებული სახე? თვალის ერთი შევლებით აგორდა მასთან ყოფნის სურვილი და ამ სურვილმა უცებ შემოფარგლა, ჩაკეტა მისი არსება. აქამდე ის არსებობდა უფრო სავსედ, უფრო განუზღვრელად და შემოქმედად ყოფნის უსასრულო შესაძლებლობებს შლეიფივით დაათრევდა თან. გამოჩნდა ქალი და ათასი შესაძლებლობიდან დარჩა ერთადერთი და ამ ერთადერთმა ჩანჩქერივით იფეთქა მისი ვნებით დამუხტული სულიდან.

ქალს კომბოსტოსავით ცვიოდა სამოსელი. იქვე აშლილი, მთაგორიანი ლოგინი კიდევ უფრო დაიჭმუჭნა. ჩატყდა ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე, ჩაიგლიჯა ბადე.

ლონემიხდილი მუმუშა ახლა ქვის იატაკზე ეგდო და ფიქრობდა; რატომ შეკუმშა მთელი ეს სიამოვნება ერთ მოკლე ფრაზაში, რატომ არ გაშალა ის სტრიქონებად, რატომ არ გამოკვეთა და შეალამაზა ყოველმხრივ, რატომ არ უძღვნა მას მთელი გვერდები, ყოველი გადაკითხვისას თავიდან რომ აღელვებდა, თავიდან რომ აგრძნობინებდა გარდასულს.

ეშინოდა თუ რცხვენოდა საკუთარი თავის? სირცხვილის შიშით ყველაზე ტკბილი და სასურველი უსახელოდ, გამოუთქმელად არსებობდა მასში და ღრღნიდა მის გულს. არც ძალა ჰქონდა, არც გამბედაობა არათუ სხვისთვის, საკუთარი თავისთვის გაემხილა ეს.

ამიტომაც ვერ ჩათვლიდა, რომ ის, რაც აქ ხდებოდა, ხდებოდა სინამდვილეში. თუმცა წყლის ორთქლით აწითლებული სახე და ბრძოლის ველად ქცეული ლოგინი უფრო ცხადი იყო, ვიდრე სიზმარი. მუმუშამ მოიფიქრა გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც არც ერთი იყო, არც მეორე; სადაც არც თვითონ ეკუთვნოდა თავის თავს და პასუხსაც აღარ აგებდა საკუთარი სინდისის წინაშე.

- თავს იტყუებ, - უთხრა ქალმა. მუმუშას ხელი ჩამოუვარდა მისი მუხლიდან - სისხლისგან დაცლილი ვნების ცარიელი სიმბოლო...

- აქ უნდა დავრჩე, ვიდრე არ გავერკვევი, ვინა ვარ.

ქალმა მხრები აიჩეჩა, ისევ ქვაბში ჩარგო თავი და რეცხვა განაგრძო. მისმა მორჩილებამ და ბედს შეგუებულმა გულგრილობამ საშინლად გააღიზიანა. მუმუშამ თვალით მოძებნა რკინის ჯოხი; ძალა რომ ჰქონოდა, თავს გაუპობდა...

- რა დაგიშავა! - მოესმა ხმა. მუმუშამ იქით გაიხედა და ახლაღა შეამჩნია, რომ ჩაბნელებულ კუთხეში ვიღაც იდგა. ჩრდილიდან ოდნავ გამოანათა წვერაბურძგნილმა სახემ. მუმუშამ იცნო ის - ვინც სადგურზე დახვდა და აქამდე მოაცილა. თავი დაუქნია, იმან კი ზედაც არ შეხედა. „ნაწყენია, მანქანიდან რომ გადმოვუხტი“, გაიფიქრასავით, მაგრამ კაცმა თავი გაიქნია - შენგან არ უნდა მეწყინოსო, ქალს მიუბრუნდა და ყვირილი დაუწყო.

მუმუშამ ყურებზე იტაცა ხელი. კაცის ხმაწამწყდარი გამოსახულება სათითაოდ ქექავდა სარეცხს. როგორც იქნა, მიაგნო შინდისფერ დროშას, ამოიღო, ეჭვით დასუნა, გაწურა და ჩანთაში ჩააგდო.

- მიტინგზე მიდიხარ? - ჰკითხა მუმუშამ.

- რა ბრძანეთ? - აღირსა, როგორც იქნა.

- თავისუფლება მოგინდა? - შეცვალა შეკითხვა.

- გააჩნია, რას დავარქმევთ თავისუფლებას და რას არა. - კაცმა ჩაიხვიხვინა და ცხენის კბილები შეანათა.

- ნაწყენი ხომ არა ხარ ჩემზე?

- პირველად გხედავ. ვინ ბრძანდები? - თვალი მოარიდა.

- ლოგიკის მასწავლებელი ვარ. თქვენ არ მომიწვიეთ?

- ჩვენ მოგიწვიეთ?

- თქვენგან მოგვივიდა მოთხოვნა ლოგიკის სპეციალისტის შესახებ.

- ლოგიკა გვიშველის ამ საგიჟეთში! - აყვირდა კაცი. - მაია აურევდა ყველაფერს! სულ გამოჩურჩუტდა. თუმცა არც ადრე იყო დალაგებული.

კაცმა ხელი სტაცა მუმუშას და ზევით, კიბეზე ააქანა. გაიარეს დერეფანი, შევარდნენ ლიფტში. ავიდნენ მაღლა და მაღლა, ვიდრე კაბინა ჭერს არ შეეჯახა. ძლივს მოახერხეს გადმოსვლა და მიადგნენ ოთახს.

- შედი! - ხელი წაჰკრა კაცმა. აღარ შევუდგებით კანცელარიის აღწერას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ოთახის კუთხეში, თუ კარგად გაქექავ ძველი ოქმებისა და საქაღალდეების გროვას, ვიღაცის ფეხს წააწყდები; თუ გამოქაჩავ, ფეხს ტანი გამოყვება, ტანს კი თმაგაწეწილი თავი.

ბევრი ანჯღრია მუმუშამ ნამძინარევი ქალბატონი. ყოველ შენჯღრევაზე მაია ნაბიჯ-ნაბიჯ გამოდიოდა სიზმრიდან. და ბოლო აღარ უჩანდა ცხადისკენ მიმავალ გზას.

„თქვენ გამომიძახეთ?“ - ჩასჩხაოდა მუმუშა. კი არ ანჯღრევდა, იავ-ნანასავით არწევდა და ისევ აძინებდა; სულაც არ უნდოდა მაიას გაღვიძება, რადგან იცოდა, რომ არავითარი გამოძახება არ არსებობდა; თავისი ნებით ჩამოვიდა აქ. ჩამოვიდა სხვის ნაცვლად, თუმცა იმ სხვასაც არავინ ელოდა. რა მოხდა იმ ღამეს მატარებელში, როგორ მოხდა ბერიკაშვილის ჩანაცვლება მუმუშას სახით, არავინ იცოდა. ეს იყო დავიწყებას მიცემული ღამე. შერჩა მხოლოდ შეგრძნება, რომ სხვის ნაცვლად გაიღვიძა, და ეს განცდა მისთვის შეუფერებელ, მტრულ გარემოცვად გარდაქმნიდა ქალაქს.

მუმუშა ჩაებღაუჭა უცხოდ ყოფნის იდეას. იმ იმედით, რომ ეს იდეა აიყვანდა ფიქრიდან ფიქრამდე, გაიყვანდა ნამდვილ დროსა და სივრცეში. ეს უზარმაზარი სასტუმრო, რომლის სხვენი ისევე ყარდა, როგორც სარდაფი, უცნობივით იდგა მის წინ; როგორ შეხედავდა მას, რას მოითხოვდა მისგან; მოგონებების სასტუმრო იყო თუ მდგმურების საცხოვრებელი?

- ასე ვერაფერს გაიგებ, - იდაყვი წაჰკრა კაცმა. - სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილზე დაპატიჟე.

და აი, ზის მაიასთან ერთად სასტუმროს ბუფეტში მე-16 სართულზე. ეს ბუფეტიც ენის წვერზეა მომდგარი, ახსენდება და ვერც ახსენდება; ლუდის ბოთლებით სავსე მაგიდა, სტუდენტობის დროინდელი სუფრა... ბურუსით მოცული სივრცე რომ გაანათოს, თვითონაც უნდა ჩამოიფერთხოს წლები, მეტი იმედით და სიხარულით გაიხედოს წინ, მაგრამ შეუძლებელია ეს. ისევე შეუძლებელია, როგორც ფიქრი ფიქრის შესახებ, როგორც ნამდვილი არსებობის განცდა. ცხოვრება კი ამ შეუძლებლობის დევნაა, მისი დაჭერაა და ისევ ხელიდან გაშვება. ისიც ცხოვრებაა, როცა შუაღამეს საწერ მაგიდასთან ზის და ფურცელს ფურცელზე ავსებს, რომ წამით, სულ ერთი წამით მაინც შესძლოს, იცხოვროს, იცხოვროს არა სხვის ნაცვლად, თავისთვის; როცა ფიქრი და სიტყვა ნაფცქვენივით გადავარდება გვერდზე და შიგნით, გულში წამით შეეხება სიცოცხლის ფეთქვას. ამ შეხებისთვის ღირს სიცოცხლე - სიცოცხლე სიცოცხლის ძებნაა. წამიერი პოვნა და ისევ დაკარგვა.

მაგიდის ქვეშ მისი ფეხი რაღაცას შეეხო. მაიას მუხლია? უფრო კი საფიქრალია, რომ... მუმუშამ სუფრის კიდე გადაწია და ისევ ის კაცი დაინახა. შუაში ღვინო ჰქონდა ჩადგმული. სასმისს სასმისზე ცლიდა და ვებერთელა ბარკალს პირში იტენიდა.

- რას მიყურებ? - შეუძახა. - შენ შენი საქმე აკეთე, მე ჩემსას მივხედავ.

- გავიდეთ აქედან! - მიუბრუნდა მაიას. მაიამაც ჩაიხედა მაგიდის ქვეშ. „ქალბატონს გაუმარჯოს!" ჭიქა ასწია კაცმა. „მეუღლე მომიკითხე!"

მაიამ დაიმორცხვა. მისი ქმარი მსხვილი სპონსორი ბრძანდებოდა და თავის ჭკუაზე ატრიალებდა სასტუმროს ბედ-იღბალს.

ჰქონდა კი სასტუმროს ბედ-იღბალი? სასტუმრო ხომ არსებობდა და არც არსებობდა, ის ისევე იყო უმართავი, დაშლილი და გაფანტული, როგორც მისი მეხსიერებადაბინდული გონება.

- რას მიედ-მოედები! - მაგიდიდან გამოძვრა კაცი... მოდი, ჯერ ვიქეიფოთ, სასტუმროს ყოფნა-არყოფნაზე კი მერე ვიფიქროთ!

მაგრამ სუფრა უკვე ვეღარ იპყრობდა მუმუშას ყურადღებას. განა იმიტომ, რომ სული უსწრებდა წინ და ვეღარ ამთავრებდა დაწყებულ საქმეს, უფრო იმიტომ, რომ დაუმთავრებელ თემებსა და გაფანტულ სახეებში ეძებდა თავისუფალ სივრცეს ახალი აზრებისა და სახეების საძიებლად.

- აკი ლოგიკის მასწავლებელი ვარო? არ ეშვებოდა უცნობი. - შენ რა უნდა გვასწავლო, როცა შენთვისაც ვერ გაგირკვევია, ვინა ხარ და რისთვის არსებობ! შემომხედე! თვალს ნუ მარიდებ!

- შენ ბერიკაშვილი არა ხარ? ალალბედზე ჰკითხა.

- არა! - დაიყვირა უცნობმა და ჭიქა კედელს შეალეწა.

მაინც ვერ მიიქცია მუმუშას ყურადღება! თუმცა ეცოდებოდა ეს უსახელო კაცუნა და თავს აიძულებდა, არ შეექცია მისთვის ზურგი, მაგრამ რაც უფრო ძალას ატანდა თავს მით უფრო კარგავდა მის მიმართ ინტერესს და ვეღარ ჩერდებოდა აქ.

- ყურადღებას არ გვაქცევს, ძმებო! - დაიღრიალა უცნობმა და მაგიდა გადააყირავა.

- არც ახლა შემომხედავ!

მაიას ხელი სტაცა და ორივენი ხალიჩაზე გაგორდნენ.

მუმუშა უკვე კარებში იდგა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა მსხვრევის ხმა, მუსიკა და ქალის კივილი. უცნობმა აიკრიფა წაშლილი ნაკვთები, ხელის ერთი მოსმით გაფანტა ბურუსი და სახელოში წვდა.

- აღარ გახსოვარ? მთელი სტუდენტობა აქ გვაქვს გატარებული!

მუმუშამ კარი მოიხურა. ბავშვობის მეგობარიც რომ ყოფილიყო, ვერაფერს ეტყოდა; დაიღალა მოგონებებით. აღარ სურდა უკან მოხედვა. წინ კი გაურკვეულობა იყო, რადგან, მიზანი კი არ ამოძრავებდა, მობეზრებული ცხოვრებას გაურბოდა. რაღაცა ძალა მიაქანებდა ნისლით მოცულ გვირაბში. თავისუფლად შეეძლო, არ გაყოლოდა ამ ძალას; არ იყო ეს ძნელი და ამიტომაც აღარ უწევდა წინააღმდეგობას, - ბოლომდე მიყვებოდა.

ასე აღმოჩნდა სასტუმროს აივანზე პატარა კიბე. აიარა და სახურავზე გავიდა.

ფსკერზე ქალაქი ციმციმებდა. ბენზინის ღრუბელი ამოდიოდა ზემოთ. ერთი გადაბიჯება და - დასრულდებოდა ის, რისი დასრულებაც თვითონ შეეძლო. და აქ, თავისუფლების ჯებირთან იგრძნო, რომ იყო მონა. რომ უამრავ გზებად, ლიანდაგებად იყო დაქსაქსული მისი სული და ფიქრები მანქანებივით დაქროდნენ ამ გზებზე; რომ დადგენილი იყო ყოველი მარშრუტი და აღარ რჩებოდა თავისუფალ სივრცე, სადაც პირველად აღმოჩნდებოდა და იხილავდა აქამდე არნახულსა და არგაგონილს. მთელი ცხოვრება აშენებდა, ალამაზებდა, ხვეწდა იმას, რისთვისაც თურმე არ შეიძლებოდა ხელის ხლება, რადგან სათუთი და მსხვრევადი იყო მისი სიცოცხლე. და ახლა ის გაქრა, კაზმული სიტყვა და შეთხზული სიტუაცია აღმოჩნდა მისი მესაფლავე და, თუმცა ცდილობდა აქედან თავის დაღწევას, ათასნაირად ამსხვრევდა უკვე მოფიქრებულსა და შექმნილს, მაინც ვერ გაურბოდა მას, რადგან აღარც კი იყო გასაქცევი. და ის, რასაც ერქვა სული, რაც არსებობდა მხოლოდ მისთვის, იქცა საგამოფენო დარბაზად, სადაც სიტყვიდან სიტყვამდე, ფურცლიდან ფურცელზე კვდებოდა თვითონ და ამ კვდომასაც არ ჰქონდა ბოლო.

- აი, სად ყოფილხარ! - სახურავზე უცნობი ამოძვრა. - სადღა წამიხვალ, უნდა შემომხედო!

არც შეუხედავს მისთვის. მოაჯირს გადააბიჯა და სულ ერთი წამით, ტკივილის ერთი გაელვებით იგრძნო ნანატრი თავისუფლების სუნთქვა.

## სარკეში

- არ უნდა მომეშვა! - ვუღრიალე აკუმას და ცხენის კუდი შემოვკარი. ნამსხვრევებად მაინც ვერ ვაქციე! თვალისმომჭრელად აირეკლა და სხივთა თამაშით ლოგინში შემომიხტა!

დიდხანს ვიჭიდავეთ. წურბელასავით აკრული, სხეულიდან ძლივს მოვიგლიჯე და სარკისკენ მოვისროლე, მაგრამ კუდში ჩავლებული სიზმარი ხელიდან გამისხლტა და, სხვა რა გზა მქონდა, ავდექი.

აკუმა წამოხტა. ისევ დამეძგერა.

- შენი ვერაფერი გამიგია, - საყელოში ჩამაფრინდა. - ქსივი შენგან ჯერ კიდევ უძრაობის ხანაში მივიღე. აღრიცხვაზე აგიყვანე, მაგრამ არ გამოგეცხადე, რადგან პირველ სიგნალზე, როგორც წესი, რეაგირებას არ ვახდენთ ხოლმე, თუმცა გამოგიტყდები, გვყავდა ერთი მეტიჩარა, პირველსავე დაძახებაზე გარბოდა, დამძახებელი ვკი, რამდენადაც მზად არ იყო, ახლოსაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკარებდა, რის გამოც იმ საცოდავს ჯერ საყვედური გამოუცხადეს, შემდეგ კი სულაც დაატოვებინეს ჩვენი დაწესებულების ფარგლები.

- ინკასატორი ხარ?

- რაც გაგეხარდება, ის დამიძახე. - აკუმამ პერანგის კიდე ჩამომახია და სისხლი მოიწმინდა. - ისე, მშვენიერი ცხენის კუდი გქონიათ. ასეთებს დიდედაჩემი ხმარობდა ქუთაისში, სადღა იშოვი, ახლა პლასტმასის საკლავებს ყიდიან, რას იზამ, ურბანიზაციაა...

- თავს არ დამანებებ?

- გაფუჭებულ ფირებსაც იყენებენ ხოლმე - განაგრძო აკუმამ. - მე გაშოვნინებ წებოს, შიგ დარიშხანია გარეული, ვინც ზედ დააჯდება, ველარც მოწყდება.

- ძმაო, ნორმალური ხარ?

- სტატისტიკამ დაადგინა, რომ დღეს ჩვენს ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტოვან სამშობლოში ნორმალური თითქმის არავინაა. ერთი მეგობარი მყავდა, მედიტაციებს აკეთებდა, სულ ცდილობდა, ჭკუიდან არ გადასულიყო, მიაღწევდა კიდეც მიზანს, ერთ-ერთი ტრანსის დროს მანქანის ქვეშ რომ არ ჩავარდნილიყო.

„ჯანდაბას, იყბედოს“. გავიფიქრე „ყურადებას რომ არ მივაქცევ, იქნებ დაცხრეს და გაფერმკრთალდეს“.

- ყურადღება რომც არ მომაქციო, ჩემს მოვალეობას მაინც მოვიხდი! - აკუმამ ისე ჩამყვირა, ჩაიდანი ხელიდან გამივარდა, ფეხზე მდუღარე გადამესხა, მოვსრიალდი და შუბლით ქურას შევასკდი.

გონს რომ მოვედი, აკუმა სავარძელში იჯდა, ჩაის ხვრეპდა და ტელევიზორს ადევნებდა თვალყურს. გამოსახულება არ მოეწონა და ეკრანს ზემოდან მუშტი დ. სცხო!

- გატყდება!

- პირიქით! - გამიღიმა - თავში წათაქუნება უებარი წამალია. მამაჩემმა ასე გაგვზარდა შვიდივე ძმა.

- შენც თუ გაზრდილი ხარ. შემომივარდი, დამაწიოკე...

.. მერე ადვილი იყო ჩემთვის ეს?

- მომეშვი თუ ძმა ხარ.

- ჯერ სამსახურში გაგამგზავრებ.

ფრაზა არც ჰქონდა ჩამთავრებული, უკვე ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი.

მოვიდა ასჩვიდმეტი ნომერი. აკუმამ წინიდან შემოურბინა და მძღოლს რაღაცა უთხრა.

- მოველაპარაკე, კარის წინა ფრთას გაგიღებს, სიჩქარის კოლოფზე დაგსვამს, ფულსაც არ გამოგართმევს.

- არ მინდა! - ვუღრიალე.

- გაატარეთ, გაატარეთ! - აკუმა ხალხში შეიჭრა - გზა მიეცი, შე მუტრუკო! - ვიღაცას დაეძგერა, - იცი, ვინ არის? - ჩემზე ანიშნა.

ახმახი შემობრუნდა. სხვებმაც მოიხედეს.

- ეს გახლავთ შესანიშნავი მწერალი, მოაზროვნე, უცხო ენების მცოდნე!

ყველა მე მიცქერდა. ავტობუსის ფანჯრიდან თავი გადმოყო მძღოლმა.

- მისი მოთხრობების კრებული მედალზეა წარდგენილი! - არ ცხრებოდა აკუმა. - გაატარეთ, გზა! გზა!

ბრბო ორად გაიხლიჩა. აკუმამ ხელი მტაცა და კიბეზე შემაგდო. ავტობუსი დაიძრა, აკუმა პერანგზე დამებღაუჭა, წიხლი ჩავაზილე და კიბეს მოვწყვიტე.

მადლობა ღმერთს! კარი დაიხურა. აკუმა ენაგადმოგდებული მოგვდევს გაუჩინარდა ბენზინის ნისლში.

- რა ხდება დღეს მწერლობაში? - არც შემობრუნებულა, ისე მკითხა მძღოლმა.

ხმა არ გამიცია, თავი ჩავღუნე და უკან გადავედი.

შუა ნაკადში გავეჩხირე, გავცდი ჩემს გაჩერებას და სამსახურში ფეხით მომიწია დაბრუნებამ.

განყოფილების გამგე გაფითრებული დამხვდა, „მინისტრი გიბარებსო“ ხმის კანკალით მამცნო და კარი შეაღო.

- ეს ვინ მოგვიგზავნე, ვაჟბატონო! - დამინახა თუ არა, წამოხტა მინისტრი. - შენ თუ მაგას ფიქრობ, რაც შენგან მოგზავნილმა იბოდიალა...

- ახლავე აგიხსნით.

- თურმე გჩაგრავთ, არა? - დაიქუხა. - პრემია დაგვენანა, მედალზე არ წარგადგინეთ...

- არაფერ შუაში ვარ, - ხელები გავშალე, - არც ვიცი, ვინ არის და რას შემომიჩნდა.

- არ იცი? შესანიშნავად კი ერკვევა ჩვენს ურთიერთობებში! შენს მეტი ვინ ჩაახედებდა ასე.

- მაჩვენეთ, სადაა?

- პოლიციაში მიაბრძანეს. შენ კი დაგიმოკლებ ენას! შავ მუშად გაგაგზავნი კარიერზე!

ასე გაუფასურდა ჩემი სამსახური ზემდგომთა მიმართ. კარიერზე საერთო ვაგონით გამამგზავრეს. რამდენადაც დასჯილი გახლდით, განყოფილების გამგესაც კი არ მისცეს უფლება, ბაქანზე გამოსულიყო. მაცილებდა მხოლოდ გამგის მოადგილე სამეურნეო დარგში.

- აბა ჰე! - ხელი ამიწია ამ უკანასკნელმა.

იგრძნო, მშრალად გამომეთხოვა და დაამატა:

- მაპატიე, ხომ იცი, გალიმების და სითბოს გამოხატვის უფლება არა მაქვს.

„მესმის-მეთქი“, თავი დავუქნიე და ვაგონში შევბრუნდი.

ხალხით სავსე სალონში მოვხვდი. უჰაერობამ გამაბრუა. თვალთ დამიბნელდა. სარკმელს დავებღაუჭე.

- გატეხავ! - მომესმა ზედა თაროდან. - უკეთეს შემთხვევაში ფანჯარას ამოაგდებ ჩარჩოდან. ჩემს მძახალს დაემართა ასე და სამი თვის ხელფასი დაუკავეს.

სტილი მეცნო, არც შევმცდარვარ!

- აკუმა!- აღმომხდა.

- სსუ, - პირზე ამაფარა ხელი. - ციხიდან ვარ გამოქცეული.

- აქვე ჩაგაბარებ...

- შენც გაგათახსირებ, - ჩამჩურჩულა, - საქვეყნოდ განვაცხადებ რომ მლიქვნელი ხარ. შარშან მინისტრი რომ დაპატიჟე და განყოფილების გამგეზე დაბლა არავინ მიგიშვია სუფრასთან, მერე მინისტრი რომ ადრე წავიდა და ხორბლის არაყი ერთნახადით შეცვალე, დაგეგმილი გოჭის ნაცვლად სოიოს კატლეტები გამოიტანე, სამსართულიანი ტორტის მაგივრად ქალებს უშაქრო ნამცხვარი მიართვი...

- სტყუი!

- რა თქმა უნდა! რომელი მინისტრი წავიდოდა ადრე იმ სუფრიდან! მაგრამ რომ წასულიყო, ხომ მოიქცეოდი ასე? გამოტყდი!

ნჯღრევა დამიწყო. თავი შუშას ვხეთქე.

- პოლიცია, მილიცია! - ავყვირდი.

- რა ხდება? - თავს წამოგვადგა უსაფრთხოების მუშაკი.

- დინამიურ მედიტაციას აკეთებს, - აუხსნა აკუმამ. ნჯღრევისას უარყოფით ინფორმაციას ფერთხავს ტვინიდან. შიგადაშიგ ყვირის კიდევაც, ოღონდ ყვირილი მოტივირებული უნდა იყოს.

- ციხიდანაა გამოქცეული!

- ტრანსშია ჩავარდნილი და ბოდავს, - შემაწყვეტინა აკუმამ. ახლა წარსულშია ჩაძირული, ადრე შინსახკომში მუშაობდა ჯალათად.

ჯიბიდან მოწმობა დააძრო. ჩემი სურათის გასწვრივ ეწერა: ბესარიონ ვლადიმერის ძე ნათელაშვილი. სპეციალობა - მხვრეტელი.

ვეღარ მოვითმინე, ხელი შემოვკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკუმა ფაიფურის ფეხმორთხმული ჩინელივით გადაყირავდა, პოლიციელმა ხალათში სტაცა ხელი, მე ქეჩოში მწვდა და ორივე წინ გაგვაქანა.

მოვხვდით თუ არა ვაგონებს შორის, აკუმამ მაჯაზე უკბინა პოლიციელს, ამ უკანასკნელმა ხელი ხელზე იტაცა, აკუმამ თავი გლიჯა და ვაგონებს შორის ჩაავდო.

- ჩქარა! - ხელი მკრა. ორივენი თხრილზე დავგორდით.

წელი ძლივს ავითრიე. გვარიანად გახლდით დაჩეჩქვილი.

- არაუშავს, შესანიშნავი მალამო მასწავლეს, გვირილებისგან მზადდება. ღერო თავები უნდა გაატარო ხორცის საკეპ მანქანაში, ზედ შარდი მოასხა და ჭრილობაზე წაისვა.

აკუმამ იქვე ბლუჯა-ბლუჯა დაკრიფა გვირილები, სახე დამიზილა, შემდეგ შარვალი ჩაიხადა და თავზე დამაფსამდა კიდევაც, გვერდზე გადაგორება რომ არ მომესწრო!

სად გარბიხარ, ურინო-თერაპია არ გაგიგია? უცებ გაგიმთელდება სახე.

წამოვხტი და გავიქეცი. მინდვრად გამოსულ მთიბავებს წავაწყდი.

ამასობაში აკუმამ მოირბინა, ხელი მტაცა.

- მიშველეთ!

- დაგიჭირე, ვაუბატონო? ასე უნდა მოგვექცე. ამას ვიმსახურებთ შენგან?

- კაცი შველას ითხოვს, - უთხრა მთიბავმა.

- ეს კაცი ჭკუაზე არ არის, - მიუბრუნდა აკუმა. - კლინიკიდან გამოგვეპარა, აი საბუთი:

ჯიბიდან ცნობა ამოიღო. ჩემი სურათის, გვარისა და სახელის ქვეშ დიაგნოზი ეწერა: თურქული კეხის შიზოიდური ენცეფალიტი. მაგნიტურ დღეებში განსაკუთრებით საშიში.

- დღეს სწორედ მაგნიტური დღეა, - ცას ახედა აკუმამ. - ხედავთ, ქარი როგორ დაავლიჯინებს ღრუბლებს? ტელევიზიითაც გამოაცხადეს შუა დეტექტივში, ის ქალი რომ უნდა მოეკლათ, იქ არ გაწყვიტეს? ხვალ წნევიანებს ნუ დატვირთავთო, გიჟები დააბითო! ჩვენმა გიჟმაც აიწყვიტა და უნდა დავაბათ.

- არ დაუჯეროთ!

- ერთ ჩემს კოლეგასაც არ დაუჯერეს; მგონი, ისინიც მთიბავები ბრძანდებოდნენ, არა, ვტყუი, - თავი გააქნია აკუმამ, - მიწის მუშები იყვნენ, ჩვენგან გაქცეული რომ შეიფარეს. მდევარს საბუთები არ აღმოაჩნდა, სიტყვაზე კი არ ენდნენ, რადგან შიზოიდები როგორც წესი, ექიმებზე უფრო ენაწყლიანები არიან. მოკლედ, წესიერი ხალხი გამოაპანღურეს, დეფექტური კი თან წაიყვანეს, აჭამეს, ასვეს, ბუმბულლოგინში ჩააგორეს, იმ გადარეულმა კი ღამე ყველა დაკბინა! ორი მიწის მუშა მეორე დღესვე გაცოფდა და ერთ კვირაში გარდაიცვალა, მესამეს ნათესავი აღმოაჩნდა ცოფის დისპანსერში, ვაქცინა უშოვეს და ორმოცი დღე მზის წნულში ურჭობდნენ მახათებს. ბოლომდე მაინც ვერ მოარჩინეს და ამჟამად თორღვას აბანოში იმყოფება სამკურნალოდ.

- ვაიმე, გააჩერეთ! - დავიყვირე.

- ხედავთ, როგორი აღგზნებულია. სასწრაფოდ ქერქი უნდა გავუთიშოთ. ტრანკვილიზატორი ხომ არ გექნებათ? - აკუმა პატარა მთიბავს მიუბრუნდა.

- შინ წამობრძანდით, მოვაძებნინებ.

- რა დროს წასვლაა, საღამომდე სამი ზვინი გვაქვს დასადგმელი! - დაუყვირა დიდმა მთიბავმა. - აცხა, თქვე ნაგიჟრებო!

- ნუ ნერვიულობთ, წამსვე გაგეცლებით. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. მე ზალიკო ვარ ზამბახიძე. მალაკნების ბაზართან ვცხოვრობ. ვისაც არ ჰკითხო, ყველა მიგასწავლის. კუკიისკენ აუხვევ თუ არა, პატარა სახლია მანსარდით. ბაბუაჩემს უფეშქაშა ნოე ჟორდანიამ, უკანასკნელი გამოქცეულა თურმე მანგლისის ველიდან, თქვენი სახელი, პატივცემულო?

- პატიკოს მეძახიან - თქვა პატარა მთიბავმა.

დიდმა ისე შემოგვიბღვირა, აკუმამ ველარ შებედა შეკითხვა.

- წამოდი, შე დეფექტიურო, - ხელი წამავლო, - ნუ ვაფერხებთ ამ გამრჯე მუშაკებს.

შებინდებას აპირებდა, სოფელს რომ მივაღწიეთ. აკუმამ პატიკოს სახლი იკითხა. იქვე მიგვასწავლეს, შეგვიპატიჟეს.

- თურქი ჟურნალისტია - აკუმამ ჩემი თავი წარუდგინა პატიკოს მეუღლეს. - წარმოშობით ქართველია, თქვენი კუთხის შვილი ბრძანდება და სამშობლოში დაბრუნება სურს.

- სახე ვინ დაუმშვენა? - მომიბრუნდა პატიკოს ქალიშვილი.

- შარა გზაზე დაგვაყაჩაღეს, - აკუმამ. - ლარები არ დაანება და ჩაუმთელეს ჰაბიტუსი. ქე მოვერეოდით, მარა დილას აქეთაა ლუკმა არ ჩაგვსვლია პირში.

დიასახლისი დაფაცურდა. ხელად გაიშალა სუფრა.

- თქვენს მასპინძლობას დავლოცავ, - თასი ასწია აკუმამ. - მიხარია, რომ ეგზომ ნიჭიერი ჟურნალისტი, ჩემს კოლეგას ვგულისხმობ, თქვენს სტუმართმოყვარე ოჯახში აღმოჩნდა. მსურს, ნარკვევი გააკეთოს თქვენი, ამ ჭეშმარიტად იმერული ოჯახის შესახებ. სტამბოლში ხომ დავაბეჭდინებ, მერე თავად გადავაგერმანულებ, ფრანკფურტში გამომცემელი მეგულება, უარს ვერ გამიბედავს, იქნებ დოკუმენტური ფილმიც გადავიღოთ.

ქალებს მზე ჩაუდგათ თვალებში. ხელი ჩავიქნიე და ქათამს დავეძგერე.

- ქათამი მისი უსაყვარლესი კერძია, თუმცა ინდაურზეც ვაცივითაა. საერთოდ, ეს თურქები, განსაკუთრებით პრესის მუშაკები და თანაც ქართველები, ვატყობ ჭამა-სმაზე გვარიანად არიან.

- წვენი მოასხით, - საცივი გადმომაწოდა პატიკოს ასულმა.

- ვერ ლიბრ, ექსტაზ, ერექცია! - მითარგმნა აკუმამ.

პასუხად ამოვიღმუვლე და ინდაურზე გადავედი.

- რაიო? - დაინტერესდა პატიკოს მეუღლე.

- თქვენი ასული შეუყვარდა,- გაიღიმა აკუმამ. - დედას იფიცება: მსგავსი ანგელოზი მთელ მცირე აზიაში სანთლით საძებარიაო. უარს თუ არ მკადრებს, ცოლად შევირთავო.

- უი ქა, რას ბრძანებთ. - დედა-შვილმა მორცხვად ჩახარა თავი.

- რატომაც არა, რა გვაქვს დასაწუნი! - აკუმამ მხარზე ისე დამკრა ხელი, ბარკალი გადმომიფრინდა პირიდან. შეძლებული კაცია, განათლებული; მისი აივანი ბოსფორის სრუტეს გადაჰყურებს ევროპის მხრიდან. ცოლს, როგორც იტყვიან, არაფერს მოაკლებს. ზაფხულობით აქ ჩამოვლენ, მონატრების სევდას გაიქარვებთ, საშემოდგომო განწყობილებას შინ გაიყოლებენ, ქართულ ზამთარს გადარჩებიან, გაზაფხულზე კი, რუკას სადაც თითს დაადებს თქვენი ასული, იქ გაიჩითება, ცეკვა თუ იცი? - მიუბრუნდა აკუმა პატიკოს გოგოს.

- განდაგანას ასწავლიდნენ სკოლაში, - თქვა დედამ.

- აბა, ერთი დატრიალდი! ნუ მორცხვობ, დოკუმენტური ფილმისთვის გვჭირდება.

პატიკოს გოგო გაშტერდა.

- გაიარ-გამოიარე, შეგხედოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მიდი, გოგო! - უბიძგა დედამ შვილს.

პატიკოს გოგო ზლაზვნით წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, შემობრუნდა.

- აბა, ერთი ორი პა გააკეთე, ასე ა...

აკუმამ ფეხი თავსზემოთ აიქნია, კარადაზე შემოდგმული დოქი გადმოაგდო, გოგოს წელზე მოხვია ხელი და ტერფი აუწია.

- თავი მაღლა გეჭიროს, ხელები მზისკენ გაიშვირე, შემოტრიალდი, ო. კეი! - აკუმამ დააბზრიალა ქალი.

- თქვენს ქალიშვილს ბრწყინვალე მონაცემები აქვს, - უთხრა დედას, - დრეკადია, წვივმაღალი, თეძოგახსნილი. - აკუმას ხელი წელიდან ბარძაყზე ჩამოცურდა და სადღაც შუაში გაჩერდა.

- სხვათა შორის, ჩვენი საბალეტო სკოლა არ გახლავთ ცუდი, რუსულს როდი ჩამოუვარდება, - განაგრძო აკუმამ, - ბიძაჩემმა დედის მხრიდან მიიყვანა თავისი ქალწული, ცეკვა ვერ ასწავლეს, სამაგიეროდ, ორჯერ მოახერხა გათხოვება და გამოთხოვება.

- რა ხდება აქ! - ოთახში პატიკო შემოვარდა, დიდი მთიბავი კარებში ჩადგა.

- თურქი ჟურნალისტია, ჩვენთან ჩასიძება სურს, - ახარა ცოლმა.

- რაო! - დაიქუხა ოჯახის უფროსმა.

- მოვუსვით აბა სვანეთში, - ჩამჩურჩულა აკუმამ. ინდაურს ხელი სტაცა და ფანჯრიდან ისკუპა.

წამოდგომა ვერ მოვასწარი, დიდი მთიბავის ტორი დამეცა მხარზე, იქვე მომაყუჩეს.

- ჟურნალისტი ბრძანდები? - დამეძგერა პატიკო, გაგვაშველეს.

- ჩავაბაროთ მთავრობას? - იკითხა დიდმა მთიბავმა.

- სასიძო დავაჭერინოთ? - გაიღრიჭა პატიკო. - ლინჩის წესი და მისი ჯანი!

გამაჩაქჩაქეს გარეთ, კაკლის ქვეშ. დიდმა მთიბავმა მარყუჟი გაკვანძა, თოკი ტოტზე გადააგდო. ღობეს სოფელი მოაწყდა.

- მკლავთ! - ვიღრიალე.

- პაწას ჩამოგკიდებ, დილამდე იქანავებ. ხვალ უეჭველად ჩამოგხსნი, არ მოგატყუილებ!

- რა დავაშავე ამის ფასი!

- მართალს ბრძანებ, განაჩენი ზედმეტად მკაცრია - უცებ დამეთანხმა. - მაგრამ დამამძიმებელ გარემოებათა ფონზე გამოვიტანეთ: უგაზობა, უპურობა, უსინათლობა, ხალხი გაავებული, აღარ ვიცით, ვისზე ვიყაროთ ჯავრი.

- მე რაღა შუაში ვარ?

- შენისთანებმა წაახდინეს ქვეყანა. თქვენს გამო ვართ შავ დღეში.

დიდმა მთიბავმა ხელები ამომიტრიალა, სკამზე შემაგდო, ყულფი ჩამომაცვა.

- აკუმა, მიშველე! - ესღა მოვასწარი.

სკამი გამომაცალეს, სოფელი გაწითლდა, დანახშირდა, ჩაბნელდა... უცებ ცხენკაცის სილუეტი აღიბეჭდა შავ ფონზე, მხედარი მოახლოვდა, თავსზემოთ ხმალმა იელვა, სოფელი ისევ განათდა! ფაფარს ჩაბღაუჭებული ღობისკენ მივფრინავ! პატიკო, მთიბავი, ქალი, კაცი ცხენის ფლოქვებით აიზილა, ერთმანეთში აითქვიფა. ტყვიამ გამიკაწრა ლოყა, ცეცხლი მომედო სახეზე. სოფელი უკან მოვისროლეთ, ტყე ლეწა-მტვრევით გავაპეთ. ხეობას შევყევით და სული გზაჯვარედინთან მოვითქვით.

აკუმამ რიდე ჩამოიხსნა სახიდან. ღიმილით გადმომხედა.

- ეს რა დღეში ჩამაგდე!

- ცხოვრება თავგადასავალი და ფათერაკია, - ამიხსნა.- რა იყავი აქამდე? შინიდან სამსახურში და სამსახურიდან სახლში მიმავალი ქაქი.

- თავი დამანებე, არაფერი მსურს.

- წერილებს რაღას მწერდი? - აკუმამ მუცლიდან ბარათების დასტა ამოიღო, - რაც თავს გადაგხდა, ყველაფერი აქ გიწერია. ვინ იფიქრებს, რომ ასეთი ცეცხლი ტრიალებს შენისთანა კაცის გულში!

- ისე ვწერდი, უმისამართოდ, არავისთვის.

- ჩვენს სტრუქტურაში სწორედ არავისთვის დაწერილი სტრიქონები მოდის. ჩვენი გამგეობა თვლის, რომ სწორედ უმისამართო ექსპრესიები გამოირჩევა განსაკუთრებული სიწრფელით და სიღრმით. ერთმა ჩვენმა კოლეგამ სანაგვე ყუთებში გადაყრილი ნაწერების შეგროვებაც კი დაიწყო. კარგა მოზრდილი მასალა მოაქუჩა, არველაძემ დაუსტამბა და წითლანაძემ გამოუცა. ნაწარმოების გაფანტული ფორმა კრიტიკოსებმა ორიგინალობად ჩაუთვალეს, ვინმე დოლიძემ, რომელსაც დღემდე ვერ გადაუწყვეტია, რა პროფესიის ბრძანდება, ლიტერატურულ სალონში განაცხადა: სწორედ ის, რომ თხზულების თავები ურთიერთდამოუკიდებელნი არიან, აკავშირებთ მათ ერთმანეთთანო, ამ ხერხით ავტორი ჩვენი საუკუნის დარღვეული ცნობიერების დემონსტრირებას ახდენსო. მოკლედ...

- მოკლედ, დამცინი, არა?

- კი არ დაგცინი, გეხუმრები, გეთამაშები. ერთი ენდოკრინოლოგი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ხუმრობა და შაყირი ინსულარული აპარატის იმუნურ სისტემას წარმოუდგენლად აძლიერებს, ხსნის ორგანიზმის გამოუყენებელი რეზერვების მარაგს. შემიძლია გაშოვნინო ეგ სტატია ჩემს მეგობარს ათხოვეს. ვთხოვ, რომ მათხოვოს, რომ გათხოვო...

- აბა, გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, ვუთხარი. - შენ, ალბათ, მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ გავუხვევ.

- როგორ მიგატოვებ! ერთი მიატოვეს ასე და ისე აერია თავგზა, დღემდე ვერ გაუგია, რას აკეთებს, რისთვის ცხოვრობს.

ქვას წამოვავლე ხელი.

- დედას გეფიცები, მომიახლოვდები თუ არა, ცხვირ-პირში გლეწავ.

- შენი ნებაა, - მომიშვირა სახე. ოღონდ გაფრთხილებ, სარკის გატეხა ცუდი ნიშანია. ერთ ჩემს ნათესავს მამის მხრიდან გაებზარა სარკე და იმავე დღეს კრამიტი დაეცა თავში.

შემოვბრუნდი და მოვქუსლე.

- რას გარბიხარ, - მომაძახა. - არავინ მოგდევს.

მთელი ღამე გავრბოდი. დილით რკინიგზის სადგურს მივაღწიე, ცისტერნების შემადგენლობას შევახტი და რაიონულ ცენტრამდე ჩავაღწიე.

ბაქანზე აკუმა დამხვდა. თან ახლდა ორი მუტრუკი. მოშორებით მუსიკოსები იდგნენ.

- ხომ კარგად იმგზავრეთ, ჩემო ბატონო? - აკუმამ ხელი შემაშველა, - აქაური ინტელიგენციის წარმომადგენლები გახლავან, - მუტრუკებმა თავი დამიქნიეს. გავითვალისწინეთ რა თქვენი ექსცენტრული ბუნება, მივხვდით, სამგზავრო მატარებლის ნაცვლად ცისტერნების კოლონას ჩამოყვებოდით. ასე მართლაც უფრო რომანტიკულია - წევხარ ბენზინით სავსე ბალონის თავზე. აბოლებ და ტკბები ვარსკვლავებით. ერთი ნაპერწკალი და ქეც გაფრინდები ზევით.

- ახალი სპექტაკლი იწყება? - ვკითხე.

- აბა, მივესალმოთ სასიქადულო მწერალს!

მუსიკოსებმა ჩანთებიდან ინსტრუმენტები ამოალაგეს, აკუმამ დირიჟორივით აღმართა ხელები. უცებ „თავო ჩემო“ დასცხეს!

ყურებზე ხელი ვიტაცე და გასასვლელისკენ გავქანდი. მუტრუკებმა გზა მიყელეს, დამიჭირეს და ყვავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მორთულ ეტლში ჩამსვეს. აკუმა კოფოზე შემოსკუპდა მეეტლეს გვერდით, ინტელიგენციის წარმომადგენლები აქეთ-იქეთ, ეტლის საფეხურებზე დადგნენ.

რაიონული ცენტრის მყუდრო ქუჩებში გავწიეთ. ქალაქმა წამით გამოიღვიძა, ფანჯრებიდან გადმოგვხედა, შემდეგ დაამთქნარა და კვლავ შეიბრუნა ძილი.

- დღის წესრიგში! - აკუმამ ბლოკნოტი გადაშალა. - ჯერ ქალაქს გავეცნობით ზოგადად, შემდეგ ულვაშფუჩეჩის გადამამუშავებელ ფაბრიკას მოვინახულებთ, ამასობაში სიაბანდიშვილები სუფრასაც გაშლიან და პატარას წავიხემსებთ.

- ქალაქი დაარსებულია ყვარყვარე ათაბაგის მიერ. - განაგრძო - მის წარმოშობას მშვენიერი ლეგენდა ახლავს: ყვარყვარეს ერთ-ერთ ნაბიჭვარს ერთხელ პიკნიკი გაუმართავს, ერთ-ერთი მანდილოსანი ტყეში შეუტყუებია. მანდილოსანი ვირზე შემჯდარა. ყვარყვარეს უკანონო ძეს ძალა უხმარია, მანდილოსანს ასოზე უკბენია მისთვის, რის შედეგაც მოძალადე სისხლისგან დაცლილა. მოქანდაკეებმა ყვარყვარეს ბრძანებით იქ მემორიალი აღმართეს, რომელიც საოცრად ჰგავდა გარდაცვლილის ასოს. ნაბიჭვრის მამა ხშირად მოდიოდა ქვის ფალოსთან, თმას იპუტავდა, ღამეც რჩებოდა, ამიტომ ჯერ ქოხი დადგა იქ, შემდეგ სახლი წამოჭიმა, სახლს სახლი მოყვა, ქუჩა შეიქმნა, ქუჩა ქუჩას გადაება და ასე წარმოიშვა ეს მშვენიერი ქალაქი.

- ერთი შეკითხვა - მივუბრუნდი - როგორ გეტევათ, პატივცემულო, ამდენი სისულელე თავში?

- გაიხედეთ მარჯვნივ! - თქვა აკუმამ. - იქ, თხემზე ციხე-კოშკი დგას. კოშკს შესასვლელი არა აქვს - აკუმამ ხელით შემოხაზა დილის ბინდ-ბუნდში შემღვრეული კოშკი. - მიუხედავად ამისა ციხე-კოშკს ვერ მივიჩნევთ კლდე-საყრდენის ბუნებრივ გაგრძელებად. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს უფრო ნაგებობაა, ვიდრე ბუნებრივი წარმონაქმნი.

- დაამთავრე?

- თქვენისთანა მოაზროვნისთვის ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ მოდი, სოფლის ინტელიგენციაც შევიყვანოთ საქმის კურსში.

- რაღა შენობაა თუ შიგ ვერ შეხვალ და შიგნიდან ვერ გამოხვალ? - ხელი ჩაიქნია პატარა მუტრუკმა.

- შესვლა წარმოებს ინვერსიის გზით, - განაგრძო აკუმამ. - დგები კოშკის წინ, ჰილბერტის სივრცეში და იწყებ ტოპოლოგიურ გარდასახვას გარედან შიგნით. არ შეშინდეთ, ეს მეცნიერულად უკვე დაჭაშნიკებული და გატკეპნილი გზაა. შეიძლება, თავის ტკივილი დაგეწყოთ, ამიტომ ანალგინი მოვიმარაგე ყოველი შემთხვევისთვის.

აკუმამ ცელოფანში გამოკრული აბები ამოიღო.

- ახლა გვიპირებ ციხეში შეყვანას? - დაფრთხა დიდი მუტრუკი.

- სულ ერთი წამით შევახედებთ შიგ და მაშინვე გამოგაქცუნებთ უკან. არ გაინტერესებთ? სხვათა შორის, ერთი ებრაული წარმოშობის გერმანელი მწერალი დიდი მოთხრობის (ან, თუ გნებავთ, პატარა რომანის) მანძილზე ცდილობდა შიგ შესვლას. ვერც მოთხრობა (თუ რომანი) დაამთავრა და, საერთოდ, გაუგებარია, რისთვის გააფუჭა ამოდენა ქაღალდი, როცა ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდა კოშკს.

- მოატრიალე ცხენები! - ვუღრიალე აკუმას.

- სადღაა ცხენები, უკვე კოშკში ვართ! - დამიყვირა აკუმამ.

მართლაც, პროვინციული ქალაქი კოშკის მიმართ ამოტრიალდა და თავის თავში ჩაიკეტა. სამაგიეროდ, ციხე-სიმაგრე გაიხსნა და გარს შემოგვერტყა. ქვევით ჩრდილი იყო, ზემოდან სინათლე ჩქეფდა.

- თაღებს დააკვირდით, - გვითხრა აკუმამ. - ერთ არქიტექტორს ვიცნობდი, მსგავს ინტერიერს ქმნიდა, მაგრამ გადაეკიდნენ, ფორმალისტი ხარო, თითო უქნიეს, რაზედაც არქიტექტორმა მუშტების ტრიალით უპასუხა, ხულიგნობისთვის დაიჭირეს. მოკლედ, გაათახსირეს კაცი, დღეს კი აღმოჩნდა, რომ თურმე ჭეშმარიტებას ღაღადებდა.

- აქედან გამიყვანეთ! - ვიყვირე.

- სულწასულები ხართ ახალგაზრდები. ავიდეთ ანტრესოლზე, გადმოვხედოთ იატაკს, ამოვიკითხოთ მოზაიკური ფერწერა, ამასობაში სიაბანდიშვილები ინდაურსაც მოხარშავენ...

ინდაურის ხსენებაზე ხორხის სპაზმი დამეწყო.

- უხ შენი! - ამოვიხრიალე.

- არ შემაგინო, - გამაჩერა. - ერთ ჩემს ნაცნობს გინება დასჩემდა ოჯახში. დედას უტრიალებდა თითოეულ წევრს ცალ-ცალკე და ყველას ერთად. საქმიანობით ფერმერი გახლდათ, ბუნებით საოცრად ფაქიზი, გარეთ მეტად გულჩათხრობილი და ჩუმი არსება, მაგრამ რად გინდა? შევიდოდა თუ არა შინ, სამსართულიანი გინებით ამკობდა ყველას. ბავშვები ისე შეეჩვივნენ, თუ დედას იმნაირად არ უხსენებდი, პასუხს აღარ იძლეოდნენ. ცოლს დასაწყისში ძალიან უჭირდა, ისიც თავს ვერ იკავებდა, მერე ფსიქოთერაპიის კურსებზე დაიწყო სიარული და ღიმილით იგერიებდა ქმრის შემოტევებს. მაშინ ეს უკანასკნელი იქ არარსებული პირებისა და უსულო საგნების გინებაზე გადავიდა: აგინებდა მეზობლებს, მეგობრებს, მთავრობის წევრებს; აგინებდა ელექტროქურას, გაზის კანტორას, მაცივარს, კარადას, აივაზიანის „მეცხრე ტალღას“, რომლის უზარმაზარი ასლი საწოლთან ეკიდა. მოკლედ, მშვენივრად მიდიოდა საქმე, „მეცხრე ტალღა“ მოთმინებიდან რომ არ გამოსულიყო და ერთ მშვენიერ დღეს თავში რომ არ დასცემოდა ხსენებულ პირს.

- წაიღო წერილი? - დავინტერესდი.

- არა, ფოსტალიონად არ უმუშავია, თავი ფერმერობით გაჰქონდა, თუმცა, მგონი, შესთავაზეს ამანათების სექციაში ადგილი, მაგრამ სექტორის გამგეს გვარში გასათხოვარი შეაგინა, ამ უკანასკნელმა გულთან ახლოს მიიტანა ეს და ჩვენს ანზორს მოუწია უმუშევართა რიგებში ყოფნა.

- ახლა რასა იქმს? - ჩავაცივდი.

- მომშივდა- თქვა აკუმამ. - მოდი, ახლა ჩვენი ასტრალური ნება აქედან გასვლასა და სიაბანდიშვილებთან მისვლაზე მივმართოთ.

- გვარი ისეთი აქვთ, არა მგონია, რამე დაგვახვედრონ.

- ეგ გამონაცვალი გვარია, - თქვა აკუმამ. - მოგეხსენებათ, სისხლით სავსე წარსულში მაღალფარდოვან გვარებს დედაბუდიანად ულეტდნენ, ამიტომ ჩვენმა მასპინძლებმა დადიანობა ჯორბენაძეობაზე გადაცვალეს, შვილებმა ჯორბენაძეობა აღარ ისურვეს, მაგრამ თავად მეტრიკა განსვენებულმა ბაბუამ ბერიას შიშით ბუხარს შეაჭამა, მეპასპორტე ქალმა მოვსესიანობა შესთავაზა, შვილებმა შორს დაიჭირეს, ქართულ გვარებში იმხანად ვაკანტური სიაბანდიშვილი აღმოჩნდა და რაღას იზამდნენ.

- აქედან როგორ გავალთ? - ვკითხე.

- გასულები არა ვართ? ეს ქვის კედელი კოშკს აღარ ეკუთვნის - სიაბანდიშვილების გალავანია. ჭიშკარზე სამჯერ თუ არ დაუკაკუნე არ გაგიღებენ.

აკუმამ ურდულის რგოლი მიარტყა კარს. გაისმა ყეფა, მერე ნამძინარევი ხმები, ბოლოს ვიღაცა მოლასლასდა და ალაყაფი მძიმედ დასძრა.

ეროვნული

- მოგიყვანეთ ნანატრი კაცი! მწერალი, ესეისტი, ექსპრესიონისტი, კარიერის შესანიშნავი მცოდნე, ვაშაა!

აკუმამ ხელი მკრა და ვიღაც წვერგაფანჩულ არსებაზე მიმაგდო, რომელსაც ნივრის მძაფრი სუნი ამოსდიოდა პირიდან.

- თალეს, მოვიდნენ! - იღრიალა წვერგაფანჩულმა.

ფანერასავით სიფრიფანა თალესი აივნიდან ძირს ჩამოფარფატდა. გულ-მკერდი - ჩავარდნილი, სახე - ბრტყელი, მესამე განზომილება თითქმის არც ჰქონდა.

- სადა ხართ! გავთავდი კაცი ლოდინში! დილიდანვე დეპეშა - მოდისო! ბუჭუ ბაზარში ვაფრინე. მეზობელს ქინძი ვესესხე. ნაზიკომ ხაჭაპურები დააცხო. ახლა ფირფიტები! ჯაზი თუ კლასიკა? მისი მოთხრობები ვერ ჩავიგდე ხელში, გვისახსოვრებს, იმედია. ჯერ შუაცეცხლთან მობრძანდით, ჩაგაცეცხლოთ, ერთნახადი არ გეგონოთ, ისეთ ჩლიქებს გავადინეთ წვენი, თითებს ჩაატანთ! ასე უნდა? რატომ იგვიანებთ? კუჭი ხომ ბაზისია, ლექსი ზედნაშენი, თუმცა აწი დაანგრიეს ბაზისიც და ზედნაშენიც, მობრძანდით, ჯერ მარანში, მერე ზევით, ბოლოს ბანზე დავამთავრებთ, ვარსკვლავების ქვეშ, გიყვართ ასტროლირიკა? ბუჭუ, ქათამი! - უღრიალა ძმას. - მაინც რატომ გვაცდევინეთ?

- კოშკში ვიყავით - უთხრა აკუმამ.

- კოშკში? - თალესს შიშისგან თვალები გაუფართოვდა. - არ შემოხვიდეთ, არ შემოხვიდეთ! დღეს არა გვაქვს მიღება და, საერთოდ, დაივიწყეთ ეს სახლი! რადა ჩვენ, ღმერთო! მასპინძელი დაილია ამ საოხრე ქალაქში? გეფიცები, ორლულიანი მიკიდია, გადმოვიღებ და, რო გხეთქავ ნათელ შუბლში... ბუჭუ, თოფი!

ბუჭუმ ქათმის დევნას თავი ანება.

- კოშკში შესულან. ჩქარა თოფი, ინფექცია არ შემოიტანონ, ჭირს არ შეგვყარონ!

- მოიცა, - ეცა თალესს აკუმა. - მესმის თქვენი განწყობილება, ნაწილობრივ ვიზიაარებ კიდევაც. მაგრამ ურთიერთობის ასეთი მკვეთრი შემობრუნება თუნდაც კოშკში ნამყოფთა მიმართ არ გეკადრებათ. რატომ ასე უცებ? ნელ-ნელა ხომ შეგიძლია გაგვაგდო? ჯერ ხაჭაპურები შეგვიწყვიტე, მერე ინდაური მოგვაკელი, შემდეგ ორნახადი ერთნახადით შეცვალე, ბოლოს თქვი სამსახურში მეჩქარებაო, ჩვენც გაუთლელები არა ვართ, მინიშნებას მივხვდებით და გაგეცლებით.

- არ მომეკარო! - უღრიალა თალესმა პატარა მუტრუკს. - შენ მაინც არა გრცხვენია, კოშკში როგორ შეხვედი?

- ბატონო თალეს, - თქვა აკუმამ, - ეს რა ორიგინალური საკვამლე მილი გქონიათ? ანძადაც შეიძლება გამოიყენო. იცით, ვასილ პეტროვიჩმა იკითხა „რა ხმაურიაო“ (სახურავზე). ანტენას ჰიმავენო. მშვენიერი სახლიაო, დიახ!

ბუჭუმ ამასობაში თოფი ჩამოარბენინა. თალესმა მოგვიშვირა . იქუხა ერთხელ, ორჯერ... ჯერ პატარა მუტრუკი გაფართხალდა, მერე დიდი.

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, ჭიშკარს ავცდით, ლობე შუბლით გავარღვიეთ და, მესამედ რომ დაიქუხა, უკვე ქუჩაში გავრბოდით.

- რაც მე და შენ დავძმობილდით, მხიარულად ვატარებ დროს. - დავუყვირე აკუმას.

- იყოშკეს, ინდაური დაენანათ და იმიტომაც ამოიჩემეს კოშკი, - მიპასუხა. - მესმის, რომ პროვინცია ცრუმორწმუნეობის ბუდეა, ელანდებათ, რომ ყველა უბედურება კოშკიდან მოდის. თვითონვე შექმნეს ეს კოშკი და რაც კი სიბინძურე იყო მათ შორის, ყველაფერი კოშკს მიაწერეს. არადა, ერთმანეთს არ უმხელენ, თორემ ჩუმ-ჩუმად ყველა დაძვრება შიგ.

- ინდაურის გადასარჩენად მიასიკვდილებს [illegible] ინტელიგენტი?

- ინტელიგენციის ხოცვა აქ ჩვეული ამბავია. დღე არ გავა, ვინმე მოაზროვნე არ გააგორონ, განსაკუთრებით მას მერე, რაც სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ აქაური ჰავა ინტელექტუალური ელიტის გამრავლების შესანიშნავი პირობაა, რის გამოც უახლოვეს შვიდწლედში, თუ ინტელიგენციას ხელოვნურად არ გამოუშვეს სისხლი, ჭეშმარიტების მჭვრეტელთა ხვედრითი წონა კატასტროფულად გაიზრდება, საქმის გამკეთებელი კი აღარავინ დარჩება.

- ჩვენს მუტრუკებს ინტელიგენტობის არაფერი ეტყობოდათ.

- არაა სავალდებულო, რომ ინტელიგენტი მაინცდამაინც ელამი, წვერცანცარა და ჰლექიანი იყოს. აქაური ელიტა უფრო მუტრუკოვანი აღნაგობისაა. იცვამენ მუშურ-გლეხურად, ჭამენ ნიორს. მოკლედ, ვერ გაარჩევ უბრალო მშრომელებისგან, რის გამოც ვეღარ გაგიგია, ვინ უნდა მოკლა და ვინ აცოცხლო...

- ეშლებათ ხოლმე?

- ეშლებათ და ეგრე? თუმცა ქალაქის თავმა განაცხადა: ასი შემთხვევიდან ერთიც რომ აღმოჩნდეს ნაღდი, გამართლებულია ასივეს დახვრეტაო.

- მაგარი თავი ყოფილა.

- მთავარია პროცედურის უწყვეტობის შენარჩუნება. ხოცე მართალი იქნება თუ მტყუანი, მთავარია სული არ მოითქვა, არ შეჩერდე, არ დაფიქრდე, არ დაგეწყოს სინდისის ქენჯნა, თორემ თავად აღმოჩნდები ბრალდებულის სკამზე.

- არ გეჩვენება, რომ ცოტა მოძველებულია ეს თემა? - ვკითხე.

- გარდა ამისა, - განაგრძო, - სისხლისღვრის უწყვეტობაში ვითარდება არაინტელიგენტში ინტელიგენტის ამოცნობის უტყუარი გეში. ამას წინათ ფინანსთა მინისტრი ჩაცხრილეს. გარეგნობა მშრომელის თუ არა, საქმოსნის მაინც ჰქონდა; ქამრიდან ამოვარდნილი ღიპი, ტახივით მსხვილი კისერი; არადა, თურმე ათიანში არ გაარტყეს! გაირკვა, რომ განსვენებული მეცენატობდა, ხელოვნებას მფარველობდა და, საერთოდ, ფაქიზი სულის ადამიანი იყო.

- ძველია ეს მოტივი! - ვუღრიალე.

- ქალაქიც ხომ ძველია, - მითხრა. - ახალშენები ბრიყვების თვალის ასახვევად შეიქმნა, სხივთა თამაშიც ილუზიაა, სინამდვილეში მას ისევ წითელი ფერი აქვს, ისევ სისხლის სუნი ასდის.

აკუმამ ხელის ერთი მოძრაობით უხილავი ფარდა გადახადა ქალაქს. უმალ სისხლის მკვეთრი სუნი მომესმა.

- გული მერევა, - ვანიშნე აკუმას.

- არა უჭირს, აგერიოს, - მითხრა, - შვებას იგრძნობ, განთავისუფლდები. კორ გომიტუს ერგო სუმ! გული მერევა, ესე იგი, ვარსებობ! - დასჭყივლა და სიჩქარეს უმატა.

მეც უფრო ავჩქარდი, თითქოს მას მიჯაჭვული გახლდით.

გადავირბინეთ მინდორი, გავარღვიეთ ტყე და უცებ შორი, უდაბნოში, უზარმაზარი კედელი დავლანდე.

- კარიერი! მოვედით! - დავიყვირე.

- მოვედით? - შეჩერდა აკუმა.

- აქ გამომიშვეს მინისტრთან შენი ვიზიტის შემდეგ.

- „გაეროში“ ვუჩივლებ. - დამაიმედა.

- არავისაც არ უჩივლებ და, საერთოდ, აორთქლდები ახლა აქედან!

აკუმამ სევდიანად გაიღიმა და მართლაც აორთქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება იწყო. მისი ლურჯი მოლანდება ერთხანს ტრიალებდა უდაბნოს ხვატში, შემდეგ მზემ დააჭირა და ლურჯი კონტურიც გაიფანტა.

კარიერზე პირდაპირ ბრიგადირს მივადექი, გავეცანი, ვამცნე, რომ აქაურობას მიმამაგრეს.

- რაღაცას იეშმაკებდი, - ოქროს კბილები შემომანათა ბრიგადირმა. - მწერლებს აქ, როგორც წესი, აღარ აგზავნიან.

- არც ღირს მოყოლად, - ხელი ჩავიქნიე. რას დამავალებთ?

- წადი ბარაკში, გამოიცვალე და წერაქვით ხელში მიადგები კლდეს.

შუა წერაქვის ქნევაში ვიყავი, ბრიგადირი რომ დამადგა.

- ყოჩაღ, გისწავლია შრომა, ოღონდ წერაქვი უკუღმა გიჭირავს და, საერთოდ, იქ არ ურტყამ, სადაც უმიზნებ; იქ არ უმიზნებ, სადაც საჭიროა.

- ჩემს იმედზე ხართ მთელი ბრიგადა? - ვკითხე.

- შენი იმედი გვაქვს! ჩვენ გვსურს, გამოვიყვანოთ მწერლის ახალი ჯიში კაბინეტიდან პირდაპირ კარიერზე გადმოტანის მეთოდით. იმდენს გამუშავებ, ვიდრე წერაქვის ქნევა ძვალსა და რბილში გაგიჯდება.

ბრიგადირმა მათრახი დააძრო და ზურგზე გადამიჭირა.

ტკივილისგან დავიღმუვლე და კლდეს ვეკვეთე. ისე გამალებით ვმუშაობდი, უზარმაზარი ფენა მოვწყვიტე კედელს. მთელი ბრიგადა კინაღამ ქვესკნელში ჩავეშვით!

ბული რომე გაიფანტა, თხრილიდან აკუმამ ამოყო თავი, დაამთქნარა, გაიზმორა და უცებ ბრიგადირს სტაცა ხელი!

- ასე უნდა მოექცეთ მაღალი დონის სტუმარს? მისი მოთხრობები, პოემები საქვეყნოდაა ცნობილი! არ შეიძლება, არა! - შეანჯღრია ბრიგადირი. - თქვენთვის უარესია! ერთი მეგობარი მყავდა, ფილოსოფიის დოქტორი, ემიგრაციაში აღმოჩნდა და ჭურჭლის მრეცხავად ამუშავებდნენ! მთელი ქალაქი დაისაჯა! მიწისძვრა მოხდა და მოსახლეობა ცოცხლად დაიმარხა. თქვენც ასე მოგივათ, სტუმარს თუ არ დააფასებთ.

ბრიგადირმა ხელები გაშალა „მე რა შემიძლიაო"

- რა შეგიძლია? - ჩააფრინდა აკუმა. - ხუთი წუთი რომ მიეცი ამ ფაქიზი სულის ადამიანს გარდაქმნისთვის. ის მაინც არ იფიქრე, იქნებ მშიერია, ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

იცოცხლე, მთელი ბრიგადა დაფაცურდა! კარიერზე სამუშაოები შეწყდა. სუფრა იქვე, ოაზისში გაშალეს. ჰქონდათ აქლემის ხორცი, კაქტუსის ფხალი და მჟრალი არაყი.

- სუფრა ფრიად ეგზოტიკურია, - თქვა აკუმამ, - თუმცა სწორხაზობრივი. განა აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ უდაბნოში ვიმყოფებით?

ბრიგადირმა ზურგჩანთა გახსნა და იქიდან დამჭკნარი ნიახური ამოიღო.

- ო, ეს უკვე ახალი შტრიხია! - თქვა აკუმამ. - აბა, ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს!

ბრიგადამ ერთხმად მადლეგრძელა. ბრიგადირმა რაღაცა იბოდიალა - ვერ გავიგე, ბოდიშს მიხდიდა თუ მადანაშაულებდა.

- თქვენი სადღეგრძელო ერთობ ბუნდოვანია, - შეაწყვეტინა აკუმამ, - სადღეგრძელო, როგორც მიმართვის ფორმა, მესოპოტამიიდან არის წამოსული. იგი გულისხმობს მხოლოდ დადებით მიმართვას ადრესატისადმი. გულისწყრომის, წყენის, საყვედურის ნასახიც კი არ უნდა იყოს მასში.

- როგორ გეკადრებათ, - თქვა ბრიგადირმა.

- თუმცა ჩვენში უფრო განვითარებული ფორმაც არსებობს, განსაკუთრებით კახეთში, მით უფრო, სუფრის ბოლოს, როცა შეიძლება ჭიქა ასწიო და შეაგინო კიდევაც სადღეგრძელებელ პირს.

- მე კახელი არ გახლავართ.

- ამიტომ თქვენი მიმართვა და დასკვნები, უმჯობესია, დადებითი იყოს.

- ფუჰ! - გადავაფურთხე. - ამ არაყს ფსლის სუნი ასდის.

- ფსლისგანაა გამოხდილი და იმიტომ. - ამიხსნა აკუმამ, - აქლემის შარდი გროვდება საგანგებო რეზერვუარში, ვიდრე ქაფს არ მოიგდებს. ქაფი უნდა მოხადო, შუა, შედარებით დაწმენდილი ნაკადი ღორის ტიკჭორაში გადაასხა, რომელიც ნაგაზის ქონითაა გაპოხილი. ამ ქონით შეიძენს იგი სპეციფიკურ არომატს. შემდეგ ასხამენ ქვაბში, შემოდგამენ ცეცხლზე. საკვამურიდან ჯერ ხდება მისი ანიჰილაცია, შემდეგ კონდენსაცია და ასე წვეთ-წვეთად აგროვებენ ბოცაში.

- ცუდად ვარ! - ვიღრიალე.

- ცუდად ხარ, ესე იგი, არსებობ, - მითხრა. - კარგად ყოფნაში ისე შეიძლება ჩაიძირო, ვერც გაიგო, ხარ თუ არა ხარ.

- დავამთავროთ, აღარ შემიძლია!

- დამთავრება ეგრე იოლი არ გახლავს. ჯერ კიდევ სტანისლავსკი მიუთითებდა, რომ საფინალო სასტვენის წინ უკიდურესად უნდა დაიძაბოს სიტუაცია, მოხდეს კონფლიქტი მოწინააღმდეგე მხარეთა შორის.

ამ სიტყვებით აკუმამ ბოთლი მოიქნია და თავზე დაამსხვრია ბრიგადირს! მაგიდა გადააყირავა და სუფრის წევრებს ზედ დაამხო! წამოდგომა ვერ მოვასწარი, მუშტი მომხვდა ყბაში, დავეცი, წამოვხტი, წერაქვს წამოვავლე ხელი, მაგრამ ვინც დამარტყა, იმას არ დავტაკებივარ, აკუმას ვეცი და წერაქვი მოვუღერე.

- არ დამარტყა! - დამიყვირა. - არ გვინდა კონფლიქტი! არსებობს გათავების სხვა მეთოდებიც. ზოგი იმასაც გვირჩევს, მრავალწერტილით შევწყვიტოთ თხრობა, კონფლიქტისა და დასკვნის გარეშე. ისევე უაზროდ, როგორც შეიძლება თავად ცხოვრება შეწყდეს.

წერაქვი მოვუქნიე. აკუმამ აიცდინა დარტყმა.

- მკლავ! - მიღრიალა. - ჩვენ ხომ ერთნი ვართ! შენს ნება-სურვილთა მესაიდუმლეს უნდა მომილო ბოლო? ნუთუ ვერ ხვდები, რომ შენა ხარ ყველაფრის მიზეზი! ყველაფრის, რაც მოხდა და რაც თავს გადაგხდა! ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი შენი დასტურის გარეშე...

დამთავრება აღარ ვაცალე, მეორედ შემოვკარი.

საშინელმა ტკივილმა დამიბინდა გონება. რომ გამოვფხიზლდი, ჩემს ოთახში ლოგინზე ვიჯექი. ნამსხვრევებად ქცეული აკუმა ხალიჩაზე ეგდო. ნამსხვრევებს ჩავაცქერდი და უცებ მომეჩვენა, აკუმას ათასი ტუუპისცალი აელვარდა და ათამაშდა ირგვლივ! ბინდი გაიფანტა და მკვეთრ სინათლესთან ერთად უთვალავი ნაცნობი სახე დაეკიდა სივრცეში!

- ვინა ხართ! - აღმომხდა.

- ჩვენ აკუმას ძმები ვართ, შენი ჩრდილები! - დამიყვირა ერთ-ერთმა.

ათასი ხელი გამოფრინდა ჩემკენ. ლოგინს მომწყვიტეს, ამიტაცეს, ამაბურთავეს და ორეულთა მღელვარე ტალღამ ახალი ფათერაკებით სავსე ისტორიისკენ წამიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონა ბუბუტეიშვილი

●

და ახლა მხოლოდ ეშმაკმა იცის,
საით გაიჭრა ჩემი იაბო,
ყოველი სიტყვა სათქმელად მიმძიმს
და უთქმელობის მიზეზს გიამბობ...

ქარი მოთმენას გაწეწავს, დაშლის
და შემაშფოთებს მზერა ირიბი,
შენ რას მიამბობ, ნეტავი, მაშინ,
როცა დავდგებით ორნი პირისპირ...

დღეებს ეჭვები მოსდევენ მაყრად,
სადღაც ჭინკები უსხედან სუფრას,
შენ დუმხარ... და მეც არ ვიცი ახლა,
რა უნდა ვუთხრათ ორივემ უფალს...

## მესამე ნაპირი

ჩამოწვა ღამე და გაავდრდა ოცნება -
მოქრიან რაშები ცეცხლოვან ფლოქვებით,
ვეღარ გადავიტან იმედის მოცელვას
და უიმედობის ტკივილში მოვკვდები.

შანდალზე კრთებიან სანთლები, ისევე
მუხლებზე ვდგავარ და ცრემლები ბღავიან,
სიწრფელის სიყალბე - სიყალბის სიწრფელე
შენ უნდა შემინდო, წმინდაო მარიამ...

ცხოვრება ბორგავს და ცხოვრება გვიმეტებს,
ეს ღამეც მოვარდა - სასტიკი ვამპირი,
ორივე ნაპირზე ცელავენ იმედებს,
სად არის, სად არის მესამე ნაპირი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

იქნება, სითბო დააკლდა სიტყვას,
არ მინდა, გულში ეჭვი გრჩებოდეს,
იმის ნუ გჯერა, რაც დღემდე მითქვამს,
რაიც არ მითქვამს, იმის გჯეროდეს.

იქნება, შუქი დააკლდა მზერას,
იქნებ, ვერ შევწვდი ყველა სიმაღლეს,
რაიც ვიგრძენი, იმისი მჯერა,
ნაკლებად იმის - რაც დავინახე...

და ახლა ხელში მიჭკნება ვარდი,
ოცნებას აზრი არა აქვს რადგან,
სიცოცხლე მაწევს - უთქმელი დარდი
და ეკლის გვირგვინს უსიტყვოდ მადგამს...

ტრიალებს ბედი ისევ ირიბად,
დუმილით ვაწყობ გიტარას დაშლილს,
არ შემიბრალო, როცა ვტირივარ,
როცა ვიცინი, ცოდვა ვარ მაშინ...

სულში კვლავ სველი სიცივე ცვივა
და ქარში ისევ მემსხვრევა ფრთები,
ბედნიერი ვარ, როდესაც მტკივა
და ამ ტკივილზე სიცილით ვკვდები.

ყოფნა ლექსივით გამოვიგონე
და უცნაურად მძულდა, ვყვარობდი,
მიტომ შენამდე ვერ გავიფონე
უცნაურ მზერით და სამყაროთი.

დღეს თითქოს რაღაც დააკლდა სიტყვას,
ვინ მოგიძღვნიდა ლექსებს ჩემოდენს,
იმის ნუ გჯერა, რაც დღემდე მითქვამს,
რაიც არ მითქვამს, იმის გჯეროდეს.

●

მე ჩემს ჩაკეტილ სივრცეში მძინავს
და ვხედავ სიზმარს დაშვებულ ფრთებით,
არ გამაღვიძოთ, ქუჩებში გრგვინავს
გულგრილობის და ღალატის ხმები...

მე ჩემს ჩაკეტილ სივრცეში ვთბები,
ვარსებობ ჩუმად ან ზოგჯერ ვცხოვრობ
და სიზმრისეულ ფიქრების გვერდით
ყველაფერს ვწვდები - ვდობ, ვძმობ და ვცოლობ.
ვპატიობ, ვყვარობ, ვბრაზდები ნაზად,
ქუჩებში უნდო პროფილებს ვტუქსავ,
მომავლის ბილიკს ოცნებით ვხაზავ
და ვგავარ ბინდში დამწყვდეულ ტუსაღს.

ისე, ვით ცხადში, წესით მეცა მაქვს
პაემანის და გავლის უფლება,
ვინა თქვა, ხელი რომ მომეცარა -
თავად უარვყავ თავისუფლება...

ახლა ეს ლექსიც ფიქრმა დანისლა,
ეს მოგონებაც თქვენით ღონდება,
მტრისგან ნასროლი ტყვია რას მიზამს,
სხეულს მოკლავს და სხვა რა მოხდება...
თქვენ სულში მესვრით, თავად არ იცით,
რომ ყველაფერი თქვენით მთავრდება
და პაემანზეც მიტომ არ გიცდით...
გაგირბით, ვწუხვარ და მენანება...
ისევ ჩაკეტილ სივრცეში მივალ
დამსხვრეულ გრძნობით, დაშვებულ ფრთებით
და, როგორც მაშინ და როგორც წინათ,
თქვენს იარებზე სიზმარშიც ვკრთები.
ცხოვრება მოდის კანონით მგლურით
და ბედი - მკაცრი უზურპატორი...
მძინავს და მიცემს უხორცო გული,
ჩემი უხორცო ლექსის ავტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთევან დოლიძე



## ლექსის პური

ვეღარ ვშველი ვარდებს
და დარდების წყებას,
ამოთონილ გულში
ლექსის პური ცხვება;
ამოვყრი და დავტეხ
და მოგართმევთ ცხელ-ცხელს
დაგაპურებთ ყველას,
ვით დამშეულ მერცხლებს.
ვეღარ ვშველი ვარდებს
და დარდების წყებას,
ამოთონილ გულში
ლექსის პური ცხვება.

## როგორ ვიყინები

როგორ ვიყინები, როგორ ვითოშები,
ქარებმა წარმტაცეს კონკიას ქოშები...

და მაინც შევცურე მდინარის ზვირთებში,
ამიხდა ყოველი, რაც ხდება მითებში...

გათოშილ წამწამებს უკვე ველარ ვახელ,
ყინულთა ნაჟურში ისე ვიკალმახე.

მაინც ვერ მოვახრჩე დარდი უნაპირო,
ჩემი ოცნებები საით გადავფინო.

როგორ გავიმეტო, როგორ ავატირო,
სიკვდილის სურნელი როგორ ავადინო.

- მოდი, შეგიფარო, - მიცდის კვიპაროსი,
მე კი მენატრება ატმების სამოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა, ყვავილივით ცისკენ გადაფრენა,
მიხსენ, გაზაფხულო, მიხსენ, ათასფერა...

. . . .
როგორ ვიყინები, როგორ ვითოშები,
ქარებმა წარმტაცეს კონკიას ქოშები...

## ვიდრე ოფლი არ შეშრობია ულაყის ფერდებს

ვიდრე ოფლი არ შეშრობია ულაყის ფერდებს,
უნდა იცხოვრო მიწაზე და ზეცაში ფრენდე.

ვიდრე უფსკრულებს არ შეგარევს ქარიშხლის თქორი,
ვიდრე სიკვდილი დაგაცხრება - კლანჭება ქორი.

უნდა მოასწრო ყვავილების ნაზი ამბორი
და წუთისოფელს მოეფერო ღვარძლით გაბოლილს.

ისიც გაყიდეს... შეეშველე შენი ფარფლებით,
თუ გინდა, თავად არ დაგემსხვრეს თეთრი აფრები.

თუ გინდა, შენმა ნაშიერმა იშემოდგომოს
და გაზაფხული ხელმეორედ გადაეფოთლოს...

...და თუ ცხოვრება ხერხემალში მაინც გაგტეხავს ,
გამოადგები საქართველოს სარკის ნატეხად!

## ღიმილის მანდილი

ტკივილის დაფარვა ღიმილით ძნელია,
მომეცი ძალა და მიხსენი, უფალო,
გულს, დარდით გაგლეჯილს, და სულის ფორიაქს
ღიმილის მანდილი რომ გადავუფარო.

თორემ სად ვიცხოვრო, ან როგორ ვიცხოვრო,
კალმახთა შფოთვაში დღეები ბინდდება...
ისევ ამიფეთქე ოცნება, უფალო,
ველური ვარდების უთეთრეს კვირტებად.

●

ქისტები, ცხენები, ღრეობა აულის,
როცა სულს ქრუანტლად და ცეცხლად დაუვლის.

როცა იგიზგიზებს ღამე მოკისკისე,
ო, არ მომეფერო, მხოლოდ მომინისლე.

მხოლოდ მომინისლე სულის აკლდამაში,
მე აქ უსაშველოდ მომბეზრდა თამაში.

და თუ შემოაღწევ მკვდარ ფარაონამდე,
მინდვრის ყვავილები გულუხვად მოჰფანტე.

იქნებ გამაცოცხლო, იქნებ გამაღვიძო,
უნდა შემომფიცო, უნდა შემომფიცო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სხეულში უკვე ვეღარ ვეტევი

სხეულში უკვე ვეღარ ვეტევი,
როგორც უღრანში დამფრთხალი ნუკრი,
ზამთარი გულში მიჭერს მარწუხებს,
თან მეშინია ცეცხლის და ბუხრის.

თოვლზე უამრავს ვტოვებ ნაკვალევს, -
ჩემი გულივით გაპობილ ჩლიქებს,
წიფლის კვირტივით ჩუმად გნატრობდი,
ამას ვერასდროს შენ ვერ გაიგებ.
..........
დაფეთებული დავეძებ უფსკრულს...
ზამთარი ჩემს სულს ფიფქებად პენტავს
და ვეკითხები საკუთარ აჩრდილს:
- ქარიშხალი თუ დამიტევს, ნეტავ?

## მე შევიყვარე ოცნებებით მთვრალი ასული

შევიყვარე ოცნებებით მთვრალი ასული,
ფიქრების მეპყრა ულაყები ცით სულწასული.

ჰორიზონტს მიღმა დაქანცულმა მაინც ვიალე,
გავცურე როცა შვიდი ზღვა და ცხრა ოკეანე.

ვიყავი ღამე... ქარიშხალი... შმაგი, გიჟური,
გონდაკარგული, გაფრენილი გული მიჯნურის.

ვნებას სადავე ჩამოვხსენი... როცა გათენდა,
მკლავების ცეცხლის მარწუხებში იგი დამნებდა.
. . . . .
ასე მეგონა, გვირილების ზღვაში გვეძინა...
და მთები მისი ყელზე სუნთქვად შემომემძივა...

თან იყო სუსტი, თან ფაქიზი, თან ამორძალი,
იყო აისი ცისარტყელას დანაკოცნარი.

ვტყორცნიდი ისრებს სიყვარულის, როგორც კენტავრი,
ეს ცხადი იყო თუ სიზმარი, ღმერთო, ნეტავი...

მე შევიყვარე ოცნებებით მთვრალი ასული, -
ჩემი ცხოვრების დასაწყისი და დასასრული.

## შინდის ყვავილი

მე და შენ ძალზე ადრე მოვედით,
ჩემო პატარა შინდის ყვავილო,
ხან დასაკოცნო, ხან დასალეწო,
ჩემი ცხოვრების ქვავ და მარილო.

შენგან ხომ დამყვა გაძლების ნიჭი
და ქარიშხლებში ბზრიალ-ტრიალი,
ან გადავრჩებით, ანდა წაგვიღებს
შლეგი მარტები ორომტრიალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან დასაკოცნო, ხან დასალეწო,
ჩემი ცხოვრების ქვავ და მარილო,
მე და შენ ძალზე ადრე მოვედით,
ჩემო პატარა შინდის ყვავილო.

## ქალი კენტავრი

გასკდება გული... ვერ გავუმხელ ვერავის დარდებს...
მაგრამ რად მინდა ცრემლი ჩემი სხვას მოვახვიო...
ფერად სიზმრებში აგეზღაპრე და აგელანდე
ქალი-კენტავრი უბელო და უ-უაღვირო.

ჩავესახლები თვალებს შენსას და შემდეგ წავალ...
და მერე ისევ ტკივილამდე მომენატრები,
დაღდასმული ვარ ბედისწერით - ვიარო ცალად,
მცვივა ცრემლები - ვარდისფერი ოლეანდრები.

შენ წუთისოფლის ბორკილები ჩამოიხსენი,
არ შეგეშინდეს, თვალი უცებ რომ გაახილო,
აღარ ვიქნები... არ მომძებნო... და გაიხსენე
ქალი-კენტავრი უბელო და უ-უაღვირო

●

გული დარდს და ტრფობას
ველარ გადაურჩა...
მე ვარ მხატვრის ტილო,
შენ იქეცი ფუნჯად...

და სიყვარულს ხატავ
ცაზე უფრო ლურჯად...
ნაწვიმარი თმები...
ნაწვიმარი ქუჩა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანა ჯოჯუა

## ნუნუკა



მესამე ღამეა ლოგინში წრიალებს ნუნუკა. არ სძინავს. ფიქრები ტვინს უბურღავენ. მოსვენება აქვს დაკარგული. რა მოხდა, რატომ მიატოვა გივიმ? ნუთუ ყველაფერი დაივიწყა. არადა სოფელი დიდიხანია ჭორაობს, ასამართლებს. სოფელი არაფერს ივიწყებს.

გვერდით მძინარე ბიჭუნას ლოყაზე ხელი მიუთათუნა, შუბლზე აკოცა და ლოგინიდან წამოდგა. სარკესთან მივიდა, შავი თმები ჩამოივარცხნა, ლამაზად ამობურცულ ტუჩებზე პომადა წაიცხო, გრძელი და ხშირი წამწამები აიპრიხა, ცხვირ-პირი მსუბუქად გაიპუდრა და კარადის კარები ჩუმად გამოაღო, დიდხანს არჩია რა ჩაეცვა. ბოლოს ყურადღება თეთრად დაწინწკლულ შავ კაბაზე შეაჩერა, საგანგებოდ გივისთვის რომ შეიკერა. სუნამო იპკურა და მეორე ოთახში გავიდა. იქ სანთლის შუქზე მოხუც ქალს მიტკალივით თეთრი სახე სილურჯეში გადასდიოდა და ფშვინავდა. ნუნუკა საწოლთან მიიჭრა, დაიხარა, ტუჩები მოხუცს ყურთან მიადო და წასჩურჩულა:

- ბებო, ვერ ვიძინებ, გარეთ გავალ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ, ბავშვს მიმიხედე.

ბებომ იცოდა, რომ ნუნუკას უძილობას მარტოობა ერქვა. ხოლო ის, ვინც სუფთა ჰაერივით სჭირდებოდა ქალს, გივი იყო. შვილიშვილის თხოვნამ მოხუცი სიზმრებისგან გამოარკვია. ახალგაზრდა ქალივით წამოხტა ფეხზე, იქვე საწოლზე დაგდებული თავშალი მოიხურა და უსიტყვოდ გაემართა შვილიშვილის ოთახისაკენ.

შუა ღამე იყო. წვრილქუსლიანი ფეხსაცმელების პაკაპუკით ქალი ეზოში გამოვიდა. მურიას საყვარელი პატრონის სურნელი ეცა. კუდის ქიცინით ფეხებში შემოეფეთა და აუეფდა.

- გეხვეწები, ქვეყანას ნუ შემიყრი. - ჩუმი ხმით შეევედრა ქალი. ძაღლს მოუსვენრობა ეტყობოდა, მაგრამ პატრონს მაინც დამორჩილდა და გაჩუმდა.

ჭიშკრის ურდულს ხელი გამოსდო, ზამბარიანმა კარმა გაიჭრიალა. შეშინდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ვაითუ ვინმემ გაიგოო, თავსაფარი თავზე წაიფარა და მალულად გავიდა საკუთარი სახლის ეზოდან. გზაზე ღამის სიო ნაზად მოელამუნა სახეზე. ესიამოვნა. თავსაფარი მოიხსნა და მზემოკიდებულ შიშველ მხრებზე მოიხურა. დიდრონი შავი თვალები განსაკუთრებული ხიბლით უელავდნენ მთვარის შუქზე. ლამაზი იყო ნუნუკა. თეთრად დაწინწკლული შავი კაბა ისე მჭიდროდ შემოტმასნოდა ტანზე, რომ მრგვალი თეძოების მოყვანილობას გაარჩევდით. სტილით 60-იანი წლების იტალიელ სენიორას ჰგავდა. შავგვრემანი იყო. ალვის ხესავით აშოლტილი. როგორც ნიჭიერი ხელოვანის ნაძერწი. კლასიკური ფორმით სრულქმნილი ქანდაკი.

ტრაგიკული ბედი ხვდა წილად ამ მშვენიერ ქალს. ოცი წლისა გათხოვდა. ზურიკოს გაჰყვა ცოლად. ზურიკო წესიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი მისი თანაკურსელი იყო. უნივერსიტეტი ერთად დაამთავრეს. ამ დროს ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მიყენებულ იარებს იშუშებდა. თბილისში ცხოვრება ჭირდა და ახალგაზრდებმა სოფელს მიაშურეს. ზურიკოს მამაპაპეულ სახლს დიდი ხნით დახშული დარაბები დახსნეს, იქაურობა განაახლეს, გაახალისეს. წლისთავზე ვაჟი შეეძინათ. ნუნუკას ბედნიერებამ მხოლოდ ორ წელიწადს გასტანა. ერთ დღესაც შემზარავი ამბავი ჩამოუტანეს თბილისიდან. ზურიკო ავარიაში დაიღუპა.

დიდი ხანი იგლოვა ნუნუკამ ქმარი.

ერთხელ გაზაფხულზე საღამო ჟამს, თბილისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები ესტუმრენ. იქეიფეს, იმხიარულეს. ღვინომოკიდებული ქალები ფეხშიშველი ცეკვავდნენ სახლის წინ, ფილაქანით მოპირკეთებულ აივანზე. ნუნუკას კი დაძაბულობა ეტყობოდა. მისი ღიმილი სიკვდილმისჯილი ადამიანის ღიმილს ჰგავდა. მეგობრებმა შენიშნეს და უსაყვედურეს კიდეც. როდემდე უნდა მისტიროდე წარსულს. პატივი გვეცი, ცრემლები შენთვის შეინახეო. ქალს გული ჩასწყდა. სილაგაწნულივით წამოწითლდა. საშინელი მარტოობა იგრძნო ამ გაუტანელს, გულცივ ქვეყანაზედ.

ის დღე იყო და სულთმობრძავივით აფართხალდა, საკუთარ თავში, ძალას ეძებდა. ეძებდა და იპოვა კიდეც.

ერთ დილას წიგნებში ჩაკარგული წითელი დიპლომი გადმოიღო და იქაურ სკოლის დირექტორს ესტუმრა.

ბავშვებმა შეიყვარეს ნუნუ მასწავლებელი.

ნელ-ნელა ცხოვრების ფერხულში ჩაება. იმერეთიდან მოხუცი ბებია ჩამოიყვანა. იმერელ ქალს უჭირდა ქართლის ბუნებასთან შეგუება, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შვილიშვილს დახმარებოდა და ბოროტი თვალისაგან დაეფარა.

მერე გივიც გამოჩნდა. სოფელში სტუმრად ჩამოსული გივი ახალგაზრდა, უცოლშვილო, სასიამოვნოდ მოლაპარაკე და კარგი მომღერალი იყო. პირველად ნუნუკა სკოლის ეზოში შენიშნა. იმ დღიდან მოსვენება დაკარგა. ქალის სიყვარულით თბილისიდან მამაპაპეულ სახლში გადმობარგდა. მაგრამ ლამაზი ქვრივი ამაყი და  უკარება გამოდგა. ორი წელიწადი ფეხდაფეხ სდია. ბოლოს იმდენი ქნა თავი შეაყვარა კიდეც. ძალიან შეაყვარა.

ამ ამბით შეურაცხყოფილი სოფელი აწრიალდა, აქოთქოთდა.

მას შემდეგ ყოველ დილით სკოლაში მიმავალ ნუნუ მასწავლებელს სოფლის ცენტრში თავმოყრილი ადამიანების გამკილავი მზერა აშინებს. ნუნუკა ხედავს, გრძნობს როგორ ითრევს სოფელი ფეხს. ძველ დროსა და ადათ-წესებს ჩაბღაუჭებული თანადროულობას როგორ გაურბის. პატარა რამ სწყინს და ძნელად პატიობს.

არა და რა ქნას ნუნუკამ? გივი ერთი თვეა არ უნახავს. ენატრება, ძალიან ენატრება. სოფელში კი ხმა გავრცელდა, გივიმ ნუნუკაზე გული აიყარა და სტუდენტ გოგონას აეკიდაო. რა ქნას ახალგაზრდა ქვრივმა? მარტოობას როგორ გაუძლოს? ისევ იგლოვოს? მერე ვიღაც მოვა და ეტყვის: პატივი გვეცი, ცრემლები შენთვის შეინახეო.

არა, ეს არ მოხდება! შემოდგომის ამ ლამაზ ღამეს ნუნუკა თავის სიყვარულს აუცილებლად მიაკითხავს. თავს შეახსენებს, თავს მოაწონებს. მერე მოულოდნელობისგან დაბნეული გივი პერანგის საყელოს გაისწორებს, სიყვარულით გაუღიმებს, ხელებს გაშლის და გაპრანჭულ ნუნუკას ჩაიხუტებს.

ფიქრებში ჩაფლული ქალი ორღობეს გასცდა.

ჭრიჭინების ჭრიჭინი და გამხმარი ფოთლების შარიშური ღამის სიმფონიას ქმნიდნენ მთვარის შუქზე.

ნუნუკას სოფლის გულში მდებარე პატარა ტყე უნდა გაევლო. ამ ტყის მიღმა აბობოქრებული მდინარის შხუილი ისმოდა.

ქალის ზურგს უკან ვიღაცამ მჯიღში ჩაახველა. ნუნუკა შეკრთა, გაჩერდა და უკან მოიხედა. მაღლობზე შემდგარი უზარმაზარი სილუეტი ჯერ ხეს ამოეფარა, შემდეგ მტაცებელივით ისკუპა და ქალის წინ გაჩნდა. მთვარის შუქი მამაკაცს წვერგაუპარსავ სახეზე დაადგა და გაანათა.

ეს დათიკო იყო.

ქალი დაიძაბა. გაშეშდა.

ეს ის დათიკოა, დილაობით სკოლაში მიმავალს გესლიანი ღიმილით რომ ესალმება და ბინძურ მზერას აადევნებს. ეს ის დათიკოა, პატარა, ობოლი გოგო ცოლად რომ შეირთო. სახლში ჩაკეტა, ხშირად ეჭვებისაგან თავბრუდახვეულ გოგონას ფეხქვეშ ამოიდებს, უგულოდ სცემს, შემდეგ ეზოში გამოალაჯებს და იცინის, ვითომც იქ არაფერი მომხდარა. ეს ის დათიკოა მთელი სოფელი ოხერს რომ ეძახის და ყველა გაურბის - ნუნუკა ჟრუოლამ აიტანა. შეშინებული თვალები შეანათა მამაკაცს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაილუღლუღა: - დათიკო, რა გინდა?

- ის, რაც შენ გინდა, ჩემო ქალბატონო! - გესლიანი ღიმილით უპასუხა კაცმა და ერთი ნაბიჯით ქალისაკენ გაიწია. ნუნუკამ გაქცევა დააპირა. კაცი მიუხვდა. ელვისებურად მიიზიდა ქალი თავისკენ. მარცხენა ხელი ტანზე შემოაჭდო. მარჯვენათი კი კაბის გულისპირი შემოახია. ქალი გაუძალიანდა. ბოლოს იმარჯვა,  დაუსხლტა. მაგრამ რამოდენიმე ნაბიჯი და... ფეხსაცმლის წვრილი ქუსლი რიყის ქვას გამოედო, ქალი ფეხმოკვეთილივით დავარდა. მრგვალი მუხლისთავებიდან სისხლმა იფეთქა. დათიკო ახარხარდა, ქამარი შეიხსნა და კმაყოფილი დაეძგერა ლამაზ მსხვერპლს.

სოფელი მოკვდა, დრო გაჩერდა. მხოლოდ თვალები გაშტერებული, წყლიანი თვალები შეჰყურებდნენ ცაზე მოკიაფე ერთადერთ ვარსკვლავს, ბედის ვარსკვლავს, რომელსაც ალბათ შერცხვა და სადღაც, შორს გალაქტიკაში მიიმალა. ნუნუკამ ხელი გამოინთავისუფლა. იქვე დაგდებულ რიყის ქვას დასწვდა და... ქალს მძიმე და ბლანტი სითხე ჩაეღვარა მკერდში, გუბე გაიკეთა, მერე მთელ სხეულზე განაწილდა. ეს დათიკოს ოფლის ღვართქაფს სულაც არ ჰგავდა. წუთიც და ნუნუკას სხეულიდან ახლად მოკვეთილი ხის მორივით ჩამოგორდა საფეთქელგაპობილი კაცი, რომელსაც დახეთქილ ტუჩებზე გესლიანი ღიმილი შეაკვდა.

- რა გინდოდა, რას მერჩოდი, დათიკო ოხერო - აღმოხდა ქალს და მკვდარი კაცის წინ დაემხო.

უკუნი ჩამოწვა, მერე ისევ ინათა. დათიკოს უფერული სისხლი ნელ-ნელა გაწითლდა, სოფელი ახმაურდა, ძაღლები ყველა ეზოში აყეფდნენ, ეკლესიის მძიმე ზარებმა იწყეს რეკვა. თითქოს მთელი სამყარო ნუნუკას წინაამდეგ აღსდგა. გონებაარეული ქალი მდინარისკენ გაიქცა... მალე წყლის პირზე წითლად ალივლივდნენ თეთრად დაწინწკლული შავი კაბის ნაფლეთები.

დილით ჩვეულებრივზე ადრე გათენდა. წუხელ საშინელი სიზმარი ნახა ბებომ. პატარა ზურიკომ გაღვიძებისთანავე დედა მოიკითხა...

# ზვიად ბრეგაძე



## ღია კარის სიღრმე

მიხურეთ კარი, მიხურეთ კარი,
ო, გევედრებით, ნუ გამახელებთ,
ლექსს გამიცივებს დეკემბრის ქარი
და მძიმე სევდას ამოახველებს.
მიხურეთ კარი, თორემ ლექსები
აწკმუვლდებიან, როგორც ლეკვები,
და ჩემს ძარღვებში გადგმულ ფესვებით
სისხლს ამივსებენ კვლავ ნარ-ეკლებით...
მე დარდის ქარმაც გადამიარა
და ვერ გავიგე, ეს რა ჯანღია!
მიხურეთ კარი, სახლის კი არა,
თქვენ სულის კარი დაგირჩათ ღია.
მიხურეთ კარი, მიხურეთ კარი,
ო, გევედრებით, ნუ გამახელებთ,
ლექსს გამიცივებს დეკემბრის ქარი
და მძიმე სევდას ამოახველებს.

●

თითქოსდა ჩემი სევდა სტკიოდეს,
ისე თანდათან,
ისე ნელ-ნელა,
შემოპარვია სიყვითლე ფოთოლს.

## სულის ალქიმია

მე ის აღარ ვარ, ჩემო ძვირფასო,
როგორც გახსოვარ, როგორც მიცნობდი,
ყველა სარკმელი თითქმის დაიხშო
და, თუ ვქრებოდი, მე რა ვიცოდი.

ჩემო ძვირფასო, მე ის აღარ ვარ,
უკვე აღარ ქუხს ის კვეს-აბედიც,
თუმც ვერ დაღარა თმები ჭაღარამ,
ასე მგონია, მაინც დავბერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მგონია, ვქრები მტვერივით,
რომ ზეცამ სული სხეულს ამყაროს,
და მარტოსული მეტეორივით
სივრცეებიდან ვუმზერ სამყაროს,

რომ ვიძირები რძისფერ ბურუსში
და ვეღარ ვაგნებ სულის ხვეულებს,
რომ აღარ ხორკლავთ ტანზე ბუსუსი
ფურცლებს - ლექსებით გადარეულებს...

## გაქცევა

მე მათხოვარის ძონძები მეცვა
და ქარს ვატანდი სუფთა ფარაჯებს,
და გავყურებდი ჩიტების ზეცას,
ვით ავადმყოფი პალატის ფანჯრებს.

და ჯერ უთქმელი ლექსების ჯიბრით
კალამი სიტყვის რიყეზე ვლესე,
და სატრფოს თმის ღერს ვატარებ ჯიბით,
და თეთრ ფურცლებზე დახორკლილ ლექსებს.

და თვალებს მხოლოდ ცაში ვაცეცებ,
სხეულს კი ვტოვებ მიწაზე ძენძად,
და თვალებს ვჭიდებ, როგორც საცეცებს,
ვარსკვლავთცვენებით დასეტყვილ ზეცას.

●

რომელს აკოცოს, ვეღარ გაიგო...
ყვავილთა ზღვაში,
დაფარფატებს
მთვრალი პეპელა.

●

დავეძებ ქარებს
და ქარებიც მეძებენ ისევ,
ამ ცხოვრებისგან
სულის მეტი არა მინდა რა,
წავალ და სადმე
გრიგალივით ამოვიკვნესებ
და ავტირდებით
მე და ჩემი
ძველი გიტარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი მეტრეველი



## რა გვეშველება?!

აყვავებულა ბოღმა და შური,
ყველა უზნეოს ჩვენ ვართ მხილველი...
ხმამ, გესლიანმა, გაგლიჯა ყური.
ყველას უნდა, რომ იყოს პირველი!

თუ ის, ვინც ლაყბობს,
ქვეყანას ძარცვავს,
ქველს თავს ატყდება რისხვა და ჯვარცმა!
აღარ აქვს ფასი უწმინდეს მანდილს,
მრუში და ქურდი ამაყად დადის!

ვითმენთ, რაც ხდება,
ირგვლივ რაც არი,
ყველა გამხდარა მხდალი,
ლაჩარი!
და საცოდავად გმინავს მამული...
„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!“

არა, ბატონო,
არ გვარგებს ასე,
სჯეროდეს ყველას ნათქვამი ჩემი,
მალე დავკარგავთ ამ სილამაზეს,
რასაცა ჰქვია
იყალთო,
გრემი,
სვეტიცხოველი,
გელათი,
წრომი,
ნიკორწმინდა და მრავალი კიდევ,
რაც გაგვაჩნია კიდითი კიდეს!

არა ბატონო, არ გვარგებს ასე,
თორემ... დავკარგეთ ეს სილამაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მღეროდა ბიჭი

ჭორებს მარცვლიდა ყანის პირს ქარი,
იდგა სურნელი ჭინჭრის და ღიჭის...
ჰაერი იყო მკვრივი და მყარი
და ნაღვლიანად მღეროდა ბიჭი:

„ლალე, ლალე,
დივლი-დალალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენ კი გენაცვალე!"

გალაღებული ვუმზერდი სივრცეს,
იდგა სურნელი ჭინჭრის და ღიჭის,
ტანჯული სული ილტვოდა ცისკენ
და ნაღვლიანად მღეროდა ბიჭი:

„ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველო სად არი!"

## იმ კაცთან

კაი მთქმელს
კაი გამგონე
რომ უნდა, ბევრჯერ ავწონე,
მაგრამ
ბრიყვთათვის ვერა ვთქვი,
არც ძალა მეყო,
არც ღონე!
ბრიყვი ბრიყვადვე რო დარჩა,
მასავათებს და
მაღონებს!..

ბევრი ვიტანჯე,
ვიწამე
და ბოლოს ჭკუა ვისწავლე:

სულმა ათასჯერ იმკაცრა,
დავემორჩილე ღვთის ნებას:
- კაი სიტყვა ვთქვა
იმ კაცთან,
ვინაც
ჩემს ნათქვამს მიხვდება!

## მენატრება

კაცი უფლის ნებას ვერ აცდება...
აპრილმა შეამკო ტყე-ველი,
ახლა სიყვარული მენატრება
ქალის და არა ჩანს მშველელი!

რაც მინდა, ვიცი, რომ ვერ ახდება,
განძივით შემომრჩა ნაღველი...
ახლა სიყვარული მენატრება
ქალის და ცრემლის ვარ დამღვრელი!

არ ვიცი, ვერ ვხვდები, რატომ ვდავობ?
უფლისგან ტანჯვა მაქვს მისჯილი!..
ეჰეი! გიორგი, საცოდავო!
კარზე მოგდგომია სიკვდილი!

## მხოლოდ პოეტმა

არ გაგაოცოთ მიეთ-მოეთმა,
ჭეშმარიტება უზადო არი:
მხოლოდ პოეტმა,
მხოლოდ პოეტმა
იცის, რას ამბობს თიბათვის ქარი!

ღმერთს რა მიართვეს,
კაცს რა მოერთვა,
რა არის ახლა,
რა იყო წინათ?
იცის პოეტმა...
მხოლოდ პოეტმა...
იცის, რას ამბობს მაისის წვიმა!

### ღრუბლები

მზემ თითქოს თვალი დახუჭა, ცაზე მოგროვდნენ ღრუბლები,
ჯერხნობით ჩუმად არიან... ალბათ, არიან უბრები...
ნეტავი, ახლოს მამყოფა - ხმატკბილად ვესაუბრები!

### ვინ იქნება

მითხარ ვინ არის?
ვინ იქნება
შემწე,
მშველელი,
როცა გაჩეხეს, გადაბუგეს შენი ტყე-ველი!

ყველა გამხდარა
მეკობრე ან
ჩარჩი-ვაჭარი,
ზოგნი კი ერთურთს შესტირიან, ვითარც ლაჩარნი!

ვეღარ შეიცნობ,
ვინ მდედრია,
მამრი ვინ არი?
ზოგი ბლუა და ზოგი კიდევ ყურზე მძინარი!

ზარის ხმასავით
ყველგან ისმის
სიტყვა უშვერი...
დანავარდობენ ქურდები და ნაღდი მრუშები

მაგრამ მე მჯერა:
ჯერ გაჩნდება
იალკიალი,
მერე იწყება წუთისოფლის წაღმა ტრიალი!

აბობოქრდება
სიტყვა მჭრელი,
ომახიანი
და საქართველო გაბრწყინდება ისევ მთლიანი!

### იდგა აპრილი

დღეს შევამჩნიე ნუშის ხეს კვირტი
და უდიდესი სიამე ვიგრძენ,
ტოტზე ჭყიოდა ბეღურა ჩიტი,
სიკეთით სავსე სუნთქავდა სივრცე!

იდგა აპრილი ჩვილი ბავშვივით
და სურნელება ახალი სიტყვის,
შორს მთა მოჩანდა ფაფარაშლილი...
ტოტზე ჭყიოდა ბეღურა ჩიტი!

### ყანის პირას

ქარის მოტანილ ჭორებით
გაბრუებულან ჭადარნი,
ხევში კი ნისლი მიცურავს
თეთრი ბატკანის სადარი!

ტირიფნი წელში მოხრილან,
მდელო ნარინჯის ფერია,
ყანის პირს ყაყაჩოები
მრავალჟამიერს მღერიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკა ჯოხაძე

## სასოწარკვეთილთა თეატრი

●●●

(ირგვლივ გაუსაძლისი სიდუხჭირისა და უბედურების განცდაა. ადამიანები ისე არიან დაოსებულები, საკვების მოსაპოვებლად და გასათბობად აღარანაირი ენერგია აღარ გააჩნიათ. მოჩვენებებივით დალასლასებენ, ნაგვის ბორცვებში იქექებიან... რაც მთავარია, ამ ნანგრევებად ქცეულ ქვეყანაში აღარ არსებობს იმედი. არის მხოლოდ ინერცია და სასიცოცხლო ფართხალი... ამ სასოწარმკვეთ სიტუაციაში სცენაზე გამოდის რეჟისორი, რომელსაც დევნიან, რამდენჯერმე ციხეშიც იჯდა. სცენაზე საუბარი, მონოლოგი თუ დიალოგი მიდის შიშის ატმოსფეროში. მთელი ქვეყანა ერთ დიდთვალება შიშადაა ქცეული.)

**რეჟისორი** - **ალბათ, ესაა უკანასკნელი ჟამი, ადამიანები ისე დაუძლურდებიან, პირჯვრის გადაწერასაც ველარ მოახერხებენო.** (იხედება აქეთ-იქით, თითქოს ეშინია, არავინ წაასწროს, ჩუმად, ლოცვასავით ბუტბუტებს): **მე ჯერ ისევ შემიძლია, მე შემიძლია, ჯერ შემიძლია...** (სწრაფად იწერს პირჯვარს. ბოლთას სცემს, წელში სწორდება, მოულოდნელად პარტერისაკენ შემოტრიალდება და თეატრალური პათოსით, ოდნავ გაღიზიანებული, განდობილივით მიმართავს წარმოსახულ მაყურებელს):

**- რაღა თქმა უნდა, ამ უდაბნოდ ქცეულ ქალაქში სიგიჟეა ჩემი იდეა, კიდევ ერთი სპექტაკლი ღია ცის ქვეშ, კიდევ ერთი კუდიანი კომეტის გაელვება... უკანასკნელი ნაღვერდალი, რომელმაც ხელები კი არ დამწვა, არამედ...** (მცირე პაუზა, საკუთარ ხელებს აკვირდება, მიიდებს მკერდზე, თან ირონიული ჩაღიმებით განაგრძობს):

**- ოოო! ნუ შეშინდით! ვიცი, ვიცი, უკვე მოკვდა მაღალი სტილი... ამიტომ სულაც არ ვაპირებ გაქვავებული გულების აჩუყებას - ან რა აჩუყებს საფლავის ლოდებს.** (აქეთ-იქით შეშინებული იყურება, წელში მოხრილი ტუჩებთან თითს მიიდებს და ისე ესაუბრება პარტერს):

**- უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, ჩემს იდეას, უკანასკნელ ნაღვერდალს, რომ არ ჩამიქრეს, უბით დავატარებ, სულს ვუბერავ... ნაღვერდალს კი შეუძლია, უცებ კანი დაგწვას, რაც, თუ ვერ შეგძრავთ, შეგაწუხებთ მაინც. დამწვრობამ, მით უფრო, კანისამ, სუნი იცის მძიმე** (ცხვირში შემაღიტინებელი), **მადისაღმძვრელი. მადა სტიქიაა. მადის გახსნამ ხანძრები იცის - აკი გადაბუგა კიდეც ჩვენი ქალაქი... გარდა ამისა, სხვა რომ არაფერი დასწრებაზეა. ამიტომ დგახარ ორ წყალს შუა. შენ თუ არ შეჭამ, გამოჩნდება სხვა ვინმე და, სანამ შეგჭამდეს - ადამიანის სუნი მცემს! ადამიანის სუნი მცემს!..** (ზღაპრებისთვის დამახასიათებელი უშუალობითა და ერთგვარი ქირქილით მიმართავს პარტერს):

**- ჰა, თქვენ არ გცემთ ადამიანის სუნი? ჩუუუ... თუ ასეა, ამ ინტელექტუალურსა და სულიერ უდაბნოში ისევ გცემთ, მაინც გცემთ ადამიანის სუნი, ნუ იქნებით სულმოკლენი, ნუ დაასმენთ, ნუ ჩაუშვებთ** (საჩვენებელი თითით ზევით მიანიშნებს), **შეუნახეთ მისი თავი კაცობრიობას...** (მცირე პაუზის მერე ქირქილით):

**- ხომ ხედავთ, როგორ გავიზარდე, გამოვსწორდი! ეროვნულ ინტერესებზე მაღლა პირდაპირ კაცობრიული ინტერესები დავაყენე. ეროვნება! ხალხი! ხალხი, რომელიც ოდესღაც ამ ეროვნებას ქმნიდა, რა მოსატანია, რა სახსენებელია. თუ საჭიროა, სამი, ორი, თუნდაც ერთი ზოგადსაკაცობრიო ინტერესების მატარებელი კაცისთვის მთელი ხალხი უნდა გაწყდეს...** (უცებ მოეშვება და ერთგვარი სასოწარკვეთით აღმოხდება):

**- ადამიანი! აი, კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემა... ადამიანი! სადა ხარ, ადამიანო!**

(თითქოს ამ ძახილის საპასუხოდ სცენაზე გამოეხეტება ძველ, დაბამბულ „ტელეგრეიკაში" გახვეული გამნათებელი. დანახვისთანავე იცნობს რეჟისორს, მაგრამ რეჟისორი ვერ ცნობს. გამნათებელი ხმადაბლა, განსაკუთრებული ემოციის გარეშე, მშვიდად, მაგრამ ერთგვარი შიშითაც იტყვის):

**გამნათებელი** - **ააა, ეს თქვენა ხართ, მაესტრო...** (მხარზე ტომარამოგდებული ისევ განაგრძობს რაღაცის ძებნას).

**რეჟისორი** - (არაა დარწმუნებული, რომ მას მიმართეს, აქეთ-იქით იყურება და ფრთხილად იკითხავს): **ეს მე მომმართეთ, ჩემო ბატონო?!**

**გამნათებელი** - **რაღა თქმა უნდა, თქვენ, მაესტრო!**

**რეჟისორი** - **მაშ, თქვენ გინახავთ ჩემი სპექტაკლები** (რაღაცნაირი სევდით დაამატებს), **ჩემი კლასიკა.**

**გამნათებელი** - (თავისთვის) **ვერ მიცნო, თუმცა რას მიცნობდა. შტატში ათი გამნათებელი მაინც ვიყავით, ყველანი ქანდარიდან ვუნათებდით მაე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტროს. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ბრძანება ქვემოდან გაისმის და ზემოთ სრულდება (ნიშნის მოგებით), - თეატრის დიქტატორები! - რაღა თქმა უნდა, მაესტრო, ვინ არ დამტკბარა მათი ხილვით... (თავისთვის) როგორი ამაყი იყო, რას დამსგავსებია!

**რეჟისორი** - (თავისთვის, შენელებული რიტმიკით) მაშ, თქვენ გინახავთ (თანდათან უახლოვდება ხელისცეცებით), მაშ, თქვენ გადარჩით - ჩემი ოცნება! ჩემი მაყურებელი! (ბრმასავით უთათუნებს თითებს სახეზე, თითქოს ნაკვთებს უთვალიერებს).

**გამნათებელი** - (შეწუხებული) მაესტრო, თვალის ჩინი ხომ არ დაკარგეთ?

**რეჟისორი** - წყალი არ გაუვა, რადგან ასე ამბობს, თვალის ჩინით და არც ასე, ჰაა, დაგერხა, ბებერო, დაბრმავდი?.. ეს კი ამ აქოთებულ გარემოში ისევ მეკითხება (გაპრანჭული მიმბაძველობით), თვალის ჩინი ხომ არ დაკარგეთ?!

**გამანათებელი** - (დაბნეული და შეშინებული ცდილობს, გამოასწოროს) მე მინდოდა მეთქვა, უნდა მეკითხა...

**მაესტრო** - (არ აცლის, თითქოს ეშინია, გამნათებელმა სიტყვებით რაიმე არ გააფუჭოს) დიახ, შენ ჩემი მაყურებელი ხარ, ცოცხალი, მფეთქავი... ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, გრძნობ, რომ არა მარტო დავბრმავდი, ძაღლივით დავბერდი კიდეც!.. მაგრამ შენ იტყვი, რომ მე ცოტათი მოვტეხილვარ, მოვხუცებულვარ... ასე იცის კლასიკაზე აღზრდილმა ხალხმა, ოჯახიშვილობამ...

**გამნათებელი** - (ისევ დაბნეულად მოჰყვება თავის მართლებას) მე, უბრალოდ, მე... მე გამეხარდა, რომ დაგინახეთ...

**მაესტრო** - გამეხარდაო! (აღფრთოვანებული, შეშინებული აქეთ-იქით იხედება) ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ... გამაგიჟებს ეს კაცი. (იქექება ჯიბეებში, შიდა გულისჯიბიდან ამოიღებს სათვალეს, იკეთებს, დააკვირდება...) შენ, შენ, გადარჩენილო! გამეხარდაო, ეს რა თქვი, კაცო! სიხარული - სიხარულმა - სიხარულს - სიხარულის - სიხარულით - სიხარულად- სიხარულო! სადა ხარ, სიხარულო! (შლის ორივე მკლავს, თითქოს პატარა ბიჭი უნდა ჩაიხუტოს, მაგრამ მოულოდნელად მკლავებს ჩამოუშვებს და რაღაც სევდიანად ეტყვის): რაღა თქმა უნდა, თუ არ იტყუები, სულზე ტკბილო. (აკვირდება)

**გამნათებელი** - (ოდნავ ნაწყენი) კი, მაგრამ რატომ უნდა ვიტყუებოდე, რა ძალა მადგას, თან იმდენი საქმე მაქვს (წამოავლებს თავის ტომარას ხელს და მიდის).

**მაესტრო** - (აჩქარებული გამოეკიდება) საქმე გაქვს? ე.ი., მიზანიცა გაქვს, ე.ი., მოჩვენება კი არა, ნამდვილად ცოცხალი ხარ. (ჩქმეტს, თითქოს ამოწმებს, ნამდვილია თუ ცვილისა, უვლის გარშემო).

**გამნათებელი** - (გაბეზრებული იშორებს) დიახ, ამ დილიდან გირჩებს ვაგროვებ (უჩვენებს ტომარას) ყველა პარკი და სკვერი შემოვიარე, მერე ჰიპოდრომისკენ გამოვწიე.

**მაესტრო** - ჩემო კვიცო, ჩემო ცოცხალო. ღმერთო ჩემო! მაყურებელი, ცოცხალი, მიზნიანი, საქმეზე გამოსული, თანაც რა საქმეზე, აგროვებს გირჩებს. ფიჭვისა და ნაძვის პაწია გულებს, მარადმწვანეთა მაკეტებს... შე ჩემნაირო, (ჩუმად) მეც თეატრისთვის დავეხეტები, თეატრიც თავისუფლების პაწია მაკეტია... სპექტაკლისთვის დავეძებ სახეებს, პერსონაჟებს, ადამიანებს, დარდიანებს, გამომწვარებს, გამოფიტულებს, დაცემულებს, ცეცხლი რომ წავუკიდო, სული რომ შთავბერო ამ ცარიელ ჭურჭლებს, სიცოცხლის წვენი რომ ჩავასხა, სისხლი რომ გადავუსხა წვეთწვეთობით... (მცირე პაუზის შემდეგ ერთგვარი აღფრთოვანებით მკერდზე ემთხვევა მადლობის ნიშნად) ჩემო ვაჟკაცო! აი, ესაა ნამდვილი გმირობა... გული არ დაგწყდეს, ორდენს თუ არ დაგკიდებენ მაგ უშიშარ მკერდზე, უშიშრებს მკერდში ტყვიებს ახლიან (მკერდში არა, შუბლში!) (ამას აკეთებს ხელის მოძრაობით).

**გამნათებელი** - (ამდენი ფერებით და შეგულიანებით უფრო დაბეჯითებით განაგრძობს, ოდნავ დამფრთხალი) დიახ, გირჩებს, ოღონდ მთელი ქალაქი გირჩებს დაეძებს... ბალღებმა თითქმის აღარსად დატოვეს.

**მაესტრო** - ამ ქალაქში ტყვიებიც გირჩებივით ყრია ყველგან, ტყვიებიც შპრიცებივით...

**გამნათებელი** - (შეშინებული) უკვე აღარ, მაესტრო, გირჩები აკრეფილია, აკრეფილია... (აღარ ამთავრებს)

**მაესტრო** - აკრეფილია ტყვიებიც, აკრეფილია გირჩებიც... რაღა თქმა უნდა, ბავშვები თუ გაირჯებიან ასეთ საქმეზე. მხოლოდ პატარებს შეუძლიათ გულწრფელი, უანგარო თამაში, ბავშვებს და შენ... შენ დიდი ბავშვი ხარ, ამიტომაც ხარ ნატურალური.

**გამნათებელი** - (შეწუხებული, რიდით) მაესტრო, ნატურალურს ნუ მეძახით რა, თავი რძე მგონია.

**მაესტრო** - (იცინის) რძე ხარ, მაშ, ცეცხლზე შემოდგმული რძე ხარ; უნდა გიყარაულო, სული უნდა გიბერო, რომ არ დამექცე, არ გამეპარო... იცი, რამდენი მშიერია, რამდენი უპოვარი ამ ულმერთო ქალაქში, ყოველი დაქცეული რძის წვეთი სისხლის ტოლფასია...

**გამნათებელი**- მაესტრო!

**მაესტრო** - ნუ გეშინია, სულ ასე იყო, არასოდეს უყვარდათ დიდი ბავშვები, ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ, გახსოვს შაგალი?

**გამნათებელი**- (უაზრო სახით უყურებს)

**მაესტრო** - ფიროსმანი მაინც გემახსოვრება, ბიჭო, მოდილიანი.

**გამნათებელი** - მახსოვს ირემი...

**მაესტრო** - მოდიც ირმისყელიან ქალებს ხატავდა, რას არ ამბობდნენ ეგეთებზე თავის დროზე... თამაშობენ, ბავშვობას იგონებენო... როგორ ფიქრობ, შეიძლება ბავშვობის გამოგონება?

**გამნათებელი** - (პაუზის შემდეგ, ეჭვით) გამოგონება? არა მგონია, ბავშვად უნდა დარჩე.

**მაესტრო** - (გახარებული) - უხ, შენ გენაცვალე... თუნდაც ეგრე ყოფილიყო, ამ არჩევანის გამო უკვე გენიოსები იყვნენ; თუ თამაშია, მოდი, ბავშვობა ვითამაშოთო, მოდი, ბავშვურად ვითამაშოთო... არჩევანი საიდუმლოა, ყველა თავის არჩევანს აკეთებს... ბიბლიური არჩევანი გააკეთეს მაგათ...

**გამნათებელი** - ბიბლიური? თუ არ გახდები, ვითარცა ბავშვი...

**მაესტრო** - (ამთავრებს) ვერ შეხვალ სასუფეველში... დიახ, დიახ, ტყუილად ჰგონიათ, რომ ხელოვნება მხოლოდ დემონების საუფლოა. ხელოვნებაშიც, ცხოვრებისა არ იყოს, დემონებს ანგელოსები ენაცვლებიან...

**გამნათებელი** - ამ დილიდან პარკები და სკვერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ფეხით შემოვიარე. არც აქ ყრია ბევრი; იცოდე თუ შევაგროვე, ამით ფინჯან ყავასაც ვერ მოადუღებ.

**მაესტრო** - (გაწბილებული) რაო, მოადუღებო? მაშ, შენ აგროვებ, რომ დაწვა და წყალი აადუღო... ეჰ, მიგიხვდი, მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაც ხარ ნაკბენი.

**გამნათებელი** - (ოდნავ შეწუხებული, შეურაცხყოფილი...) მაესტრო, მე ტილები არა მყავს, არც არანაირი მკბენარები და, საერთოდ, მე... მე... გამნათებელი ვარ, თანაც ძირითადად ლორკას ვანათებდი... რამდენადაც მახსოვს, არცთუ ისე ურიგოდ; აბა, რატომ მაინცდამაინც მე ვანათებდი გარსია ლორკას პიესებს (ცოტათი ნაწყენი, რომ ვერ იცნეს)

**მაესტრო** - (ღიმილით) ნესტარი, ტილები... (ისევ სათვალით საგანგებოდ დააკვირდება და ალერსით) გიცანი, ჩემო კარგო, გიცანი, როგორც კი ლორკა ახსენე, მაშინვე გიცანი. თანაც სახელიც რომ ახსოვს ლორკასი... ლორკას სიამაყე მიყვარდა, ბიჭო, ფორთოხლის ბაღები და ხანჯლის ელვარება, ლორკას სამშობლოც მიყვარდა და ლორკას ქალებიც, ჩემებს მაგონებდნენ ყოველთვის; მათ მიხრა-მოხრაში, ჩვენი თავისუფლება სუნთქავდა, მათ ვნებებში ჩვენი ცეცხლი ენთო... (დაფიქრებით, იყურება სივრცეში) ლორკას სამშობლო - შავი ავაზა, ნახტომისათვის გამზადებული... ჩვენი სამშობლო - ხოხბის აქნეული ფრთები. ასაფრენად გამზადებული... „პანტერამ" მოასწრო - გადახტა. ხოხობს არ დასცალდა - სამიზნეზე დაისვეს და გასწირეს. ასე ჩაეშვა თავისუფლების ფრინველი ცოდვის მდუღარე ჭაობში და არა ქალაქის თბილ წყლებში... აი ასე, უყურე (დაჭრილი ფრინველის მოძრაობით აკეთებს ვარდნას)

**გამნათებელი** - მაესტრო! (ამ თავგანწირული ვარდნის შეჩერებას ცდილობს თითქოს)

**მაესტრო** - (დავარდნილი ამოხედავს) გარსიაო, რაღაც ჩვენებურად, გარსევანივით, მე შენ დღეიდან გარსის დაგიძახებ, ნებას თუ დამრთავ, რაღა თქმა უნდა.

**გარსი** - ნება თქვენია, მაესტრო.

**მაესტრო** - (მოულოდნელად მართლა ავაზასავით წამოხტება) გარსია ლორკა - თავისუფლების შავი პანტერა, ხელში ხანჯლით და კბილებში წითელი ვარდით...

(ამ დროს მოულოდნელად ბიზეს „კარმენიდან" თავისუფლების ჰიმნი გაისმის, სულ უფრო და უფრო ახლოვდება ხალხის ხმაური, შემოდიან ადამიანები, ხალხი ორ ნაკადად იყოფა, ნაწილი მარჯვნივ, ნაწილი მარცხნივ, ფრაკებსა და კოსტიუმებში გამოწყობილი კაცები, ხაბარდიანი კაბებით ქალები - ესენი წვრილბურჟუაზიული ფენის წარმომადგენლები... მოპირდაპირე მხარეს - უფრო შილიფად ჩაცმული უბრალო ხალხი და ინტელიგენცია. შორიდან სასულე ორკესტრის ხმა ისმის. ემატება და ემატება ხალხის ნაკადი. მკლავგაყრილი წყვილები დასეირნობენ, ქალები ქოლგებს ატრიალებენ.)

- რა ხდება? რა ამბავია? - (კითხულობს, ალბათ, შემთხვევით შემოსეირნებული ქალი, ვიღაც გაწკეპილულვაშიანი ოფიცერი პასუხობს):

- რა ხდება, კაროუნა, და (პათეტიკური აღმაფრენით კითხულობს ლექსს):

„კარუსელი, სინემა, ცირკი, პონის ეტლები
ოფიცერი ირემა, ოქროს ეპოლეტებით, (ფეხს ფეხზე შემოჰკრავს და „ჩესტს" აუღებს).
გენერლები, ხმოსნები - სქელი ბაკენბარდებით,
პატრიოტი მგოსნები, გაწკეპილი ფრანტები.
ფრეილინა ქალები, აფრენილი ვაჟები...
მიქრის, მიექანება ლანდო ეკიპაჟები!
მუშტაიდში აჰყავდათ ვირი აეროსტატით! (დიდი აღფრთოვანებით)

(მცირე პაუზის მერე უბრალო ხალხიდან ერთი ინტელიგენტი):

მიხაელში გათავდა „ხევისბერის" ოსტატი...

(მეორე ინტელიგენტი):

ვერის ხიდთან აკაკი
იდგა, როგორც ქანდაკი..."

(სცენაზე მართლაც აჰყავთ აეროსტატით ვირი (წითელ ბუშტს ძალიან მოუხდება კვამლისფერი ან შავი სახედარი), არის ერთი სტვენა, ტაშისკვრა, ღრიანცელი, კისკისი... სცენის სიღრმეში რესტორნის „კუპეებიდან" გამოდის სიმღერის ხმა, არის ყანწების ტრიალი, ბოკლების წკარუნი და გიტარის ჟღერა... ხალხი, რომელიც აქამდე უთვალთვალებდა ამ გართობასა და დროსტარებას, თანდათან ბობოქრობს. შეკრულ მუშტებს ზევით სწევენ, გაისმის ციტატები „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა". ვიღაც ბიჭი ვიღაც გოგოს: „მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში..." (თანდათან საერთო ღრიანცელში იკვეთება გიტარის ხმა, ვიღაცა თავგადაკლული მღერის: „მხოლოდ შენ ერთს")

**გოგო** - რა კარგად მღერის

**ბიჭი** - სხვა რა შეუძლია მაგ ბაფთიან პედერასტს...

(ხალხის ნაკადს გარს უკვე თითქმის მთლიანად პოლიციელების რაზმი აკრავს. აქა-იქ, შემაღლებულ ტერასებზე ორგანოს მუშაკებიც გამოჩნდებიან, სამოქალაქო მაგრამ მათთვის ნიშანდობლივი სამოსით - ქამრიანი „პლაშებითა" ფეტრის ბერეტებით... ათვალიერებენ ხალხს... და სწორედ ამ დროს მაესტრო, აქამდე რომ ცალკე, განზე იდგა გარსიასთან ერთად, გადაჭრის სცენას, დადგება შუაში და უცნაური შთაგონებით - „დუენდეთი" - წაიკითხავს: (ამ დროს იგი სრულიად შეცვლილი, წელში გამართული, გაახალგაზრდავებული ჩანს) ):

**მაესტრო** - (მჭექარედ):

„მხოლოდ შენ ერთს!" გმინავდა
„ორიენტი", „პალასი".
ის კი იდგა კარებთან
ჩამოძენძილ ფალასით,
სულში ჩაფურთხებული,
შეგინებულ სხეულით,
საცოდავი ღიმილით,
კაბაშემოხეული...
ყველა მისი ყვავილი
დამჭკნარი ძირს ეყარა...
ის ერთი, ერთადერთი
ჩემი კარგი ქვეყანა!
მიბნედილი თვალებით,
ღვინით სავსე ყანწებით
„მხოლოდ შენ ერთს!"
ბღაოდნენ
ქალები და კაცები".

(სამარისებური სიჩუმის მერე მოულოდნელად ჰიმნივით დააგუგუნებენ): „ჩემო კარგო ქვეყანავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია...“ (შემაღლებულ ტერასაზე I ბერეტიანი II ბერეტიანს):

**I ბერეტი** - აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი (ტერასულად დაწყობილ სკამებზე ფეხით შემდგარი კოლეგას თითით მიანიშნებს მაესტროზე):

**II ბერეტი** - ეგ ის არ არის, დიდი რეჟისორი?!

**I ბერეტი** - იყო დიდი, სანამ ამ ბრბოს დაუმეგობრდებოდა.

**II ბერეტი** - (გულუბრყვილოდ) ბრბოს?

**I ბერეტი** - ხალხისკენ გადავიდა და ეგ ურევს ყველაფერს, ეგ ბუნტის თავი, ეგა.

**II ბერეტი** - კი მაგრამ, მაგას რა შეუძლია?!

**I ბერეტი** - ცოტა ტვინი გაანძრიე... იმ ზღვრამდეა ხალხი მისული, ყოფილ დიდ რეჟისორს კი არა, ჩვენს რაფიკას გაჰყვება, ოღონდ დროშა დაუნახონ ხელში. (ისევ ჩაირთვება გრამოფონები. ისევ ღრეობენ, ისევ ჩამოიქროლებს აეროსტატში შებმული ვირი, ჯაშუშები პოლიციელებს რეჟისორზე ანიშნებენ... ისმის სირენების ხმა, ისევ ატყდება ცემა-ტყეპა. ადიდასის სპორტულ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები ისევ დაერევიან „დუბინკებით“ ხალხს და შლიან, არის ერთი წიოკობა და ამ დროს, როცა ძაღლებიანი პოლიციელებიც შემომემატებიან, გარსი თავის გირჩებიან ტომარას თავზე დაამხობს მაესტროს, ხელს ჩაჰკიდებს და თითქმის ძალით გაიტაცებს).

●●●

(შემდეგი სურათი (სცენა) ფარდის აქეთ - ნარბენები, დაქანცულები... გარსი მაესტროს ტომარას ახდის.)

**გარსი** - კი მაგრამ, მაესტრო, თქვენ ხომ აკრძალული გაქვთ, როგორ გაბედეთ?!.

**მაესტრო** - სცენა მომენატრა, გარსი, მიწაზე მკვდარი ვარ, ბიჭოოო!..

**გარსი** - მესმის, მაესტრო...

**მაესტრო** - (თითქმის ტირილით) როგორ მინდოდა ამის დადგმა, როგორ ვაგროვებდი ამ სასწაულებს; როგორ ვერ მოვასწარი, სანამ ჭკვიანი მერქვა, სანამ მაგათი მერქვა...

**გარსი** - გულს ნუ გაიტეხთ, მაესტრო... ჩვენს ქუჩაზეც იქნება ზეიმი. ცოტა დავისვენოთ, მაესტრო და ისევ გავიქცეთ.

**მაესტრო** - (რაღაცნაირი, შენელებული სასოწარკვეთით) მაინც ვერსად დავემალები.

**გარსი** - თუმცა მართალსა ბრძანებთ, თქვენ მთელი ქალაქი გიცნობთ (შეწუხებული უკან იხედება).

**მაესტრო** - ამიტომ შენ წადი დროზე... მე დავიღალე, ვეღარ ვირბენ... ჩემი დამალვისთვის პასუხს მოგთხოვენ, აქ თუ მოგისწრეს; ისე ვერ გიცნობენ, ამიტომ გაიქეცი (ოდნავი ღიმილით) აჰა, ესეც შენ გქონდეს (აწვდის ტომარას) ტომარა, რითაც გადამარჩინე; დიდია ზარალი, როგორღა აადუღებ ჩაის?

**გარსი** - კი მაგრამ, მაესტრო...

**მაესტრო** - არავითარი მაგრამ, შენ უნდა გადარჩე შეუმჩნეველი, შენ უნდა შეგინახო.

**გარსი** - მერე თქვენ, თქვენ ხომ მოგაგნებენ, მოგაკითხავენ.

**მაესტრო** - მომაკითხავენ და თავისას მიიღებენ... მე უკვე ჩემი ხელშეუხებლობის გარანტი მაქვს.

**გარსი** - მაინც რა გაქვთ ასეთი, მაესტრო?

**მაესტრო** - სიჩუმე! - აი, ხელოვანის ხელშეუხებლობის გარანტია. ადრე სისხლის ფასი ედო სიჩუმეს, ახლა სულ იაფად ყიდულობენ.

**გარსი** - (გაოცებული, ოდნავ ნაწყენი) და თქვენ გაჩუმდებით, მაესტრო?!

**მაესტრო** - ჩემს სიუმეს ვერ იყიდიან, მაგრამ მე ჩემი სტრატეგია შევიმუშავე...

**გარსი** - (ნასიამოვნები რომ გაიხსენა) ააა, ჩვენ ხომ ვისაუბრეთ სიჩუმის პროფილაქტიკაზე.

**მაესტრო** - ყოჩაღ, კარგად ჩაგიბეჭდავს გოგრაში.

**გარსი** - (ისევ სევდიანად) - მაშ, თქვენ გაჩუმდებით...

**მაესტრო** - დროებით, დროებით...

**გარსი** - თქვენი კუდიანი კომეტაც გაშეშდება, გაქრება თქვენი იდეა?!

**მაესტრო** - ეს ის შემთხვევაა, როცა ვიცი, იდეებს რა ვუყო.

**გარსი** - (ყოყმანით) მაშ, დავიცადოთ... თემა რომ დაბერდეს?

**მაესტრო** - (ეგ თემა მარადიულ ბედისწერად ექცა ჩვენს სამშობლოს...) ძალაუფლება! მუდმივი ვნებაა, არა და არ ბერდება, სახელებს იცვლის კანივით... არსი იგივეა, გარსი, არსი... ასე, რომ მოუსვი, თუ გინდა, მომავალშიც ერთად ვიმუშაოთ.

**გარსი** - მხოლოდ თქვენთან ერთად, მაესტრო, მხოლოდ თქვენთან ერთად (თანდათან ნაბიჯს უჩქარებს).

**მაესტრო** - (სევდიანად გაჰყურებს გაქცეულ გამნათებელს და, თითქოს სცენაზე რეპეტიციას გადისო, მოულოდნელად გასძახებს) შვილო, გარსი, სადამდე?

**გარსი** - (შემობრუნდება და თამაშში აჰყვება, ყელთან ან პირთან მიიდებს ჰორიზონტალურად გაჩერებულ ხელის მტევანს): აქამდე, მაესტრო, აქამდე.

**მაესტრო** - ცოტაცა, შვილო, ცოტაცა.

**გარსი** - გავთავდი, მამი, ყელში ამოვიდა ყველაფერი...

**მაესტრო** - ცოტაცა, სულზე ტკბილო, ნატურალურო... პაროლი ხომ კარგად დაიმახსოვრე?

**გარსი** - რამ დამავიწყოს ეს რეალობა, - სასოწარკვეთილთა თეატრი...

**მაესტრო** - ჰოდა, ჩემს ზარს დაელოდე, გარსევან.

**გარსი** - დღეიდან მაგ ზარის მოლოდინით ვსუნთქავ (თვალს მიეფარება).

**მაესტრო** - (მოუბრუნდება პარტერს) შენც დამელოდე, ჩემო მაყურებელო, ჩემო საყვარელო, მოტყუებულო, ყველაფერზე ხელჩაქნეულო, შეურაცხყოფილო, მზეწართმეულო, სამართალწართმეულო, პურმარილწართმეულო, ბოლმაჩა-ხვეულო და ჭკვიანო... არ გაბოროტდე, იცოდე! არ გატყდე! არ დაეცე!

„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის...“ ან

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“(არჩევანი მასზეა, ამ ორიდან ერთის გულშიჩამწვდომი ღიღინით გადის სცეიდან, ბნელდება).

(მაესტროს სახლში მიაკითხეს)

(მაესტრო ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ხის ტახტზე გულაღმა წამოწოლილა, რეკავენ კარზე. წამოდგება, აღებს კარს)

**I ბერეტი** - (შემოსვლისთანავე) თქვენ ისევ განხეს ქუჩაში.

**მაესტრო**- (არ იბნევა, გაკვირვებული) - მეე?!

**I ბერეტი** - დიახ, თქვენ!

**მაესტრო** - ეს შეუძლებელია, მე მნახეს ქუჩაში, ეს აბსურდია, ცივი-ტყუილი...

(პირველი ბერეტი II ბერეტიანს გადახედავს, თითქოს იჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს მაესტროს ნათქვამს, მაგრამ მოულოდნელად გამართული და აგრესიული):

**I ბერეტი** - თავს ნუ იკატუნებთ, თქვენი მაიმუნობა, რა ხანია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

**მაესტრო** - მაიმუნობაო?! ოი, უფალო, ნეტამც მართლა მაიმუნად გაგეჩინე, რა იოლი იქნებოდა მაშინ ცხოვრება; თუმცა რას ვამბობ, განა მაიმუნს თავისი წილი სადარდელი არ გააჩნია? (აშკარად ეკითხება ბერეტიანებს)

**II ბერეტი** - ჰე...ჰე... მაიმუნი და სადარდელი? (დარდი?)

(მაესტრო აშკარად კმაყოფილია, რომ თავის ზონაში შეითრია ერთ-ერთი; გულითადად აბამს მასთან საუბარს, ის პირველი, უფროსი ბერეტიანი აღარ აინტერესებს):

**მაესტრო** - დიახ, მაიმუნსაც თავისი წილი დარდი აწუხებს, ყმაწვილო, მაგალითად: როგორ დასცანცლოს გალიასთან მომდგარ ქალებს, კაცებს და (ბავშვებს) მზესუმზირა... გინახავთ, რამდენ მაიმუნურ ხრიკებს მოჰყვება, რამდენ მანჭვა-გრეხას, რომ როგორმე გამოსტყუოს...

**II ბერეტი** - (გახარებული სიცილით აწყვეტინებს) ჰო, ჰო, ერთხელ, მახსოვს, ისეთი ხტუნვა დაიწყო... მომიშვირა უკანალი და ისე მიკრეჭდა თავის გორსალურ კბილებს; როგორც იქნა, მივხვდი რაც უნდოდა- მივეცი მანდარინი...

**მაესტრო** - (არტისტული, ოდნავ ირონიული, ხელოვნური პათოსით) მიეცი, ანუ გაეცი მანდარინი, გაეცი ე.ი. სიკეთე ჰქმენი. ხომ კარგი იყო, აბა, გაიხსენე, ჰა, როგორმე, აბა, მიდი, გაიხსენე, რა იგრძენი, როგორ შეგიფათქუნდა მაშინ გული... სიკეთე რომ ჩაიდინე?!

**II ბერეტი** - გავგიჟდი, ისე სწრაფად გაფცქვნა და გადაყლაპა.

**მაესტრო** - მაგას არ გეკითხები. ეგ სიმარდეა, ხელის სისწრაფე, ტვინის რეფლექსია, თვითგადარჩენის ინსტინქტი. ეგ ყველასა აქვს, მაგას ზოოპარკი რათ უნდა, ბიჭოო... აბა, გადი ქუჩაში, ნახავ, ზოგი რა სწრაფად გამოგართმევს, ზოგი ზანტად, ზოგს იქით უნდა ჩაუჩურთო მუჭში, ისეთი მოდუნებული აქვს თვითგადარჩენის მუხრუჭები, მიდის იქით, (ხელით სადღაც შორეთისკენ მიანიშნებს) სიკვდილისკენ, დათრეული ჰყავს ჭაობის კალთას... (ირონიული თანაგრძნობით) თავმოყვარეა, ამპარტავანი ჯერაც, რცხვენია უპოვრობის, ხელის გაშვერის (თავადაც ხელს იშვერს. ოდნავი პაუზა და დიაგნოზივით) როცა გაიშვერს, გამოჯანმრთელდება!

**I ბერეტი** - (რომელიც წიგნებს და ფირფიტებს, კასეტებს ჩხრეკს, მოულოდნელად გაცხარებული ჩაერევა ამათ დიალოგში) ეგენი სუ აფერისტები არიან...

**მაესტრო** - ვინ ეგენი?!

**I ბერეტი** - ვინა და ეგენი, მათხოვრები, რო დაწანწალებენ, და... (ვეღარ აგრძელებს, თითქოს სიტყვას ვეღარ იგონებს)

**მაესტრო** - ჰა, კიდე, კიდევ რას შვრებიან, ამოთქვი, დაწანწალებენ და მათხოვრობენ, დაეხეტებიან... კიდევ?... რა იყო ავიტამინოზი დაგეწყო, შენც ცოტას გიხდიან? არც შენ გყოფნის? აბა, რო გეყოს, ბოლომდე რო გეყოს, იქნება, არც შენ დაასმინო მერე...

**I ბერეტი** - (თითქოს ვერ გაიგო, რა უთხრეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს ამ ერთადერთ სიტყვას ეძებდა, ამიტომ ამბობს გახარებული) შარახვეტიები ეგენი...

**მაესტრო** - (აღტაცებული) იიფ, ნახე, რა სიტყვა გაარტყა. ეგ შარახვეტიები ეგენი, დაშარაობენ, შარას ხვეტავენ, სულებს ხვეტავენ ეგ ფუფალები, ჰიგიენის შემომტანები... ასე იყო მუდამ, სოფელს სძაგდა და ართობდა კიდეც თითოოროლა შარახვეტია. სოფელმა რა იცოდა, რამხელა საქმეს აკეთებინებდა თითოეულ მათგანს. შარახვეტიაო, ცხვირს უბზუებდა, დასცინოდა... თან ძალაუნებურად მადლიანობდა, გამხმარ პურს უწვდიდა წყალში ჩასაწობს...

**I ბერეტი** - რა სოფელი, რა, ქალაქი არ აივსო რო მაგ ტურტლიანებით?

**მაესტრო** - (გატაცებით) ეგ ტურტლიანი შარახვეტიები ჩვენც მოგვაკითხავენ ჟამიდან-ჟამზე, ჩვენს დანაგვიანებულ სულს, პარდონ, ნაგავი მძიმე სიტყვაა, სურნელი ასდის... ჩვენს დამტვერილ სულებს მტვერი რომ გადასწმინდონ, მიძინებული ტვინი რომ გაალაყულაყონ, მოაკითხავენ ჩვენს ჩახერგილ გულებს, აწეწილ ნერვებს, მოდიან, მოცოცავენ, კიბე-კიბე, სართულ-სართულ, მძიმედ, წელათრევით; აკაკუნებენ, აბრახუნებენ, ზოგი ფრთხილად, ზოგი თავგანწირვით, განსაკუთრებით დამშეულ გაზაფხულზე, სადღაც ნუში რომ აფეთქდება. ესენი კიდევ აქ ღაფავენ სულს, ჩვენს თვალწინ, ისედაც აწეწილ, აბურდულ ნერვებს კიდევ მეტად რომ დაითრევენ და ბოლომდე გაუსაძლისს ხდიან ისედაც გაუსაძლისს...(პაუზა) რას? (როგორც ბავშვებს, ისე უსვამს შეკითხვას, ისევ პაუზა. მაესტრო ისევ თავად აპირებს კარნახს და დამარცვლით) გაუსაძლის (დამარცვლით) ცხოვ... (მაგრამ უცებ აწყვეტინებს II ბერეტი)

**II ბერეტი** - უძილო ღამეებს.

**მაესტრო** - ძილი დაგერღვა? კარგი ხარ, შვილო, დაურჩი დედაშენსაო. არ გძინავს ე.ი., დარდი იცი... დარდი-მანდი, დარდი-მანდი, ნახე რა ყარაჩოღლურად იქარვებს ქართველი კაცი დარდებს; დარდი-მანდი, დარდი-მანდი...

**II ბერეტი** - (ბრიყვულად) ჰიიი, ყარაჩოღლურად (ყარაჩოხელი).

**მაესტრო** - ჰო, ყარაჩოხელი შენ არ გემახსოვრება, რასა ნიშნავს, მოგითარგმნი - მაჩოურად. არც მაჩო იცი, ჯიგარო, რა არის? არის რამეები, რაც არ ითარგმნება. აი, მაჩო ვთარგმნეთ, დარდიც ითარგმნება, მაგრამ მოდი, აბა, თუ ბიჭი ხარ, მანდი თარგმნე. დარდი-მანდი თარგმნე...

**II ბერეტი** - (ბრიყვულად ფიქრობს, მერე უარის ნიშნად თავს აქნევს) ვერა, მაგას ვერა ვთარგმნი.

**მაესტრო** - (სიცილით) მამა გიცხონდა, სუ თარგმნასა ხარ გადაგებული.

**II ბერეტი** - ეგ ვითომ რასა ნიშნავს!

**მაესტრო** - ეგ იმას ნიშნამს, რომ არის სიტყვები, საერთაშორისო სტანდარტებს რო არ ემორჩილება. მოდი, უკეთ მოგითარგმნო: შენა სოფელში ხო ყოფილხარ?

**II ბერეტი** - (გაკვირვებით, ვითომ ეს რას მეკითხებიო) იიი!

**მაესტრო** - კაკლის ხე ხო გინახავს?

**II ბერეტი** - იიი!

**მაესტრო**- კერკეტა კაკალიო, ხო გაგიგონია (თბილად).

**II ბერეტი** - გამიგონია რა, ქვა არ მიხათქუნებია რო.

**მაესტრო** - ჰოდა, ბერეტიანო, შენ გენაცვალოს კახურქუდიანი მამილო, არსებობენ კერკეტა კაკლებივით გაუტეხელი კაცები და ასეთივე კერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეტა უთარგმნელი სიტყვები; მაგალითად...
**II ბერეტი** - (არ აცლის) მაგალითად, პოლიტპატიმრები.
**მაესტრო** - ვახ, შენ გენაცვალოს შენი თუშურქუდიანი მამილო (მივა და გადაეხვევა).
**I ბერეტი** - (ჩხრეკით რომაა გართული, მოუბრუნებლად გამოსძახებს) - ჰა, ჰა, რაღაც ძაან გაუტიე.
**მაესტრო** - (ღიმილით) გავუტიეთ, არა? რაღაცას მიხვდი საცეცებით, შეგეშინდა, არა, ორი კაცი არ შეერთდესო.
**I ბერეტი** - ეგ რა შუაშია, მე შენზე ვამბობ.
**მაესტრო** - ეს სხვა ჯიშისაა, სხვა პლანეტისაა, არა, ახალი მუტანტი კოსმოსში გამოყვანილი, ცინცხალი, მაგრამ უტვინო... მე კიდენა მამაპაპური სისხლი მიჩქეფს ძარღვებში და ფესვები მაქვს ჩემს მიწაში გადგმული...
**I ბერეტი** - (დაცინვით) ფესვები, ჯიში, ჯილაგი... ჰო... ჰო... ჰო... ჰო... გული არ გამიხეთქო.
**მაესტრო** - გული გულიანებს უსკდებათ.
**I ბერეტი** - ნაღველი კიდევ ნაღვლიანებს.
**მაესტრო** - ეგრეა, ზუსტად. შენ არც ერთი გაქვს და არც მეორე.
**I ბერეტი** - შენ რომ გკითხოს კაცმა, მე არაფერი მქონია.
**მაესტრო** - შენ ცელი გაქვს და თიბავ და თიბავ.
**I ბერეტი** - ჩემს ცხოვრებაში ცელი არ მჭერია ხელში.
**მაესტრო** - (ირონიულად) შენ არც ცვრიან ბალახზე გაგივლია ფეხშიშველი.
**I ბერეტი** - (რაღაცას მიმხვდარი, შეპარვით, ფრთხილად) შენ რა, სიკვდილის ცელზე ლაპარაკობ?.. მაგ შავ სამუშაოს სხვები ასრულებენ.
**მაესტრო** - ანუ განაჩენი სხვებს მოჰყავთ სისრულეში, შე სპეტაკო, შენა.
**II ბერეტი** - (მოთმინებადალეული) ჰა, ჰა, შენ მართლა ძაან გაუტიე და შეეშვი მიქარვებს.
**მაესტრო** - რა იყო, ვაჟკაცურად, ბრაზდები თუ გიკვირს, ჯერ კიდევ რო მაგრა ვდგავარ. რომ არ გადამტეხია ხერხემალი, თუმცა ღვიძლი და თირკმელები მომეშალა თქვენი ჩაზელვებით, ჯერ ისევ სული მიდგას, არა?!.. (მიუბრუნდება ახალგაზრდა ბერეტიანს) შენთვის არ ჩაუზელიათ ამათ წიხლები? არასოდეს? არც ბავშვობაში? არც მამას? (შეშინებული II ბერეტიანი უარის ნიშნად სულ თავს აქნევს, არაო) არ გაზელდნენ (დაფიქრებით, პაუზა, მოულოდნელად) აბა, ამათთან რა გინდა, შე ჩემა.
(დამფრთხალი უმცროსი უყურებს უფროსს, რომელიც თითქოს ჯერჯერობით ნოკდაუნშია და აზრზე ვერ მოსულა, რა ხდებაო...)
**I ბერეტი** - ჩვენ არავის არ ვაზელთ წიხლებს, მით უფრო, თირკმელებში.
**მაესტრო** - (II ბერეტიანს) არ დაიჯერო, ზუსტად თირკმელებში, სიფათზე ექსპერტიზა ეგრევე აღმოაჩენს, შიგნეულში ჩაყვინთვა ეზარებათ.
**I ბერეტი** - (ჯიუტად, გამაფრთხილებლად) ჩვენ არავის არ ვაზელთ.
**მაესტრო** - თქვენ არ აზელთ, თქვენ ასმენთ (მაესტრო ნაცემი კაცივით იწყებს სიარულს), თქვენ ასმენთ, ასმენთ (ოხვრით, ვითომ ტკივილი აწუხებს, ისე მიმართავს უმცროს ბერეტიანს): იცი, საიდან მოდის ეს სიტყვა - შემასმენლიდან! იცი, ვინ იყო შემასმენელი? დაგვიფაროს მისგან ღმერთმა (იწერს პირჯვარს). პირველი დამსმენი, მაცდური, ყველაზე დიდი მაცდური, შენ ეგ ხელობა ახალი ხომ არ გგონია - ძველია, ძველია, როგორც ყველაფერი ამ ცისქვეშეთში, აბა, ვინ იყო პირველი მაცდური დედამიწაზე, პირველი დამსმენი, თუ მეტყვი (მაესტრო თან რაღაცას ეძებს კულისებში, კარადასთან), აბა, ჰე, დაძაბე გონება, ვინ იყო პირველი შემასმენელი. არ იცი, მე ვიცი... აშკარად გინდა, მკითხო, ვინ იყოო, მაგრამ უფროსის გეშინია. უფროსო, ვთქვოო? დუმილი თანხმობის ნიშანია, ვინ იყო და გველი! (ხელის შემართვით ქვეწარმავლის იმიტაციას აკეთებს, მოძრაობს ელასტიკურად და მაცდურად, გველისებურად) გახსოვს, როგორ მიუცოცდა იმ ჩერჩეტ ევას, ქალს. გახსოვს რეები უჩურჩულა ყურში, შენ ამას, ღმერთსო, ყურს რას უგდებ, შენ ამის კანონებში რატომ უნდა ჩაეტიო, ნახე, როგორი ლამაზი და თავისუფალი ხარ (მეორე ხელში უჭირავს ხელიანი სარკე), არ გინდა თავისუფლება? არ გინდა, გაიგო, რა ტკბილია!.. (აშკარად, ეროტიკულად, ვნებიანად) წრიალებ, დადიხარ, აქ, ამ წრეში, არ გინდა წრიდან გასვლა, გასვლა ამ ბაღიდან, გადასვლა სხვა ბაღებში... იცი, რამდენი გზები და ბაღებია... არ გინდა, ჩაკბიჩო; ერთი ვაშლი რას მიქვია, მთელი ქვეყანა ჩაკბიჩო ევა; მთელი ქვეყანა, რომელიც შენი წელის რხევად არ ღირს, რახილ... არ გინდა? არ გინდა? არ გინდა, რახილ, აკრძალული ხილი ნახო, რა ხილია?.. (უმცროსი ბერეტიანი მონუსხულივით შეჰყურებს მაესტროს მოძრაობას, პლასტიკას, ინტონაციას, რომელიც ასე ჰგავს გველისას, გარს რომ უვლიდა ხისგან გათლილ ტორსს, მკერავები რომ იყენებენ, ან ამ ტორსის ფუნქცია შესაძლოა უმცროსმა ბერეტიანმაც შეასრულოს, რომლისთვისაც მაესტროს ხელი აქვს ჩაკიდებული, თითქოს ბაღიდან გაჰყავს... და სწორედ ამ დროს, როცა I ბერეტიანი იგრძნობს, რომ ხელიდან ეცლება მეორე, მთელი ხმით, მაგრამ მაინც ერთგვარი უმწეობით დაიღრიალებს):
**I ბერეტი** - თქვენ ისევ გნახეს ქუჩაში!
**მაესტრო** - (ჯერ არ ეშინია, ხელით ანიშნებს) ადრე, ადრე, ეს ადრე იყო, ადრე ბევრჯერ მნახეს, ქუჩაში ვდგამდი სპექტაკლებს იმიტომ, რომ არ მქონდა ტაძარი.
**I ბერეტი** - ტაძარი?
**მაესტრო** - ჰო, ტაძარი, ანუ შენს ტვინამდე რომ უკეთ დავიდეს - შენობა. თეატრი ჩემი შენობაა - ჩემი ტაძარი. და, როცა ამ ტაძარს მართმევდნენ, ამ ტაძარში არ მიშვებდნენ, მე გავედი ქუჩაში, ღია ცის ქვეშ, ღვთის ანაბარა. მხოლოდ ღმერთი ხედავდა ჩემს ხილვებს, ჩემს წარმოსახვებს, ჩემს მიზანსცენებს.
**I ბერეტი** - ეგ ტყუილია! თქვენ თეატრიც გქონდათ და დიდი პატივისცემაც.
**მაესტრო** - (თავის ქნევით ეთანხმება) პატივისცემა, თანაც დიიდი... ჰო, ეგ იყო, ცემა პატივს, პატივების... პატივს რა ჰქვია სხვანაირად? ბიჭო, შენა ხარ სოფლელი თუ მენა (მიმართავს უმცროს ბერეტიანს) პატივის მეტი რა ყრია შუკებში... დავდიოდი ასე პატივნაცემი, ნაპატივები... მააშ... (უცებ გაბრაზებით): არ მეყო, არა!
**I ბერეტი** - მეტი მოინდომე, არა?!
**მაესტრო** - ჰო, მეტი, თანაც რამხელათი მეტი...
**I ბერეტი** - რა იყო მაინც ამაზე მეტი!
**მაესტრო** - პრემიერების აღტაცებები არ მეყო, ხალხის სიყვარული მოვინდომე, დაჩაგრულების სიყვარული მოვიწადინე, დაწიხლულების, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურაცხყოფილების და მერე რატომ, თუ იცი?..

**I ბერეტი** - აბა, მე რავი...

**მაესტრო** - იმიტომ, რომ მეც დაწიხლული ვიყავი, შეურაცხყოფილი, გაბითურებული.

**I ბერეტი** - ეგეც ტყუილია, ხელის გულზე ატარებდნენო, თქვენზე ამბობენ.

**მაესტრო** - ბითურობაა ეგ ხელისგული, ორსაათიანი ხელისგული, ორსაათიანი მზისგული... ეგენი სულ ორსაათიანები იყვნენ ყველანი. ორსაათიანი მათხოვრები, ორი წუთით რომ იტყვიან სიმართლეს, 23 საათი და 58 წუთი ტყუილში იხრჩობიან... მე ჩემი მარადიული სიმართლე მაქვს - ჩემი კარგი ქვეყანა - ჩემი მარადიული ბალაგანი - ვერ ვიმათხოვრე ორი საათით მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული თეატრი (სცენა)... მატრონებს და სნობებს ორ საათშიც ჟანგბადი ეკეტებათ - სიმართლეში, მაგრამ ორი საათი კიდევ შეიძლება გაძლება, გაღიმება, გაცინება, მით უფრო, რომ სიცილი უხდება სამკაულებს, ფარჩებს, ეგ ფარჩაკები თვითონაც პატიოსანი თვლებივით ციმციმებენ, თვითონაც იჯერებენ, რომ ღირსეული ოჯახის შვილები არიან. რა ხანია, სნობებისა და ფარჩაკების თავშესაქცევ სანახაობად იქცა თეატრი.

**II ბერეტი** - ჰო, ისე, მე კინო მერჩია ყოველთვის.

**მაესტრო** - მე კი სიტყვა მენატრებოდა, სიტყვების თამაში და სიტყვის ქმედება. ოღონდ ეს სიტყვა მართალი უნდა ყოფილიყო. მე ტყუილი არ შემიძლია, ეს თითქმის დაღუპვაა, მაგრამ გადარჩენაც ერთდროულად. თეატრშიც ტყუილი უნდათ, ისე მიეჩვივნენ ტყუილში ჯდომას... შენ გესმის, რა ძნელია, როცა ყველასი გესმის, როცა ყველას უგებ, რა რისთვის, რატომ, როგორ, რანაირად... და მაინც შენს კვამლისფერ ჯორზე ზიხარ და მიერეკები... სოფელივით მწარეა ეგ კვამლისფერი, სოფელივით უმწეო და გამწირავი ერთდროულად... მაინც ამ კვამლით და ნისლებით უნდა შევბურო ჩემი სცენა, მაინც ამ კვამლით უნდა დავმალო მწარე ცრემლი... ესაა ჩემი თეატრი, ესაა ჩემი ცხოვრება და მიზანი თუ ამას ვერ შევძლებ, მაშინ ვიტყვი, რომ არ ვღირდი დასმენად და არ ვღირდი თქვენს აქ მოსვლად, თქვენს შეწუხებად, არც თქვენ დაგჭირდებათ ჩემს დასაბმელად. ცხვარი ვარ, ცხვარი... რო ამბობენ, მეცინება ხოლმე, სააღდგომო ცხვრებს, სადგამქცევია ცხვარი...

**I ბერეტი** - მაშ, ცხვარი ხარ, ბატკანი (დაცინვით).

**მაესტრო** - ბატკანი არა, ცხვარი... ვინ იცის, რამდენჯერ გამომიწოდა ხელი, რამდენჯერ ამომკრა პანღური; მაშინ, როცა რევოლვერის ლულა საფეთქელთან მქონდა მიდებული, ეს თვითმკვლელობაც გამიბითურა, რამდენჯერ გამიგდო წინ და მე კი ვღრიალებდი: არ მინდა ღია დერეფანი, არ მინდა ღია დერეფანი...

**II ბერეტი** - (გაკვირვებული) რა არ მინდაო?

**I ბერეტი** - (დამცინავად) შუშაბანდიო, რა შუაშია არა ვითომ აქ შუშაბანდი.

**მაესტრო** - აი, ეგრე შენსავით არა, შემომხვდა (წამესწრო) მორიგ შეტევაზე ერთი ლოთი ძმაკაცი. არ მინდა-მეთქი, ვღრიალებ; არ მინდა ქვეყანა, რომელიც ღია დერეფნად იქცა; მით უფრო, რომ ემბრიონშივე უკვე სახელმწიფო ჰქონდა ამ ქვეყანას. არ მიდა, არ მინდა ღია დერეფანი (ღრიალებს) არ გინდა და არც იქნება, შე ჩემა, რა გაღრიალებს, კაცი არა ხარ? დერეფანი როგორ გახდება ქვეყანა, შუშაბანდს წიხლი ჰკრა და ჩამოლეწო, ღმერთი არ გწამს, შე საქმეგამოლეულო; წამო, ჭიქები მივაჭუახუნოთ.

**II ბერეტი** - სწორე უთქვამს რა.

**მაესტრო** - სწორეა, სწორე, გულისხეთქვად არ ღირდა! როგორ არ ღირდა, მაგრამ ერთ რამეში იყო სწორი, ერთის გულისხეთქვა რას მოერევა ამ სასაფლაოს, უნდა გავინაწილოთ-თქო, უნდა პურივით გავანაწილო ეს გულისხეთქვაც უნდა ჩამოვარიგო-თქო ჭიქა ღვინოსავით... და წამოვიდა ხილვები, მაგრამ რა ხილვები; ძილში, ცხადში, ზამთარ-ზაფხულ სულ ეგ ჩამორიგება მელანდება... ერთი შეშლილი მეყოლება, გინდა, გაჩვენო, რა ტიპის შეშლილი (იწყებს სცენის გათამაშებას, თამაშობს შეშლილს).

**შეშლილი** - (თმებს იბურდავს, ცალ ფეხსაცმელს იხდის, ცახცახით) არ მინდა ღია კარანტინი, არ მიდა ღია კარანტინი, დახურეთ, დახურეთ ეს ქვეყანა, დახურეთ, შეინახეთ. თორემ განიავდა... არ მინდა ღია კარანტინი...

**I ბერეტი** - (მისი ღრიალით შეშინებული ღრიალით გადააჭარბებს): თქვენ ისევ გნახეს ქუჩაში!

**მაესტრო** - (ისეა გახურებული, აღარ ესმის აღარაფე ^რი, განაგრძობს) არ მინდა ღია კარანტინი, ჩემს სამშობლოში შემოხეტებული უნიკაპები. ჩემი ქვევრები მინდა, ჩემი ღვინოები, ჩემი საფერავი - ზიარების ფასი. ვიტამინის ბუკეტები, თაიგულები (მღერის, ღიღინებს). დამაყარე გულზე ცრემლი, დამაყარე. ჩემი გოგიები მინდა, ჩემი ჰამლეტები, ჩემი ფუტკრები მინდა, ოთარას აფთიაქრები (მიდის თაროსთან, რთავს მაგნიტოფონს, საიდანაც ისმის „შენ აფრენ, შენ აფრენ, შენ აფრენ..." ირაკლი ჩარკვიანის „სიმღერა" - რეჩიტატივი).

**I ბერეტი** (ნასიამოვნები) ვახ, რა ზუსტად მოარტყი.

**მაესტრო** - (სიცილით) ზუსტია, არა? ჯერ სადა ხარ, მოიცა (ისევ აჭერს მაგნიტოფონის ღილაკს ხელს, აჩქარებულ ტექსტს აჩერებს. გაისმის ნაწყვეტი ევგენიძის შოუდან, სკანდირება: „აი ია, აი უთო, აი თითი, აი თათი...") კარგია, არა; ევგენიძემ გადაწყვიტა, წერა-კითხვის საზოგადოება შეცვალოს. გაძნელდა ანბანის სწავლა. თამაშ-თამაშ, შოუ-შოუ, თორემ ისე ძაან გაძნელდა... (ხელის მოჩრდილვით ზემოთ ქანდარისკენ გასძახის) დათო, ჯიგარო, კარგად შემოაპარე ბებერი მეზურნეებისა არ იყოს, არ იყო... ეს ბითურები კიდეტაშს გიკრავენ, ვითომც რაიმე გაეგებათ... ეგრე, მიდი, შეუბერე, შენ მაინც ნუ მოიხსნი მაგ გურულ თავსაკრავს, ყაზილარო, შე ბენდენის პირველშემომტანო ამ სვეტუნია ქაჯებში. დედას გაფიცებ, შაკიკი გაწუხებს თუ პროტესტის გრძნობა გაიძულებს... ჰა, თქვი, ამოთქვი, შენც ხომ ბერეტიანი არა ხარ, ორი სიტყვა ერთმანეთს ვერ გადააბა. მიდი, ამოთქვი, რატომა გაქვს შუბლი გაკრული. შენი ნიღაბია, შენი თავშესაფარია? შენი გერბია და სიმბოლოა... თუ შენამც, რა ხანია, გაგიარა ამეებზე დარდმა და ზრუნვამ (ეკრანიდან ჯერ უხმოდ მოსჩანს ნაწყვეტი შოუდან, კონტაქტი დარბაზთან და მერე სკანდირება გაისმის „აი ია, აი უთო, აი თითი, აი თათი"...) (მაესტრო მოუბრუნდება უმცროს ბერეტიანს), ჰა რა იყო, რა პირი დაგილია, ვერაფერს მიხვდი, ვერ მოხვდი კონცერტზე, შე ალალო; არც გინდა, ალალებისთვის არც იდგმება ეგეთი შოუები. ეგ იმ მატრონებს და სნობებს სჭირდებათ,

სამშობლო რომ გადაავიწყდათ, თბილისურ-იტალიური ეზოების გამეტებული ძმაკაცები რომ გადაავიწყდათ; ხსოვნა რომ დაუზიანდათ; გუშინ რა თქვეს, დღეს რომ აღარ ახსოვთ; ეგრე ცუდად ვითომ კარგად რომ არიან ერთდროულად ქართულად ყოფნის რომ შეეშინდათ, ემანდ ტყაპუჭიანი (გლეხუჭა) არ ვეგონო ვინმესო. გუშინ რომ ნახირს ეძახდნენ საკუთარ ხალხს და არჩევნების დღეს - ჩვენი ხალხი მართლა ნახირი ხომ არ ჰგონიათო, საკუთარ ნათქვამს რომ იმოწმებენ სქოლიოში. (ისევ ისმის სკანდირება) „აი ია, აი უთო, აი თითი, აი თათი...“ (ეს სკანდირება უკვე მისგან ხდება. ინგლისური აქცენტით) „აი ია, აი უთო, აი თითი, აი თათი...!

(უფროსი ბერეტიანი კარადებს რომ ჩხრეკს პერიოდულად პირქუშად იხედება, ახლაც, ამ წუთებშიც... მაესტრო უმცროსს მიუბრუნდება): ძაან საშიშად იყურება აი, (დამფრთხალ უმცროსს შეეშინდება... მაესტრო უფროსს მიმართავს, გასძახებს).

მაესტრო - რას ეძებ მანდ, ჭიგარო, რო გადააქოთე მთელი სახლი; აღარა ვწერ, ბიჭო, აღარა ვწერამ, მით უფრო აღარაფერს აღარა ვდგამ.

I ბერეტი - მა, ეს რეებს მაიმუნობ.

მაესტრო - ეს არ ითვლება, გენცვა, ეს სცენა არაა, ეს ჩემი ოთახია, პრივატიზებული.

I ბერეტი - (დასცინის) პრივატიზებული, თორე ესეცაა რა (ათვალიერებს).

მაესტრო - რა არ მოგწონს, ეგრეა, რა ვუყოთ, სასახლე გავყიდე, სარდაფი ვიყიდე... კერძოა, კერძო, პოლიტიკურად - კაპიტალისტური.

I ბერეტი - (სიტყვა პოლიტიკურმა თითქოს ისევ გაახსენა) თქვენ ისევ გნახეს, და მაინც გნახეს, და ისევ გნახეს ქუჩაში...

მაესტრო - (თავის ქნევით, ჭიუტად) არ არსებობს, მე ქუჩაში აღარ გავდივარ; მე არა, ძმაო, შენ რომ გგონია, ის აღარა ვარ. როგორ აგიხსნა, მე ის თამრო აღარა ვარ, მე რა ხანია მორჩა, ფაფუ... (თან უახლოვდება) გინდა, გითხრა, მე მართლა ვინა ვარ, გინდა, გაგიმხილო?... მე დოხტური ვარ... თუ არც ეს გჯერა, მაშინ უფრო მართალს, ძაან მართალს გეტყვი - მე ტომარა ვარ, თანაც გირჩებით ანდა შაქრით გატენილი კი არა... მომჩვარული, ფეხის ტილოდ გამოსადეგი (სხეული მოიმჩვარება ნელ-ნელა, თან ლაპარაკობს) მე რომ შენ სახლში შემოგიშვი და ჩემი ტერიტორია არ დავიცავი, ეს, იცი, რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნეს, რომ მე ვარ ტილო. ფეხის ტილო, წინკართან დაგდებული... რო შემოდიოდი, გაიწმინდე მაინც ეგ მურდალი ფეხები?! არ გაგიწმენდია. მოდი, აჰა, მოდი გაიწმინდე, მე ვარ ტილო (პლასტიკურად იკეცება, მართლა ტილოსავით, ანდა სულაც იხდის ზედა სამოსს, ტაშტში ასველებს, წურავს, ფერთხავს და აჩვენებს, წინკართან დაგდებულია) აჰა, მოდი, გაიწმინდე, გადი-გამოდი, გაუსვი და გამოუსვი. ტილო ვარ ტილო, დამშვიდდი? დაწყნარდი? გესიამოვნა?!

II ბერეტიანი - (შეშინებული) აფრენს, აი.

მაესტრო - მოგწყინდა, არა? სანახაობა გინდა?!. გინახავთ როგორ უკმდება, კოტრდება დროშები? (კულისებიდან გამოაქვს შინდისფერი დროშა, შემოატარებს სცენას ფრიალით, მერე მოხსნის ტარს ნაჭერს, დროშას იმავე ტაშტში ასველებს და იმასაც წინკართან ფენს. ეპატიჟება) მობრძანდით, გადაიარეთ, ესეც ტილოდ იქცა. სადაც გინდა, იქ აზიდე; რა სიმაღლეზეც გინდა, იქააფრიალე. ხალხს თუ დროშის ნახვა აღარ უხარია, ის უკვე ტილოა, ფეხის ტილო. ესეც ტილოდ იქცა (დასცქერის), უნდა ქცეულიყო კიდეც, ისეთი სისხლისფერი ედო, ისეთი უმოძრაო, მუქი, შავგარეული. იმდენი სისხლისა და ცრემლის მომსწრე. ახლა ახალი დროშების ჭერიაო, ჯვარი უნდა ეხატოსო... (დაფიქრებით) ვინ იცის, იქნებ, გაამართლოს; ვინ იცის, იქნებ, ჯვარს ვერ შედგნენ ფეხებით...

I ბერეტი - (ნიშნისმოგებით) თორე ჯერ არ შემდგარან.

მაესტრო - და მაინც, ვინ იცის, შე ნიჰილისტო, ვინ იცის, იქნებ, თვითონ ჯვარმა დაიცვას თავის თავიც და ეგენიც.

II ბერეტი - (მოულოდნელი შიშით) არავინ არაფერი იცის, არავის არაფერი უნახავს, მე არ მჯერა სასწაულების.

მაესტრო - მარტო მე ვიცი, მარტო მე მინახავს, როგორ იხრებიან ჟამიდან ჟამამდე დროშები, როგორ ტირიან ხატები და როგორ სდით ლაწვებზე მირონი... მარტო მე მინახავს, როგორ იქცევა დროშა ტილოდ და როგორ გადადიან სიწმინდეებზე ფეხით, სულ ერთია, დროშაა, ხატია, ჯვარია, სანთელია; როგორ თელავენ ყვითელი ქუსლებით, აი ასე, აბა ჰე, აბა ჰო, ბუზიკა, ბუზიკა (ჩამოუვლის ლეკურს ქართულად წოდებულს, თუ ქართულს, ლეკების წართმეულს?!.) (მივა დროშასთან, როგორც ქალთან, უნდა, გამოიცეკვოს, მერე ტარის წვერს რუსის სალდათივით ხიშტივით მოიმარჯვებს, სალდათივით გაიგდებს წინ) ერთი - ორი - ერთი - ორი. („სტუმრები“ უკან დაიხევენ) მარტო მე უნდა მენახა, მარტო მე, აბა, როგორ მარტო მე, წარსულში ხელოვანს, ახლა დოხტურს...

II ბერეტი - აფრენს, აი...

I ბერეტი - ან აფრენს, ან არა (ხელში მაუზერი უჭირავს და ზურგით, უკან სვლით გადის კარიდან) წავედით.

(ბნელდება)

(სცენა წარმოადგენს სარდაფს. კედლებზე წიგნებით სავსე თაროები. იქვე დგას მაგნიტოფონი და ვიდეოაპარატურა. ხელმარცხნივ ფარდაა, რომლის უკანაც ყრია ძველი, გულუბრყვილო დეკორაციები. მათ საჭიროებისდა მიხედვით დროდადრო გამოიღებს მაესტრო. ზემოთ-მარჯვნივ-პროექტორის თვალი. მარცხნივ კუთხეში - პატარა ხის მაგიდა. შუაში ტახტი. მაგიდაზე შროშული დოქი და ჭიქა. ტახტზე ქართული ფარდაგი. ტახტზე სხედან მაესტრო და გამნათებელი - გარსი. იქვე, ტახტზე დგას ტელეფონი, გაისმის ზარის ხმა. იღებს მაესტრო)

მაესტრო - დიახ, დიახ, არა, მხოლოდ სასოწარკვეთილები, როგორ ვხვდები? ეგ მე ვიცი. (იღიმება). არა, გულთმისანი არა ვარ, მაგრამ შევხედავ და ვხვდები, ამიტომ ტყუილად ნუ მოცდებით... დიახ. არაფრის. (კიდებს ყურმილს, თან გარსის ეუბნება) როგორ ხვდები სასოწარკვეთილია თუ არაო. მაგას რა მიხვედრა უნდა.

გარსი - მთელი ხეები თქვენი განცხადებებითაა აჭრელებული, კედლებზე რატომ არ გააკარით?

მაესტრო - ხეებს უფრო ვენდობი, თანაც ნელ-თბილებს ხეებს ვეღარ ხედავენ... (ტელეფონის ზარი)

მაესტრო - დიახ. სასოწარკვეთილებს, მხოლოდ სასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარკვეთილებს. (კიდებს)

**გარსი** - (ფრთხილად) მაესტრო, რატომ მაინცდამაინც სასოწარკვეთილებს?

**მაესტრო** - სასოწარკვეთილებიდან სიკვდილამდე ერთი ნაბიჯია, სულ ერთი წამი.

**გარსი** - ამ წამის ყველას ეშინია, თავზეხელაღებულ ავაზაკსაც კი.

**მაესტრო** - შიში - ეგ არაფერი... მთავარია, რომ ამ წამმა სინანული იცის და ამაშია მისი სიდიადე.

**გარსი** - სიკვდილი უცებ მოდის, მაესტრო.

**მაესტრო** - სიკვდილი არასოდეს მოდის უცებ, სიკვდილი ყოველთვის აღნიშნავს თავის მოსვლას; მთავარია, ეგ წამი არ გამოგეპაროს...

**გარსი** - მაგ წამის გაშუქება რომ შეიძლებოდეს. (თავისთვის)

**მაესტრო** - როგორც ეხოსკოპიის იისფერ სპექტრში, არა? რა საოცრებებს აღმოაჩენდა ადამიანი უთქმელად, როგორ ხელისგულზე დაიდგმებოდა (განათდებოდა) მთელი მისი ცხოვრება, ღმერთო! რა სცენა იქნებოდა! რა ტემპი, რა რიტმი, რა პულსაცია!..

**გარსი** - ამ წამში, ალბათ, გულწრფელია ადამიანი.

**მაესტრო** - ჰოდა, ამიტომაც ყველაზე დიდი სასჯელი და ყველაზე დიდი ჯილდოა ეს უკანასკნელი წამი.

**გარსი** - სიცოცხლეც ჯილდოა და სასჯელი ერთდროულად. (ტელეფონის ზარი)

**მაესტრო** - დიახ, გამომეხმაურონ მხოლოდ სასოწარკვეთილები. ჰონორარი? (იცინის) გააჩნია გულწრფელობის ხარისხს... გულწრფელობის ხარისხს-მეთქი, ვინ როგორ ითამაშებს... დიახ, ბოლო დღეა, ნახვამდის. (მიუბრუნდება გარსის და აგრძელებს) სასჯელი და ჯილდო! შხამი და შარბათი წვეთებივით უნდა ჩაასხა აფთიაქის იოდისფერ შუშაში და შორიდან დაანახო სასოწარკვეთილების წამებში ადამიანს. უნდა უჩვენო და მიახვედრო, თუ ახლა მაინც იქნები მართალი და გულწრფელი, მოგცემ (გაპკურებ) და გადარჩები... თვით უკანასკნელ წამებშიც კი სანაცვლოს მოითხოვს ადამიანი, ჯილდოს, როგორც ყირაზე გადასული დათვის ბელი შაქრის ნატეხს მანეჟზე.

**გარსი** - უკანასკნელი შანსი, მაესტრო?

**მაესტრო** - უკანასკნელი შანსი გედის სიმღერად უნდა ვაქციოთ... ოოო! ამ წამების გაშუქება რომ შეიძლებოდეს...

**გარსი** - ჰოდა, გავაშუქებ, მივანათებ, მაესტრო და გავაშუქებ. აბა მე რისთვისა ვარ? მაგრამ... რა ფერის ტიტრი მოუხდება მაგ წამს?

**მაესტრო**- (თითქოს თავისთვის) ვინ იცის, რა ფერი მოუხდება სასოწარკვეთილ წამებს.

**გარსი** - შავი.

**მაესტრო** - ეჭვიც არ მეპარებოდა, მრუმე ფერს რომ დაადებდი ხელს. არადა, ზოგჯერ ვარდისფერი ისეთ სასოწარკვეთას მალავს, გაგიკვირდება: „სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა..."

**გარსი** - (დაფიქრებით) სასოწარკვეთა იმ სამოსის ფერია, ჯამბაზს რომ ადევს, თოკზე გამავალს.

**მაესტრო** - ზუსტად გაარტყი, გარსი, ყველაზე დიდ სევდას ჯამბაზის თეთრად შეფეთქილი სახე და ჭრელი სამოსი ფარავს... „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს ფერია" (?)

**გარსი** - სამშობლოსფერი სასოწარკვეთა.

**მაესტრო** - (აღფრთოვანებით) სამშობლოსფერი სასოწარკვეთა! შესანიშნავი ფერია, გარსი, გამნათებლადა ხარ დაბადებული.

**გარსი** - არასოდეს დავფიქრებულვარ ჩემს პროფესიაზე.

**მაესტრო** - შენი პროფესია ჟამთააღმწერლისას ჰგავს, შუქი უნდა მოჰფინო ყველაფერს: ღალატსა და ერთგულებას, ცოდვასა და უბიწობას, სიყვარულსა და სიძულვილს... გესმის, რა განძის პატრონი ხარ, რა იარაღი გიჭირავს ხელში?

**გარსი**- (იარაღის ხსენებაზე შეშინებული აქეთ-იქით იხედება) ნუ აზვიადებ, მაესტრო!

**მაესტრო** - სიცილისა არ იყოს, ეგ პროჟექტორის ვეება თვალია შენი მძლავრი იარაღი... როგორი ინტიმი შეგიძლია შექმნა უცებ, სრულიად მოულოდნელად. როგორ შეგიძლია გამოსტაცო წარმავლობის შიშინა ქაოსს ანდა ჭრელი ბრბოს ბაზრულ ყაყანს რომელიმე მათგანი და გაანათო, ე.ი., გახადო ყურადღების ღირსი. თითქოს უფლის თვალი დაჰყურებდეს მიწას, მისი ვეება, თბილი ხელი დაადო კეფაზე და სამუდამოდ გაათბო, გადაარჩინო... ანდა სულაც ზურგზე ჰკრა ხელი, წადი წინ, წინ, ნუ გეშინია!..

**გარსი** - (უცებ ბავშვური აღმაფრენით) მიდი, მაესტრო, მოვიტაცოთ ეს ინდივიდები...

**მაესტრო** - (აჰყვება) ბრბოში რომ ჩაშხრჩვალან, ნელნელა რომ იხრწნებიან, არა?

**გარსი** - მაესტრო, მიბრძანე და ვისზეც მეტყვი, რაზეც მეტყვი, იმას მივუშვერ და გავანათებ. თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონია. ოღონდ სწრაფად, დროს ნუ დავკარგავთ (ისეთი მოძრაობით, თითქოს ავტომატი უჭირავს ხელში).

**მაესტრო** - ოოო! როგორი გადამდებია შენი პათოსი. რა შესაშური ენთუზიაზმია, რა დიდებულია, როცა შენი სჯერათ... და რა საშიშია ეს დაჯერება, რა გადამდები, რა აზარტული... (პაუზა) (სევდიანად) ჩვენი ქალაქი გამახსენდა.

**გარსი** - (ოდნავ დამფრთხალი) ჩვენი ქალაქი?!

**მაესტრო** - ის საბედისწერო შეუსაბამობა, აგრესიული ჭაღარა კაცებით რომ აივსო ქუჩები და კიდევ მათგან დაგეშილი ახალგაზრდა მიმინოებით.

**გარსი** - მაესტრო, მაგაზე ნუღარ ფიქრობთ, ეგ უნდა დაივიწყოთ, მაესტრო!

**მაესტრო** - რასაც გინდათ ვისაც გინდათ, ოღონდ გვითხარით, ოღონდ გვასწავლეთ და იმას დავუშენთო, აკი დაუშინეს კიდეც და ჩამოაქციეს სულის პიტალო კალთები.

**გარსი** - მაესტრო, ეგ პოლიტიკაა, მისი თამაშია.

**მაესტრო** - მაგრამ, როცა თამაშს შენი ქალაქი, შენი ქუჩა, შენი ცოლ-შვილი ჰქვია, მაშინ რაღა ქნას კაცმა, ვისაც სამშობლოთი თამაში არ შეუძლია...

**გარსი** - (დარცხვენილი, დამნაშავესავით) ჩვენ ხელოვნებას ვემსახურებით, მაესტრო.

**მაესტრო** - (მკაცრად) ხელოვნება კიდევ ჭეშმარიტებას. მიმიფურთხებია ისეთი ხელოვნებისთვის, რომელიც ტყუილს ემსახურება. მაგისთვის ცხოვრებაა მოგონილი, სოფელია მოგონილი, სოფელი, რომელიც სიცრუესა ზედა დგას...

**გარსი** - (გაუბედავად) ხელოვნება მაინც სხვაა, მაესტრო.

**მაესტრო** - სხვაა, დიახ, სხვაა! ხელოვნება შემოქმედებაა, შემოქმედება უფლის მიბაძვაა, რომელიც შემოქმედის მიბაძვით დაირქვა. უფალი ქმნაა,

ე.ი., შენება, სიკეთეა, სამართალია. შემოქმედებაც შენებაა, გადავიწყებული, ჩაწიხლული, გაგდებული სამართლიანობის აღდგენა...

**ბარსი** - (სკეპტიკურად) აღდგენა?

**მაესტრო** - აღდგენა თუ არა, შეხსენება მაინც... თუ აღარც ეს შეხსენება გნებავს... და მერე ვინ? (მკაცრად, მჭექარედ) გამნათებელს, თეატრის მზეს... შეგირცხვა, გარსევან, ნამუსი.

**ბარსი** - (დამფრთხალი, შეურაცხყოფილი) მე მაგ სიმართლის გამოსარჩლებამ ასჯერ თავი გადამიჩეხა.

**მაესტრო** - და განა მარტო შენ, ყვირალო?

**ბარსი** - კიდევ ბევრ ჩემნაირს.

**მაესტრო** - ნუგეშად ეგეც გეყოს, რომ მარტო არ იყავ თავგატეხილი, ხერხემლიდან მალებამოყრილი. (ზურგზე ხელს ისვამს)

**ბარსი** - (ერთგვარი სიამაყითაც) - დაგვაახლოვეს კიდეც, მაესტრო, დაჭრილები.

**მაესტრო** - ასეა, ჭრილობა აახლოებს ადამიანებს.

**ბარსი** - დრო თითქოს შეიკუმშა, დრო სწრაფად გარბის.

**მაესტრო** - ასწავლეს, აჩვენეს, შეაჩვიეს იარაღი და სამართალს მიუშვირეს, მაგრამ ნუგეშად ის მაინც მრჩება, რომ შლემგადაცმული დარბოდნენ შლეგები, გუმანი რაღაცას მიანიშნებდათ, შიშით თუ სირცხვილით სახეს მალავდნენ საკუთარ ქალაქში... ბიჭები...

**ბარსი** - ჩვენ ჩვენსას მივხედოთ, მაესტრო, ეგ უკვე წარსულია.

**მაესტრო** - აწმყო არ არსებობს წარსულის გარეშე, აწმყო წარსულითაა დასჯილი (რომ უკეთესი მომავალი აშენდეს).

**ბარსი** - მოვიკლათ წარსულ დროებზე ფიქრი.

**მაესტრო** - ფიქრი არა, დარდი; ფიქრით უნდა იფიქრო, არ უნდა გაჩერდე. ფიქრი წინსვლაა, დარდი უკანსვლა, გაჩერება, გაყინვა.

**ბარსი** - (აენთება) ჰოდა, წინ, მაესტრო, გავანათოთ თავგახეთქილები, გულგახეთქილები, სასოწარკვეთილები, გავანათოთ და, როგორც თქვენ ბრძანეთ, გავათბოთ.

**მაესტრო** - (თბილად, სიყვარულით) გამჭვირვალე სასოწარკვეთილებო!.. სულ ერთი სხივი, ერთი ფიჩხი საკმარისია, გარსი, მაშინვე გათბებიან, ბიჭო, აგუგუნდებიან, აღუღუნდებიან, მოგეკედლებიან, ბიჭო.

**ბარსი** - უმრავლესობას რა ვუყოთ, მაესტრო?

**მაესტრო** - ეგ სხვა კონტინგენტია. სად არის მაგდენი შეშა, კოცონები ავაგიზგიზოთ, როგორმე რომ გალღვებოდეს მათი გაყინული გულები.

**ბარსი** - სასოწარკვეთილები არ იტყუებიან.

**მაესტრო** - აღარ იტყუებიან... ისინი თავს უფლებას აძლევენ, მხოლოდ სიმართლე ილაპარაკონ.

**ბარსი** - თუ სწორად გავიგე, მაესტრომ ბრძანა სიმართლე ფუფუნებააო.

**მაესტრო** - (გაღიზიანებული, რომ მაშინვე ვერ გაუგეს) რაღა თქმა უნდა, სიმართლე სიღატაკის ერთადერთი ფუფუნებაა, უკანასკნელი განძი, ისე, როგორც ხსოვნა იქცა ყველაზე დიდ კონტრაბანდად ამ გადაბუგულ ქალაქში. (ტელეფონის ზარი)

**მაესტრო** - (იღებს ყურმილს) დიახ, დიახ, სასოწარკვეთილთა თეატრი, დიახ. არა „მასოვკა" არა გვჭირდება, მხოლოდ ინდივიდები... აღარ არიან? არიან, არიან! არ გჯერათ, ჰოდა, აი რომ არ გჯერათ, მობრძანდით, პირადად თქვენ მობრძანდით... პრემიერაზე? პრემიერაზე სხვები მოვლენ, თქვენ მანამდე მობრძანდით! არაფრის, კარგად ბრძანდებოდეთ. (კიდებს) კიდევ ერთი სასოწარკვეთილი... (პაუზა) (მიმართავს გამნათებელს) დიახ, „მზის და ვარდების მხარეო..." სად არ მღეროდნენ ამ უკიდეგანო ქვეყანაში (ჩუკოტკიდან კამჩატკამდე). ყველას ამ ვარდების ყნოსვა უნდოდა, ყნოსვას რა უშავს - ყიდვა... მზე ვერ იყიდეს, ვერც მთვარე, ვარსკვლავები... კაცები და ქალები იყიდეს, სამაგიეროდ, იმიტომაც მოუსწრაფეს სიცოცხლე, იმიტომაც აქციეს სასოწარკვეთილთა ქალაქად, იმიტომაც დაუმარხეს ვარდები სილაში და დაუბნელეს მზე და მერე ვისით, ვისი ხელით (ზიზღით დაჰყურებს საკუთარ ხელებს) - ჩვენივე ხელით.

**ბარსი** - ციხე შიგნიდან ტყდებაო, არახალი, ძველია, (შეწუხებული წამოავლებს გირჩებიან ტომარას ხელს და წასვლას აპირებს)

**მაესტრო** - საით მიცუხცუხებ, სინათლის მტვერო.

**ბარსი** - (გაღიზიანებით) პოლიტიკაში ნუ გადაიჭრებით ხოლმე...

**მაესტრო** - მერე ვინ გითხრა, რომ პოლიტიკა ჩვენ არ გვეხება, ეგეც დემაგოგების მოგონილია, რომ გაგაჩუმონ, ნამუსზე შეგაგდონ, დაგაკომპლექსონ... განა არ გახსოვს, ამ თემაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

**ბარსი** - მახსოვს, მაესტრო...

**მაესტრო** - აბა, რა დაგემართა, რამ შეგაშინა. განა შენ არ ამანთე, შენ არ ამადუღე, განა შენ არ დამისახე გულში იმედი - თქვენს სიტყვას ფასი აქვსო, თქვენს სიტყვას, როგორც პურს, ისე ელის დამშეული ხალხიო... ახლა რაღამ შეგაშინა, რამ გადაგატრიალა ფირფიტასავით, ჩემო დაქანცულო, ერთადერთო ადამიანო...

**ბარსი** - უნდა გამოვტყდე, მაესტრო... (დარცხვენილი იღებს თითქოს გადაწყვეტილებას) შვილები მყავს და ყურება მირჩევნია.

**მაესტრო** - მაშ, ყურება გირჩევნია, არა? მოსეირეებში გადაბარგდები, არა?

**ბარსი** - რატომ, ამისი არც ყურებაა ადვილი.

**მაესტრო** - (გაბრაზებული, მრისხანედ) ხმა ჩაიკმინდე, ახლა მაყურებელიც შემაცოდე. (გამოაჯავრებს) „არც ყურებაა ადვილი!" ადვილი არც ფლავის ჭამაა, მე თუ მკითხავ. ჯერ იშოვე, მერე მოხარშე, მერე მიდი და თქვლიფე, თუ ესაა თავი და ბოლო... მობრძანდი, რაკი ეგრეა, გადაბარგდი... ვუყუროთ, თუ არ მოგწყინდა, როგორ გამოდგება დილაუთენია ოქრობორკილიანი ცოდვის მონა და აქაოდა სუ ისეთი მაგარი თავისუფალი ვარ, ოქროებში ვუღარუნობო. როგორ გამოჭკიდებს ციხე-სიმაგრიდან თავის გასახმობ ფალოსს, ოქროს გალიიდან, როგორ წაბილწავს და გადაასხამს ყველაფერს... თუმცა უმრავლესობის აზრით, როგორ აპკურებს დილის ნამს მზის და ვარდების დაგვალულ ქალაქს... ვინიცობაა, ნაღვერდალი არ ღვიოდეს, ნაპერწკალი არსად იყოს დარჩენილი...

**ბარსი** - თორემ ნაპერწკლიდან ალი აენთება.

**მაესტრო** - ჰო, შე ისკრელო, აენთება, ამიტომაც უნდა მიაშხუროს მთელს ქვეყანას... შენ მაინც არ გეხება, არა. ერთი შხეფიც არ გეკარება (გეპკურება) ამ უკვდავების წყაროდან, არა?!

**ბარსი** - (იჯღანება, იმშუშნება, უხერხულობისგან აღარ იცის, რა უპასუხოს, მუცელზე ისვამს ხელს) მაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრო!

მაესტრო - რა იყო, სეირის მოყვარულო, მუცელი ხომ არ აგიფართალდა. თუ ეგრეა, უნდა მოითმინო... უნდა მიატოვო შენი გაყინული სორო და სიკვდილივით ცივი უნიტაზი (ნერვულად იცინის) და გარეთ გამობობლდე სინათლეზე. იმიტომ, რომ იგივე ურჩხულმა გადაგვიკეტა მთიდან მომავალი წყარო. ეგრეა, მაშ; როცა უნდა, გადაგიკეტავს; როცა უნდა, გადმოგიკეტავს; როცა უნდა, მოგცემს; როცა უნდა, წაგართმევს, რაში ენაღვლება შენი მუცლის გვრემა, შენი კუჭის მოშლილობა. გამოდი! შეუყევი ფერდობებს! ამბობენ, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსების გასწვრივ ბორცვები და ფერდობები (მთაგრეხილები) სწორედ რომ ზედგამოჭრილია გაჭირვებულთათვის...

გარსი - მაესტრო! (შეშფოთებული ინტონაციით, თითქოს როგორ კადრულობთო).

მაესტრო- (იგივე ინტონაციით უბრუნებს ხურდას) მაესტრო! უნივერსიტეტი!.. როგორ გეკადრებათ, არა?! უნივერსიტეტი, პროფესურა... ყრუ-მუნჯთა საზოგადოება... ვივა აკადემია, ვივა პროფესურა! ჰი...ჰი...ჰი... მაგ შენი აკად...

გარსი - (ფრთხილად აწყვეტინებს) რამდენადაც მახსოვს, თქვენც მაგ ხარისხის მატარებელი ბრძანდებით, მაესტრო, თეატრის ისტორიის მაგისტრი...

მაესტრო - დიახ, გახლავართ, ცერემონმაისტერო, მაგრამ ფალარათი პატიოსანი დაავადებაა, ყველაზე კომიკურად რომ ამხელს თანასწორუფლებიანობის პრინციპს ჩინიანთა და უჩინოთა შორის... ასე, რომ არავინ არაფრისგანაა დაზღვეული, თვით ჩემი ხარისხიც. ინტელექტი ემორჩილება ფიზიოლოგიას. (იკრუნჩხება და იჭინთება)

გარსი - (ღიმილიანი ყოყმანით)... მაგრამ

მაესტრო - მაგრამ მაინც გარბიხარ, არა?

გარსი - (ისევ ყოყმანით) გაქცევა რა საკადრისია, არც მიფიქრია, მაგრამ...

მაესტრო - მაგრამ რა? ამოთქვი ეგ შენი „ნო“.

გარსი - მაგრამ ყველა ხომ გარბის?

მაესტრო - (წამოდგება) ყოჩაღ, თვალის ჩინო, დაგიფიქსირებია: „ჭაბუკი ადგილზე გარბოდა...“

გარსი - (გულუბრყვილოდ უხსნის) ადგილზე არა, ევროპაში გარბიან, მაესტრო, ამერიკაში, ზოგიც - აფრიკაში...

მაესტრო - (კულისებიდან რაღაცას მოათრევს, გამოიტანს სავარჯიშო ველოსიპედს, მერე მეორე სავარჯიშო ველოსიპედს გამოათრევს, თან ესაუბრება) მართლა კი არ დამიკარგავს თვალის ჩინი, ტკბილო, არ დაიჯეროთ, რომ გარბიან, ადგილზე ტრიალია ეგ. ზუსტად ასე გარბიან ქალები, კაცები, ბავშვები. (ჰკიდებს ხელს და შესვამს ველოსიპედზე, მეორეზე თავად ჯდება და ადგილზე ატრიალებს თვლებს) გაქცევის ილუზია, ამოქმედების წყურვილი. მოდი, ცოტა წავივარჯიშოთ... (ატრიალებენ)

გარსი - ინტელექტუალური გადინებაა... რა ქნან, მაესტრო, უნდა გაიქცნენ, თუ უნდათ, რომ პროფესიონალიზმი შეინარჩუნონ.

მაესტრო - პროფესიონალიზმი თუ ღირსება?

გარსი - თუნდაც ღირსება იყოს, თქვენ ხომ ბრძანეთ ინტელექტი ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ემორჩილებაო (ტყვეაო).

მაესტრო - (გაჯავრებული) მერე ვინ გითხრა, ინტელექტი და ღირსების გრძნობა ერთი და იგივე რამაა, ბრიყვო (სიხშირეს უმატებენ).

გარსი- ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია არა, მაესტრო?

მაესტრო - ყოჩაღ, გარსი, დროზე შეცვალე კლასიკის ლექსიკა, ალღოიანი გამოდექი.

გარსი - ღირსეული ოსტატის ღირსეული შეგირდი მინდა ვიყო!

მაესტრო - (ცოტა ანელებს) მაშ, აღარ გარბიხარ?

გარსი - აკი მოგახსენეთ, არც მიფიქრია, მოგეჩვენათ.

მაესტრო - სწორია, თვალის ჩინო, საკუთარ თავს მაინც ვერსად გაექცევი.

გარსი - როგორა ბრძანეთ - მოხუცი ადგილზე გარბოდაო?

მაესტრო - შენი სარკაზმი მეტისმეტია, მოხუცი ისედაც ერთ ადგილს ტკეპნის. ჭაბუკი! ჭაბუკი!

გარსი - (დარცხვენილი) დიახ, შემეშალა... ჭაბუკიო, ასე ბრძანეთ.

მაესტრო - „ჭაბუკი ადგილზე გარბოდა...“ აი, ჩვენი სამშობლოს სისხლიანი მეტაფორა...

გარსი - (აქეთ-იქით იხედება, შეშინებული) სისხლის გარეშე არ შეიძლება, მაესტრო.

მაესტრო - რა იყო, ცუდად შეგიხორცდა? (გადმოიწევა და უთვალიერებს თავს, ფეხებით ისევ ატრიალებს „პედლებს“)

გარსი - შეხორცდა, მაგრამ მაინც მწარედ მახსოვს.

მაესტრო - ჰო, ეგეთები არ ავიწყდებათ, ჰა, რას შვები, რა გადაწყვიტე, მომყვები თუ არა?

გარსი - სხვა რა გზაა, მაესტრო!

მაესტრო - ნამდვილი მომაკვდავის პასუხია.

გარსი - მომაკვდავებს მხოლოდ მომაკვდავები თუ მოჰფენენ შუქს.

მაესტრო - სწორი ფორმულირებაა ტყუილი არ უთქვამთ, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

გარსი - ჩვენი სპექტაკლი მშივრებსა და მაძღრებს ეძღვნება, მაესტრო?

მაესტრო - და კიდევ წყვდიადსა და სინათლეს, და კიდევ ღალატსა და სიყვარულს, კიდევ მტრობასა და მეგობრობას...

გარსი - ერთი სიტყვით, უკან - შექსპირისაკენ!

მაესტრო - დიახ, უკან, თუ გინდა, რომ წინ წახვიდე. ყველა წინწასული შექსპირისკენ იგრეხს კისერს, როგორც ოქროს გალიაში დამწყვდეული მონა იხედება ხოლმე ცისკენ.

გამნათებელი - გახედავ გისოსს, ცას ჩამოგიჭრის.

მაესტრო - როგორც პურის ნაჭერს, როგორც ერთ ყლუპ წყალს, ისე ჩამოგიჭრის ოქროს გალია თავისუფლების ნაგლეჯს.

გარსი - ცას, ე.ი., თავისუფლებას.

მაესტრო - თავისუფლების ნაგლეჯს.

გარსი - „თავისუფლების ნაგლეჯი...“ თითქოს ტილო იყოს...

მაესტრო - აკი აგდია კიდეც ყველას კართან ტილოებად ჩვენი შინდისფერი დროშები.

გარსი - (მოულოდნელი, ჩუმი გაბრაზებით) დროშებს არ აგდებენ, მაესტრო, დროშები იხრებიან დროებით.

მაესტრო - ეგ იდეაში, წარმოსათქმელად, ელასტიკურობა რომ არ დაჰკარგოს სიტყვამ... თორემ ისე აგდია და ფეხითაც კარგად გადიან და გადმოდიან, წყლის გადაკეტვა-გადმოკეტვისა არ იყოს.

გარსი - სანამ დავიწყებდეთ, ერთი შეკითხვა მაქვს, მაესტრო.

მაესტრო - გისმენ, ცნობისმოყვარევ.

გარსი - რაღა მაინცდამაინც ქუჩიდან მოსული ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვყავს (პროფესიონალები დაილია?)

**მაესტრო** - შენ გინდა, თქვა, რას ვერჩი მსახიობებს ამ უმუშევრობის დროს, არა?

**გარსი** - დიახ, დაახლოებით ეგ უნდა მეკითხა.

**მაესტრო** - მე არაფერს, ხალხი ერჩის.

**გარსი** - ხალხს რა გაეგება მაგისი.

**მაესტრო** - ხალხს არ გაეგება, ხალხი გუმანით გრძნობს... მე კი გუმანი უფრო მჭირდება ახლა, ინსტინქტები, ჯასალი, ნამდვილი, შეურყვნელი, თუკი ინსტინქტიც გადაურჩა სადმე ჟამთა სიავეს შეურყვნელად. გარდა ამისა, მსახიობი პროფესიითაა უკვე დაღდასმული.

**გარსი** - ვერ მიგიხვდით, მაესტრო.

**მაესტრო** - იმდენი როლი აქვს ნათამაშევი, იმდენ ტყავშია გამძვრალი, იმდენის ცხოვრებაში ჩაყო ცხვირი, თავისაც ველარ გრძნობს, ველარ ხედავს. რასაც გინდა, იმას ამოკაწრავ ჯაყვის წვერით პროფესიონალიზმის გარქოვანებულ გულზე.

**გარსი** - (გაკვირვებული) თქვენ გინდათ თქვათ, რომ პროფსიონალიზმი ინსტინქტებს აჩლუნგებს?

**მაესტრო** - თუ პიროვნება არა ხარ, პროფესიონალიზმი საშიშია. სამართებელივითაა - ერთნაირად ჭრის და კვეთს ყველფერს. უბრძანებ და რასაც გინდა, გააკეთებინებ... მაგის მეტი რა მინახავს... როლში შეჭრილს საკუთარი პიროვნული ღირსებები თუ მრწამსი წყალივით გაგეპარება პეშვიდან... უბრძანებ და თავიდან მოკლავს ილიას, აკაკის... რომელ ტოტზეც ზის, იმ ტოტს გადაჭრის!

**გარსი** - მაგ პრინციპით, შესაძლოა, დამნაშავედაც კი იქცეს პროფესიონალი...

**მაესტრო** - ჩვეულებრივი პროფესიონალი კი არა, თვით გენიოსი პროფესიონალიც კი... წყალბადის ბომბის აღმომჩენ გენიოსს გულუბრყვილოდ სჯეროდა, კაცობრიობას სარგებელი მოვუტანეო, მაგრამ ასევე გულუბრყვილოდ დაავიწყდა, კაცობრიობის ბოროტი ნაწილი რისთვის გამოიყენებდა ამ ბომბს... ამის გამო კი არა ერთსა და ორ გენიოსს მოუკლავს თავი... (ეშმაკური ჩაღიმებით, თითქოს რაღაცას არ ამბობს ბოლომდე) ასე, რომ უნებლიე დანაშაულისგან არც მსახიობები არიან დაზღვეულები, მაგრამ ეს სხვა თემაა, მე სხვა მიზნები მამოძრავებს... ნიჭი მადლიაო, უთქვამთ. მე ერთსაც დავამატებდი, ნიჭი მახვილიცაა, თუ გულით არაა განათებული, თუ გულზე არაა ალესილი...

**გარსი** - გარდა ამისა, ცოტათი სნობებიც არიან, პოპულარობას დახარბებულები.

**მაესტრო** - ეს პროფესიული დაავადებაა...

**გარსი** - ჩემსავით ჩრდილში დგომა არ შეუძლიათ, სულ ხელისგულზე უნდათ ყოფნა.

**მაესტრო** - ამიტომაც დიდი დოზით აღმოჩნდნენ ჩართულები ღია ცის ქვეშ, პოლიტიკურ თეატრში...

**გარსი** - (დაფიქრებით) თეატრებს უჭირდათ მაშინ, მაესტრო.

**მაესტრო** - მაშინ და ახლა არ არსებობს! ნამდვილს ყველაფერს უჭირდა ყველა დროში, მით უფრო - თეატრს. ამ ფეხშეუდგამ დროშას, თავისუფლების პაწია მაკეტს, რომელსაც ყველა დროში თავისი ადათ-წესები აქვს. თავისი კანონი და სიმართლე უნათებს გზას. ეს ხელოვნების სიმართლეა, ხელოვნების ბუნება, კანონი. მხოლოდ ამ კანონს ემორჩილება ნიჭიერება, სწორედ ამ ლოგიკით ენაცვლება ერთმანეთს სვლები. ქუჩას თავისი კანონები აქვს, ცხოვრება თავისას ცდილობს კახპა ქალივით.

**გარსი** - (ფრთხილი შეხსენებით) მსახიობობა მართვადი პროცესიაა, მაესტრო.

**მაესტრო** - გეთანხმებით, ოღონდ თეატრში, ტაძარში, ტაძრის შიგნით, ესენი კი გარედან აღმოჩნდნენ მართულები. ხელოვნება მაღალი რანგის სიზუსტეა და ეს სიზუსტე ღალატს ვერ იტანს.

**გარსი** - (მწარედ) ღალატი? ისევ ღალატი?

**მაესტრო** - დიახ, ღალატი, სულერთია - გაცნობიერბული თუ ინტუიციის სიჩლუნგით ჩადენილი (მწარე სინანულით). ამათ კი რა ჩაიდინეს, სცენა მიატოვეს და ყველაზე ულმობელ თეატრში - ცხოვრებაში შეცვივდნენ (მცირე პაუზა) ერთბაშად გაშიშვლდნენ.

**გარსი** - (პათოსით) და ხალხმა იყვირა: მეფე შიშველია!..

**მაესტრო** - ხალხი ბავშვივით იოლად ყვირის, მაგრამ ბავშვივით იოლადვე შეიძლება მისი გაჩუმება... რაც უნდა პარადოქსად მოგეჩვენოს, ხალხს უყვარს, როცა მეფე შიშველია. ამიტომ მეფეს უფრო აპატიებს ხალხი სიშიშვლეს, ვიდრე მის ფერხთით გართხმულ მასხარას თავისი წოწოლა ქუდის მოხდას.

**გარსი** - თქვენი თქმით, მსახიობი და მასხარა ერთი და იგივეა.

**მაესტრო** - რაღაც დოზით ეგრეა. განა ორივეს ბეწვის ხიდზე არ უწევს გავლა?.. თუ ვინმეს არ აპატიებენ ჩავარდნას, ეს პირველ რიგში თოკზე გამავალ ჯამბაზს...

**გარსი** - წოწოლა ქუდიო, რა ეგეთი ჯადო დევს მაგ ქუდში?

**მაესტრო** - ნამუსის ქუდია ეგ ქუდი, ეს ნამუსი, ე.ი., ღვთის ხმა აიძულებს ჯამბაზს, მეფის მანკიერებები ამხილოს, ამხილოს მისი ქვეშევრდომების, ნაზირ-ვეზირების მსუნაგობა და დაუნდობლობა, მაგრამ ქუდივე იცავს, რადგან ეს ქუდი ხელოვნის ქუდია და ქუდივე აძლევს იმის გარანტს, რომ ეს მხოლოდ თამაშით ნათქვამი სიმართლეა, თამაშის დროს ნათქვამი სიმართლე.

**გარსი** - ე.ი., ხალხს უყვარს თამაშით ნათქვამი სიმართლე,

**მაესტრო** - ხალხი ჭკვიანია, ამიტომ გუმანითვე ხვდება, რომ ხელოვნება, თამაშით ნათქვამი სიმართლეა, სინათლეა, სიკეთეა, ჭირისუფლობაა. გაგდებული სიმართლის ხსოვნით მობრუნებაა, დროებითი მოჩვენებაა და ხილვაა ფარდააწეულ სამყაროში. ამიტომ უყვარს ეს ფარდა, ამიტომ ელოლიავება და გული ულივლივებს ამ ფარდის მიღმა დატეული სამყაროს ხილვის მოლოდინში. თეატრი მისი აუხდენელი ოცნებების ახდენაა, მისი ცოდვების მონელებაა, კათარზისი რომ ჰქვია სახელად.

**გარსი** - მგონი, მიგიხვდით, მაესტრო, მეფემ კვერთხს ხელი არ უნდა გაუშვას, დედოფალმა - გვირგვინს, მოსამართლემ კიდევ არ უნდა მოიხსნას თავისი მანტია.

**მაესტრო** - (აგრძელებს ერთგვარი რომანტიზმით) თეატრი მწუხარე ბინდებისა და რიჟრაჟების განათებაა, ნისლის გადაჭრა და გამოდარებაა.

**გარსი** - (დაფიქრებით, ოდნავ სევდით) ბერნარდას თავისი ბინდისფერი სიმართლე აქვს, ოთხკედელშუა გამოკეტილი და ძაძებშებურული, გრუშეს კიდევ თავისი ინსტინქტი, ყველაზე ძლიერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული დედის ინსტინქტი, რომლის ენერგიაც ამოძრავებს სამყაროს, წინ მიიწევს სიკეთისაკენ...

მაესტრო - (თავის ქნევით კმაყოფილებით ეთანხმება) ეგრე, გარსი, ამიტომ არც ერთი იმალება და არც მეორე, ორივე თეატრის (სცენის) ფიცარნაგზე შიშვლდება.

გარსი - შიშველ სიმართლეს დღეს მხოლოდ ხელოვნება ხდის ასატანს.

მაესტრო - ხელოვნების მადლი, გარსევან, ხელოვნების ნისლი.

გარსი - ეს რაღაცით ზიარებას ჩამოჰგავს, მაესტრო!

მაესტრო - და ვაი იმას, ვინც მის შებღალვას მოინდომებს.

გარსი - ალღომ უღალატათ, გარეთ რომ გაცვივდნენ (ხელოვნება რომ პოლიტიკაზე გაცვალეს...)

მაესტრო - ზოგს ალღომ, ზოგს ნერვებმა, ზოგს სულსწრაფობამ დახვია ხელი... მერე კიდევ გააჩნია, რას ქადაგებდნენ... ცოტანი იყვნენ მშვიდობისმოყვარენი.

გარსი - ამიტომაც გაიცრიცნენ, გაფერმკრთალდნენ, გაშიშვლდნენ...

მაესტრო - ფერმკრთალი სიშიშვლე - სწორედაც რომ ეგ დაემართათ.

გარსი - და ხალხმა არ აპატია გაფერმკრთალება.

მაესტრო - მაყურებელმა ზურგი აქცია, რადგან ყველაფერს პატიობს მაყურებელი, უნიჭობასაც კი, ოღონდ არა ინტიმის სიკვდილს. მათ მოკლეს ინტიმის ნდობა, კონტაქტი მაყურებელსა და მსახიობს შორის.

გარსი - რადგან როლები მიატოვეს, არა, მაესტრო... მიტოვებული როლები, მიტოვებული შვილები...

მაესტრო - ფარდაახდილი ხელოვნება, როგორც ფარდაახდილი საიდუმლო, ჰა, როგორია როლებმიტოვებული მსახიობი...

მაესტრო - ჟანგი არ უნდა მიიკარო, ცოცხალი და ბრწყინვალე უნდა მოკვდე სცენაზე.

გარსი - აუხდენელ ოცნებად დარჩე.

მაესტრო - სცენაზე უნდა დარჩე.

გარსი - ძნელი ყოფილა.

მაესტრო - ძნელი ყოფილა, მაგრამ ასეა.

გარსი - თქვენ არ ამბობდით, მაესტრო, ნაკადულები აუმღვრევლად მხოლოდ სიმღერებში კვდებიანო.

მაესტრო - მკაცრი ნათქვამია, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა.

გარსი - მაშ, ყველა იმედი გადაწურულია, ყველა გზა გადაჭრილი.

მაესტრო - ფარდა ჩამოიხა, ინტიმი მოკვდა, მე უძლური ვარ. (გადაშლის ხელებს)

გარსი - (სასოწარკვეთილი) მაშ, რიღასთვის ვემზადებით, მაესტრო, ვიღასთვის წამოვიწყეთ ეს ყველაფერი?

მაესტრო - სასოწარკვეთილთათვის, გირჩებით ასადუღებელი ერთი ფინჯანი ჩაისთვის, რომ გაყინულ ბავშვს სული მოვაბრუნებინოთ.

გარსი - მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

მაესტრო - ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს სიმაძღრისგან.

გარსი - მაშ, ჩემთვის ვემზადები, მაესტრო?

მაესტრო - შენთვისაც, ჩემთვისაც, მერე იმისთვის, სხვისთვის, ყველასთვის, ვისაც სამართალი შია და სწყურია; ვისაც ჯერ არ გაყინვია გული; ვისაც ჯერ არ გაწყვეტია შუბლის ძარღვი; ვისაც ჯერ არ დაჩლუნგებია მგრძნობელობა; ვისაც ჯერ არ გარქოვანებია გული; ვისაც ამ ჩალით გადახურულ ქვეყანაში უკანასკნელი სასოწარკვეთის ჟამსაც სჯერა, რომ უფლის თვალი ყველაფერს ხედავს; ვინც თავის თავში ჯერ არ ჩაახრჩო ბიჭი და გოგო; ვინც იცის გაყოფილი ლუკმის მადლი; ვინც ბაიასავით ყვითელ მათხოვარს ცხვირწინ არ მიუხურავს კარს...

გარსი - ეგეთები ცოტანი არიან, მაესტრო. უმრავლესობას სახლში ხუთი მანქანა უდგას, წამლის ფულზე რომ მიადგე, არა მაქვს, ისეთ წუწუნს დაიწყებს, გახვრეტილ ჯიბეში შაურიანს დაუწყებს ძებნას, მიცემა მოგინდება.

მაესტრო - მე შენ ფსიქოლოგი მგონიხარ, გარსი, არ იცი, ეგეთებს გროშს რომ ვერ გააგდებინებ... არ გაგიგონია, აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში... ეგენი ბნელები არიან, გარსი, ბნელები...

გარსი - რა სიბნელეა, მაესტრო!

მაესტრო - ბნელაო, არ დაიჯერო, დროს რომ აბრალებენ, უბრალოდ, იმდენის სული და გული დაბნელდა, რომ ჩამოაბნელეს ქვეყანა.

გარსი - მეც მანდა ვარ, მაესტრო.

მაესტრო - გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი! სიკეთე ყოველთვის ცოტა იყო და მაინც ჯაბნიდა ბოროტებას.

გარსი - ეეჰ... რაღაც აღარ მჯერა მაგ პოეტური აღმაფრენების.

მაესტრო - მაშ, შენ შოთა აღმაფრენების პოეტი გგონია, შვილოსა. მაგას რომ დაღმაფრენები და უფსკრულები უნახავს, ედგარ პოსაც არ დასიზმრებია, ოღონდ იერემიას გოდებას მზე დაამხო თავზე და...

გარსი - (აწყვეტინებს) ქაჯებს აჯობა, მაესტრო, მაგიტომ თუ ეძახის ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსანს“ მეორე სახარებას. ყველა ბოროტი და უგულო ქაჯია, მაესტრო, ქაჯებით აივსო ქვეყანა.

მაესტრო - რას იზამ, დრო დადგა ასეთი; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები უნდა დავაარსოთ ამ ფერარებისა და მერსედესების ქვეყანაში, იქნება, დროდადრო, იშვიათად მაინც სადმე, მივარდნილში, თვალსმიფარებულში მაინც ჭამოს სამართალმა პური.

გარსი - სამართალი! რა იშვიათი სტუმარია იგი, უკანასკნელად, აღარც კი მახსოვს, როდის გავუშალეთ სუფრა.

მაესტრო - სამართალმა თავი უნდა მოგანატროს, რომ მისი ფასი გაიგო.

გარსი - ოღონდ იმდენი ხნით არ უნდა დაიგვიანოს, რომ მოლოდინის უნარი დაჰკარგო და სასოწარიკვეთო.

მაესტრო - (დააკვირდება) სასოწარკვეთილი ხარ, გარსი, ეს რა დაგმართნია, ბიჯო! ნუ გეში! სასოწარკვეთა არც ისე საშიშია, ჯერ კიდევ არსებობს ეკლის ამოღების შანსი.

(გარსი თავჩაქინდრული უსმენს)

მაესტრო - სიცოცხლე უფლის საჩუქარია, ჩემო სასოწარკვეთილო, ჰოდა, ისე მაინც უნდა გინდოდეს, რომ აიკვიატო - სიცოცხლე მინდა, სიცოცხლე მინდა...

გარსი - ცხოვრება, მაესტრო, ცხოვრება ვისი საჩუქარია?

მაესტრო - ცხოვრებას თვითონ კაცი ჩუქნის თავის თავს, უფრო ზუსტად, ცხოვრების სტილს.

გარსი - (დაფიქრებით) სიცოცხლე საიდუმლოა.

მაესტრო - ცხოვრებაც, გარსი, ცხოვრება საიდუმლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არჩევანიც, როგორ იცხოვრებ.

**გარსი** - ესე იგი, მაესტრო უარყოფს ბედისწერას.

**მაესტრო** - ნაწილობრივ.

**გარსი** - (დაკვირვებით) ნაწილობრივ?

**მაესტრო** - მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არჩევანს ბედისწერას ეძახიან.

**გარსი** - ის შემთხვევა რომელია, როცა ბედისწერა თქვენს ნდობას იმსახურებს, მაესტრო?

**მაესტრო** - როცა არ ირჩევენ დედას, სამშობლოს, როცა ორივე ბედისწერისგან მოგესაჯა...

**გარსი** - სიყვარულს რა ვუყოთ, სიყვარულიც ხომ ბედისწერაა.

**მაესტრო** - შენ გინდოდა, გეკითხა, მედეას რა ვუყოთ, ამ კოლხ ასულს, თვით სამშობლო რომ ანაცვალა სიყვარულს (იაზონს).

**გარსი** - დიდებული არგუმენტია ბედისწერის სასარგებლოდ.

**მაესტრო** - ჯერ ერთი, მე ესქილეს არ ვენდობი; ახალ მედეას ველოდები. მერე კიდევ, ეგრეც რომ იყოს, ჰო, სიყვარული ბედისწერასა ჰგავს, ამ აღმოჩენით დამბლადაცემულებს ამიტომაც უჩლუნგდებათ მისი გამკლავების უნარი...

**გარსი** - ე.ი. ბედისწერის გადალახვაც შეიძლება.

**მაესტრო** - რაღა თქმა უნდა, ბედისწერის ღირსეული გამკლავება! ბოლოსდაბოლოს სულ ესაა მთელი შექსპირი - როგორ უმკლავდები სიძულვილს, სიყვარულს...

**გარსი** - (ნასიამოვნები) რა კარგია თქვენთან, მაესტრო, თქვენს გვერდით ღირსების გრძნობა მემატება.

**მაესტრო** - (სიცილით) ოღონდ ორდენი არ მომთხოვო და გრძნობები - რამდენიც გინდა...

**გარსი** - არა, მაესტრო, არ გეხუმრებით, მართალს ვამბობ, რაღაცნაირად ბედნიერების იმპულსები მიწუებს თქვენს გვერდით ჩხვლეტას.

**მაესტრო** - ეგ იმიტომ, რომ სხვებზე დავიწყეთ ფიქრი: „ცოტათი გვიან ჩააქრეთ შუქი, ცოტათი მეტხანს იცოცხლონ ღამის პეპლებმა...“ ბედნიერება მაშინ იწყება, გარსი, როცა ადამიანი საკუთარ თავზე ფიქრს წყვეტ... განა ყველა თავდავიწყება ბედნიერებასთან არ იყო წილნაყარი...

**გარსი** - მაგრამ თქვენგან ისიც ვისწავლე, რომ „ბედნიერება ხანმოკლე დღესასწაულია“.

**მაესტრო** - სწორია, ხანმოკლეა... (თითქოს რაღაცის თქმას აპირებს) (ამ დროს კარზე აკაკუნებენ მძლავრად, პანიკურად, ერთგვარი სასოწარკვეთითაც)

**გარსი** - აი, მოფრინდნენ სასოწარკვეთილები.

**მაესტრო** - ჩვენი ქალაქის ღამის პეპლები... გარსი, (პაუზა, თითქოს რაღაცის გამხელას აპირებს)

**გარსი** - დიახ, მაესტრო!

**მაესტრო** - ცოტა ხნით გვიან ჩააქრე შუქი.

**გარსი** - ბატონი ბრძანდებით, როცა მეტყვით, მაშინ გავანათებ.

**მაესტრო** - (სევდიანად) გარსი, სანამ გავალ, ერთი რამ მინდა, გაგიმხილო. (გარსი ყურადღებად იქცევა)

**გარსი** - გისმენთ, მაესტრო.

**მაესტრო** - (უთითებს კარისკენ) ეგენი იმიტომ ავირჩიე, რომ ცურვა ვასწავლო, თამაში...

**გარსი** - (იმეორებს მექანიკურად) თამაში...

**მაესტრო** - თანაც ნაკლები შანსია, რომ გაგვცენ.
(კარზე აბრახუნებენ მძლავრად)

**მაესტრო** - ეგენი გადარჩენისთვის მოვიდნენ და არა სათამაშოდ... მე კი ჩემი მიზნები მაქვს, ხომ გახსოვს.

**გარსი** - (ღიმილით) მახსოვს, მაესტრო, მახსოვს, ნავერდალი, კუდიანი კომეტა...

**მაესტრო** - ჰო, ეგრეა, ოღონდ არავინ უნდა მიხვდეს ნამდვილ მიზანს. (კულისებიდან გამოაქვს ხალათი, იხედება ხალათზე) ხალათი ფსიქიატრების, ეს ჩვენი საიდუმლოა, იცოდე...
(ბრახუნი და ყვირილი „გაგვიღეთ“ ყურში უჩურჩულებს)

**მაესტრო** - აბა, შენ იცი, ადი ახლა ზემოთ და გაისუსე, ეს ჩვენი საიდუმლო კარგად შეინახე... როცა განიშნებ გაანათე.

**გარსი** - (გამნათებელი აშკარად ღელავს, დაფაცურდება და ხელს წამოავლებს სხვადასხვა ფერის ტიტრებს) მაესტრო! ფერები თქვენ მიკარნახეთ, იცოდეთ! მე არ ვიცი, რის დადგმას აპირებთ, როგორ, რანაირად, რა ფორმით, მე ხომ პიესაც არ წამიკითხავს.

**მაესტრო** - (ეშმაკური ღიმილით) - მაშ მენდობი.

**გარსი** - (ასევე ეშმაკური ღიმილით) მე ხომ მთავარი ვიცი, დანარჩენში მხოლოდ თქვენ ერთს, მაესტრო, მხოლოდ თქვენ ერთს...
(უფრო და უფრო აბრახუნებენ, ყვირიან, გამნათებელი ბნელში უჩიანარდება, მაესტრო უძახის „ახლავე, მოვდივარ, მოვდივარ“. იგრძნობა, რომ ღელავს, კართან მისული ოდნავ შეყოვნდება, პირჯვარს იწერს, მერე კარის გაღებამდე რამდენიმე წამით ადრე ეკითხება)

**მაესტრო** - პაროლი?

(გარედან ყვირილით): **სასოწარკვეთილები, „სასოწარკვეთილთა თეატრი“** (იღება კარი, ნათდება, შემოდიან...)

## (ორ სურათად)

## სურათი I

●●●

**მაესტრო** - რამდენი ყოფილხართ, ხალხნო!

**მასიდან** - ათასი ამდენი გარეთ დავტოვეთ.

**მაესტრო** - გაითვალისწინეთ, ყველას არ შეგხვდებათ მთავარი როლი, სულ რამდენიმეს...

**მასიდან** - არცა გვაქვს პრეტენზია, თქვენ ხომ მასები გჭირდებათ, მაესტრო, მუქთა მუშახელი.

**მასიდან** - (შეწუხებული) - აქაც მუქთად, კაცო?!

**მაესტრო** - (ტაშისკვრით მოითხოვს ყურადღებას) მე რომ მასები მჭირდებოდეს, შინ არ მოგიწვევდით პაციენტებივით. სტადიონებზე შეგყრიდით ანდა იპოდრომზე, მით უფრო, რომ მაგისი მწარე გამოცდილება გაქვთ.

**ნიჰილისტი** - ვისთვის-მწარე, ვისთვის - ტკბილი.

**ქალი** - რა არის მწარე გამოცდილება, თუ არა სიტკბო, რომელიც შხამით გაამწარეს!..

**ნიჰილისტი** - ტკაპ, ერთი წვეთი შხამისა და საკმარისია - გამწარდა ცხოვრება...

**მაესტრო** - რამდენადაც მივხვდი, ტკბილად უნდა გახსოვდეს 9 წლის წინანდელი აღმაფრენები.

**ნიჰილისტი** - ანუ პოსტსაბჭოური სივრციდან გაჭრის მცდელობა, მერცხალო!

**ქალი** - (გულიანად) ტკბილად და სამარადჟამოდ.

**ნიჰილისტი** - (უახლოვდება) დაღმაფრენებზე რა აზრისა ხარ, კარმენ! ჩაშვებაზე. ალუბლის მარცვალი პატარძლის გულისპირს მისრესილი (ქალის მკერდს თითქოს ალუბლის მარცვალი მიაჭყლიტა ხელისგულით) (მიუბრუნდება მაესტროს) აი, ესაა მწარე გამოცდილება. (ქალის თეთრი გულისპირი მართლაც დასვრილია წითლად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მასიდან** - მაშინ ის-ის იყო ვიჯერებდით, ხალხი რომ ვიყავით.

**მაესტრო** - დღეს აღარ გჯერათ?

**მასიდან** - დღეს ავადა ვართ.

**მასიდან** - ეს რომ გვჯეროდეს, აქ რა მოგვიყვანდა.

**მაესტრო** - და მაინც მოხვედით.

**მასიდან** - ბარემ ესეც ვცადოთ.

**მასიდან** - ცდა ბედის მონახევრეა.

**მასიდან** - ბარემ ერთხელ კიდევ გაგვიცრუვდეს იმედები.

**ნიჰილისტი** - ამას ყველაფერს მაზოხიზმის სურნელი ასდის, მაესტრო!

**ქალი** - (თითქოს არ ეთანხმება, მაესტროს მისამართით) არ გაგიგიათ, მაესტრო, მომაკვდავი ხავსს ეჭიდებაო.

**მაესტრო** - რამდენადაც მივხვდი, თქვენ მომაკვდავები ხართ, მე კიდევ თქვენი ხავსი.

**მასა** - აბრის სათაურიც ხომ ამას გულისხმობს: „სასოწარკვეთილთა თეატრი" - ფსიქოთერაპიის კურსები.

**მასა** - ჰოდა, ჩვენა ვართ სასოწარკვეთილები, მშიერნი, უპოვარნი. (რამდენიმე კაცი ჯგუფურად, რიტმულად ხელგაშლილი მიიწევს წინ) - „подайте бедному, подайте бедному". (იმდენად ორგანიზებულად და ბუნებრივად გამოუდით ეს სცენა, რომ დამფრთხალი მაესტრო უკან-უკან იხევს)

**ნიჰილისტი** - ასეა, მაშ, ქუჩის კუთხეში კენტად მდგარი უპოვარი ლირიკას აღძრავს, გულს აგიჩუყებს, ასი კიდევ, ერთად ხელგაწვდილი, უკვე სისხლს ყინავს, შიშისმგვრელია...

**მაესტრო** - (ხელით აჩერებს ბრბოს, უკან დაიწიეთო ანიშნებს) უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ხავსისფერი ქურთუკი კი მაცვია, მაგრამ მგრძნობელობა ჰაბუკისა მაქვს. ასე, რომ არც მთლად უნუგეშოდაა თქვენი საქმე, ხავსი ნიადაგს ტკიპასავით მკვიდრადაა აკრული...

**მასა** - მაშ, გაუმარჯოს ხავსს!

**ნიჰილისტი** - (დაცინვით) გაუმარჯოს ჩვენს ხავსისფერ მაესტროს, რომელიც ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე.

**ქალი** - სულ ახლახან, ჩვენს მიწას გაუმარჯოსო, ვიძახდით!

**მასიდან** - კორექტივა უნდა შევიტანოთ მაგ ლოზუნგში...

**კაცი** - (მაესტროს) სტილისტად მუშაობდა ოფიციალურ გაზეთში.

**მაესტრო** - (შინაურულად ამ კაცს) ოფიციალურს ვერაფერს ვიტან, მით უფრო პრესას.

**სტილისტი** - ხავსს ეროვნება არ გააჩნია, ამიტომაც ნაცვალსახელების ხმარება არაა საჭირო... რას ნიშნავს ჩვენი ხავსი, ჩვენი მიწა, ჩვენი ზღვა... ხავსი ხავსია აქაც და იქაც, ოკეანეს გადაღმა.

**მასიდან** - ეგ ამერიკის აგენტია, ვიღაცაა...

**მასიდან** - (დაცინვით, სტილისტის მისამართით) მაშ, გაუმარჯოს ხალხს, რომელსაც ეროვნება არ გააჩია!

**სტილისტი** - ხალხს კი არა, ხავსს, ამხანაგო.

**ქალი** - რაზე იქნება ჩვენი სპექტაკლი, მაესტრო?

**ნიჰილისტი** - ხავსისფერია სოფელი, უფრო და უფრო ხავსდება...

**ქალი** - (მოულოდნელად მკვეთრად მიმართავს ნიჰილისტს) რამდენადაც მახსოვს, ღვინის სარდაფს განაგებდით სოლოლაკში, ვერცხლის ქუჩაზე.

**ნიჰილისტი** - დიახ, ოქრო, კარგად გახსოვს. ჩემი პერსონა ემსხვერპლა კიდეც ბებერ ბახუსს.

**ქალი** - (დანანებით) გალოთდით?

**ნიჰილისტი** - თქვენ მსხვერპლი მხოლოდ ეგრე გესმით? აი, შეამოწმეთ, არაფერი მაგდაგვარი. (შლის წინ ორივე ხელს, ვითომ არ კანკალებსო) უბრალოდ, გავნიჰილისტდი.

**მასიდან** - სახეზეა, არ უნდა ამას ამდენი კვლევა.

**ნიჰილისტი** - გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის... ბრძანა სპინოზამ.

**ქალი** - (გაკვირვებული) ეგ რუსთაველის სიტყვებია.

**ნიჰილისტი** - ე.ი., რუსთაველს მოჰპარა ბარუხმა, ჩვენსას ხომ ყველაფერს იპარავენ, სულზე ტკბილო!

**მასიდან** - ისევ ჩვენიანი აჩუქებდა, მიასაღებდა თავისად.

**მასიდან** - ამას თუ ვუყურეთ, აღარ გათავდება, მაესტრო, ჩვენ მოქმედება გვწყურია.

**ნიჰილისტი** - მოქმედება თუ დასაქმება?

**მასიდან** - მოქმედება, დასაქმება, ეგ სულერთია... რაზეა ჩვენი სპექტაკლი, მაესტრო?

**მაესტრო** - რაზეა და თქვენზე.

**ქალი** - (გაწბილებული) ჩვენზე?

**კაცი** - მოიცა, მოიცა, როგორ თუ „თქვენზე?"

**მასიდან** -(უკმაყოფილოდ) ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ჩვენ ჩვენა ვართ.

**მაესტრო** - ჰოდა, ძალიან კარგები ხართ, მეგობრებო.

**მასა** - (გაღიზიანებული) ძალიან კარგები, მეგობრებო, ძალიან მომთმენები, საყვარლები... ეგ უკვე იყო, უკვე გავიარეთ.

**ნიჰილისტი** - (აღიზიანებს) ძალიან ლამაზები, კეთილები და მორცხვები...

**მასა** - ეგ საკენკი სხვებს დაუყარეთ...

**მაესტრო** - (მკაცრი გადაწყვეტილებით) სპექტაკლი იქნება თქვენზე, თქვენ იქნებით ავტორებიც, პაციენტებიც, მონაწილენიც... ასე, რომ მე თქვენ უფრო მაინტერესებთ, ვიდრე რომელიმე პიესა.

**მასა** - ამას მართლა პაციენტები ვგონივართ.

**ქალი** - (თხოვნით) კი, მაგრამ რატომ მაინდამაინც ჩვენ, მაესტრო, დაილია კლასიკა? რამდენი შესანიშნავი პიესის გაცოცხლება შეიძლება...

**მაესტრო** - კლასიკას მთელი ცხოვრება ვდგამდი, მორჩა. თქვენ მაგის ჯანი აღარ შეგწევთ და აღარც მე ვარ კლასიკის გუნებაზე.

**მასა** - რატომ მაინცდამაინც კლასიკა, რაიმე თანამედროვეებიდან...

**მაესტრო** - თანამედროვეებს აღარ ვენდობი.

**ნიჰილისტი** - (განუმარტავთ) სასოწარკვეთილება აკლიათ.

**მაესტრო** - დიახ, სარკაზმი სჭამს, ნიჰილიზმი თქვენსავით (მიუბრუნდება მოსულებს) თანამედროვეებიდან თქვენს სათქმელს თქვენზე უკეთ ვერავინ იტყვის.

**ქალი** - მაშ, რისთვის არსებობენ მწერლები და დრამატურგები?!

**მაესტრო** - ისინი თავიანთ სათქმელს ამბობენ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენთან.

**ნიჰილისტი** - (საჩვენებელი თითით რეჟისორის მიმართულებით და დანარჩენების ჩათვლით წრეს შემოხაზავს) თქვენც ჩვენთან ერთად, მაესტრო?!

**მაესტრო** - (მცირე პაუზის შემდეგ გაბრაზებით) მე თქვენზე უფრო ცუდადა ვარ. (ასევე მოულოდნელად აიკრიფება) ვისაც არ გაწყობთ, დროს ნუ დაკარგავთ, მიბრძანდით!

**მასიდან** - კარს უკან ჩვენნაირებია, მილიონობით.

**მაესტრო** - ჰოდა, შეუერთდით, გაუჩინარდით, აითქვიფეთ, აიზილეთ ერთმანეთში და ველარასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს აღმოაჩენთ, რომ რაღაცა მართლა შეგეძლოთ თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად, რაღაცა მართლა გქონდათ სათქმელი და რაღაცის შეცვლას აპირებდით...

მასიდან - ერთად რაც შეგვეძლო, ეს უკვე კარგად ვნახეთ!

მასიდან - ცალ-ცალკე რომ ვიბრიდებით, ესეც ფაქტია.

მასიდან - ცალ-ცალკე აღარ, ერთად ვიბრიდებით, ძმებო!

მასიდან - რეჟისორი ხომ მაგისთვისაა, გაგვაერთიანოს, გეზი გვიჩვენოს... მაესტრო - ეგ მირაჟია, კაცი არასოდეს აერთიანებს, აერთიანებს მხოლოდ იდეა, რომელიც კაცად იქცა. თქვენ გჯერათ კაცად ქცეული იდეის?

ნიჰილისტი - (სარკასტულად) ჩვენ გვჯერა იდეადქცეული კაცის.

მასა - ხალხი ცხვარია, მაესტრო, მას მწყემსი სჭირდება. ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა.

ნიჰილისტი - მწყემსი კეთილი... ბიბლიური ჭეშმარიტება.

მაესტრო - (თითქოს აღიზიანებს) ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაბრაზდა ცხარიაო - ცხოვრებაც სავსეა ამ სიბრძნით.

ნიჰილისტი - ეგეც მირაჟია, მაესტრო, ძველი მოტივი ძველი სიმღერიდან. აღარ ცხარდება, ბატონო, ეს ხალხი, ბიჯოს, ვეღარ გაიგო ამ ხალხმა!

მაესტრო - მე არ მჭირდება გაცხარებული ხალხი, არც თეატრს სჭირდება.

ქალი - აბა, რა სჭირდება, მაესტრო, თეატრს?

მაესტრო - ინტიმი! აი, რა ენატრება თეატრს!

მასა - სექსი?

მაესტრო - ხედავთ, როგორ აღრეულია ცნებები, ინტიმს პირდაპირ სექსს უკავშირებენ.

ნიჰილისტი - არის მაგაში ჭეშმარიტების მარცვალი.

მასიდან - რა გაგიკვირდათ, მაესტრო, რა, პირდაპირ მაგაზე არ მუშაობს მთელი TV?

მაესტრო - TV და რეიდიო არ გვაინტერესებს, ჩვენ თეატრალები ვართ.

მასიდან - ინტიმი მსახიობებს შორის?

მაესტრო ინტიმი მაყურებელსა და მსახიობს შორის.

ნიჰილისტი - (მაღალფარდოვნად) თქვენ ნდობაზე ლაპარაკობთ, მაესტრო,

მაესტრო - დიახ, ურთიერთგაგებაზე.

ქალი - ნდობას რა აჩენს, მაესტრო?

მაესტრო - ნდობას გულწრფელობა აჩენს, გულწრფელობა კიდევ - ინტიმს.

ქალი - (დაფიქრებით) მაშ, ინტიმს გულწრფელობა აჩენს.

მაესტრო - მხოლოდ გულწრფელობა, სხვა ყოველივე ამაო გარჯაა. თეატრი ქალისა და კაცის ინტიმივითაა - ორმხრივი სიყვარულია მაყურებლისა და მსახიობის.

ნიჰილისტი - და სიყვარულის თამაში, ცეცხლივით აკრძალულია. (სახიფათოა) (აფრთხილებს მაესტროს) გულწრფელობა საშიში მომენტია, მაესტრო!

მაესტრო - გააჩნია - სად. პოლიტიკურ წრეებში - გეთანხმებით, თეატრში შვებაა, გადარჩენაა, ფსიქოთერაპიის სეანსია.

ნიჰილისტი - გულწრფელობა საშიში მომენტია. ეგ სიტყვა რა ხანია ამოვარდა ცხოვრებიდან (თან მიანიშნებს, როგორ იშლებიან ნელ-ნელა მოსულები, ნაწილი უკვე კარისკენ მიემართება).

ქალი - (თითქოს ეხმარება მაესტროს) ეკლესიას ხალხი მიაწყდა.

ნიჰილისტი - ნაღდ აღსარებაზე კი ასიდან ათი გავიდა.

ქალი - რატომ მარტო ათი, მე მინახავს რიგები.

ნიჰილისტი - (ჯიუტად განაგრძობს) იმ ათიდან ცხრა გაიპრანჭა, ასეთი ვარ და ისეთი ვარო, ყველა დამნაშავეა ჩემთან და მეც ცდუნებებს ვეღარ ვძლიეო. (გადიან და გადიან მოსულები, რამდენიმე ფეხს ითრევს)

მაესტრო - ზოგს ჰგონია, რომ მათი აღსარება ღმერთს უნდა, დიდი პატივი დასდო უფალს, თუ რაიმე წაიპუტუნა თავწახრილმა.

ქალი - აღსარება თვითონ ადამიანს სჭირდება და შვებას ჰგვრის.

ნიჰილისტი - და მაინც საშიში მომენტია-თქო, მითქვამს. (ანიშნებს წამსვლელებზე).

მაესტრო - ვინც წასასვლელია, წავა კიდეც, სასოწარკვეთილები დარჩებიან და, რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი, ძალიან გაგვიგრძელდა გაცნობის ცერემონიალი. ახლა სიღრმეში ჩასვლაა საჭირო, მათი გაშუქება, თვალებში ჩახედვა.

ნიჰილისტი - სულში ფათური, მაესტრო, სულში ფათური გამოგრჩათ.

(ბოლო ორი კაციც გავიდა, აღარავინ იწევს კარისკენ, მაესტრო მიდის, ურდულის გადაკეტვას აპირებს, თან ლაპარაკობს).

მაესტრო - მგონი, ყველაფერი გათავდა. ვინც წასასვლელი იყო წავიდა, ვინც დასარჩენი - დარჩა.

ნიჰილისტი - დარჩნენ უკიდურესად სასოწარკვეთილები.

მაესტორო - (სანამ საბოლოოდ გადარაზავდეს მიმართავს ნიჰილისტს) თქვენ რაღას აპირებთ, დრო აღარ ითმენს...

ნიჰილისტი - მოწვეულის ან დამკვირვებლის სტატუსს ველოდები, მოწყალეო ხელმწიფევ.

მაესტრო - ჩემს თეატრს ცენზორი არ სჭირდება, თუ რჩებით - მხოლოდ მოქმედებაში. დროზე გადაწყვიტეთ!

ნიჰილისტი - ცნობისმოყვარეობის ჭია მღრღნის.

მაესტრო - რა იმას ნიშნავს, რომ ვერ შეგველევით... გამოგიტყდებით, ყველაზე რთული პაციენტი იქნებით.

ნიჰილისტი - ძალიან გვიან ავიდგი ფეხი, ლაპარაკიც გვიან დავიწყე...

მაესტრო - თქვენ გინდათ თქვათ, რომ პირდაპირ ნიჰილისტად მოევლინეთ ქვეყნიერებას?

ნიჰილისტი - რა მეჩქარებოდა ნაბიჯის გადადგმა, მაინც არსად იყო წასასვლელი.

მაესტრო - არც ლაპარაკი გეჩქარებოდათ?

ნიჰილისტი - არც არაფერი მქონდა სათქმელი.

მაესტრო - სათქმელს ცხოვრება აჩენს.

ნიჰილისტი - სათქმელს ცხოვრება კლავს, მაესტრო, და ეს თქვენ ჩემზე უკარგად იცით...

მაესტრო - მე მოველოდი, რომ თქვენ უფრო არტისტულად იტყოდით, გაშლიდით ხელებს და - ყველაფერი უკვე ნათქვამიაო - ნიშნს მომიგებდით.

ნიჰილისტი - ყველაფერი მართლაც უკვე ნათქვამია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც არავის ესმის, სულ თავიდან და თავიდან გვიხდება გამეორებაო - წუწუნებენ ოპტიმისტები. მე ოპტიმისტი არა ვარ, მაესტრო...

მაესტრო - წუწუნის რა მოგახსენოთ, მთავარია, განმეორების სურვილი არ დაკარგოს კაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჰილისტი - მერე მაგითი რა გამოდის ვითომ, ეგ ხომ წრეში ტრიალია. მე არც ციყვი ვარ, მაესტრო!

მაესტრო - „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...“ ამაზე რაღას ბრძანებთ?

ნიჰილისტი - ეგ განწირულთა სულისკვეთებაა, მოვალეობის გრძნობით დაღდასმული, მე არც დაღდასმული მინდა ვიყო.

მაესტრო - ეს განწირულთა სულისკვეთება ღირსების გრძნობას უნარჩუნებს კაცს.

ნიჰილისტი - მით უარესი ამ კაცისთვის, ცრუ ილუზიებით რომ აბრუებს სხვებს... ჩემს დროშაზე სხვა სიუტყვებია: „მე არ მაქვს სინდისი, მე მაქვს მხოლოდ ნერვები“.

მაესტრო - აკუტაგავა რიუნოსკე. მაგ ფორმულაში მთელი მეოცე საუკუნეა, ნევრასტენიით დაავადებული. და მაინც, პოეტის ნათქვამია იგი. მხოლოდ პოეტებს აწუხებთ, შიშველი ნერვებით შეეხონ სამყაროს. ეს საკმაოდ მტკივნეულია.

ნიჰილისტი - საუკუნისა რა მოგახსენოთ, ჭკვიანი იაპონელი კი ნამდვილად სჩანს. რა თავისუფალი უნდა იყოს კაცი, რომ თქვას: „მე არ მაქვს სინდისი...“

მაესტრო - (აწყვეტინებს) და რა უბედური, რომ აღიაროს, მე მაქვს მხოლოდ ნერვები.

ნიჰილისტი - (ტკბობით) რა ქინძად უნდა გიღირდეს საზოგადოებრივი აზრი, რომ სინდისზე თქვა უარი.

მაესტრო - საზოგადოებასაც გააჩნია, მაგრამ, ნიცშესი არ იყოს, აკუტაგავა საზოგადოებას კი არა, პირდაპირ მამაზეციერს იწვევს დუელში. ამიტომაც ცუდადაა უკვე, აწუხებს თავისი აწეწილი ნერვები და, საერთოდაც, ეგ სასოწარკვეთილი კაცის გმინვაა, დროშაზე წასაწერად არ გამოდგება.

ნიჰილისტი - ღმერთი მოკვდა, ყველაფერი ნებადართულია!

მაესტრო - ღმერთი არასოდეს კვდება, ღმერთმა, დიდი-დიდი, თვალები მილულოს, უკეთესად რომ დაგვინახოს.

ნიჰილისტი - (ეჭვიანად) იქნებ, მართლა მოკვდა ღმერთი. განა საუკუნე ამას არ გვაგრძნობინებს?

მაესტრო - მაგ აბსურდს არა ერთი და ორი გაუბრიყვებია. ეგ მარადიული აბსურდია, რომელსაც ყველა საუკუნე თავისი სტილისტიკით ღებავს, მაგრამ ჭრილობა თავს ვერ მალავს. გამუდმებით სდის სისხლი.

ნიჰილისტი - (ოდნავ ირონიულად) რამდენადაც შევამჩნიე, მაესტრო მარადიულ ღირებულებებზეა ორიენტირებული.

მაესტრო - ვცდილობ, დროს არ ავყვე, რომ არ დავბერდე.

ნიჰილისტი - კარგი მცდელობაა, ნამდვილი ხელოვნების საკადრისი, თორემ ამ ყოფითმა პრობლემებმა, კლასობრივმა ბრძოლამ, სოციალურად სველმა წერტილებამა, მოშლილმა ონკანებმა და ღია შუშაბანდებმა კანალიზაციის სუნი დააყენეს თეატრში.

მაესტრო - მგრძნობელობას გააჩნია, წარმოსახვის უნარს, ანუ ფანტაზიას. მოშლილი ონკანი ზოგისთვის გველეშაპია და ზოგისთვის სოციალური სიღატაკე, ზოგიერთთათვის კიდევ საკონცენტრაციო ბანაკებში ფსიქოტრონული ზემოქმედების ერთ-ერთი სახეობა.

ნიჰილისტი - მაგრამ ფანტაზიის უნარიც რომ დაიშრიტა, მაესტრო, ყველაფერს რომ თავისი სახელი ჰქვია?!

ქალი - (სრულიად მოულოდნელად) ფანტაზია შეშლილების მონაპოვარია, (მაესტრო გაოცებული იმეორებს):

მაესტრო - „ფანტაზია შეშლილების მონაპოვარია“! შესანიშნავია! ფანტასტიკურია!

ქალი - მაესტრო, თქვენ ნელ-ნელა გავიწყდებით.

კაცი - ჩვენ გიცდით, მაესტრო.

ნიჰილისტი - როგორც თიხა უცდის შემოქმედს.

ქალი - ჩვენ გელოდებით!

ნიჰილისტი - როგორც მოსეს ელოდნენ ეგვიპტეში!

მაესტრო - ეშმაკსაც დავიწყებიხართ.

ნიჰილისტი - და მიუდგა იგი თიხას თავისას.

მაესტრო - დიახ, თიხას მიწას არა თიხას, თიხა უფრო ბიბლიურად ჟღერს.

ნიჰილისტი - მიწა ხარ და მიწად იქცევიო?..

მაესტრო - ეგ ხალხური სიბრძნის ნაყოფია, ზეციური სიბრძნე კიდევ, გარდაიცვალეო, გვეუბნება - არ მომკვდარხარ, ფერი იცვალეო...

ნიჰილისტი - ჰო, მდაბიოსავით, ცუდად გაზრდილივით არ ილანძღება; მოკვდი, ჩაძაღლდიო არ გეუბნება... (პათეტიკურად) თეატრი ხიდია მიწასა და ზეცას შუა და მისი მისიაა, ამ ხიდზე გამვლელებს შეახსენოს, რომ ისინი ადამიანები არიან.

მაესტრო - ამ ნიჰილისტს კარგი რაღაცები ახსოვს. (კმაყოფილებით)

ნიჰილისტი - ნიჰილიზმი გამორიცხავს ხსოვნას. ნიჰილისტმა ყველაფერი იცის, ყველაფერი თავისი თვალით ნახა.

მაესტრო - დიახ, ყველაფერი იცის, ყველაფერზე პასუხი აქვს მზად და, ცოტა არ იყოს, სწორედ მაგითაა მოსაწყენი.

ნიჰილისტი - მოსაწყენია ეს ყველაფერი, მაგრამ რას იზამ... ფაქტია, რეალობაა. თქვენ ხომ პოლიტიკოსი არა ხართ, თქვენ მაინც უნდა გაუსწოროთ რეალობას თვალი, რომ ადამიანებს მიეხმაროთ. (ირონიით)

ქალი - (მუდარით) მაესტრო, გელოდებით.

კაცი - ჩვენა ვართ თქვენი ერთადერთი რეალობა, მაესტრო.

II კაცი - მე მინდა, რომ სადღაც იყოს სიმართლე, სადღაც სუნთქვა შეიძლებოდეს.

მაესტრო - აი, ჩემი ერთადერთი რეალობა, მაყურებელი. ნამდვილი, სასოწარკვეთილი, რომელიც თეატრში მოვიდა...

ნიჰილისტი - და რომელსაც თქვენ უბიწობას, ანუ გულუბრყვილობას წაართმევთ, მოთამაშედ აქცევთ და გარყვნით...

ქალი - (მაესტროს) გემუდარებით, ყურს ნუ უგდებთ!

ნიჰილისტი - (უკნიდან მიეპარება ქალს, ორივე მკლავში ხელს წაავლებს და წინ გამოაგდებს) აი, თუნდაც ამას, სასოწარკვეთის დიადემა ეკლის გვირგვინივით რომ ადგას თავზე. (თავისკენ უხეშად მიაბრუნებს) რა იყო ძალიან იჩხვლიტებიან, გაუსაძლისი გახდა არა და ნარკოზის მიღება გადაწყვიტე?

ქალი - (შეძრწუნებული) მაესტრო!

ნიჰილისტი - რა? მაესტრო! მაესტრო! რა კნავილი აგიტყდა. ეგ ჩვენი მაესტროც ადამიანია, ღმერთი კი არაა, რომ მართლა გიშველოს; დიდიდიდი, დაპირებებით გაგაბრუოს... რა იყო, ჩემო წყალწყალა ღრუბელო, ცრემლით და ბოღმით გატიკნილო, ცრემლის დაღვრა მოგენატრა?.. არ იტირო, იცოდე! მერე რა, რომ არ გაგიმართლა ოჯახში, ქუჩაში, ქვეყანაში... ეს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც ჩვენი ქვეყანაა, ის კიდევ, რა რეგვენიც უნდა იყოს და როგორც უნდა გიყაპუნებდეს, მშობლიური ქმარია შენი.

**ქალი** - (გაკვირვებული) მაესტრო, მე ქმარი არა მყავს. მაესტრო თვალს ადევნებს გაცხოველებული ინტერესით.)

**ნიჰილისტი** - (ოდნავ აგრესიულად) რა იყო, იმედის ჩანასახი მოგეცა, ცრემლის დაღვრის შანსი? რა გინდა, ჩემო წყალწყალავ, დედიკო მოგენატრა თუ მამიკო, ჩემო უქმროვ, ან იქნებ ბავშვობა მოგენატრა, ჩემო უსამშობლოვ, სადღაც ტაატით მიმავალო. ჰა, მითხარი, ამოთქვი, (აწვალებს) რისი იმედი გქონდა, რომ მოდიოდი ამ ბალაგანში. მართლა გქონდა რაიმეს იმედი? კიდევ გჯერათ ამ ექსპერიმენტების, აღარ მოგწყინდათ? თქვი, აღარ მოგწყინდა, აღარ ამოვიდა ყელში? (ყელში ხელს უჭერს) აღარ უნდა დაგახჩროს ამ შეურაცხყოფამ, კიდევ გჯერა რამესი, კიდევ? (ხელს ისეთი ბიძგით შეუშვებს, რომ მიაგდებს იატაკზე. მოკუნტული ქალი თანდათან სწორდება, ფეხზე წამოდგება, ცისკენ იხედება და ამბობს)

**ქალი** - მერე რა, რომ წყალწყალაა, ღრუბელსაც თავისი სამშობლო აქვს.

**მაესტრო** - ჰა, გარსი, გარსევან, გესმის? გაიგონე? გაანათე, ბიჯო, ნახე რა თქვა. ნახე, ბიჭო, რა სახე აქვს (იხედება გამნათებლის ლოჟისკენ).

**გარსი** - (დაფეთებული) რა ფერით, მაესტრო?

**მაესტრო** - ცისფერი, ღრუბლის ფერი, რა ვიცი, რა ფერი, გასაქრობად გამზადებული, გაფანტული, გაწეწილი, უკანასკნელად რომ მოჰკრავ თვალს.(დანარჩენები დაბნეულები იხედებიან ლოჟისკენ)

**გარსი** - სამშობლოსფერი სასოწარკვეთა, მაესტრო! (რიჟრაჟისფერი შუქის რკალში ემწყვდევა ქალი, ეკრანზე მისი სახეა განათებული კლასიკური მუსიკის ფონზე, ალბათ, მოუხდება დებიუსი, რომლის მუსიკაც წყლის სტიქიითა და წყალმცენარეთა ჩვენებებითაა გაჯერებული)

**ქალი** - ღრუბელსაც თავისი სამშობლო აქვს, წყალწყალას, სადღაც უგზო-უკვლოდ მიმავალს (გათიშულია, თავისთვის) მე მინდა, ღრუბელი ვიყო, ცრემლით გატიკნილი, დასაღვრელად გამზადებული, ერთ ხეს ხომ მაინც მოვრწყავ, ერთ მინდორს ხომ მაინც ვეყოფი... ახლა რა ვარ, ნაყოფით სავსე ბერწი, რომ გითხრათ, მაინც არ დამიჯერებთ, შეშლილიაო, გამაქანებთ... ვერავისთან ვამხელ, ვერავის ვეუბნები გასაჭირს. გავამხელ და ქვეყანა გიჟად გამომაცხადებს, ქვას მომიღერებს, ჩამქოლავს. თუმცა სიკვდილს ვნატრობ, ასეთს მაინც არა...

**კაცი** - განა გიჟად გამოცხადება არ სჯობს დარდით გამოხრას? განა შეშლილად ყოფნა არ სჯობს იმას, რომ საერთოდ არ გამჩნევენ, საერთოდ არ არსებობს საერთოდ არავის დაჰკარგვიხარ - ტილი ხარ, მღილი ხარ, არარაობა...

**მაესტრო** - თქვი, ანეტ, ძვირფასო, თქვი. ჩვენ შენთანა ვართ, აქ ხომ იმიტომ შევიკრიბეთ, ერთმანეთს გული გადავუშალოთ.

**ნიჰილისტი** - გული გადაშალე, ვარდოო.

**მაესტრო** - (ყველას თვალს შეავლებს) ყველამ ჩვენი სათქმელი უნდა ამოვთქვათ!..

**II ქალი** - თქვი! შე უბედურო, ეს ხომ ჩვენი უკანასკნელი შანსია, თქვი...

**კაცი** - ქვეყანაო! გამომაცხადებსო... შენ ქვეყნისა ნუ გეშინია! სად არის, ქალო, ქვეყანა. (გაცხარებით წამოავლებს ხელს შეშის ნაჭერს, იქნევს, თითქოს ვიღაცას უპირებს დარტყმას) რომელ ქვეყანაზე ლაპარაკობ... ბოზებით, ქურდებით, ავაზაკებით რომაა სავსე? ქვეყანას, რომლის მკვლელებს და კახპებს ოფიციალური სტატუსი აქვთ ლელვის ფოთოლივით აკრული?! ქვეყანა, რომელშიც პედერასტები კაცებს თამაშობენ და მეძავები წმინდანებს?!..

**II ქალი** - (ენაცვლება, მასაც დიდი ტოტი უჭირავს ხელში, უფრო ზუსტად მოათრევს. ეს რომ დაიწყებს, წინა კაცი თავის ჯოხს თუ ცულს შუა სცენაზე მიაგდებს) ან იქნებ, ესაა ქვეყანა, რომელშიც მოხუცები სიცივით კვდებიან და ბავშვები - შიმშილით, ქვეყანა; რომელიც ერთ ჩაშავებულ დიდღამედ იქცა, იმდენი ქვრივი მოაქუჩა.

**ნიჰილისტი** - სხვა რო არაფერი, მარტო მათ სანახავად ღირს ჩამოსვლა.

**II ქალი** - (მოთქმასავით განაგრძობს) ქვეყანა, რომლის 14-15 წლის გოგონები ისეთ ჰარამხანებში სადდებიან, სტამბულის ბაზარზე გაყიდული მონების შეგშურდება.

**ანეტ** - ვაიმე, დედიკო!

**კაცი** - ქვეყანა, რომლის დამარცხებულ ომში გენერლობანაბოძები ნაკაცრები ღირსების ორდენებს იბამენ ყელზე ძაღლებივით, არადა ყეფაც აღარ შეუძლიათ, აღარც ღრენა შეუძლიათ. აკვარიუმის ლიფსიტებივით დუმან... ქვეყანაო, ესაა ქვეყანა, რომელიც პოლიციას, სამხედროს, მეზღვაურს, ფბრს, გ.პ.უს., კ.გ.ბ-ს და ათას ამდაგვარს ხელფასს საზღვრების, სამხედრო საიდუმლოებების, მოსახლეობისა და სამართიანობის დაცვაში კი არ უხდის, არამედ იმაში, რომ ერთი მუჭა დამნაშავე ნაძირლებმა სავარძელს მიკრული უკანალი როგორმე სავარძელსავე შეარჩინონ; ქვეყანა, რომლის გამყიდველი ცრუ ინტელიგენცია სისხლიანი დოლარებითა და ჩახოცილი ბიჭებით სივრცეებს იპყრობს, ეთერში გადის, მუზეუმებს, გალერეებს, ხელოვნების ცენტრებს, რადიოსადგურებს და რადიოტალღებს ყიდულობს, გამოფენებს აწყობს, ფერითა და მუსიკით ატკბობს მწუხარებითა და შიმშილით გადაფითრებულ ესთეტებს.

**II კაცი** - ქვეყანა, რომლის შეურყვნელი ინტელიგენცია ნელ-ნელა ირყვნება ანდა დღედაღამ ქუჩაში გამოყრილი და ლუკმა-პურის ძებნაში გადმოგდებული ქუჩაშივე კვდება, იხოცება...

**ანეტ** - (სასოწარკვეთილი) ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს.

**ნიჰილისტი** - (რომელიც მთელი ამ სცენის მანძილზე მგელივით გადი-გამოდის სცენაზე, უცებ მიუტრიალდება ანეტს) ჰო, ხოცავენ, ჩემო ჯიშიანო. მახსოვს შენი მსუყე თმის ტევრი, ცეცხლისფერი ფაფარივით რომ გეყარა მხრებზე; შენი ამაყი სვლაც მახსოვს და ტანის რხევაც; შენი ფეხების ბაკუნიც გაუხედნავი კვიცივით; შენი ყელის მოღერება და რაღაცნაირი ჩაცინება, თინათინ მზესა სწუნობდაო, მაგრამ მზე თინათინობდაო... მერე ის ბიჭი გამოჩნდა, შენი გამხედნავი, ისეთი კარგი ვინმე, ალალი იყოს, ღირსი ყოფილაო, ერთმა ოჯახმა კი არა, მთელმა ქალაქმა გაატანა სიყვარულის ზღვაში შენი თავი.

**ქალი** - სიყვარულის ზღვა... სიყვარულიდან პირდაპირ შავ ზღვაზე გამეპარა, შუა ზღვაში მიმატოვა და გამწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მაესტრო უყვირის) გარსი, გარსი, ზღვა ზღვისფერი და ზღვის ხმაური...

**ნიჰილისტი** - რატომ ორივე ხელი არ ჩაავლე, რატომ ყელზე არ ჩამოეკიდე, თუ ისევ ძველმა ჯიშმა იფეთქა და სიამაყემ - არ აკადრე დეზერტიროობა. ვინ ექაჩებოდა, რომ მიდიოდა.

**ანეტ** - ჩამოვეკიდე კიდეც და ვემუდარე. ეგ ომი არააა-მეთქი, ვერ ხედავ, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, არ დამტოვო, არ დამღუპო-მეთქი, მთელი ღამე ვემუდარებოდი... ბიჭები რას იტყვიან, ბიჭებს ვერ ვუღალატებო და... გამეპარა ლაჩარივით, უთენია გამეპარა, როცა ის-ის იყო მივლულე თვალი.

**ნიჰილისტი** - ეგ „ლაჩარი" რამდენადაც მახსოვს, გმირულად დაიღუპა გუმისთის მისადგომებში.

**ანეტ** - ჰო, სულ მაგას იძახდა, რა იყო, გოგო, რა დაგემართა, შენთვითს მე მარტო ზურმუხტი და ლალი კი არ მინდა, შენთვის მე ეს მთა და ბარი მინდა, ეს ზღვა და ხმელეთი შენ უნდა გაჩუქოო, შავი ზღვა უნდა გაჩუქოო, თითქოს მართლა ჩემთვის გარბოდა, თითქოს მართლა მე ვენაღვლებოდი.

**ნიჰილისტი** - რომ არ გაქცეულიყო, არასოდეს აპატიებდი (მშვიდად) კარგად გიცნობ, რა ჯიშისაცა ხარ. სამშობლო განსაცდელში მიატოვაო, ქალს გამოეკიდაო, დარწმუნებული ვარ, გულში ამას იტყოდი... არადა, შენ უყვარდი და მართლა შენთვის გაიქცა.

**ქალი** - (ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, თითქოს მადლიერია ისე უყურებს და პასუხობს ნიჰილისტს) ვინ იცის, იქნებ ეგრეც მეფიქრა, იქნება მართლაც ჩემთვის გაიქცა...

**ნიჰილისტი** - არა უშავს, მილიონი ქვრივივით შენც მოინელებ.

**ქალი** - ჩემი განსაცდელი მილიონში ერთიც არ გამიგონია...

**ნიჰილისტი** - იმდენი რამის გადამტანი ჩანხარ, ქარაგმები აღარ უნდა გჭირდებოდეს...

**II ქალი** - ანეტ, თქვი და მოისვენებ, რა ასეთი ცოდვის კითხვა ტრიალებს შენს თავს, ჩვენ რომ ვერ გავიგოთ.

**კაცი** - განა დარჩა რამე, რის დანახვას და რის გაგებასაც ვერ შევძლებთ?

**ანეტ** - სიზმარშიც არ დამსიზმრებია, ზღაპარშიც არ გამიგონია.

**ნიჰილისტი** - იქნება ჩვენ გაგვიგონია, დალოცვილო... თქვი, დედაკაცო. ერთხელ უკვე ითქვა: არარაობა უნდა გერქვას შენო... თქვი, გენაცვალე, ამდაგვარს არავინ არაფერს გკადრებს...

**ანეტა** - (მოულოდნელად) ფეხმძიმედა ვარ.

(პაუზა)

**ნიჰილისტი** - ბიჭოს, გამოგიგლოვია და ეგ არის...

**ქალი** - (გაკვირვებული) ანეტ, რას ამბობ!

**ნიჰილისტი** - (მიუბრუნდება) რა ისეთ რამეს ამბობს, ქალბატონო! ბოლო-ბოლო, შვიდი წელია მაგისი ქმრის სიკვდილიდან გასული.

**II ქალი** - (მაშინვე აჰყვება) ჯერ სულ ბავშვია თვითონაც, რა ქნას?!

**ნიჰილისტი** - როგორც იტყვიან, მარწყვივით გოგოა!

**კაცი** - მამა ვინ არის, დიდი კაცია ვინმე თუ ისიც პატრიოტი სალდაფონია.

**ქალი** - რაო, არ მოგიყვან ცოლადო?!

**II ქალი** - იქნებ ცოლ-შვილის პატრონია, ქა...

**ნიჰილისტი** - ჩვენი ქალაქი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ქვრივების ქალაქად იქცა. სადა ხართ, პატრიოტო ბიზნესმენებო, სხვა რომ არაფერი, მარტო ამათ შესახედად მოვიზიდავდი ტურისტებს... რა საკაიფოდ ჩაშავდა ქალაქი...

**ახალგაზრდა ქალი** - ჰოდა, დროა, ამ სიშავეში პაწია ღლაპმა ვარდისფერი ხახა დაალოს.

**ხნიერი ქალი** - აი, ხახა და ღვთის რისხვა მაგას. (ქოქოლას აყრის ანეტს)

**ანეტ** - სწორედ რომ ღვთის რისხვაა ჩემს თავს. ნეტა, მართლა ეგრე მარტივად იყოს საქმე, როგორმე ამ შერცხვენას მოვინელებდი, რა ისეთი არმოსატევებელი იქნებოდა. სხვა რომ არაფერი, ამ სასაკლაოში ერთ სიცოცხლეს მაინც შევუბერავდი სულს...

**კაცი** - (დაყვავებით) ჰოდა, შეგნებული ქალბატონი ბრძანებულხართ, საქართველოს კვალობაზე დე გოლივით წინგამხედავი.

**ნიჰილისტი** - (ნახევრად ხუმრობით) მივხვდი, მოცილებას აპირებს და ჩვენი თანხმობა სურს, განკითხვის დღეს მარტო რომ არ წარდგეს უფალთან. მე კი არა მარტო, ნახე, უფალო, ბარე რამდენმა მაცდუნა ერთად. (ხელაღმართვით ზეცისკენ წარმოთქვამს)

**ახალგაზრდა ქალი** - ერთ ცოდვას მეორეს ნუ დაუმატებ, უბედურო...

**ხნიერი ქალი** - ასე მარტოკინამ როგორ უნდა გაზარდოს, გოგო!

**ახალგაზრდა ქალი** - ღმერთის მოცემულს ღმერთივე დაარჩენს.

**ანეტ** - (სასოწარკვეთილი) ნეტა, მართლა მაგაზე ფიქრი მიდაღავდეს გულს, ნეტა, ეგ იყოს მხოლოდ... მაგრამ ჩემს სატანჯველს ვინ გაიგებს, როგორ უნდა ვთქვა, როგორ გავამხილო!

(ადამიანები გაკვირვებულები მისჩერებიან, ვითომ ამაზე მეტი რაღა უნდა გაამხილოსო. ამდენი ხნის თვალყურის დევნების მერე მიუახლოვდება მაესტრო, წახრილ ქალს შუბლზე ადებს ხელს. ქალს თითქოს გულს აზიდებს)

**მაესტრო** - თქვი და მოგეშვება, ნახე როგორ მოგეშვება. თქვი, შენ რა იცი, ვის გულში რა ხანძარი ტრიალებს, ვის თავს რა ხდება (ასძახებს გამნათებელს) გარსი, გაანათე, კარგად გაანათე, რომ გაათბოს ეს საცოდავი, სულ გაყინულა, ერთიანად თრთის და კანკალებს. ისე გაანათე, მზე ეგონოს, უფლის ხელი ეგონოს, კეფაზე დადებული. (ადებს კეფაზე ხელს) (ანეტ საოცრად მოეშვება და მაესტროს ხელში ღონემიხდილი ჯვარზეგაკრულივით ამოთქვამს):

**ანეტ** - შვიდი წელია ფეხმძიმედა ვარ...

(შეშინებული ქალები პირჯვარს იწერენ, კაცები უკან იხევენ, ანეტი ჩუმად ჩაილაპარაკებს)

**ანეტ** - ხომ გეუბნებოდით, მტრისას, მე განსაცდელი დამიტოვა ჩემმა სიყვარულმა-მეთქი.

(კაცები ერთმანეთს უყურებენ, ხომ არ შეიშალაო)

**ნიჰილისტი** - (დაბნეული, მაგრამ ვითომ ხუმრობის ხასიათზე მოსული): არ გინდოდა ხომ კლასიკა, მაესტრო... ჰოდა, ღადგი ახლა მოდერნი...

**ანეტ** - ვაი, დედიკო! (მაესტრო ეფერება, ამშვიდებს)

**მაესტრო** - ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ, ნუ გეში. მე ვიცი, ვიცი, რატომაც არ იბადება ეგ ღლაპი... ღლაპები ყველაფერს ხედავენ, ყველაფერი იციან, მაგათ ვერაფერს გამოაპარებ...

**კაცი** - შვიდი წელი, კაცო?!

**ნიჰილისტი** - ჯერ სადა ხარ, მალე თხუთმეტწლიანები წამოვლენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ანეტ** - ვაი, დედიკო! ხომ ვამბობდი გიჟად ჩამთვლიანმეთქი.

**მაესტრო** - ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩაგთვლიან და ჩაგთვალონ, აჯობებს კიდეც, რომ იცოდე. რაც მთავარია, მე მჯერა შენი...

**ანეტ** - (სასომიხდილი ახედავს) მართლა, მაესტრო!

**მაესტრო** - აბა, ტყუილა?.. უფრო მეტიც, მე ვიცი, რომ თქვენ საუბრობთ კიდეც ღამღამობით. (ეს პასუხი მიდის რეალობა-ირეალობის ზღვარზე, უნდა იგრძნობოდეს ფსიქიატრის აქცენტიც).

**ანეტ** - (გახარებული) ჰო, მაესტრო, ვსაუბრობთ, საიდან იცით?!

**ქალი** - (პირჯვრისწერით) დიდება შენს სახელს, უფალო.

**მაესტრო** - მაგ ღლაპს არ მოსწონს აქაურობა.

**ანეტ** - მითხრა კიდეც, მაესტრო, მაგ უდაბნოში როგორ დავიბადო, დედა, არც ჰაერია, არც წყალიო...

**მაესტრო** - აქ კიდევ ყველაფერია და ტკბილად, თბილად ვირწევი შენს წყლებშიო... ოღონდ შენს ნაღვლიან შემოტევებს ვერ ვუძლებ, ქარიშხალივით დამეტაკება და მახეთქებს აქეთ-იქითო... (ადამიანები გაოგნებულები უსმენენ და უყურებენ მაესტროს, ანეტ კიდევ გახარებული, რომ მისი უცნაური საიდუმლოს თვითმხილველივით დამჯერებელი აღმოაჩინა)

**ანეტ** - (საიდუმლოდ მაესტროს) შენ ნურაფრის შეგეშინდება, დედა, გაუძელი და, ცოტა რო აზრზე მოვლენ, დავიბადებიო.

**ნიჰილისტი** - (ცინიკურად) შვიდი წელია, იცდის... ცოტა აზრზე რო მოვლენო. იმედი აქვს...

**მაესტრო** - (ინტერესით) კიდევ, ანეტ, რა თქვა კიდევ!

**ანეტ** - ვუყვარვარ, მაესტრო. ასე მითხრა: დედი, რა ვქნა, სულ იმას ვცდილობ, წონაში არ მოვიმატო, რაც შეიძლება დავპატარავდე, რომ არ დაგამძიმოო.

**მაესტრო** - აკი არაფერი გეტყობა სიმძიმის. კიდევ, კიდევ რა თქვა?

**კაცი** - შეთქმულებზე არაფერი უთქვამს, ტერაქტებზე?

**ანეტ** - (ნდობით) კი, როგორ არა; მალე კაცების კი არა, ხეების შეთქმულებაც დაიწყება, სულ დედაბუდიან-ფესვებიანად მოსწყდებიან და ჩიტებივით გაიპარებიან თბილ ქვეყნებშიო.

**მაესტრო** - (გაფაციცებით) ცხოველებზე, ცხოველებზე არაფერი უთქვამს?

**ანეტ** - ცხოველები მასობრივად თავს მოიკლავენო.

**ნიჰილისტი** - (დაეჭვებული) განკითხვის ჟამი ახლოვდება, მაესტრო? (მაესტროს უჭირს ტრანსიდან გამოსვლა)

**ანეტ** - თქვენ რომ სიცხეს ეძახით, ეგ უჰაერობაა, ჟანგბადი რაც დარჩა, იმასაც ხეები წაიღებენო.

**მაესტრო** - (თავისთვის) გაბრაზდნენ ხეები და ფეხი აიდგეს.

**ანეტ** - ჰო, ასე თქვეს ხეებმა, უფალი გაბრაზდა და გვიბრძანა გაქცევაო. ჯერ სადა ხართო, უჰაერობა და ცოდვის კითხვა მაშინ ნახეთ, მთები რომ ფეხს აიდგამენ და პიტალო კლდეებსაც ვეღარაფერი შეაკავებთო... ჰო, ვკიდევ (ახსენდება) უჰაერობაზე მითხრა ჩემმა შვილმა, ყოველი მოკლული ბიჭი სიკვდილის წინ ტონობით ჟანგბადს ჩაისუნთქავს სამშობლო რომ დაიმახსოვროსო... მაგ აჩეხილი ტყეებით და აჩეხილი ბიჭებით მალე სულ გაიგუდებითო.

**მაესტრო** - ნეტა, რა ფერის თვალები აქვს შენს ბიჭს.

**ანეტ** - გაცნობა მინდოდა, ვთხოვე კიდევ ეხოზე გავალ და დაგინახავთქო, შვილო.

**მაესტრო** - არ დაგეთანხმებოდა.

**ანეტ** - ეგ არ ქნა, დედა, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა და მართლა გინდა, როდისმე დავიბადოო.

**ქალი** - ვაიმე, ნეტა რატო?!

**ნიჰილისტი** - დასხივების ეშინია პატარას, იქ მაინც ვამყოფოთ ურადიაციოდ.

**ანეტ** - დედაშვილობა ორმხრივი სიყვარულია და, ალბათ, გაცნობა ორმხრივად უნდა მოხდეს.

**ქალი** - ჭკვიანი, აბა რა გამოვიდა, გააშუქებ და შენ ხედავ, რაღა ფანარს მიუნათებია თვალებში და რაღა მაგ სხივს პატარასთვის, ცოდო არაა ჭკვიანი. (სიყვარულით).

**კაცი** - პირდაპირ ჭკუის კოლოფებად იბადებიან.

**ნიჰილისტი** - უფრო და უფრო გაჭკუისკოლოფდნენ, საერთოდ აღარ იბადებიან,

**ხნიერი ქალი** - ვაიმე, მაესტრო! მეორედ მოსვლა, განკითხვა მართლა ახლოვდება?!

## სურათი II

**მაესტრო** - თანდათან გამოდის ტრანსიდან) ჰა, განკითხვის?

(გაისმის საშინელი გრუხუნი, ბნელდება, ელავს. როცა მიჩუმდება, ნათდება)

●●●

(სიზმარეულივით მიმოავლებს თვალს) მოჯარდით, მოჯარდით, სასოწარკვეთილებო, შეშინებულებო, მოჯარდით და ერთად გადავწყვიტოთ, რა ვქნათ. იმ ხეებისა არ იყოს, ღირს თუ არა დარჩენა, სიცოცხლე, გადარჩენა. მოჯარდით, მოჯარდით, სასოწარკვეთილებო! (წრიულ ბრუნვას აკეთებს, სცენაზე მყოფებთან ერთად მიმართავს პარტერსაც) დებო და ძმებო, ორსულებო და დასაორსულებლებო. მოჯარდით ამ ჯოჯოხეთში სამოთხე რომ ერქვა ოდესღაც. მოჯარდით და ჩავხედოთ ჩვენს ჩახერგილ ხსოვნის ხეობებს. ამოვზიდოთ სილა და მორები, ტყვია და წამალი. გამოვაფხიზლოთ მშფოთვარე ძილის ხეობები, ძილს მერეც მოვესწრებით. რა დროს ძილია, სიტყვა უნდა გავაცოცხლოთ, სიტყვას უნდა დავუბრუნოთ დაკარგული ფასი. (თანდათან ჯარდებიან მის ირგვლივ. ნიჰილისტი განზე დგას)

**მაესტრო** - (ხელით ანიშნებს) მოდი, ნიჰილ, მოდი, შე ყველაფრის არაფრად ჩამგდებო და ამის გამო არაფრის ყველაზე დიდო მოძულევ; მოდი, უშენოდ ვერაფერს გავხდებით.

**ნიჰილისტი** - ტონუსს დაგიგდებთ, სხვა მე არაფერი შემიძლია.

**ქალი** - მაესტრო, იქნებ, მართლა თავისთვის ყოფილიყო?

**მაესტრო** - თავისთვის შეთქმულები ვეღარ იქნებიან.

**კაცი** - (შეშინებული გამოხტება წრიდან) შეთქმულება, ისევ შეთქმულება! ისევ სისხლისღვრა, ისევ გადატრიალება!! (ისეთი სასოწარკვეთილი ბღავის, ყველა მისკენ იყურება. მაესტრო იგრძნობს და გარსის ასძახებს, აფრთხილებს)

**მაესტრო**- გარსი, ყურადღებით!

**კაცი** - (აწრიალდება, თითქოს გასასვლელს ეძებს და ვერ პოულობს) მაშ, ისევ ქვები, ქვები!.. ისევ ქვებთან, ისევ ძეგლებს შევეკედლები. (ეკრანზე ნათდება მისი სახე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაესტრო** - ძეგლებს?

(პაუზა... დგება ალსარების თუ განდობის ჟამი ისე, რომ აღარავინ არაფერს ეკითხება, იწყებს კანტუზიანივით მოძრაობას, თავზე ხელს იფარებს, თითქოს ბუნაგში დეზერტირს მიაგნესო).

**მაესტრო** - გარსი! სადა ხარ! (ინთება და კაცი პროჟექტორის რკალში ექცევა)

**ძეგლების კაცი** - (შეშინებული, თვალებზე ხელებაფარებული მოკუნტული) ჰო, არ ვარ გმირი, არ ვეკუთვნი, ბატონო, არც ერთ პარტიას... რათ მინდა პარტია, რა არის პარტია - ნაწილი, ნაკუწი ნაგლეჯი მთელის. (ნაკუწებად აქცევს ქაღალდს) აბსურდი იდეების, აბსურდი პროგრამების „ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყუილი და ორპირობა, მშიერ, გალატაკებულ კაცს რავა უნდა ენდოს კაცი..." ჰოდა, ნურც მე მენოდობით, ნურც მე გინდივართ. (სწრაფად ლაპარაკობს იკუნტება, თავს იცავს, თითქოს სცემდნენ) ლაჩარი ვარ, უგრძნობელი, ათასგზის ნათრევი და მოტყუებული. ველარაფერს მივხვდი, ველარაფერს ვიგებ, ველარაფერს ვუგებ ამ ახლებს, ამ უცნაურ ჰიბრიდებს, ჯიგარგამოცლილებს, ამ ორფეხა ცხოველებს, ბუნების გვირგვინებს. აღარ ჟღერს, ბატონო, ამაყად სიტყვა ადამიანი. მოკვდა ჩემთვის ადამიანი, მაშინ მოკვდა, რომ გავრბოდით და რომ მოგვდევდნენ ნადირებივით, რომ დაგვეწიენ ყიჟინით და რომ მოუშვირეს მაუზერები ჩვენს ავტობუსებს. რამდენი ბიჭი ჩაიხოცა, რამდენმა ტვინმა ახადა თავის ქალა... მოკვდა, მოკვდა მას მერე ჩემთვის ადამიანი... თუმცა არა, პატარა შანსი ისევ რჩებოდა, პატარა ნაპერწკალი ღვიოდა ისევ... (მონოლოგი წარმოითქმის ისტერიკულად. იწყებს ასევე ისტერიკულ ბოლთის ცემას, დასდევს პროჟექტორის თვალი!) არსადაც არ წავალ ამ მიწიდან-თქო, ბოლო წუთებში იელვა აზრმა და გადმოვხტი გაქანებული ვაგონიდან. ათი წუთი მაინც ვიგორე ღორღიან ფერდობზე, სულ დაკაწრულ-დაფლეთილი ვეგდე ღელესთან. დაველოდე შებინდებას და მოვბრუნდი უკან, ჩემს ქალაქში... სადღაა შენი. სუ სათითაოდ დავიარე ეზოები, სადარბაზოები, ხალხი არა ხართ, დაჭრილი ვარ, შემომიშვითთქო... სადღა იყო ხალხი, დაშინებული, დამფრთხალი გამქრალიყო სადღაც. რა ვქნა ახლა-მეთქი, სახლი მე აღარ მებადა და კარი, გადაებუგათ სულ. მერე რისთვის! ფიცი რატომ არ გატეხე, ერთგულება ძაღლების საქმეაო... ჰოდა, ჩაძაღლდი ახლა მანდო, მომაძახა იმ მართლა სულძაღლმა, ერთ ეზოში რომ ვიზრდებოდით ბავშვობიდან... რა ვქნა? რა ვქნა და მოვიფიქრე, ავბობღდი მეტეხზე და შევძვერი გორგასლის ძეგლში. ასე გავათიე მთელი ღამე ყინვაში, ძაგძაგში... ოღონდ შიში... შიში აღარ მქონდა აღარაფრის, ვიცოდი, რომ, ვახტანგის გარდა, კიდევ რამდენიმე ძეგლი მელოდა სულისმოსათქმელად...

(მაესტრო ამჩნევს, რომ მთელი ამ მონოლოგის დროს თანდათან უფრო და უფრო ცუდად ხდება ძეგლების კაცი. თითქოს ექსპერიმენტს უწყობსო, თითქოს ცდილობს, შეაშინოს და შიშითვე გამოიყვანოს შიშიდან. ნიჰილისტს ხელში ავტომატს შეაჩეჩებს, ყურში რაღაცას ჩუმად ეუბნება, მდევრად გადააქცევს ფაქტობრივად.

ნიჰილისტ-მდევარი თავზე დაადგება ძეგლების კაცს და მიუშვერს ავტომატს. დანარჩენები უკანუკან იხევენ!)

**მდევარი** - აბა, შეეშვი კრუნჩხვებს. არავის აინტერესებს შენი მოხეტიალე ცხოვრება. დააზუსტე, რა ქვებზე და ძეგლებზეა ლაპარაკი!

**ძეგლების კაცი** - (შეშინებული შეჩერდება, მოიკრუნჩხება და თავზე ხელებს იფარებს) ვიტყვი, ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი... რამდენიმე კერა მაქვს... რამდენიმე ოჯახი, თავშესაფარი. თან იქ, შიგნით, სიჩუმეა და სიმართლე. სიმართლე ყოველთვის დუმს... რა მოხდა მერე, რა დავაშავე ასეთი, ზოგმა შვეიცარიაში დაიდგა პატარა ქოხი, ზოგმა - ანტალიაში... მე აქვე, არც დამიდგამს, დადგმული იყო, ორიოდე აგური გამოვაცალე პიედესტალს, ფუღურო გავათბე. ვზივარ ამ ფუღუროში ჩემთვის, ჩემს წარსულში აწმყოდამარხული, აწმყოგაყიდული და მომავლისათვის ვემზადები.

**მდევარი** - (ავტომატის წვერით) ემზადები, არა?

**ძეგლების კაცი** - ვემზადები, მაშ, სულს ვითქვამ, ენერგიას ვიღებ. ზოგს რო კითხო, სიბნელეში ვზივარ, რა გინდა მანდ, მზეზე გამობობღდი, თხუნელა ხომ არა ხარო. ძალას - ის, ძალას - მე. არ გამოვალ, არსადაც არ გამოვალ, ასე ვისაკუთრებ ჩემს პაწაწინა მიწის ნაგლეჯს. ეგ რო თავზე გაზისო, მეფეზე მეკითხება. მერე რა-თქო ვეუბნები, ჯერ ერთი, თავზე კი არა მაზის, მხრებზე მადგას-მეთქი, მერე კიდევ ვიცი მაინც, ვინც მაზის, წმინდა სისხლის მაინცაა, ვიტან ამ სიმძიმეს, კიდევ მილიონი წელი გავძლებ და ავიტან, ოღონდ მისი მსგავსი იყოს, მისი ცხენის ჩლიქად ღირდეს... მისი ხმალი და ჩემი კისერი, დარჩენილი წლები კისრით ვატარებ.

**მდევარი** - (ავტომატის წვერს ფერდებში) არაო, აქედან წადიო, აქედან მოცილდიო, აქედან მოუსვიო, არა? შე ცილისმწამებელო.

**ძეგლების კაცი** - ჰო, კვიპროსზეო, ჰოლანდიაშიო, მაპუტუშიო... იქ რა მინდა, კაცო, ჩემი ცის და მიწის შემყურე, თუმცა აღარც ცა ჩანს და აღარც მიწა. ნავთის ჭვარტლში ჩაიხრჩო მთელი ქალაქი.

**ნიჰილისტი** - თბილისი ახლა ნავთისფერია, თბილისი ახლა კვამლისფერია, თბილისი, ჩვენი დედათბილისიიი (წაიღიღინებს, მაგრამ მალევე გაახსენდება, მდევრის როლი რომ აკისრია, და ისევ ავტომატს მიუშვერს კაცს).

**ძეგლების კაცი** - აღარ მინდა აღარავის დანახვა. გული მერევა სიტყვებზე, ინტონაციებზე, ველარ ვსუნთქავ, დამეფლითა ყველაფერი ამდენი წანწალით, მაგრამ მაინც აქ, ამათთან, ქვებთან, ქვებთან, თქვენთან აღარ, თქვენთან აღარ მინდა...

**მდევარი** - (ავტომატის წვერით) აღარ გინდა, არა? ჩვენთან არა, არა?!

**ძეგლების კაცი** - (გაღიზიანებული) მაინც მომაგენით, მაინც მიპოვნეთ, ჩამკალით ბარემ. იმას მაინც იტყვიან, ძეგლებს იცავდაო, წარსულს იცავდაო, დიდებას და ღირსებას იცავდაო. მე ერთგულებისთვის გავჩნდი, მე ასე გავიზარდე. კაცი თუ ხარ, ფიცი არ უნდა გატეხო, ჰოდა, კაცი ვარ და სხვანაირად არ შემიძლია მე.

**მდევარი** - მაშ, კაცი ხარ, არა? (ავტომატის წვერით)

**ძეგლების კაცი** - კაცი ვარ, კაცი და ამიტომ აქ ჯდომა მირჩევნია, ცხენის ლაჯებქვეშ, თქვენთან ყოფნას და თქვლეფას.

**მდევარი** - (ბრაზით, ცინიკურად) მაშ, კაცი ხარ. (ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომატის ლულით აწვალებს)

**ძეგლების კაცი** - გაღიზიანებს ჩემი კაცობა. კარგი, ეგრე იყოს, სულ არაფერი ვარ, ლოკოკინა ვარ, კუ ვარ - ჯავშნიანი, ჩემი ჯავშანი ჩემი სამშობლოა... ყველგან თან დავატარებ. ვეფხი და მოყმეც ჩემი სამშობლოა, ამიტომ ამ ბალადის ქვეშ მინდა მოვკვდე, ამ მითის ქვეშ, ამ ქვეყანაში, საცა ასეთი ქალები ცხოვრობენ... (პაუზა, მერე შეკითხვით ახედავს მდევარს) თუ სიკვდილიც აკრძალულია აქ უკვე.

**ნიჰილისტი** - გააჩნია სიკვდილის ფორმას. ღირსეული ყველაფერი აკრძალულია... (უცებ ისევ გაახსენდება, რომ მდევარია და გაბრაზებით მიმართავს კაცს)

**ნიჰილისტ-მდევარი** - ეგდე მაგ სოროებში, თუ ეგრე გინდა, მაგრამ მავნებლობას შეეშვი.

**ძეგლების კაცი** - თხუნელავ, არა? აქ ბნელა და მანდ მზეა, არა? მზეზე გამო, ბნელში ნუ იმალებიო. არ ვიმალები - ვცხოვრობ. ჩვენთან დარჩი - აქ მზეაო... აღარ მათბობს ეგ თქვენი მზე, აღარ შემიძლია მაგ მზის ატანა, აღარა მჯერა მზის, რომელმაც არ იცის გარჩევა - „ვარდსა და ნეხვსა“ ორივეს ერთგვარად მოეფინება... ამიტომ აქ მირჩევნია, ამ ქვადქცეულ სიმტკიცესთან, ერთგულებასთან, ამ საარაკო სიფაქიზესთან, გზას რომ გაუყენა შვილმკვდარი დედა, წავიდე, მეც იქ მივიდეო, სამიძმარ ვუთხრა ჰირისაო... ამ სამძიმარისა მჯერა, თქვენი სამძიმარისა არა. თქვენს სამძიმარს ჩალის ფასი ადევს... იმ კაცთან ყოფნა მირჩევნია, მუხლზე დაჩოქილს ბატკანი რომ ჰყავს ატატებული ხელში. თქვენ ასე ფაქიზად შვილიშვილებსაც ვერ გადაიწვენთ მკლავებზე იმიტომ, რომ ეს ხელები სხვისი შვილების სისხლში გაქვთ შეღებილი.

(შორიდან ისმის ავტომატის კაკანი, ქვემეხების გრუხუნი)- ისემც გიქნიათ, დაგიხოციათ ერთმანეთი. მე ამ ძეგლებს არ მოვცილდები, ამათ მაინც არ აგაფეთქებინებთ...

**ნიჰილისტი** - (ოდნავ დამფრთხალი) ჰოდა, ეგდე აქ, უსაქმურო...

**ძეგლების კაცი** - (მწარე ღიმილით) უსაქმურიო. თქვენ გგონიათ, უსაქმურადა ვარ, არა! დღეში ათჯერ მაინც დავხედავ თითოეულს, სულ დავრბივარ, სულ ქროლვაში ვარ, ღამ-ღამობით სულ ვამოწმებ ხოლმე, დეტონატორი ხომ არ ჩადგა რომელიმე გარეწარმა მათში. მარტო მე კი არ მჭირდებიან, მათაც ვჭირდები, ვინმე მავნებელმა მათ წიაღში რომ არ შეაღწიოს. (ამასობაში წელში იმართება, აქეთ-იქით იწყებს წრიალს, სიბრაზის შეტევა ეწყება, უცებ ყვირის) ძეგლების კაცი - ასე ვიცავ ისტორიას, თქვე მონებო, კუჭი შიმშილით მიხმება და ნეკნები მაქვს გადმოყრაზე, მაგრამ ამ საქმეში ჯამაგირს მაინც არ ვიღებ, გამყიდველებო!.. თქვენსავით მაყუთს კი არ ვიღებ ხსოვნის წასაშლელად, ნაბიჭვრებო!.. (ამას ეუბნება პარტერს) (ისევ დარბის სცენაზე, გარსია ისევ დასდევს, აწვალებს შუქით)

**ძეგლების კაცი** - (გაბრაზებული ასძახებს) აქაც შემოაღწიე, ხო, შე ნაბოზარო. ჰეი, შენ, გარსევანი ხარ თუ ვიღაც ჩემი ფეხები, შენი კაგებეჩნიკი დედაც ვატირე, შე ბნელეთის მოციქულო, მანათებ, არა, წყვდიადს, მათვალიერებ ქვეყნის დამაქცევარს, მონადირე ხარ, არა? მაგარი ბიჭი! თქვენ ხომ ძირითადად ხსოვნაზე ნადირობთ. გახსოვს! - ესე იგი, უნდა მოკვდე! ანეკდოტად დადის უკვე, მოარულ ფორმულად გადარჩენილებში. უნდა იანგლონ, მეტი რა გზაა. ხსოვნა! აი, ყველაზე დიდი კონტრაბანდა ამ ქალაქში, მაგრამ ხსოვნა ჯიბე ხომ არაა რომ გააშუქო. რას გაუგებ ხსოვნას, რომელიც ტვინსა და გულში იმალება რით გააშუქებ შენ ამ ტვინსა და გულს, რომელი ექოთი დაინახავ ამ სასურველს. ტვინისა და გულის ამოცნობა ტვინითა და გულით შეიძლება. არც ერთი გაქვს და არც მეორე, გარსევან ძველო, შე ბებეერო..

(გარსევანი ისევ დასდევს თავისი პროჟექტორის თვალით. ძეგლების კაცი კულისების დასაწყისში, ჯანყისგან დაღლილი და გამოფიტული, ფარდასთან მიიკუნტება. ამ დროს დასიდან ერთი ქალი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალს სინათლის წრიდან გაქცევის მოსურნე კაცს, დასს გამოეყოფა. მაღალია, სიფრიფანა, ამაყად და გამომწვევად წელში გამართული გაივლის და გამოივლის ავტომატიანი მდევრის წინ, მერე მოკუნტულთან მივა, ძეგლების კაცთან. თავზე ალერსით ხელს გადაუსვამს, როგორც ნაცემ ძაღლს, ისე ეფერება, ანუგეშებს, რაღაცას ჩუმად ეჩურჩულება... ხანდახან მაინც გაირჩევა ქალის ნუგეში):

დაიქცა, მართალია, გადაჯიშდა სული, მაგრამ თითოოროლა კეთილი მაინც შემორჩა. თუნდაც ერთი თუ შემორჩა ხომ გახსოვს უფალი რას ბრძანებს... ასე, რომ ჯერ კიდევ არა გვიშავს, ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანა. აბა მე რა ვქნა, იცი როგორი ძვირფასი ადამიანი დავმარხე, მაგრამ დავდივარ, ვარსებობ, სანამ არსებობს ეს დამწვარი ქვეყანა.

(ამის შემხედვარე კაცი, რომელსაც ფიწალი უჭირავს ხელში, მოულოდნელად ბრაზდება)

**კაცი** - ქვეყანა... ქვეყანა... (ენადაბორკილი, ოდნავ დამფრთხალი) ქვეყანა...

**მაესტრო** - (აგულიანებს) ჰო, ამოთქვი, ნუ გეში, ამოყარე ბუხრის ჯავრები, ამოუშვი კვამლი, სანამ გაგგუდავს, სანამ დაიხრჩობი სულერთი არაა, შვილო, ჯავრის კვამლი დაგახრჩობს თუ ცოდვით გაჟღენთილი ჰაერი... გარსი, არ გაჩერდე, იტრიალე, აუშვი აფრები, იწყება, დაიწყეს... მიეხმარე შენ ამათ, გაანათე ამათი წუხილი, დარდი, ბრაზი, ბოღმა...

**ნიჰილისტი** - (ახლა სამხედრო, დაფორაჯებული ფორმით, შემართული აგრესიული მიუბრუნდება ქალს) ქვეყანა, ქვეყანა, შენ დამარხე მაინც, ეს მაინც დაგრჩა ნუგეშად. მე რა ვქნა, მე როგორ ვიარო... ქვეყანა, რომელშიც ომობანას თამაშობდნენ, მე „გადავრჩი“, ჩემი დაღუპული გმირები დაუმარხავი ეყარა სანაპიროზე მათ ირგვლივ ცოფიანი ძაღლები დამშეული ღორებივით დასუნსულებდნენ.

**ქალი** - მერე ვერ დახოცე სათითაოდ?!

**ნიჰილისტი** - მერე და სად იყო ტყვიები, ტყვიებს ვნატრობდი ამ ცოფიანების დასაბრედად, თან ცეცხლი მენთო, მკვდარ ძმაკაცებს ვდარაჯობდი, თან, ცალი ხელით ავტომატის ლულით მიწას ვთხრიდი, მეორეთი სალიარკაგადასხმულ საბურავებს ვიქნევდი ჩირაღდანივით, ვაფრთხობდი აფთრებადქცეულ ძაღლებს... ერთი თავზეხელაღებული მაინც არ მომეშვა, მგლის ჯიშისა თუ იყო, მომეპარა და სულ დამიგლიჯა ბარძაყები.

**ქალი** - (შეშფოთებული) ვაი, შვილო! მერე ნემსი, ნემსი არ გაიკეთე? (აქედან ტკბილი სევდიანი მეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რული სიმღერის ფონზე)*

**ჯაბუკი-ნიჰილისტი** - *(იღრინება, თავადაც მგელს ჰგავს, ნადირს)* - ნემსი! ნემსი გავიკეთე, დედიჯან, ოღონდ არა შრატის და არა მუცელში. პირდაპირ ვენაში შევუშვი *(ვხიე)*, გული რომ მომცემოდა. მე შენ გეტყვი, არ იშოვებოდა, ტყვიები იყო სანატრელი, შენ ტყვიები თქვი, თორემ შპრიცები - რამდენიც გინდა... მერე ყველაფერი თავისით მოხდა, ელვისუსწრაფესად, ოღონდ არც მირაჟები, არც ხილვები არ დაწყებულა, ცხადზე უცხადესად ამუშავდა გონება: ამათ მე ნაღდად ვერ დავამარცხებ, სისხლისგან ვიცლები, მერე მოგვდგებიან ყველას ერთად და დაგვფლეთენ ეს ნაბიჭვრები. სამივე ნაპირთან მივათრიე, სამივეს მათსავე ქულაჯებში გახვეული ქვები დავკიდე მათივე ქამრებით კისრებზე, სამივე შუა ზღვაში შევიყვანე და ჩემი ხელით ჩავძირე ჩემი ლამაზი ძმები შავ ზღვაში...

**ქალი** - ვაი შვილო, ვაი ნანა!

**ჯაბუკი-ნიჰილისტი** - ყმუილით გამოვბრუნდი. მთვარის შუქზე უელავდათ მღვრიე თვალები და სისხლით მოსვრილი ლაშები, ენაგადმოგდებულები ქლავდნენ. ეტყობა, სახე მაქვს ისეთი და ვყმუივარ ისე, არც ერთ ნადირს რომ არ დასიზმრებია, მონუსხულებივით დგანან და მიცდიან... *(მიმართავს ქალს)* შენ არ შემიშინდე, დედილო, თქვენ არ გერჩით, ვყმუივარ მას მერე, ჯეკ ლონდონის მგლები მიმიქარავს. დამჩემდა ასე. შენ არ შეშინდე, დედიჯან. მთვარე რომ დაძველდება, შეთბება და დალპება... მაშინაც დამპალი მთვარე ეკიდა ცაზე, ვეება, მრგვალი ლეში. ვყმუოდი გაბმულად, ისე ვყმუოდი, ჩემი ხმის ოგები *(შედედებული)* სისხლის კოლტებად დღესაც ატყვია ბებერ მთვარეს. აბა, დააკვირდით, გამოდით შუაღამისას, მთვარის ავსებას რომ ეძახიან პედერასტი პოეტები, ჩემი ყმუილითაა დაფლეთილი მთვარის ყვითელი ხორცი... მთვარევ, ახ მთვარევ... *(დამწვართ იმედო)*, რატომ იყავი ასეთი ბებერი იმ ღამეს, ასეთი სავსე და ნათელი, რატომ ძლივს არ აჩნდი ნამგალივით ზეცას, რა გინდოდა, რატომ ანათებდი ასე სანაპიროს, რას მერჩოდი, რატომ დამამახსოვრე მათი შიშველი მხრები და ლამაზი კისრები... აღარ მეძინება მას მერე. რაღა დამაძინებს, როცა სულ ის მახსოვს- „მას გახელილი დარჩა თვალები, ო, გახელილი დარჩა თვალები". სამივეს ჩემი ხელით დავუხუჭე და მაინც გახელილი დარჩათ თვალები... აღარ მიძინია მას მერე, სულ აღარ მიძინია, არადა, როგორ გაძლოს ამ დამპალ ქვეყანაზე კაცმა უძილოდ.

*(ახლა ამას უახლოვდება ის ამაყი ქალი, ახლა ამას უსვამს თავზე ხელს, ჩაჩოქილი ჭაბუკი - ნიჰილისტი ქვითინებს).*

**ქალი**- იტირე იტირე, ჩემო საყვარელო... *(მიდის იხუტებს, ეალერსება. ნიჰილისტი-ახალგაზრდა ჭაბუკიც თითქოს ამას ელოდაო, ამ სითბოს, ამ გაგებას, არ უძალიანდება. ქალი რომ ჩაამშვიდებს, მერე ფრთხილად ტოვებს, როგორც ბავშვს სანაპიროზე, და სცენაზე გადი-გამოდის. მაესტრო გრძნობს, რომ ახლა მისი აღსარების ჟამი დგება. ასძახებს გარსის: „გარსი, მოემზადე". ყრუდ ისმის ტალღების ხმაური. ქალს ნელ-ნელა დაჰყვება პროჟექტორის თვალი. ქალი თითქოს ვერავის ამჩნევს, აქეთ, პარტერისკენ იყურება სადღაც სივრცეში და იწყებს)*

**ქალი**- ფეიხოას ბაღში იდგა ჩვენი სასახლე, თვალს რომ ვახელდი, მაგნოლიის თეთრი ჩიტები დაცურავდნენ მწვანე ატლასზე. თაღიანი სარკმლიდან გავყურებდი, როგორ ლივლივებდა ჩემი შავი ზღვა. ჯერაც თბილი იყო ლოგინი, ჩემი ახოვანი ქმარი კი უკვე მხარულით მიცურავდა „ბუიოკებისკენ"... თქვენ რომ გისმენდით, ცეცხლი მომეკიდა. თითქოს რახს ვსვამდი, ისე დავთვერი და აღსარებისათვის განმაწყვეთ. მთვრალი იოლია აღსარების თქმა. უნდა მოვასწრო, სანამ ასე ვარ, თორემ მერე ცრემლიც გაშრება და გულის სარქველიც დაიხურება, გაქვავდება, მეც გავკერპდები, როგორც მაშინ. არადა, როგორ მომენატრა ჩემი თავი-ნამდვილი, ნაზი, დამთმობი, მიმტევებელი... *(ჩუმდება, ცოტა ხნით პაუზა. თან ღვარღვარით სდის ცრემლები, ხელით იწმენდს და ლაპარაკობს მგრძნობიარედ, მთელი არსებით!)* არსად წავალთ, არ გავიქცევით, ჩემს მიწაზე მოვკვდებით, კბილებით დავიცავ, ფრჩხილებით შევაკვდებით ეგ ჩემი სიტყვებია, ჩემი რწმენაა... გაქცეულებს რომ ვხედავდით, მე და ჩემმა ქმარმა ერთმანეთს შევფიცეთ, ჩვენს მიწაზე დავხოცილიყავით და არ დავნებებოდით მტერს. მთელი ქალაქი გაიკრიფა, ბავშვები მაზლის ცოლს გავაყოლე გემით.

**ქალი**- *(ჩურჩულით ეუბნება მეორე ქალს)* ბავშვებს შეელია, კაცს - ვერა...

**ლტოლვილი ქალი** - *(ითითქოს გაიგონა მათი ჩურჩული)* გავაყოლე და აღმოვაჩინე, თურმე შვილებზე მეტად მყვარებია... ბრძოლა ჯერ კიდევ სულ ახალი დაწყებული იყო და სნაიპერებმა ამოიღეს მიზანში... ნადირივით დასდევდნენ, იცოდნენ, ვისაც დასდევდნენ. ერთი იყო და მუსრს ავლებდა ათასს. მისმა შემხედვარემ, ისტორიის გაკვეთილები, ზღაპარივით რომ ჩამესმოდა, 100 ქართველმა 1000 ყიზილბაშს კუდით ქვა ასროლინაო, ახლაღა ვირწმუნე და დავიჯერე. მაგრად დასდევდნენ, ცოცხლად უნდოდათ ხელში ჩაგდება, დიდი თახაც დააწესეს. მეიმედებოდა, ეს საიდუმლო განკარგულება მეზობლის აფხაზმა ბიჭმა რომ გამიმხილა. ვიცოდი, ცოცხლად ვერ მოიხელთებდნენ. რამდენიმე ალყა ამისი გარღვეული იყო, რამდენიმე ხაფანგს ისე დაუსხლტა კაცი ვერ დაიჯერებდა, რომ არ მენახა ჩემი თვალით. როგორც იქნა, მიწყნარდა ზათქი და ტყვიების კაკანი. შებინდების ხანს თითქოს ორივე მხარე, მთელი სამყარო ზღვის მოსასმენად მოემზადა. არაფერი ისე არ წამლობდა აწეწილ ნერვებს და გულის განგაშებს, როგორც ტალღების მდორე ტყლაშუნი... აიჩემა უნდა ვიცურავოო, კინაღამ გამაგიჟა. ნუ გეშინია, ერთს გავცურავ და 5 წუთში შენთან გავჩნდებიო. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა - როცა მთელი არსებით სურდა რაღაც, აქ უკვე არაფერი და აღარავინ სჭრიდა. მშვიდად იხდიდა. ერთი ამოვიკნავლე - გაცივდები, რაღა ტყვიას მოუკლავხარ და რაღა ზღვას-მეთქი. მომიტრიალდა, მომეფერა - ზღვა არ მომკლავსო - და წავიდა ზღვისკენ. არასოდეს ყოფილა ასეთი ლამაზი და სასურველი, არც მაშინ, პირველად რომ ვნახე და კინაღამ რომ გავგიჟდი. მიდიოდა. მიირწეოდა. ვგრძნობდი, თავად სტიქიას აღარც ერთი სტიქია აღარ ახსოვდა წყლის გარდა. ანდამატივით იზიდავდა ზღვა. ეს არ იყო არც წინათგრძნობა, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოდინი, ეს იყო აშკარა ცოდნა იმისა, რომ რამდენიმე წამში აღარ მეყოლებოდა. მუხლებამდე არც იყო შესული, სნაიპერის ტყვიამ ჩანზბას სახურავიდან რაღაც საშინელი წუილით რომ გაფატრა სივრცე და მარცხენა მხრის ქვეშ გაუხსნა ჭრილობა. ოდნავ მოტრიალდა, თითქოს შეეშინდა შიშველი კაცისო, სნაიპერმა მაშინვე მიჯრით ისევ ესროლა, შემობრუნება ვეღარ მოასწრო, ისევ ჩავარდა წყალში.
მაინც ზღვის შემეშინდა მე სულელს, მაინც ცოცხალი მეგულებოდა და, ზღვამ არ წამართვასთქო, შურდულივით გამოვვარდი სამალავიდან, გიჟივით ვუყვიროდი მის სახელს. საშინელი მდუმარება იდგა ირგვლივ. სანამ მივაღწევდი, წამებში გავიფიქრე, თუ მკვდარია, მეც ზედ დავაკვდები-მეთქი. არც მიფიქრია, რომ მესროდნენ, დანა მქონდა თან, ერთი დაღესტნელი ძმადნაფიცი ჰყავდა და იმისი ნაჩუქარი, ხანჯალივით ბასრი, ორი პირი უელავდა, ისე იყო ალესილი... საზაფხულო კინოთეატრის წინ რომ პლაჟია, იქ ეგდო ჯერ ისევ უცნაურად თბილი. ერთი ტყვია ზედ თავში ჰქონდა მორტყმული. მარცხენა საფეთქლიდან, თითქოს განაკაწრიაო, წვრილად მოწანწკარებდა სისხლი. რომ დავრწმუნდი მკვდარი იყო, ამოვიღე ჩემი (პატარა) ხანჯალი და, ისაა უნდა დავირტყა გულში... წამაცალა მარჯვენა ხელი რაღაცამ. გონს რომ მოვეგე, აღმოვაჩინე, მხარში ვიყავი დაჭრილი. უცებ თითქოს ერთბაშად გამინათდა გონება. მადლობა შევწირე უფალს, ცოცხალი რომ ვიყავი. ამას დაუმარხავს როგორ ვტოვებდი-თქო, დავმარხავ და აგერ არაა ზღვა, არც მე ჩავუვარდები ხელში. ძლივს ავათრიე ბობღვა-ბობღვით ლაქაშებამდე... იქვე ნახევრად სილიანში დავიწყე გათხრა. გაცხარებული ვთხრიდი მიწას, ისეთი ღონე მედგა სხეულში ერთ საფლავს კი არა, მთელ სანაპიროს გადავთხრიდი. ვეღარ ვაზროვნებდი, არც იმაზე ვფიქრობდი, რომ მითვალთვალებდნენ, უკვე სიბნელე იწვა ირგვლივ... თუმცა შენი არ იყოს (მიუბრუნდება ფორმიან ჭაბუკს) მთვარე ანათებდა გარემოს, შენგან განსხვავებით, მადლიერი ვიყავი მთვარის, მშველოდა საქმეში. არ ვფიქრობდი, რომ გამცემიც იყო თავისი ცივი შუქით. ის იყო, მოვრჩი, გავთხარე ჩავაცვი სამოსი და უნდა ჩავაწვინო საფლავში, რომ რაღაც მძიმე მომხვდა თავში, გონებაც დავკარგე და გავიყოლიე არყით გალეშილი ნადირის ოხშივრიანი სუნთქვა... (პაუზა, მთელი სცენა სულგანაბული უსმენს. ეკრანი აფიქსირებს მის სახეს. განაგრძობს მძიმედ. თითქმის იმდროინდელის ადეკვატური განცდებით. სცენა არის ლურჯი, ლურჯი, ლილისფერი, ქალი განაგრძობს) როდისროდის მოვეგე გონს, უკვე ბნელოდა, ლილისფრად ელავდა (ფეთქავდა) თოვლი. წამოვდექი, საფლავთან კარგა მოშორებით ვეგდეთ ორივე. ავტომატის ჯერით ვეება გული შემოეხაზა ჩვენს ირგვლივ და იქვე რუსულად მიეწერა თოვლზე „რომეო და ჯულიეტა..." (ისევ პაუზა) კაციშვილი არ იყო ირგვლივ. აღარც გზისმკვლევი შუქურა ჩანდა და ისე ბღაოდა ზღვა, ხმას არ ვიღებდი, ჩემს მაგივრად ბღაოდა... ავიკიდე მხარზე, კილომეტრი მაინც ვიარე, კვალი მინდოდა ამერია... (აქ შეიძლება უღელტეხილზე გადამსვლელთა ქრონიკის შავ-თეთრი კადრები ან სხვა ტრაგიკული კადრები გავიდეს ფონად ეკრანზე. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს დინამიკას და ტექსტის მძაფრ აღქმას) აღარც ტანკების ღმუილი ისმოდა, აღარც ტყვიების ზუზუნი, ზღვა ბღაოდა მარტო გაგიჟებული, მეხმარებოდა მისი ბღავილი. რიყრაყზე მოვრჩი საფლავის გათხრას, არ ჩამივარდეს-მეთქი, ჩაწვენა მოვინდომე, ისეთი ღრმა იყო, კინაღამ ჩავყევი თან, მაინც მოვახერხე, მაინც ჩავაწვინე, დედა რომ ჩააწვენს მაღალრიკულიან საწოლში ჩვილს, გადავეკიდე და ჩავაწვინე... და რომ ჩავაწვინე, უცნაური გრძნობა დამეუფლა, მაესტრო. (მოტრიალდება და უახლოვდება მაესტროს) მოვისვენე, მთელი არსებით მოვისვენე, მთელი წარსულით და მომავალით... ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქმარი კი არ დავმარხე, სამშობლო გადავუმალე მტერს. (პაუზა, თანდათან უფრო ენერგიული, მიზნიანი ტემპით) რის თვითმკვლელობა, რა სიკვდილი, როგორც არასდროს, ისე მწყუროდა სიცოცხლე, შვილები მწყუროდა და მწყუროდა შურისგება და, სანამ გამოვბრუნდებოდი, ფიციც დავდე - მაშინ მოვკვდე, თუ არ დაგიბრუნდე-თქო. გამოვტრიალდი და უკვე რკინის ქალამანი მეცვა ფეხზე. აღარაფრის აღარ მეშინოდა, აღარავის ვერიდებოდი, ალბათ, სახეზე მეწერა, ყველაფერი. ფეხადგმული ქვა ვიყავი და ვაფრთხობდი სამყაროს. ისე გამოვიარე ის სასაკლაო, ბუზი აღარ აუფრენია აღარავის ჩემთვის... (მიახლოებულს მაესტრო მხრებზე მოხვევს ხელს, გულში ჩაიკრავს და ფრთხილად იტყვის)

**მაესტრო** - „გადამალული სამშობლო..." შენა ხარ ჩვენი გადამალული სამშობლო, შენა და შენი ხსოვნა...

**ნიჰილისტი** - (კიდევ ერთი უსუსური მცდელობა ცინიზმის თუ ირონიის) „რომეო და ჯულიეტა..."

**მაესტრო** - ჰო, ნიჰილ, „რომეო და ჯულიეტა..." რუსი სალდაფონიც კი მიხვდა, რომ ავადმყოფმა პოლიტიკოსებმა ღია ცის ქვეშ ისევ დადგეს შექსპირი... შექსპირის ტრაგედია.

## (ფარდა)

**(ბნელდება)**

(ნათდება სცენა, სელის სკამები უწესრიგოდ აწყვია. პაციენტი-არტისტები სცენაზე დადიან წყვილ-წყვილად, ზოგიც კენტად, რამდენიმე სარკმლიდან სივრცეში იხედება. მაესტროს, რომელსაც პირველად აცვია თეთრი ხალათი, ეკითხებიან):

**ქალი** - თეთრი ხალათი, მაესტრო?!

**მაესტრო** - რა, არ მიხდება?

**ქალი** - (ოდნავ დაბნეული) კი, გიხდებათ, როგორ არა, მაგრამ...

**მაესტრო** - (თანაგრძნობით) მაგრამ რა შუაშია, არა?!

**გარსი** - შუაში კი არა, თავშია. თავიდანვე მაგ ხალათით უნდა გვენახეთ, მეტი იქნებოდა ნდობა. (ეშმაკური ღიმილით)

**მაესტრო** - (ეშმაკური ღიმილითვე პასუხობს) ოჰ, გარსი, გარსი, რა ენამწარე ვინმე ხარ.

**გარსი** - ბოდიშს ვიხდი, მაესტრო, თუ რამეს ვაჭარბებ.

**ქალი**- რა თქმა უნდა, აჭარბებ, რაღა დროს ნდობაზე ლაპარაკია ჩვენს შორის.

**II ქალი** - ანდა რა სჭირს მაესტროს სანდო.

**ნიჰილისტი** - სანდი-მანდი... სანდო... მანდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაესტრო** - (ღიმილით და საქმიანად) (თავის დიდი ჩანთიდან რაღაცებს ამოალაგებს) გთხოვთ, დაარიგოთ და გადაიცვათ ეს პიჟამოები.

**ქალი** - (გაშლის ერთს და გაკვირვებული) ქალებმაც, მაესტრო!

**ნიჰილისტი** - ქალებმა რა, ნაკლები გიჟები ხართ?

**ქალი** - (გულუბრყვილოდ) რა შუაშია გიჟები?

**დანარჩენი ქალები** - (შლიან და შეიცხადებენ) უიმე, რა საშინელებაა, ზოლიანებია ყველა.

**ნიჰილისტი** - აი, ეგ ზოლებია პაროლი.

**კაცი** - პაროლი? რისი პაროლი.

**ნიჰილისტი** - (დაცინვით) რისი და პროფესორობის, რისი... გიჟობის, გიჟობის დამადასტურებელი...

(ახმაურდებიან, მაესტრო ამშვიდებს)

**მაესტრო** - აბა, მეგობრებო, დღეს ცოტა განსხვავებული სეანსი, ანუ რეპეტიცია გვექნება. ამიტომ გთხოვთ, გადავიცვათ ყველამ. (იცმევენ) ახლავე აგიხსნით ყველაფერს... გვეწვივნენ საპატიო სტუმრები, ჩვენი ეგრეთ წოდებული ელიტარული კომისია.

**ქალი** - (გაკვირვებული) კომისია?

**მაესტრო** - დიახ, გაუგიათ, რომ აქ სარდაფში, ასე ვთქვათ, რაღაც ხდება,მითქმა-მოთქმაა თურმე დიდი... აქ კი რა ხდება? არაფერი, გარდა იმისა, რომ ჩვენს აბურდულ ნერვებს ვასწორებთ და თამაშს, ესე იგი, ცხოვრებას ვსწავლობთ. ჩემი თხოვნაა, რაც შეიძლება თავისუფლად გეჭიროთ თავი... (თან თითოეულს ატრიალებს, ათვალიერებს, ზოგს ცერით ანიშნებს გიხდებაო)

**ნიჰილისტი** - მით უფრო, რომ ჩვენ კარგა ხანია ვსწავლობთ და ვეძალებით ამ თავისუფლებას.

**მაესტრო** - სწორია, ნიჰილ... ამიტომ გაბედულად და მშვიდად, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე...

**ქალი** - ამჯერადაც ამოვთქვათ ჩვენი სათქმელი?

**მაესტრო** - ძალიან მიხარია, რომ იოლად მიმიხვდით, მით უფრო, რომ მათ ტექსტი სჭირდებათ ჩვენი და არა სახე. ჩვენ მათგან უცნაური სარკით ვიქნებით გაყოფილები. თქვენ შეგეძლებათ მათი დანახვა, მათ კი არა.

**ნიჰილისტი** - მათ მხოლოდ ხმა სჭირდებათ თქვენი.

**მაესტრო** - ტექსტი, ნიჰილისტო, სათქმელი!..

(მიმართავს გადაცმულებს)

**მაესტრო** - ასე, რომ შეკარით წრე, ჩემო კარგებო, დაიწყეთ... მე ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, ახლავე შეგიერთდებით (სცენაზე დგამენ ვრცელ და მაღალ გამჭვირვალე კედელს, მაესტრო უჩინარდება). (პაციენტები სელის სკამებით კრავენ წრეს)

**ნიჰილისტი** - წრე! ჩვენი ასპარეზი, ჩვენი დაცულობის ილუზია.

**ქალი** - თუნდაც ეგრე იყოს, სადმე ხომ უნდა იგრძნოს კაცმა თავი დაცულად.

**ნიჰილისტი** - (სკამს მიათრევს და მიმართავს ქალს) მე უშენოდ არ შემიძლია, დაე, ჩაკეტილი წრე, ოღონდ შენს გვერდით...

**კაცი** - აბა, დღეს რა გვქონდა დავალება?

**ნიჰილისტი** - შენ რა, გაგვიმაესტროვდი?

**კაცი** - რა შუაშია, ხომ თქვა, დაიწყეთ და შემოგიერთდებითო.

**ქალი** - უნდა დაგვეხატა ოჯახის ორი სურათი, ერთი ბავშვობისა, ერთიც ახლანდელი.

**კაცი** - (ყველას ჩამოართმევს სურათებს)

**ხნიერი ქალი** - დაგვათვალიერებინე, რა?

**კაცი** - (უწვდით) აჰა, დაათვალიერეთ რიგრიგობით, სანამ მაესტრო შემოვა. (გამჭვირვალე პლასტმასის კედლის მიღმიდან გამოდის მაესტრო და მიმართავს პარტერს):

**მაესტრო** - მოგესალმებით, მეგობრებო, ჩვენო საპატიო სტუმრებო, მთავრობის წევრებო, პარლამენტარებო, მინისტრებო, დეპუტატებო, ბიზნესმენებო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებო, უჰ, რა კარგია! აქა-იქ ხელოვნების მუშაკებსაც მოვკარი თვალი... დიდ მადლობას გწირავთ, რომ მოწვევა მიიღეთ. განა ასე არა სჯობს, ტეტ-ნატეტ, პირისპირ, როგორც იტყვიან. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია... თავად გახდებით იმის მოწმენი, რომ აქ არაფერი ისეთი არ ხდება, თუ არ ჩავთვლით, რომ თქვენ მე ახალ ამპლუაში მიხილეთ... რაო, რა ბრძანეთ? არა, არა, ეს თეატრალური ხერხი არ გახლავთ, ეს რეალობაა, ნამდვილად ასეა, ეს ცხოვრებაა... ოთხი წელი... მთელი ოთხი საუკუნე - რეჟისურიდან - ფსიქოთერაპიისკენ. ო! რომ იცოდეთ, რა ძნელი და დამტანჯველი იყო ეს გზა, დარდითა და უძილო ღამეებით სავსე... როგორ შემეყრებიან პაციენტები და როგორ შევეყრები მე პაციენტებს. რას მეტყვიან ისინი მე და რას ვეტყვი სანუგეშოს და ახალს მე მათ. ოოო, რა ძნელი და დამქანცველი იყო ეს გზა... თუმცა კმარა ამაზე, მით უფრო, რომ ტანჯვითა და ჩვენზე ზრუნვაში დათენებული უძილო ღამეებით თქვენ ვერავინ გაგაკვირვებთ... რა ბრძანეთ? ირონიაო? ღმერთო კი მომკალი, საიროնიო რა გჭირთ, ბატონებო! რა, განა ასე არ არის?! ან იქნებ ვაჭარბებ რასმეს?.. (პაუზა)

სანამ დავიწყებდით, პატივცემულებ[illegible] ნდა, გაგაფრთხილოთ, რომ ჩემს პაციენტე[illegible]ა თქვენს, ჯანმრთელებს, შორის სცენაზე დადგმულია სარკის გამყოფი კედელი. მიხვდით, ალბათ, რატომაც... დელიკატური სფეროა ფსიქიატრია... ასე, რომ ჩვენში ფეხადგმულმა უვიცობამ, შესაძლოა, მოშალოს მათი ისედაც გაღიზიანებული ნერვული სისტემა. ამიტომ მივმართე ასეთ ეშმაკობას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თქვენ მათ ვერ ხედავთ და მხოლოდ ხმა გესმით. თქვენ კი სინამდვილეში, როგორც ხედავთ, ყველაფერს ხედავთ. ეს ჩვენ შიგნიდან ვერ ვხედავთ მხოლოდ, რა ხდება გარეთ. ჩაძირულები ვართ, ღრმად ვართ ჩაძირულები, უფრო ბუნებრივად რომ ვიგრძნოთ თავი... ამიტომაც მოეშვით, იყავით თავისუფლად, მშვიდად, არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ, მით უფრო, რომ, კიდევ გიმეორებთ, ფსიქოთერაპია ყველაზე ფაქიზი სფეროა ფსიქიატრიაში. მას ფსიქიატრიის ტორტსაც კი ეძახიან. ასე, რომ ვნახოთ ახლა, როგორ ცხვება ჩვენი ტორტი... (აპირებს წასვლას, გადადგამს კიდეც რამდენიმე ნაბიჯს და ისევ მობრუნდება).

ჰო, ისე, ჩვენში დარჩეს, მე ჩემს პაციენტებს აგრესიისგან ვათავისუფლებ, ასე რომ ვთქვათ, თქვენს საქმესაც ვაკეთებ, კოლეგებო! ისე კი არაა, ზოგიერთები ცილს რომ სწამებდნენ ჩემს რეჟისურას... მაგრამ რას ვიზამთ, შური, შური, ბატონებო...ამ შურმა მაიძულა, მაესტროს ჯოხი (კვერთხი) ხალათზე გამეცვალა (ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გადაიხსნის ხალათის კალთებს, შიგნით განუყრელი ხავერდის ქურთუკი აცვია, მიდის მაგრამ უცებ მკვეთრი მოძრაობით მობრუნდება.)

მე ვიცი, რომ არა მხოლოდ სეჩუანში, ჩვენში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც არიან კეთილი კაცები და ქალები, ამიტომ, ლედი ენდ ჯენტლმენი, მჯერა, კეთილად აღიქვამენ ყოველივეს, რასაც მოისმენენ და დაინახავენ... მაშ, ასე, ვიწყებთ სეანსს - სასოწარკვეთილთა თეატრს, რათა თამაშით გავუიოლოთ ჩვენს პაციენტებს თავიანთი სულიერი თუ ფიზიკური პრობლემები... ჩვენს ამ იდეას სტიმული იმანაც მისცა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ყველაზე დიდ შოკში ჩავარდნილი ქვეყანა აღმოჩნდა და, რაც მთავარია, ყოველგვარი თერაპიის გარეშე... მაშ, ასე, ვიწყებთ... (ისმის გონგის ხმა).

(გადაიხსნება ფარდა, სცენას პარტერიდან ვრცელი, დიდი ცელულოიდის გამჭვირვალე კედელი, ანუ „სარკე“ ჰყოფს)

●●●

(პაციენტები წრეში სხედან... იჩოჩებენ, რომ ჩასვან მაესტროც... მაესტრო ხელს წამოავლებს იქვე, კუთხეში მდგარ სელის სკამს და უახლოვდება)

**მაესტრო** - ოო! თქვენ უკვე მოწყობილხართ.

**ქალი** - დიახ, წრე შევკარით, უფრო ზუსტად, თქვენლა გვაკლდით.

**მაესტრო** - აი მეც და შეიკრა წრე... აბა, დღეს რა გვქონდა დავალება.

(ისრესს ხელებს. თითქოს სცივა)

**ახალგაზრდა ქალი** - უნდა დაგვეხატა ჩვენი ოჯახები ბავშვობაში და ჩვენი ოჯახები დღეს.

**მაესტრო** - ვინ დაიწყებს?

**ქალი** - ვისი ნახატით?

**მაესტრო** - ვის ნახატს ვარჩევთ პირველად?

(ყველა ყოყმანობს)

**მაესტრო** - კარგი, მაშინ ავურიოთ კარტები და ვისიც ამოვა... (ურევს ერთმანეთზე დადებულ ნახატებს, მერე ერთ-ერთს აჭრევინებს. ამოდის 2 სურათი - ერთი წარწერით, რომელსაც მაესტრო ხმამაღლა გარკვევთ კითხულობს) „ფიჭვები უდაბნოში“.

**მაესტრო** - ვისია ეს ორი ნახატი?

**მხატვარი ქალი** - ჩემი.

(მაესტრო ყველას აჩვენებს სურათს)

**მაესტრო** - როგორც ვხედავთ, პირველ ვარიანტში ხატია ოთხი ფიჭვი, ორი პატარა, ორი დიდი. კიდევ რას ვხედავთ სურათზე? (რიგრიგობით ყველანი ერთვებიან)

**ქალი** - ბალახი, მზე, აქა-იქ ჩიტები.

**II ქალი** - მუსიკალური სანოტო ხმები მათზე ჩამომსხდარი ნოტებით, სხვადასხვა გრძლიობის ნოტებით...

**კაცი** - სურათი აშკარად გამოირჩევა დანარჩენებისგან, სიმბოლურია.

**მაესტრო** - გეთანხმებით, მაგრამ დავაზუსტოთ, რით გამოირჩევა, რატომაა სიმბოლური.

**I ქალი** - ჩვენ ყველამ სურათებში დავხატეთ ოჯახის წევრები - ადამიანები.

**II ქალი** - დიახ, ყველგან ქალები, კაცები. გოგონები, ბიჭებია ჩახატული.

**კაცი** - მაგან კი დახატა ფიჭვები.

**ანეტ** - ფიჭვები, როგორც მარადმწვანე ხეები, როგორც სიხალისის, სიცოცხლის მარადიული სიმბოლო.

**კაცი** - დიახ, ფიჭვები არ ხუნდებიან. მთის, სიამაყის სიმბოლოა.

**ანეტ** - ყოველ შემთხვევაში, ისე ჩუმად, შეუმჩნევლად იცვლიან წიწვებს, ვერავინ ამჩნევს.

**მაესტრო** - (ნიჰილისტს) მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს, ორი მაღალი ფიჭვი, ორი დაბალი?

**კაცი** - ჩანს, რომ ბავშვობა ჰქონდა ბუნებრივი, ხალისიანი, სავსე, ჯანსაღი.

**ქალი** - იერარქიულადაც მეგობრობა უფრო მეუღლეთა, ვიდრე რომელიმეს პრიორიტეტი, ამიტომაც ტოლები არიან.

**მაესტრო** - (სურათის ავტორს) მართლა მაგიტომ დახატე ტოლები?

**მხატვარი** - ეტყობა, თორემ ისე სიმაღლით მამა მაღალი კაცი იყო, დედა - ტანმორჩილი...

**ნიჰილისტი** - ქვეცნობიერი იშვიათად ტყუის...

**ხნიერი ქალი** - როცა ეს ტოლობაა, ბავშვებიც ბედნიერები არიან.

**ახალგაზრდა ქალი** - ერთი სიტყვით, სურათზე დღესასწაულია ოჯახის.

**ნიჰილისტი**. (ირონიით) მზე რომ თვალდახუჭულია?

**მაესტრო** - (ყველას) რატომაა მზე თვალდახუჭული?

(მცირე პაუზის შემდეგ)

**ნიჰილისტი** - ხანდახან მზესაც რცხვენია რაღაც-რაღაცების.

**ახალგაზრდა ქალი** -(ნიჰილისტს) თქვენ გამოჯანსაღების პროცესი დაგეწყოთ (ნიჰილისტი იცინის, ხელებს გადაშლის, ვითომო?)

**ხნიერი ქალი** - შესანიშნავია, ხანდახან მზესაც რცხვენია რაღაც-რაღაცების, მაგრამ მაინც ლამაზი სიტყვებია მხოლოდ...

**ნიჰილისტი** - (გაკვირვებული) თქვენ გინდათ, თქვათ, რომ მე ვლამაზსიტყვაობ?

**ახალგაზრდა ქალი** - მიუხედავად პროცესისა, ეგ დიაგნოზი მეტისმეტია.

**ხნიერი ქალი** - მე ვხედავ შეუსაბამობას. მზე ისეთ რამეს დაჰყურებს ზემოდან, რომ შეუძლებელია, რაიმესი რცხვენოდეს, პირიქით. აშკარად ნასიამოვნებია, - მზე იმას დაჰყურებს, რაც ღმერთმა შექმნა.

**ახალგაზრდა ქალი** - (გაუბედავად, ერთგვარი დამორცხვებით) იქნებ, დახუჭული კი არა, სიამოვნებისგან მინაბული თვალები აქვს.

**ნიჰილისტი** - (ამ უკანასკნელს) შენ როდის ნაბავ თვალებს, სულიკო.

**ახალგაზრდა ქალი** - (ღიმილით) ეგ რა ხანია წარსულს ჩაბარდა. მე თვალებს კი არ ვნაბავ, თვალები მარადიულად დაჭყეტილი მაქვს.

**ხნიერი ქალი** - უი, ქრონიკული უძილობა გაწუხებს?

**ნიჰილისტი** - თუ უფრო უარესი?

**ხნიერი ქალი** - უძილობაზე საშინელება არაფერია.

**ნიჰილისტი** - (ჯიუტად) „გარდაიცვალო უცხო მხარეში და გახელილი დაგრჩეს თვალები...“

**ახალგაზრდა ქალი** - (სიცილით) ოღონდ უცხო მხარეში არა, აი აქ, ჩვენთან გარდავიცვალე.

(მაესტრო დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს და, როცა სიტუაცია ჩამუქებას იწყებს, მიმართავს სურათის ავტორს)

**მაესტრო** - რატომ დახატე, გოგო, თვალდახუჭული მზე, აღარ იტყვი?

**მხატვარი** - დახუჭობანას მეთამაშება.

**ხნიერი ქალი** - აკი ვთქვი, უზრუნველი, ხალისიანი ბავშვობა ჰქონდა-მეთქი, მდინარე, ყვავილები, სანთლები ფიჭვებზე.

**მხატვარი** - ეგ ბენგალური ჩირაღდნებია. მახსოვს, ერთ ახალ წელს დედამ შუქი ჩააქრო და ჩირაღდნები ჩამოგვირიგა. ისეთი საოცარი, ფუცხუნა ბრწყინვალება და ხალისი ჰქონდათ, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ, გაზიან ლიმონათებს.

**ქალი** - ვაი, რა კარგი იყო, ახლაც ცხვირში მილიტინებს მათი ფუცხუნა ხტუნაობა (მიუბრუნდება კაცს) ნახე, სულ დამბურძგლა.

**მხატვარი** - მერე დედამ თქვა, ეს ბენგალური ჩირაღდნებია. ბენგალი მხარეა ინდოეთში, ულამაზესი მხარე და არსებობს ხალხი, რომელიც ბენგალურ ენაზე წერს, კითხულობს და ლაპარაკობს.

**მაესტრო** - არასოდეს დავფიქრებულვარ, როგორი სიხალისე უნდა გედგას სულში ერს, რომ ეს ჩირაღდანი გამოიგონო.

**ანეტ** - სიხალისე და სევდა, რომ ბედნიერება ხანმოკლე დღესასწაულია.

**ნიჰილისტი** - (წაიღიღინებს) წუთისოფლის შვილები ვართ, რერო...

**მაესტრო** - ახლა მეორე სურათი, ოჯახი დღეს, რომელსაც ავტორმა ასე დაარქვა „ფიქვები უდაბნოში". რატომ?

**ახალგაზრდა ქალი** - სურათზე გაქრა ჩიტები, ყვავილები, ბალახიც გაქრა, თვალდახუჭული თუ თვალმინაბული მზეც.

**ხნიერი ქალი** - მართლაც ყველაფერი გაქრა, აღარც მუსიკაა, აღარც ჩიტები

**მაესტრო** - გამომწვევად და მაინც ქედუხრელად დგანან ფიჭვები. არც ფერი შეუცვლიათ, არც მხრები ჩამოუყრიათ ჩვენსავით, ზუსტად იმავე პოზაში დგანან, როგორც ადრე. (შენიშვნაზე თითქოს ყველა წელში სწორდება) ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს? სამი ნაძვი, ორი ტოლი, ერთი პატარა.

**ხნიერი ქალი** - პატარა მათი სიყვარულის ნაყოფია.

**ნიჰილისტი**- (ირონიულად) გიჟური სიყვარულის ნაყოფი.

**მაესტრო** - რას ნიშნავს გიჟური სიყვარული, რატომ ხმარობენ ხოლმე ამ გამოთქმებს - შეუყვარდა გაგიჟებით, სიყვარული ბრმაა, დაბრმავდა სიყვარულით...

**ახალგაზრდა ქალი** - შეუყვარდა გახელებით.

**მაესტრო** - შენგან ხელი... გახსოვთ?

**გოგო** - მაგალითად, გახელებული მიჯნური ავთანდილი, ტარიელი.

**ნიჰილისტი** - (გაურკვევლად, მხრებაჩეჩვით) სიგიჟეა, როცა კაცი ტირის, აბა, რა არის?

**გოგო** - მაინც ვერ გავიგე, რას ტირის ამდენს, ვერავინ ამიხსნა. შემოსტყორცნა კაცი კაცსა, ცხენკაცისა დადგა გორი... მერე გაიხსენებს უცებ ნესტანს, გული მისდის და ტირის. ამიტომ მე ვეთანხმები ნიჰილისტს.

**ხნიერი ქალი** -მეც.

**მაესტრო** - თქვენ ფიქრობთ, რომ კაცები არ უნდა ტიროდნენ?

**გოგო** - ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი სიხშირითა და სიუხვით, როგორც ტარიელი.

**ხნიერი ქალი** - რაღაც უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამს ქვითინებდეს, თუნდაც ღრიალებდეს, ოღონდ მე ნუ დავინახავ.

**ნიჰილისტი** - თქვენ არ გინახავთ, როგორ ტირის თქვენი ქმარი?

**ხნიერი ქალი** - არასოდეს.

**მაესტრო** - იმიტომაც დასცილდით ერთმანეთს.

**ხნიერი ქალი** - თქვენ იმეორებთ მარო ბაბოს ფორმულას, რომ ცოლი დედაც უნდა იყოს, ცოლიც და საყვარელიც ერთდროულად.

**ნიჰილისტი** - (გაოცებული) სალოლ, მარო ბაბოს ჭკუა!

**ხნიერი ქალი** - (ჭაღარა თმაზე ხელს გადაისვამს) - სამწუხაროდ, მე ცოლი ვიყავი...

**ნიჰილისტი** - ანუ მეუღლე, უღელში შებმული ხარი, ანუ მეგობარი.

**ახალგაზრდა ქალი** - (ნიჰილისტს) თქვენ გჯერათ მეგობრობის?

**ნიჰილისტი** - ვისი, ხარების?

**მაესტრო** - გააჩნია, რომელ მეგობრობას ეკითხები. ზოგადად მეგობრობას თუ კონკრეტულად ქალისა და კაცისას.

**ნიჰილისტი** - ეგ სულერთია როცა ერთის გჯერა, გამოდის, რომ მეორესიც გჯერა. (მიუბრუნდება ახალგაზრდა ქალს დაბეჯითებით) მე არ მჯერა მეგობრობის.

**ქალი** - (გამოგონილი ზიზღით, ცხვირაბზუებით) რა საშინელებაა, როგორ ცხოვრობთ ასე...

**ნიჰილისტი** - მე არ ვცხოვრობ, მე ვსუნთქავ, ისიც არითმულად, გამოხშირვით, აქა-იქ... (აკეთებს გამოხშირვას) ჰი-ჰე-ჰუ-ჰა. (ხანგრძლივი პაუზა. ისევ ქელავს) ჰი-ჰე-ჰუ-ჰაა...

**ახალგაზრდა ქალი** - რა აუტანელი ვინმე ხართ, მომავალ სეანსზე უნდა გადავჯდე.

**ნიჰილისტი** - (თავის ქნევით) ეგ განწირულთა სულისკვეთებაა, საბედისწეროდ ვერ მომცილდებით.

**ქალი** - მე არ მჯერა ბედისწერის.

**ნიჰილისტი** - მე სხვა წერაზე მოგახსენებთ.
(გამწარებული ქალი წამოხტება და წრეში ადგილს უცვლის კაცს)

**მაესტრო** - მაშ, ასე, სიყვარულზე და ცრემლზე მიდგა საქმე. კერძოდ, ჩვენი ძვირფასი ტარიელის ცრემლებზე.

**კაცი** - ქალი სიცოცხლეა, მაგრამ ამავე დროს სიკვდილიცაა. ამ შემთხვევაში ყოველგვარი მეტაფორის გარეშე, პირდაპირი გაგებით, ხომ გახსოვთ, როგორ მოაკვლევინებს ეს მზე, ეს სიხარული, ეს სიყვარული ხვარაზმშეს ძეს ტარიელს? ეს ხომ აშკარა, შეუნიღბავი ცოდვაა. იმ ცოდვის არქეტიპი, ნესტანი სამოთხიდან გამოსულა, ე.ი., ტარიელიც მასთან ერთად... ასე, რომ სიყვარული ამ შემთხვევაში სიკვდილს აზიარებს მიჯნურს. განა შეიძლება ასეთი მიჯნური არ ტიროდეს? და, რაც უფრო დიდია სიყვარული, რაც უფრო ღრმა და ძლიერია, მით მეტი შანსი აქვს ეშმაკს, რომ ზეიმი მწუხარებად აქციოს, ეგოიზმი კიდევ კომიზმად.

**ნიჰილისტი** - (ნიჰილისტი წამოდგება, გადის წრიდან.) „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა".

**ახალგაზრდა ქალი** - (ჯერ სკამზე მჯდომარე მიუბრუნდება) რა იყო, ნიჰილისტო, შენც ნაღალატევი სიყვარულიდან მიდიხარ? შენც იგემე მაგ მწარე ნაყოფის გემო.

**ნიჰილისტი** - მე ნაყოფებს არ ვეტანები.

**ახალგაზრდა ქალი** - (ჯერ ისევ სკამიდან გასძახებს მოსიარულე ნიჰილისტს) არასოდეს გყვარებია?
(კარგა ხნის პაუზა და უცებ გაღიზიანებული ნიჰილისტი ნერვულად) მოულოდნელი ისტერიულობით)

**ნიჰილისტი** - მე სამშობლო მიყვარდა და გამიყიდეს!

**ახალგაზრდა ქალი** - (ესპანელი მოცეკვავის მანერებით წამოდგება და, თითქოს მსხვერპლს ეპარება, აღიზიანებს) არასოდეს გყვარებია?

**ნიჰილისტი** - მე მთა-ბარი გამიყიდეს!

**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
(წრეში მყოფნი ნელ-ნელა ჯერ ბარძაყზე ირტყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ ხელს რიტმულად: ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა, მერე ჩუმად ტაშზე გადადიან)
**ნიჰილისტი** - ჩემი ფუცხუნა მუავე წყლები!
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ჩემი მარმარილო და მინერალები!
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
(ტაშის ხმა ოდნავ მატულობს, ნიჰილისტი შეკითხვას იცილებს თითქოს)
**ნიჰილისტი** - გოგოები, სტამბულში გაყიდული!...
**ქალი** - არასოდეს გყოლია?
**ნიჰილისტი** - ბიჭები აქვე გაპედერასტდნენ!..
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ვინც არა, ყველა ჩახოცეს!
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - გზაზე ორი ხარი მიდიოდა.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ნიშა და ნიკორა.
**ქალი** - არასოდევს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ბუჩქებიდან 4 კაცი გამოხტა.
(მატულობს ხმაური - ტაშის)
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - მეურმეს ტყვია მიაჭედეს შუბლში.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ეს ორი ოთხმა გავიყოთო, კოფოზე შემოსხდნენ და სახრე დაუშინეს.
**ქალი** არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ძვრა ვერ უყო ოთხმა ორს.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ეს რა ხდება, ჩემი, ნაიხირმა როგორ უნდა გვაჯობოსო?!
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
(ტაში თანდათან ხურდება)
**ნიჰილისტი** - წამოაქციეს და ორივეს ყელი გამოღადრეს.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - (ექსტაზში, გაბრაზებით) მერე აქნეს, დაანაწილეს, დაახარისხეს.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ბარკლები, ბეჭი, წინა გული ჩვენო.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ნეკნები, გულ-ღვიძლი, თირკმელები თქვენო.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - (ღრიალით) ასე დაკლეს ჩემი სამშობლო!!
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ასე გამოღადრეს ყელი!!!
**ქალი** - (ერთგვარი დაყვავებით) არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ასე ვერ მოვასწარი ვერაფერი.
**ქალი** - (მიუახლოვდა) არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ასე დაკლეს ჩემი კაცობა.
**ქალი** - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ასე აქციეს ყველაფერი არაფრად.
**ქალი** - (მიუახლოვდა, გულზე თავი მიადო) არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - ასე წამართვეს ყველაფრის უფლება.
(ტაში ნელ-ნელა ცხრება)
**ქალი** - (თანაგრძნობით, ზედმიწევნით დაყვავებით) - არასოდეს გყვარებია?
**ნიჰილისტი** - (თითქოს ახლაღა გაიცნობიერა შეკითხვა) ასე წამართვეს სიყვარულის უფლება.
**ქალი** - მაგ უფლებას ვერავინ წაგართმევს ღმერთის გარდა.
**ნიჰილისტი**- (დაღლილი) მერე სადაა ეგ შენი ღმერთი.
**ქალი** - ჩუჩ, ჩუ, ჩუ, ჩუ (ტუჩზე თითმიდებული) ღმერთი სიყვარულია!
**ნიჰილისტი** - შენ გინდა, თქვა, რომ ღმერთი ჩვენთანაა?
**ქალი** - ღმერთი სიყვარულია და ღმერთი ჩვენთანაა.
**ნიჰილისტი** - (მექანიკურად, მშვიდად იმეორებს) - ღმერთი სიყვარულია და ღმერთი ჩვენთანაა.
(მოულოდნელად სასოწარკვეთილი აღშფოთებით) **მაშინ სად არის ჩემი უფლებები, ღმერთო!**
(და სწორედ ამ დროს ყოფილი „დისიდენტი", ამჟერად ადამიანის უფლებების დამცველი, პარტერიდან, მინის აქეთა სამყაროდან წამოვარდება და გაafთრებული ყვირის) **უფლებები, უფლებები, „მე არ მიღალატია", „მე სიყვარულისთვის არ მიღალატია"** (არბის სცენაზე და მინაზე აბრახუნებს... არ უღებენ, სცენაზე ჯერ თითქოს არც არავის ესმის მისი ყვირილი, მერე მუშტებს დაუშენს მინას, ყვირის „გამიღეთ". კარგა ხანს არ უღებენ, გამიღეთო იმუქრება. მაესტრო გამოჩნდება - თეთრხალათიანი და ჯამბაზისქუდიანი. იქით მხრიდან ეუბნება!)
**მაესტრო** - აქეთ სასოწარკვეთილთა თეატრია, აქ ჩვენი ზონაა. შენ ჯანმრთელი ხარ, შენ იფურჩქნები... (ხელითაც ანიშნებს) შენ მანდ უნდა დარჩე.
**დისიდენტი** -
**ადამიანის უფლებების დამცველი** - ღმერთი ჩვენთანააო.
**მაესტრო** - ეს ისე, ისე, სიტყვის მასალად, სადაა ღმერთი, ვერ ხედავ, რას დავემსგავსეთ?
**დისიდენტი** - (ეჭვით) არა, გაჩუმდი, გამიღე, გამიღე (ურტყამს ფეხებს)
**მაესტრო** - რა გინდა მანდ დარჩი. აქ, ხომ ხედავ, გულის ბუხრებს ბერტყავენ, კარგად ვერ არიან. (საფეთქელთან თითს იტრიალებს) შენ არაფერი გაქვს არც ამოსაბერტყი, არც ამოსარწყევი. შენ სუფთა ხარ, წესიერი, უცოდველი. შენ არა გაქვს გულის ჯავრები. ეს ჩვენი ხვედრია, ცოდვილების, რწმენას ადევნებულების, ერთგულების, გიჟებისა და ოხრების, ჭლექიანებისა და ავადმყოფების. ეს ჩვენი პრიორიტეტია, ბოლო-ბოლო, ეს ჩვენი ზონაა - კეთროვნების, საშიშების, განწირულების. თქვენ მაყურებლის სტატუსი გაქვთ, თქვენი სხვა თამაშია. აქ თამაში არაა, აქ სასოწარკვეთაა, დარჩი, დარჩი, მანდ დარჩი, დამიჯერე!
**დისიდენტი** - არა, არ მინდა.
**მაესტრო** - რა არ გინდა?
**დისიდენტი** - არ მინდა აქ.
**მაესტრო** - რატომ არ გინდა, კაცო?
**დისიდენტი** - მე კაცი არა ვარ.
**მაესტრო** - აბა, ქალი ხარ?
**დისიდენტი** - მე კაცი აღარა ვარ.
(მაესტრომ ხმაში სასოწარკვეთა შეატყო და შეათრია...)
**მაესტრო** - ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ ... არავინ გაგვიგოს.
**დისიდენტი** - გაგვიგონ მაგათ!..
**მაესტრო** - შენ გინდოდა, გეკითხა კაცია-ადამიანი?!
**დისიდენტი** - (თანხმობისა თუ უარის ნიშნად ერთდროულად იქნევს და აქნევს თავს) მე კაცი აღარა ვარ. შენ იცი, მე დისიდენტი ვიყავი...
**მაესტრო** - ვინ იყავი?
**დისიდენტი** - მე დისიდენტი ვიყავი და დისიდენტად დავრჩები.
**მაესტრო** - ამ სისქე, კაცო? მაშ, ცოტა უნდა დაიკლო, უხერხულია.
**დისიდენტი** - მე ადამიანის უფლებებს ვიცავ, ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის უფლებები მაზარია.

**მაესტრო** - ჰოდა, ძალიან კარგი, ძალიან კარგი. მით უფრო უნდა დაიკლო წონაში, თორემ...

**დისიდენტი** - (მზაკვრულად) თორემ ძალიან გამჭვირვალეა ეს ყველაფერი, არა?

**მაესტრო** - გულთმისანი ხარ, რომ იტყვიან...

**დისიდენტი** - მე... მე... მე გამტეხეს, ჩამკლეს, დედა მომი...

**მაესტრო** - ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ, (ხელჩაკიდებული სიღრმეში მიჰყავს) მშვიდად, მშვიდად.

**დისიდენტი** - ჰო, მიყიდეს, დედა მიტირეს...

**მაესტრო** - ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ,... ეგეთი ლაპარაკი სარისკოა.

(უახლოვდება ერთ-ერთი ქალი, რომელსაც მოაქვს ეკლის გვირგვინი)

**ქალი** - კიდევ ერთი სასოწარკვეთილი (თავზე დადგმას უპირებს).

**მაესტრო** - (ხელით ანიშნებს) არ გინდა, არ გინდა, შუბლს გაუკაწრავს, სისხლი წამოუვა.

**ქალი** - (გაკვირვებული) აბა, როგორ უნდა, მაესტრო, სისხლიც უნდა წამოუვიდეს და კიდეც უნდა ეტკინოს, ეგ ხომ სასოწარკვეთილია. (ისევ თავისას ცდილობს)

**დისიდენტი** - (აგრესიულად) ვინ არის სასოწარკვეთილი, შე მათხოვარო, მე ვარ სასოწარკვეთილი?

(რატომღაც მივარდება და წიხლებს დაუშენს ძეგლების კაცს)

**ძეგლის კაცი**- მაესტრო, რატომ შემოუშვით?

**დისიდენტი** - ვინ არის ამის შემოსაშვები, შე ნაბიჭვარო.

**ქალი** - როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო.

**დისიდენტი**- ბატონო ჩემო არა, შე ცერემონმეისტერო.

**ქალი** - მერე რა, რომ ჩვენთვის თქვენ არ არსებობთ. რაც უნდა იყოს, მაინც სახელმწიფო პალატაში (პარლამენტში) **ზიხართ.**

**II ქალი** - (ფრთხილად) მიბრძანდით ლოჟაში (პარტერში).

**დისიდენტი** - ვინ არ არსებობს. მოდი ერთი, შე თუთიყუშო, შენ გამაგიჟე, შენ ჩამითრიე, რო ჩართე და აღარ გამორთე (დასცინის) „არასოდეს გყვარებია", „არასოდეს გყვარებია..." მოდი, გაჩვენო. მე ვიცი შენი სიყვარული, მე ვიცი, შენ რაც გინდა.

(ამას კი აღარ მოითმენს ნიჰილისტი და მოულოდნელად ისე ლეწავს ადამიანის უფლებების დამცველს, რომ ეს უკანასკნელი იატაკზე გაიშხლართება, პარტერიდან წამომხტარი რამდენიმე კაცი სცენაზე შეხტომას აპირებს, გაისმის ყვირილი) **„ასე ირღვევა ადამიანის უფლებები, ამისთვის თქვენ პასუხს აგებთ..."** (წამომხტარი ყოფილი დისიდენტი მაესტროს ეჩურჩულება):

**დისიდენტი** - ისევ არ შეეშვი მარადიულ ბალაგანს ხო, შე არტისტების ხელმწიფევ... ნახე, მე შენ რა გიყო, შენი არტისტებიანა როგორ ჩაგალპო ციხეში.

**მაესტრო** - (ღიმილით) ვინა, მე?

**დისიდენტი** - ჰო, შენა, შენა.

**მაესტრო** - ვერა, ვერა, პრივატიზებულია.

**დისიდენტი** - ჰო, შენ, შენ, შე ბუნტისთავო.

**მაესტრო** - ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

**დისიდენტი** - მოგიკლავ მე შენ გულს... შენისთანებს ჩაულპიათ ციხეში. ტოჟე მნე ახმეტელი. კაცი არ ვიყო თუ არ ჩაგალპო!..

**მაესტრო** - აკი კაცი არა ვარო. არ დაგიჯერე. ღმერთმა შეგინდოს, შვილოო.

**დისიდენტი** - ახლა პადრეც გახდი, არა? ვინაა შენი შვილო, შენი დედაც...

**მაესტრო** - შენი დედაც და შენი მამაც (გაუქნევს და ხეთქავს ყბაში, დისიდენტი მოულოდნელობისგან დაბარბაცდება, დაიბღავლებს პარტერისკენ, აწკარუნდება მობილური, ისმის სირენების ხმა)

**დისიდენტი** - რაღას უცდით თქვენი (შორიდან მოისმის სირენების ხმა, სცენაზე შეიჭრებიან პოლიციელები „დუბინკებით" არის ერთი გაქაჩვ-გამოქაჩვა, ყველას ცემა-ტყეპით და წიხლების ზელვით მიათრევენ გალიებიან მანქანებში ჩასაყრელად. იჭერენ ყველას, მათ შორის, გამნათებელ გარსევანსაც, რომელიც თავისი პროჟექტორის თვალით ყველას გიჟივით დასდევდა ზემოდან. ბოლოს სწორედ მას ასძახებენ)

**პოლიციელი** - შენ ეი, ჩამოეთრიე, არ ამომიყვანო მანდ.

(გარსია ჩამოდის და წინააღმდეგობის გარეშე ბარდება.)

## (ფარდა)

**(ბნელდება)**

(შიშის ატმოსფერო მოხსნილია, მიუხედავად იმისა, რომ სცენა პირქუშია... იგრძნობა, რომ ამ მდაბიო გრძნობისაგან პერსონაჟები: პაციენტები-მსახიობები განთავისუფლდნენ, უფრო მეტიც, მათ ინტონაციას, აზრებს, მანერებს ერთგვარ ქვეტექსტად ეშმაკობაც გასდევს, მაესტროს სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოიცილეს სასოწარკვეთის მწარე ეკლები და ცხოვრებას ალღო აუღეს". დაკითხვა უნდა იყოს სერიოზულ-ეშმაკურ-ირონიული-სარკასტულიც კი. პაციენტები აკრეფილები, მიზნიანები, ამიტომ ძლიერები. ბევრ რამეს უნდა აეხადოს ფარდა და ეს სცენა უნდა იყოს, ფაქტობრივად, კვანძის გახსნა).

(სიბნელეში ისმის გამომძიებლის, იგივე ადამიანის უფლებების დამცველის ბრძანება „შემოიყვანეთ!..." სცენა ნათდება... ტაბურეტზე ზის კაცი, რომელსაც გამნათებელი პროჟექტორის რკალში მოაქცევს. გამნათებელი აქაც გარსიაა, ოღონდ ოფიციალურად ჩაცმული. იქვე პატარა, მაღალ მაგიდასთან საბეჭდ მანქანას უზის მდივანი ქალი... უფლებების დამცველს ხელში უჭირავს „დუბინკა"... დაბალ ხმაზე ჩართულია ირაკლი ჩარკვიანის „შენ აფრენ")

**გამომძიებელი**- თქვენ იცნობთ თქვენს ბრალდებას?

**გამხდარი კაცი** - (გაკვირვებული) ბრალდებას?

**გამომძიებელი** - დიახ, ბრალდებას... თქვენ ბრალად გედებათ ანტისახელმწიფოებრივ სპექტაკლში თამაში.

**გამხდარი კაცი** - თამაში სპექტაკლში?

**გამომძიებელი** - დიახ, თამაში. რა, არ თამაშობდით?

**გამხდარი კაცი** - არა, ჩვენ არ ვთამაშობთ, ჩვენ ვართ ავადმყოფები და ვსუნთქავთ.

**გამომძიებელი** - სხვის მაგივრად ნუ პასუხობთ, ილაპარაკეთ თქვენს თავზე

**გამხდარი კაცი**- არა, მე არ ვთამაშობ, მე ვსუნთქავ.

**გამომძიებელი** - თქვენ სუნთქავთ?

**გამხდარი კაცი** - დიახ.

**გამომძიებელი** - კარგი, დავარქვათ თამაშს სუნთქვა... ვინ მოგცათ სუნთქვის უფლება?

**გამხდარი კაცი** - მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამომძიებელი,** - მამამ? ვინაა მამათქვენი, ეგ დიდი რეჟისორი, არა? ტაკიმასხარა...
**გამხდარი კაცი** - ჩემი მამა არის თქვენი მამა.
**გამომძიებელი** - ეგ როგორაა ჩემი მამა შენი მამა?!
**გამხდარი კაცი** - ჩვენ ყველას ერთი მამა გვყავს.
**გამომძიებელი** - შე ჩლუნგო, შენი მამა ჩემი მამა როგორ იქნება.
**გამხდარი კაცი** - მე ჩლუნგი არა ვარ... თუ მაინცდამაინც, იქნებ, გონებასუსტი იხმაროთ.
**მდივანი ქალი** - (გამომძიებელს) იქნებ, მამაშენმა იეშმაკა სადმე.
**გამომძიებელი** - (სერიოზულად) რამდენი წლისაა ეგ მამაშენი?
**გამხდარი კაცი** - მამაჩემი სამყაროზე ხნიერია.
**გამომძიებელი** - ეგ როგორ გავიგოთ?
**მდივანი ქალი** - (ასწრებს) ესე იგი, ძალიან ბებერია.
**გამომძიებელი** - (შვებით ამოისუნთქავს) მამაჩემი ძალიან ახალგაზრდაა.
**გამხდარი კაცი** - დიახ, ჩვენი მამა არის ძალიან მოხუცი და ძალიან ახალგაზრდა ერთდროულად.
**გამომძიებელი** - (წყობიდან გამოდის) ნაბიჭვარო! ჩემი მამა ჩემი მამაა, შენი მამა - შენი, გაიგე?
**გამხდარი კაცი**- (მშვიდად) ჩვენ ერთი მამა გვყავს.
**გამომძიებელი** - (გაცოფებული) შენ აფრენ, შენ აფრენ, აფრენ!

(ამ ადგილას კასეტა თუთიყუშივით იმეორებს „შენ აფრენ, შენ აფრენ, შენ აფრენ..." გამომძიებელი მაგნიტოფონს ზემოდან მუშტს არტყამს)

**გამხდარი კაცი** - (ღიმილით, მშვიდად) სწორია ჭაბუკი, ჩვენ ყველანი ვაფრენთ, გაფრენა გვინდა და, რაც უფრო სწორად ვიცხოვრებთ, მით უფრო მალე გავაფრენთ, მით უფრო იოლი იქნება ფრენა!..
**გამომძიებელი** - (მიუბრუნდება მდივან ქალს) ამას რა დაკითხვა უნდა, ამ ჩემისას, აშკარა შიზოფრენიკია.
**მდივანი ქალი** - კარგი რა! ცოდოა! სახეზეა ფრენის მანია.

(გამხდარ კაცს ისევ ღიმილი აფენია სახეზე)

**გამომძიებელი** - გაიყვანეთ!

(წამით ბნელდება, განათების დროს სკამზე ახალი პაციენტი ზის, ძეგლების მცველი. მისი ინტონაცია მიდის მეგრულ ტონალობაში, სინტაქსიც მეგრულია. ცდილობს ზედმიწევნით ლიტერატურული ქართულით ისაუბროს.)

**გამომძიებელი** - რამდენადაც მახსოვს, თქვენ ტერორისტს თამაშობდით სპექტაკლში.
**ძეგლების კაცი** - სულ პირიქით.
**გამომძიებელი** - რა სულ პირიქით?
**ძეგლების კაცი** - სულ პირიქით ვაკეთებდი.
**გამომძიებელი** - ეგ რას ნიშნავს, სულ პირიქით აკეთებდი?
**ძეგლების კაცი** - ტერორისტს როგორ ვითამაშებდი?!
**გამომძიებელი** - რატომ ვითომ?
**ძეგლების კაცი** - ტერორისტები მძაგს შავი ჭირივით.
**გამომძიებელი** - აბა, შუაღამისას რას დაეთრეოდი?
**ძეგლების კაცი** - სად დავეთრეოდი?
**გამომძიებელი** - რა ვიცი, სად არა. ენაგადმოგდებულები დაგდევდნენ ჩვენი ბიჭები - ერთ წამში რომ ვაკეში იყავი, მეორე წუთში „ნაბერეჟნზე" მოგკრავდნენ თვალს.
**ძეგლების კაცი** - (ნასიამოვნები, სიცილით) ეგ მართალია, მალი ვარ, მალი!
**გამომძიებელი** - მალი ხარ და მარდად აწყობდი ძეგლებში დეტონატორებს, არა?
**ძეგლების კაცი**- სულ პირიქით!
**გამომძიებელი** - რა სულ პირიქით
**ძეგლების კაცი** - სულ პირიქით, ჩემო ბატონო, დეტონატორები გამომქონდა პიედესტალიდან.
**გამომძიებელი** - (იცინის) საიდან?
**ძეგლების კაცი** - კვარცხლბეკის ფუღუროდან. ძეგლებს ვიცავ, ასე რომ ვთქვათ, ძეგლის კაცი ვარ მე...
**გამომძიებელი** - ე.ი., იცავდი არა?
**ძეგლების კაცი** - დიახ, ვიცავდი და კვლავაც დავიცავ; თუ გამიშვებ, სულ ყველას დავიცავ. რა კარგი ძეგლებია მერე ამ ქალაქში.
**გამომძიებელი** - ვისგან იცავდი მაინც.
**ძეგლების კაცი** - ვისგან და... თქვენგან, ჩემო ბატონო.
**გამომძიებელი** - (გაკვირვებული) ვისგან?
**ძეგლების კაცი** - თქვენგან, თქვენგან, ადგილობრივებისგან.
**გამომძიებელი** - (თითს მიიდებს გულზე, ვითომ პირადად ჩემგანო) ჩემგან?
**ძეგლების კაცი** - (ოდნავ შეწუხებული) არა, მაგალითად, პირადად თქვენ ვერ დაგადებთ ხელს, მაგრამ თქვენნაირებისგან, ნამდვილად.
**გამომძიებელი** - ჩემისთანებისგან?
**ძეგლების კაცი** - დიახ, ბევრი ხართ თქვენისთანები.
**გამომძიებელი** - (დაცინვით, ღიმილით) თქვენისთანები რამდენი ხართ?
**ძეგლების კაცი** - ჩემისთანები ცოტა, ძალიან (გაფარჩხავს თითებს და ბრიყვული გამომეტყველებით) ა! არ ვიცი, თუ იქნება ამდენი.
**გამომძიებელი** - ე.ი., ჩემისთანები არიან ტერორისტები და ჩვენ ვაფეთქებთ ძეგლებს?
**ძეგლების კაცი** - ლოღიკურად ასე გამოდის.
**გამომძიებელი** - მაინც რატომ უნდა ამეფეთქებინა?
**ძეგლების კაცი** - (პაუზის მერე გაბრაზებული) იმიტომ, რომ არ გინდათ თქვენ არც მეფობის ინსტიტუტი, არც კულტურა, არც მეცნიერება, არც ხელოვნება... არაფერი არ გინდათ თქვენ.
**გამომძიებელი** - ე.ი., არაფერი არ გვინდა ჩვენ...
**ძეგლების კაცი** - (დაბეჯითებით) არა, არაფერი! თქვენ გინდათ მარტო კომპიუტერი და დოლარი... კერპთაყვანისმცემლები ხართ თქვენ!
**გამომძიებელი**- თქვენ ვინ ხართ?
**ძეგლების კაცი** - ჩვენ ქრისტიანები ვართ და კიდევ კაცები ვართ, ადამიანები... და ვიცავთ ამიტომ ფიროსმანებს, გორგასლანებს, გურამიშვილებს, ქართლის დედებს, მუსხელიშვილებს, ვეფხვებს და ბიჭებს.
**გამომძიებელი** - (სიცილით) ე.ი., თქვენ იცავთ.
**ძეგლების კაცი** - დიახ, ვიცავთ.
**გამომძიებელი** - ვეფხვებს და ბიჭებს ჩვენგან...
**ძეგლების კაცი** - ლოღიკურად ასე გამოდის.
**გამომძიებელი** - შენისთანები რამდენი ვართო, რა თქვი?
**ძეგლების კაცი** - (იღრიჭება საგანგებო სიბრიყვით) ჩემისთანები ცოტა ძალიან, ა! არ ვიცი, თუ იქნება ამდენი (ფარჩხავს ხუთ თითს).

(გამომძიებელი შეტრიალდება მდივანი ქალისკენ)

**მდივანი ქალი** - (კომპეტენტურად) სახეზეა გამოკვეთილი გრანდიომანია.
**გამომძიებელი** - მერე მე გამომძიებელი ვარ თუ ფსიქიატრი.
**ძეგლების კაცი** - ეგ სულერთია დღეს.
**გამომძიებელი** - (მოთმინებადაკარგული) გაიყვანეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გამაგიჟებს) შემდეგი!

(ქრება... ინთება... სკამზე ზის ქალი, მშვიდი, კეთილგონიერი, თბილი ინტონაციით, ოდნავ ზეაწეული პათოსით, მაგრამ რამდენიმე მომენტში დაფიქსირდება მისი ეშმაკური სიფხიზლე... ისე მისი განწყობილება ოდნავ ეიფორიულია.)

**გამომძიებელი** - როგორც ამბობენ, ფეხმძიმედა ხართ სპექტაკლში.

**ფეხმძიმე** - დიახ, ასეა, შვიდი წელია უკვე.

**გამომძიებელი** - შვიდი წელია... აჰა...

**ფეხმძიმე** - დიახ, ასეა.

**გამომძიებელი** - (მოულოდნელი სიბრაზით) ვინ მოგცათ ამის უფლება.

**ორსული** - სიყვარულმა.

**გამომძიებელი** - სიყვარულმა თუ იმ ბებერმა გენიოსმა?

**ორსული** - ვერ გავიგე, რას მეკითხებით?

**გამომძიებელი** - (დაცინვით) ჰო, შენც ავადმყოფი ხარ, არა? არც შენ თამაშობდი?

**ორსული** - მე არც ვთამაშობდი და არც ავადმყოფი ვარ, მე ვარ ორსული.

**გამომძიებელი** - რას ნიშნავს სიყვარული?

**ორსული** - ეს იმას ნიშნავს, რომ მე, 7 წლის ორსულმა, უნდა მოვიკრიბო უკანასკნელი ძალა, მოვაღწიო შენამდე (წამოდგება) და მკერდზე ყური მოგადო... და მე გავაგონებ, როგორ გამალებით გიცემს შენ გული... (ფეხათრევით მიდის კაცთან) რამდენი ხანია, აღარ გაგიგონია საკუთარი გულის ძგერა...

**მდივანი** - ფრთხილად, ფრთხილად, თორემ მამობას აიკიდებ, ქალი ვარ და დამეჯერება.

**ორსული** - (ისე, რომ არც გახედავს) თქვენ ქალი არ ხართ, თქვენ ხართ შიში.

**გამომძიებელი** - როდის უნდა იმშობიარო?

**ორსული** - არ ვიცი, ეგ თქვენზეა დამოკიდებული.

**მდივანი ქალი** - ხომ გეუბნებოდი, ფრთხილად-მეთქი.

**გამომძიებელი**- მე რა შუაში ვარ, ხომ არ გაგიჟდი, ქალო!

**ორსული** - მე არ გავგიჟდი, სამყარო შეიშალა.

**გამომძიებელი** - მაგაში მართალი ხარ, ყველა შეიშალა.

**ორსული** - რა კარგია, როცა მეთანხმებით, რა კარგია თანხმობა.

**მდივანი ქალი** - ფრთხილად, ფრთხილად-მეთქი!

**ორსული** - (მიხედავს) რა იყო, ეჭვო?

**გამომძიებელი** - როდის დაფეხმძიმდი?

**ორსული** - როგორც კი გავჩნდი, უკვე ფეხმძიმედ ვიყავი.

**გამომძიებელი** - და არ იცი, ვისგან?

**ორსული** - ცოდვისგან, ე.ი., თქვენგან და სიყვარულისგან, ე.ი. ისევ თქვენგან.

**გამომძიებელი** - ეგ როგორ გავიგო, რას ნიშნავს შენი ქარაგმები.

**ორსული** - ეგ ნიშნავს, რომ ცოდვაში გიდგათ ფეხი, მაგრამ მე მეცოდებით და მიყვარხართ.

**გამომძიებელი** - თუ ცოდვაში მიდგას ფეხი, რატომღა გიყვარვარ?

**ორსული** - იმიტომ, რომ ხსნა მიტევებაშია.

**გამომძიებელი** - აჰა, მიგიხვდი, მიხსნა, გინდა; მხსნელი ხარ ჩემი, სწორ გზაზე უნდა დამაყენო (დამყენებელი).

**ორსული** - (თავისთვის, არ უყურებს) ხსნა მხოლოდ მიტევებაში და სიყვარულშია და კიდევ სინანულში. (მიუბრუნდება გამომძიებელს) იცოდეთ, უნდა მოინანიოთ ყველაფერი.

**გამომძიებელი**- (როგორც გიჟს, ისე ფრთხილად) მოვინანიებ... მოვინანიებ...

**მდივანი** - (გამომძიებელს სიცილით) მაინც რამდენი ქალი გყავთ დაორსულებული?

**გამომძიებელი**- (მოულოდნელად მიუბრუნდება) შენიანად, ასე ორმოცი.

**ორსული** - (თავისთვის) ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

**მდივანი ქალი** - სახეზეა მხსნელის მანია-იდეაფიქსი. (გამომძიებელი ხელით ანიშნებს მდივანს გაჩუმდიო, თან ეიფორიაში მყოფ ორსულს უსმენს)

**ორსული** - ორმოცი წელი.

**მდივანი ქალი** - ა, ბატონო! ხომ ვთქვი, ახლა ეგვიპტესაც ახსენებს, მოსესაც დაირქმევს და დაიწყებს, რომ ეს არის უდაბნო, გოდება უდაბნოში.

**გამომძიებელი**- ორმოცი წელი ძალიან დიდი დროა...

**ორსული** - ორმოცი წელი... რა არის ორმოცი წელი, შე სულსწრაფო.

**გამომძიებელი** - (მდივანს ეკითხება) გავუშვათ?

**მდივანი ქალი** - (ვითომ გაბუტული, კეკლუცად) ნება შე... თქვენია.

**ორსული** - თქვენობითზე როდის გადახვედი, მრუშო.

**გამომძიებელი** - გავუშვათ, აქვე არ შობოს.

(ქალი გაჰყავთ, გასვლის წინ: „იცოდეთ, უნდა მოინანიოთ!" ქრება, ინთება, სკამზე ზის ნიჰილისტი)

**გამომძიებელი** - ოოო! ნიჰილისტო, ნიჰილისტო, ყველაზე შთაგონებით შენ თამაშობდი.

**ნიჰილისტი** - დაგევასე, ასე ვთქვათ.

**გამომძიებელი** - ჰო, მაგრამ თამაშობდი.

**ნიჰილისტი** - მე არ ვიცი, რა არის თამაში, მით უფრო, შთაგონება.

**გამომძიებელი** - არ იცი, არა?

**ნიჰილისტი** - არა, არ ვიცი.

**გამომძიებელი** - კარგი, ნიჰილისტო, ნუ გაახურე.

**ნიჰილისტი** - ნიჰილისტს გახურება არ შეუძლია, ნიჰილისტის სიცხე ყოველთვის ოცდათხუთმეტსა და ოცდათექვსმეტ გრადუსს შორის თამაშობს.

**გამომძიებელი** - სიცხე თამაშობს... თვითონ კი ცოცხალ-მკვდარია.

**ნიჰილისტი** - თვითონ ნელთბილია, ანუ გულგრილი, ყველაზე მეტად არ უყვარს ნელთბილები უფალს, ამიტომ არც ნიჰილისტს უყვარს ეგენი.

**გამომძიებელი** - შენ ეგ საკენკი სხვებს დაუყარე, კარგად ვიხილე შენი აღმაფრენები.

**ნიჰილისტი** - აღმაფრენებით?! შენ, ძმაო, სუ არ ყოფილხარ აზრზე - სად ნიჰილისტი და სად აღმაფრენები, დაღმაფრენები რო გეთქვა, კიდევ ჰო...

**გამომძიებელი** - აბა, აბა, საწყალი ნიჰილისტი...

**ნიჰილისტი** - ნიჰილისტი მოდის სიტყვა ნიჰილიზმისგან, ნიჰილიზმი კი, არ გცოდნია, რას ნიშნავს.

**გამომძიებელი** - აბა, ერთი ამიხსენი, ჭიგარო.

**ნიჰილისტი** - კარგი, აგიხსნი: ნიჰილისტს არ სჯერა, რომ შენ გამომძიებელი ხარ და მართლა გინდა, გამოიძიო საქმე, ეს ერთი; მეორე - ნიჰილისტს არც ის სჯერა, რომ აი ის მდივანი ქალია და აქ იმიტომ ზის, რომ მართლა უნდა დაბეჭდოს ოქმი.

**გამომძიებელი** - (გულუბრყვილოდ) აბა, რა უნდა მაგას?

**ნიჰილისტი** - მაგას ის უნდა, რაც შენ გინდა, მაგრამ მე სუ ფეხებზე მკიდია, რაც თქვენ გინდათ. არც მა-

გისი მჯერა, რომ საერთოდ რამე გინდათ და მით უფრო, რაიმე შეგიძლიათ. თუ მაინც შეგიძლიათ, მერე რა გამოვიდა მაქედან და, თუ მაინც გამოვა გოგო ან ბიჭი, ის გოგო და ბიჭი მალე მოხუცდებიან და იქცევიან მიწად (მტვრად).

**გამომძიებელი** - მიწა ხარ და მიწადვე იქცევიო.

**ნიჰილისტი** - ოო! მეც მანდა ვარ, კიდევ მე რომ მაბრალებენ ნიჰილისტობას. გამოვძვერი თუ არა და დავადგი ხახა - იქნება, რა უნდა მეთქვა, ეგ ფორმულა ამაფარეს ცხვირწინ... მომიჩოჩდა ერთი ბებერი კუდიანი, მომიხიცინა თითუნები ჭიპუკასთან და ენაც მომიჩლიქა: ლაო, პატალა, ლას შეშინდი... მიწა ხარ და მიწადვე იქცევიო.

**გამომძიებელი** - (სიცილით) მოგიხიცინა, არა? მაგარი ბებიაქალი გყოლია .

**ნიჰილისტი** - ბებიაქალები, მესაფლავეები... დიდი ანგარიშით ეგენი ყველანი ერთ საქმეში ტრიალებენ, ერთი წრის შეკვრას ემსახურებიან.

**გამომძიებელი** - ხიცინზე თუ გაგეცინა.

**ნიჰილისტი** - არ მეცინება; იუმორის გრძნობა მაქვს დაკარგული ისე, როგორც ტრაგედიისა... გაიგე?.. სულ ესაა ნიჰილიზმის თავი და ბოლო.

**გამომძიებელი** - სულ ესაა.

**ნიჰილისტი** - ესაა.

**გამომძიებელი** - (ეჭვიანად) მეტი არაფერი.

**ნიჰილისტი** - არაფერი.

**გამომძიებელი** - გამოდის, რომ მეც ნიჰილისტი ვყოფილვარ.

**ნიჰილისტი** - (დარწმუნებით იქნევს თავს) შენ ვერა.

**გამომძიებელი** - რატო ვითომ, მეც დაკარგული მაქვს იუმორის გრძნობა, მით უფრო ტრაგედიისა - რამდენი წელია, აღარ მიტირია.

**ნიჰილისტი** - აღარც გიცინია?

**გამომძიებელი** - (პაუზის მერე დაფიქრებით) მართალი რომ გითხრა, არც გულით მიცინია. ისე თუ დავაღებდი ხოლმე, შენი არ იყოს, ხათრით ხახას... რო ხორხოცებდნენ „ზა კამპანიუ..."

**ნიჰილისტი** - მაინც ვერ გახდები ნიჰილისტი.

**გამომძიებელი** - რატო, რა ეგეთი ორდენია, რო ვერ ვიყიდო?

**ნიჰილისტი** - ორდენი არა, კუბოა, ძაან გეჩქარება ჩაწოლა.

**გამომძიებელი** - კუბოში?

**ნიჰილისტი** - ჰო, კუბოში, ნიჰილიზმის გახამებული „რუშები" რომ აფენია და გიხიცინებს.

**გამომძიებელი**- (მძიმე პაუზა)

**ნიჰილისტი** - აი, ხომ ხედავ, სულ ერთი არაა შენთვის, ჩემთვის კიდევ სულ ერთია.

**გამომძიებელი** - ყველაფერი სულერთია?

**ნიჰილისტი** - აბსოლუტურად ყველაფერი.

**გამომძიებელი** - ისიც სულერთია, რა „სროკს" აიკიდებ?

**ნიჰილისტი** - ეგეც სულერთია, აი აქედან ახლა სახლში გამიშვებ თუ თქვენი დამპალი ციხის დამპალ საკანში მიკრავ თავს.

**გამომძიებელი** - მაგარი ბიჭი ხარ, არა!

**ნიჰილისტი** - ბიჭი არა ვარ, ნიჰილისტი ვარ.

**გამომძიებელი**- ჰო, ამ გახსენებაზეა, რა გქვია შენ?

**ნიჰილისტი** - რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ვერ დამეწევი.

**გამომძიებელი** - რას ვერ ვიზამ?

**ნიჰილისტი** - ვერ დამეწევი. მე უკვე გაღმა ვარ, შენ ჯერაც გზაში, პროცესში...

**გამომძიებელი** - (დაფიქრებული) გზაში ვარ?!

**ნიჰილისტი** - რა იყო, ყველა გზაში არაა? რა შეურაცხყოფად მიიღე.

**გამომძიებელი** - მაშ, გზაში ვარ, დამილოცე ერთი ეს გზა... (აწვდის წყლიან ჭიქას) დამილოცე გზა...

**ნიჰილისტი**- (ართმევს ჭიქას) ნიჰილისტს დალოცვა არ შეუძლია, არც დაწყევლა შეუძლია, ნიჰილისტმა, დიდი-დიდი, კიდევ ერთხელ აგისხნას, რა განსხვავებაა ჩვენს შორის - ე.ი., ნიჰილისტ მე-სა და არანიჰილისტ შენ-ს შორის. (დალევს წყალს და ჭიქას მაგიდაზე დგამს)

**გამომძიებელი** - აბა, მიდი!

**ნიჰილისტი** - შენ, არა, სულ რო ყველაფრის ინტერესი დაკარგო, იმის ინტერესს მაინც არ დაკარგავ, გაიგო, მართლა გადარჩეული ვარ თუ არა სიცილს... ერთი სული გაქვს ფეხის გულზე შემიხიცინო.

**გამომძიებელი** - ჰო, სულ შენ ტურტლიან ფეხისგულებზე ვოცნებობ.

**ნიჰილისტი** - ნიჰილისტს ფეხისგული არც ტურტლიანი აქვს და არც სუფთა. ეს გზაში მყოფებს ჰგონიათ, რომ ტურტლიანი ან სუფთა რამეს ნიშნავს... ნიჰილიზმს სულ ფეხებზე ჰკიდია ეგ ესთეტიზმი.

**გამომძიებელი** - ჰო, შენ მაესტროც ფეხებზე გკიდია. (დაეჭვებით)

**ნიჰილისტი** - ვინა, ეგ ექიმბაში?

**გამომძიებელი** - (ეჭვიანად) ფსიქოთერაპევტი ვარო, ირწმუნება.

**ნიჰილისტი** - მე სულ ცალ ფეხზე მკიდია, მართლა ფსიქოთერაპევტია თუ მართლა რეჟისორი. აბა, დაუკვირდი! დიდი ანგარიშით სულერთი არაა? ორივე გიჟების მომთვინიერებელია.

**გამომძიებელი** - შენც გიჟი ხარ, არა?

**ნიჰილისტი** - ეგეც ფეხებზე მკიდია, გიჟი ვარ თუ ჭკვიანი, გაიგე?

**გამომძიებელი** - გავიგე, გავიგე, აღარ გააგრძელო; ნაღდად გავიგე, ნიჰილიზმი რა ხილიც ყოფილა.

**ნიჰილისტი** - ამიტომ აღარ გინდა, არა, ნიჰილისტობა?

**გამომძიებელი**- აღარ, ძმაო, ნაღდად აღარ მინდა.

**ნიჰილისტი** - ეგრეა, მაშ, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია, ეს ისე, სიტყვის მასალად (ხალხური ინერციით), არ გეწყინოს.

**გამომძიებელი** - რა უნდა მეწყინოს, თუ ძმა ხარ.

**ნიჰილისტი** - ვირისგან წიხლი რა საწყენიაო, არა?

**გამომძიებელი** - ვახ, შენ ვინა ხარ, კაცო, რა თავბრუ დამახვიე.

**ნიჰილისტი** - ეგრეა, როცა ცალ კარში თამაშობ. არ გეწყინოს, ისე სულ ცალ ფეხზე მკიდია, თუ...

**გამომძიებელი** - (აწყვეტინებს) ვიცი, მჯერა, გავიგე, კარგად ამიხსენი.

**ნიჰილისტი** - ის მაესტრო-ექიმბაშიც ცალ ფეხზე მკიდია.

**გამომძიებელი** - (გულწრფელად) ვიცი. გეტყობოდა, თავიდანვე თამაშგარე მდგომარეობაში იყავი, აშკარა იყო.

**ნიჰილისტი** - თამაშ გარე, სახლს გარე, ოჯახს გარე, უნივერსიტეტს გარე, ქვეყნის გარე, მიწის გარე, ცის გარე...

**გამომძიებელი** - გავიგე, გავიგე. სულ ცალ ფეხზე გკიდია. თუ ვინმეს აქედან სახლში გავუშვებ, პირველი შენ იქნები. იცოდე.

**ნიჰილისტი** - ხო გითხარი. (უკვე ოდნავ გაბრაზებული) ამკიდებ, არ ამკიდებ, გამიშვებ, არ გამიშვებ, ეგეც სულ ცალ...

**გამომძიებელი** - (არ ამთავრებინებს, ყვირის) სუ ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეზე გკიდია, გაიყვანეთ მე ამისი ნიჰილისტი დედაც...
**ნიჰილისტი** - (არ ამთავრებინებს) ჰა... ჰა... არ შეიგინო იცოდე!... (გამომძიებელი უცებ აჩერებს გამყვანებს)
**გამომძიებელი** - მოიცათ, მოიცათ! (უახლოვდება ნიჰილისტს და მზაკვრულად ეკითხება) რა არ ვქნა, ნიჰილისტო?
**ნიჰილისტი** - (მცირე პაუზის შემდეგ) ისე, თუ გინდა შეიგინე, შენი დედაც... (გაჰყავთ მცველებს მუჯლუგუნით ისე, რომ ბრძანებას აღარ ელოდებიან... ბნელდება, სიბნელე დიდხანს გრძელდება, მოთმინებიდან გამოსული გამომძიებელი სიბნელეში ყვირის)
**გამომძიებელი** - რა ხდება, შემოიყვანეთ შემდეგი! (სიბნელიდან ისმის პასუხი) "შემოსულია, მანდ ზის, უფროსო, შემცვლელს ვეძებთ, რომ გაანათოს"...(ცოტა ხნის მერე ნათდება, ტაბურეტზე ზის გარსია-გამნათებელი... ზემოთ ახალი გამნათებელია)
**გამომძიებელი** - (აშკარა დაცინვით) ააა! ესეც ჩვენი თეატრის მზე!
**გარსი** - (იცინის, თან თავს აქნევს) ამომავალი მნათობი.
**გამომძიებელი**- მზეო, მზეო ცხრათვალაო, ეს რა როლი გაირტყი მაინც.
**გარსი** - ცხრა თვალი და ცხრა ყური და ცხრა ნესტო და ცხრა ხელი, სუყველა ერთად გამოვიბი.
**გამომძიებელი**- (დამფრთხალი, შეწუხებული) ვაიმე, დაიწყო ამანაც!
**მდივანი ქალი** - ეგ შივაა, ნუ გეშ; კეთილია...
**გამომძიებელი** - ეს ცხრა ნესტო მაინც რაღა უბედურებაა, რა ჯანდაბად გინდა.
**გარსი** - ასეთი იყო დავალება... ადამიანი თუ გამოჩნდა სადმე, უნდა სუნი იკრა, დაიჭირო, უნდა შევწვა, მოვხარშო, შევახრამუნო.
**გამომძიებელი** - (დამფრთხალი) ვერ გავიგე?! (თან მდივანს გასძახის) აკი კეთილიაო.
**გარსი** - რას გაიგებ, ახლად გამომცხვარო, ატესტაციის შემდგომდროინდელებს სხვა ტერმინები გაქვთ... ძველები კიდენა ძველებურად ჭრიან: (დაცინვით ბაძავს ძველების განკარგულებებს) „დევი უნდა იყო, დევი და როგორც კი ადამიანის სუნს იკრავ, უნდა ამოქმედდე".
**გამომძიებელი** - (დაცინვით, ვითომ გაგიგეო) ადამიანის სუნი... მოხარშო...
**გარსი** - ჰოდა, ხელი და ფეხი და თვალი და ყური სულ არაა საჭირო, სუნით უნდა დაასმინო, სუნით.
**გამომძიებელი** - (ვერ გებულობს) დაასმინო?!
**გარსი** - (თამაშობს) ჰო, აი ასე: „ადამიანის სუნი მცემს, ადამიანის სუნი მცემს", თან ვითომ დევი ხარ და ზღაპარს უყვები პატარებს. დიდები ამ დროს „სტარტზე" დგანან, ვინც გამგებია გაიგებს, ვინც ვერა და ცოპ... გაება ბიჭი მახეში... დავალებაც შესრულებულია...
**გამომძიებელი** - მერე შენ შეასრულე დავალება? (დაეჭვებით) რაღაც არ მახსოვს.
**გარსი** - როგორ გითხრა, ნაწილობრივ.
**გამომძიებელი**- რას ნიშნავს, ნაწილობრივ.
**გარსი** - ვიპოვნე ადამიანი.
**გამომძიებელი** - მერე იყვირე, ადამიანის სუნი მცემსო?
**გარსი** - (თავს იქნევს უარყოფის ნიშნად)
**გამომძიებელი** - არ იყვირე?
**გარსი** - ვერ ვიყვირე.
**გამომძიებელი** - რატომ, რამ შეგიშალა ხელი?
**გარსი** - ადამიანობამ.
**გამომძიებელი** - ადამიანობამ?
**გარსი** - ოოო! ეგ რთული შეკითხვაა, მაგას შენ ვერ მიხვდები, ჩათლახო!
**გამომძიებელი** - (გაოგნებული) რაო?
(მდივანი ქალი, დაცქვეტილი, ჩუმი სისინით აწყვეტინებს):
**მდივანი ქალი** - აგრესიულია! აგრესიულია!
**გარსი** - ვერ მიხვდები-მეთქი, ვერა, ჩათლახო.
(უცებ შეურაცხყოფილი გამომძიებელი წამოხტება და მოსეირნე გარსის წიხლის ჩაზელვას უპირებს, გარსი კარატეს ილეთით ფეხს ამოუტრიალებს და გამომძიებელი უგონოდ გაიშხლართება იატაკზე. მდივანი ადგილზე ქვავდება, სახეზე ღიმილშეყინული... ცოტა ხნის მერე გამომძიებელი წამოჯდება, გარსი ზემოდან დაჰყურებს ღიმილით):
**გარსი** - ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ, ბიჯოო!
**გამომძიებელი** - ერთ საქმეს?!
**გარსი** - მე დავალებული მქონდა მაესტროსთვის თვალყურის დევნება.
**გამომძიებელი** - შენ?!
**გარსი** - ბოლო არეულობის დროს მე „გადავარჩინე", ტომარა დავამხე თავზე.
**გამომძიებელი** - მაშ, ეს შენ იყავი გირჩების შემგროვებელი?!
**გარსი** - (ირონიული სიცილით) ჰო, მე ვიყავი მაგ ოპერაციის სულისჩამდგმელი. მე „ადამიანი", „ნატურალური", „მაყურებელი", თანაც მიზნიანი. (რომანტიკული აღტაცებით მაესტროს ბაძავს).
**გამომძიებელი** - ვახ, ჩემი, გავგიჟდები, ნაღდად შენ იყავი?!
**გარსი** - მე ვიყავი, მე „ადამიანი", ამიტომაც გაეხარდა მეორე ადამიანს... (მცირე პაუზა, მცირე სევდა) ადამიანს ყოველთვის უხარია ადამიანთან შეხვედრა.
**გამომძიებელი** - ეგ ხო ეგრეა.
**გარსი** - ვითომ?
**გამომძიებელი** - ნაღდად.
**გარსი** - მაშ, შენ ახლა გიხარია ჩემთან შეხვედრა?
**გამომძიებელი** - აბა, როგორ კაცო, მით უფრო...
**გარსი** - (აწყვეტინებს) ერთ საქმეს ვემსახურებით, არა?
**გამომძიებელი** - ვემსახურებით, მაშ!
**გარსი** - ჩვენ, სამივე ადამიანები, არა?
(მდივანი შეშინებული იღიმება)
**გამომძიებელი** - სამივე? (თითქოს ახლაღა გაახსენდა მდივანი ქალი, გახედავს) მერე რა რო ქალია, ეგეც ადამიანია.
**გარსი** - (სიცილით) ეგეც ადამიანია! კარგია! კარგი ხარ, ძალიან კარგი!
(შემოდიან სასამართლოს წევრები, იკავებენ თავთავიანთ ადგილებს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხის ჩაქუჩით ან ზარით მოითხოვს ყურადღებას. დარბაზი ჩუმდება. მოსამართლე წამოდგება).
**მოსამართლე** - მაშ ასე, ბატონებო, ჩვენი გამოძიება ფინიშს მიუახლოვდა, დაიკითხა ყველა ბრალეული და ექპმიტანილი, დაგვრჩა ერთი... სანამ ამ ერთსაც უკვე საჯაროდ დავკითხავდეთ, გამომძიებელს ვთხოვ, რეზიუმეს სახით დამსწრე საზოგადოებას საქმის ვითარება გააცნოს. (ჯდება)
**გამომძიებელი** - ხანგრძლივი და საგულდაგულო მოკვლევის შემდეგ დადასტურდა:
**პირველი** - ყოფილმა მაესტრომ, წარსულში სახელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანმა რეჟისორმა, ამ წლების განმავლობაში გაიარა ფსიქოთერაპიის უმაღლესი კურსები და მოიპოვა საერთაშორისო კლასის სერთიფიკატი, რომლის ძალითაც მას უფლება ენიჭება, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ისე როგორც საკუთარში, გახსნას კერძო კლინიკა და ამ კლინიკაში ფსიქოთერაპიასა თუ ფსიქიატრიაში არსებული, უფრო ზუსტად, დაშვებული ნებისმიერი ფორმითა და მეთოდებით აწარმოოს პაციენტებთან მუშაობა...

მეორე - გამოძიების მრავალთვიანი და საგულდაგულო კვლევის მეშვეობით ასევე დადასტურდა, რომ მსოფლიოს როგორც დრამატურგიულ, ასევე ლიტერატურულ სამყაროში არ არსებობს რაიმე თხზულება ან პიესა სათაურით „სასოწარკვეთილთა თეატრი“. ასე რომ, ჩვენ წინაშე იყო წმინდა წყლის ექსპერიმენტი, ფსიქოთერაპიული და არა თეატრალური თამაში, რომელიც პრაქტიკაში არსებული სიცილით მკურნალობის მეთოდის მსგავსად საკმაოდ ეფექტურ შედეგებს იძლევა.

მესამე - „თამაშის“ არც ერთი მონაწილე არ აღმოჩნდა ყოფილი მსახიობი და, რაც მთავარია, არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ ისინი სპექტაკლს თამაშობდნენ... *(ფურცლიდან თავს წევს, სათვალის ქვემოდან გახედავს დარბაზს და განაგრძობს)* ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს ეს ჯგუფი ყოფილი რეჟისორის თაოსნობით მიწისქვეშეთში განაგრძობდა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, არ დადასტურდა.

*(თეჯირს მიღმა მყოფი ბრალდებულები და გულშემატკივრები სიხარულით და ხმაურით ულოცავენ ერთმანეთს. გამომძიებელი გახედავს მოსამართლეს, მოსამართლე წამოდგება ჩაქუჩს სცემს მაგიდაზე და ხალხის დაშოშმინების შემდეგ თავად აცნობს დარბაზს)*

მოსამართლე - ასე, რომ, გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოთქმული, სასამართლოს შემადგენლობამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მათი უდანაშაულობის შესახებ.

*(ახლა კი მართლაც თავშეუკავებელი ხმაურითა და სიხარულით ყველანი მაესტროს ულოცავენ. მოსამართლე კვლავ არტყამს ჩაქუჩს მაგიდაზე და განაგრძობს)*

მოსამართლე - თუმცაღა არსებობს ერთი პერსონა, რომლის დაჟინებული მოთხოვნაც სასამართლომ შეასრულა და მისი დაკითხვის პროცესი თქვენს თვალწინ მოხდება... ამ პერსონამ ასევე დაჟინებით აგვიხსნა, რომ ჩვენ არ გვენდობოდა და ღია პროცესი სჭირდებოდა იმისთვის, რათა სრული სიმართლე ეღიარებინა მხოლოდ ხალხის წინაშე. *(მცირე პაუზა, ირონიულად)* თუმცაღა ეს ეგრეთ წოდებული „სიმართლე“ მან წინასწარ გამოძიებას უკვე ამცნო. *(მიმართავს გამომძიებელს)* გთხოვთ, კოლეგა.

გამომძიებელი - განსასჯელის სკამზე თქვენ ხედავთ ერთადერთ პიროვნებას, გარსევან მნათობიშვილს. მან დახურულ პროცესზე გაუგონარი ცილი დასწამა უშიშროების სამინისტროს მუშაკებს მის დამუშავებაში. *(ჩოჩქოლი დარბაზში, მოსამართლის ჩაქუჩი ან ზარი)*. მოხდა ისე, რომ ამ ბრალდებამ შემოპარული ჟურნალისტების მეშვეობით პრესაში გაჟონა, ყოველივეს მოჰყა საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნა, რომ პროცესი ღია ყოფილიყო. და აი, დღეს თქვენ საშუალება გეძლევათ, დაესწროთ ღია პროცესს. აქვე უნდა განვაცხადო, რომ მოქალაქე მნათობიშვილმა უარი განაცხადა ადვოკატის აყვანაზე და თქვა, რომ საკუთარ უფლებებს თავადვე დაიცავდა. ასე, რომ სიტყვას გადავცემთ მეორე მხარის ადვოკატს, რომელიც დაიცავს უშიშროების სამინისტროს უფლებებს.

*(ისევ ჩოჩქოლი, თავმჯდომარის ჩაქუჩი (ან ზარი), გამომძიებელი მიმართავს დამცველს)* „გთხოვთ, დაიწყოთ“!

ადვოკატი - ბატონო გარსევან, თქვენ დახურულ პროცესზე განაცხადეთ, რომ საიდუმლო ორგანიზაციის მიერ იყავით დამუშავებული, რათა თვალყური გედევნებინათ ყოფილი რეჟისორისთვის. აღიარებთ თუ არა ამ ცილისწამებას?

გარსი - ჯერ ერთი, დავიწყებ იმით, რომ მე მართლაც ბევრი ვიბრძოლე, ღია პროცესისთვის მიმეღწია და უნდა გამოგიტყდეთ, ვიბრძოლე არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ გამომდინარე იქიდან, რომ რაც შეიძლება დამესუსტებინა და საქვეყნო გამეხადა თქვენი ცილისწამება მაესტროსა და მისი ჯგუფისადმი. ასე, რომ ცილისმწამებლები თქვენა ხართ და არა მე... კარგი იქნებოდა, ჩემს წინ მარადიული წიგნი - ბიბლია ყოფილიყო, რათა მასზე ხელის დადებით მიმეცა ჩვენება.

ადვოკატი - *(ირონიით)* ამის აუცილებლობა არ გახლავთ, რადგან ძნელი გასარკვევია, - თუნდაც ბიბლიაზე ხელდადებული ნამდვილი მორწმუნე ხართ თუ არა...

გარსი - *(ირონიითვე)* აჰა, წინ გადადგმული ნაბიჯი, ე.ი., გამონაკლის შემთხვევებში გამორიცხავთ ამ ფორმალიზმს. კეთილი, ბატონო, ბიბლიის გარეშეც შეიძლება გამეორება. ღმერთი ისედაც ყველაფერს ხედავს.

ადვოკატი - არსებითზე გადავიდეთ, თუ შეიძლება. მაშ, ასე, ცვლით თუ არა ძველ ჩვენებას, მე ვიტყოდი, ცილისწამებას... იქნებ, რაიმემ თქვენგან და უშიშროების სამინისტროსაგან დამოუკიდებლად არსებულმა მიზეზებმა გაიძულათ, მიგეცათ ეს ცრუ ჩვენება. ხდება ხოლმე. გამოძიებაში ცნობილია მთელი რიგი ფსიქოლოგიური მომენტებისა, როცა განსასჯელი ერთს ფიქრობს, მაგრამ გარემომცველი აურა ან ვინმე კონკრეტული პიროვნება ახდენს მასზე ზეწოლას და იგი ჭეშმარიტების ნაცვლად რაღაც აბსურდულ ბრალდებებს აღიარებს.

გარსი - არანაირი აურა ჩემზე არ მოქმედებს, მით უფრო, ვერანაირი ზეწოლა ვერ მაიძულებდა, ბრალი დამედო უშიშროებისთვის. პირიქით, ფსიქოლოგიურ ზეწოლას მე ახლა განვიცდი, როცა არ გსურთ, დაიჯეროთ, რასაც ვამბობ. ფიზიკური ზეწოლა, კარგა ხანია, გავიარე.

ადვოკატი - *(შეუმჩნეველი ირონიით)* დიდი გულისყურით გისმენთ, რა ზეწოლაზეა ლაპარაკი.

გარსი - სულ რამდენიმე თვეა, მე შევედი ამ საიდუმლო სამსახურში. თუმცა ადრე, როგორც ეროვნული ფრონტის აქტიურ მონაწილეს, არაერთგზის შემომთავაზეს ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა.

ადვოკატი - *(დაცინვით)* და, რა თქმა უნდა, პატრიოტისგან უარი მიიღეს.

გარსი - დიახ, მე მათ დელიკატურად ვაგრძნობინე, რომ ეს არასოდეს მოხდებოდა. მე მათ ვერასდროს გამოვადგებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ადვოკატი** - და მაინც გამოადექით წლების მერე... რა მოხდა, რატომ უღალატეთ თქვენს პრინციპებს?

**გარსი** - (პაუზა) არ ვუღალატებდი, მარტო რომ ვყოფილიყავი.

**ადვოკატი** - თქვენთან ერთად კიდევ იყო ვინმე?!

**გარსი** - საქმე უფრო მარტივადაა. აქ მე ოჯახს ვგულისხმობ.

**ადვოკატი** - თქვენ გინდათ თქვათ, რომ ოჯახმა გაიძულათ ამ ნაბიჯის...

**გარსი** - (აწყვეტინებს) არა, ოჯახმა დღემდე არ იცის, რას ვაკეთებ, სად ვმუშაობდი...

**ადვოკატი** - ეს წუთია, თქვენ ცილი დასწამეთ საკუთარ ოჯახს. თუ ესეც, როგორც საიდუმლო ორგანიზაციისთვის, ცილისწამებაა, თქვენთვის ჩვეულებრივი ხერხია, როგორმე თავი რომ დაიძვრინოთ.

**გარსი** - მე თავის დასაძვრენი არაფერი მჭირს. ეგ რომ მდომებოდა, გავჩუმდებოდი და ისე დაიხურებოდა ეს პროცესი, კაციშვილი ვერ შეამჩნევდა ჩემს არსებობას.

**ადვოკატი** - თქვენს არსებობას როგორ ვერ გავიგებდით, თქვენ ხომ ამ სპექტაკლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყავით?

**გარსი** - პროტესტს ვაცხადებ. როგორც უკვე დადასტურდა, ეს არ იყო სპექტაკლი. მთელს ამ ბალაგანში ერთადერთი ნამდვილი მოთამაშე მე ვიყავი.

**ადვოკატი** - (ცინიზმით) კარგი, ნუ გამოვეკიდებით სიტყვებს - სპექტაკლი, სეანსი. არსებითზე ვილაპარაკოთ გარკვევით.

**გარსი** - რა არის აქ გაურკვეველი. ჩემი პრინციპების მქონე კაცისთვის ძალიან გაჭირდა ცხოვრება. მე ვნახე, რომ ოჯახს ველარ ვარჩენდი, ელემენტარულად მშიერი მრჩებოდა ცოლ-შვილი. (მცირე პაუზის მერე) თქვენ იცით, რომ მე თეატრიდან დათხოვილი ვიყავი. ასე, რომ ქუჩაში აღმოვჩნდი... სასოწარკვეთას მივეცი. სასოწარკვეთაო! - არ ეძინა ეშმაკს და გამომიგზავნა „მხსნელი“.

**ადვოკატი** - უფრო გარკვევით.

**გარსი** - ერთი ძველი ნაცნობი გამომიგზავნა რქიანმა მხსნელად და მეც მისი წყალობით დავიწყე მუშაობა უშიშროებაში, საიდუმლო ორგანიზაციაში...

**ადვოკატი** - (ირონიულად) ე.ი., პრინციპებს უღალატეთ ლუკმა-პურისთვის.

**გარსი** - სამწუხაროდ, ასეა.

**ადვოკატი** - დაასახელეთ გვარი და სახელი თქვენი ძველი ნაცნობისა.

**გარსი** - მე მისი სახელი და გვარი არ მახსოვს...

**ადვოკატი** - ე.ი., არ გახსოვთ სახელი და გვარი მხსნელისა, მეგობრისა.

**გარსი** - მე არ მითქვამს, რომ იგი მეგობარი ან ამხანაგი იყო.

**მხსნელი** - დალოცვილო, ამხელა საქმე გაგიკეთა და სახელი მაინც ვერ ჰკითხე?

**გარსი** - ისე თბილად, შინაურულად შემხვდა, რატომღაც მომერიდა, მეკითხა. ჩემი გასაჭირი რომ მოვუყევი, ისეთი ენთუზიაზმით შემომთავაზა...

**ადვოკატი** - (აწყვეტინებს ირონიულად) და თქვენც ხათრი ვერ გაუტეხეთ.

**გარსი** - (გრძნობს ირონიას) გეთანხმებით, დაუდევრად მოვიქეცი, სახელი მაინც უნდა მეკითხა.

**ადვოკატი** - მერე აღარსად შეგხვედრიათ?

**გარსი** - აღარსად, ბოლოს დამირეკა და მითხრა, ამა და ამ განყოფილებაში გამოცხადდი, გელიანო და მერე აღარ მინახავს.

**ადვოკატი** - აჰა, აორთქლდა, როგორც იტყვიან.

**გარსი** - (თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) აორთქლდა, დიახ, აორთქლდა... ამიხსნეს, ეს შუამავლის თვისებაა, დაუწერელი კანონი.

**ადვოკატი** - (გაკვირვებული) რა, აორთქლება?

**გარსი** - (ირონიით) ოჰო, არ იცოდით? ისინი ისევე შემთხვევით უჩინარდებიან, როგორ „შემთხვევითაც“ ჩნდებიან ჩვენს ცხოვრებაში.

**ადვოკატი** - თქვენ შტატში იჯექით.

**გარსი** - მე მქონდა ხელფასი და უწყისებზეც ვაწერდი ხელს.

**ადვოკატი** - აჰა, ხელფასს იღებდით... მუშაობის დაწყებისას წარმოადგინეთ დიპლომის ასლი, პასპორტი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, შრომის წიგნაკი?

**გარსი** - (ირონიულად) ეგენი მაგ დაწესებულებაში ჩემზე ადრე იცოდნენ. ასე, რომ ყველაფერი მზამზარეული იყო.

**ადვოკატი** - (მკაცრად) მე თქვენ გეკითხებით, წარადგინეთ თუ არა - ჰო, თუ არა?

**გარსი** - არა.

**ადვოკატი** - გასაგებია... ახლა მივუბრუნდეთ დავალებას, პირველ დავალებას.

**გარსი** - პირველს და უკანასკნელს...

**ადვოკატი** - უკანასკნელს?

**გარსი** - დიახ, პირველს და უკანასკნელს. მე მივხვდი, რომ ამ საქმეში არ გამოვდგებოდი, ძალიან ძნელი ყოფილა დასმენა.

**ადვოკატი** - რა შინაარსის იყო დავალება?

**გარსი** - დადიოდა ხმები, რომ მაესტრო მიწისქვეშ ანტისახელმწიფოებრივი სპექტაკლის დადგმას აპირებდა და თვალყური უნდა მედევნებინა მისთვის.

**ადვოკატი** - (თითქოს აშკარა სიცრუეში იჭერს) პირადად თქვენ, სრულიად ახალს განდეს ეს საპასუხისმგებლო საქმე, რომ შესულიყავით ნდობაში.

**გარსი** - ამაში არაფერია გასაკვირი - მე თეატრალი ვიყავი, მაესტროსთან კარგახანს ვიმუშავე გამნათებლად.

**ადვოკატი** - მერე შეასრულეთ დავალება?

**გარსი** - შევასრულე, მაესტროს ნდობა დავიმსახურე.

**ადვოკატი** - რა გაგანდოთ მაესტრომ?

**გარსი** - მაესტრომ გამანდო, რომ იგი არ ამხელდა პროფესიის გამოცვლას, თამაშის აზარტში იყო შესული, უკეთ რომ მიეზიდა სასოწარკვეთილი პაციენტები.

**ადვოკატი** - თქვენის მხრივ რატომ დროულად არ აცნობეთ საიდუმლო ორგანიზაციას ამის შესახებ?

**გარსი** - მეც თამაშის აზარტში ვიყავი უკვე შესული. ვიტყვი, არ ვენდობოდი მაესტროს.

(მაესტრო და ნიჰილისტი ერთად დგანან და განსაკუთრებული გაფაციცებით ადევნებენ თვალს ამ აღმოჩენას.)

**ადვოკატი** - როდის მოვიდა მაინც ეს ნდობა?

**გარსი** - როცა გამანდო, რომ მას საერთაშორისო სერთიფიკატი ჰქონდა და ეს იყო არა თეატრი, არამედ ფსიქოთერაპიის კურსი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ფაქტმა ძალიან გამახარა.

**ადვოკატი** - ვერ გავიგე, რა გიხაროდათ, თქვენ, დაქირავებულს. პირიქით უნდა მომხდარიყო, მაშინ უნდა გაგხარებოდათ, როცა დარწმუნდებოდით, რომ მაესტრო ანტისახელმწიფოებრივ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმიანობას ეწეოდა და ეს თქვენი წყალობით დადასტურდებოდა. სხვა რომ არაფერი, რამხელა ჰონორარი, ანუ პრემია დაკარგეთ.

**გარსი** - ლოგიკურია, მაგრამ, ეტყობა, ჩემზედაც კარგად იმოქმედა ფსიქოთერაპიამ; ეტყობა ისიც ლოგიკურია, რომ ეგ სიხარული „მოღალატის" აღმოჩენისა სხვა კატეგორიის ხალხს უჩნდება, უფრო ზუსტად, ნამდვილ კაგებეშნიკებს, - სულით პროფესიონალებს.

**ადვოკატი** - სულით?

**გარსი** - ანუ უკეთ, მოწოდებით ჩამშვებებს.

**ადვოკატი** - თქვენ აღიარეთ, რომ პროფესიონალი არ გამოდექით მაგ საქმეში.

**გარსი** - (სიხარულით სწევს ორივე ხელს, ვითომ დაგნებდით) ვაღიარებ.

**ადვოკატი** - (ოდნავ ნაყალბევი ზიზღით) თქვენ მხოლოდ ცილისწამება განიჭებთ სიხარულს.

**გარსი** - მე არავისთვის ცილი არ დამიწამებია, რაც ვთქვი, მხოლოდ ჭეშმარიტებაა. (იხედება პროკურორისკენ) და მაინც კარგი იქნებოდა, ამ დროს ბიბლიაზე მდებოდა ხელი.

**ადვოკატი** - (ვესლიანად) ჭეშ-მა-რი-ტე-ბა-ზე.

**გარსი** - რაც შეეხება სიხარულს, ნამდვილად მომანიჭა ერთადერთმა რამემ.

**ადვოკატი** - მაინც რა იყო თქვენი სიხარულის წყარო?

**გარსი** - ჩემი სიხარულის ერთადერთი ოაზისი ამ უდაბნოში გახლდათ (იხედება მაესტროსკენ) ნამდვილ ადამიანთან შეხვედრა...

**ადვოკატი** - მაინც სად ნახეთ ნამდვილი ადამიანი?!

**გარსი** - (თავისთვის) ერთადერთი (თეატრალური პათოსით) ადამიანი, კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემა, სადა ხარ, ადამიანო? ვწვალობდი, ვნატრობდი მის გამოჩენას და შემთხვევამ, ბედისწერამ მე მარტო სასოწარკვეთილებსა და დამსმენებს კი არ შემახვედრა, არამედ აი, ამასაც, (თითს იშვერს მაესტროსკენ) ნამდვილ ადამიანს, „ბუნებრივს", „ნატურალურს".

(დიალოგს მოსამართლე წყვეტს ჩაქუჩით ან ზარით)

**მოსამართლე** - საკმარისია, გვეყოფა ახალი სპექტაკლის ყურება.

**გარსი** - (თითით უსწორებს) სპექტაკლის არა, ფსიქოთერაპიის სეანსის. ეს თქვენმა გამოძიებამ შესანიშნავად დაადასტურა.

**მოსამართლე** - (ღვარძლით) ჩვენმა გამოძიებამ, თქვენ ვინც ბრძანდებით, ესეც შესანიშნავად დაადასტურა... (მიუბრუნდება დარბაზს და ოფიციალურად ამცნობს) სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად.

(სასამართლოს წევრები წამოიშლებიან, ბნელდება... რამდენიმე წუთში სასამართლო ბრუნდება, მოსამართლე ჩაქუჩით მოუწოდებს).

**სასამართლო დაბრუნდა, გთხოვთ, ფეხზე წამოდგეთ.**

(დგებიან)

**მოსამართლე** - გთხოვთ, დასხდეთ. (სხდებიან)

**მოსამართლე** - (ფეხზე ამდგარი მოსამართლე) მაშ, ასე, როგორც საჯარო პროცესმა დაგვანახა, ჩვენს წინაა ტიპური ცილისმწამებელი, რომელმაც ჩირქი მოსცხო ყველაზე ფაქიზ და კომპეტენტურ ორგანიზაციას, ორგანიზაციას, რომელიც ასეთი ერთგულებითა და რუდუნებით იცავს ეროვნულ ინტერესებს მტრის ხელყოფისგან: ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია, არ გამოეპაროს არც ერთი ფაქტი, არც ერთი დეტალი სახელმწიფო ინტერესების შემლახველი და განუწყვეტლივ ფხიზლად დგას თავის სადარაჯოზე.

როგორც დავინახეთ, გარსევან მნათობიშვილის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ვერც ერთი არგუმენტი, რომლებიც მან ასე ცილისმწამებლურად და ვერაგულად მიაწერა საიდუმლო ორგანიზაციას. გარსევან მნათობიშვილმა ვერ დაადასტურა ვერც ერთი შემთხვევა, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდნავ მაინც ილახება ამ ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებები. და, მართლაც, რა აბსურდია, განა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ შეიძლება მოხდეს? განა საჯაროობისა და პრესის თავისუფლების უშუალო შედეგი არ გახლავთ თუნდაც დღევანდელი პროცესი? და მაინც... ერთი რამ რჩება გაუგებარი, რა აიძულებს განსასჯელს, ცილი დასწამოს ამ უძლიერეს ორგანიზაციას, რამ აიძულა იგი ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯი გადაედგა?..

**გარსი** - ადამიანობამ, ძვირფასო, ადამიანობამ, თქვენ მაგას ვერ გაიგებთ.

**მოსამართლე** - (თითქოს არ გაუგია რეპლიკა) ასეა თუ ისე, მარჩიელობის დრო აღარაა. ფაქტებისა და არგუმენტების მოკვლევამ დაადასტურა გარსევან მნათობიშვილის მავნებლური საქციელი და მას ცილისწამებისთვის მიესაჯა კოდექსის ას მეხუთე კანონის V მუხლით გათვალისწინებული სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5 წლამდე. (სრულ სიჩუმეში მოულოდნელად გაისმის ყოფილი რეჟისორის, თეატრის მაესტროს განწირული ხმა)

**მაესტრო** - გარსევან, ეს რა ჰქენი, ბიჭო, რატომ დაიღუპე თავი.

## (ჩოჩქოლი. ბნელდება. ფარდა)

(ნათდება მკრთალად, ორივე მხრიდან ხელკავგაყრილ ბადრაგებს ხელებშეკრული გარსევანი დახურული მანქანისკენ მიჰყავთ. ამ დროს სცენის მარცხენა მხრიდან გამოჩნდება მაესტრო, მისკენ წამოემართება. მას გზას გადაუკეტავენ, გზაში დააღევენებს.)

**მაესტრო** - გარსევან, ეს რა ჰქენი, ბიჭო, რატომ დაიღუპე თავი.

**გარსი** - (მოტრიალდება, გაეღიმება) მაესტრო, ხომ კარგად ვთამაშობდი თქვენთან.

**მაესტრო** - გენიალურად, გარსი, გენიალურად, როგორ გამაცურე ბებერი მგელი.

**გარსი** - ე.ი., ჩემი მოწოდება განხორციელდა.

**მაესტრო** - გენიალური მსახიობი ხარ.

**გარსი** - (მგრძნობიარედ, თითქმის ტირილით) მთელი ცხოვრება მაგაზე ვოცნებობდი, გენიალური კი არა, კარგი ხარო, უბრალოდ ეთქვა დიდ მაესტროს. გამნათებელს მსახიობობაზე ამომდიოდა მზე და მთვარე. (პაუზის მერე) განა ცუდია, ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობდეს.

**მაესტრო** - ალალი და უსაყვედურო, მომინიჭებია გენერლობა.

**გარსი** - ოღონდ ამათი არა. (კგბ-ს გულისხმობს)

**მაესტრო** - (ღიმილით) მაგათთან ვერ ივარგე, დაგინახე. შენ თეატრში ხარ გენიალური. თეატრისთვის ხარ დაბადებული

**გარსი** - ჩემზე ბედნიერი კაცი არაა დღეს, დიდმა მაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სტომ მოიღო მოწყალება.**
(ბადრაგები ხელს კრავენ, წინ გაიგდებენ. მაესტრო ცდილობს, დაეწიოს, მაგრამ ხელს უშლიან)

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - მაინც რატო ქენი, ბიჭო, ეს, რატომ დაიღუპე თავი.**

**გარსი -** (გარსი უკანმოუხედავად გაეპასუხება) **ასე რომ არ მოვქცეულიყავი და ჩემი ცოდვისთვის არ მიმეზღო სასჯელი, ვერ ვიცოცხლებდი, მაესტრო; ვერ შევხედავდი ჩემს შვილებს თვალებში.**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ -** (მოულოდნელად დაუსხლტება მცველებს და სცენის შუიდან გასძახებს მთელი ხმით)
**შვილო, გარსი, სადამდე!**
(გარსი მოტრიალდება, თავს აამოძრავებს, ყელზე ანიშნებს)

**ᲒᲐᲠᲡᲘ - აქამდე, მამი, აქამდე.**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - ცოტაცა, შვილო, ცოტაცა.**

**ᲒᲐᲠᲡᲘ - გავთავდი, მამი, გავთავდი**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - ცოტაცა, სულზე ტკბილო, ნატურალურო, ცოტაც და ერთად ვიქნებით.**

**ᲒᲐᲠᲡᲘ - ნუგეშად თქვენი აღიარება მყოფნის, სასჯელად ჩემივე განაჩენი.**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ -** (გულაჩუყებული) **გარსევან, თავს მოუფრთხილდი; იცოდე, ჩვენ გელოდებით.**

**ᲒᲐᲠᲡᲘ -** (მთელი სხეულით შემოტრიალდება) **მელოდებით?!**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - ჰო, გელოდებით, ჩემი კუდიანი კომეტა ხომ გახსოვს, მთავარი როლი შენია, იცოდე.**

**ᲒᲐᲠᲡᲘ - ჩემი იქნება... ამის მოლოდინში ჩიტივით გაფრინდება დრო... ბედნიერი ვარ, მაესტრო; გმადლობთ, მაესტრო.**
(ბადრაგები მუჯლუგუნით გაიგდებენ წინ)

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - გარსი, ბიჭო სადამდი?**

**ᲒᲐᲠᲡᲘ - მომავალ შეხვედრამდე, მაესტრო.**

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ -** (მაესტრო ცრემლებს იმშრალებს) **მომავალ შეხვედრამდე, შვილო** (უფრო და უფრო ბინდდება, გაისმის მანქანის ხმა, გარსევანი წაიყვანეს, აღარავინ ჩანს. სინათლის რკალში მაესტრო მოექცევა, ოდნავ დამფრთხალი სცენაზე მიმოდის და სინათლის წყაროსკენ იხედება, თითქოს ათვალიერებს, ვინ დასდევს, მერე დარბაზისკენ შემოტრიალდება, ხელს მოიჩრდილავს და მაყურებელს ეუბნება)

**ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ - მომავალ შეხვედრამდე, ნამდვილებო, სასოწარკვეთილებო, ცოტაც მოითმინეთ, ძვირფასებო... სადამდე, ბიჭო, სადამდე? არასოდეს უპასუხოთ ამ შეკითხვაზე გავთავდიო...**
**მომავალ შეხვედრამდე, ნატურალურებო, ჩვენ ერთად უნდა დავდგათ ნამდვილი სპექტაკლი და ერთად უნდა ვიზეიმოთ გამარჯვება...**
(მაესტრო უკან-უკან იხევს, სინათლე თანდათან კლებულობს და სულ დაბნელდება სცენაზე, წყვდიადიდან ეშმაკეულის ხმა მოისმის)
**ეშმაკი - მზის დაბნელება საქართველოში, ხა-ხა-ხა-ხაო... შემზარავად ხარხარებს! მზის დაბნელება საქართ...**
(და უცებ გრუხუნი და ელვასავით კუდიანი კომეტის გაელვება სცენაზე, სცენაზე ყვირილით გამოდის კაცი, კედელზე ეკრანი აშუქებს ნიჰილისტის სახეს.)

**ᲜᲘᲰᲘᲚᲘᲡᲢᲘ - არაა, არა! ვერ ეღირსები! საქართველოში ვერ ეღირსებით მზის დაბნელებას!**
(ღრიალებს მთელი ხმით, მოულოდნელად ერთად ფეთქდება მუსიკა და უხვი სინათლე, სცენაზე მხიარულად გამოდიან მონაწილენი, ერთმანეთს კოცნიან, ერთმანეთის დანახვა უხარიათ და ერთად ცეკვავენ... სპექტაკლის ყველა მონაწილე ერთად ზეიმობს)

**1996 წელი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის აკუნინი

# აზაზელი

## სასისხლო საქმის რომანი,

ანუ

კონსპიროლოგიური დეტექტივი



### მეთერთმეტე თავი, რომელშიც აღწერილია ძალიან გრძელი ღამე

ძაღლთა კუნძულზე, მილუოლის დოკების მიღმა, ვიწრო ქუჩაბანდებში ღამე მალე დგება. გახედ-გამოხედვას ვერ მოასწრებ, რომ ნაცრისფერი ჩრდილები უკვე ყავისფერი გამხდარა და ისედაც იშვიათი ფანარები თითოჩაგდებით ანათებენ. ჭუჭყია, დაღვრემილობაა, ტემზიდან ნესტი მოიძურწება, ნარეცხისგან მყაყე სუნი დგას. ქუჩები ცარიელია, მხოლოდ საეჭვო პირებთან და იაფფასიან პატარა სასტუმროებთან ფუთფუთობს უვარგისი, სახიფათო ცხოვრება.

„ფერონ-როუდის" ნომრებში ცხოვრობენ საწყლისპიროზე ჩამოწერილი მატროსები, წვრილმანი აფერისტ-ყალთაბანდები და პორტის ბებერი კახპები. გადაიხადე ექვსი პენსი დღეში და იცხოვრე შენთვის ცალკე, საწოლიან ოთახში – არავინ ჩაყოფს ცხვირს შენ საქმეში. მაგრამ ეგეთი მოლაპარაკებაა: ავეჯის გაფუჭებისთვის, ჩხუბისთვის ანდა ღამით აყალმაყალისა და ყვირილისთვის, პატრონი, მსუქანი ჰიუ, შილინგით დაგაჯარიმებს, ვინც უარს იტყვის გადახდაზე – კინწისკვრით გააგდებს. მსუქანი ჰიუ დილიდან საღამომდე კანტორულას დგარს მიღმა დგას, შემოსასვლელში. სტრატეგიული ადგილია - ჩანს, ვინ მოვიდა, ვინ გავიდა, ვინ რა მოიტანა ან, პირიქით, ვის რისი გატანა უნდა. საზოგადოება ჭრელია, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ეგერ, მაგალითად, წითურა და მარმელადა, ფათალა ფრანციელი მხატვარი, ახლახანს რომ გახსლტა პატრონის წინ და თავის ოთახში შეძვრა. ამ ბაყაყიჭამიას ფული აქვს – უკამათოდ გადაიხადა ერთი კვირისა, არც სვამს, ზის ჩაკეტილი, მთელი ეს დრო მხო-

---

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი" №1-2, 3-4, 5-6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ეხლა გამოვიდა. ჰიუმ, რასაკვირველია, ისარგებლა შემთხვევით და იმასთან შეიხედა, და როგორ გგონიათ? მხატვარი ხომ არი და ნომერში არც სადგბავები აქვს, არცა ტილოები. შეიძლება ვიღაც მკვლელია, ვინ იცის – აბა, რატომ მალავს თვალებს შავ სათვალეში? კონსტებლისთვის ხომ არ ეთქვა, ნეტავ? ფული მაინც წინდაწინ არის გადახდილი...

ხოლო წითურმა მხატვარმა არც იცოდა თუ რა სახიფათო მიმართულება მიიღო მსუქანი ჰიუს აზრებმა, გასაღებით ჩაკეტა კარი და ისე მოიქცა, რომ სინამდვილეში საეჭვოზე მეტიც იყო. პირველ რიგში ბოლომდე ჩამოაფარა ფარდები. მერე მაგიდაზე ნასყიდები დაალაგა – ფუნთუშა, ყველი, პორტერის ბოთლი, სარეცლიდან რევოლვერი ამოიღო და ბალიშქვეშ შეაცურა. ამით უცნაური ფრანგის განიარაღება არ დასრულებულა. წაღის ყელიდან დერინჯერი ამოიღო – პატარა, ერთჯერ დასატენი პისტოლეტი, ასეთებით, ჩვეულებრივ, დამები და პოლიტიკური მკვლელები სარგებლობენ, - ეს ერთი შეხედვით სათამაშო იარაღი პორტერის ბოთლის მახლობლად მოათავსა. სახელოდან გამოიღო ვიწრო, მოკლე სტილეტი (ერთგვარი ხანჯალი) და ფუნთუშაში შეჩურთა. მხოლოდ ამის მერე აანთო სანთელი, მოიხსნა ლურჯი სათვალე, დაღლილად მოიწმინდა თვალები. ფანჯარას მიაჩერდა – ფარდები ხომ არ გაწეულა – და, წითური პარიკი რომ მოიხსნა თავიდან, სხვა არავინ აღმოჩნდა, თუ არა ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი.

ტრაპეზი ხუთ წუთში მოათავა – ეტყობა, ტიტულიან მრჩეველს და გაქცეულ მკვლელს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა. მაგიდიდან ნამცეცები გადაყარა, ერასტ პეტროვიჩმა ხელები შეიწმინდა გრძელ, ბოჰემიურ ხალათზე, მივიდა კუთხეში მდგარ, დანჯღრეულ სავარძელთან, გამოკრულში მოაფათურა ხელი და გამოიღო პატარა, ცისფერი პორტფელი. ფანდორინი სამუშაოს გაგრძელებას ჩქარობდა, რომელსაც მთელი ღამე აკეთებდა და რომელმაც უკვე მიიყვანა ძალიან მნიშვნელოვან აღმოჩენამდე.

ჩავლილი ღამის ტრაგიკულ მოვლენათა შემდეგ ერასტ პეტროვიჩი იძულებული შეიქმნა, ერთხელაც შეევლო თავის სასტუმროში, რათა ფული და პასპორტი მაინც წამოეღო. დეე, ახლა საყვარელმა მეგობარმა იპოლიტმა, იმ ნამუსგარეცხილმა იუდამ, ეძებოს თავის კუდებიანად ვაგზალებში და პორტებში. ვის დააინტერესებს ღარიბი ფრანციელი ფერმწერი, ლონდონის ჯურღმულების სულ მთლად მთავარ გახრწნილობის ბუდეში რომ დასახლდა? ხოლოთუ მაინც რომ გარისკა და ფოსტაში გასხლტა, ამას განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა.

კარგი-და ვინაა ზუროვი! ამ ამბავში მისი როლი მთლად ცხადი არ გახლავსთ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კეთილი არ არის. უბრალო არ არის მისი ბრწყინვალება, ოჰ, უბრალო არ გახლავსთ. ღვლარჭნილ ჩახვეულებსა ჰსწერს ყოჩაღი ჰუსარი, გახსნილი სული! რა მარჯვედ შეუცურა მისამართი, როგორ გათვალა ყოველისფერი! ერთი სიტყვით – შპილმეისტერია. იცოდა, რომ სულელი ციმორი წამოეგება, სატყუარას გადაყლაპავს ანკესთან ერთად. ანთუ არა, მისი ბრწყინვალება ფარვანის შესახებ აკეთებდა ალეგორიზაციას. მიფრინდა ფარვანა ალთან, საყვარლად მიფრინდა. და კინაღამ დაიწვა. ეგრე უნდა ყეყეჩს. ხომ ცხადი იყო, რომ ბეჟეცკაის და იპოლიტს რაღაც საერთო ინტერესი ჰქონდათ. მარტოკა ისეთ რომანტიკულ ბრიყვს, როგორიც ერთი ვინმე ტიტულიანი მრჩეველი გახლავსთ (სიტყვამ მოიტანა და, ამ წოდებაში შესული სხვა უფრო ღირსეული ხალხის გვერდის ავლით) შეეძლო მართლა დაეჯერებინა კასტილიური სტილის საბედისწერო ვნების შესახებ და თანაც ივან ფრანცევიჩს ჭკუა წაუღო. აუბნია თავგზა. აჰ, როგორი სირცხვილია! ჰა-ჰა! რა ლამაზად იძახდა გრაფი იპპოლიტ ალექსანდროვიჩი: „მიყვარს და მეშინია მაგისი, მაგ კუდიანისა, ჩემი ხელებით დავარჩობ!". ჰოდა, ნამდვილად, დასცინოდა ძუძუმწოვარას! და ისევ იუვილერისებურად არის ნამუშევარი, არანაკლებ იმაზე, მაშინდელ დუელზე. გათვლა მარტივი და შეუმცდარი იყო: სასტუმრო „უინტერ ქვინთან" დაიკავე პოსტი და წყნარად დაელოდე შენთვის, როცა სულელი ფარვანა „ერაზმი" ალზე მოფრინდება. აქ მოსკოვი ნუკი გგონია – არც სამძებროა, არც ჟანდარმები, შიშველი ხელით აიყვანე ერასტ ფანდორინი. და დასასრული წყალში. ნეტავი, ზუროვი ხომ არ არის სწორედ ის „ფრანცი", რომელიც სახლთუხუცესმა ახსენა? უჰ, ბილწო კონსპირატორებო. მაინც რომელია მთავარი – ზუროვი თუ ბეჟეცკაია? როგორც სჩანს, მაინც კლეოპატრა...

ერასტ პეტროვიჩი მოი-ზღარბ-ბუზა, გაახსენდა ჩავლილი ღამის მოვლენები და საცოდავი შეკივლება, რომლის მერეც დაეცა ტყვიადახლილი ამალია. იქნება, დაჭრილია, არ მოუკლავს? მაგრამ სევდიანი სიცივე მკერდქვეშ კარნახობდა, რომ მოკლულია, მოკლულია მშვენიერთა ხელმწიფე, და ფანდორინმა თავისი სიცოცხლის ბოლოსკენ ამ მძიმე ტვირთქვეშ დამაშვრალმა უნდა იაროს.

მართალია, სავსებით დასაშვებია, რომ ეს ბოლო ძალიან ახლოსაა. ზუროვმა იცის, მკვლელი ვინ არის, დაინახა. ნადირობა მთელ ლონდონში მიდის ნამდვილად, სრულიად ანგლიაში. მაგრამ მაშინ, ღამით რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ გაუშვა ზუროვმა და გაქცევის საშუალება მისცა? ხელში რომ პისტოლეტი ეჭირა, ამის შეეშინდა? გამოცანა არის...

თუმცა უფრო მეტად საფიქრებელი გამოცანაც იყო – პორტფელის შიგთავსი. დიდხანს ვერ მიხვდა ფანდორინი, თუ რას ნიშნავდა საიდუმლო სია. შეჯერებამ უჩვენა, რომ ფურცლებზე ჩანაწერი იმდენია, რამდენიც წერილი და ყველა მონაცემი ემთხვევა. მხოლოდ წერილში ნაჩვენები თარიღის გარდა ბეჟეცკაია იწერდა მიღების დროსაც.

სულ ორმოცდახუთი ჩანაწერი იყო. ყველაზე ადრეული პირველი ივნისით არის დათარიღებული, ბოლო სამი ერასტ პეტროვიჩის დროს მოგვევლინა. წერილებში აღნიშნული რიგობითი ნუმრები სულ სხვადასხვანაირი იყო; უმცირესი - №47 F (ბელგიის სამეფო, დეპარტამენტის დირექტორი, მიღებულია 15 ივნისს), უმაღლესი - №2347 F (იტალია, დრაგუნთა ლეიტენანტი, მიღებულია 9 ივნისს). გამომგზავნი ქვეყნები ცხრა დაითვლებოდა. უფრო ხშირი იყო ანღლია და ფრანცია. რუსეთი მარტოკა ერთხელ (№ 994 F, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, მიღებულია 26 ივნისს, კონვერტზე პეტერბურღის შტემპელია 7 ივნისის. უჰ, კალენდრები არ აერიოს: 7 ივნისი – ეს ევროპულად იქნება 19. ასეც იქნებოდა, ერთ კვირაში მოვიდოდა). თანამდებობები და წოდებები ძირითადად მაღალი იყო მოხსენიებული – ღენერლები, უფროსი ოფიცრები, ერთი ადმირალი, ერთი სენატორი, ერთი პორტუღალიელი მინისტრიც, მაგრამ გვხვდებოდა პატარ-პატარა ოქოქა კაცუნებიც - ამ იტალიელი ლეიტენანტივით, სასამართლოს აღმასრულებელი ფრანციიდან ანთუ სამხედრო დაცვის კაპიტანი ავსტრო-ვენღრიიდან.

საზოგადოდ, ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ბეჟეცკაია შუამავალი იყო, დამაკავშირებელი რგოლი, ცოცხალი საფოშტო ყუთი, რომლის მოვალეობებშიც შედიოდა აღენუსხა მოსული ცნობები და შემდეგ გაეშვა, როგორც ჩანს, მისტერ ნიკოლას კროოგთან პეტერბურღში. მართებულია, ვივარაუდოთ, რომ სიები იგზავნებოდა თვეში ერთხელ. ისიც ნათელია, რომ ბეჟეცკაიამდე „მისის ოლსენის“ როლს ვიღაც სხვა არსება ასრულებდა, რაზედაც სასტუმროს პორტიეს ეჭვი არ აუღია.

ამაზე ცხადი ამოიწურებოდა და წარმოიქმნებოდა დედუქციური მეთოდის მწველი აუცილებლობა. ეჰ, ნეტავ შეფი აქ ყოფილიყო, მომენტალურად ჩამოსთვლიდა ყველა შესაძლო ვერსიას და ყოველისფერი თავისით დაეწყობოდა თითებზე. მაგრამ შეფი შორს იყო, ხოლო დასკვნა ამგვარი გამოდიოდა: ბრილლინგი სწორია, ათასგზის სწორი. სახეზეა განტოტვილი საიდუმლო ორღანიზაცია წევრებით მრავალ ქვეყნებში – ეს ერთი. დედოფალი ვიქტორია და დიზრაელი აქ არაფერ შუაში არიან (სხვაფრივ რატომ გადაგზავნიდნენ მოხსენებებს პეტერბურღში?) – ეს ორი. ანღლიელი ჯაშუშების ანგარიშში ერასტ პეტროვიჩი გუბეში მოჯდა და, სწორედ მოგახსენოთ, აქ ნიღილისტების სუნი სდგას – ეს სამი. და ძაფები სადმე სხვაგან კი არა, რუსეთშია გაბმული, სადაც ყველაზე საშიში და შეურიგებელი ნიღილისტები იცის –ეს ოთხი და მათ შორის არის ეს გათახსირებული და მაქცია ზუროვი.

დეე, შეფი მართალი იყოს, არც ფანდორინი დაყიალობდა ამაოდ გზებზე. ივან ფრანცევიჩს, ალბათ, კოშმარულ ძილშიც არ დაესიზმრება, რა ძლიერ ჰიდრასთან აწარმოებს ომს. აქ სტუდენტები ანდა ისტერიული ქალები კი არ არიან ბომბებით და პისტოლეტებით, აქ მთელი საიდუმლო ორდენია, რომელშიც მონაწილეობენ მინისტრები, ღენერლები, პროკურორები და ვიღაც ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველიც კი სანკტ-პეტერბურღიდან! ო, მაშინ კი ერასტ პეტროვიჩზე შინაგანი განათება გარდამოვიდა (ეს შუადღის შემდეგ იყო). ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი და ნიღილისტი? რაღაც ჭკუაში არა ჯდება. ბრაზილიის იმპერატორის დაცვის უფროსს კიდევ არა უჭირს რა – ბრაზილიაში ერასტ პეტროვიჩი დაბადებიდან არა ყოფილა და იქაური წეს-ჩვეულებანი ვერ დაენახნა, მაგრამ თავისთვის რომ წარმოედგინა ბომბიანი რუსი სამოქალაქო ღენერალი, წარმოსახვა გადაწყვეტილად ეუარებოდა. ერთ ნამდვილ სამოქალაქოს ფანდორინი საკმაოდ ახლოს იცნობდა – ფიოდორ ტრიფონოვიჩ სევერიუგინს, საღუბერნიო გიმნაზიის დირექტორს, სადაც არანაკლებ შვიდი წელიწადი სწავლობდა და ის რომ ტერორისტი ყოფილიყო? სისულელეა!

და ერასტ პეტროვიჩს უცებ გული შეეკუმშა. ესენი არავითარი ტერორისტები არ არიან, არამედ სოლიდური და რესპექტაბელური ბატონები! ისინი ტერორის მსხვერპლნი არიან! ეს სხვადასხვა ქვეყნების ნიღილისტები, თითოეული საკუთარი ნუმერით დაშიფრული, მოახსენებენ ცენტრალურ რევოლუციონერულ შტაბს ჩადენილ ტერორისტულ აქტებზედ!

თუმცა არა, ივნისში პორტუღალიაში მგონი მინისტრები არ ამოუწყვეტიათ – ამაზე დაუყოვნებლივ დაწერდნენ გაზეთები... აბა, მაშინ, სამსხვერპლო კანდიდატები ყოფილან, აი ვინ! „ნუმერები“ თავიანთ შტაბისაგან ითხოვენ ტერორისტული აქტების ჩატარების ნებართვას. სახელები ნაჩვენები არაა კონსპირაციის გამო.

და ყოველისფერი თავის ადგილზე დადგა, ყოველისფერი ნათელი გახდა. ხომ ლაპარა-

კობდა ივან ფრანცევიჩი რაღაც ძაფზე, რომელიც ახტირცევიდან რომელიღაც მოსკოვს მიმდებარე აგარაკამდე იყო გაბმული, მაგრამ შეფს ბოლომდე არ მოუსმინა ფანდორინმა, რაკი თავისი ჯაშუშური ბოდვებით გაცხარებულიყო.

სდექ! დრაგუნთა ლეიტენანტი რაღაში დასჭირდათ? მეტად ოქოქა კაცუნაა. ძალიან მარტივად, იქვე მიუგო საკუთარ თავს ერასტ პეტროვიჩმა. ნახეს, გზა გადაუღობათ უცნობმა იტალიელმა. ისევე, როგორც ერთი ახალგაზრდა კოლეგიის რეგისტრატორი მოსკოვის სამძებრო პოლიციიდან წინ აღუდგა თეთრთვალებიან კაცისმკვლელს.

რა უნდა ექნათ? თავად აქა ზის და ზის, და რამდენი ღირსეული ადამიანი დადის სიკვდილის საფრთხის ქვეშ! ფანდორინს განსაკუთრებულად ებრალებოდა უცნობი პეტერბურღელი ღენერალი. ალბათ, ღირსეული კაცია, ხნიერი, დამსახურებული, პატარა შვილები... და როგორც ჩანს, ეს კარბონარები ყოველთვე თავის საბოროტმოქმედო რელაციებს აგზავნიან. იმიტომაც მოედო მთელ ევროპას, რომ სისხლი არ დაიღვაროს! ხოლო ძაფები სადმე სხვაგან კი არა, პიტერში მიდის. და ერასტ პეტროვიჩს გაახსენდა სიტყვები, ოდესღაც რომ უთხრა შეფმა: „აქ კარტში რუსეთის ბედია დადებული". ეჰ, ივან ფრანცევიჩ, ეჰ, ბატონო სამოქალაქო მრჩეველო, არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს ბედი.

აცნობოს მწერალ-მწარმოებელ პიჟოვს. ჩუმად, რათა საელჩოს გამცემმა სუნი არ იკრას. მაგრამ როგორ? მოღალატე ხომ ვინც გინდა, ის შეიძლება იყოს, თან ფანდორინისთვის საელჩოს სიახლოვეს გამოჩენა საშიშოა, გინდაც წითური ფრანცუზი იყავი მხატვრის ხალათში... გარისკვა მოუწევს. საქალაქო ფოშტით ბარათი გააგზავნოს საგუბერნიო მდივან პიჟოვის სახელზე და მიაწეროს „პირადად ხელში". არაფერი ზედმეტი – მხოლოდ თავისი მისამართი და ივან ფრანცევიჩის თავის დაკვრა. ჭკვიანი კაცია, თავად მიხვდება ყოველისფერს. ხოლო საქალაქო ფოშტას აქ, როგორც ამბობენ, თითქმის ორ საათში მიაქვს ადრესატთან წერილი...

ასეც მოიქცა ფანდორინი და აი, შემდეგ საღამოს, უცდის – ხომ არ გაისმება ფრთხილი რაკუნი კარზე.

რაკუნი არ ყოფილა. ყოველისფერი სულ სხვანაირად მოხდა.

გვიან საღამოს, შუაღამე გადასულს, ივან პეტროვიჩი იჯდა ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილ სავარძელში, სადაც ცისფერი პორტფელი იყო დამალული და სანახევრო მთვლემარებას ქათამივით ჰკენკავდა ცხვირით. მაგიდაზე თითქმის ჩამწვარიყო კელაპტარი, ოთახის კუთხეებში ბოროტ ჩრდილებს თამაშობა გაემართნათ, ხოლო ფანჯრის მიღმა მშფოთვარედ მოგრუხუნებდა მოახლოებული ელჭექი გაავდრების მიზნით. ჰაერი ნაღველს და სულისხუთვას გაევსო, თითქო ვიღაცა მძიმე, უხილავი შემოგაჯდა მკერდზე და ჰაერს არ გაძლევსო. ფანდორინი მიმოიქცეოდა სადღაც, ცხადისა და ძილის დაუდგენელ სამძღვარზე. მნიშვნელოვანმა, საქმიანმა ფიქრებმა უცებ რომელიღაც არასაჭირო სისულელისკენ გასწიეს და მაშინ ახალგაზრდა კაცი შეხტა, თავი გაანჯღრია, ძილის ჩუმჩუმელა მორევში რომ არ ჩათრეულიყო.

ერთი ამგვარი განათების ჟამს უცნაურობა მოხდა. თავიდან გაისმა გაუგებარი, წვრილი წრიპინი. შემდეგ საკუთარი თვალების დაუჯერებლად ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ კარის საკეტის ჭუჭრუტანაში მოთავსებულმა გასაღებმა თავის ჭკუაზე დაიწყო შემოტრიალება. გაძალიანებულად დაიჭრიალა კარმა, შიგნით შემოხსნით შემოძვრა და დირეზე გამოჩნდა ველური ხილვა: პატარა, სუსტი ბატონი განუსაზღვრელი ასაკით, გაპარსული, მრგვალი პირისახით და მოკლენაოჭა სხივებში მოქცეული თვალებით.

წამომხტარმა ფანდორინმა მაგიდაზე დერინჯერს სტაცა ხელი, ხოლო მოჩვენებამ, ტკბილად რომ გაუღიმა და კმაყოფილებით დაუქნია თავი, განსაკუთრებულად სასიამოვნო, თაფლიანი ტენორით დაიღუღუნა:

-აი, მეც აქა ვარ, ძვირფასო განდეგილო. პორფირი მარტინის ძე პიჟოვი, მონა ღვთისა და მდივანი საგუბერნიოსი. პირველსავე ნიშანზედ მოვჰფრინდი, როგორაც ქარი ეოლოსის ძახილზედ.

-როგორ გახსენით კარი? – შიშით წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა. – მე ხომ მახსოვს, რომ გასაღები ორჯერ გადავატრიალე.

-ეს გახლავსთ მაგნიტური გამღები, - ხალისიანად აუხსნა დიდხანს ნალოდინარმა სტუმარმა და უჩვენა წაგრძელებული პატარა ძელი, სხვათა შორის, მალევე რომ გაქრა მის ჯიბეში. - მოხერხებული საგანი გახლავსთ. ერთი აქაური მძარცველისგან ავითვისე. საქმიანობის ხასიათის მეოხებით მიწევს საშინელ სუბიექტებთან, საზოგადოების ფსკერის მაცხოვრებლებთან შევიდე ურთიერთობაში. უსრულყოფილესი კნინ-უბადრუკები არიან, გარწმუნებსთ, ბატონ ჰიუგოს ასეთები არც მოჰლანდებია. მაგრამ იმათაც ხომ ადამიანის სული უდგასთ და იმათაც დაეძებნებათ მისადგომები: მე ეგ მტარვალები მიყვარან კიდევაც და ნაწილობრივათ ვაგროვებ კიდეც საკოლექციოთ. ხომ გახლავსთ ნათქვამი პოეტთან: ყველა ერთობა, ვით შეუძლიან, თუმც ყველას ერთი სიკვდილი ფეხგამალე-

ბით დასდევნებია. ანთუ, როგორც ჰბრძანებს ნემენცი – იედეს ტირჰენ ხატ ზაინ პლეზირხენ – თითოეულს ცხოველს თავისი სათამაშოები აქვს.

ყველაფრით სჩანდა, რომ ეს საკვირველი ადამიანი ფლობდა უნარს - უმცირესი გართულებების გარეშე ნებისმიერ თემაზე წამოეროშა და წამოეროშა, მაგრამ მისი გამჭრიახი თვალები დროს უქმად არა ჰკარგავდნენ – საფუძვლიანად მიმოუვლიდნენ თავად ერასტ პეტროვიჩსაც და მისი ღატაკი სენაკის გამართულობასაც.

-მე ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი ვარ, ბატონ ბრილლინგისგან გეახელით. უკიდურესად მნიშვნელოვან საქმეზე, - თქვა ახალგაზრდა კაცმა, თუმცკი პირველიცა და მეორეც მის წერილშიც იყო აღნიშნული, ხოლო მესამეს პიჟოვი უეჭველად თვითონვე მიხვდა, - მხოლოდ იმას ჩემთვის არავითარი პაროლი არ მოუცია, დაავიწყდა ნამდვილად.

ერასტ პეტროვიჩმა განგაშით შეხედა პიჟოვს, რომელზეც ამიერიდან მისი გადარჩენა იყო დამოკიდებული, მაგრამ იმან მხოლოდ გაატკაცუნა კოტიტათითებიანი ხელები:

- და არც არანაირი პაროლი არ არის საჭირო, ჩმახვა გახლავსთ და ბავშვური გასართობი. მითამცდა რაო, რუსი რუსს ვერ იცნობს? ჩემთვის ისიც საკმარისია, თქვენ ნათელ თვალებს ჩემი თვალები რომ შევახვედრო (პორფირი მარტინოვიჩმა ახლოს მოიწია), და ყოველისფერსა ვჰხედამ, ვით ხელისგულსა. სუფთა ყმაწვილი ხარ, მამაცი, კეთილშობილის მისწრაფებებისა და მამულის პატრიოტი, აბა-და, როგორ, ჩვენს უწყებაში სხვანაირები არც არიან.

ფანდორინს ყელში ამოუვიდა – მოეჩვენა, რომ საგუბერნიო მდივანი ასულელებს, მასხარად იგდებს. ამიტომ თავისი ამბავი მოკლედ და ცივად უამბო, უემოციოდ. აქ გამოირკვა, რომ პორფირი მარტინოვიჩს მარტო ლაქლაქი კი არა, ყურადღებით მოსმენაც შეუძლია – ამ მხრივ უთუოდ ტალანტი ჰქონდა. პიჟოვი საწოლზე ჩამოჯდა, ხელები მუცელზე დაიკრიფა, ისედაც ჭუტალა თვალები უფრო მოჭუტა და თითქოს გაქრა. ესე იგი, პირდაპირი აზრით, სმენად იქცა. არც ერთხელ არ გაუწყვეტინებია პიჟოვს მოლაპარაკისთვის, ერთხელ არ შერხეულა. თუმცა შიგადაშიგ, ამბის გარდამტეხ მომენტებში დახუჩული ქუთუთოებიდან მახვილი ნაპერწკლები სცვიოდა.

წერილების თაობაზე თავისი ჰიპოთეზა ერასტ პეტროვიჩს არ გაუზიარებია –ბრილლინგისთვის შემოინახა, ბოლოს კი დასძინა:

-და აი, პორფირი მატრონოვიჩ, თქვენს წინაშე ლტოლვილი და უნებური მკვლელია. მე სასწრაფოდ მჭირდება კონტინენტზე გადასვლა. მოსკოვში უნდა მივიდე, ივან ფრანცევიჩთან.

პიჟოვმა ტუჩები გალეჭა, დაიცადა, კიდევ ხომ არ ითქმება რამე, მერე წყნარად დაეკითხა:

-პორტფელუკა? დიპლომატიური ხაზით ხომ არ გაგვეშვა? ესე უფრო წესიერად გამოვა. ჩვენი და მტრის ძალები არათანაბარია... ბატონები, ყველაფრიდან სჩანს, სერიოზულები არიან, ევროპაშიდაც დაგიწყებენ ძებნას. ამ ყურეზედ, ჩემო ანგელოზო, რასაკვირველია, გაგამგზავრებ – ძნელი არ არის. თუკი არ ითაკილებთ დანჯღრეულის ნავს მეთევზეებისას, ხვალვე გასცურავთ ღვთის წყალობით და იალქანთა ქვეშ ღრიალა ქარებს დაიჭერთ.

რა არის სულ ეს „ქარი“ და „ქარი“, გაიფიქრა გაბრაზებულმა ერასტ პეტროვიჩმა, რომელსაც, სწორედ მოგახსენოთ, საშინლად არ სურდა პორტფელთან გამოთხოვება, ასე ძვირად რომ ჩაეგდო ხელში.

ხოლოთუ პორფირი მარტინოვიჩმა, თითქოს ვერ შეამჩნია მოსაუბრის ყოყმანი, განაგრძო:

-მე სხვის საქმეებში არ მივძვრები. ანუ მოკრძალებული და უცნობისმოყვარო გახლავართ. მაინც ვხედავ, რომ ბევრ რამეს არ მიმხელთ და სწორიცაა, ჩემო ვაშლატამავ, სიტყვა ვერცხლია, სიჩუმე კიდენა ოქრო. ბრილლინგი, ივან ფრანცევიჩი – მაღლა-მაღლა გაფრენის ფრინველია. შეიძლება ითქვას, მედიდური არწივი გახლავსთ შავთა შორის, მუნთქვესვე რომელს მნიშვნელოვანი საქმე არ მივანდოსთ?.. აბა-და, მაშ, როგორ, რამეთუ?

-რა მიმართულებით ბრძანეთ?

-პორტფელიკოზედ? მე ხომ მაგას ყოველის მხრიდან სიასამურის ბეწვებს შემოვუფუთნიდი, უსაზრიანეს კურიერს მივსცემდი, წამში მოსკოვშიდ ჩაჰფრინდებოდა, როგორც რომ სამცხენიანი ტროიკა ეჟენებით. ხოლოთუ თავად კი დაშიფრულ დეპეშას ვაფრენდი – შეჰხვდით მექთი ცათა მფლობელის ფასდაუდებელს რამ საჩუქარსა.

ღმერთია მოწამე, არცა პატივი სწყუროდა ერასტ პეტროვიჩს, არცა ტემლაკები და არც თვით დიდება. საქმის სამარგებლოდ მისცემდა პიჟოვს პორტფელს, კურიერის შემწეობით ხომ უფრორე საიმედოა. მაგრამ წარმოსახვა უკვე იმდენჯერ უსურათხატებდა შეფთან ტრიუმლფალური დაბრუნების, ძვირფასი პორტფელის ეფექტურ გადაცემისა და გადამხდარი თავგადასავლის წარმტაც თხრობის სურათს... ნუთუ ამისთანა არაფერი იქნება?

და დიდსულოვნება ვერ გამოიჩინა ფანდორინმა. თქვა მკაცრად:

-პორტფელი საიმედო ალაგას არის დამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლული. მე თავადვე წავიდებ, ჩემი თავით ვაგებ მაგაზე პასუხს. თქვენ კი, პორფირი მარტინოვიჩ, ნუ გეწყინებათ.

-რას ვიზამსთ, რას ვიზამსთ, - აღარ დაიბეჯითა პიჟომა, - ნება თქვენი გახლავსთ. მეც კიდენა წყნარად ვიქნები. უცხო საიდუმლოებები იქით იყოს, ჩემიცა მჰყოფნის. სამალავშია და სამალავშიდ იყოს. – წამოდგა, ოთახის შიშველ კედლებზე გააცურა მზერა. – თქვენ კი მანმადე მოისვენეთ, მეგობარო. ახალგაზრდობა ძილს ითხოვს. აი, მე კი, ბერიკაცს, უძილობა მჭირს, ჰოდა, მანამდისინ ნავუკას თაობაზედ ვიზრუნებ. ხვალე (გამოდის, რომ უკვე დღეს) პატარა ნათელზედ თქვენთან ვიქნები. საზღვისპიროში მიგიყვანთ, გადაგკოცნით გამოთხოვებისას და ჯვარსაც გადაგსწერსთ. მე კი თავად უცხოობაშიდ დავშთები უსახლკარო ობლობის დასაჩივლებლათ. ეჰ, ვერა ხარობს აფონიუშკა უცხო მხარეშიდ.

აქ პორფირი მარტინოვიჩი, ეტყობა, თავადვე მიხვდა, რომ გადაამლაშა და დამნაშევასავით გაშალა ხელები:

-უნდა გამოვტყდე, ვინანიებ, ბევრი ვილაპარაკე. მომენატრა ცოცხალი რუსული ლაპარაკი, იცით, სულ გაწელილობისკენ მიბიძგებს. ჩვენის საელჩოს ჭკვიანები უფრო ფრანგულად მეტყველებენ, სული ვერავისთვინ გამინდვია.

ფანჯრის მიღმა არცთუ სახუმაროდ დაიგრუხუნა, ეტყობა, წვიმა წამოვიდა. პიჟოვი დაფაცურდა, მოიკრიბა.

-გავსწევ. ოი-ოი-ოი, უამინდობა ქარისშჰხლით ჰსუნთქამს.

კარში გასვლისას შემობრუნდა, ფანდორინს საბოლოოდ მოეფერა მზერით და მდაბლად თავის დაკვრის შემდეგ დერეფნის სიბნელეში გაქრა.

ერასტ პეტროვიჩმა კარი ურდულით გადარაზა და შეცივებულმა აჭიმა მხრები – ელვამ ლამის სახლის სახურავზე დაჰკრა ქუხილი.

ბნელია და შემზარავი ლატაკი ოთახი, რომლის ერთადერთი ფანჯარაც მოტიტვლებულ, უბალახო ქვის ეზოში გადის. იქ ავდარია, იქ ქარი და წვიმაა, მაგრამ შავ-რუხ, დაფლეთილ ღრუბლებში დასწანწალ-ტანტალებს მთოვარე. მკრთალი ნათელი სხივი ფარდებსშუა ღრეჩოდან სენაკს ორად სჭრის, საწოლამდე ვრცელდება, სადაც ბორგავს ცივ ოფლდასხმული, კოშმარდაუფლებული ფანდორინი. მთლიანად ჩაცმულია, ფეხსაცმლიანი და შეიარაღებული, მხოლოდ რევოლვერი ძველებურად ბალიშქვეშ არის.

მკვლელობით დამძიმებული სინდისი ერასტ პეტროვიჩს საზარელ ჩვენებას უგზავნის. საწოლისკენ გადმოხრილა მკვდარი ამალია. თვალები ნახევრად უხუჭია, ქუთუთოებიდან სისხლის წვეთები სდის, შიშველ ხელში შავი ვარდი უჭირავს.

-რა დაგიშავე? – საბრალოდ ოხრავს მოკლული. -ახალგაზრდა ვიყავი და ლამაზი, უბედური ვიყავი და მარტოსული. ქსელში გამაბეს, მომატყუეს და შემაცდინეს. ერთადერთმა ადამიანმა, ვინც მიყვარდა, გამყიდა. შენ საშინელი ცოდვა ჩაიდინე, ერასტ, შენ მშვენიერება მოკალი, ხოლო მშვენიერება – ეს ღვთის საოცრებაა. შენ ღვთის საოცრება გადათელე. რატომ, რისი გულისთვის?

სისხლიანი წვეთი იმის ლოყიდან სწყდება და პირდაპირ გაწამებული ფანდორინის შუბლზე მოადენს ტყაპანს. ის სიცივისგან შეხტება და თვალებს ახელს. ხედავს, რომ არავითარი ამალია, მადლი უფალს, არ არის. სიზმარია, მხოლოდ სიზმარი. მაგრამ შუბლზე ისევ ეცემა რაღაც გაყინული.

რა არის, შიშისგან შეხტება ერასტ პეტროვიჩი, საბოლოოდ იღვიძებს და ესმის ქარის ღმუილი, წვიმის ხმაური, ელჭექის პირველყოფილი გრიალი. რა წვეთებია? არაფერი ზებუნებრივი. ჭერიდან წვეთავს. დაწყნარდი, ჩერჩეტო გულო, ჩადექ შენს ალაგსა.·

თუმცა აქ კარის იქიდან წყნარად, მაგრამ გასარჩევად ესმის:

-რატომ? რისი გულისთვის?

და კიდევ ერთხელ:

-რატომ? რისი გულისთვის?

ეს უსუფთაო სინდისია, საკუთარ თავს ეუბნება ფანდორინი. უწმინდური სინდისისგან მაქვს ჰალუცინაცია. მაგრამ ჯანმრთელმა, რაციონალურმა აზრმა არ გაანთავისუფლა ბილწი, მწებარე შიშისგან, რომელიც ისევ მოძვრებოდა მთელი სხეულის პორებიდან.

თითქო სიჩუმეა. ელვარებამ გაანათა შიშველი, რუხი კედლები და კვლავ ჩამობნელდა.

წუთგამოშვებით ფანჯარაზე გაისმა ხმადაბალი კაკუნი. ტუკ-ტუკ. და ისევ: ტუკ-ტუკ-ტუკ.

მშვიდად! ეს ქარია. ხე. ტოტი მინაზე. ჩვეულებრივი ამბავია.

ტუკ-ტუკ. ტუკ-ტუკ-ტუკ.

ხეა? რომელი ხე? ფანდორინი უცბად წამოსკუპდა. იქ, ფანჯრის იქით არავითარი ხე არ არის. იქ ცარიელი ეზოა. ღმერთო, ეს რა არის?

ყვითელი ღრიჩო ფარდებს შორის ჩაქრა, გარუხდა – სჩანს, მთოვარე ღრუბლებს ამოეფარა, ხოლო მომდევნო წამში იქ რაღაც შავი, ბილწი, უნახავი გაქანავდა.

რაც გინდა, ოღონდ ესე არ იწვეს და არა გრძნობდეს, როგორ უტოკავს თმის ძირები. ოღონდ ჭკუიდან არ გადავიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერასტ პეტროვიჩი ადგა და არადამყოლი ფეხებით გასწია ფანჯრისკენ, თვალს არ აცილებდა საზარელ მუქ ლაქას. იმ გაელვებაში, როცა ფარდები გასწია, ცა გაანათა ელვის აფეთქებამ და ფანდორინმა სარკმლის მიღმა დაინახა, პირდაპირ ცხვირწინ, მკვდრულად გათეთრებული სახე თვალების შავი ღრმულებით. არაამქვეყნიური შუქით მოციმციმე ხელმა სხივისებურად გაფარჩხული თითები ნელა წაუსო მინას, და ერასტ პეტროვიჩი სულელურად მოიქცა, ბავშვურად: კრუნჩხვით შეხტა, გადმოხტა და უკან გამოვარდნილი საწოლის დაეცა ზედ პირქვე, თავზე ხელები წაიფარა.

გაიღვიძოს! მალე გაიღვიძოს! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი...

მინაზე კაკუნი შეწყდა. ბალიშიდან ასწია სახე, ფრთხილად გაიხედა ფანჯრისკენ, მაგრამ საზარელი არაფერი დაუნახავს – ღამე, წვიმა, ელვის ნათებები შიგადაშიგ. მოეჩვენა. სწორედ რომ მოეჩვენა.

საბედნიეროდ ერასტ პეტროვიჩს გაახსენდა ინდოელი ბრაჰმინის, ჩანდრა ჯონსონის დარიგება, სწორ სუნთქვას და მართებულ ცხოვრებას რომ ასწავლიდა. ბრძენი წიგნი ღაღადებდა:

სწორი სუნთქვა მართებული სიცოცხლის საფუძველია. ის გაგამაგრებს ყოფიერების რთულ წუთებში, მასში იპოვი გადარჩენას, დაწყნარებასა და გასხივოსნებას. სიცოცხლის ძალას. პრანას რომ შეისუნთქავ, ნუ იჩქარებ მის ამოსუნთქვას, შენს ფილტვებში შეიკავე. რაც უფრო გრძელი და თანაბარია შენი სუნთქვა, მით მეტია შენში სიცოცხლის ძალა. მან მიაღწია გასხივოსნებასა, ვინც პრანა ჩაისუნთქა საღამოს და არ ამოისუნთქა რიჟრაჟამდე.

ჰოდა, გასხივოსნებამდე ერასტ პეტროვიჩს ბევრი რჩებოდა, მაგრამ ყოველ დილით ვარჯიშების მეოხებით მან უკვე ისწავლა სუნთქვის შეკავება ას წამამდე. ამ უებარ საშუალებას მიმართა ახლაც. მთელი მკერდით ჰაერი დაიმარაგა და გაისუსა, „გადაიქცა ხედ, ქვად, ბალახად“ და უშველა – გულის ბაგაბუგი ოდნავ გათანაბრდა, შიშმა უკან დაიხია. მესხე თვლაზე ფანდორინმა ხმაურით ამოისუნთქა, დამშვიდებულმა სულის გამარჯვებით ცრუმორწმუნეობაზე.

და მაშინ გაისმა ხმა, რომლისგანაც ხმამაღლა აუკაწკაწდა კბილები. ვიღაცა კარს მოსდგომოდა, აწვებოდა:

- შემომიშვი, - ჩურჩულებდა ხმა, - შემომხედე. მცივა. შემომიშვი...

ეს უკვე მეტისმეტია, სიამაყის ბოლო ნარჩენებისგან აღშფოთდა ფანდორინი. ეხლა კარს გავაღებ და გამეღვიძება. თუ... თუ ვნახავ, რომ ეს სიზმარი არ არის.

ორი ნახტომით გაჩნდა კართან, ურდულის რაზა ახსნა და სახელური თავისკენ მისწია. ამით მისი თავდადებული გარღვევა ჩაქრა. ამოიწურა.

ზღურბლზე ამალია იდგა. თეთრ შლეიფიან პენუარში იყო, როგორც მაშინ, მხოლოდ თმა აწეწოდა წვიმისგან, გულზე კი სისხლიანი ლაქა გადაფურჩქნოდა. ყველაზე საშიში იყო მისი არაამქვეყნიური ნათებით მოშუქარი პირისახე გაშეშებული, ჩამქრალი თვალებით. თეთრი, ნაპერწკლებსროლია ხელი ერასტ პეტროვიჩის სახისკენ გამოსწია და მის ლოყას შეეხო – როგორც ამასწინათ, მხოლოდ თითებიდან ისეთი სიცივე მოდიოდა, რომ უბედური, ჭკუიდან გადამავლი ფანდორინი უკან გადაიწია ქუსლებზე.

-სადაა პორტფელი? – მეშტვინავი ჩურჩულით შეეკითხა მოჩვენება, - სადაა ჩემი პორტფელი? მაგის გულისთვის სული გავყიდე.

-არ მოგცემ! – მოსწყდა ერასტ პეტროვიჩის გამშრალ ბაგეებს. სავარძლამდე უკანუკან მიაღწია, რომლის წიაღშიც პორტფელი იყო დამალული, საჯდომზე დაეზღვერთა და საიმედოობისთვის ხელებიც შემოხვია.

მოჩვენება მაგიდასთან მოვიდა. ასანთი გააჩხაკუნა, სანთელი აანთო და უცებ წკრიალით დაიყვირა:

-Your turn now! He's all yours! („ახლა თქვენი რიგია! თქვენთვის გადმომილოცნია!“ – ანგლ.).

ოთახში ორნი შემოვიდნენ – თხემით ტერფამდე სველი მორბიდი და კიდევ ერთი პატარა, მკვირცხლი.

საბოლოოდ დაბნეული ფანდორინი არც შეტოკებულა, როცა მსახურთუფროსმა ყელზე დანა მიადო, ხოლო მეორემ მარჯვედ გაუჩხრიკა გვერდები და წაღის ყელში დერინჯერი უპოვა.

-რევოლვერი მოძებნე, - უბრძანა მორბიდმა ანგლიურად, მაგრამ ცქვიტს არ უწვალნია – უმალ აღმოაჩინა ბალიშქვეშ გადამალული „კოლტი“. მთელი ეს ხანი ამალია ფანჯარასთან იდგა, ხელსახოცით სახეს და ხელებს იწმენდდა.

-აბა, მორჩა? – მოუთმენლად იკითხა მან, - რა საზიზღრობაა ეს ფოსფორი. და, რაც მთავარია, მთელმა მასკარადმა ამაოდ ჩაიარა. ტვინიც კი არ ეყო, პორტფელი ისე დაემალა, როგორც საჭირო იყო. ჯონ, სავარძელში დაძებნეთ.

ფანდორინს არ უყურებდა, თითქო მოულოდნელად უსულო საგნად გადაქცეულიყო.

მორბიდმა ადვილად წამოაგდო ერასტ პეტროვიჩი სავარძლიდან, ისევ ისე აჭერდა ყელზე ხანჯალს, ხოლო მკვირცხლმა ხელი საჯდომში შეაცურა და იქიდან ცისფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტფელი გამოიღო.

-აქ მომეცით. – ბეჟეცკაია მაგიდასთან მოვიდა, შიგთავსი შეამოწმა. – ყველაფერი ადგილზეა. გაგზავნა ვერ მოასწრო. მადლობა ღმერთს. ფრანც, ლაბადა მომიტანე, მაკანკალებს.

-მაშ, ეს სპექტაკლი იყო? – არამტკიცე ხმით წარმოთქვა გამამაცებულმა ფანდორინმა. – ბრავო! თქვენ დიდი არტისტი ხართ. მიხარია, რომ ჩემმა ტყვიამ გვერდი აგიარათ. აბადა, ისეთი ტალანტი დაიკარგებოდა...

-ალიკაპის ამოდება არ დაგავიწყდეთ, - უთხრა ამალიამ მსახურთუფროსს და ფრანცის მოტანილი ლაბადა მოიხურა მხრებზე, ოთახიდან გავიდა – საბოლოოდ არც კი შეხედა თავლაფდასხმულ ერასტ პეტროვიჩს.

ცქვიტმა ჯუჯამ – აი, ვინ უთვალთვალებდა სასტუმროსთან, და სულაც არა ზუროვი – ჯიბიდან თხელი თოკის შულო ამოიღო და მჭიდროდ მიაბა ტყვეს ხელები გვერდებზე. მერე ფანდორინს თითები სტაცა ცხვირში და, როცა უჰაეროდ დარჩენილმა ერასტ პეტროვიჩმა პირი დააღო, შიგ კაუჩუკის მსხალი ჩაუტენა.

-საქმე დამშია, - მსუბუქი ნემენცური აქცენტით გამოაცხადა შედეგით კმაყოფილმა ფრანცმა. – ტომარას მოვიტან.

ის დერეფანში გავარდა და ძალიან ჩქარა დაბრუნდა. ბოლო, რაც დაინახა ერასტ პეტროვიჩმა მანამდე, სანამ მხრებზე, თითქმის მუხლებამდე უხეშ ტომარას ჩამოაფარებდნენ – იყო უგრძნობი, აბსოლუტურად გაქვავებული ფიზიონომია ჯონ მორბიდისა. საწყენია, რომ სამზეოდ გამოთხოვებისას სწორედ ეს, არცთუ მომაჯადოებული ხმა აჩვენა, თუმცა ტომარის მტვრიან სიბნელეში უფრო უარესი აღმოჩნდა.

-მოიტა, ზემოდანაც გადავუჭერ თოკს, - მოაღწია ფრანცის ხმამ, - სასიარულოდ შორი არაა, მაგრამ ასე უფრო საიმედოდ იქნება.

-სად წავა? – ბასით მიუგო მორბიდმა. – პატარაზე გაიძრევა და ფაშვში დანას გავუყრი.

-ჩვენ კი მაინც გადავუჭერთ, - წაიღიღინა ფრანცმა და ისე მაგრად გაუჭირა ტომარის ზემოდან, რომ ერასტ პეტროვიჩს ფრჩხილებში ლამის სისხლმა გასწვეთა.

-მიდი! – უჯიკავა ტყვეს მსახურთუფროსმა და ფანდორინი ბრმად დაიძრა წინ, მთლად ვერ გაეგო, რატომ აქვე, ოთახში არ გამოჭრეს ყელი.

ერთი ორჯერ წაიოფორხილა, სასტუმროს ზღურბლზე კინაღამ წაიქცა, მაგრამ ჯონის ხელმა დროულად დაუჭირა მხარი.

წვიმის სუნი იყო, ცხენები ფრუტუნებდნენ.

-თქვენ ორნი, როგორც კი მორჩებით, ისევ იქ მიხვალთ და ყველაფერს აალაგებთ, - გაისმა ბეჟეცკაიას ხმა. – ჩვენ კი ვბრუნდებით.

-არ იდარდოთ, მემ, - ამოიგუგუნა მსახურთუფროსმა, - თქვენ თქვენი ჰქენით, ჩვენ ჩვენსას ვიზამთ.

ო, როგორ სურდა ერასტ პეტროვიჩს ამალიასათვის საბოლოოდ რაღაც იმისთანა ეთქვა, რაიმე განსაკუთრებული, რომ სულელ შეშინებულ ბიჭუკელად კი არ დაემახსოვრებინა თავი, არამედ იმ მამაცად, სახელოვნად რომ დაეცა ნიჰილისტების მთელ არმიასთან უთანაბრო ბრძოლაში. მაგრამ წყეულმა კაუჩუკის მსხალმა ეს უკანასკნელი სიამოვნება მოუსპო.

და აქ საწყალ ყმაწვილს კიდევ ერთი დარტყმა ელოდა, თუმცა, მკითხველო, გეგონებოდა, ყოველისფერ გადატანილის მერე რაღა დარტყმა უნდა ყოფილიყოვო?

-ამალია კაზიმიროვნა, სულიკო, - რუსულად თქვა ნაცნობმა მჟღერო ტენორმა, - ნება მიეცით ბერიკაცს, თქვენთან ერთად კარეტით გამოისეირნოს. ამაზედ ვიტყვით, იმაზედ, თანაც მშრალად ვიქნები, თავადაც ჰხედავთ, დავსველდი სუმთლად. ხოლოთუ ეს თქვენი პატრიკი კიდენა ჩემს მსუბუქ ეტლში, დროჟკაში ჩაჯდეს და ისე მოგვყვეს. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თათუნები?

-დაჯექით, - ცივად მიუგო ბეჟეცკაიამ, - მაგრამ მე თქვენთვის, პიჟოვო, არავითარი სულიკო და, მით უმეტეს, თათუნები არა ვარ.

ერასტ პეტროვიჩმა ყრუდ ამოიკნავლა, სხვანაირად პირში გაჩრილი მსხლით რომ ექვითინა, სრულიად შეუძლებელი იყო. მთელი სამყარო აუმხედრდა ბედკრულ ფანდორინს. სად მოეკრიბა იმდენი ძალა, რომ ღონივრად დამდგარიყო ბოროტმოქმედთა ხროვასთან ბრძოლაში. გარშემო მხოლოდ გამყიდველები არიან, შხამიანი ასპიტები (ფუჰ, იმ წყეული პორფირი მარტინოვიჩისგან მოიწამლა სიტყვების ცუდლუტობით!). ბეჟეცკაიაც თავისი თავზეხელაღებულობით, ზუროვიც და თვით პიჟოვიც, მერყევი კაცი – ყველა მტერია. ამ წამს სიცოცხლეც აღარ უნდოდა ერასტ პეტროვიჩს – ისეთი ზიზღი და ისეთი დაღლილობა იგრძნო.

სხვათა შორის, კიდევ იცოცხლეო, არავინ უბეჯითებდა. როგორც სჩანდა, ბადრაგს მის მიმართ სავსებით სხვა ხასიათის გეგმა ჰქონდა.

ძლიერმა ხელებმა აიყვანეს ტყვე და სავარძელზე დასვეს. მარჯვნივ დაჯდა მძიმე მორბიდი, მარცხნივ მსუბუქი ფრანცი, გაიტკაცუნა მათრახმა და ერასტ პეტროვიჩი უკან გადააგდო.

-საით? – იკითხა მსახურთუფროსმა.

-მეექვსე გემთმისადგომთან გვიბრძანეს. იქ ღრმაა და თან დინებაც არის. შენ როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობ?

-ჩემთვის სულ ერთია. მეექვსეო და იყოს მეექვსე.

მაშასადამე, ერასტ პეტროვიჩს შემდგომი ხვედრი საკმაოდ ნათლად წარმოუდგა. მიიყვანენ რომელიმე ყრუ მისადგომზე, გამოაბამენ ქვას და ტემზის ფსკერისკენ ჩაუშვებენ, დაჟანგებული ღუზების ჯაჭვებსა და ბოთლის ნამსხვრევებს შორს რომ ჩალპეს. უკვალოდ გაქრება ტიტულიანი მრჩეველი ფანდორინი, რამეთუ გამოვა, რომ არც ერთ სულიერს აღარ უნახავს პარიზელი სამხედრო აგენტის შემდეგ. მიხვდება ივან ფრანცევიჩი, რომ სადღაც წაიბორძიკა მისმა აღსაზრდელმა, სიმართლეს კი ვერასოდეს გაიგებს. აზრადაც არ მოუვათ იქ, მოსკოვში და პიტერში, რომ თავიანთ სამსახურში გაიძვერა გველი შემოსცოცებიათ. აი, ვინ არის გამოსააშკარავებელი.

შესაძლოა, კიდეც გამოვააშკარავოთ.

თუნდაც შეკრული და ჩამძვრალი იყოს გრძელს, მტვრიანს ტომარაში, ერასტ პეტროვიჩი შეუდარებლად უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე ოცი წუთით ადრე, როცა ფანჯარაში ილანდებოდა ფოსფორესენციიანი მოჩვენება და შიშისგან განსჯის პარალიზება დაჰმართა.

საქმე ის გახლავსთ, რომ ტყვეს გადარჩენის შანსი ჰქონდა. მარჯვეა ფრანცი, მაგრამ მარჯვენა სახელურის აფათურებას ვერ მიხვდა. იმ სახელოში სტილეტია, იმაზე კი იმედი. თუკი იმარჯვებს, თითებით სახელურს მისწვდება. ოჰ, ეს ადვილი არ არის, როცა ხელი ფერდზე გაქვთ აკრული. რამდენია იქამდე სასიარულო, იმ მეექვსე გემთმისადგომამდე? მოვასწრებ, ნეტავ?

-წყნარად იჯექი. – მორბიდმა იდაყვი დაჰკრა ფერდში შეშმუშნილ (ნამდვილად, შიშისგან) ტყვეს.

-კარგი ერთი, ძმაკაც, აქ გინდა იტრიალე და გინდა არა, სულ ერთი არ არის?- ფილოსოფიურად შენიშნა ფრანცმა.

კაცი ტომარაში კიდევ წუთამდე ინძრეოდა, მერე ყრუდ და მოკლედ „უჰ"- თქვა და გაჩუმდა, ბედს შეურიგდა (წყეულ სტილეტს სანამ ამოაძრობდა, მტკივნეულად გაეჭრა მაჯა).

-მოვედით, - გამოაცხადა ჯონმა და წამოდგა, აქეთ-იქით მიმოიხედა, - არავინაა.

-და ვინ უნდა ყოფილიყო აქ შუაღამისას? – მხრები აიჩეჩა ფრანცმა, - მიდი რა, გაინძერი. უკანაც უნდა დავბრუნდეთ.

-ფეხებში წაავლე.

აიღეს თოკებგადაჭრილი შეკრული და წაიღეს ფიცრითმოგებული ნავების მისადგომზე, ისარივით რომ დაკიდულიყო შავის წყლის თავზედ.

ერასტ პეტროვიჩმა გაიგონა ფიცრების ჭრიალი ფეხებქვეშ, მდინარის დუდუნი. გადარჩენა ახლოს იყო. როგორც კი ტემზის წყლები გადაეფარებიან თავზე, ხანჯლით დასერავს ზოლებს, ტომარას გამოჭრის და წყნარად ამოყვინთავს მისადგომის ქვეშ. იქ იქნება, სანამ ეს ორნი წავლენ და მორჩა – გადარჩენა, სიცოცხლე, თავისუფლება. ისე ადვილად და მარჯვედ წარმოედგინა ეს, რომ შინაგანმა ხმამ უცებ უჩურჩულა ფანდორინს: არა, ერასტ, ცხოვრებაში ასე არა ხდება, აუცილებლად გადაგხდება რომელიმე სისაძაგლე, მთელ შენს დიდებულ გეგმას რომ ჩაგიშლის, გააფუჭებს.

სამწუხაროდ, დასჩხავლა შინაგანმა ხმამ, უბედურება დასძახა. სისაძაგლეებმაც არ დააყოვნა გამოხდომა – თანაც არა კოშმარული მისტერ მორბიდის მხრიდან კი არა, არამედ გულკეთილი ფრანციდან.

-დაიცა, ჯონ, - თქვა მან, როცა ისინი პირსის ბოლოს გაჩერდნენ და ტვირთი ფიცარნაგზე დადეს. – არ გამოდის, რომ ცოცხალი კაცი კატის კნუტივით წყალში ჩავაგდოთ. შენ ინდომებდი მაგის ალაგას ყოფნას?

-არა, - მიუგო ჯონმა.

-ჰოდა, ეგე! – გაუხარდა ფრანცს, – მეც მაგას ვამბობ. როგორია, აყროლებულ და საძაგელ, უწმინდურ ჭყაპში ჩაიძირო – ბრ-რ-რ. ეგეთს არავის ვუსურვებ. მოდი, ღვთიურად მოვიქცეთ: ყელი გამოსჭერ ჯერ, რომ მერე არ დაიტანჯოს. ერთი ჩხლუმპ! – და მზად არის, ჰა?

ასეთი კაცთმოყვარეობისგან ერასტ პეტროვიჩმა საძაგლად იგრძნო თავი, მაგრამ ძვირფასმა, საოცარმა მისტერ მორბიდმა დაიღრიალა:

-აბა-და, ჰო, სწორედ დანას გავასისხლიანებ. სახელოსაც ამოიწუწავ. ისედაც ცოტა გვაწვალა ამ ლეკვმა? არა უჭირს რა, ეგრეც ამოსძვრება სული. თუ ამისთანა კეთილი ხარ, თოკით დაახრჩე, შენ ამ მხრივ ოსტატი ხარ, მე კი წავალ, რამე რკინას მოვძებნი.

მისი მძიმე ნაბიჯები მოშორდათ და ფანდორინი პირისპირ დარჩა კაცთმოყვარე ფრანცთან.

-ტომარის ზემოთ აღარ უნდა შემომეჭირა, - ფიქრიანად თქვა მან, - მთელი თოკი შემოვახვიე.

ერასტ პეტროვიჩმა გამამართლებლად ამოიზმუვლა – არა უშავსო, ნუ განიცდი, იოლას გავალ როგორმე. გავძლებ.

-ეხ, შე საბრალო, - ამოიოხრა ფრანცმა, - ნახე, კვნესის, გული უსკდება. კარგი, ბიჭო, ნუ შიშობ. ბიძია ფრანცი შენთვის თავის ქამარსაც კი არ დაინანებს.

მოისმა მოახლოებული ნაბიჯები.

-აჰა-და, რელსის ნაჭერი. სწორედ ეს გვინდოდა, - დაიგუგუნა მსახურთუფროსმა, - თო-

კებქვეშ შეუძვრინე. ერთ თვეზე ადრე არ ამოტივტივდება.

-ერთი წუთით მოიცადე, მხოლოდ ყულფს ჩამოვაცმევ.

-წადი რა, დაიკარგე მაგ შენი გულჩვილობით! დრო აღარ იცდის, მალე რიყრაჟი იქნება.

-ბოდიში, ბიჭო, - სიბრალულით თქვა ფრანცმა – ხომ ხედავ, ეგეთი ბედი გქონია. Das hast du dir selbst zu verdanken. („შენი ბრალია" – ნემეცკ.).

ერასტ პეტროვიჩი ხელახლა ასწიეს, გააქან-გამოაქანეს.

-Azazel!- მკაცრი, საზეიმო ხმით შეჰყვირა ფრანცმა დ მომდევნო წამში გათოკილი სხეული შხლაპუნით ჩავარდა აყროლებულ წყალში.

არცა სიცივეს, არც თვით წყლის ჯავშნის ზეთოვან სიმძიმეს ვერა ჰგრძნობდა ფანდორინი, სტილეტით სჭრიდა სველ თოკს. ყველაზე მეტი საწვალებელი მარჯვენა ხელთან იყო, როცა ის გაინთავისუფლა, საქმე წავიდა ბარაქიანად: ერრრთი! – და მარცხენა ხელმა მარჯვენის მიშველება დაიწყო; ორი! – და ტომარა გადაიხსნა ზემოდან ძირამდე; სამი! – და მძიმე რელსი საფლობ შლამში ჩაერჭო.

ახლა დროზე ადრე არ უნდა ამოცურებულიყო. ერასტ პეტროვიჩმა ფეხები დაჰკრა ფსკერს, ხელები წინ გასწია დაააფათურა მღვრიე წყვდიადში. სადღაც აქ, სულ ახლოს, საყრდენები უნდა იყოს, რაზეც პირსი დგას. აი, თითები შეეხნენ მოლიპულ წყალმცენარეებში ამოსულ ძელს. წყნარად. აუჩქარებლად აუყვა ბოძს ზემოთ, უხმოდ, უკრინტოდ.

პირსის ფიცარანგის ქვეშ სიბნელეზე სიბნელეა. უცებ შავმა წყალმა უხმოდ ამოუტევა თავისი წიაღიდან თეთრი, მრგვალი ლაქა. თეთრ წრეში მაშინვე გაჩნდა კიდევ ერთი, შავი და პატარა რგოლი – ეს ტიტულიანმა მრჩეველმა ფანდორინმა ხარბად გადაყლაპა მდინარის ჰაერი. მყრალის და ნავთის სუნი იდგა. ეს სიცოცხლის ჯადოსნური სურნელი გახლდასთ.

ამასობაში ზემოთ, ნავმისადგომზე, აუჩქარებელი ლაპარაკი მიდიოდა. ქვემოთ დამალული ყველა სიტყვას ისმენდა. ხდებოდა ხოლმე, ერასტ პეტროვიჩს საკუთარი თავი ცრემლებამდე მიჰყავდა, როცა წარმოიდგენდა, რა სიტყვებით მოიგონებენ უდროოდ წასულ გმირს მეგობრები და მტრები, როგორი სიტყვები აჟღერდება გაჭრილ საფლავთან. შეიძლება ითქვას, მთელი სიჭაბუკე ამ ოცნებებში გავიდა. როგორი იყო ახალგაზრდა კაცის გულისწყრომა, როცა მოისმინა, რა წვრილმანებზე ლაპარაკობენ ისინი, ვინც პატივი სცეს მოკვლით! ერთი სიტყვა არ უთქვამთ იმაზე, ვის თავზეც ნაღვლიანი წყალი შეიკრა – ადამიანზე თავისი ჭკუით და გულით, კეთილშობილი სულით და მაღალი მოწოდებებით!

-ოჰ, ეს გასეირნება რევმატიზმის შემოტევად დამიჯდება, - ამოიოხრა ფრანცმა, - აი, როგორი გამწევი ნესტი მოდის. რაღას ვუდგავართ? არ წავიდეთ?

-ადრეა.

-მისმინე, მე ამ სირბილში და გაწამაწიაში უვახშმოდ დავრჩი. როგორა გგონია, გვაჭმევენ რამეს თუ კიდევ რამე სამუშაოს მოგვიფიქრებენ?

-რა ჩვენი ჭკუის საქმეა. როგორც გვეტყვიან, ისე მოვიქცევით. ხბოს ცივი ხორცი მაინც აგვეღო. მუცელი მიყმუის... ნუთუ ნაჯდომი ადგილიდან მოვწყდებით? ძლივს დავსახლდით, შევეჩვიეთ. რატომ? ყოველისფერმა ხომ ჩაიარა?

-ქალბატონმა იცის, რატომაც. რაკილა გვითხრა, ესე იგი, საჭიროა.

-ეს კი მართალია. ის არა სცდება. მაგის გულისთვის, რაც გინდა – მშობელ მამილოს არ დავინდობდი, თუკი მეყოლებოდა. მშობელ დედას ჩვენთვის ამდენი არ გაუკეთებია, რაც მაგან გაგვიკეთა.

-თავისთავად... მორჩა, წავედით.

ერასტ პეტროვიჩმა დაიცადა, სანამ შორს მიჩუმდება ნაბიჯების ხმა, უფრო მეტი გამართლებისთვის კიდევ სამასამდე დაითვალა და მხოლოდ მაშინღა დაიძრა ნაპირისკენ.

როცა დიდის წვალებით, რამდენჯერმე მომწყდარი, აძვრა დაბალ, მაგრამ თითქმის შეეულ საპირწყლოს პარაპეტზე, განთიადისგან შევიწროვებული სიბნელე უკვე დნებოდა. შეუმდგარ დამხრჩვალს წვიმა ურტყამდა, კბილები უკაწკაწებდა და ამას კიდევ სლოკინიც ზედდაერთო. – ეტყობა, მდინარის ბინძური წყალი ყლურწა. მაგრამ სიცოცხლე მაინც შესანიშნავი იყო. ერასტ პეტროვიჩმა სიყვარულიანი მზერა შემოატარა ნაცრისფერი მდინარის სივრცეს (იქით ნაპირზე დიდის მოფერებით ენთო შუქები), დატკბა საერო პაკჰაუზის, მცირე ხნით ტვირთის შესანახი ადგილის სიკეთით; გაამართლა ზომიერი რწევა ბუქსირებისა და ბარკასებისა, მისადგომის გაყოლებაზე რომ გაშლილიყვნენ. აუჯანყებელმა ღიმილმა გაანათა სველი, შუბლზე მაზუთის ზოლიანი სახე მკვდრეთით აღმდგარისა. გემრიელად გაიზმორა და ასევე გაქვავდა ამ არასახარბიელო პოზაში – პაკჰაუზის კუთხეს გამოეყო და ჩქარ-ჩქარა გამოსწია დაბალმა, ცქაფმა სილუეტმა.

-აი, იროდები, აი, გაიძვერები, - წარმოთვამდა სილუეტი წვნიკი, შორიდან გასაგონი ხმით. – არაფრის დავალება არ შეიძლება, ყველაფერს დახედვა უნდა. სად წახვალთ უპიჟოვოდ, სად? დაიკარგებით, ბრმა ლეკვე-

ბიბლიოთეკა

ბივით დაიკარგებით.

მართებული მრისხანებით აღვსილი ფანდორინი წინ გაიჭრა. ეტყობა, მოღალატეს წარმოედგინა, რომ მისი სატანური გამოხტომა გაუხსნელი დარჩებოდა.

თუმცა საგუბერნიო მდივნის ხელში ცუდი ელვარებით გაანათა რაღაც მეტალისამ და ერასტ პეტროვიჩი ჯერ შეჩერდა, მერე უკანაც დაიწია.

-ეს თქვენ მართებულად განსაჯეთ, ჩემო მარწყვო, - გაამართლა პიჟოვმა და დასანახი შეიქმნა, როგორი დრეკადი, კატისებური მოძრაობა აქვს. - თქვენ ჭკუიანი ყრმა გვახლავხართ, მაშინვე განვსაზღვრე. ეს, ხომ იცით, რაც მაქვს? – მან თავისი რკინა გაიქნია და ფანდორინმა დაინახა უჩვეულოდ დიდი კალიბრის ორლულიანი პისტოლეტი, - შემაძრწუნებელი ნივთი გახლავსთ. აქაურს ავაზაკურს ჟარგონზედ „სმეშერი" ჰქვიან. თუკი შეხედვას ინებებთ, აიდა აი, აქ ორი ფეთქებადი ვაზნა ისმება – სწორედ ისინი, რომელნიც რომა სამოცდარვა წლის სანკტ-პეტერბურღის კონვენციით აღკრძალული გახლავსთ. მაგრამ ქვაბ-ჰავაზაკნი ხომ, ერასტუშკავ ჩემო, ავის მომქმედნი არიან. განა რამე გახლავსთ იმათთვინ კაცთმოსიყვარულე კონვერცია იგი? და ტყვია კიდენა სკდომადი გახლავსთ, როგორც კი რბილობშიდ მოხვდება, სულ პატარ-პატარა ნაბურჯღლებათ იფურჩქნება. ხორცსა, ძვლებსა და ყველანაირ ძარღვთა სულერთიან ფარშათ აქცევს. ჰოდა, ეხლა თქვენ, ჩემო მოსაფერებელო, ცოტა ფრთხილათ, ნუ წვალობთ თამაშობითა, თორენა შიშისაგან ვაჭექებ, მერე კიდენა ჩემს თავს ამგვარს მხეცობას ვითარ შევუნდობ, ავსდგები და მოვინანიებ. ძალიან მტკივნეული გახლავსთ, მუცელში თუ მოგხვდათ ანთუ კიდენა სადმე მაგავე ოლქში.

ფანდორინმა უკვე სიცივისგან კი აღარ, შიშისგან დაასლოკინა და დაუყვირა:

-ისკარიოტელო! ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდე მამული! – და ისევ უკან დაიწია ბოროტეული ლულებიდან.

-ვითარცა გამოსთქვა დიადმა დერჟავინმა, მუდმივობის უკმარობა, გნებავსთ, ცვალებადობა – მოკვდავთა ხვედრი გახლავსთ. თანაც კი სულ ამაოთ მაწყენინეთ, მეგობარო. ოცდაათ სიკლას კი არ დავხარბდი, არამედ გაცილებით უფრო სერიოზულ თანხას, წესივრათ რომ ირიცხება შვეიცარიის ბანკშიდ - სიბერისათვის, მესრის ქვეშ რომ არ ჩავღრძვე. ხოლო თქვენ კი, შტერუკანავ, საითკენ წახვედით? ვის დაუპირევით დაწკავწკავება? ქვას რომ მშვილ-ისარს ესვრი, მხოლოდ ისრებს დაჰკარგავ. ეს ხომ ღონიერობა გახლავსთ, ხეოფსის პირამიდა. შუბლით რომ დაეჯახო, ვერაფერს ასციცქნი.

ერასტ პეტროვიჩმა ამასობაში უკან-უკან სვლით საპირისწყლოს განაკიდეს მიაღწია და იძულებული შეიქმნა, შეჩერებულიყო. გრძნობდა, რა ღრმა შემოვლებული მიბჯენოდა კოჭებზე. ყველაფრის მიხედვით თუ განვსჯით, პიჟოვს სწორედ ამის მიღწევა სურდა.

-ჰაი და, კეთილი, ჰაი და, დიდებული, - წაიმღერა თავისი მსხვერპლიდან ათი ნაბიჯის მოშორებით მდგარმა. – მაშ, აბადა, ადვილი იქნებოდა ჩემთვის ასეთი ნაპატივები ყრმა მერე წყლამდინ მომეთრია. თქვენ, ჩემო იაგუნდისავ, არ შეშფოთდეთ, პიჟოვმა თავისი საქმე იცის. ბათქი, ბუთქი და მზად გახლავსთ. წითელი პირისახის მაგივრად მეწამული ფაფა იქნება. რომც დამიჭირონ – ვერ ამოგიცნობენ. სული კი მაშინათვე ანგელოზებისკენ გაჰფრინდება. ეხლა, ჯერ მაგას რა ცოდვის ჩადენა უნდა მოესწრო, სულ ახალგაზრდა სული გახლავსთ.

ამ სიტყვებით ასწია თავისი იარაღი, მარცხენა თვალი მოჭუტა და მადიანად გაიღიმა. სროლას არა ჩქარობდა, ეტყობა, მომენტით ტკბებოდა. ფანდორინმა იმედწამხდარი მზერა მოატარა დაცარიელებულ, უკაცრიელ სანაპიროს, მკრთალად რომ გაენათებინა განთიადს. არავინაა, ერთი კაციც კი. ეს კი ნამდვილად დასასრული იყო. პაკჰაუზის მახლობლად თითქო რაღაც გამოძრავდა, მაგრამ კარგად დასანახად დრო აღარ ეყო - იგრიალა საშინლად ხმამაღლმა, ყველაზე უფრო ხმამაღალ ქუხილზე უფრორე ხმამაღალმა გასროლამ და უკან გადაქანებული ერასტ პეტროვიჩი გულგამგმირავი ყვირილით ჩავარდა მდინარეში, რომლიდანაც ამდენი წვალებით ამოფორთხდა წეღან.

## *მეთორმეტე თავი,*
## *რომელშიც გმირი გაიგებს, რომ თავის გარშემო შარავანდედი აქვს*

თუმცა ცნობიერებას არ მიუტოვებია დახვრეტილი, თან ტკივილიც რატომღაც არ იყო. არაფერი ესმოდა. ერასტ პეტროვიჩმა ხელები მოიქნია წყალში. რა ხდება? ცოცხალია თუ მკვდარი? თუ მოკლულია, მაშინ რატომ არის ასე სველი?

საწყლისპიროს ბორდიურზე ზუროვის თავი გამოჩნდა. ფანდორინს სულაც არ გაჰკვირვებია. ჯერ ერთი, მოცემულ მომენტში მეტად ძნელი იყო მისი გაოცება, და მეორეც, იმქვეყნად (თუ ეს ნამდვილად ისაა) ამისთანები შეიძლება მოხდეს?

-ერაზმ! ცოცხალი ხარ? ხომ არ მოგახვედრე? – გულამომჯდარად დაჰყვირა ზუროვის თავმა. – მაიტა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერასტ პეტროვიჩმა წყლიდან მტევანი ამოჰყო და ერთი ღონიერი გამოქაჩვით ამომ-სხლტარი შეიქმნა მყარზე. პირველი, რაც მან დაინახა, ფეხზე რომ დადგა, - პატარა ფიგურა, პირქვე რომ ეგდო, წინ გამოეწია ხელი მძიმე პისტოლეტით. მის სველს, ამლაყს თმებშორის კეფაზედ შავად მოხჩანდა ნასვრეტი, ძირს მუქი გუბე დამდგარიყო.

-დაჭრილი ხარ? – მზრუნველად შეეკითხა ზუროვი, სველ ერასტ პეტროვიჩს რომ ატრიალებდა და სინჯავდა. - არ მესმის, ეს როგორ გადაგხდა. უბრალოდ, „revolution dans la balistique" („რევოლუცია ბალისტიკაში" - ფრანც.). არა, ეს შეუძლებელია.

-ზუროვ, ეს თქვენ ხართ? – ხრინწიანად თქვა ფანდორინმა, როცა ბოლოს ჭკუაზე მოვიდა, რომ ჯერჯერობით ამქვეყანას არის და არა იმქვეყანას.

-„თქვენ" კი არა, „შენ". ბრუდერშაფტზე დავლიეთ, დაგავიწყდა?

-მაგრამ რა-რატომ? - ერასტ პეტროვიჩს ისევ აებლანდა ენა, - თავადვე გინდათ, გამათაოთ? თქვენ რა, ამაში პრემიას შეგპირდათ ეგ თქვენი აზაზელი? მესროლეთ, მესროლეთ, წყეულიმც იყავით! მანანის ფაფაზედ უარესად მომბეზრდით.

მანანის ფაფაზედ საიდან წამოსცდა, გაუგებარი იყო – ეტყობა, რაღაც იყო დიდი ხნის დავიწყებულს ბავშვობაში. ერასტ პეტროვიჩს პერანგის შემოხევაც უნდოდა მკერდზე – აჰა, მეთქი, ჩემი მკერდი, მესროლე, - მაგრამ ზუროვმა უცერემონიოდ დაჰკრა მხარზე ხელი.

-მორჩი, ფანდორინ, მაგ ლათაიებსა და ბოდვას. რომელი აზაზელი? და რაის მანანის ფაფა? მოდი ერთი და, გრძნობაზედ მოგიყვან – და დაუყოვნებლივ გატანჯულ ერასტ პეტროვიჩს მეღერი სილაქი უთავაზა, თანაც ორჯერ. – ეს ხო მე ვარ, იპოლიტ ზუროვი. იოლი მისახვედრია, რომ ეგეთი დაცემების შემდეგ ტვინი გაგილაყდა. დამეყრდენი. - ახალგაზრდა კაცს მხარზე მოხვია ხელი. – ეხლა სასტუმროში წაგიყვან. აქვე ცხენი მყავს მიბმული, ამას (პიჟოვის უმოძრაო სხეულის ფეხი გაჰკრა) კიდევ – მსუბუქი ეტლი, დროჟკა. გავქროლდეთ ქარივით. გათბები, გროგს დაურტყამ და ამიხსნი, აქ რა შაპიტო გაგიმართავთ თავის ბრეზენტის კარვითა და კლოუნებით, ანუ მოძრავი ცირკი.

ფანდორინმა ღონივრად ჰკრა გრაფს ხელი:

-ესე არა, ეს შენ ამიხსენი! შენ აქ (ჰიკ) საიდან გაჩნდი? რატომ მითვალთვალებდი? შენც იმათთან ხარ?

დარცხვენილმა ზუროვმა შავი ულვაში ამოიპრიხა:

-ამას ორი სიტყვით ვერ მოგიყვები.

-არა უშავს რა, მე დრო მაქვსთ. აქედან არ გავინძრევი!

-კარგი, მისმინე.

და აი, რა უამბო იპოლიტმა.

●●●

-შენ გგონია, ტყუილუბრალოდ მოგეცი ამალიას მისამართი? არა, ძმაო ფანდორინ, აქ არის მთელი ფსიქოლოგია. მომეწონე, საშინლად მომეწონე. რაღაცა გაქვს იმისთანა... რა ვიცი, ბეჭედი რაღაცა თუ რა. ისეთებზე, როგორიც შენა ხარ, ყნოსვა მაქვს. მე თითქოს შარავანდედს ვხედავ ადამიანის თავზე, ეგეთი მსუბუქი ნათებაა. ეს განსაკუთრებული ხალხია, ვისაც შარავანდედი აქვს, ბედი იცავს, ყველა ხიფათისგან იფარავს. რისთვის იცავს, ადამიანმა თავადაც არ იცის. ეგეთებთან სროლა არ შეიძლება, მოგკლავს. კარტშიც ნუ დაუჯდები - გაგბერავს, როგორი კუნდშტუკებიც უნდა გამოაცოცო სახელოებიდან. მე შენ შარავანდედი დაგინახე. როცა შტოსში გამფრცქვენი, მერე კი თვითმკვლელობაზე კენჭისყრა მაიძულე. იშვიათად შეხვდები შენნაირებს. აი, ჩვენ რაზმში, როცა თურქესტანის უდაბნოში მივდიოდით, ერთი პორუჩიკი იყო, გვარად ულიჩი. ყველა თონეში მიძვრებოდა და სულ არაფერი, მხოლოდ კბილებს ილესავდა. დამიჯერებ, ერთხელ ხივასთან მე საკუთარი თვალით ვნახე, ხანის გვარდიელებმა ზალპი დაახალეს. განაკაწრიც არ მიუღია! მერე ამყავებული კუმისი დალია - და მორჩა, ულიჩი ქვიშაში ჩაფლეს. რატომ დაიფარა ღმერთმა ბრძოლებში? გამოცანაა! ჰოდა, ერაზმ, შენც ეგეთებიდან ხარ, შეგიძლია დამიჯერო. შემიყვარდი, სწორედ იმ წუთას შემიყვარდი, როცა უყოყმანოდ პისტოლეტი თავზე მიიდე და ჩახმახი დასხლიტე. მხოლოდ ჩემი სიყვარული, ძმაო ფანდორინ - ცბიერი მატერია არი. ვინც ჩემზე დაბლა დგას, იმათი სიყვარული არ შემიძლია, ხოლო ვინც მაღლაა, იმათი სასიკვდილოდ მშურს. შენიცა მშურდა. შენი შარავნდისა შემშურდა, არაამქვეყნიური გამართლებისა. აჰა, შეხედე, დღესაც მშრალი გამოხვედი წყლიდან. ჰა-ჰა, ესე იგი გამოხვედი კი, რასაკვირველია, სველი, მაგრამ სამაგიეროდ ცოცხალი, არც ერთი განაკაწრი. არადა, შეხედულებით - ბიჭუნა ხარ, ლეკვი, საყურებლად არც არაფერი.

ამ მომენტამდე ერასტ პეტროვიჩი ცოცხალი ინტერესით უსმენდა და მსუბუქადაც კი წითლდებოდა სიამოვნებისგან, დროის გასვლის მერე კანკალიც შეწყვიტა, მაგრამ „ლეკვზე" დამჟავდა და ორჯერ წყენით ამოისლოკინა.

-არ გეწყინოს, მეგობრულად გეუბნები, - მხარზე ხელი დაჰკრა ზუროვმა, - საზოგადოდ, ეგრე ვიფიქრე მაშინ: ბედი მიგზავნის-

ერთვნული ბიბლიოთეკა

მეთქი ამას. ასეთს ამალია აუცილებლად გადაყლაპავს. კარგად დააკვირდება და გადაყლაპავს. და მორჩა, ერთხელ და სამუდამოდ გადავრჩები სატანური წყალდიდობისგან. დამანებებს თავს, აღარ დამტანჯავს, ყელზე ჯაჭვგამობმულს ვეღარ მატარებს, როგორც ალმაცერთათება დათუნია დაყავთ ბაზარში. გაუშვი, ამ ბიჭუკელას ამოხადოს სული თავისი ეგვიპტური სასჯელებით. ჰოდა, მოგეცი კიდეც ძაფი, ვიცოდი, შენ შენსას არ დაიშლიდი... ლაბადა მოიხურე და აჰა, მათარიდან დაყლუპე. ასლოკინებ და ასლოკინებ.

სანამ კბილებაკაკუნებული ფანდორინი დიდი, ამობერილი მათარიდან ფსკერზე გაჭანჭყარებულ ჯამაიკურ რომსა ყლურწავდა, იპოლიტმა მხრებზე შემოახურა თავისი პეწიანი, შავი ლაბადა ალისფერი ატლასის სარჩულით, მერე საქმიანად გადააგორა პიჟოვის გვამი სანაპიროს კიდეზე, ბორდიურზე გადაიტანა და წყალში გადაუძახა. ერთი ყრუ შხლაპუნი და უსამართლო საგუბერნიო მდივნისგან მხოლოდ მუქი ადგილი დარჩა ქვის ფილაზე.

-მიიღე, უფალო, სული მონისა შენისა, მერა-ვიცი-რა-ერქვა, - ღირსეულად ლოცულობდა ზუროვი.

-პი-პიჟოვი, - ისევ დაასლოკინა ერასტ პეტროვიჩმა, მაგრამ კბილებს - მადლობა ჯამაიკურ რომს - აღარ აკაკუნებდა, - პორფირი მარტინოვიჩ პიჟოვი.

-მაინც ვერ დავიმახსოვრებ, - უდარდელად აიქნია მხარი იპოლიტმა, - ეშმაკსაც წაუღია, ხარახურა კაცი იყო, ყველაფრით ჩანდა. უიარაღოზე პისტოლეტით მიდის – ფიე. მაგას ხო, ერაზმ, შენი მოკვლა უნდოდა. მე, სხვათაშორის, სიკვდილსგან გიხსენი, ეს მაინც გაიგე?

-გავიგე, გავიგე, შენ მერე მომიყევი.

-მერე კი ეგრე იყო. მოგეცი ამალიას მისამართი და მეორე დღიდან მოწყენილობამ დამრია ხელი - თანაც ისეთმა, ღმერთმა დაგიფაროს. ვსვამდი კიდეც, ქალებშიც დავდიოდი, ერთი ას ორმოცდაათი ჭიქის კოტოში დავურტყი – მაინც არ მიშვებს. ვერ ვიძინებ, ვერცა ვჭამ. სმა კი, რაც მართალია, მართალია, შემიძლია. სულ იმას ვხედავ, შენ და ამალია როგორ მისძვირფასებიხართ ერთმანეთს და ჩემზე იცინით. ანთუ უფრო უარესი, საერთოდ აღარ მიხსენებთ. ათი დღე უღონობის ღონით ჩამოვხმი და ვილევი. ვგრძნობ – შეიძლება, ჭკუაზედ შევირყე. ჟანი გახსოვს, ჩემი ლაქია? საავადმყოფოში წევს. შემოძვრა ჩემთან თავისი დარიგებებით, ჰოდა, ცხვირი მოვუნგრიე და ორი ნეკნიც გავუტეხე. მრცხვენია, ძმაო, ფანდორინ. ძალიან ადუღებული ვიყავი. მეთერთმეტე დღეს ავშარდი. ყოველისფერი გადავწყვიტე: ორივეს დავხოცავ და მერე ჩემ თავსაც მაგას გადავუწყვიტავ. ამაზე უარესი, ვიდრე ეხლაა, მაინც არ იქნება. მთელი ევროპა როგორ გადავიარე – ღმერთო მომკალი და, არ მახსოვს. ყარა-ყუმის აქლემივითა ვსვამდი. ნემენციაში რომ მივდიოდით, ვიღაცა ორი პრუსიელი ვაგონიდან გადავყარე. მოკლედ, აღარ მახსოვს. იქნებ, მომელანდა. ლონდონში მოვედი გონზე. ეგრევე სასტუმროში. არც ის არის, არც შენ. სასტუმრო მიყრუებულია, ამალია ეგეთში დაბადებიდან არა მდგარა. პორტიე, ის გაიძვერა, ფრანგულად სიტყვას ვერ ამბობს, მე კიდევ ინგლისურად ვიცი „ბატტლ ვისკი“ და „მუვ იორ ასს“ – ერთმა მიჩმანმა მასწავლა. ესე იგი: მაიტა მაგარი ბოთლი და თან ცოცხლად. ჰოდა, მე მაგ ანღლიელ ჩიაკაცს მის ოლსენზე ვეკითხები, ის კი რაღაცას იყეფება თავისთვის, თავს აკანტურებს, თითს კიდევ სადღაც უკან იშვერს. გადავიდაო, რა, და მერა ვიცი სადაო. მაშინ შენზე გავაკეთე შესვლა: „ფანდორინი, ვეუბნები. ფანდორინი, მუვ იორ ასს“. ამაზე კიდევ – შენ არ გეწყინოს –საერთოდ, თვალები გადმოკარკლა. ეტყობა, შენი გვარი ანღლიურად რიგიანად ვერა ჟღერს. მოკლედ, მე და იმან გაგებამდე ვერ მივაღწიეთ. რა უნდა ვქნა – დავსახლდი ამ ვირის აბანოში, ვცხოვრობ. განაწესი ეგეთია: დილით პორტიესთან, ვეკითხები: „ფანდორინ?“ ის თავს დამიკრავს, მეუბნება: „მორნინგ, სირ“. კიდევ არ მოსულაო. გადავალ ქუჩაზე, სამიკიტნოში, იქ დაკვირვების პუნქტი მაქვს მოწყობილი. მოწყენილობაა, გარშემო დაღვრემილი სიფათები, კიდევ კარგი, „ბატტლ ვისკი“ და „მუვ იორ ასს“ მშველიან. მიკიტანი თავიდან თვალებს მიჭყეტდა, მერე შემეჩვია, ნათესავივით მხვდება. ჩემ გამო ვაჭრობა მაგრად მისდის: ხალხი იკრიბება საყურებლად, თუ როგორ ვსვამ მაგარს ორთომელებით. ახლოს მოსვლისა ეშინიანთ, შორიდან იყურებიან. ახალი სიტყვებიც ვისწავლე: „ჯინ“ – ეს ღვიისაა, „რამ“ – ეს რომი, „ბრენდი“ – კიდევ საძაგელი კონიაკი. მოკლედ, ამ დაკვირვების პუნქტში თეთრ ცხელებამდე ვიჯდებოდი, მაგრამ მეოთხე დღეს, დიდება ალლაჰს, შენ გამოჩნდი. ეგეთი ფრანტივით მოხვედი, ლაკიანი კარეტით, ულვაშებით. სხვათაშორის, ტყუილად გაიპარსე. ულვაშებიანი უფრო ყოჩაღად სჩანხარ. ერთი უყურე, ვფიქრობ, მამალი, კუდი გაუშლია. ეხლა შენ მის ოლსენის მაგივრად ბრანწი დაგხვდება კარაქით. მაგრამ შენთან სასტუმროს არამზადა სხვანაირად ამღერდა, ისე კი არა, როგორც ჩემთან, და გადავწყვიტე, დავიმალები, დაველდი, სანამ კვალზე გამიყვან, მერე კიდევ როგორც კარტი მოვა. ქუჩა-ქუჩა დაგდევდი ჩუმად, როგორც სამძებროს შპიკი. ფუჰ! სულ ჭკუიდან გადავედი. ვხედავდი, მეეტლეს რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ შეუთანხმდი, დონისძიებებიც დავსახე: საჯინიბოდან ცხენი ავიყვანე, ფლოქვები სასტუმროს პირსახოცებით შემოვუკარი, რომ არ ეხმაურათ. ჩეჩნები აკეთებენ ეგრე, როცა დასაცემად ემზადებიან. ჰო, სასტუმროს პირსახოცებით კი ვერა, რაიმე ნაჭრებით, ხომ გამიგე, არა?

ერასტ პეტროვიჩს გუშინწინდელი ღამე გაახსენდა. ისე ეშინოდა, მორბიდი არ გაეშვა, უკან გახედვაც არ უფიქრია, ხოლო თვალთვალი, ასე გამოდის, ორმაგი იყო.

-შენ რომ იმის ფანჯარაში გადაძვერი, ჩემ შიგნით ვულკანი აგრუხუნდა, – თავისი მოთხრობა განაგრძო იპოლიტმა, - ხელი მოვიკვნიტე დასისხლიანებამდე. აი, შეხედე – მან ცხვირთან მიუტანა ფანდორინს დამჯერი, მაგარი ხელი, - და მართლაც, დიდ და საჩვენებელ თითებს შორის ჩანდა იდეალურად სწორი ნახევარმთვარე ნაკბენისგან, - ჰოდა, მორჩა, ჩემ თავს ვეუბნები, ეხლა აქ ერთად სამი სული გაფრინდება – ერთი ზეცაში. (ამას შენზე ვამბობ), ორი კი პირდაპირ ქვაბებში მოსახარშად თავისი მუგუზლებით და მთელი სიყვარულებით... იქ ფანჯარასთან დაახანე, მერე თავხედობა მოიკრიბე და გადაძვერი. ბოლო იმედი მაქვს: იქნება გამოგაგდოს. არ უყვარს ეგეთი შემხტომები, თვითონ უყვარს მბრძანებლობა. ვიცდი, მუხლის მყესები მიკანკალებს. უცებ შუქი ჩაქრა, გასროლა და მისი კივილი! ოჰ, ვფიქრობ, ერაზმმა დაახალა, ჭკუა უდუღს. იხტუნავა, იხტუნავა და ეგე! და უცებ, ძმაო ფანდორინ, ისეთი სევდა შემომაწვა, თითქო სრულიად მარტო ვარ მთელ ქვეყანაზე და რაღად მინდა ცხოვრება... ვიცოდი, ცუდად დაამთავრებდა, მე თვითონაც გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ მაინც... ხომ დამინახე, გვერდით რომ ჩამირბინე? მე კი გავქვავდი, თითქო პარალიჩში ვარ, არც კი დაგიძახე. გეგონება, ღრუბლებში ვიდექი... მერე საოცრება დაიწყო და რაც უფრო შემდეგ, მით უფრო საოცარია. პირველ რიგში გამოირკვა, რომ ამალია ცოცხალია. ეტყობა, სიბნელეში ააცდინე. ისე კიოდა და ისე ლანძღავდა მსახურებს, რომ კედლები ცახცახებდნენ. გასცემს რაღაცა ბრძანებას ანღლიურად, ყურმოჭრილი ყმები დარბიან, დაფათურობენ, ბაღში იქექებიან. მე - ბუჩქებში ვცვითე თავი და გავქრი. ჭკვაში სრულყოფილი დომხალი მაქვს, იარალაში კარტის ენით. ეგეთი ბრიყვი მგონია ჩემი თავი პრეფერანსში, ყველანი სვეტებში უბერავენ, ერთი მე ვზივარ წადებაზე. მაშინ არა, იმას არ დასცემიხართ-მეთქი, ვფიქრობ. ზუროვი დაბადებიდან მიამიტი კი არ იყო. იქ, ბაღში უბნის სადარაჯოა, ძაღლის ორი ფიცრულის სიმაღლისა. ფიცარი მოვაძრე, საიდუმლოდ დავჯექი, ვერ შევეჩვევი. დაკვირვებას ვაწარმოვებ, თვალები გავამახვილე, ყურები კინკრიხოზე მაქვს. სატირი ვარ, ფსიქეას რომ ჩასდარაჯებია. იმათ კიდევ ერთი ჰაიტიბუზუ გააქვთ! ჰალალად კორპუსის შტაბია ზემდგომთაგან დათვალიერების წინ. მსახურები ხან სახლიდან გამორბიან, ხან შიგ შერბიან, ამალია კივის, ფოშტალიონებს დეპეშები მოაქვთ. ვერაფრით გამიგია – რა დააშავა ამისთანა იქ ჩემმა ერაზმმა? თითქოსდა კარგად აღზრდილი ყმაწვილია. მაინც რა უყავი, ჰა? შროშანი ხომ არ დაუნახე მხარზე? არავითარი შროშნები არა აქვს, არც მხარზე და არც სხვა ადგლებზე. აბა, მითხარი, სული ნუ ამომხადე.

ერასტ პეტროვიჩმა მხოლოდ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი – განაგრძე, სულელობის დრო არ არისო.

-მოკლედ, ჭიანჭველების ბუდე აშალე. ეს შენი განსვენებულიც (ზუროვმა მდინარის მხარეს გაიქნია თავი, სადაც ბოლო განსასვენებელი ჰპოვა პორფირი მარტინოვიჩმა) ორჯერ მოვიდა. მეორედ სწორედ დაღამებამდე...

-შენ რა, მთელი ღამე და მთელი დღე იქ იჯექი? – სახტად დარჩა ფანდორინი, - უსმელ-უჭმელი?

-ეხლა, უჭმელად დიდხანს შემიძლია, მთავარია დასალევი იყოს. დასალევი კი იყო. – ზუროვმა მათარას დაჰკრა ხელი, - რა თქმა უნდა, რაციონის შემოღებამ მომიწია. საათში ორი ყლუპი. ძნელია, მაგრამ მახმარის ალყისას ისეთს გავუძელი, მერე მოგიყვები. მოციონისთვის, ესე იგი, გასეირნებისთვის რამდენჯერმე გამოვედი ცხენის სანახავად. მეზობელი პარკის მესერზე მივაბი. ბალახს დავუკრიფავ, დაველაპარაკები, რომ არ მოიწყინოს და ისევ უკან, სადარაჯოში. ჩვენთან უსადგომო ფაშატს ეგრევე აგწაპნიდნენ, მაგრამ აქაური ხალხი დუნეა და აუჩქარებელი. ვერ მიხვდნენ. საღამოს ჩემი ჩალისფერი ძალიანაც გამომადგა. როგორც კი განსვენებული მოდგრიალდა (ზუროვმა ისევ მდინარისკენ გაიქნია თავი) მეორედ, შენი ბოროტის მსურველები სალაშქროდ შეიკრიბნენ. წარმოიდგინე სურათი. წინ გამოცხადებულ ბონაპარტად ამალია მიუძღვით კარეტით, სადავეებთან ორი ღონიერი მამაცი. უკან კიდევ დროჟკით განსვენებული ასდევნებიათ. მერე კიდევ მსუბუქი ეტლით ორი ლაქია. მოშორებით კი მე ჩემი ჩალისფერით, დენის დავიდოვი გეგონები, - მხოლოდ ოთხი პირსახოცი დადის აქეთიქით სიბნელეში, - იპოლიტმა გადაიხარხარა, უცებ შეხედა მზის ამოსვლისთვის გაწითლებული ზოლის, მდინარის სისწრივ რომ გაწოლილიყო, - შევედით რაღაცა ტარაკნების ბნელში, სუფთა ლიგოვკაა: ჩამოფხაული ქოხები, საწყობები, ჭუჭყი. განსვენებული ამალიას კარეტაში შეძვრა – სჩანს, ბჭობას მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავენ. მე ცხენი შემოსასვლელში დავაბი, ვუყურებ, მერე რა მოხდება. განსხვენებული რაღაც აბრიან სახლში შევიდა, ნახევარი საათი დაჰყო. ამ დროს კლიმატმა გაფუჭება დაიწყო. ცაში კანონადაა, წვიმა ასხამს. ვსველდები, მაგრამ ვიცდი - მაინტერესებს. ისევ გამოჩნდა განსვენებული და ამალიასთან შეშლიგინდა კარეტაში. ეტყობა, ისევ კონსილიუმს მართავენ. მე კიდევ საყელოში მასხამს, მათარაც მიცარიელდება. უკვე მინდოდა მაგათთვის „ქრისტეს გამოცხადება ხალხისთვის“ მომეწყო, მთელი ეს შატაბუტა საძმო დამეფანტა, ამალიასთვის პასუხი მომეთხოვა, მაგრამ უცებ კარეტის კარი გაიხსნა და ისეთი რაღაც დავინახე, ღმერთო, ის აღარ მაჩვენო.

-მოჩვენება? – ჰკითხა ფანდორინმა, - მანათობელი?

-ზუსტად. ბრ-რ, კანზე ტაომ დამკრა. უცებ ვერ მივხვდი, რომ ამალია იყო. ისევ საინტერესო გახდა. უცნაურად მოიქცა. ჯერ იმავე კარში შევიდა, მერე მეზობელ შესასვლელში გაქრა, მერე ისევ კარში გაუჩინარდა. ლაქიებიც თან დაჰყვებიან. მოკლე ხნის გამოშვებით რაღაც ტომარა გამოაქვთ, მოსიარულე. ეს მერე მივხვდი, რომ შენ გაგქაჩეს, მაშინ გამოცნობაზე იყო. მერე იმათი არმია გაიყო: ამალია და განსვენებული კარეტაში ჩასხდნენ, დროჟკაც იმათ წაჰყვა, ხოლო ლაქიებმა ტომრით, ესე იგი, შენით, ლანდოთი გასწიეს სხვა მხარეს. კარგი, ვფიქრობ, ტომარასთან მე რა საქმე მაქვს. ამალია უნდა გადავარჩინო, ბილწ ისტორიაში ჩატოპა. მივდევ კარეტას და დროჟკას, ფლოქვები. ტრიამ-ტრიამ, ტრიამ-ტრიამ. ბევრი არ გვივლია – გავჩერდით. მე ავჩქარდი, ჩალისფერი სახით მიჭირავს, რომ არ დაიფრუტუნოს. კარეტიდან განსვენებული გადმოძვრა, ამბობს (ღამე წყნარია, შორს ისმის): „არა, სულიკო, უმჯობესია გადავამოწმო. გული არა მაქვს რაღაც მშვიდად. წყნარად. დიდი ჯომარდი ვინმეა ეს ჩვენი ყრმა. ხოლოთუ დამისაჭიროვებსთ, - თავად უწყით, სად უნდა მომნახოსთ“. მე გავღიზიანდი: რა შენი „სულიკოა“, შე მურტალო ჭოტო. მერე დამარტყა. ერაზმზე ხომ არ არის ლაპარაკი? – იპოლიტმა თავი გადააქნია, დაუფარავად ამაყობდა თავისი მიხვედრილობით. – მერე ადვილი იყო. დროჟკის წამყვანი კარეტის ძელზე გადაჯდა. მე მიცვალებულს გავედევნე. აგერ, იმ კუთხეს ვეფარებოდი, ყოველისფერის გაგება მინდოდა, თუ რით გადაუმლაშე ესე. თქვენ კი წყანარად ლაპარაკობდით, არაფერი ეშმაკები არ მესმოდა. სროლა არ მიფიქრია, თან კარგი გასროლისთვის ბნელოდა, მაგამ ის ნამდვილად მოგკლავდა – იმისი ზურგიდან ვხვდებოდი. მე, ძმაო, ეგეთ რამეებზე გამჭრიახი თვალი მაქვს. გასროლაც როგორი იყო! აბა მითხარი, ამაოდ ხვრიტავს ზუროვი შაურიანებს? ამ შემთხვევაში კი ორმოცი ნაბიჯიდან, თან განათებაც გაითვალისწინე.

-დავუშვათ, ორმოციდან არა, - დაბნეულად წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა, სხვა რამეზე ფიქრობდა.

-ორმოციდან არა? – გაფიცხდა იპოლიტი, - წამო, დაითვალე! – და ნაბიჯების გადაზომვასაც აპირებდა (თუმცა რამდენადმე მოკლე ნაბიჯით), მაგრამ ფანდორინმა შეაჩერა.

-ეხლა საით?

ზუროვს გაუკვირდა.

-როგორ თუ საით? ადამიანურ სანახაობას დაგიბრუნებ, მერე შენ ამიხსნი, აქ რა მამაძაღლობა ხდება, ვისაუზმოთ, შემდეგ კი ამალიასთან წავალ. ტყვიას დავახლი იმ გველს და ეშმაკის დედასთან გავუშვებ. ანთუ წავიყვან. შენ მხოლოდ მითხარი, მე და შენ მოკავშირეები ვართ თუ მეტოქეები?

-ესე იგი, ასე, - შეიჭმუხნა ერასტ პეტროვიჩი, დაღლილი თვალები მოიწმინდა, - დახმარება არ მინდა – ეს ერთი. ახსნით არაფერს არ აგიხსნი – ეს ორი. ამალიას თუ დაახლი – კარგი საქმეა, მხოლოდ იქ თვითონ შენ არ დაგახალონ – ეს სამი. და არავითარი შენი მეტოქე არა ვარ, მაგისგან გული მერევა – ეს ოთხი.

-ალბათ, მაინც დახლა უკეთესია, - თქვა ჩაფიქრებულმა ზუროვმა, - მშვიდობით, ერაზმ, ღმერთი გადმოგვხედავს, კიდევ შევახვედრებს.

●●●

ღამის შერყევების შემდეგ ერასტ პეტროვიჩს დღე, თავისი სისავსის მიუხედავად, მაინც როგორღაც დანაკუწებული, თითქოსდა ცალკეული, ერთმანეთთან ცუდად დაკავშირებული ფრაგმენტებით გამოუვიდა. გეგონებოდა, ფანდორინი აზროვნებდა, მოფიქრებულ გადაწყვეტილებებსაც ღებულობდა, მოქმედებდა კიდევაც, მაგრამ ეს ყოველისფერი თითქოს თავისთვის ხდებოდა, საერთო სცენარის გარეშე. ივნისის ბოლო დღე ჩვენს გმირს დაამახსოვრდა, როგორც მონაცვლეობა ნათელი სურათებისა, რომელთა შორისაც სიცარიელე იწვა.

აი, დილა. ტემზის ნაპირი დოკების რაიონში. წყნარი, მზიანი ამინდი, ჰაერი კამკამა ჭექა-ქუხილის მერე. ერასტ პეტროვიჩი ზის საერო პაკჰაუზის თუნუქის სახურავზე დედიშობილა. გარშემო გაფენილია სველი ტანისამოსი და ჩექმები. ერთი, ჩაკეცილი, გახეულია. მზეზე შრება გადაშლილი პასპორტი და ბანკნოტები. წყლიდან გამოსულის ფიქრები ირევიან, წაიფორხილებენ ხოლმე, მაგრამ შეუცვლელად ბრუნდებიან მთავარ კალაპოტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ფიქრობენ, რომ მკვდარი ვარ, მე კი ცოცხალი ვარ – ეს ერთი. ისინი ფიქრობენ, რომ იმათზე მეტმა არავინ არაფერი იცის, მე კი ვიცი – ეს ორი. პორტფელი დაკარგულია – ეს სამი. მე არავინ დამიჯერებს – ეს ოთხი. მე ჩამსვამენ შეშლილთა სახლში – ეს ხუთი...

არა, თავიდან. მათ არ იციან, რომ ცოცხალი ვარ – ეს ერთი. მე აღარ მეძებენ – ეს ორი. სანამ პიჟოვს იპოვნიან, დრო გავა, - ეს სამი. ახლა შეიძლება გამოვჩნდე საელჩოში და დაშიფრული დეპეშა გავუგზავნო შეფს – ეს ოთხი...

არა. საელჩოში არ შეიძლება. ვაითუ იქ იუდად მარტო პიჟოვი არ იქცა? გაიგებს ამალია და ყოველისფერი თავიდან დაიწყება. ამ ისტორიის არავისთვის გაგებინება არ შეიძლება. მხოლოდ შეფს ეტყვის და დეპეშა აქ არ ივარგებს. გადაწყვეტს, რომ ფანდორინმა ევროპული შთაბეჭდილებისგან განსჯის უნარი დაკარგა. მოსკოვში რომ გაგზავნოს წერილი? ეს შეიძლება, მაგრამ დაიგვიანებს.

როგორ მოვიქცეთ? როგორ მოვიქცეთ? როგორ მოვიქცეთ?

დღეს აქაურულად ივნისის ბოლო დღეა. დღეს ამალია თავისი ივნისის ბუღალტერიას ქვეშ ხაზს გაუსვამს და პაკეტი წავა პეტერბურღში ნიკოლას კროოგთან. პირველი მოკვდება ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, დამსახურებული, ბავშვებიანი. ის იქვეა, პეტერბურღში, მანამდე ელვისუმალ მიაღწევენ. საკმაოდ სულელურია მათი მხრიდან – პეტერბურღიდან ლონდონში მოსწერონ, რათა ისევ პეტერბურღში მიიღონ პასუხი. კონსპირაციული ხარჯები. როგორც ჩანს, საიდუმლო ორგანიზაციის ფილიალებმა არ იციან, სად მდებარეობს მთავარი შტაბი. ანდა შტაბი ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის? ახლა პეტერბურღშია, ერთი თვის შემდეგ სადმე სხვაგან. თუ, შტაბი კი არა, ერთი ადამიანია? ვინ, კროოგი? ეს ძალიან მარტივი იქნებოდა, მაგრამ კროოგი პაკეტით უნდა დაიჭიროს.

როგორ გააჩეროს პაკეტი?

ვერანაირად. ეს შეუძლებელია.

სდექ. მისი გაჩერება შეუძლებელია, მაგრამ გასწრება შეიძლება! რამდენი დღე უნდება ფოშტას პეტერბურღამდე?

შემდგომი მოქმედება თამაშდება რამდენიმე საათის გამოშვებით, ქალაქ ლონდონის აღმოსავლეთ-ცენტრალური საფოშტო ოლქი დირექტორის კაბინეტში. დირექტორი თავმოქონილი გახლავსთ –ფანდორინი რუს კნიაზად წარუდგა – და ეძახის prince-ს და Your Highness („კნიაზო, თქვენო აღმატებულებავ" - ანგლ.), ტიტულებს დაუფარავი კმაყოფილებით წარმოთქვამს. ერასტ პეტროვიჩი ელეგანტურ სავიზიტო ფორმაშია, ტროსტით, ურომლისოდაც ნამდვილი პრინცი წარმოუდგენელია.

-ძალიან ვწუხვარ prince, მაგრამ თქვენი სანაძლეო წაგებული იქნება, - უკვე მერამდენედ უხსნის ფოშტის უფროსი მიუხვედრელ რუსს, - თქვენი ქვეყანა წევრია შარშანწინ დაფუძნებული მსოფლიო საფოშტო კავშირისა, რომელიც აერთიანებს 22 სახელმწიფოს 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ამ სივრცეზე ერთიანი რეგლამენტი და ტარიფები მოქმედებს. თუკი წერილი ლონდონიდან დღეს, 30 ივნისს არის გაგზავნილი სასწრაფო საფოშტო გზავნილობით, თქვენ მაშინ იმას ვეღარ გაასწრებთ –ზუსტად ექვსი დღის მერე, 6 ივლისს ის სანკ-პეტერბურღის ფოშტაში იქნება. თუმცა, ექვსი კი არა, რა რიცხვი გამოდის თქვენი კალენდრით?

-რატომ იქნება ის და მე ვერა? – ვერ გაუგია „კნიაზს", - ჰაერით ხომ არ მიფრინდება!

დირექტორი მედიდური სახით უხსნის:

-თუ იცით, თქვენო აღმატებულებავ, რომ პაკეტები შტემპლით „სასწრაფოდ" წუთის დაყოვნების გარეშე იგზავნება. დავუშვათ, თქვენ ჩაჯექით ვატერლოოს ვოკზალში იმავე მატარებელში, რომლითაც სასწრაფო წერილი იგზავნება. დუვრში იმავე ორთქლმავალზე იქნებით. პარიზში, ჩრდილოეთის ვოკზალზე თქვენ ერთდროულად მოხვდებით.

-აბა, მაშ, რაშია საქმე?

-იმაში, - იმეორებს დირექტორი, - რომ არაფერია სწრაფი საჩქარო ფოშტაზე! თქვენ ჩახვედით პარიზში და უნდა გადაჯდეთ ბერლინში მიმავალ მატარებელზე. ბილეთი უნდა იყიდოთ - წინასწარ ხომ არ შეგიკვეთიათ. საჭიროა, მოძებნოთ მეეტლე და მთელი ცენტრის გავლით მეორე ვოკზალზე მიხვიდეთ. უნდა დაუცადოთ ბერლინის მატარებელს, დღეში ერთხელ რომ გადის. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს სასწრაფო წერილს. ჩრდილოეთის ვოკზლიდან ის სპეციალური საფოშტო დრეზინით, საოლქო რკინისგზით, მიეწოდება პირველივე მატარებელს, მოძრავს აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს, შეიძლება, საგზაო მატარებელი არც იყოს, არამედ საბარგო საფოშტო ვაგონით.

-მაგრამ მეც შემიძლია იგივე გავაკეთო! – აღზნებული წამოიძახებს ერასტ პეტროვიჩი.

საფოშტო საქმის პატრიოტი ამაზედ მკაცრად მიუგებს:

-შესაძლებელია, თქვენთან რუსეთში ასეთი რამ დასაშვებია, მაგრამ არა ევროპაში. ჰმ, დავუშვათ, ფრანგის მოსყიდვა კიდევ შეიძლება, მაგრამ ბერლინში გადაჯდომისას არაფერი გამოგივათ – გერმანიის საფოშტო და სარკინიგზო ჩინოვნიკ-მოხელეები თავიან-

თი მოუსყიდველობით არიან სახელგანთქმულნი.

-ნუთუ, ყოველისფერი დაიკარგა? – რუსულად წამოიძახებს ბოლოს გულგატეხილი ფანდორინი.

-უკაცრავად, რა ჰბრძანეთ?

-ესე იგი, თქვენ თვლით, რომ სანაძლეო წავაგე? – უხალისოდ ეკითხება „კნიაზი“, ისევ რომ გადადის ანგლიურზე.

-რომელ საათზე წავიდა წერილი? სხვათა შორის, მნიშვნელობა არა აქვს. აქედანვე რომ გავარდეთ ვოკზალზე, უკვე გვიანია.

ანგლიური სიტყვები რუს არისტოკრატზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ.

-რომელ საათზე? აბა-და, რა თქმა უნდა, დღეს ჯერ კიდევ ივნისია! მორბიდი წერილს აიღებს მხოლოდ საღამოს ათზე! სანამ ის გადაწერს... დაშიფვრაც? პირდაპირ ესე ხომ ვერ გააგზავნის, ღია ტექსტით? აუცილებლად დაშიფრავს, აბა, როგორ! ეს კი ნიშნავს, რომ პაკეტი მხოლოდ ხვალ წავა! და მოვა არა ექვსში, არამე შვიდში! ჩვენებურად ოცდახუთ ივნისს! ერთი დღის ფორა მაქვს!

-არაფერი მესმის, prince, - ხელებს შლის დირექტორი, მაგრამ ფანდორინი კაბინეტში აღარ არის – მის უკან ახლახანს დაიკეტა კარი...

მის კვალზე ისმის:

- Your Highness, თქვენი ტროსტი!.. ოჰ, ეს რუსი boyars.

და ბოლოს, ამ დიდშრომიანი, თითქოს ღრუბლითმოცული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დღის საღამო. ლა-მანშის წყალი. ზღვაზე მოჩანს ივნისის ბოლო მზის ჩასვლა. ორთქლმავალ „ჰერცოგ გლოსტერს“ კურსი დიუნკერტისკენ უჭირავს. კიჩოზე ფანდორინი დგას ჭეშმარიტი ბრიტივით – კეპით, კუბოკრული კოსტიუმით და შოტლანდიური წამოსასხამით. ის მხოლოდ წინ იყურება, ფრანგული ნაპირისკენ, მტანჯველად ნელა რომ ახლოვდება. დუვრის ცარცულ კლდეებს ერასტ პეტროვიჩმა ერთხელაც არ შეხედა.

მისი ბაგეები ჩურჩულებენ:

-მხოლოდ ხვალამდე დააგვიანოს გაგზავნა. მხოლოდ ხვალამდე.

დასასრული იქნება



ეროვნული ბიბლიოთეკა

*შენ ახლა 48-ისა ხარ, ჩვენ კი, შენი ცისკრელები, შენი გარდაცვალების მესამე წლისთავზე 21 წლის ზურაბ ნარმანიას პოეტურ სტრიქონებს ვთავაზობთ მკითხველს. ვინ გვეტყვის ახლა, რატომ არ ისურვე თავის დროზე მათი გამოქვეყნება; ვინღა აგვიხსნის, რატომ მიუსაჯე ამ მშვენიერ ლექსებს ოცდაშვიდწლიანი პატიმრობა... ალბათ, იმიტომ, რომ მომთხოვნი იყავი საკუთარი თავის, საკუთარი შემოქმედების მიმართ; ჰოდა, იქნებ, არც მოგწონს, სამზეოზე რომ გამოგვაქვს ისინი, მაგრამ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ - ეს სტრიქონები ღვთის ნებით შემორჩა შენს არქივს, რათა მათ, ვინც გიცნობდა, ვისაც უყვარდი, ვისაც შენი ნაწერები წაუკითხავს, კიდევ ერთხელ შეეხმიანო, კიდევ ერთხელ გაახარო, კიდევ ერთხელ ჩაწყვიტო გული და აგრძნობინო შენი სიტყვის (შენი დუმილის) ფასი...*

# ზურაბ ნარმანია



●

**(ფრაგმენტი)**

წვიმების შემდეგ გამჭვირვალე ამინდი იცის,
სუფთა ჰაერზე მიყვარს ხოლმე, ჩავდიო ხიჭნარს,
ხეებს წვერები გაუყრიათ თვალებში სივრცის,
მწვერვალებს იქით ულურჯესი უფსკრული მოჩანს.

ცისკენ იწევენ, მაგრამ ფესვით მიწაში მდგარი
მტკენენ ტოტები მარადმწვანე ნემსებით სახეს,
ჩამოატარებს ტყეში შაშვის გალობას ქარი
და საიდუმლო სარკმელს გულის კედელში აღებს.

გამოიელვებს ხეებიდან უეცრად სხივი,
ფრინველი ფრინველს ტყიდან ტყეში უგონებს ძახილს,
მწვანეში წიფლის მოელვარე კანდელი ღვივის,
ჭიკჭიკებს ჩიტი ათასობით ჯურის და სახის.
- - - - - - - - - - - - - - -

**1976**

●

მშვიდი ვიყავ, როგორც ზღვაზე
გაზაფხულის საღამო,
გიხილე და დავრჩი ასე -
უგზოდ, უმისამართოდ.

შემხვდები და პირს იბრუნებ,
რაც გულს ალად ედება.
სადაც შენ ხარ, ჯოჯოხეთიც
მეჩვენება ედემად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა ვიცი, არასოდეს
ჩემი რომ არ იქნები,
ქვეყნად მაინც მასულდგმულებს
მხოლოდ შენზე ფიქრები.

**1976**

●

დაეშვა მთებიდან მზე - ცეცხლის ბორბალი,
დაიჭრა მთვარეთა ჰაერის კალათი,
აქ ყველგან ტანჯვათა სინათლეს გოდებენ,
ღრუბლებმა ჩაიცვეს სიკვდილის ხალათი.
დროს სასაფლაოზე მიჰქონდა წუთები
მომღერალ ტანით და მაცდური კაბებით.
თვალების თეატრი სრულყოფას ელოდა
და მიზანს არსაით არავინ შველოდა.
ლოდინი - მეგზური - გარკინულ საკანში
როზგებით ხაზავდა გატანჯულ სახეებს.
მძვინვარე კედლებში დაბორკილს დიადი
თავს მადგა ჩიტების მკვდარი განთიადი.
ვიცოდი, დაწყევლილ ოცნებას ვკოცნიდი,
ცამ ჩემგან ითხოვა მზის სამაგიერო,
ჩემს გზაზე ვარდებსაც ტირილი სურდათ და
საშველად გეძახდი, წვალებავ ცბიერო.
ნეტა, საით მიაქვთ კვირებს და კუბოებს
სიცოცხლე - წყალობა, ჰაერი - ჯალათი?
თვალები სივრცეებს იკლებენ თარეშით
და უხმოდ სახლობენ სულში და მთვარეში.
ქარები კაწრავენ გულებს და მწვერვალებს
მნათობთა ოხვრაში შუქებ-უჩუმარი
და, თუ მწუხარებით ტანიც გადიჩეხა,
მე აღარც მგზავრი ვარ და აღარც სტუმარი.
ვის დააქვს ბუნების შეშლილი დროშები,
სიკვდილზე ფიქრი და ეჭვი და ობობა?
ნუთუ შენ წინასწარ გელოდა, სოფელო,
იმედი, წუხილი, გზა და უგზოობა.

**1976**

მოხუცს

ვხედავ - თვალები წლებით
სავსე ყულაბას გიგავს
და გემდურიან ხმლები,
რომ ომში ველარ მიგაქვს.
აწ აღარ გეამები
ოდესმე ქარს და როშარს.
ასწიე თეთრი თმების
დამარცხებული დროშა.

**1976**

●

ცეცხლის ფარდებში გაწვალებით მოდის საღამო,
ეს მერამდენედ იმედებმა გადაიარა,
მზე უფსკრულებში ფენს ბილიკებს უმისამართოდ
და ღიად დააქვს ფანტასტიკურ ტანის იარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუვალს კლდეზე დაცვენილი სხივი გწყუროდა,
აწ კი მშვიდობით - იმედების დაღლილ ხეივნებს,
შენ მოხველ, რადგან შენზე ცბიერს ასე სუროდა,
და ღრუბლის ტყეში შეშლილ მზერას მიასეირნებ.
იწყევლებიან ყვავილები და შენსმიერი
დაგვიანებით ყველა ცოდვა არ გეპატია.
თქვი: სინამდვილე რომ მწარეა და ბედნიერი,
რომ მხარეები სულში ისევ უხმოდ დადიან.
დახშეს კარები და ცრემლებით ვავსებთ გალიებს,
ზღვის განშორებას მისტირიან პალმის ტოტები,
აჰა! გადაჰყვა მზეს ტალღები ცის დასალიერს,
ვეღარ სუნთქავენ მომაკვდავი ჰორიზონტები.
ბაღებში გვამთა გაღვიძებით და ნეტარებით
ამ დაზამთრებამ იმედები დამიზიანა,
ზარნი ტირიან მწუხარების ლურჯი ნარებით
...მაისს, იქნება, კვლავ მოვესწრო... გელი, დიანა.

**1976**

●

დრო - ყველა ღმერთზე ამაყი ღმერთი
ჩურჩულებს: მე ვარ მფლობელი ფერთა,
ეს მე შევღებე სისხლით ფიქრეთი
და მოგისაჯეთ კამათი ბედთან.

ეს ბედი თქვენზე მე გავახელე,
მე დავადევი ეს მორჩილება
მშფოთვარე ხელებს, ძარღვიან ხელებს
აუხსნელ ღამედ და ბორკილებად.

**1975**





ხსოვნა
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაჟა დადიანიძე

●

თუ დღეს როგორმე გადავურჩები,
მერე საღამო მზომავს თვალდათვალ...
მერე ვორდები,
მერე ვსამდები
და ვიკარგები ასე თანდათან...
მერე დამტოვებს თუ რამ მოძველდა
და შევისუნთქავ ყველაფერს ხარბად...
მერე დავუწყებ ჩემ თავს მოძებნას...
ფრთხილად!
ოდესმე ვიპოვნი, ალბათ.

●

მე ასე მჯერა:
ქვეყანაზე მოვედი როცა,
ვიყავ ბალახი,
ვიყავ ორთქლი
ცისა და მიწის...
მე ასე ვიცი:
ქვეყანაზე მოვედი როცა,
ვიყავი წყალი
და ჰაერი,
ვიყავი ნისლი...
მე ყველაფერში ვიყავი ადრე...
გავიდა ხანი...
ქვეყანაზე სხვადასხვა ფერთა
ბევრმა წყალმა და ნიაღვარმა
გადაიარა.
ვიყავ ათასი და გავხდი ერთი,
გავიდა ხანი...
და ვიქეცი ადამიანად...
რაშიც ვცოცხლობდი სამარადისოდ,
მე ახლა იმათ ვხედავ და ვისმენ...
და, რომ იტყვიან ჩემზე
უკვე აღარ არისო,
მე სწორედ მაშინ
ყველაფერში გავჩნდები ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისე კარგი ხარ

*თ.მ.*

მე შემიძლია გიცადო მუდამ,
შენი სახლის წინ ვიდგე კარგა ხანს...
ისე კარგი ხარ,
ქვეყნად ყველას უყვარდე უნდა,
არვინ გიყვარდეს, შეგიძლია,
ისე კარგი ხარ...
წელს გაზაფხული უჩუმრად დადგა,
როგორც შენ მოხველ;
და სტრიქონი სტრიქონს მიება...
თუმც დამამწუხრე, ძვირფასო, მაგრამ,
ისე კარგი ხარ,
ყველაფერი გეპატიება.

●

ვიცი, რომ გული ჩემთვის ჩარაზე,
ერთი თავნება ცელქი გოგო ხარ.
მთვარე დაღლილი რომ გაწვება ჩემს ფანჯარაზე,
თითქოს მამშვიდებს და აწყნარებს ფიქრებს ბობოქარს.
ვერ დავივიწყე შენი მშვენება,
შენი ხატება შემომეჩვია.
ხან ისე ცივად, მიუწვდომლად მომეჩვენები, -
არ მყვარებოდი არასოდეს, მართლაც მერჩია.
და მაგონდება, როგორც სიზმარი,
ოცნებას ვატან ზეცას მოვერცხლილს.
სიყვარულს არ გთხოვ, რაც ვითრთოლე, ისიც იკმარე. -
მე რომ მიყვარდე, მხოლოდ ამის ნება მომეცი.

●

ვით სახრჩობელის დაწნული ყულფი,
ტოკავს შენი თმის მსუსხავი ჭავლი
და ახლოვდება სამსჯავრო უფლის,
ვით სახრჩობელის დაწნული ყულფი.
თავს დამტრიალებს სვავი და ყურბი
და მითვლის წამებს, უჟამოდ ჩავლილს.
ვით სახრჩობელის დაწნული ყულფი,
ტოკავს შენი თმის მსუსხავი ჭავლი.

●

ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი,
თურმე სხვა გზა და სულ სხვა მთებია.
ისევ ბობოქრობს ჟინი წარმართის...
ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი.
ვინ კლდეს, ვინ ხევებს, ვინ ხეს აღმერთებს,
ვინ ყომრალ ღრუბლებს, ელვისთმებიანს...
ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი,
თურმე სხვა გზა და სულ სხვა მთებია.

●

ფესვი სამყაროს წიაღში გიდგას
და ფერისშემცვლელ ჟღერით ივსები
და გრძნობ, ჩვილივით ფეხს როგორ იდგამ,
ფესვი სამყაროს წიაღში გიდგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჩატდები, თითქოს სხვა სული გიდგას,
და იცრიცება მზეში ნისლები.
ფესვი სამყაროს წიაღში გიდგას
და ფერისშემცვლელ ჟღერით ივსები.

●

შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი
და სულის ფრთებით წარსულში მივქრი.
მჩატდება ხორცი, მძიმდება ფიქრი.
შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი.

ქრება მანძილის და დროის კვალი,
ვშორდები აწმყოს ჯახირს და ქირქილს...
შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი
და სულის ფრთებით წარსულში მივქრი.

●

იქნებ, დრო დადგა ჩრდილიდან გასვლის, -
შენ გაკლდები და სხვას ვემატები.
გული წაიღო ყეფამ კატების...
იქნებ, დრო დადგა ჩრდილიდან გასვლის.
ცხოვრება ისეც აუგად გაგსვრის;
ჩინით, მედლებით, ჭორით, კვანტებით.
იქნებ, დრო დადგა ჩრდილიდან გასვლის, -
შენ გაკლდები და სხვას ვემატები.

●

გზას შერჩი, როგორც ქვეითი მგზავრი,
და მირაჟივით როკავს შორეთი.
ღრმავდება ზეცის კლაკნილი ბზარი,
გზას შერჩი, როგორც ქვეითი მგზავრი.
მინავლდა ფრთების ჟინი და ჯავრი
და უცხო ხმების მიეთმოეთი...
გზას შერჩი, როგორც ქვეითი მგზავრი,
და მირაჟივით რეკავს შორეთი.

## ხილული და უხილავი სამყაროს საკვირველება

ეჰ, რომ იცოდეთ, სულს ვლევ არსებული და არარსებული სამყაროს დახატვისთვის, ჩემეული ჰუჭრუტანიდან ვუცქერი ხელისგულზე დატრიალებულ ცხოვრებისეულ ტრაგედიებს, მერე გავხსნი ჩემს აბგას, ამოვალაგებ ქართულ წინადადებებს და ვქარგავ. ზოგჯერ ფერი დამაკლდება, ზოგჯერ ყალამს წამოედება თმიდან ჩამოვარდნილი ქაღარა, ზოგჯერ გაიდღაბნება მკვეთრად მოსმული ხაზი... მე მაინც ვხატავ, ამ დროს კი ხარხარებს ის, ვინც ჩემს საპირისპიროდ და სატანჯველად გაჩნდა, თქართქარებს, დამცინის და თავის ნაბოდვარს უკითხავს მთას და ბარს, ცას და ცისმნათობთ.

ის ანტიპოდი კი დაუსრულებლად ცეკვავს, ბრუნავს და ხარხარებს.

მე მაინც ვხატავ ხილულს და უხილავს, თავზე ვახტები იმ უჯიათ ურჯულოს. ვემუდარები ზეცას, ნუ დაუჯერებს ცრუ წუთისოფლის მოვლენილ ორეულს. მე მართალი ვარ, მე უნდა ვხატო, მან კი იხარხაროს. მისი კბილების კრეჭაში მებადება ქართული სიტყვა...

მაინც ვერ გეტყვით, რატომ დამჭირდა ამ დილაადრიან ჩემი სულით სავსე დოქის წამოპირქვავება. მერე რამდენი „ძვირფასეულობა" დაიპნა მწვანე მინდორზე, რა იპოვის ახლა ბროწეულის კბილებისდარ ძვირფას ქვებს. ვერც კი წამოვკრეფ, რომ ისევ თიხის ჭურჭელში მივუჩინო ბინა.

რატომ მიმოვფანტე აქამდე საგულდაგულოდ შენახული საუნჯე? თუმცა დღეს ხომ მეგობარი უნდა დავხატო, მეგობარს ვუთხრა ორიოდე სიტყვა. ის ჩემში არსებობს, სუნთქავს და ორეულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე თხზავს საოცარ ტრიოლეტებს.

ეტყობა, არც მე მივლია წადმართ გზაზე, უკუღმა დავიწყე. იმ ტრიოლეტებამდე იყო საოცარი ბავშვობა, მერცხალივით მოფრენილი ლექსი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიღაბი, ჭადრაკის 64 უჯრაზე დატრიალებული ბრძოლა, სცენაზე ამეტყველებული ბავშვობის ზღაპრები, ბერდედა...

მე კი ბოლოდან დავიწყე, ჩემმა მეგობარმა კი თეატრში აღმოაჩინა საკუთარი თავი, სცენაზე აღმოაჩინა ცხოვრებისეული კანონი და ხმამაღლა იყვირა: ხალხო, უფსკრულისკენ მივექანებით, უშველეთ ქვეყანას, გადაარჩინეთ წარსული და გადარჩება მომავალი!..

ისევ გადავუხვიე, ისევ გამექცა კალამი. არადა, რამხელა ტვირთი უნდა მოვიკიდო მხრებზე და ისე ვტარო, რომ ვაჟა დადიანიძის ფერუცვლელი პორტრეტი დაგანახოთ. ერთი შეხედვით სიმინდის ტაროს მომაგონებს ჩემი მეგობარი, აბრეშუმის ულვაშებს გვერდზე გადაუწევ, გაფრჩხილავ, ფუჩეჩს ჩამოაცლი და ოქროსფერი მარცვლები შემოგანათებს, თვალს მოგჭრის, გაგახალისებს და გულში საოცარ სითბოს ჩაგიღვრის. გაფრჩხილვამდე და ფუჩეჩის გაცლამდე ჩვეულებრივი ტაროა, გულჩათხრობილი, დიდ განძს რომ ფარავს და ინახავს. ვაჟა რომ დაინახო, მისი სიდიადე იგრძნო, უნდა გაფრჩხილო და საკვირველებაც გამოჩნდება.

ვფრჩხილავ და ვაცლი აბრეშუმის ბუწუწოებს ჩემს მეგობარს.

ღმერთო, ასეთი არასოდეს დამინახავს, იმ ოქროსფერი მარცვლების დახატვა როგორ შეიძლება!

თუმცა, მთელი ცხოვრება ერთად გავლიეთ, მე აქეთ - ჯოჯოხეთს რომ უახლოვდება, ის იქით - მწვანე მდელოთი და აყვავებულ ღიღილოებთან ერთად რომ მღეროდა. ნამდვილად მღეროდა, სიმღერითაც იყო ცნობილი...

მაინც სათავიდან უნდა დავიწყო. ზღვასთან მიახლოებული მდინარის ძალა რომ იგრძნო, სათავე უნდა მონახო, სათავის წყაროს თავანკარა წყალი უნდა დალიო.

ის სათავე კი სადღაც შორს, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მოედინება. მაშინაც იყო გორი და გორისციხე, იმ დროსაც სუნთქავდნენ გორელები, იმ დროსაც აშენებდნენ, ანგრევდნენ, იმ დროსაც უყვარდათ, იმ დროსაც ღალატობდნენ...

იმ დროსაც წერდნენ ლექსებს. 1956 წელს გაჩნდა გორის პედინსტიტუტის ალმანახი „ცისკარი“. ვაჟა დადიანიძე იმ ფურცლებზე არ გამოჩენილა, მისი ასპარეზი თბილისი იყო. მერე დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. მერე გამოჩნდა გორელ ახალგაზრდა მწერალთა გუნდში, მერე გაუტანა თბილისის ახალგაზრდა მწერალთა გუნდს - „ცისკარს“ ერთადერთი ბურთი. ახლა არ იკითხავთ, ვინ თამაშობდნენ სტუმართა იმ გუნდში? ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი...

ისევ სხვა თემა წამოტივტივდა. ვაჟა ხომ მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ახლა მზის გადახრისას ამბობენ:

სპორტს რომ მიჰყოლოდაო...
ჭადრაკი რომ ეთამაშაო...
სცენას რომ არ მოშორებოდაო...
საჭადრაკო ამოცანებს რომ გადაჰყოლოდაო...
მარტო პიესები რომ ეწერაო...
ლექსს გაჰყოლოდაო...

საბედნიეროდ, ყველგან დაიხარჯა, სცენასაც, ჭადრაკსაც, დრამატურგიასაც, პოეზიასაც დაატყო თავისი ხელი და არსად ხელი არ მოცარვია...

მაინც სათავეს დავუბრუნდეთ, სათავე ყოველთვის თავანკარა და უწმინდესია.

ბარათაშვილი ითამაშა გორის პედინსტიტუტის სცენაზე. ვინც ამ როლში ვიხილეთ, აღარასოდეს დაგვავიწყდება, ახლაც თვალწინ მიდგას „მერანის“ ავტორი ამბოხი ლექსით და პროზაული ცხოვრებით. მაგრამ ვისაც არ უხილავს სცენაზე ვაჟა დადიანიძე, რა დააშავა?! მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიტან გორის მწერალთა პლენუმის ოქმიდან და ყველაფერი გასაგები გახდება. იმ პლენუმზე გორელ მწერლებს მიეკუთვნა მათი სახელი, ვის კვალსაც აგრძელებდნენ ისინი, უფრო სწორად, ვის კვალზეც იდგნენ ახალგაზრდა შემოქმედები. „ვინაიდან და რადგანაც ვაჟა დადიანიძე აქტიურად მონაწილეობდა პიესა „ბარათაშვილში“, მიენიჭოს მას ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი“.

ბარათაშვილს ვეძახდით დიდხანს ვაჟას და, თუ არ დავიცავდით გადაწყვეტილებას, ჯარიმა საკმაოდ დიდი იყო...

საოცარია, ეს ქვეყანა ჩვენი გვეგონა და იმ გუდამშიერ ქვეყანაში მხოლოდ ჩვენ ვიყავით შემოქმედნი. დღესაც ვერ გეტყვით, რამ დაარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში ჩვენი თაობა? თანაც რა დრო იყო, ათასში ერთხელ თუ დაბეჭდავდი ლექსს გაზეთში, ათასში ერთხელ თუ გაგიღიმებდა ბედი. ასე როდი იყო, ახლა რომ ყველაფერს ბეჭდავენ.

სამაგიეროდ, ვაჟა დადიანიძე აკეთებდა მოხსენებას „აბსტრაქციონიზმის, კუბიზმის და იმპრესიონიზმის ელემენტები ტოტემიზმში“. ამტკიცებდა, რომ „ტოტემიზმი არის ახალი, მარად უჭკნობი მიმდინარეობა, რომელიც უდავოდ შერჩება მსოფლიო ლიტერატურას და ხელოვნებას. ამიტომ არ გვაქვს უფლება გვერდი ავუაროთ ამ დიდ გარდატეხას ხელოვნებაში“.

ნუ გაგიკვირდებათ, ეს იყო სიზმრების ხანა, ეს იყო 1959 წლის 18 ივნისს.

ერთი წლის შემდეგ კი, 1960 წლის 22 დეკემბერს, უფრო დიდი „ნადირის მოკვლა“ განვიზრახეთ. „ინტურისტის“ ჭალებიან დარბაზში შედგა გორელ მწერალთა შევიწროებული პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ ზაურ წაქაძე, ვაჟა დადიანიძე და ჯემალ ინჯია.

დღის წესრიგი:

გორის პოეტების მეფის, გორის პროზაიკოსთა ხელმწიფის არჩევნები.

„ვ.დადიანიძე აკეთებს მოხსენებას. არჩევნებზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ხუთი დაუბეჭ-

დავი ლექსი ცალ-ცალკე დევიზით. ჟიური უწერს ლექსებს ნიშნებს, ვინც მოაგროვებს მეტ ქულას, მას აკურთხებენ ქართლური პოეზიის მეფედ, გორის პოეტების მეფედ (აქ გამოცხადდა შესვენება, რამეთუ შეისვა სადღეგრძელო სამთა გმირთა შეყრისა). წინადადება მაქვს ჟიურიში შევიდნენ ოთარ ჩხეიძე (კეისარი), სიმონ გაჩეჩილაძე, ნოდარ ალანია, კოლია გუგუშვილი, ნოდარ უთურგაიძე. არსებობს აზრი: ქულათა ერთნაირი რაოდენობით დაგროვებისას ყველას მიენიჭოს ეს საპატიო ტიტული (აქ ჯ.ინჯიას რეპლიკა: საქართველოს ისტორიას ახსოვს ორი და სამი მეფის ერთდროულად მოღვაწეობა").

ხომ დამიჯერეთ, ბავშვობა ხილვების, სიზმრების და ზღაპრების ხანაა. სწორედ იმ დროს გავიარეთ მზეჭაბუკობის, მეფობის პერიოდი, მერე რომ აღარასოდეს გვღირსებია და მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა. ისიც ბედნიერებაა, რომ ხანდახან გადავიხედავთ ახალგაზრდობის სამოთხის ბაღში და აღმოვაჩენთ ჩვენსავე თავს, დაფნით შემკულს, ოქროცურვილი შარავანდედით მოსილს. რაც უფრო დიდხანს დაგვაჯილდოებს ღმერთი იმ ხილვებით, მით უფრო მეტ საოცრებებს მოვჩხრეკთ, მით უფრო მეტ მარგალიტს ამოვატივტივებთ.

ერთი სიტყვით, როგორც ვაჟა ამბობდა „მე ყველაფერი მიყვარს ამქვეყნად", ჩვენ ყველაფერი გვიყვარდა ამქვეყნად.

„ცისკარს" „მერანი" მოჰყვა, „მერანს" - „ლიახვი", ამ ალმანახებში ვიბეჭდებოდით, ამ ალმანახებით ვსუნთქავდით და ამ ალმანახებით ვაწონებდით თავს მკითხველს, განუზომელია ოთარ ჩხეიძის როლი იმ ალმანახების გამოცემის საშვილიშვილო საქმეში.

**1960 წლის „მერანმა" გვშვა მეც და ვაჟა დადიანიძეც. ახლა აღმოვაჩინე, რომ შემდეგ გორში გამოსულ ალმანახებს ვაჟა დადიანიძე აღარ გაჰკარებია, სტრიქონიც არ დაუბეჭდავს, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი პოეტი იყო და პოეტის ცხოვრებით ცოცხლობდა. არ დაგავიწყდეთ, აქ გამოქვეყნებული ერთი უსათაურო ლექსით ვაჟა დადიანიძე საკუთარი ბედის წინასწარმეტყველი გახდა. აი პოეტის მისნობა:**

თუ დღეს როგორმე გადავურჩები,
მერე საღამო მზომავს
თვალდათვალ...
მერე ვორდები,
მერე ვსამდები
და ვიკარგები ასე თანდათან...
მერე დამტოვებს თუ რამ მოძველდა,
და შევისუნთქავ ყველაფერს
ხარბად...
მერე დავუწყებ ჩემ თავს მოძებნას...
ფრთხილად!
ოდესმე ვიპოვნი, ალბათ.

**ისე ყოველივე კარგი და სასიხარულო აგიხდეთ, ჩემო მკითხველო, როგორც ვაჟა დადიანიძეს აუხდა საკუთარი წინასწარმეტყველება, მან მოძებნა საკუთარი თავი, იპოვა და ისე წარმოგვიდგა. და ამ კუკუდამალობანას თამაშში მეც ამოვაჩინე ამ წერილის არსი.** თავიდანვე ხომ ვწერდი ხილულ და უხილავ სამყაროზე, ორეულზე, რომელიც ფეხდაფეხ დაგვდევს ადამიანებს. წლების მანძილზე გაჩნდა ის ორეული, ვაჟას რომ თან სდევდა, თუმცა ფშუტე კაკალივით იყო, გატეხდი და შავი ნაცარი გადაგეყრებოდა ხელებზე. საოცარია, ისიც ლექსებს წერდა, უსახურ ლექსებს აფრიალებდა, ბეჭდავდა, თვალში ნაცარივით აყრიდა მკითხველს. გენიოსობას იბრალებდა, მეფის კარზე აკაკუნებდა ლექსებიან მუშტს, არწმუნებდა მოკვდავთ, რომ კოჭლი და დაფეხვილი ლექსებით კი არ შეაღო პოეზიის სამყარო, არამედ ბარათაშვილის მერანით მიფრინდა შემოქმედთა სამოთხეში.

ის ორეული ზეიმობდა.

ეს - ვაჟა დადიანიძე კი თამაშობდა ჭადრაკს, ადგენდა საოცარ ამოცანებს, ოქროს ფონდში რომ შეჰქონდათ ჭადრაკის მესვეურთ. იქ, ოკეანის გადაღმაც - ყველაზე მდიდარ და ჭკვიან ქვეყანაშიც შეიტანეს მისი სახელი საჭადრაკო ენციკლოპედიაში, მაგრამ იმ წიგნმაც ვერ მოაღწია ვაჟამდე - ეშმაკის გაჩენილმა გააქრო, რომ არ გაეხარა შემოქმედს.

ის ორეული ისევ ზეიმობდა.

ეს იჯდა და თხზავდა პიესებს, ზოგჯერ თარგმნიდა. გორის თეატრის აღიარებული მსახიობები თამაშობდნენ, ვაჟას სამყაროს აცოცხლებდნენ სცენაზე. კუდიანი მაინც კუდიანობდა, ერთხელაც ქება წამომცდა მეგობარი დრამატურგის და საყვედურებით ამავსეს.

ის მაინც იჯდა და წერდა ტრიოლეტებს. აკი მოევლინა კიდეც ჩვენს სამყაროს „ნათლის ყვავილები". შემძრა პოეტის ერთწინადადებიანმა მონოლოგმა: „თავს მოვალედ ვთვლი, უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს ღირსეულ მამულიშვილებს - რუსუდან გარდაფხაძესა და ზაურ საგანელიძეს, რომელთა თანადგომამ მნიშვნელოვნად შემიმსუბუქა ცხოვრებისეული ტვირთი და პოეზიის საუფლოში ხეტიალი შემაძლებინა". ამ ქართულ წინადადებაში იმალება უამური დრო, რომელიც გულზე აწევს შემოქმედს და არ აძლევს სუნთქვის საშუალებას.

მეც მადლობა მაქვს გადასახდელი ამ მამულიშვილებთან, მაგრამ გულიდან ამოღებულ ამ წინადადებას ვერ გავჯიბრები.

„ნათლის ყვავილები" ვაჟა დადიანიძის სულია, სწორედ ის, მის სხეულში რომ არის მოთავსებული, ავსებს ფილტვებს, აძგერებს გულს და კვებავს გონებას. დასაწყისში სიმინდის ტაროს კი შევადარე პოეტი, მაგრამ, ვატყობ, რომ მთლად მართალი არ ვიყავი, ასე ადვილი არ არის მოუძებნო პოეტს შედარება. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ვაჟა დადიანიძემ თვითონ იპოვა საკუთარი სულის ხატვის იშვიათი საშუალება - ტრიოლეტი. მერე როგორ კარგად მოარგო ლექსის ეს ფორმა „ნათლის ყვავილების" 63 მარგალიტს.

წელიწადის ოთხ დროშია ჩატეული ვაჟა დადიანიძის სული. გაზაფხულს 19 ტრიოლეტი ასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხავს, ზაფხულს 15 ლექსი ქარგავს, შემოდგომას 13 ლექსით ახარებს, ხოლო ზამთარს 15 ლექსი აქვს მიძღვნილი.**

აი, გაზაფხულის ჰიმნი:
იქნებ დრო დადგა ჩრდილიდან
გასვლის,
შენ გაკლდები და სხვას ვემატები;
გული წაიღო ყეფამ კატების...
იქნებ დრო დადგა ჩრდილიდან
გასვლის,
ცხოვრება ისეც აუგად გაგსვრის:
ჩინით, მედლებით, ჭორით,
კვანტებით,
იქნებ დრო დადგა ჩრდილიდან
გასვლის,
შენ გაკლდები და სხვას ვემატები.

**„ნათლის ყვავილების“ გაზაფხულშია სიზმრად ქცეული ქალი, გუბედ ქცეული მორევი, წამწამთა წუნარი ნიავი, რომელიც უხმობს შორეულ ქარიშხალს, თვალებით ნატარები სევდა, ჯადოსნური ფერებით აფეთქებული ტუჩები, სამრეკლოს ზარივით მოწკრიალე საყურე, მაცდურად მშვიდი ძოწის თვალები, სატანის ლანდი და სამოთხის ბაღი, დემონებით სავსე მინდვრები.**

**ზაფხულში უკვე „მწყემსის სალამურს მეთაგვე უკრავს“,შემოდგომაზე „ფერს იცვლიან საუკუნენი“, ხოლო ზამთრის პირს „გზას შერჩი, როგორც ქვეითი მგზავრი და მირაჟივით როკავს შორეთი“.**

**ვაჟა დადიანიძის ტრიოლეტს თუ გაჰყვები, ნახავ უკიდეგანო სამყაროს, ხელმეორედ აღმოაჩენ ადამიანს, გონების ჩვეულებთან ჩასაფრებულ ეშმას და მარადისობის საფიქრალს, როგორ მოიშორო ადამიანთა სატკივარი, როგორ მოკლა საკუთარ თავში საკუთარი თავი და საკუთარ ნათელში კვლავ იპოვო დანაკარგი.**

**ისევ 60-იანი წლების „მერანი“ ამეკვიატა, ისევ ვაჟა დადიანიძის 60-იანი წლების უსათაურო ლექსი მიკაკუნებს კარს:**

მე ასე მჯერა,
ქვეყანაზე მოვედი როცა,
ვიყავ ბალახი,
ვიყავ ორთქლი
ცისა და მიწის...
მე ასე ვიცი,
ქვეყანაზე მოვედი როცა,
ვიყავი წყალი
და ჰაერი,
ვიყავი ნისლი...
მე ყველაფერში ვიყავი ადრე...
გავიდა ხანი...
ქვეყანაზე სხვადასხვა ფერთა,
ბევრმა წყალმა და ნიაღვარმა
გადაიარა.
ვიყავ ათასი და გავხდი ერთი,
გავიდა ხანი...
და ვიქეცი ადამიანად...
რაშიც ვცოცხლობდი სამარადისოდ,
მე ახლა იმათ ვხედავ და ვისმენ...
და რომ იტყვიან ჩემზე,
უკვე აღარ არისო,
მე სწორედ მაშინ,
ყველაფერში გავჩნდები ისევ.

**საოცარი წინათგრძნობაა, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ წამოცდენილი წინასწარმეტყველება.**

**ვაჟა დადიანიძე...**

**საფიქრალი როგორ არ არის! ის რომ გონებას წურავდა, სამყაროს საიდუმლოებას ფარდას ხდიდა, „ნათლის ყვავილები“ ესიზმრებოდა, ადამიანური ძალით ებრძოდა ჩინს, მედლებს, ჭორს და კვანტებს, ის მტანჯველი ორეული დაეუფლა ჩინს, ჯინჯილ-მედლებს, ჭორის და კვანტების თეორია პრაქტიკულად გამოიყენა და ამაყობს თავისი ლაყე ლექსებით, გულზე გაკრული ღირსების ორდენით... რას იზამ, ეს ჩვენი ხილული სამყაროს საკვირველება გახლავთ, დღემდე ამ სისაძაგლეს ვერავინ მორევია და ვერც ვერავინ დაამარცხებს.**

**მე კი ასეთ „დიდებას“ „ნათლის ყვავილების“ ერთი ლექსი მირჩევნია. ესეც უხილავი სამყაროს საკვირველებაა.**

**ზაურ წაქაძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ შანიძე

## გულქართლი კაცის პოეზია

*„რასაც პოეტი შთაგონებითა და წმინდა სულის დახმარებით წერს, უაღრესად მშვენიერია. მშვენიერი და ბრძნული ლექსების ღვთაებრივი და სულიერი საწყისის გარეშე წერა შეუძლებელია“*

პლატონი

ჩემი საწერი მაგიდის მოპირდაპირედ სხვილოს ციხის ფოტო დავკიდე. იგი მრავალი წლის წინ აღვბეჭდე და აგერ ახლა მოვაჩარჩოვე. მაგიდაზე ვაჟა ოთარაშვილის „ხეკორძულელის აღსარება“ მიდევს. ისეთი გრძნობა მეუფლება, ამ სტრიქონებს ვერასდროს დავწერ, მაგრამ ჟამ-ჟამად გავხედავ სხვილოს და ისიც თითქოს ჩემი მოკრძალებული საქმის შესრულებას მავალებს.

ვეება ციხე-დარბაზია სხვილო, ორი მეტრი სისქისა და ათი მეტრი სიგანის გალავნით. შვიდი ბურჯი სიმაგრისათვის. საშენი მასალა - რიყის ქვა და დუღაბი.

ზორბაა სხვილო. იგი ყოველი მხრიდან მოჩანს ლეხურისა და ქსნის ხეობის, ტირიფონისა და მუხრანის ველის სანახებიდან. მისი ფართობი 530 კვ.მეტრია. შუა ეზოში ოთხკუთხა სვეტი, აშენებული საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სპასალარის, გივი ამილახვარის მიერ, ნადირ შაჰს რომ აუჯანყდა და თავისი თანამედროვე ყველა პატრიოტის კერპად იქცა. სვეტში ოთხივ მხრივ ბუხარი.

მშობლიური ციხეა სხვილო პოეტისა, რომლის პოეზიის შესახებაც მინდა ვიფიქრო ხმამაღლა.

ცოდნა ორგვარია: შეგრძნებითა და აზროვნებით მიღებული ცოდნა.

თეორიული განზოგადება და ლოგიკური აზროვნება თუ ემპირიზმი?!

ერთნი აზროვნებით მიღებულ ცოდნას, რაც ჭეშმარიტების დადგენაში გვეხმარება, ჭეშმარიტ ცოდნას უწოდებენ. გრძნობად-აღქმადს წარმოდგენაში არსებულად მიიჩნევენ და ჭეშმარიტების დადგენაში მისი გამოყენების შესაძლებლობას უარყოფენ.

მაშ, შემეცნების ორი სახე. რომელია მათ შორის ჭეშმარიტი?

„როდესაც შეგრძნებებს აღარ შეუძლია უმცირესის დანახვა, არც მოსმენა, არც სუნისა და გემოს გაგება, მაგრამ საჭიროა შემეცნების მეტი სიღრმე, მაშინ ჭეშმარიტი შემეცნება მოქმედებს, შემეცნების უფრო მოქნილი იარაღი - გონება. უმთავრესი და უდიადესი საგნები განსჯამ მოაწესრიგა, აწესრიგებს მთელი ცხოვრების მანძილზე და მოაწესრიგებს მომავალშიც. ჭეშმარიტია ის, რასაც გრძნობით ვწვდებით, გააზრების საშუალებით“ - დემოკრიტე.

„გონების გზით სულ წინსვლა შეუძლებელია. უმცირესს გრძნობით მივწვდებით. ჭეშმარიტია ყოველივე, რასაც შეგრძნებით აღვიქვამთ“. „უბადრუკო გონებავ! ჩვენი უარყოფა გსურს შენ, რომელიც ჩვენგან იღებ ცოდნას, მაგრამ გახსოვდეს, ჩვენი უარყოფა შენი დამარცხებაა“, - ასე მიმართავს გრძნობა გონებას ეპიკურესთან.

ერთიცა და მეორეც სხეულის მდგომარეობაა, სხეულისავე ცვალებადობიდან გამომდინარეო - გვასწავლიან წინაპრები. ორივეს ძალუძს გაურკვევლისა და ბუნდოვანის მიზეზის წვდომაო. მაგრამ არის ისეთი მოვლენა, რომელიც როგორც გრძნობით, ასევე გონებითაა მისაწვდომი. თუ გრძნობით მისაწვდომი სხვაა და გონებით კიდევ სხვა, ან ძალუძს ერთსა და იმავ ადამიანს თუნდაც სხვადასხვა დროს ორთავ შემეცნებითი უნარის გამოყენება?!

ძნელად ამოსაცნობის ამოცნობას პოეტებიც ცდილან ოდითგან. ერთნი ემპირიით, სხვანი ლოგიკური განსჯით. სხეულის მდგომარეობა მათთვის სუბსტანციის ცნებაცაა და განსაზღვრული არსიც.

ყოველივე მარტივად არი. პირველგანცდა პოეტისთვის მჭვრეტელობის საგნად იქცა. ახლა მან თავის თავზე უნდა აიღოს ხელი, რათა განცდა რაც შეიძლება ახლობელი და მისაწვდომი გახდეს დაკვირვებისთვის. თავისი თავი უნდა დაივიწყოს და განთავისუფლებული შინაგანი სამყაროთი ღვთაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივ იმანენტობას იოლად ჩასწვდეს. შედეგი არ აყოვნებს. შეგრძნება წარმოიშვა, იგი ჭეშმარიტად არსებობს.

ამასთან მიზანშეწონილი არაა, პოეტი ბოლომდე ექსპანსიური იყოს. იქ, სადაც მეტისმეტ მგრძნობელობას და გულწრფელობას წააშველებს რაღაც გონისეულს, ერთობ წარმატებული, ბუნებრივი, რეფლექსური მოვლენების თუ გამოვლინებების ამსახველ მარჯვე იარაღს, რომელთან შესისხლხორცებასაც გრძნობა ყოველთვის ამაღლავნებს (ეს თითქოს ურთიერთგარეთ მდებარე შემეცნებითი უნარები გულგრილი არასოდეს არის ერთმანეთის მიმართ), პოეტის სუბიექტური გრძნობის პარალელურად, მისი მეშვეობით სული ცხოველ ურთიერთობას ამყარებს საგნებთან, რომელთა შესახებაც წერს იგი. ასეთია პოეტური შემოქმედების მეთოდი.

მაგრამ შეგრძნება ყველასთვის საერთო და მისაწვდომი არაა, ხოლო გონისმიერი შემოქმედება მხოლოდ თვითცნობიერ სუბიექტს ძალუძს.

რად იკვეთება თემა, თუნდაც ყოველთვის მოუმწიფებელ-დაუსრულებელი, მაგრამ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი და ღრმააზროვანი: განღმრთობა თუ ღვთისმაგვარობა?! ნეოპლატონური თუ ქრისტოლოგიური!? ანტიკური თუ დოგმატური?!

პოეტური აზროვნება - რიგით მესამე ადამიანის მიერ კლასიფიცირებულ უნართაგან. პოეტური აზროვნება უურთულესი, ვიდრე პირველი ორი შემეცნებითი უნარი.

სულ სხვაა ტვინწყობა პოეტისა. იგი არ გეტყვის, სწამს თუ არა ღმერთი, მატერიალისტია თუ იდეალისტი. მისთვის ამქვეყნად იმდენი რელიგიაა, რამდენი ადამიანიცაა. ეს სულაც არ გახლავთ მოულოდნელი ან სახიფათო თემა. რელიგიური დოქტრინები ხომ პოეტური საფილოსოფოსო ენით დაწერილი წიგნებია, რაც, თუკი მეტაფორულად ვიტყვით, ან ამ ორი შემეცნებით უნარის შეუღლებაზე, ან მათ ფარულ პოლემიკაზე მეტყველებს.

პოეტია იგი, ვინაც ესა თუ ის შეხედულება ყველაზე ადრე გამოთქვა. მიზეზი კი არ ამოხსნა, არამედ დაინახა, მისი არსებობა დაუშვა და სხვებიც აიძულა, სხვა საწყისთა ძიება განზე გადაედოთ.

შესაძლოა, პოეტი ხშირად მხოლოდ ახლოს იყოს პირველგანცდასთან, ხშირად ნათლად ვერც მსჯელობდეს, მაგრამ მიზანდასახულია და გვერდს დაუდევრად არაფერს ჩაუვლის, დუმილს არ ამჯობინებს. შესაძლოა, მან პირველგანცდა კარგად ვერც შეიცნოს, მაგრამ სიტყვით ავად თუ კარგად შეეცადოს მის გადმოცემას.

აუღებელი როდია სხვილო. იგი ქართლის მეფემ როსტომმა დააქცია, როცა ქსნის ერისთავი იასე და იოთამ ამილახვარი გადაუდგნენ.

ქართველი ფეოდალების ურთიერთქიშპის მოწმეა სხვილო. ქართლის მეფე სვიმონი კახეთის მეფის თეიმურაზის დავალებით ამ ციხეში მოკლა ზურაბმა. თავი მოჰკვეთა და კახეთს წაუღო თეიმურაზს.

იმ ძველ ციხეს თავისი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად რამდენიმე ლექსში პოეტი ხატავს სევდიანი ფერით - აქ აღარ ისმის ბრძოლის ყიჟინა, არამედ მხოლოდ გოდება ძველი ძლევამოსილების გამო. ვაჟა ოთარაშვილის ეს ლექსები გვაოცებს თავისი სურათ-ხატოვანებით.

წიგნში პოეტი ეხება ყველაფერს, რაც ქებისა და სიყვარულის ღირსია. ყველა საგნისა და ყველა მოვლენის სუბსტანცია მჭვრეტელობის საგნად ქცეულა. პოეზიის ყოვლისშემძლეობა, სულის, გონების, ფანტაზიის აღტყინების ძალა გვაუწყოს - ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის უზოგადესი შინაარსია.

მისი პოეზია ავტობიოგრაფიულია, ატავისტურია; მის ლექსებში პეიზაჟებია იშვიათი ოსტატობით გადმოცემული, ქართლელი ბიჭის სტრიქონებში ქართლის მტკიცე ფერები იგრძნობა.

„ხეკორძულელის აღსარება“ გულქართლი კაცის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია.

ქართლი ყოველთვის აკმაყოფილებდა ჩვენს პოეტურ თუ ჰეროიკულ მოთხოვნილებას. სწვევიხართ მთვარიან ღამით არმაზის ბილიკებს?! გიფათურებიათ ხელი მეხსიერების ელიზიუმში? გიძებნიათ მოგვთა ხიდის შესაძლებელი ადგილმდებარეობა? გქონიათ ხილვა? - გაცის ბივრილის დაბინდული ვუალის!

როგორც ერთი სურათი რჩება ადამიანს, ის ერთადერთი სურათი, ისევე ერთადერთობენ მხატვრული შედარებები, თავ-თავიანთი სამკაულებრივი თუ ემოციური თვისებებით შორეული საგნები და მოვლენები ერთმანეთთან ასე რომ დაუახლოებიათ. საგნისა და მოვლენის სახეობრივი ჩვენების, სახეობრივი დატვირთვისთვის პოეტს სხვა, გარეგნულად ან შინაგანად დამახასიათებელ თვისებათა მსგავსი საგანი ან მოვლენა ასე მოხდენილად რომ შეუფარდებია. მეტაფორა ყველა პოეტს არ გამოსდის. ბევრი ვერ იმუშაკებს ტროპის ამ ურთულესი სახეობისთვის ისე, როგორც ვაჟა ოთარაშვილმა იმუშაკა.

„...ბაზილიკებო - ქრისტეს აკვნებო, სურნელება გაქვთ ღვთისმშობლის რძისა...“ ვკითხულობ და ვფიქრობ, რომ ამ ხატს ყოველთვის ვიცნობდი, პოეტმა, უბრალოდ, შემახსენა იგი.

სახეობრივი გახლავთ მეტაფორა. იგი ხან აღმოსავლელ ლამაზმანს მაგონებს - სახეზე ჩადრით, ხანაც ევროპელ მანდილოსანს - თვალ-წარბზე ჩამოშვებული რუბინით.

მავანთათვის ბაზილიკა მხოლოდ პეიზაჟია. ჩვენთვის იგი მუდამ უმძაფრესი ხილვა იყო. ბაზილიკა ჩვენი ყოფის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლო გახლდათ. იქ ღმერთის ყოფნა ყოველთვის იგრძნობოდა.

„...სამთავისს თითქოს ფერი აქვს ხორბლის, ამოხეთქილა ქართლში თავთავი...“

შესანიშნავი შედარებაა

„...და ეკლესიის მოგლეჯილ კართან მონაზონივით მოსთქვამდა ქარი...“

ბრწყინვალედ გაპიროვნებული მოვლენაა.

„...და ნიკორწმინდის უწმინდეს ხატებს შეეპარებათ თვალზე სისველე...“

ახალი ემოციური განცდა, ახალი ემოციური იერი.

აქ მრავალი ლექსი თავისი წარმოშობით სხვადასხვა ამბისგანაა დავალებული, რომელთაც პოეტი შეჰყრია ან გაუგონია. ბევრი იპოვის ვაჟა ოთარაშვილის ლექსებში თავისი ბუნებისა და ხასიათის შესაფერის განწყობილებას. შეხვდებით მასთან პესიმისტურ მოტივსაც, პატრიოტულ თემასაც. მისი პოეზია არისტოკრატიულია. მისი პოეზია დემოსიდან გაღებული ხმაცაა. რამდენიმე ლექსი ისტორიული მნიშვნელობისაა.

ვაჟა ოთარაშვილი ნიჭიერი მხატვარია, შესანიშნავად წარმოაჩენს პოეტურ ხედვებს. მისი დამოკიდებულება პოეზიისადმი, პოეტის დანიშნულებისადმი სერიოზულია, ვინაიდან იქმნება უფრო მეტის, უფრო მძაფრი ხილვის დაბადების აუცილებლობა. გიჩნდება სურვილი, პოეტმა უფრო დიდი სურათი შექმნას, უფრო დიდ ტილოს შეეჭიდოს.

ქედებზე ადრე დნებოდა თოვლი,
ჩანამქრულ ხევებს ქედების შურდათ...
სოფელი ჰგავდა დედაკაცს მოლილს,
კაბა რომ ოდნავ შეხსნოდა გულთან...
დნებოდა თოვლი ჯვარის ტყის იქით
იზმორებოდნენ შავად ველები
და ღამდებოდა ნაგაზთა რიხით
და ბერიკაცთა ხველებ-ხველებით...

პროზისთვის დამახასიათებელი ყოფითი, ზუსტი დეტალებია სოფლური იდილიის ამსახველ ამ ლექსში.

ვაჟა ოთარაშვილის ლექსები ჯვარედინი რითმებია. ხოლო იქ, სადაც პირველ ტაეპს არ ან ვერ ათანხმებს მესამესთან და მეორეს მეოთხესთან, იქ, სადაც ზუსტი, საყრდენობთანხმოვნიან რითმას შეგნებულად გვერდს უვლის, არაზუსტ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისონანსურ რითმას მიმართავს, მაგრამ ისიც კეთილხმოვანი აქვს, როგორც ჯვარედინი რითმა.

ლექსებში შეხვდებით ფსიქოლოგიურ ქვეტექსტებსაც, ენა მისი ბუნებრივია, სადაა. მისი ბევრი ლექსი მნიშვნელოვანი აზრის, მნიშვნელოვანი განცდის გამომხატველია. ლექსების ენობრივი მასალა უზადოა, სახეები, რომელთაც ქმნის პოეტი, აზრობრივია; პასიურად იგი არაფერთან მიდის. მეტაფორა გაბედულია, ხმა მეტყველია. მისი პოეზია მკითხველთან გულახდილი ინტიმური საუბარია.

იმ მოხუც სხვილოს ციხეს 1905 წლის 7 მარტიც ახსოვს, ჩვენი ისტორიის გუშინდელი გვერდი, მისი კედლები - გორის მაზრის და ქვემოჭალის გლეხობის ბოლშევიკ რევოლუციონერებთან შეხვედრის ადგილი. ურიცხვი ხალხი კასპიდან, კალოუბნიდან, კოდისწყაროდან, ქვემოჭალიდან, საკორინთლოდან, ვაკედან, მსხლებიდან, სამთავისიდან, გორაკიდან, ახალუბნიდან, გამდლისწყაროდან...

ხშირად პოეტის ბიოგრაფიაც ისევე საინტერესოა, როგორც მისი პოეზია.

ჩვენ თვალწინ ატორტმანდა საქართველო და ყველაფერმა ფსიქოზის ხასიათი მიიღო. მერე ჩვენს სამშობლოზე ოლიგარქიამ გადაიარა. ბანდებისა თუ სოფისტების თარეშმა ერი დაჭრა და მისი ნერვული სისტემა ისე გაანაზ-გააფაქიზა, ახლა დემოკრატიულ სახელმწიფო ფორმაციაში ვცხოვრობთ. მაგრამ გვიახლოვდება მომდევნო. იგი გვიახლოვდება ჩემთვის გასაოცარი თავშეკავებით. ერი დაღლილი, დათენთილია. დაიღალა პოეტი?!

მას აწვალებს თემა უძველესი ნასოფლარებისა, სადაც აგერ, ალბათ, 500 წელია ადამიანის ფეხი არ დადგმულა. ვაჟა ოთარაშვილის ბიოგრაფია ხომ მოულოდნელობებით აღსავსე კაცის ბიოგრაფიაა, მისი დენდიზმის ესთეტიკური პროგრამა სწორედ იმ ხევსურულ, თითქმის მიუდგომელ ნასოფლარ-სალოცავების მონახულებაა, რომელთაც ვერტმფრენით ორგზის მიეახლა და კინაღამ ქარმა იმსხვერპლა.

პიროვნულად იგი ახლოსაა გურამ რჩეულიშვილთან, ვინაიდან მისი ცხოვრება დაუღალავი ლტოლვა და პოტენციაა და სწორედ ამით აიხსნება წუთისოფელში მისი განსაკუთრებული ადგილი.

გარდაცვლილი დედისადმი მიძღვნილმა პოეტის სულმძიმობის გამომხატველმა რამდენიმე სპეციალურმა სურათმა თანაგრძნობით განმაწყო.

ძვირფასმა არსებამ თვალი სიკვდილის კანონით დახუჭა. პროცესის შებრუნება შეუძლებელია. პოეტმა იცის „რა" და დაეძებს „რატომს". წინამორბედი ხომ მომდევნოს მიზეზია. იგი ახლა ან საიდუმლოს უნდა ჩასწვდეს, ან იმ ძველი ფილოსოფოსივით ბუნება დაადანაშაულოს, რომელმაც ჭეშმარიტება შორს, სიღრმეში შეინახა.

მწუხარებით ნაკარნახევ კონკრეტული მოვლენის ამსახველ რამდენიმე ლექსში იგი თითქოს გარდაცვლილი ადამიანის მიმართების იდეის არსებობას ეძებს. მან თითქოს მიზეზი იცის და აქ მოქმედება ცდის ძალას იძენს. სტრიქონი გითრევს და გაფიქრებინებს, რომ მისი ზრახვა ეფემერული სულაც არაა. ზოგადი მნიშვნელობის ამ ცალკეული შემთხვევის გადმომცემელი, ბუნებიდან აღებული თუ ადამიანური ამბავ-მოვლენის გამომხატველი ბწკარედები მისტიკას გამიჯნული სუბიექტის მოქმედებაცაა, უფრო მეტი პრეტენზიის მქონე.

გოეთეს ლაურა ჩამოჰყავს მაღლიდან. დანტეს - ბეატრიჩე; ქაჯეთიდან გამოიხსნის რუსთველი ნესტანს. მაგრამ პოეტის იდეალი იქნებ ის, ხშირთმიანი, მშვიდი, მძიმე გრძელსამოსიანი, ღიმილიანი და კეთილსახოვანი დედაც იყო, ვისკენაც გზა პირველმა გიორგი ლეონიძემ გაკვალა.

პოეტს არ სჭირდება არგუმენტები. არც ზოგადად ყველა სუბსტრატის, არც მისი შემადგენელი ნაწილების ცოდნა. პოეტმა იცის, რომ იდეა მოვლენას ვერ შეგვამეცნებინებს. ის ხომ არც არსებობს თვით მოვლენაში. არამედ სწამს, რომ არსებობს უზოგადესის - ყველაზე მეტად დაშორებულის შეგრძნებებიდან შეგრძნება, - მისთვის იდეაზე მეტად მნიშვნელოვანი.

პოეტური აზროვნება მისნური ჭვრეტაცაა და ისიც რიგით მეოთხე, წინასწარმეტყველურ-შემეცნებითი უნარისკენ გაიწევს, თუმცა ეს არ იქნება მის შესაძლებლობათა უკანასკნელი ველი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკა შენგელია

# ბევრს დააინტერესებს და დააფიქრებს

ყოველი ადამიანი ხომ ცალკე სამყაროა, დამოუკიდებელი და საინტერესო, ხოლო თუ ის შემოქმედია, მით უმეტეს, რადგან შემოქმედს უნარი შესწევს, თავის სამყარო შეგვაცნობინოს და მის სიღრმეებში ჩაგვახედოს.

გამომცემლობა „მერანმა" ახლახან დასტამბა ამირან ახობაძის ლექსთა კრებული „საუბარი დროსთან". პოეტი იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც ჩუმად და უპრეტენზიოდ სანთელივით წვა შეუძლია.

აი, რას ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში: „ამირან ახობაძე ერთი უხმაურო და მოკრძალებული შემოქმედია. იგი არ არის თავის ქებას აყოლილი და სახელს გამოდევნებული კაცი. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და პატივი კარგი წიგნების გამოცემაა. ამიტომ, მის ყოველ კრებულს თავისი მცირე თუ მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს და ასე იკვლევს იგი გზას ადამიანის გულისაკენ.

გვჯერა, პოეტის ლექსთა ეს კრებულიც თავის ნაღდ მკითხველს იპოვის, სერიოზულად დააინტერესებს და დააფიქრებს".

კრებულში ბევრია მეტად მოხდენილი პატარ-პატარა ლექსები. პოეტმა იცის მოკლე ლექსის ფასი, შეუძლია, რამდენიმე სტრიქონში თავისუფლად ჩაატიოს დიდი სათქმელი. მშობლიური ადგილის მონახულებისას იგი წერს: „აქ ისევ მოველ, აქ ხომ ერთ დროს ბავშვობა დამრჩა, ბავშვობა, კარგო, ხომ ყოველთვის სუფთა გულია?! ახლა ჩემ გარდა ამ მინდორზე არავინ არ ჩანს და მაინც, მაინც რა ხმაურია".

პოეტი ნიჭიერი კაცის ცხოვრებით ცხოვრობს და ღირსეული კაცის მოთმინებით უძლებს ამ მძიმე ყოფას.

რა გასაკვირია, თუ მას დღეს თავისი მამულის გულისტკივილი აწუხებს და მის მომავალზე ფიქრობს:

დარდი გულს გვაწევს მძიმე ლოდივით,
ვერ მოგევლინეთ მამულს გმირებად...
სანამდე გვერქვას ეს მოლოდინი,
სანამდე ვიყოთ ეს დაპირება?!
რომ გაკვირდები ამდენი წელი,
სულს და გულს გიღრღნის დარდები მძიმე...
მამულო, ასე გაწვდილი ხელით -
საიდან ელი ხსნასა და იმედს?!

ამირან ახობაძის ყველა ლექსს თან ახლავს ღრმა განცდა და ბუნებრიობა. წერის ამგვარი მანერა ნიჭთან ერთად განსაკუთრებულ ოსტატობასაც მოითხოვს; ლექსის „და ჩემი ხელით" ადრესატი პოეტის დედაა, რაც ლექსს მეტ სითბოს და ინტიმურობას ანიჭებს:

უკვე თავს აღწევ
წელმოწყვეტილ ამ ზამთრის სევდას
და სიხარულის
ყრუანტელი დაგივლის ტანში...
მე ველ-მინდვრებზე
იაიებს დაგიკრეფ, დედა,
და ჩემი ხელით
შემოგიყვან გაზაფხულს სახლში.

პოეტი გამოკვეთილი სახეების, შედარებების თუ პეიზაჟების ოსტატია: „არა, არ გატყდე, სულო, ძიებით, შენი საქმეა მხოლოდ ძიება... მზე ნელა ჩადის და მზის სხივები მთის წვერზე ჩანან დამზრალ იებად". „ისევ გადაწუდა, ისევ მივდივარ, მინდა დავესწრო ალავერდობას, რომ ერთხელ კიდევ თვალი შევასწრო მონასტრისა და ზეცის საუბარს" „მოველ, ისევ მომანიჭებ უნეტარეს წამებს... ვხედავ ტყემლის ფანტელებით დაფეთებულ ღამეს". „აღარ მასვენებს ფიქრი შემძვრელი, გულის სიღრმეში ეჭვსაც გავივლებ... ამ მარტის თვეში შიშით შევცქერი გათამამებულ ტყემლის ყვავილებს". შეუძლებელია ცალკეულ ლექსთა ღირსებებზე ილაპარაკო და შენი აზრის დასტურად არ მოუხმო ისეთ სტრიქონებს, როგორიცაა:

რა სითბო მეგრძნო ამაზე მეტი,
რა ფრთების შესხმა იმ წუთს და იმ წამს,
როცა პატარამ აიდგა ფეხი,
ახალი ჩრდილი დაეცა მიწას".

პოეტს არაერთი ლექსი აქვს სიყვარულზე, რომლებიც გამოირჩევიან თავისებური სიწრფელით და ხატოვანებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლირიკული პოემა „ნაცნობ და უცნობ გზებზე", ციკლიდან „გალაკტიონი", ლექსები: „კარგად არავინ იცოდა ალბათ", „წუთისოფლის გულცივობა", „კოლხეთის გზაზე", „სვანეთს მიდიხარ", „ბალადა წამზე", „ნეტავ თუ ვინმეს" და ა.შ.

როგორც ნახეთ ამ წიგნში შესული ლექსები კრიტიკულად არ გამიანალიზებია. მხოლოდ მათი საერთო სულისკვეთება და ჩემი უშუალო შთაბეჭდილება გაგაცანით. იმედია, ლექსთა კრებული თავის ნაღდ მკითხველს იპოვის და კიდევაც დააინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი წერეთელი

## უცნობი წერილები

### განცხადება

ამ ბოლო დროს ხშირად სასაყვედურო წერილები მომდის ხოლმე: ხან სიზარმაცეს მეწამებიან და ხან - ჟინიანობას, რომ აღარ სწერო!.. ერთიცა და მეორეც შემცდარი აზრია. და აი სიმართლე: მიმიღია რა მხედველობაში ქართული ჟურნალ-გაზეთების ხელმოკლეობა და აგრევე ნახევარ საუკუნის ლიტერატურული შრომის შემდეგ ჩემი მდგომარეობაც, ვაცხადებ შემდეგს: მე კიდევ შემიძლია და მზათაც ვარ ვიშრომო ჩვენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველგან შემდეგის პირობით: 1) ჩემი ნაწერები საზოგადოდ ხელშეუხებელი უნდა იბეჭდებოდეს რედაქციის მხრით და რაშიც არ მეთანხმება, იმას შენიშვნა გაუკეთოს. 2) მოკლე ლექსებში სტრიქონში თითო აბაზს ვიღებ და პოემებში ორ-ოლ შაურს. 3) პროზაში საერთოდ თითო შაური, მაგრამ ეკონომიურად კი ნუ სბეჭდავენ და მაშინ მეც იძულებული აღარ ვიქნები, რომ სხვაგვარი სამუშაო ვეძიო! აი, სრული სიმართლე, რომლის გამომჟღავნებაც არ მინდოდა, რომ უსაფუძვლო წერილებს და უმრთო მითქმა-მოთქმას ყბით არ აველე.

*აკაკი*

### „განცხადება“

#### კომენტარი

*ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკი წერეთლის ფონდში დაცულია პოეტის უცნობი წერილის ავტოგრაფი სათაურით „განცხადება“ (N276). აკაკი მასში აყალიბებს აზრს იმის შესახებ, თუ რატომ არ წერს ხანდახან ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთში. პოეტი თავისი ნაწერების ხელშეუხებლობას და გარკვეულ თანხას ითხოვს რედაქციებისგან.*

*სტატიას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს აკაკის შემოქმედების მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით. ტექსტოლოგიის პრინციპები, ამა თუ იმ ნაწარმოების მირითად ტექსტად ითვლება მწერლის სიცოცხლისდროინდელი უკანასკნელი ნაბეჭდი წყარო. არადა, ავტოგრაფებისა და ნაბეჭდი წყაროების შედარება ადასტურებს, რომ მათ შორის ხშირად მნიშვნელოვანი ცვლილებებია. გადაკეთებულია ავტორისეული ფორმები სიტყვებისა და ზოგჯერ წინადადებებიც კი. აკაკი (და ბევრი სხვა მწერალიც) ამას ძალიან განიცდიდა და ხშირად უსიამოვნებებიც ჰქონდა რედაქტორ-გამომცემლებთან. ეს წერილი დასტურია იმისა, რომ ნაბეჭდ წყაროში შეიძლება პოეტისეული ფორმები დაცული არ იყოს და ავტოგრაფი ამ მხრივ უფრო მყარ საყრდენს წარმოადგენდეს მეცნიერისთვის.*

*„განცხადება“ უთარიღოა, მაგრამ მისი დათარიღება შეიძლება ტექსტის მიხედვით. აკაკი წერს: „მიმიღია რა მხედველობაში ქართული ჟურნალ-გაზეთების ხელმოკლეობა და აგრევე ნახევარ საუკუნის შემდეგ ჩემი მდგომარეობაც...“ პოეტს სამი სიტყვა - „შემდეგ ჩემი მდგომარეობა“ - წაუშლია და მის ნაცვლად დაუწერია: „ლიტერატურული შრომის შემდეგ ჩემი მდგომარეობაც...“ „ნახევარ საუკუნის შემდეგ ჩემი მდგომარეობა“ ნიშნავს, რომ აკაკი 50 წელს გადაცილებული იყო, მაგრამ მან ეს ფრაზა თვითონ ჩაასწორა - „ნახევარ საუკუნის ლიტერატურული შრომის შემდეგ“... ეს უკვე სხვა თარიღს იძლევა. აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე 1908 წელს აღინიშნა. ე.ი. „განცხადებაც“ ამ წელს უნდა ეკუთვნოდეს. დამატებითი არგუმენტით, 50 წლის სალიტერატურო მოღვაწეობას დამატებული 18 წელი, რამდენი წლისაც იყო აკაკი, როცა დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა, გამოდის, რომ პოეტი წერილის წერისას იყო 68 წლის. ამ ასაკის იგი 1908 წელს იყო.*

### საქველმოქმედო ჭიდაობა

შინ რომ დავბრუნდი, გაზეთს წავავლე ხელი გასართობად და აი, რა წავიკითხე ახალ ამბებში: „გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავოსნობით ხვალ გორში ჭიდაობა გაიმართება ქალთა სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლის და წითელ-ჯვრის სასარგებლოდო..." რომელი დარგის ხელოვნებაა ეს ჰიდაობა? არ ვიცით, მაგრამ ეს კი, რომ ვინც იმას მისდევს, ეტყობა, იმ შკოლის ალმსარებელია, რომელსაც უსარგებლო ხელოვნება არა სწამს. ჰიდაობაც მარტო ხელოვნებისთვის არ არის გამოგონებული, საქველმოქმედოთაც გამოსადეგია! და მოსაწონიც არის - ერთი, რომ პატრიოტულია და მასთანაც ამ ხელოვნებასთან ფეხოვნებაც გაუყრელია, რადგანაც ხელებიც და ფეხებიც მოქმედებაში არიან ჰიდაობის დროს!.. ეტყობა, ეს კარგად ესმის მეთაურსაც... ვაშა, რომ კიდევ ახსოვთ ჩვენი მამა-პაპური გართობა... ჰიდაობა... ეს კია, რომ ამ ჰიდაობას ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც შიმშილობის დროს მშივრებისთვის პიკნიკების გამართვას: იქ ხალხი იჟლითება და აქ კი იმათ სასარგებლოდ ბლლაძუნობენ... იქ სისხლი ილვრება და აქ ოფლი! - ჰიდაობაზე დიდ ძალი ხალხი დასწრებია. ახლად გამოჩეკილი მოჰიდავე ცერაძე დატაკებია ძველ მოჰიდავეს მუშტიძეს... მუშტიძე ( ) ცერაძეს, მაგრამ მერე ვედარ გაურჩევიათ ხარხარში ვინ ვის ძალა... ხალხს ღრიალი დაუწყია:

ვაშა! ვაშაო!.. როგორ თუ ვაშაო... ვაშა კი არა „ნაშაო", ურრაო! მაყურებლებს გული ( ) - ცერაძე კერძო იყოო და მუშტიძე ქრისტიანი და აბა, ვნახოთ ვინ ვის წააქცევსო - ზოგი ცერაძისკენ, ზოგი - მუშტიძისკენ, სულგანაბულები შეჩერებოდენ. ცერაძის და მუშტიძის (ხელოვნებით) ჯიბაძეს უსარგებლია. შემოსავალი დიდი ყოფილა, მაგრამ უჯიბლარად ვერც ეს ჰიდაობა გადარჩენილა. ამბობენ, ჯიბლარიც (7444) იყოო!.

## „საქველმოქმედო ჭიდაობა"

### კომენტარი

აკაკი ქართული ტრადიციების დიდი თაყვანისმცემელი იყო, განსაკუთრებით ისეთი რაინდული სპორტისა, როგორიც ჭიდაობაა. მან ამ თემას რამდენიმე თხზულება მიუძღვნა და მათ შორის პოემა „კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა", რომელშიც აკაკი აღტაცებას გამოხატავს ამ ორი ცნობილი მოჭიდავის უკანასკნელი შერკინების გამო. მაგრამ იმავე პერიოდს და იმავე თემას ეხება აკაკის ფელეტონი, რომელშიც ის კიცხავს ჭიდაობის გამოყენებას ვაჭრული ინტერესებისათვის. პოეტი წერს: „უხსოვარ-დროიდან შემოღებულ ჭიდაობას ჩვენში ყოველთვის რაინდული ხასიათი ჰქონია და დღეს კი, ეს ერთი ხანია, რაღა გლდანელმა თავი იჩინა, ვაჭრულ გზას დაადგა... მხოლოდ ამას კი ვურჩევთ ესებუას და, აგრეთვე, სხვა მოჭიდავე ქართველებსაც, რომ ნუ შებღალავენ მამა-პაპურ ჩვეულებას, ვაჟკაცობით ვაჭრობა... ზნეობით ბინძურობაა... იჭიდაონ უსასყიდლოდ და მხოლოდ საჩუქარს დასჯერდნენ ხოლმე..." (თხზ, ტ.12, გვ. 303).

ამ თვალსაზრისს ავითარებს აკაკის უცნობი სტატიაც საქველმოქმედო ჭიდაობაზე. პოეტი სატირულ ფერებში ხატავს გორში გამართულ ჭიდაობას. „ცერაძის და მუშტიძის ხელოვნებით ჯიბაძეს უსარგებლია. შემოსავალი დიდი ყოფილა, მაგრამ უჯიბლარად ვერც ეს ჭიდაობა გადარჩენილა", - წერს აკაკი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში ინახება „საქველმოქმედო ჭიდაობის" ავტოგრაფი N275. რვეულის ორ პატარა ფურცელზე შავი მელნით დაწერილი უთარიღო ხელნაწერი ძალიან ცუდად იკითხება, ზოგიერთი სიტყვის გარჩევა ვერ მოხერხდა, ამიტომ მათ კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამთ.

სტატია უთარიღოა. იგი შეიძლება იმავე პერიოდისთვის მიგვეკუთვნებინა, რომელსაც ეკუთვნის ნაწარმოებები გლდანელსა და ესებუაზე, რადგან 1888 წლის გარდა ჭიდაობის თემა აკაკის შემოქმედებაში არ გვხვდება. მითუმეტეს, რომ სტატია ისეთივე ირონიით და გაღიზიანებული ტონითაა დაწერილი, როგორც ზემოთ მოტანილი წერილის ნაწყვეტები. მაგრამ სტატიის ერთი ადგილი სხვა ვარაუდს ბადებს. ეს არის ომის ხსენება, ხალხის „ჟლეთა" და სისხლის ღვრა.

1915 წლის 12 იანვარს აკაკის ავადმყოფობის დროს მასთან სტუმრად მისულ გრ.დიასამიძისთვის, კ.აბაშიძისა და ს.მერკვილაძისთვის პოეტს უთქვამს:"მთელი საქართველოს ახალგაზრდა ჭაბუკნი სამასათასზედ მეტი, ბრძოლის ველზე არიან გასულნი და იბრძვიან. დღეს არც იმათ იციან და არც ჩვენ ვიცით, რისთვის იბრძვიან და ვისთვის?" („საქართველო", 1919, N32). ამ ფრაზაში აკაკი 1914 წლის ომს გულისხმობს. პოეტის მიერ აღწერილი საქველმოქმედო ჭიდაობაც წითელი ჯვრის სასარგებლოდ გაიმართა, რომლითაც მეომრებს უნდა დახმარებოდნენ. უცნობი სტატიის ფრაზა „იქ ხალხი იჟლითება და აქ კი იმათ სასარგებლოდ ბღლათუნობენ... იქ სისხლი იღვრება და აქ ოფლი"-ო, ფაქტია, ომს გულისხმობს. მაგრამ რომელი ომი უნდა იგულისხმებოდეს, თუ არა იგივე, 1914 წლის? ზემოთ მოტანილი ფრაზა პირდაპირ ეხმიანება 1915 წლის იანვარში ნათქვამ პოეტის სიტყვებს („ბრძოლის ველზე არიან გასულნი"). ამიტომ „საქველმოქმედო ჭიდაობა" უნდა დათარიღდეს I მსოფლიო ომის დაწყებიდან (როცა უკვე"იქ ხალხი იჟლითება") აკაკის ავად გახდომამდე.

ცნობილია, რომ 1914 წლის 24 დეკემბერს თბილისში, ქუთაისსა და საჩხერეში ფულის (რომელიც ცოლ-შვილისთვის უნდოდა) ძებნით დაღლილი პოეტი ამთავრებს პოემა „ომის" წერას, საღამოს ცუდად გრძნობს თავს და ლოგინში წვება. აკაკი ფეხზე აღარც ამდგარა. სტატიაში კი წერია: „შინ რომ დავბრუნდი, გაზეთს წავავლე ხელი"-ო, ე.ი. აკაკი ჯერ კიდევ დადიოდა, ამიტომ 24 დეკემბერი - მისი ლოგინად ჩავარდნის დღე არის წერილის დაწერის ბოლო ზღვარი.

გამოდის, რომ სტატია დაწერილია 1914 წლის აგვისტოდან იმავე წლის 24 დეკემბრამდე.

## აკაკის უცნობი გამოცანები

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში ინახება პატარა, ხაზიან ფურცელზე შავი მელნით დაწერილი აკაკის გამოცანების ავტოგრაფი - N1108, რომელიც ავტორს არასოდეს დაუბეჭდავს, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი მდარე მხატვრული ღირებულებისაა და არა ჰგავს პოეტის იმ შედევრებს, რომლებიც ასე ბევრია მის შემოქმედებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ ისინი მაინც გავაცნოთ მკითხველს.

გამოცანები რომ ნამდვილად აკაკის ეკუთვნის, ამას ავტოგრაფის გარდა ასაბუთებს მეოთხე გამოცანაზე ადრესატის გვარ-სახელის შემდეგ მიწერილი მეორე გვარი - ა.წერეთელი და 18.. (ბოლო ორი ციფრის ამოკითხვა არ ხერხდება). ამით მთავრდება გამოცანების პირველი ნაწილი, რადგან ბოლო ორი გამოცანა დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურებულია და დანომვრაც თავიდან იწყება, ე.ი. მეოთხე გამოცანაზე ფრჩხილების გარეშე (ყველა გამოცანის ადრესატის გვარ-სახელი ფრჩხილებშია მოთავსებული) მიწერილი გვარი ავტორს აღნიშნავს, მით უმეტეს, რომ ხელმოწერას დათარიღებაც ახლავს თან. ექვსი გამოცანიდან ოთხი გაშიფრულია, ორის ადრესატი უცნობია.

გამოცანებზე მიწერილი წლის გაშიფვრის საშუალებას იძლევა ერთ-ერთი ადრესატის, კერძოდ, ისარლოვის მოხსენიება. გამოცანები ლუკა ისარლოვის ცენზორად მუშაობის პერიოდს - 1881-1888 წლებს - უნდა ეკუთვნოდეს.

აკაკი განუმეორებელი ენამწარე სატირიკოსია, მაგრამ მის სატირულ ლექსებში სკაბრეზული მომენტები არ აღინიშნება. მხოლოდ ერთ ლექსში, რომელიც ლორის მელიქოვს ეძღვნება, ერთი სიტყვა აღნიშნულია მრავალწერტილით. აკაკის რითმების ძლიერი გამჭვირვალობის გამო იგი ადვილად იშიფრება. აღნიშნული უცნობი გამოცანები ამითაცაა საინტერესო. მესამე გამოცანაში ავტორს სკაბრეზული სიტყვით უსარგებლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცანის ადრესატი უცნობია.

## გამოცანები

1.

„ყველა ჭურში ასხამს ღვინოს
და ის ასხავს ჭურის ქვეშა,
საქმეს შვება სასაცინოს,
ტუჩებზე აქვს აზარფეშა“.

II.

„უფასოსა, დიდსა ბოყვსა
რვა მანეთის ბოყვი ხურავს,
ზედას გარეთ, ქვედას შიგნით
პეტერბურგლის ნისლი ბურავს“.
(*ისარლოვი*)

III.

„კანდიდატმა ფუტუროშა, სთქვა, რომ, ეჰა,
პოლიტიკა,
ჩემს ლექსებს ხელი მოკიდა და ჩემთან იყო
კრიტიკა.
ჩემი გალახვა უნდოდა და თავის ყბაში იტიკა,
სადაც ის ახალ აზრებს კრებს, ჩვენ მონელებულს
ვურით იქა“.

IV.

„სწავლულს კაცთან ხმას არ იღებს, უსწავლელთან
არს თამამი,
სად რა უნდა თქვას და სად რა, იცის მან დროცა და
ჟამი,
ხან სიბრძნე ყელში არ მისტევს, მდუმარებს
როგორც ხახამი,
და ხანდახან აკაკანდება, როგორც ვარია-ქათამი“.
(*ვს.ღოღობერიძე*)

## ორი ლიტერატურის განსხვავება

1.

„მე და შენ რომ ორნივე ერთს მუზას
ვემსახურებით,
მე მიცნობენ წერითა და შენ კი ისეც ყურებით“.
(*ივ.კერესელიძე*)

II.

„ჩვენმა პოეტმა სიზმრათ იხილა,
თავს ეხვეოდა თურმე მუზები,
მაგრამ როს თვალი გამოახილა,
დაურჩა ხელში მხოლოდ ბუზები“.
(*ივ.კერესელიძე*)

## წერილი მეგობრებთან

ორმოცდაათი წლის იუბილეი ნახევრად პანაშვიდია და მაშასადამე, დიდი არაფერი სამხიარულო, მაგრამ მე კი ჩემმა იუბილეიმ მოხუცებულობა დამიტკბო და დამავიწყა გადასული ჭირ-მოთმინება. ის თანაგრძნობა, რომელიც მე მეღირსა არა მარტო ქართველობისაგან შავ ზღვიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე, უცხო მეზობლებისაგანაც კი, დიდი იყო ჩემთვის. ბედნიერი ვარ მით, რომ ჩემმა პატარა მოღვაწეობამ ამისთანა დროს ჩვენში გამოიწვია ეროვნული აღფრთოვანება, ნიშანი უკეთესი მომავლის. ასე თუ ისე, აღარ ვიცი, თუ რა მადლობა უნდა შევსწირო როგორც ქართველობას, ისე მეზობლებსაც თანაგრძნობისათვის? გარდა გულისა მე არა გამაჩნია რა და მხოლოდ იმ გულს გადავუშლი ჩემ თანამგრძნობლებს, რომ შიგ არ ჩამრჩეს რა მათგან დაფარული: ყოველგან და ყველასგან შემოღებულია ოცდახუთი წლის იუბილეის გადახდა, მაგრამ, მე კი როცა გამითავდა ის ხანი, დღევანდელ თავადებს, იმ მეთაურ ინტელიგენტებს, რომელთაც ჩვენი წამებული ცხოვრების სადავე შემთხვევისა და „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ხელში უჭირავსთ, არ გავხსენებივარ!.. სიტყვით კი არწმუნებდნენ, რომ ოცდათხუთმეტი წლის იუბილეის ვუცდითო. დადგა მათი დანიშნული დროც და მაშინაც ისა სთქვეს: „ჩვენ იმდენად გვიყვარს აკაკი, რომ გვინდა დიდხანს იცოცხლოს და მერე ორმოცდაათი წლის იუბილეი გადავუხადოთო“. მათი ლოცვით იყო, თუ შემთხვევით, მართლა მივაღწიე იმ დრომდისაც, მაგრამ მაინც კიდევ ხმას არ იღებდნენ! ალბათ, იმ განძრახვით, რომ ასი წლისთვის გადავდვათ, რადგანაც სასიკვდილოდ არ ვემეტებოდი. მე მრწამდა მათი გულუბრყვილობა, მაგრამ ზოგიერთებმა კი საზოგადოებიდან სხვანაირად გაიგეს ეს მათი გულუბრყვილობა და ძალა დაატანეს, რომ „წ.კ. გამგეობას“ როგორც დამტკიცებულ საზოგადოებას თავს ედვა საიუბილეო ნებართვის გამოტანა. გამგეობა იძულებული გახდა, რომ აესრულებინა საზოგადოების თხოვნა და თანაც თავის მხრით შეადგინა საიუბილეიო კომიტეტიც. ამ კომიტეტში, მიუხედავად ჩემი პირადი თხოვნისა, არც ერთი მისთანა არ გაურევიათ, რომელნიც უფრო ენერგიულად შეუდგებოდნენ ჩემ შესახებ საქმეს. მაგალითად, არც დიასამიძეები, არც ლამბაშიძე და არც სხვანი. მაგრამ არჩეულ კომიტეტის ენერგიაც საჭირო აღარ გამოდგა: საზოგადოებამ, ხალხმა, გაიგო თუ არა იუბილეი იქნებაო, პირიქეთ, თანაგრძნობით მიაწყდა ამ დღესასწაულს და კომიტეტს ბევრი აღარა დარჩენია რა საშრომი: მხოლოდ თეატრი დაიქირავა საიუბილეოდ და ბილეთები გაჰყიდა. ამით უნდა გათავებულიყო მათი მოვალეობაც, მაგრამ, რა ბრძანება? ჩემი აპეკუნობაც იკისრეს თავის თავად სხვის დაუკითხავად: გამოაცხადეს, რომ ჩვენ ვადგენთ „ აკაკის ფონდსაო“, რომ შემოსავალიდან მისი მდგომარეობა უზრუნველვყოთო. ამ განძრახვით გამოსცეს გასასყიდად ჩემი ნაწარმოები,

შეკრიბეს შემოსავალი სხვადასხვა წარმოდგენიდან, გაიმართა შემოწირულობა სხვადასხვა წყაროებიდან და ეს ყველა ფონდში შედიოდა და შედის კიდევაც. ამ დღეებში კომიტეტმა, რომ დაშლილიყო, მოახდინა უკანასკნელი სხდომა და გადასწყვიტა შემდეგი: „ფონდი არის მხოლოდ აკაკის სახელით დაწესებული, რომელიც უნდა მოხმარდეს ღარიბსა და ხანშიშესულ მოღვაწეებს, მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკისაც უზრუნველსაყოფელად დაენიშნოს თვიურად ასი მანეთიო! ეს განაჩენი გადასცა კომიტეტმა „წ.კ.გამგეობას“, ესე იგი, ერთისა და იმავე პირის მარცხენა ხელმა - მარჯვენას და ამით მორჩა, გათავდა!..

ხალხისა და საზოგადოების ნაბოძები „ტალახიანი ჯოხიც კარგია“, მაგრამ თუ მართლა შემომწირველებს ფონდი ჰქონდათ მხედველობაში და არა ჩემი უზრუნველყოფნა, მაშინ წინააღმდეგ მათის სურვილისა, მე ვერაფერს მივიღებ და უარს ვუცხადებ იმ ასი მანეთის მიღებაზე, რომელიც კომიტეტმა თვით-ნებობით მიწყალობა. დიახ, უარს ვუცხადებ და მხოლოდ, როგორც ადრევაც გამოცდილი, მხოლოდ ვთხოვილობ ამას: რადგანაც ფონდი ჩემი სახელით არის შემდგარი, როგორც მე, ისე საზოგადოებასაც სრული ანგარიში მოგვცენ: ვინ არიან შემომწირველები? საიდან რა შემოვიდა? სულ რამდენია? შემოსავლიდან რაში რა დაიხარჯა და რამდენი დარჩა? ამგვარი ანგარიშია საჭირო არა მარტო ჩემი ფონდის, სხვა ფონდებისთვისაც და პასუხსაც დასაბუთებულს ველით.

*აკაკი*

სხვა გაზეთებსაცა ვსთხოვთ, რომ ეს ჩვენი სტატია გადაბეჭდონ.

## „წერილი მეგობრებთან“

### კომენტარი

„წერილი მეგობრებთან“ აკაკი წერეთლის უცნობი სტატიაა. იგი არასოდეს გამოქვეყნებულა. წერილის ავტოგრაფს აქვს პოეტის ხელმოწერა. სტატია შეეხება მგოსნის იუბილეს დღეებში დაარსებული ფონდის საკითხს.

როგორც ცნობილია, აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთვის შექმნილმა კომიტეტმა დააარსა აკაკის ფონდი. აკაკის საიუბილეო კომიტეტი გ.ყაზბეგისა და ი.გოგებაშვილის ხელმოწერით განცხადებით მიმართავს „ქ.შ.წ.კ.გ.“ საზოგადოების გამგეობას აკაკის სახელობის სალიტერატურო ფონდის დაარსების შესახებ:

„...ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, როგორც დამფუძნებელი და შემკრებელი ფულისა, გთხოვთ, ამ ფონდის მოხმარებისა და ხარჯისათვის იქონიოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი დებულება:

1. არსდება სალიტერატურო ფონდი აკაკი წერეთლის სახელობაზედ, რომლის სარგებლობიდან დახმარება უნდა მიეცეს ქართული მწერლობის და ხელოვნების მოღვაწეებს, მოხუცებულებს და დაავადმყოფებულებს“ („აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, ნ.გურგენიძე, ი.გორგაძე, თბ., 1989 წ.).

განცხადება სამპუნქტიანი იყო და ითვალისწინებდა, რომ პირველი პენსიონერი ამ ფონდისა თვით აკაკი უნდა ყოფილიყო და მას თებერვლიდან თვეში ასი მანეთი უნდა მისცემოდა.

1909 წლის იანვრის შუა რიცხვებში საიუბილეო კომიტეტმა თავი გაუქმებულად გამოაცხადა და ყველა საქმე ფონდიანად „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადასცა.

აკაკის ამ დროს ცოლ-შვილი ჰყავს ნიცაში. პოეტს სურს გამგზავრება საფრანგეთში. იგი რამდენჯერმე განცხადებით მიმართავს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ხან იუბილეს დროს მიძღვნილი ნივთების შეძენაზე, ხან მამულის გამოსასყიდი თანხის სესხებაზე, ხან პენსიის ანგარიშში ფულის სესხებაზე, რომ წავიდეს სამკურნალოდ საზღვარგარეთ, რაზედაც ყოველთვის უარს იღებს.

1909 წლის 30 ივნისს ის კვლავ წერს განცხადებას: „საზღვარგარეთ მიმავალი საექიმოდ ვთხოვილობ, რომ პენსიიდან სამი-ოთხი თვის ხვედრი ამ თავითვე მომეცეს. თუ ამაზედაც უარს მეტყვით, მაშინ მხოლოდ ვითხოვ, თქვენი დადგენილების პირი მიბოძოთ“-ო.

ჩანს, აკაკიმ კვლავ უარი მიიღო.

ამის შემდეგ არაფერია ცნობილი. იგი 14 ივლისს (1909 წელს ) სტამბულზე გავლით საფრანგეთში გაემგზავრა. ამ უკანასკნელ თხოვნაზე უარის მიღების შემდეგაა დაწერილი უცნობი წერილი. გამწარებული აკაკი ითხოვს მისი სახელობის ფონდის სრულ ანგარიშს. დანარჩენს მკითხველი სტატიის წაკითხვისას გაეცნობა.

წერილი რატომღაც გამოუქვეყნებელი დარჩა. მისი გამოქვეყნება რომ სურდა პოეტს, ეს სტატიის ავტოგრაფის ბოლო მინაწერიდან ირკვევა: „სხვა გაზეთებსაცა ვსთხოვთ, რომ ეს ჩვენი სტატია გადაბეჭდონ“-ო.

ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდის აღწერილობაში მას უზის თარიღი 1908 წელი. ვფიქრობთ, შეცდომაა. 1908 წლის იუბილემ პომპეზურად ჩაიარა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. საიუბილეო კომიტეტი 1909 წლის იანვრის შუა რიცხვებში დაიშალა. მასთან აკაკის პრეტენზია არ ჰქონია. ამავე წლის 14 ივლისს გაემგზავრა პოეტი საფრანგეთში. წერილი დაწერილია კომიტეტის დაშლიდან გამგზავრებამდე, ე.ი. 1909 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან 14 ივლისამდე.

კომენტარები
ელზა ზარდიაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კანკავა

# კაცია-ადამიანის?! „რევოლუციები“

## 1. დრო გამოიცვალა



„დრო გამოიცვალა, იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი, - დრო გამოიცვალა“. მოთხრობის შეხედულებათა სისტემის ამ ცენტრალური რეალიის ორჯერ გამეორებით (ზუსტი განმეორების სტილისტური ფიგურა) მთხრობელი თავიდანვე „გვაიძულებს“, მასზე ყურადღება გავამახვილოთ. „დროის გამოცვლას“ გვამცნობს ორმოციოდე წლის „ძველი ქართველი“, თავადი ლუარსაბ თათქარიძე. მისი ასაკის გათვალისწინებით, მისივე „სიძველე“ რაღაც სხვაზე უნდა მიუთითებდეს და სავარაუდოა იმ გარემოებას უკავშირდებოდეს, რომ „დროის გამოცვლას“ ლუარსაბი აღმოოხვრით იტყოდა ხოლმე. თვით I თავის თათქარიძეების ეზო-კარის კლასიკური აღწერა „ახალ“ დროსთან ლუარსაბის ამგვარი დამოკიდებულების „პლასტიკურ-სახეობრივი“ სიმბოლოა. ამ, ჩვენი ლიტერატურისთვის გამორჩეული მნიშვნელობის მქონე აღწერას კვლავ დავუბრუნდებით თავის ადგილას. ყურადღება მივმართოთ იმაზე, თუ რა აითვალისწუნა „გამოცვლილ დროში“ ლუარსაბმა; ამით იმასაც გავიგებთ, რა იგულისხმება ამ ცნებაში (ხატში). გამოვყოთ „გამოცვლილი დროის“ ნიშნები იმ თანმიმდევრობით, რომელსაც ტექსტი გვთავაზობს. ჯერ ვიგებთ, რომ მოთხრობის „გმირს“ არ მოსწონს „ეს რაღაც ეშმაკური სკოლები“, ანუ ახალი ტიპის საერო განათლებულობა და განათლების სისტემა, რომლითაც ეს განათლებულობა შეიძინება. იგულისხმება შემეცნების ახალი მეთოდი - ახალი დროის მეცნიერება. ავტორი ამ ძირითად შინაარსთან უშუალოდ აკავშირებს თავის საყვარელ სალიტერატურო „ხერხს“ - ე.წ. „ვერაგ ირონიას“. პერსონაჟი გულუბრყვილოდ უნებურ თვითდახასიათებას ეწევა, რაც მისი მხილების, დაცინვის, „სულელობის“ გამოაშკარავების ავტორისეული „იარაღია“. დავაკონკრეტოთ ეს ამავე ეპიზოდის მაგალითზე. ამრიგად, ლუარსაბი „ძველი დროის“ სახელით და დასაცავად („ვენაცვალე უწინდელ დროს!.. ვენაცვალე!“) ილაშქრებს ახალი დროის ერთი ძირითადი რეალიის - მეცნიერების წინააღმდეგ და მოიშველიებს ამისთვის „დასაბუთებათა“ მთელ სერიას. ერთი (შეფასება) უკვე ცნობილია ჩვენთვის - მეცნიერება „ეშმაკისეულია“. დანარჩენი „საბუთები“ ასეთია: რომ სწორედ იგი არის მართალი კამათში ახალ დროსთან, ამისთვის მიუთითებს თავის „ხორცსა“ და „ფერზე“, „სტომაქზე“ ხელს ირტყამს, კბილებს აკრაჭუნებს... თავისთავად , ეს კარიკატურა „ნასუქი კურატივით“ ჩამრგვალებული თავადის ოინებისა ღიმილის აღმძვრელია, მაგრამ ეს ავტორის ირონიის, სიცილის (და „ტირილის“) მხოლოდ „ზედაპირია“. ავტორისეულ ირონიას გაცილებით ღრმა შრე გააჩნია, რომლის „გახსნა“ (მკითხველის ავტორთან ერთად გაცინება) მკითხველისგან ცოდნის აუცილებელ მინიმუმს მოითხოვს. ცნობილია, რომ ახალი დროის მეცნიერება ყალიბდება, როგორც დასაბუთებული ცოდნა, როცა შეგრძნებათა მონაცემი კონტროლდება გონების „კრიტიკით“. გონების პრიორიტეტის აღიარება შეგრძნებათა შიშველ მონაცემზე მისი მეთოდების ჩამოყალიბების გადამწყვეტ პათოსს შეადგენდა. ასევე, მისი ჩამოყალიბების არსებით ფაქტორს შეადგენდა ჭეშმარიტების ძიების გზაზე გონების ავტონომიურობის აღიარება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებთან - ჩვეულება, ტრადიცია, ავტორიტეტი, ხელისუფლება - მიმართებაში. მაგალითად, კოპერნიკის დიადი აღმოჩენა, რომელიც მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ასტრონომიული აღმოჩენა, ახალი დროის ფილოსოფიის მიერ აღქმული იყო, როგორც მაგალითი გონების კრიტიკის შეგრძნებათა მონაცემის ილუზიაზე „გამარჯვებისა“, თითქოს დედამიწა სამყაროს უძრავ ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც გარს უვლიდნენ მზე, პლანეტები და ვარსკვლავები. კოპერნიკის ეს აღმოჩენა (რომლის გამოქვეყნება მან სიცოცხლის ბოლო დღეებში გაბედა) წინააღმდეგობაში მოვიდა ეკლესიური სწავლების წარმოდგენასთან (პტოლომეოსის სისტემა), რომელიც ნახსენებ შეგრძნებათა მონაცემის ილუზიას ეფუძნებოდა, და „ეშმაკისეულად“ იყო შერისხული. აღნიშნულმა დაპირისპირებულობამ ჯ.ბრუნო კოცონზე „აიყვანა“. ამ მსჯელობის ფონზე, თუ დავაკვირდებით ლუარსაბის „საბუთებს“, დავინახავთ, რომ ისინი ხაზგასმულად წმინდად შეგრძნებათა მონაცემის რიგისაა: „ხორცი“ და „ფერი“, „მუცელზე ხელის შემორტყმა“, „კბილების კრაჭუნი“ და ა.შ. მისეული შეფასება ქრისტიანული შუასაუკუნეებისას ემთხვევა - ახალი მეცნიერება „ეშმაკისეულია“ (მაგალითად, ვატიკანს კოპერნიკის ასტრონომიული ნაშრომი აკრძალულ წიგნთა სიაში ჰქონდა შეტანილი 1828 წლამდე საუკუნის პირველ ნახევრამდე). ლუარსაბის პოზიცია („თეზისები“) წინარემეცნიერულია და შუა საუკუნეების ეკლესიური სწავლების შეფასებების მატარებელია. ირკვევა, რომ მან არ იცის, რა არის მეცნიერება, ანუ იმას „აკრიტიკებს“, უარყოფს, რაც არ ცის. ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ დაცინვის საგნად იქცეს, მაგრამ ირონიას აქ კიდევ უფრო ღრმა შემეცნებითი საფუძველი აქვს. ავტორისთვის, ისტორიული მეცნიერებით (თანადროული პოზიტივისტური „ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფია") განსწავლულობის „სიმაღლიდან" ნათელია, რომ ძველის ახალთან „შეჯახებაში" „გამარჯვება" მეორეს მხარეზეა და ლუარსაბის თავმოწონებული (კბილების კრაჭუნით) „გამარჯვება" ახალი დროის ერთ ძირითად რეალიაზე ილუზიაა, და მეტად სახიფათო ილუზია. ავტორის აზრით, უკრიტიკოდ „ძველი გზის მოყვარის" , თუნდ ის „საყვარელი" ქართველი იყოს, „ბედნიერება" აუცილებლად „დაირღვევა"!

ლუარსაბისეული „გამარჯვების" პირდაპირი შედეგია, რომ მას კვლავ სჯერა, თითქოს დედამიწა „ხარის რქაზე დგას" და შეიძლება „გადაბრუნდეს"; რომ მზეს ცაზე გველეშაპი დასდევს (მინიშნება შუა საუკუნეებში მზის დაბნელების ახსნაზე); თურმე ისტორიას და ლუარსაბის წოდებრივ კეთილდღეობას განსაზღვრავს „ხელმწიფის" (თანაც მისი ქვეყნის დამპყრობელის ტახტისა! - ლუარსაბის პოლიტიკური კონფორმიზმის თემა) კეთილგანწყობა და დირექტივები და არა ისტორიის საკუთარი კანონზომიერებები და ა.შ. ავტორისთვის კი ცხადია, რომ შუა საუკუნეების აზრთა წყობის, ცოდნის „შენარჩუნება" გამოცვლილი დროის ვითარებაში დამღუპველია ძველი ქართველისთვის, იმ წოდებისთვის, ვინც „უწინდელ დროში" ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენ ფენას - ელიტას წარმოადგენდა. ამიტომაც „კაცია - ადამიანით" - „გაბზარული სარკით" - იგი აფრთხილებს თავადაზნაურულ წოდებას საკუთარი ბედის შესახებ. ლუარსაბის სრული უკრიტიკობა, უალღოობა ახალი დროის ახალი რეალიების მნიშვნელობის შესახებ საფუძველია იმისა, რომ მოთხრობის „გმირების" („საძაგელი მიწის" პატრონები) ცხოვრება აქ სიცილის და ტირილის საგანია.

იმჟამინდელი პოზიტივისტური ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი - ისტორიის პროგრესის კანონი აქ ათვისებულია სიუჟეტის დონეზეც და გამოთქმულია შედარებით პირდაპირაც. XIV თავში ქართული ხალხური სიბრძნე - „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა" (ერთდროულად მინიშნებაა მამების და შვილების ბრძოლის 1861-63 წლის ისტორიულ ეპიზოდზე) უპირისპირდება „ჩინეთიდამ" შემოპარულ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო". მოთხრობაში „ძველ ქართველს" ნანატრი ვაჟი, გვარის გამგრძელებელი არ ეძლევა, ანუ მისი უკრიტიკო „ძველი გზის მოყვარეობის" გამო მომავალი არა აქვს. ეს გაფრთხილება რომ ისტორიულ წინასწარმეტყველებად იქცა, თავისთავად მნიშვნელოვანია II წოდების ბედის ანალიზისთვის.

ავტორის საბუნებისმეტყველო, ისტორიული მეცნიერების მიღწევებით განსწავლულობა შეადგენს „ვერაგი ირონიის" შემეცნებისეულ, ცოდნისეულ საფუძველს; იგი ირონიის შემეცნებით „სიმაღლეს" განსაზღვრავს, რომლიდანაც თვით ავტორი მოიხილავს ქვეყანას, არსებით მოვლენებს. თვით ამ ირონიის, ისევე, როგორც სიუჟეტის, ძირითადი მაფორმებელი „თეორიული" პირინციპი მოვლენათა ისტორიულად განპირობებულობის (ისტორიზმის) პრინციპია. რაც შეეხება ავტორისეული ირონიის არსებით ღირებულებით „წყაროს", იგი მკაფიოდ ანალიზის კვალდაკვალ გამოჩნდება. ამრიგად, საკუთარი დროის („გამოცვლილი დროის") მიღწევების, ცოდნის სიმაღლეზე დგომა, მისით აღჭურვილობა, ამავდროულად ის „სიმაღლეა" მოთხრობაში, რომლიდანაც უეჭველად ჩანს, რომ ლუარსაბისეული „თეზისებით" მოპოვებული თავმოწონებული „გამარჯვება" ახალი დროის ერთ ძირითად მონაპოვარზე საკუთარ „სულელობაში" თვითმხილებაა (მსგავსი პათოსისაა „სტუდენტი" ილიას საპროგრამო „პასუხი" და „საქართველოს მოამბეზედ").

აქვე შევნიშნოთ, რომ ახალი დროის სხვა ძირითადი რეალია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განმასახიერებელი მექანიკური ხერხი (დარეჯანის და ლუარსაბის თელეთის სალოცავიდან გამომგზავრების ეპიზოდი) თურმე ასევე „ეშმაკისეულია".

„გამოცვლილი დროის" ნიშნებისგან თათქარიძეებს ყველაზე მეტად მაინც ბატონყმობის გაუქმება ზარავთ. IV თავის „მშვენიერი კრების" დაუვიწყარ პასაჟში ბატონყმობის აპოლოგია და მისი მოსალოდნელი გაუქმების მიზეზების „ანალიზი" მეტად დამახასიათებელია მოთხრობისთვის. მისი პერსონაჟების, „ძველი ქართველების" განმარტებით, ბატონყმობა „ღმერთს დაუწესებია" და სააქაოს და საიქიოს უცვლელი რელიგიურ-პოლიტიკური წესრიგია. მისი ჭორად გაგონილი (ვინმე „ჭკვიან კაცებს დაუწერიათო") შესაძლო გაუქმება, ანუ პოლიტიკური რეფორმა, საეკლესიო სწავლების ცნებებითაა გააზრებული: თავადაზნაურობის ერთი ნაწილის (ზაქარიას ცოლის, ლევანის, ნიკოლოზის...) ცოდვებისთვის რელიგიურ ნაცვალგებად - „ცოდვებისგან მოგვევლინა"; მეორედ მოსვლად - „წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი"; „ეშმაკის მანქანებად". ამრიგად, ბატონყმობის (ზოგადად ფეოდალიზმის) ფუნქციობის და მისი შესაძლო გაუქმების პირობებიც ეკლესიის სწავლების ცნებებითაა გააზრებული. საკუთრივ ქრისტიანული მოტივებისგან დამოუკიდებლად ვხედავთ სხვა ცნებებსაც, რომელსაც ისტორიული მეცნიერება შუა საუკუნეების აზროვნებისთვის დამახასიათებლად მიიჩევს, მაგრამ რომელთა წარმოშობა უფრო ადრინდელი წარმართულ-მითოლოგიური ხანისაა. ასეთია აქ გარეჯელი მკითხავი (დელფოსის პითიას ერთგვარი ანლოგი), თელეთის ხატი, კუდიანები, ჯადო (მაგია), კუდიანი ვარსკვლავი, მზეს გამოკიდებული გველეშაპი და ა.შ. ყველა ეს სახე თავ-თავის ალაგს იკავებს მხატვრულ სახეთა სისტემაში, როგორც მშვენიერი კრებისთვის ბუნებრივი წარმოდგენები, რომელთა მეშვეობით ისინი ცდილობენ გაერკვნენ, თუ რატომ უნდა ჩამოერთვათ „თავადიშვილებს" ყმები!

ამრიგად, კიდევ უფრო მეტად დასაბუთებულად წარმოდგება მოსაზრება, რომ თათქარიძეების „ძველობა" ნიშნავს მათ დაფუძნებულობას შუა საუკუნეებში, თვით აზრთა წყობით, მენტალობით. შუა საუკუნეების დამახასიათებელი ნიშანია სინამდვილის ყველა სფეროს გააზრება ქრისტიანული მოტივებით და ქრისტიანობის მიერ გათავისებული, რადგან ვერ აღმოფხვრილი წარმართული ნაშთი წარმოდგენებით. ბატონყმობა, მისი გაუქმება, სწორედ ამგვარადაა გააზრებული მოთხრობის „ძველი" პერსონაჟების მიერ.

შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ეს აზრთა წყობა მკაფიოდ ჩანს მოთხრობის „პოლიტიკური ჭორაობის" ეპიზოდებში. დარწმუნებული იმაში, რომ თავადობა თათქარიძეებს ადამის დროიდან მოსდგამთ და დარეჯანის სალი შენიშვნით შეცბუნებული, ლუარსაბი საუბრის თემას ცვლის და თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებზე „მსჯელობისას" წარმართული ზღაპრის, ლეგენდის და ბიბლიურ მოტივებს ერთმანეთში ურევს. საუბარი იწყება ბიბლიური მოტივით - „ხე ბოროტისა და კეთილისა", რომლიდანაც ადამმა და ევამ „ხილი მოიპარეს" და გადადის „რუსეთის ხელმწიფის ბაღზე", სადაც ოქროს ოთახში მსგავს ხეს სულ იაგუნდების თუ ზურმუხტის ფოთლები ასხია. ამ ხის ხილის გამო დაწყებულა ომი რუსეთის ხელმწიფესა და ხონთქარს შორის. ორგზის განმეორებულია, რომ „ჯერ ომი არ გათავებულა"; ამით მინიშნებულია თანადროულ ისტორიულ მოვლენზე, რომელზეც თათქარიძეებს, თავისი ჩვეულებით, ყური კი მოუკრავთ, მაგრამ ვერ გარკვეულან თუ რისთვის მოუკრავთ. შემდგომ ამისა, შემოტანილია „კუნძულელი ხელმწიფის" სახე, რომელსაც ეს ხილი ცნობადის ხისა რგებია და ომი ჰქონია მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფესთან. სიმოკლისთვის პირდაპირ ვიტყვით, რომ ეს „თანამედროვე" საერთაშორისო მოვლენა ყირიმის ომი („აღმოსავლეთის ომი") უნდა იყოს, რომელიც ინგლისის აღმოსავლეთის პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა. ის, რომ ცნობადის ხის ნაყოფი ინგლისს ჩაუვარდა, მინიშნებაა იმაზე, რომ, ჯერ ერთი, ახალი დროის „კლასიკური ავტორი" ინგლისის „ნაციაა" და რომ ძაფები აღმოსავლეთის პოლიტიკისა მას უპყრია. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია დამარცხდა ყირიმის ომში ოსმალეთის იმპერიასთან. მაგრამ, „ჯერ ომი არ გათავებულა", ანუ ეპიზოდში აღწერილი მოვლენები მიბმულია კონკრეტულ ისტორიულ დროზე (1853-56 წ.წ.) უფრო ზუსტად, კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, რაც ბუნებრივია ტექსტისთვის, რომელიც ისტორიზმის პრინციპს ეფუძნება; მაგრამ ყოველი ცალკეული ტექსტის შემთხვევაში მაინც გასარკვევია, რა არის ამ „დაფუძნების" კონკრეტული შინაარსი და „ლოგიკა".

შევნიშნოთ შემდეგი: უდრტვინველად მცხოვრებმა ლუარსაბმა და დარეჯანმა, ამ ომს ზღაპრის მოტივებით რომ რთავენ, არ იციან, რომ სწორედ ამ ომში ბატონყმური რუსეთის მარცხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდება უშუალო მიზეზი აქ ლიბერალური რეფორმების იძულებით დაწყებისა „ზემოდან“ („ხელმწიფესგან“) , რაც ბატონყმობასაც გააუქმებს რუსეთის იმპერიაში - თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათ! გამოაშკარავდება თათქარიძეების ილუზია, თითქოს მათი „ბედნიერება“ ოდენ „ხელმწიფის“ კეთილგანწყობაზე და დირექტივებზეა დამოკიდებული და გაირკვევა, რომ ბატონყმობა (ფეოდალიზმი) ღვთით დადგენილ მარადიულ სააქაო წესრიგს არ წარმოადგენს! საკუთრივ შუა საუკუნეების აზროვნების, წარმოდგენების ტიპი არის აქ ირონიის საგანი: „ძველ ქართველებს“ უდრტვინველად სჯერათ, რომ მათი „ბედნიერება“ მხოლოდ აღნიშნულ რეალიებზეა დამოკიდებული და ამიტომ არხეინად ყვებიან, როგორც ზღაპარს, იმ პოლიტიკურ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც სულ მალე „დაარღვევენ“ მათ „ბედნიერებას“. „ძველის“ სრული უილაჯობა „გამოცვლილი დროის“ რეალიების წინაშე (მისი სიმბოლოა ლუარსაბის სიზმრის ეპიზოდი) ავტორის აკვიატება კი არ არის, არამედ ისტორიით დადასტურებული ფაქტია. წოდება ვერ იტყვის, რომ იგი არავის გაუფრთხილებია მოახლოებულ კატასტროფებზე და ამის მიზეზებზე.

ტექსტში ვხედავთ მინიშნებას სხვა ისტორიულ მოვლენაზე. ლუარსაბი ცხელ გულზე მოწყობილ „მიტინგზე“ მოურავ დათოსგან შეიტყობს, რომ ბატონყმობის გაუქმებაზე „ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისთვის კარგი იქნებაო“. ამ „იუდას კერძებზე“ განრისხებული ლუარსაბი ჩვეული „გულგწრფელობით“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი „სულისკვეთების“ გაკვეთილს უტარებს შეკრებილ ყმა გლეხებს: „მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს, - „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“. ეს ეპიზოდი აშიშვლებს ლუარსაბის წოდებრივ და პიროვნულ კონფორმიზმს, წინაპართან შედარებით მისი ცნობიერების უკიდურეს დავიწროებას. შევნიშნოთ, რომ განსაკუთრებით „ბოდბელის“ (უნდა იგულისხმებოდეს ბოდბის საეპისკოპოსო, რომელიც ფეოდალიზმის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენდა საქართველოში) ფრაზა ტყუპისცალია ლუი XV ცნობილი გამოთქმის - „ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულაო“, რაც მის მემკვიდრეს რევოლუციით და გილიოტინით აუხდა („კაცია-ადამიანშიც“ ვხედავთ გლეხის ბიჭს, რომელიც მკლავით ხანჯალს დაყრდნობია და „ცბიერი მონისთვის“ გამოცდილი ხნიერი გლეხისთვის მიბაძვა - ბატონის მაამებლობა არ სურს). ეს არის მინიშნება საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ანუ მოვლენაზე, რომლისგანაც აითვლება ევროპის კონტინენტზე ახალი დროის შემოსვლა -ბატონყმობის (ფეოდალიზმის) გაუქმება და ადამიანის უფლებების „დეკლარირება“. მოთხრობაში ეს მოვლენა ყირიმის ომს იმ ლოგიკით უკავშირდება, რომ მასში ბატონყმური რუსეთის იმპერიის მარცხი ათვლის წერტილია ახალი დროის პოლიტიკური ცვლილებების („ლიბერალური რეფორმების“) შემოსვლისა იმპერიის „ცხოვრებაში“. თუ პეტრე I „დერჟავას“ საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება-ამაღლებისთვის მეცნიერების და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ათვისებით იფარგლება და პოლიტიკურ წყობას ხელუხლებლად ტოვებს, ყირიმის ომში განცდილმა მარცხმა მთავრობა აიძულა ახალი დროის ლიბერალური რეფორმების გატარებაზე წასულიყო. „საგლეხო რეფორმასთან“ ერთად უმთავრესი იყო ცენზურის რეფორმაც - ე.წ. „გლასტნოსტი“ (როგორ არ გავიხსენოთ გარბაჩოვის „პერესტროიკა“ და „გლასტნოსტი“!) ამრიგად, კანონის წინაშე ყველასთან თანაბრობის „უფლებასთან“ ერთად შემოვიდა აზრის და „სიტყვის თავისუფლებაც“; ამ უკანასკნელი „უფლების“ პირდაპირი დამსახურებაა, რომ „კაცია-ადამიანი?!“ არა უბრალოდ დაიწერა, არამედ გამოიცა კიდეც 1863 წელს. შესატყვისი განათლების მქონე ავტორი ყველაფერ ამას ზედმიწევნით აცნობიერებს, ამიტომაც მოთხრობაში ამ ისტორიულ მოვლენებზე პერსონაჟების ბედის, მოთხრობისეული მოვლენების მიბმულობა პრინციპული ხასიათისაა: იგი, როგორც თხრობის ამგები ელემენტი, ემსახურება ძირითადი სათქმელის, შეხედულებათა სისტემის (იმჟამინდელი „ისტორიის ფილოსოფია“, ისტორიზმის პრინციპი, ისტორიის პროგრესის კანონი) მხატვრულად დამაჯერებლად ათვისებას ტექსტში. აქ სალიტერატურო „ატმოსფეროს“ შექმნის პათოსს სამეცნიერო ცოდნის - ზოგადი ცნების - შექმნის პირუკუ პროცესი შეადგენს. ცნება „იშლება“ იმ კონკრეტულ-ისტორიულ გარემოდ, რომელთა განზოგადებასაც იგი წარმოადგენს. გამოყენებული მხატვრული (რეალისტური) მეთოდის პათოსი აქ სამეცნიერო ცოდნის - ზოგადი ცნების - ილუსტრაციაა.

ავტორისთვის ეს „პათოსი“ და „მეთოდი“ ახლობელი და ორგანულია შემდეგი გარემოების კარნახით: მთხრობელის პოზიტიური ინტერესი ორიენტირებულია „გამოცვლილი დროის“ ავტორ ევროპის „დიდი ნაციების“, ფართო აზრით, სოციალურ გამოცდილებაზე, მონაპოვრებზე, რადგან აცნობიერებს, რომ ამ მონაპოვრებმა შექმნა მათი „გამარჯვებები“ და არა პირიქით. „უწინდელ დროში“, XII ს. დასაწყისში, ინგლისის სამეფოს მოსახლეობა ჩვენსას არ აღემატება (ერთი მილიონი). არსებითად, ეს ის „საშუალებები“ იყო, რომლითაც ამ ერებმა თავისი ნაციონალური ისტორია ახალ დროში დომინანტ ცივილიზაციად აქციეს. მაგალითად ინგლისმა გაამრავალმაგა მოსახლეობა და მშობლიური ენა საერთაშორისოდ აქცია, როცა არა ნაკლები ტრადიციის მქონე ქართლი ენა გიმნაზიის „პაპეჩიტელების“ ამარა შეიქმნა. საკუთარი, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე სამშობლოს უბედურებამ, რომელსაც ილია პირად უბედურებად აღიქვამდა, შესატყვისად გააცხოველა მისი ინტერესი „გამარჯვებულთა“ გამოცდილების მიმართ. მით უფრო, რომ სტუდენტი ილიას თვალწინ თვით რუსეთის იმპერია, რომლის ორ გუბერნიას შეადგენდა მისი ქვეყანა, არ თაკილობდა ესწავლა იმათგან, ვისთანაც დამარცხდა. ლუარსაბი კი იმიტომაა ლუარსაბი, რომ თავისი „გამარჯვებების“ მარტო თვითონ სჯერა. უკრიტიკოდ „ძველის“ მოყვარეობის ეს თემა უშუალოდ უკავშირდება ლუარსაბის პოლიტიკური კონფორმიზმის, წოდებრივი უფუნქციობის მოტივს.

ლუარსაბის „გულწრფელი“ თვითმხილება მიმდინარეობს წინაპართან შედარებით მისი ცნობიერების უსაზღვროდ დავიწროებულობის მიმართულებითაც. მთხრობელი შეაგონებს მას, თუ რით იყო უწინდელი დრო უპირველესად ღირებული: თავგამოდება მამულისთვის. ლუარსაბს „უწინდელი დრო“ იმით მოსწონს, რომ ყმებში არავინ ედავებოდა. მეორე ეპიზოდით ვიგებთ, რომ „ჭკვიან კაცებს დაუწერიათ“ ბატონყმობის გაუქმება კარგი იქნება ქვეყნისთვისო. ანუ, ახალი დროის პოლიტიკური რეფორმა, თურმე, კარგი იქნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნის რეალიზაციის ოპტიმისტური პერსპექტივებისთვის. პირიქით, ლუარსაბს თავისი „გამარჯვება“ მეცნიერებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე იმით უტრიალდება, რომ ამ ცოდნის, მასთან ერთად კი წოდებრივი ფუნქციის - ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენობა - განხორციელების „საშუალების“ გარეშე რჩება. ეს ცოდნა, ამავდროულად, იმის „საშუალებაც“ იქნებოდა წოდებისთვის, რომ ფუნქცია (ელიტობა) შეენარჩუნებინა და განეხორციელებინა „გამოცვლილი დროის“ პირობებში, თუნდაც ყმების „დაკარგვის“ ფასად. ლუარსაბის პოლიტიკური კონფორმიზმი, უფუნქციობა უშუალოდ არის დაკავშირებული მის უკრიტიკოდ ძველი გზის მოყვარეობასთან. ორივე ერთად იმის პირდაპირი მიზეზია, რომ გამოცვლილ დროში მისი „ბედნიერება“ დაირღვევა.

„ჭკვიანი კაცების“ თანახმად, რომლებმაც „ძველი ქართველის“ რისხვა დაიმსახურეს, ახალი დროის ანუ „დასავლური“ სოციალური გამოცდილების ათვისებას „გამოცვლილ დროში“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების რეალიზაციის „საშუალების“ მნიშვნელობა აქვს. ეს არის ილიას ერთი ძირითადი კონკრეტული ისტორიული დამსახურება ჩვენს წინაშე: „გამოცვლილ დროში“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების ოპტიმისტური პერსპექტივების დამსახველი სტრატეგიული გზის აღმოჩენა. მართალია, იგი „კაცია-ადამიანის“ ძირითად სათქმელს არ შეადგენს, ასეთად იგი „მგზავრის წერილებში“ წარმოგვიდგება, მაგრამ „კაცია-ადამიანის“ ძირითადი სათქმელი, მისეული შეფასებები სწორედ ამ გზის „შუქზე“ ყალიბდება. მოთხრობის ჩანაფიქრს XIX ს. II ნახევრის (შეგვიძლია უფრო ზუსტი დროის მითითებაც, 1853-56 წლები) ბატონყმობის მიწურულის ქართული ცხოვრების და მისი მესვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კლასის მხატვრულად განზოგადოებული ჩვენება შეადგენს. მოთხრობის ძირითადი სათქმელია, რომ უკრიტიკოდ „ძველის“ მოყვარეობის და პოლიტიკური კონფორმიზმის გამო მას მომავალი არა აქვს. ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენი ფენა - თავადაზნაურობა, „გამოცვლილ დროს“ ალღოს ვერ უღებს, ამიტომ, ბუნებრივად, ანუ ისტორიული აუცილებლობით, თავის ელიტობას (ფუნქციას) დაკარგავს. ავთანდილი ლუარსაბ თათქარიძედ იქცა. ამ მოთხრობით შემოდის ჩვენს ლიტერატურაში ქართველი კაცის უფუნქციობის თემა - იგი თავის ქვეყანას ვერ და არ უვლის. ეს თემა მთლიანად გამსჭვალავს ილიას პროზას, ხოლო აქედან კი ახალი და უახლესი ლიტერატურის ერთი წამყვანი თემა ხდება. საკმარისია დავასახელოთ „ჯაყოს ხიზნები“ და ო.ჩხეიძის „კვერნაქი“. ამ უფუნქციობის, „უსახლკარობის“, უილაჯობის განცდით განმსჭვალულია 80-იანებიდან მოყოლებული ე.წ. ქართული პოსტმოდერნი. უფუნქციობის დაძლევის მოთხოვნა, აღმოჩენილი სტრატეგიული გეზის „სიტყვიდან“ „საქმედ“ ქცევით, უკვე „მგზავრის წერილებშია“ გაცხადებული (იხ. ჩვენი „მგზავრის წერილების“ მხატვრულ სახეთა სისტემა. იდეოლოგია, დათარიღება“, ლიტერატურული ძიებანი, 2000 წ.);

ისტორიული მნიშვნელობის სტრატეგიული გეზის მიგნებას, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ (1857-61 წ.) კრიტიკულად გაიაზრა უშუალოდ მის თვალწინ მიმდინარე გლობალური პროცესები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ცხოვრებასაც შეეხო. ეს კრიტიკული გააზრება შესაძლებელი გახადა პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულმა საბუნებისმეტყველო და, უპირველესად, იმდროინდელი პოზიტივისტური „ისტორიის ფილოსოფიის“ - სოციოლოგიის მიღწევების ათვისებამ. ხოლო ძირითად ღირებულებით კონტექსტს ამ გააზრებისა წარმოადგენდა სამშობლოს ისტორიულ-კულტურული ინდივიდუალური სახის და მისი უბედურების მძაფრი განცდა. ილიას ახასიათებდა საკაცობრიო-ისტორიული პროცესის და სამშობლოს განუმეორებელი ხატის ერთდროულად გამძაფრებული აღქმა და ამ „სიმძაფრემ“ შექმნა საფუძველი ნახსენები სტრატეგიული გეზის მიგნებისა.

ილიაზე გავლენის მომხდენ ერთ წყაროდ მიგვაჩნია ჰ.ბოკლის თავის დროისთვის საეტაპო „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“ (იხ. ჩვენი, „ილიას მგზავრის წერილები და ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“, „სჯანი“, 2003 წ.), რომელშიც მკაფიოდ არის გამოთქმული მოთხრობისეული ყველა სოციოლოგიური თვალსაზრისი. მაგალითად, ქრისტიანული შუა საუკუნეების აზროვნების სტილი აქ დახასიათებულია, როგორც ადამიანის სააქაო ცხოვრების სფეროების ეკლესიური ცნებებით გამააზრებელი: სახელმწიფოს შინააშლილობა, ისევე, როგორც ევროპის ქალაქების მოსახლეობისთვის მუსრის გამვლები ინფექციური ეპიდემიები იმჟამინდელ ისტორიულ ქრონიკებში განიმარტება და აიხსნება „ღვთის რისხვის“ ცნებით; ასევე, ამავე ქრონიკებში ჭარბობს ზღაპრის, ლეგენდის, ფანტასტიკის ელემენტი. მართალია, ბოკლის მიერ გაანალიზებული მასალა რომის დასავლეთ იმპერიის ხალხების ისტორიოგრაფიით იფარგლება, მაგრამ შესამჩნევია პარალელების არსებობაც ჩვენთან, რაც გარკვეული, შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი საერთო ქრისტიანული აზროვნების მოტივების არსებობაზე მოწმობს. მაგალითად, ბოკლს მოჰყავს XII საუკუნის დასაწყისის ისტორიული თხზულება, რომელიც მაშინ ითვლებოდა „ავტორიტეტად“ კარლოს დიდის ისტორიაში. თურმე იმპერატორს ესპანეთში ლაშქრობა მუსულმანების იქიდან გასადევნად თვით წმ. იოანეს ძმამ, მოციქულმა წმ.იაკობმა ჩააგონა და თავადაც უზრუნველყო მისი გამარჯვება. მოლაშქრეების აღვლენილ ლოცვას ალყაშემორტყმული პამპლონას კედლების დაცემა მოჰყვა, რის შემდეგ კარლოს დიდმა არამარტო ქალაქი, მთელი ქვეყანა განწმინდა მუსულმანებისგან. იმავე ხანებშივე, დავით IV აღმაშენებელის მეისტორიეს მიხედვით, დიდგორზე ქართულ ჯარს თვით წმიდა გიორგი მიუძღოდა წინ და მანვე გაამარჯვებინა მუსულმანებზე ქრისტიან ქართველებს.

## 2. მამები და შვილები

ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მსგავს მსოფლმხედველობით ტეხილს თაობათა დაპირისპირება - „ბრძოლაზე“ უნდა გაეარა, რასაც ადგილი ჰქონდა 1861-63 და 1871-72 წლებში. მოთხრობის ლიტერატურისმცოდნეურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ბრძოლის „ანარეკლი“ აფორმებს თხრობის ორგანიზების პრინციპს: ბუნების მოვლენებზე, არსებით პოლიტიკურ ცვლილებებზე, ისტორიულ მოვლენებზე და ეკონომიკურ-სამეურნეო (ლუარსაბი „ბიჭებს ანიოკებს“) საქმიანობაზე „ძველი ქართველის“ მიერ გამოთქმულ „თეზისებს“ და გამართლებებს ავტორის კონტრთეზისები აბათილებს. ეს პრინციპი ტექსტში ათვისებულია „ვერაგი ირონიით“: საკუთარი დროის („გამოცვლილი დროის“) განათლებულობის სიმაღლეზე მყოფი მკითხველისთვის ლუარსაბისეული თავმოწონებული „გამარჯვებები“ მეცნიერებაზე, ისტორიის კანონებზე, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, მათივე თვითლიკვიდაციის აქტს ემთხვევა. ტექსტის ამ წესით მოწყობის გამო „კაცია-ადამიანში“ აუცილებლობას არ წარმოადგენს სიუჟეტის დროში თანმიმდევრული ერთიანი განვითარება; ძირითადი სათქმელის ორგანულად რეალიზაციისთვის საკმარისია თხრობის „ძველის“ თვითმხილებათა ეპიზოდების სერიად „დაშლა“: ლუარსაბი „იმარჯვებს“ მეცნიერებაზე, ისტორიის კანონებზე, სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესზე, მოჰყავს ცოლი, მართავს მეურნეობას, ...სტრუქტურის ამ თავისებურებას კიდევ დავუბრუნდებით. გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ აშკარა ხდება, „კაცია-ადამიანი“ დაწერილია „მამებთან“ „ბრძოლის“ არათუ უბრალო შთაბეჭდილებით, არამედ ამ მოვლენის მხატვრულად განმაზოგადებულ ლიტერატურულ ტექსტს წარმოადგენს. ლიტერატურის ისტორიისთვის ეს საინტერესოა თუნდაც მოთხრობის თარიღის დაზუსტებისთვის (1861-63 წლები), მაგრამ უფრო აქტუალურია იმ „რევოლუციების“ გასაანალიზებლად, რაც მან შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ აზროვნებაში, სალიტერატურო, ესთეტიკურ ნორმებში (ცხადია, ეს „რევოლუციები“ „სტუდენტი“ ილიას და მისი თანამოაზრეების „თერგდალეულების“ პარალელური საპუბლიცისტიკო საქმიანობითაც მიმდინარეობს. მაგალითად, არჩ.ჯორჯაძე „საქართველოს მოამბეზედ“ აფასებს პოზიტივისტური „ისტორიის ფილოსოფიის“ ჩვენი ცხოვრების ცნობაში მოყვანისთვის შემოტანის პირველ ცდად „ქართულს ლიტერატურაში“, არჩ.ჯორჯაძე, წერილები, 1989, გვ.170.)

მამების და შვილების ამ ხანის (1861-63 წწ.) კამათში იკვეთება ანტონ I-ის ისტორიული ფიგურა. მაგალითად, ექვთიმე წერეთლის სტატიაში გამოთქმულია გაკვირვება და აღშფოთება, რომ „ვილაც ჭავჭავაძე“ „ანტონ ქათალიკოსის“ მაღალ ნიჭიერს სიტყვაობას, მის აკროსტიხულობას და მის იამბიკოებას იწუნებს. „ძველებს“ უბრალოდ არ ესმით „პასუხის“ ილიასეული განმარტება, რომ იგი ანტონ I-ის სალიტერატურო, თეორიულ მოღვაწეობას უპირობოდ კი არ უარყოფს (ლუარსაბის ჩვეულებით), არამედ აუცილებლადაც მიიჩნევს, ოღონდ აუცილებლად თავისი, უწინდელი დროისთვის; „გამოცვლილი დროისთვის“ კი იგი გამოუსადეგარია, დრომოჭმულია... სალიტერატურო ქართული ტრადიციის „შეურყვნელობის“ სადარაჯოზე მდგომი „მამების“ სტატიები აჩვენებს, რომ მათ არ ესმით, როგორ შეიძლება „კარგი“ (წარსულში) გახდეს „ცუდი“ (გამოუსადეგარი აწმყოში), რადგან ისტორიზმის მოტივი მათ აზროვნებაში უბრალოდ არ მონაწილეობს ამ მიმართულებით მათი გაუნათლებლობის გამო (ლუარსაბის აზროვნების წყობა). საზოგადოებრივი, პოლიტიკური აზროვნების დონეზე მოთხრობის მიერ მოხდენილ „რევოლუციას“ ზემოთ შევეხეთ ნაწილობრივ. ვაჩვენოთ, რომ „კაცია-ადამიანი“ მსგავსი რადიკალიზმით ყირაზე აყენებს „ძველი ქართველის“ ესთეტიკურ ნორმებს, სალიტერატურო კარგ ტონს თვით მოთხრობის თხზვის ცოცხალი პროცესით. ამ დროს მას „სახეში აქვს“ ანტონ I-ის სამი შტილის თეორია (რიტორიკა) და სალიტერატურო სკოლა.

საზოგადოდ, ძველისა და ახალის მიმართება დიალექტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პროცესია და არა მექანიკური (მოჭერი და გადააგდე), აცნობიერებენ ამას მოკამათე მხარეები ცხელ გულზე თუ არა. მაგალითად, თვით „სტუდენტი“ ილიაც სცილდება ობიექტურობას, როცა ოპონენტებს განურჩევლად მიმართავს ფრინველთა სამყაროდან აღებული „ეპითეტებით“; ეს ასეა იმ მარტივი მიზეზით, რომ თავად დავალებულია „შინიდამ ფეხგამოუდგმელი“ დარბაისელი ქართველი „მწერალი ქალისგან“, ბ.ჯორჯაძისგან „აჩრდილის“ ცენტრალური სახითა და სალიტერატურო ზოგადი „ჩარჩოთი“. ამაში დავრწმუნდებით თუ ზერელედაც გადავავლებთ თვალს ბ.ჯორჯაძის ლექსს „მოლანდება“. ვნახოთ, როგორც ახორციელებს 24 წლის ილია „კაცია-ადამიანის“ თხზვის პროცესში თავის თეორიულ „დაპირებებს“ თუ „მუქარებს“ („პასუხი“) ძველების „თეზისების“ მიმართ („ბარაქალა ჩემო სტატიავ, ბარაქალა!“).

გავიხსენოთ, როგორ იწყება მოთხრობა: „რიტორიკაში“ სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია, ჩვენც ასე დავიწყოთ“. იმჟამინდელი განათლებული მკითხველისთვის ასეთ დასაწყისში არაფერია მოულოდნელი და განსაკუთრებული, თუნდაც ჩვენგან განსხვავებით, რომლებსაც „რიტორიკაზე“ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, როგორც გარდასული სალიტერატურო ეპოქის ესთეტიკური გემოვნების და სალიტერატურო სკოლის თეორიაზე. მაგრამ მაშინდელი მკითხველისთის იგი განათლებულობის და ესთეტიკური გემოვნების ქვაკუთხედს შეადგენდა (მაგალითად, არდაზიანის ცნობილ მოთხრობას მკაფიოდ ამჩნევია „დარბაისლური“ ქართულის საშუალო სტილის ნიშნები). მოულოდნელობა იწყება მომდევნო ფრაზითვე: „ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყებს და „გიჟიას დაუძახებს“ ამ მოთხრობის უხეირო დამწერს“. მოულოდნელი ის არის, რომ „რიტორიკის“ კანონით „შესავალში“ ორატორი (მთხრობელი) მსმენელის გულის მოგებას, თანაგრძნობის მოპოვებას უნდა შეეცადოს. აქ კი „შესავალის“ პირველსავე ფრაზებით მკითხველს უცხადებენ, რომ ქვემოთ ისეთ რამეს შესთავაზებენ, რისგანაც იგი „ლაფის სროლას“ დაიწყებს! ამრიგად, თხრობის დასაწყისში რიტორიკის რეცეპტების „დეკლარირება“ მთხრობელის ძველ ქართველ მკითხველზე მიმართული „ვერაგი ირონიაა“. ეს მკითხველი, ავტორის აზრით, საკმარისად გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო, რომ მის ანკესს წამოგებოდა, თითქოს მთხრობელი მართლაც „ტკბილ ჰანგზე“ თხრობას და მისი გულის მოგებას აპირებდა!

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო! შემდგომ რაც ელოდა მკითხველს, იმედგაცრუება კი აღარ იყო, არამედ „სკანდალს“ ჰგავდა. „სამი შტილის თეორიის“ ყველა რეკომენდაციის საპირისპიროდ და დარღვევით ისეთი „მაღალი მატერია“, როგორიც თავადაზნაურობა და მისი ცხოვრებაა, აქ წარმოდგენილია „დაბალი სტილით“, რომელიც მხოლოდ „გლეხუჭების“ ცხოვრების მხატვრულად ასახვას შეჰფერის (გროტესკი, სატირა, ფარსი); ესეც „ეცოტავა“ ავტორს და ქართველი არისტოკრატია გვაჩვენა საყოფაცხოვრებო „მდაბალი“ თემების შუაგულ (სადილობა, შემდგომი გორაობა პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა და ა.შ.), ყოველგვარი ჩვეული საგმირო-სამიჯნურო პათოსისგან შემოცლილი (გავიხსენოთ კონტრასტით „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“ ან ფრანგული კლასიცისტური დრამა), სრულიად შეუფერებელი ლექსიკური „გარემოთი“ მოცული - „კბილები დააკრაჭუნა“ „საკურტუმე“, „ლაზათიანად გაიბერებოდნენ“, „ღორის მკბენარა“, „წამორომშა“,.... ბ.ჯორჯაძე აკი საყვედურობდა ოპონენტ „სტუდენტს“ - თავად ერისთავზე რად სწერ „კრიტიკულ უსტარს“ „გოგო-ბიჭების“, „შუა ბაზრის“, „უშვერი სიტყვებით“-ო. ანუ ხალხური (გლეხური) მეტყველების ლექსიკისა და ფრთიანი ფრაზების გამოყენებას უწუნებდა. ასეთი ლექსიკა უხდებოდა სალაღობო, სახუმარო ბაასს, მაგრამ არა სერიოზულ საზოგადო პრობლემებზე მსჯელობას - ესეც რიტორიკის მოთხოვნაა! უფრო მეტად „ყირაზე“ დაყენება „მამების“ ესთეტიკური აზროვნების, გემოვნებისა ძნელი წარმოსადგენია. ბუნებრივია, ეს მიზანმიმართული სალიტერატურო „პროვოკაცია“ მათ წყრომას გამოიწვევდა. არჩ.ჯორჯაძე შენიშნავს „კაცია-ადამიანის“ 1863 წელს გამოქვეყნების შესახებ: „მართლაც უკმაყოფილება თავადაზნაურობაში დიდი იყო“ (იხ. იქვე, გვ.195).

თვით ბ.ჯორჯაძის „უსტარების“ განუმეორებელი სტილისტური თავისებურება ცხადია - იგი სანთლის და საკმეველის გაცრეცილ სურნელს „ატარებს“ თავის თავში (დარბაისლური ქართულის „მარგალიტებს“ ვიპოვით ალ. ორბელიანის „უმანკო სისხლში“, რომელიც ლიტერატურის ისტორიისთვის მეტად საინტერესო „გარდამავალი“ მხატვრული ტექსტია - ძველიდან ახლისკენ). მაგრამ უდავოა, რომ ილიასეული „ექსპერიმენტის“ შედეგად სალიტერატურო ქართულმა მანამდე არნახულ ენერგიულობაზე, ძარღვიანობაზე დაფუძნებული მოქნილობა (პლასტიურობა) შეიძინა. თვით ამ ფაქტის სასიცოცხლო მნიშვნელობა გადაუჭარბებელი იყო ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევისთვის იმჟამინდელი უკიდურესი „მიკნავებულობის“ ვითარებაში (ჰუმბოლდტის თვალსაზრისები გავიხსენოთ ნაციონალური ენის მნიშვნელობის შესახებ).

„კაცია-ადამიანის“ ისტორიული მნიშვნელობის ანალიზში გვერდს ვერ ავუვლით მამების და შვილების „ბრძოლაში“ მონაწილე ისეთ ფიგურას, როგორიც გრ. ორბელიანია. ამის ორი უმთავრესი მიზეზია მისი ცნობილი „დღიური“ („მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“, 1831-32 წ.) და „იარალის“. „დღიური“ პირველი ქართული პოროზაული ტექსტია, სადაც გაცხადებულია, რომ „დრო გამოიცვალა“. „აწ გამოიცვალა დრო“ ვიგებთ „კნიაზი ივანე ნიკოლაიჩი“ აფხაზის (იგი რუსეთის არმიის გენერალის „ჩინით“ გამოძახებულია პოლონეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი აჯანყების ჩასახშობად, თუმცა არ უწერია დანიშნულების ადგილზე ჩასვლა!) და 26 წლის გრიგოლ ორბელიანის დიალოგიდან, რომელიც პატრიოტული - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივის ძიების შინაარსისაა. „იარალის“ აფუძნებს ქართულ პატრიოტულ ლირიკას და თავადაც სრულფასოვანი ლექსია. XIX საუკუნის I ნახევრის ეს ტექსტები „აშიშვლებენ“ ქართული აზროვნების, სულისკვეთების სეკულარიზებულ ტენდენციებს, როგორც არც ერთი სხვა მანამდელი. სეკულარიზაცია ძირითადი ნიშანია ახალი დროისა, მაგრამ ჩვენეულ მსგავს პროცესს მასთან მარტივი („გადაწერის“) მიმართება არა აქვს. სეკულარიზაცია ადამიანის „სააქაო“ აქტივობის, ინტერესების (ეროვნულ-პოლიტიკური, ეკონომიკური, წოდებრივ-კლასობრივი, ვიწროდ გაგებული კულტურული, გვარის გაგრძელების, კომფორტის, პირადი ცხოვრების და ადამიანის სხვა „უფლებები“), შემეცნების ეკლესიური სწავლების მოტივების და „მწყემსვისგან“ გათავისუფლებაში მდგომარეობს. კლასიკური სახე მან რომის დასავლეთი იმპერიის ტერიტორიაზე მიიღო. შუა საუკუნეებში აქ ძალაუფლებას რომის კათოლიკური ეკლესია ფლობს, რომელიც რომის იმპერიის მემკვიდრედ მიიჩნევს თავს. დასავლეთ იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მოპოვებისთვის ამ ეკლესიასთან პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების რთულმა პროცესმა გაიარა მწვალებლობების შემუშავებაზე (პროტესტანტობის ნაირსახეობები) და „ნაყოფი“ ახალი დროის დასავლეთ ევროპის სეკულარიზებული ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების და ახალი მიღწევების შემუშავებით გამოიღო, რაც ახალი საკაცობრიო გამოცდილებაც აღმოჩნდა. რომის აღმოსავლეთ იმპერიაში (ბიზანტიაში) ბერძნული ელემენტის პოლიტიკურ და რელიგიურ („მართლმადიდებლობა“) ბატონობასთან დაპირისპირებას გაცილებით ადრე ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი აღმოსავლურ მწვალებლობების შემუშავებას ვერ გასცდა, უპირველესად, ეგვიპტისა და სირიის სახით, რომელთა დამსახურება საკუთრივ ქრისტიანობის წინაშე უდიდესია (მაგალითად, ქრისტიანულ სამყაროში საბერ-მონაზვნო მოძრაობა ეგვიპტეში ჩაისახა ანტონ დიდის მეოხობით). ჩვენი ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს, რომ სეკულარიზაციის საკუთრივ ქართული (ეროვნული) ტრადიცია გაგვაჩნია, XII-XIII საუკუნეების „ოქროს ხანის“ პოლიტიკური და საკულტურო მიღწევების სახით. ოქროს ხანა არსებითად განაპირობა დავით IV აღმაშენებელის სააზროვნო მასშტაბმა და რეფორმებმა. ბუნებრივია, რომ ეს რეფორმირება განხილული უნდა იქნას პატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ქართული სამეფოს მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად ქცევის კონტექსტში. ივ.ჯავახიშვილის შეფასებით, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის დავითმა დაარღვია ფეოდალურ შუასაუკუნეებში „ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული რწმენა" და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში წოდებრიობაზე წინ ადამიანის პირადი ღირსების პრინციპი დააყენა. ქართული სახელმწიფოს ზრდასთან ერთად (XIII ს.დასაწყისში ყმადნაფიც ტერიტორიების ჩათვლით იგი სამ ზღვაზე გადის) ქართული სახელმწიფოებრიობას გადასაწყვეტი გაუხდა უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებისა და სხვა რწმენის აღმსარებელთადმი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის პრობლემაც. დავითის დაფუძნებულია ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავებისდა მიუხედავად, ქვეშევრდომთა სრული თანასწორობის პრინციპი. ამასთან დაკავშირებით ივ.ჯავახიშვილს მოჰყავს XII საუკუნის ქართული სახელმწიფო სამართლის ერთი ფაქტი, რომლის მიმართ „განცვიფრებას" თავადაც ვერ მალავს. ეს არის ქ.დვინში გამართული სასამართლო, სადაც გაირჩა სომეხთა ორი ეკლესიის და სავანეს დავა ოქროს ჯვარის გამო. „არაჩვეულებრივი" იგი იყო იმით, რომ მოწვეული იყო საქართველოს მთავრობის თამჯდომარის მიერ, ხოლო მის წევრებად „მოწვეულნი და დანიშნულნი იყვნენ როგორც სომეხთა ეკლესიის მღვდელმთავარნი, ისევე ქართული ეკლესიის მესვეურნი. ესეც უკვე თავისთავად გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამაზე განმაცვიფრებელი და საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად მოწვეული იყვნენ თბილისის და განძის განთქმული ყადიები და მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნიც, რაც მაშინდელი მახლობელ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაშიც სრულებით წარმოუდგენელი რამე იყო. ადვილი მისახვედრია, თუ რა უკმაყოფილება უნდა გამოეწვია ქრისტიანეთა ეკლესიების მღვდელმსახურთა წრეში სასამართლოს შემადგენლობის ამნაირს შერჩევას, მაგრამ, რაკი საქართველოს მთავრობა ამ საკითხს იურიდიულ საკითხად სთვლიდა, მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით კი არა, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოფილიყო განხილულ-გადაწყვეტილი. ამიტომაც იყო, რომ ამ საგანგებო სასამართლოს თვით საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის სათავეში მდგომი მწიგნობართუხუცესი დაესწრო" (იხ.ივ.ჯავახიშვილი, ტ: II, 1980 წ., გვ. 386). ეს მართლაც არაჩვეულებრივი ფაქტი შუასაუკუნეებისთვის, ცხადად გვაჩვენებს იმჟამინდელ ქართულ სახელმწიფო აზროვნებაში ეროვნულ-პოლიტიკური მოტივის გამიჯნულობას, გათავისუფლებას ქრისტიანობისადმი და კერძოდ ქართული ეკლესიისადმი მიკერძოებულობისგან, რადგან ასე იყო შესაძლებელი მხოლოდ ქართული (ეროვნული) სახელმწიფოებრიობის დაფუძნება და ფართო სახელმწიფოებრივი გეგმების გატარება კონფესიონალური და რელიგიური სიმრავლით აღბეჭდილ ტერიტორიაზე, რომელთა უკან მრავალრიცხოვანი, ხშირად ფანატიურად განწყობილი მრევლი იდგა. სარწმუნეობრივი ან ეროვნული მძულვარება ყოველნაირ აღმშენებლობით, შორს მიმავალი სახელმწიფო ღონიმსძიებების ჩატარებას შეუძლებელს გახდიდა. ჩვენი დიდი ისტორიკოსის შენიშვნით „დავით აღმაშენებელის ტოლერანტობა ანუ რჯულშემწყნარებლობა აიხსნება მისი ფართო და მრავალმხრივი განათლებით" და შემდეგ, „მეფემ კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით, რომელიც მან მიიღო ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენელთა საეკლესიო კრებაზე, რომ ქრისტიანებიც კი ორი სხვადასხვა მიმართულებისა ვერ მორიგდებოდნენ ერთმანეთში და რომ ამნაირი დისპუტებიდან სხვა არაფერი რჩება, გარდა ურთიერთკინკლაობისა და ერთმანეთის შეურაცხყოფისა. ასეთ პირობებში განა შეიძლება მეტს მოელოდე სხვა რჯულის კაცისგან?" (იხ.გვ.414). ივ.ჯავახიშვილი დავითის აზროვნების წყობას აფასებს „თავისუფალ აზროვნებად" (გვ. 414, 415); მართლაც, აღორძინების ხანის შემდგომ ამ ცნების შინაარსს „ქვეყნის და ადამიანის ხელახლად აღმოჩენის" გზაზე აზროვნების „სააქაოს" და ადამიანის „სააქაო" ინტერესების დაბალღირებულად შეფასების („საწუთრო". მაგ. შუშანიკის წამებაში ვარსქენის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღალატი ნახსენებიც არ არის, ხოლო უმაღლესი სათნოება აქ ხორცის გვემაა) ქრიტიანულ-ეკლესიური მოტივისგან გათავისუფლებაში მდგომარეობდა. კონკრეტულად დავით აღმაშენებელისთვის „ტოლერანტობა", „ თავისუფალი აზროვნება" და რეფორმები წარმოადგენდა აუცილებელ „საშუალებას" მეტად სპეციფიური - ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილზე ქართული (ეროვნული) სახელმწიფოს დაფუძნებისთვის და ფართო სახელმწიფოებრივი გეგმების განხორციელებისთვის. ისიც ფაქტია, რომ ეს „ადგილი" სპეციფიურად ცხელია სადღეისოდაც (და, კიდევ უფრო ცხელია) და ოქროს ხანის ქართული სახელმწიფოებრივობის აღნიშნული მაგალითი და გამოცდილება უებარია გლობალიზაციის სტრატეგებისთვის.

იგივე სამართლებრივი ტოლერანტობის ნორმა, ნანტის ედიქტით ცნობილი საფრანგეთის სამეფოში მიღებული იყო ანრი IV დროს 1598 წელს, ხოლო მცირე ხნით ადრე, საფრანგეთის უმაღლესი მთავრობის, მეფის ოჯახის მიერ წმ.ბართლომეს ღამეს ორგანიზებული იყო კონფესიური შუღლის ნიადაგზე ფრანგების მიერ რამდენიმე ათასი ფრანგის მოკვლა, რაც წარმოუდგენელი იყო ოქროს ხანის ქართულ სახელმწიფოში. ინგლისში საშინაო პოლიტიკის ნორმად იგი დედოფალმა ელისაბედმა - ინგლისის ოქროს ხანის ავტორმა დაამკვიდრა.

ამრიგად, გარკვეულ ფარგლებში, სეკულარიზაცია უკვე აბსოლუტისტური ეროვნული სახელმწიფოებრიობის მონაპოვარია („საშუალებაა"), ხოლო ვინც ეს ვერ მოახერხა (დასავლეთ ევროპაში რომის პაპის ხელისუფლების პირისპირ), ვერც სახელმწიფო შექმნა. საქართველოში სრულიად განსხვავებული პირობების მიხედვით (ბიზანტიის ერთმორწმუნე იმპერია მართალია ჩაგრავდა ქართულ სამთავროებს, მაგრამ მაზდიანების, მუსლიმანების პირისპირ მოკავშირე იყო და ა.შ.) ეს სეკულარიზაცია არისტოკრატიის ფარგლებში მოხდა, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ექსპანსიის საყრდენი ფენისა (იხ.ნ.ნათაძე, „დროთა მიჯნაზე", თბილისი, 1974 წელი). შესატყვისად, ამ დროს ხდება საერო ლიტერატურის ჩასახვაც და „ამირან დარეჯანიანი" და „ვეფხისტყაოსანი" ამ ფენის ცხოვრების წესს, იდეალებს აღწერს. ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ სიახლოვეს იჩენს დასავლეთ ევროპის XIV-XVI რენესანსთან თავისი ზოგიერთი არსებითი ნიშნით (მსოფლმხედველობით, ადამიანის ხატვის წესით) ვიდრე იგივე წინარენესანსული კურტუაზიული სარაინდო პოეზია ან უმდიდრესი სპარსული ეპიკა და არაბული პოეზია, და ამ წესით მისი „ანალოგიურია" (იხ. იქვე). როგორც ცნობილია, ჩვენში „ანალოგიურ" ტენდენციებს განვითარება არ ეწერა სხვადასხვა მიზეზით, ხოლო დასავლეთში ამ პროცესმა სეკულარიზებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება და ახალი საკაცობრიო გამოცდილება მოიტანა. ქართული ოქროს ხანა ამდიდრებს ცოდნას „ანალოგიური" ან მსგავსი პროცესების ჩამოყალიბების ისტორიული პირობების შესახებ (იხ. იქვე).

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ „იარალის" შემდეგი ზარივით წკრიალა და ენერგიული სტრიქონები: „ცა მშვენიერი, ცა მშობლიური მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათოდეს..." ამ სტრიქონების ამავე „სიწკრიალით" და „ენერგიულობით" გაცხადებულია, რომ ქართველის აზრთა წყობაში ქრისტიანული ერთი ძირითადი სიმბოლოს „ცის" რელიგიური შინაარსი ჩანაცვლებულია საეროთი - სამშობლოთი. ეს სტრიქონები გვამცნობს, რომ, ზემოთ ნახსენები ისტორიულ-კულტურული, პოლიტიკური პროცესების ლოგიკის შესაბამისად, ქართველისთვისაც ერთიანი ქრისტიანული ცა „დაბზარულია" მრავალ ეროვნულ ცად (რამდენი ერიცაა) და აქედან ერთი მხოლოდ ჩვენია - „მშობლიური მარად ბრწყინვალე" ქართული ცაა. ეს სიღრმისეულ-სალიტერატურო ტენდენცია გრძელდება სადღეისოდაც. საკმარისია გავიხსენოთ ანა კალანდაძის მშვენიერი ლექსი ქართულ ცაზე. „იარალის" ეს მოტივი პირდაპირ კავშირშია „კაცია-ადამიანის" მხატვრულ სახეთა სისტემასთან. „საძაგელი მიწის" ეპიზოდს კონტრასტულად ახამებს და ასრულებს „დიდებული სამხრეთული ცის" ლირიკული პასაჟი. თვით ეს კონტრასტულობა ქრისტიანული საწუთროს და საუკუნოს დუალიზმის სეკულარიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სალიტერატურო ვარიანტია, ხოლო თვით „დიდებული ცის“ სახე ეროვნული კულტურის ჭვრეტის სიმბოლოა. ეს იმავე რიგის მოვლენაა, რაც ჰემინგუეის და რილკესეული ჭვრეტა ესპანეთის ცისა. ასეთივე ტენდენციას ვხედავთ „გლახის ნაამბობში“. მღვდელი ასეთნაირად მოძღვრავს გაბროს მამულის სიყვარულზე: „როცა მზე ამოდის, ვარსკვლავები მაშინ აღარა ჩანან“. აქაც ქრისტიანულ-ეკლესიური სიმბოლოს „მზის“ რელიგიური შინაარსი ჩანაცვლებულია საეროთი - ეროვნულით (სამშობლოთი). როგორც ვთქვით, ეს ის ტენდენციებია, რომლებმაც „კლასიკური“ სახე ისტორიულად მიიღეს ახალ დროში, და თუ ამავე სულისკვეთების პირველივე პირდაპირი გაცხადება ჩვენში „იარალის“ სახით მოხდა ასე თამამად და გამართულად, თითქოს ეს პირველი ცდა კი არა, არამედ ჩამოყალიბებული სალიტერატურო სკოლის ნიმუში იყო, ეს თავისუფლება შემოქმედებისა ეფუძნება სწორედ იმ საკუთარ ისტორიულ ტრადიციას „ოქროს ხანისა“, მის პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევებს, რომელიც დასავლური რენესანსის მსგავსია და დროით წინმსწრებია. უბრალო მექანიკური „გადაწერა“ „დასავლური“ თანადროული ტენდენციებისა ვერასდროს მოგვცემდა ასეთ სრულფასოვან ტექსტს, მის „სინკრიალეს“ და „ენერგიულობას“.

განსაკუთრებული და მსგავსი მნიშვნელობა აქვს გრ.ორბელიანის „დღიურსაც“. ფაქტია, რომ 1) პ.ინგოროყვა „დღიურსა“ და „მგზავრის წერილებს“ (რომელიც ასევე „დღიურია“) შესატყვისად, XIX საუკუნის I და II ნახევრების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების „დოკუმენტის“ მნიშვნელობას ანიჭებს და რომ 2) „კაცია-ადამიანის“ ავტორის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი „წინასიტყვაობის“ (რომელიც „მგზავრის წერილების“ ლიტერატურული პირველწყაროცაა და „სტუდენტი“ ილიას საპროგრამო ტექსტიც. იხ. ჩვენი „მგზავრის წერილების“ შექმნის ისტორიის რეკონსტრუქცია, „ლიტერატურული ძიებანი“, 2002 წელი; „კაცია ადამიანის“ „წინასიტყვაობის“ მხატვრული სახეთა სისტემა, იდეოლოგია, დათარიღება“, ცისკარი, 2000, N3) I და IIვარიანტებში, „მგზავრის წერილებში“ და გრ. ორბელიანის „დღიურში“ მგზავრი ერთსა და იმავე ტფილისი-პეტერბურგის გზას ადგას. ასეთი ფაქტი შემთხვევითი ვერ იქნება. თვით ფაბულისეული საპირისპირო ორიენტაცია „მგზავრებისა“ ამ გზაზე - პირით რუსეთისკენ და ზურგით სამშობლოსკენ და პირიქით - ის სიმბოლო აღმოჩნდა, რომელიც განხორციელდა ილიას და გრ. ორბელიანის (ზოგადად „მამების“) საზოგადო და პირად ბიოგრაფიებში. სამივე ტექსტი ადასტურებს ამ „გზის“ მნიშვნელობას ჩვენთვის. მათში გააზრებულია, რომ „დრო გამოიცვალა“. მაგრამ თვალშისაცემია ის განსხვავებებიც, ამ „გააზრებებს“ რომ ამჩნევია. თუ „მგზავრის წერილების“ მგზავრი მკაფიოდ ასხვავებს ამ მგზავრობის მიზანს - „ოთხი წელიწადი“ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში (და არა „იზლერის ბაღები“), „დღიურის“ ავტორი პეტერბურგში აღწერს სხვადასხვა დანიშნულების დაწესებულებებს (მათ შორის საზოგადოებრივ პარკებსაც !), ხოლო უნივერსიტეტს, რომელიც ახალი დროის მეცნიერების, ზოგადად მისი ახალი რეალიების ამთვისებელი (შემმეცნებელი) კერაა, ახსენებს მარტო ერთხელ და გაკვრით! უკვე ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ „კაცია-ადამიანის“ და „მგზავრის წერილების“ ავტორს მკაფიოდ ესმის, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ „გზას“ - ახალი დროის მეცნიერების, ცოდნის შეძენისა, იმის გარკვევისა, თუ რა არის ეს ახალი მიღწევები. ჩვენთვისაც იგი ევროპაში, ანუ ახალ დროში გაჭრილ „ფანჯრად“ იქცა. ამის ცნობიერებას ნაკლებად ავლენს გრ.ორბელიანი.

დავაზუსტოთ: ივ.აბხაზთან დიალოგიდან ჩანს, რომ იმდროინდელი საზოგადოების განათლებულ და უკეთეს ნაწილს შეგნებული აქვს, რომ „აწ გამოიცვალა დრო“ და ცვლილებები უნდა განხორციელდეს ჩვენშიც. მაგრამ კონკრეტულობა მიღწეულია მხოლოდ სამხედრო რეფორმასთან მიმართებაში: უნდა შემოვიღოთ „რეღული“! განათლების საკითხი დაყენებულია, მაგრამ ბუნდოვნად, მისი კონკრეტული ისტორიული შინაარსის (ძველი თუ ახალი და რა არის ეს ახალი?) გამოუვლენელად. „დღიურიდან“ ისიც ჩანს, რომ ავტორი იცნობს ახალი მეცნიერების შედეგებს. სხვადასხვა პირებთან იგი საუბრობს ასტრონომიასა და გეოგრაფიაზე, მაგრამ აქ უფრო „სალონური“ ინტერესია გამოვლენილი, ვიდრე არსებითი. იმჟამინდელი მისი ჩანაწერებიდან („სხვადასხვა შენიშვნა“, იხ. გრ.ორბელიანი, თბილისი, 1958 წელი) ზოგიერთი - „კოლუმბი ღენუელია“ - ამ ეჭვს აძლიერებს. დამახასიათებელია, რომ ჩანაწერებში, ყოველგვარი კომენტირების გარეშე ისეთ ცნობებსაც ვხედავთ, რომელთაც ზღაპრულ-ფანტასტური ელემენტით ლუარსაბისეულ „ფანტაზიებს“ თავისუფლად ამოვუყენებთ გვერდით (ცნობა ჰოლანდიელ ქალზე). „დღიურის“ დროინდელი „ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისთვის ანუ მიწისა“, გვაფიქრებინებს, რომ ეს პეტერბურგისკენ მგზავრობისას სახელდახელოდ მიღებული ცოდნაა; შესაძლოა, იმ საუბრებს უკავშირდება ავტორი „დღიურში“ რომ ახსენებს. ამრიგად, გრ.ორბელიანის სამეცნიერო განსწავლულობა პირობითად თუ შეიძლება ვაღიაროთ. მისი მნიშვნელობის ცნობიერებას ეროვნული მიზნების რეალიზაციისთვის იგი არ ამჟღავნებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 1871-72 წლებში მამების და შვილების „ბრძოლის“ განახლების საბაბად მამების მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსების პროექტის სამხედრო სასწავლებელის მოთხოვნით ჩანაცვლება იქცა. ეს კი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ჩვენთვის, იმის გათვალისწინებით, რომ „დღიური“ ქართულ მეცნიერებაში XIX საუკუნის I ნახევრის („მამების“) საზოგადოებრივი აზროვნების „დოკუმენტადაა“ მიჩნეული.

რაც შეეხება ახალი დროის პოლიტიკურ რეალიას - ბატონყმობის გაუქმებას, ანუ ადამიანის კანონის წინაშე სხვასთან თანაბრობის „უფლებას“ - „დღიურში“ ამაზე საერთოდ ვერაფერს ნავიკითხავთ. მოგვიანებით, 1863 წელს წარმოთქმულ „სიტყვაში“ მისი სასიკეთოობა გააზრებულია ქრისტიანულ-ეკლესიური და „ხელმწიფის“ სიკეთის მოტივებით, ანუ სავსებით ლუარსაბისეული სააზროვნო მოტივების წყობით, თუმცა საპირისპირო სულისკვეთებით: ლუარსაბი ბატონყმობის გაუქმებაში არანაირ „სიკეთეს“ არ ხედავდა. ამრიგად, ეს გააზრება არ თანხვდება „შვილებისას“, რომლებიც „კაცია-ადამიანის“ „ჭკვიანი კაცების“ პოზიციაზე იდგნენ: ბატონყმობის გაუქმება სასიკეთოა („კარგია“) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების რეალიზაციის ოპტიმისტური პერსპექტივებისთვის. ეს თვალსაზრისი იმჟამინდელი პოზიტივისტური „ისტორიის ფილოსოფიის“ თვალსაზრისია (იხ. პ.ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“; აქ ერთი ძირითადი დებულებაა, რომ ეროვნული პროგრესი უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის თავისუფლებასა და კეთილდღეობასთან).

„დღიურში“ ასევე შევხვდებით სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სასიკეთოობის შესახებ მსჯელობას, მაგრამ ეს ინტერესიც გამოკვეთილად ფრაგმენტულია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმცა „მამებმა“ გააცნობიერეს და დააფიქსირეს, რომ „აწ გამოიცვალა დრო“, მათ შორის უკეთესებიც ვერ გაერკვნენ, რა იყო მისი პრინციპული ბუნება და რას ნიშნავდა იგი ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის, მისი პერსპექტივებისთვის. მათი აზროვნება ძველისა და ახალის მექანიკური, ეკლექტური ნაზავია. გარკვეული უტრირებით ეს დააფიქსირა „კაცია-ადამიანმა“ ლუარსაბის სახით. ხაზი გავუსვათ: ამ ეკლექტიზმმა განსაზღვრა, რომ მამები „დაკარგულ დიდებაზე“ „რომანტიკულად“ ცრემლების ღვრასა და უკანმოუხედავ კონფორმიზმს შორის „მოძრაობას“ ვერ გასცდნენ. პირიქით, „შვილებმა“ კრიტიკულად (ახალი ისტორიული მეცნიერების ათვისებით) გაიაზრეს „გამოცვლილი დრო“, რამაც მათ სამომავლო ოპტიმისტური პერსპექტივების დანახვა შეაძლებინა. ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი ცვლილებების მაუწყებელი პირველი „მერცხალი“ „ქართვლის დედაა“ (1858): „მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა; მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ეს, ჩვენს გაღვიძებაზე, გაძლიერებაზე, ახალი პერსპექტივების გამოჩენაზე მიმართული ხმა, იმჟამად, შორეული, „თეთრი ღამეებიანი“ პეტერბურგის უცნობი სტუდენტის ახალი იმედით გამთბარ და გაცხოველებულ ხმას შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. „კაცია-ადამიანის“ შეხედულებათა სისტემის ისტორიული მნიშვნელობა

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ გრ.ორბელიანის „იარალის“ ისტორიულ მნიშვნელობაზე. იგი ახალი დროის სეკულარიზებული ზოგადი სულისკვეთების გავლენით აღადგენს საკუთარის მსგავს ისტორიულ ტენდენციებს, რომლებიც ჩვენთვის საამაყო „ოქროს ხანაში“ ჩამოყალიბდა, თუმცა განვითარება არ ეწერა. მაგრამ „მამების“ აზროვნება ეკლექტიზმს „ძველისა“ და „ახალის“ მექანიკურ, გაუაზრებელ ნაზავს ვერ გასცდა. საპირისპიროდ ამისა, „შვილებმა“, უპირველესად ილიას სახით, ახალი დროის რეალიები მოიაზრეს კრიტიკულად (იმდროინდელი ჰუმანიტარული მეცნიერების ათვისებით). „კაცია-ადამიანში“ ახალი დროის „დასავლური“ მიღწევები განხილულია უკვე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი „მიზნების“ განხორციელების „საშუალებად“. ბატონყმობის გაუქმება, „ჭკვიანი კაცების“ აზრით, თურმე „კარგი იქნება“ ქვეყნისათვის;. იგივე სულისკვეთება აქ ვრცელდება „სკოლაზე“ - ახალი დროის მეცნიერებაზე და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. ილიას საპროგრამო სტატიები ამ სტრატეგიულ გეზს ეფუძნება („საქართველოს მოამბეზედ“, 1863 წელი), ხოლო 1881 წლის აპრილის „ეროვნული პროგრამის“ მნიშვნელობის მქონე „საშინაო მიმოხილვა“ („დასაწყისი უარმყოფელის...“) თითქმის პირდაპირ აცხადებს ამის შესახებ. ამ სტატიაში ავტორი ახალ დროში ჩვენი დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენის უმთავრეს მიზანს აყენებს, რომლის განხორციელებისთვის აუცილებელი „თოფ-იარაღი“ „მთელი ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით“ შეჭურვილობა ყოფილა. თურმე უამისოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ „ამ მოედანზედ“. „დასავლური“ („მთელი ევროპის“) მიღწევები, „გამოცდილება“ აქ, ფაქტობრივად, გააზრებულია „საშუალებად“ (თოფ-იარაღი, ფარ-ხმალი) ეროვნული პროგრამის მიზნების განხორციელებისთვის. თუ ეს აქ მთლად მკაფიო (პირდაპირ გამოთქმული) არ არის, ეს იმიტომ, რომ ამ კავშირის, - რომლითაც ილიას პროგრამაში რეალურად დაკავშირებულია ერთმანეთთან ეროვნულის და დასავლურის ცნებები - გათვალსაჩინოება აქ იფარგლება მეტაფორების (თოფ-იარაღი, ფარ-ხმალი, ხმარებით და, შესატყვისად, საბოლოო სიცხადით არ არის გამოვლენილი ამ მეტაფორებით ნაგულისხმევი შინაარსი (დასავლური ეროვნული „მიზნების“ განხორციელების „საშუალებაა“).

ახლა შეგვიძლია დავასკვნათ „კაცია-ადამიანის“ შეხედულებათა სისტემის ისტორიულ მნიშვნელობაზე (გრ.ორბელიანის „იარალისთან“ შედარებით). ეს ტექსტი ახალ დროში აღადგენს „ოქროს ხანის“ კულტურულ და ეროვნულ-პოლიტიკურ ტრადიციას „დასავლური“ მიღწევების ზეგავლენით და კრიტიკული გააზრებით - ახალ დროში ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის მათი მნიშვნელობის (საშუალებად) აღიარებით და ამ საფუძველზე მათზე პრინციპულად ორიენტირებით (ამ პროგრამის მხატვრულ მანიფესტად უნდა ვაღიაროთ კაცია-ადამიანის „წინასიტყვაობა“, „მგზავრის წერილები“ და „აჩრდილი“). „დასავლურს“ აქ ძირითადი მიზნის „დამხმარის“ (პრაგმატული) ღირებულება აქვს, თუმცა ამითაც არ ამოიწურება, მაგრამ ეს უკვე სხვა წერილის თემაა.

ხაზი გავუსვათ, რომ, როგორც წესი, სწორედ მიზნის და საშუალების აღრევა იყო ყოველთვის ერთი ძირითადი საკუთარი („სუბიექტური“) მიზეზი უახლეს დროში ქართული სახელმწიფოს სისუსტისა, ვერდაფუძნებისა. ვგულისხმობთ XX საუკუნის დასაწყისსა და მიწურულში I და II რესპუბლიკების მარცხს. თუ I რესპუბლიკის მშენებლობისას „საშუალების“ („მთელი ევროპის გამოცდილების...“) სახელით ნიჰილისტურად უარყვეს „მიზანი“, II რესპუბლიკამ პირუკუ შეცდომა დაუშვა: „მიზნის“ სახელით უარყვეს ან მეორეხარისხოვნად მიიჩნიეს მისი განხორციელების „საშუალება“ და ამას „ჩვენი განსაკუთრებული გზა“ დაარქვეს. ასევე დამახასიათებელი მოვლენა იყო ეროვნულ-პოლიტიკურის საეკლესიო სწავლების ცნებებთან აღრევა ეროვნული მიზნების დასახვისას და მათი რეალიზაციის „საშუალებების“ განსაზღვრისას, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ხელს არ უწყობდა მოსახლეობის აუცილებელ პოლიტიკურ განათლებას. რა მოჰყვა ამას (ორივეჯერ), არათუ ვნახეთ, „ტყავით“ ვიწვნიეთ და კიდევ ვიწვნევთ. მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს ამაზე არავის გავუფრთხილებივართ; „გამოცვლილ დროში“ მსგავს უკრიტიკო აღრევას - „მიზნისა“ - „საშუალებასთან“, ეროვნულ-პოლიტიკურისა - საეკლესიო სწავლების ცნებებთან ჩვენი „ბედნიერების“ „დარღვევა“ რომ მოჰყვება, ამის შესახებ საუკუნენახევრის წინ შეგვაგონეს!

ეკლესია აუცილებელი ინსტიტუტია, რომლის დანიშნულებაა, დაგვმოძღვროს ღმერთის, უზენაესის არსებობის, მცნებების შესახებ. თუმცა ქრისტიანული სწავლება კოსმოპოლიტურია თავისი არსით და ადამიანის ყოველგვარ საქაო ინტერესს და აქტივობას, მათ შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივსაც, დაბალღირებულად მიიჩნევს, საკუთრივ ქართულ (ეროვნულ) ეკლესიას აქვს უეჭველი და მარადცოცხალი ისტორიული დამსახურება თვით ეროვნული სახის ჩამოქმნა-გაძლიერების პროცესში: პირველი სალიტერატურო ფაქტი მკაფიო ეროვნული თვითგანსაზღვრისა გაბატონებული ერთმორწმუნე ბიზანტიის (ბერძენთა) წინაშე მართლმადიდებლურ ტექსტშია დაფიქსირებული („აბოს წამება“). მაგრამ, როცა ვიწყებთ საეკლესიო სწავლების ცნებებით ადამიანის იმ სააქაო ინტერესების, მიზნების და საშუალებების მოაზრებას, რომელთათვისაც ისინი არასაკმარისია, ეს მავნეა ჩვენი სააქაო ადამიანური მიზნების რეალიზაციისთვის, მერე კი თვით ეკლესიისთვისაც, როგორც სააქაო სოციალური ინსტიტუტისთვის. გავიხსენოთ, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას მოჰყვა ავტოკეფალიის დაკარგვა, რადგან სახელმწიფომ იგი ველარ დაიცვა. შუა საუკუნეების რელიგიური ხასიათის, აზროვნება შავი ჭირის ეპიდემიების გამანადგურებელ მძვინვარებას „ღვთის რისხვად“ განმარტავდა და, რომ არ მომხდარიყო აზროვნების სეკულარიზაცია ამ მიმართულებით, ქალაქების მოსახლეობა კვლავაც განახევრდებოდა (მათ შორის - სამღვდელოებაც ) მისი შემოტევებისგან. ან, თუ „უწინდელი დროისავით“ სახელმწიფო თავის მიზნად კვლავ დაისახავდა დომინანტი ეკლესიის ამოცანების ასრულებას, ვერ გამოვიდოდით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის დამღუპველ რელიგიურ ნიადაგზე სამოქალაქო ომების ხანიდან, ან ისევ გვეგონებოდა, რომ დედამიწა სამყაროს უძრავი ცენტრია, რომელსაც გარს უვლიან დანარჩენი ციური სხეულები, რაც კითხვის ქვეშ დააყენებდა ქართველების სახელმწიფოებრივი არსებობის პერსპექტივებს და ადეკვატობას კოსმოსური პროგრამების ეპოქაში. ეკლესიური სწავლების ფარგლებში არ გაუქმდებოდა ბატონყმობა, რადგან ფეოდალიზმს იგი სააქაოს ღვთის მიერ დადგენილ მარადიულ წესრიგად აცხადებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის 95 პროცენტს მაინც არ გვექნებოდა პროფესიის არჩევის, განათლების მიღების და შვილებისთვის მიცემის, ქონების განკარგვის, გადაადგილების, სამედიცინო დახმარების მიღების და ახალი დროის ადამიანის სხვა „უფლებები“. მაგალითად, საკითხის ისე დაყენება, რომ დავაბრუნოთ ფეოდალიზმი, რადგან მისი გაუქმება ისტორიულად „დასავლური“ გავლენაა და ეწინააღმდეგება ჩვენს მართლმადიდებლობას, ნიშნავს უშანსოდ დატოვებას ქართული სახელმწიფოებრიობისა უახლეს დროში. „კაცია-ადამიანის“ ეპოქა „მოდერნიზებული“ ბატონყმობის სახით ისედაც გრძელდება ჩვენში და საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას. აუცილებელია ამ საკითხებში გარკვევა კომპეტენციების გამიჯვნა და შეთანხმება, მათ შორის ეკლესიასა და მეცნიერებას შორის, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარებისთვის.

ათეისტი შეიძლება იყოს რომელიმე მეცნიერი (ან ნიუტონივით მორწმუნე, რომელმაც თავის მორწმუნეობას მისივე აღმოჩენილი სამყაროს მათემატიკური წესრიგი დაუდო საფუძვლად. იხ.ილიას „სიტყვა თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“), მაგრამ არა თვით მეცნიერება. მეცნიერება არა იმდენად მსოფლმხედველობაა (ფილოსოფიაა), რამდენადაც უკვე არსებული ემპირიული სამყაროს შემეცნების მეთოდები. მას პრინციპულად არ ახასიათებს წინასწარ აკვიატებული თვალსაზრისები. უხეშად რომ ვთქვათ, იგი იტყვის, რომ

ღმერთი არის, თუ იგი არის, და იტყვის, რომ არ არის, თუ არ არის. ამიტომ, ვისაც გვწამს, რომ არის, მეცნიერების არ უნდა „გვეშინოდეს“ და არც „მეტოქედ“ მიგვაჩნდეს თუ უანგარონი ვართ.

სამწუხარო სანახავია („ვიტიროთ თუ ვიცინოთ?!“), როცა მართლმადიდებელი ავტორის რელიგიურ ბროშურაში შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ თურმე ქართველი ხალხი დაიღალა ქართველი ისტორიკოსი მეცნიერების თვალსაზრისებისგან და ისტორია ისე უნდა გავიგოთ, თავის ფანტასტიკურ-ზღაპრული ელემენტებით და ეკლესიური სწავლების შეფასებებითურთ, როგორც ეს შუასაუკუნეების ქართულ მატიანეებშია, ანუ ხელის ერთი მოსმით „გაუქმებულია“ მთელი ეპოქის მიერ მოპოვებული სამეცნიერო კრიტიკული აპარატი, რომლითაც მეცნიერი-ისტორიკოსი ამ მატიანეებზე მუშაობს. თავი გავანებოთ, რომ ეს „კარგად ნაცნობი“ ლუარსაბისეული აზროვნების ტიპია, ილიასავე შეფასებით, ჩვენი მატიანეები ისევე, როგორც საზოგადოდ ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფია, უპირველესად, ქართველი მეფეების და არა ქართველი ხალხის ისტორიაა და თურმე მაინცდამაინც „ქართველი ერის ისტორიის“ შემქმნელისგან დაღლილა ქართველი ხალხი! არსებითი ის არის, რომ გაუნათლებლობით მეცნიერებისგან „მოითხოვენ“, იყოს ის, რაც ის არ არის - მეტაფიზიკა! და მერე „გამარჯვებულის“ თავმოწონებით „კბილებს აკრაჭუნებენ“ და იმავდროულად ქართველის ბედის მუხთლობაზე ჩივიან და არ იციან, თუ იგი „მუხთალია“, ისევ ასეთი „გამარჯვებების“ წყალობით.

მეცნიერებაზე, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, ახალი დროის სოციალურ მიღწევებზე მსგავსი „გამარჯვებების“ შედეგია, რომ თბილისში(!) ბავშვების სიკვდილიანობა - არასრული მონაცემით - 38-ის ტოლია, ჩვენხელავე ფინეთში - 5-ის წილ („საქართველოს პედიატრი“, 2001: 1-4), ხოლო ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა (ოფიციალური სტატისტიკით - 70 წელზე მეტი) 10 წლით ნაკლებია. ეს იმას ნიშნავს, რომ „დასავლურის“ ლუარსაბისეულ „უარყოფას“ ყოველ ათას ბავშვზე ვწირავთ 33-ს, ხოლო 4,5 მილიონ მოსახლეზე გადაანგარიშებით ყოველ წელს „ვკლავთ“ 60.000 თანამოქალაქეს რომელსაც უნდა ეცოცხლა, ჩვენც ფინეთის მოსახლეობის ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ათვისებული რომ გვქონოდა, მერე კი ჩვენვე ვგლოვობთ და შავ ბედს ვუჩივით! ასეთია თათქარიძეობის ფასი უახლეს დროში! დამნაშავის ძიებაში ხელი მუდამ სხვისკენ გვაქვს გაშვერილი, დროა, ხელი ლუარსაბისკენ გავიშვიროთ, რომელიც თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს. ეს ერთი მიზეზია, რომ ჩვენი ცხოვრება მიდის არა „კაცია-ადამიანის“ ავტორის, არამედ მისი პერსონაჟების დაკვეთით. იქამდისაც დავედით, რომ ლუარსაბის „განდიდებას“ მივყავით ხელი, იმისა, ვინც ლიპი შეიძინა, მაგრამ ქვეყანა დაკარგა!

ჩვენი ეროვნული გზის გამოსაკვეთად, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, უნდა გავიაზროთ, რომ დრო კვლავ გამოიცვალა, განვითარებული გლობალური და დრამატული მოვლენების ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია „მიზნის“ და „საშუალების“ (იხ.ზევით) ერთმანეთისგან მკაფიოდ გარჩევა, არაღრევა, რასაც, რიგი ნიშნებით, მოკლებულია სადღეისო დომინანტი ცივილიზაციის სტრატეგია. მისი მხრიდან მსგავსი შეცდომების დაშვება ჰანტინგტონისეული წინასწარმეტყველებების ახდენის წინაპირობაა. ამ ცივილიზაციის რღვევის პირობებში კი ჩვენი ეროვნული ნიშნით არსებობა დიდი კითხვის ქვეშ დადგება, რადგან საკუთარი „ტყავით“ ვიცით, რა არის „დიდთურქობა“, „დიდარაბობა“, „დიდრუსობა“, „დიდირანელობა“, რაც არ იცვლება და არც შეიცვლება (ეს, ცხადია, არ ნიშნავს კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე უარის თქმას). ჩვენი ისტორიიდან, ეროვნული გამოცდილებიდან, არსებული უახლესი და ახალი დროის სააზროვნო ტრადიციის „მოწოდებიდან“ (მისი სადღეისო მკაფიო მაგალითია ნ.ნათაძის „ერი და ეროვნული კულტურა“) შეგვიძლია წონადი „სიტყვის“ და „საქმის“ (პოლიტიკური მეცნიერება და მასზე დაფუძნებული ინოვაციური საერთაშორისო ინიციატივები) შეტანა ცივილიზაციის ბედის სასიკეთოობისთვის. სწორედ ეს არის ჩვენი ეროვნული „განსაკუთრებული გზა“, რომელიც, ამავდროულად, შანსს მოგვცემს მოვიპოვოთ რეალური და არა „ნასესხები“ სახელმწიფოებრიობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ, კაცობრიობის რეალური საჭიროებისთვის შეწევნით და მის წინაშევე ამ „შეწევნის“ დაცვით. ეს იქნება ჩვენი ფუნქციის აღდგენაც (იხ.ილიას 1879 წლის „შინაური მიმოხილვა“ „აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ...“ სადაც დასმულია ეს პრობლემატიკა და განჭვრეტილია „დიდი აბრეშუმის გზის“ სახელით ცნობილი „პროექტი“). თუ არ იქნება ამის თაობაზე ქართველი ხალხის, საზოგადოების - უპირველესად, მისი განათლებული ნაწილის სახით - ერთიანი (ეროვნული) ნება, ვერანაირი მთავრობა („ხელმწიფე“) ამას ვერ და არ გაწვდება და გაგრძელდება ერთმანეთის ჭამიობის „ეპოქა“, როცა ლუარსაბი თავის ძმაზე დიდ მტერს ვერ ამჩნევდა.

„კაცია-ადამიანი“ თანამედროვედ აქტუალურია, რაც ჩვენი სიამაყის საბაბი სულაც არ უნდა იყოს. ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე მასში წამოჭრილ პრობლემატიკას არ გადავჭრით (ჩვენვე, „სხვა“ ამას ვერ გააკეთებს). სწორედ ეს იქნება ქართველი კაცის „ნიჰილიზმის“ (ხელჩაქნეულობის და ცინიკურობის) საფუძვლის - მისივე უფუნქციობის და უილაჯობის დაძლევა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაოლო იაშვილის მარად სევდიან იუბილესათვის - დაბადებიდან 110 წელი(1892-2002)

## „ფერადი ბუშტები“

პარიზისა და თბილისელი მათხოვრებით,
შთაგონებული,
ერთი ნოველა გარიყულთა მწარე ცხოვრების,
სულის სიღრმემდე თანაგრძნობით ჩამახსოვრების,
კვლავ თანამდევი ყოველდღიურ ჩვენი ცხოვრების

ფიზიკურ ყოფის გადასარჩენად
(იქნებ სულისაც!)
მოწყალებისთვის მოკრძალებით გამოწვდილ ხელებს
ხიდების თავთან მტკვრისა თუ სენის
შემძრწუნებულმა შთაგონებამ პოეტურ გენის
სითბოდ ჩაუდო თანაგრძნობა ფესვამდე გულის;
ის მართალ სიტყვას როდი გაექცა -
პროზას ჩაუდგა პოეზიის სიმაღლე სულის.

დღევანდელ პარიზს მათხოვრობის ძველი სურათი
გადაქცევია სამუზეუმო სევდანარევ
მოგონებებად;
აქ კი, თბილისში, გამოკეტილ მუზეუმებთან
„ღირსების ქუდით“ ხელგამოწვდილი ხელოვანიც
მოგეგებებათ.

უსულგულობის გზაჯვარედინზე, -
გამათხოვრებულ ბავშვების ჯგროში,
ორსული ქალის გარემოცვაში
რომ შეაგროვონ ორიოდ გროში.

ასეთ ყოფაში თბილის ქალაქს რომ სწვეოდა
პოეტის სული,
მაჩაბლითა და იაშვილის ქუჩით აევლო,
მწერალთა სახლში საეჭვოა კვლავ შესულიყო!
თავის ქუჩაზე, თავისსავე ორლულა თოფით,
გამათხოვრებულ ორგულობით შემძრწუნებული,
- თავს მოიკლავდა კვლავაც პაოლო.

„ფერად ბუშტების გამყიდველი ის მალაკანი“,
ჯიხურებს შორის, ქართველის გვერდით,
დღეს სამათხოვროდ თავად დამდგარა,
ღვთისმშობლის მადლი თუ გადმოხედავს

„მგოსანთა მხარეს“ გადასარჩენად!
„დიდი კაცები“ ნაკლებად ჩანან,
საუბედუროდ სადღაც გამქრალან!
- ზოგს პარლამენტის სავარძელზე მისძინებია,
ან ლიმუზინის შავად შებოლილ მინებიდან
ისევ უჩინრად, უდარდელად იმზირებიან!

...
მაინც არ გვმართებს საბოლოოდ ხელის ჩაქნევა,
ჩვენთან არს ღმერთი! არის იმედი
რომ ყველაფერი ცვალებადია,
პოეზიისთვის ქართველი არას დაზოგავს
არ დაიშურებს რაც აბადია!

„მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ!“
ერთი დროც ალბათ კვლავაც დადგება,
თამადად იჯდეს ნიჭიერება,
- იმ „გაქროლების“ მხოლოდ სადარი.

დე, შთაგონების გადასავსებად
- მერიქიფობდეს ვაჟკაცური მარღვი და მკლავი,
ცერებზე იდგეს მოწიწება პოეზიის ხიბლის წინაშე,
რითმას ერთვოდეს ნარნარი მკლავის
- როგორც ზედაშე!

კვლავ დამტკბარიყოთ იაშვილის რითმით და გამით,
ცისფერი ყანწი ავსებული ქარვისფერ ღვინით
და ბოჰემური აფეთქების
სიცოცხლის ეშხით,
მრავალჟამიერ ალავერდი გადადიოდეს
გენიდან გენში!

ბატონ პაოლოს სევდანარევ იუბილეზე,
ავად შემდგარი ჩახმახის ნაცვლად,
დე, ფეხზე იდგეს - შთაგონება და სილამაზე.

თენგიზ (თეზიკო) იაშვილი
**18. 10. 2002 წ.**

იაშვილების საგვარეულო დარბაზის სახელით

ი 208/8

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია მალხაზ ვარშანიძის ნამუშევართა რეპროდუქციები











